

როლანდ
გიორგაძე

ჭისლ,
ჭისლ...

ჭირო, ჭირო...



რომანი

თბილისი
2020

როლანდ გიორგაძე – დისო, დისო ...
ROLAND GIORGADZE – DISO, DISO ...

რედაქტორი: მაკა ჯოხაძე
Editor: Maka Jokhadze

მხატვარი: მერაბ გეწაძე
Artist: Merab Getsadze

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნიკა ხვედელიძე
Page make-up: Nika Khvedelidze

© როლანდ გიორგაძე – დისო, დისო... 2020

გამოცემლობა „მერიდიანი“

ISBN: 978-9941-25-780-3

დაიბეჭდა შპს „შარავანდის“ სტამბაში

წიგნის გამოცემის უზრუნველყოფისათვის
დიდ მადლობას ვუხდი შპს „შარავანდის“
დირექტორს ბატონ თამაზ შარიქაძეს

ავტორი

ვუძღვნი ჩემი ძვირფასი მშობლების –
ღიღიმი გიორგაძისა და ნაზიკო აბესაძის ნათელ ხეოვნას

დისო, დისო...

უმოქმედო და უშინაარსო ცხოვრებამ სიზარმაცის სენი შეჰყარა გიორგის – თავი და თავი ყველა უბედურებისა. მართალია, ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, მაგრამ არც მოხუცებულობაში შეებიჯებინა ჯერ. ფიქრობდა, რაღაცით უნდა დავკავდეო, მაგრამ იმ რაღაცისთვის ვერ მიეგნო. სოფელში კაცს საქმე ყოველთვის გამოუჩინდება. სოფელში ღრმა სიბერემდე საქმიანობს ადამიანი, რომც გინდოდეს, ვერ გაჩერდები, მიწა ყოველდღიურად ითხოვს თავისას. არ გასვენებს, სანამ მიწადვე არ მიიქცევი. აქ კი, ყანა შენ არ გაქვს გასათოხნი და ვენაზი შესანამლი, თუმცა, სამაგისო აღარც ჯანი შემოგრჩა და აღარც ღონე. ამას წინათ კორპუსის წინ ორ ძირ ხეს შემოუბარა და გული ძლივს ამოიტანა სახლში. ამოვიდა და ცოტა ხანს წამოწვა დასასვენებლად. გული ისე გამალებით უცემდა, გეგონებოდა, საწოლი ყანყალებსო.

– ასაკი, ძმაო, – შეეხმიანა თავის თავს, – შენ, ხუმრობა საქმე ხომ არ გონია? ოჳ, კარგი ერთი. ყველაფერს ასაკს ნუ დააბრალებ. ვის აცოდებ თავს? არც ისეთი მხცოვანი ხარ. შე კაი კაცო, კოლია არ გაასოვს? სიკვდილამდე ვერ გააგდებინეს თოხი ხელიდან. კი, იმასაც ამბობდნენ, რომ არ წაიქცეს, თოხით იკავებს თავს ყანაშიო. იცინე, შენ, იცინე. ისე, რას არ იტყვის ხალხი, ქილიკობას შენ მოაშლევინებ? იქილიკონ და იყვნენ. მაგან უნდა თქვას, კაცი ვარო. თუმცა, ახლა რაღას იტყვის. ღმერთმა აცხონოს, ისე წავიდა ამქვეყნიდან, ლოგინად არ ჩავარდნილა, არავის მოსავლელი გამხდარა და არც არავინ შეუწუხებია. არ არის, ჩემი ბატონო, ეს პატარა საქმე. უბედურება ის არის, რომ ჩაწვები და შენს მოვლაზე მორიგეობას დააწესებენ შვილები.

– მერე რა არის აქ უბედურება? უბედურება კი არა ბედნიერებაა, ამდენი მზრუნველი რომ გეყოლება.

– კაი ერთი, შეიძლება შენთვის სულის სიღრმეში რაღაც ბედნიერება იყოს, მაგრამ მაინც სხვის შეუწუხებლად ჯობია იქ წასვლა. ყველა თავის საქმითაა დაკავებული. სად აქვთ ამდენი დრო? აქეთ სამსახურიო, იქით ბავშვებიო, და კიდევ ვინ მოთვლის, რა. იმათაც მოსწყინდებათ, დაეწყებათ შფოთი და შეიძლება, სიყვარულიც გაუწელდეთ.

წუთისოფელი დაუწყდობელია, მომაბეზრებელი ერთფეროვანი ყოველდღიურობა გულს აუხეშებს, თუ ვერ შეძელი წუთისოფლის გამრავალფეროვნება, სულს ჩრჩილი მოედება, დაგიუანგდება. ისე კი, ყველა სატკივარის საუკეთესო წამალი საქმეა, საყვარელი საქმე. უსაქმურობა ათასგვარ პოროტებას ბადებს გულში. და კიდევ, მარტო არ უნდა დარჩე. მარტოობაზე დიდი სასჯელი ღმერთსაც კი ვერ მოუგონებია. მარტოსულობითა და უსყვარულობით იტანჯება დღეს სამყარო. შეიძლება ხალხმრავალ საზოგადოებაშიც იყო, ცოლ-შვილითა და შვილი-შვილებით დახუნძლულიც, მაგრამ მაინც მარტო იყო. აი, ამას უნდა გაექცე. სხვანაირად დაიღუპები.

ფეხი შეანელა გიორგიმ, ცას ახედა, დღე დასალიერისაკენ მიიზლაზნებოდა. ცაზე ჯერ მხოლოდ ერთი ვარსკვლავი კიაფობდა ობლად.

– ხომ იცი, – ისევ გაებაასა თავის თავს, – წუთისოფელში მოვლინება რაღაც ამოუცნობი კანონზომიერების ნაყოფია. შემთხვევით არაფერი ხდება და მადლობელი უნდა იყოს ამისთვის კაცი. სამარადჟამო სიცოცხლის შანსი გეძლევა, თუ რწმენაში არ მოიკოჭლებ. მოვლინებაასაც ათასგვარი ვალდებულება მოჰყვება, აბა, რა გეგონა, შენ, თუ ამ ვალდებულებებს არ გაექცევი, შეასრულებ, მოსაწყენად დროც აღარ დაგრჩება და იქაც პირნათელი იქნები. – მერე დანანებით გადააქნია თავი, – როგორ კისრისტეხით გარბის დრო, გიუივით მიქრის. როგორც იტყვიან, თავის მოფხანის დროც არ არის, თუ მიძინებული არ ხარ. მიძინება კი იგივე სიკვდილია. დრო დიდი განძია, ოლონდ ჭუით უნდა მოხმარება. უკან მიიხედე, უკან, როგორ

ახერხებდნენ შენი წინაპრები. გუთანიც ეჭირათ ხელში, ხმალიც და ღმერთისთვისაც იცლიდნენ. როდის უნდა მოეწყინათ? დღეს ღმერთიც მივიწყებულია. როცა ღმერთს ივიწყებ, ყველა მიწი-ერი მომაკვდინებელი მანკიერებები წამოყოფენ თავს და მის მონად იქცევი. ფულია დღეს ღმერთი და ამ ღმერთს ეთაყვანება ყველა. სხვა დროა ახლა, სხვა დრო, ღმერთის დავიწყების დრო.

— კაი, კაცო, ნივთიერს გაჩენის დღიდან ეთაყვანება კაცობრიობა.

— კი, ამაში გეთანხმები, მაგრამ დღეს განსაკუთრებულად.

ასაკმა გოდრის ამბავი გაახსენა და ჩაეცინა, — რამდენი სიბრძნეა დავანებული ხალხურ გადმოცემებში. გოდორი არ დაგავიწყდეს, გოდორიო. უცნაურ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრებამ. ეპოქა, რომელიც დაუინებით მიისწრაფვის თვითგანადგურებისკენ.

— რატომ განადგურებისაკენ?

— მოითმინე, მოითმინე, ერთ წამს, მათქმევინე. განადგურება მარტო ბომბებს არ შეუძლია. ყველაზე დიდი გამანადგურებელი უზნეობაა. ყოვლისმომცველმა კომერციალიზაციამ, პრაგმატიზმა სიყვარულიც კი შეიწირა. გააცივა ურთიერთობები. არადა, სიყვარულია თავიდათავი ყოველგვარი სიკეთისა. ჰო, რაღაცის თქმა გინდოდა...

— თვითგანადურებისაკენ კი არა, ზეცივილიზაციისაკენ.

— ჰოდა, ეგ ზეცივილიზაცია მოსპობს ყოველგვარ ტრადიციულს, ღირებულს, მორალურ-ზნეობრივს.

— შემიძლია, არ დაგეთანხმო, მე მაინც ჩემ აზრზე ვრჩები.

— კაი, ერთი, გაიხედე, შენ გარშემო რა ხდება.

ასაკზე ფიქრი მაინც არ ასვენებდა, ზარავდა საწოლს მიჯაჭვულობაზე ფიქრი.

— ჩავარდნილი კაცი არა თუ სხვებს აბეზრებს თავს, თვითონაც ბეზრდება საკუთარი თავი. ამნაირი ხვედრისაგან ღმერთიმა დაგვიფაროს. მოქმედებაა საჭირო, მოქმედება, თანაც დროული. უნდა განთავისუფლდე ფუჭი და დამთრგუნველი აზრებისაგან. უქმად გდებისაგან თოხიც კი უანგდება და გულს რაღა მოუვა?

- ასე, შე კაცო. მოძრაობაა მაგის წამალი, მოქმედება. კარგად თქვა ილიამ: მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაო... ყველაფერი იგულისხმება ამაში. პატარა კახი სამოცდათხუთ-მეტი წლისაც ცხენზე ამხედრებული იბრძოდა. იმიტომ, რომ გაჩენიდან სულ მოქმედებაში იყო. ადამიანი მოძრაობისთვის არის გაჩენილი, შემოქმედებისთვის. იტყვი ახლა შენ, რომელი პატარა კახი მე ვარო. მერე რა, ადამიანთა მოდგმის წარმო-მადგენელი, ორფეხა გონიერი არსება ხარ შენ, როგორც ამბობენ „ჰომო საპიენსი“. ჰო, კიდევ, გადადებული საქმე ეშმაკისააო. ჯობია, არ დააყოვნო... კაცისთვის მოჭარბებული არაფერი ვარგა, არც დრო. შეიძლება დიდი სისულელები ჩაგადენინოს. მისგან არავინ არის დაზღვეული. ბრძენ კაცსაც კი შეუძლია, ჩაიდინოს სისულელე.

მერე წაიოცნება, - ნეტავ ვინ უფრო მეტ სისულელეს სჩადის – ფულიანი თუ უფულო. გაჩენიდანვე უსასრულო გზას მიუყვება კაცი და ამ გზაზე შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ წამოკრა ფეხი და არ ჩაიდინო სისულელე.

- გეყოფა ახლა, გეყოფა, უსაქმურობამ იცის აზრებით ხე-ტიალი. ადამიანს შუბლის ძარღვი დააყოლა ღმერთმა, ასე ამბო-ბენ ხალხში. ის არის სისულელებისაგან თავის შემაკავებელი, თუ გაგიწყდა შუბლის ძარღვი, ყველაფერს გაკადრებინებსო.

ახლობლის ნათქვამი გაახსენდა: - დისშვილი მყავს, კაცო, ერთი უვარგისი, თაღლითი და უქნარა, არ ვიცი, ვის გამოემგვანა, გვარში არავინ გვყავს ასეთი, შევჯორე ამას წინათ – კაცს რომ შუბლის ძარღვი გაუწყდება, მისი საქმე დამთავრებულია-მეთქი. არ იკითხავ, რა მიპასუხა?

მხრები ავიჩეჩე.

- არ დამყოლია მე, ბიძია, ეგ ძარღვიო, და გადაიხარხარა. სისხლი გამეყინა, კაცო, ძარღვებში, მოდი და ელაპარაკე ასეთს მორალსა და ზნეობაზე. კაცს ყველაზე მეტად ფიქრებთან ბრძოლა ღლის. რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაზე რომ ათენებდე და აღამებდე, კიდევ ხო. უსაგნო, არაფრის მომტანი, ზოგჯერ ისეთი მავნებლური ფიქრები შემოგესევა ხოლმე, შეიძლება, ჭკუაზე გადაგიყვანოს. მერე ისე დაუპატიუებლად

მოდიან, რას არ გაგახსენებენ. დღე კიდევ გულს გადააყოლებ რამეს, დაღამებაა შიშის მომგვრელი და საფრთხილო.

— კიდევ ერთხელ გეუბნები, რაღაცით უნდა დაკავდე, რაღაცით.

— და რა არის მერე ეს რაღაცა?

— გეყოფა, გეყოფა ახლა, კარგ საქმეზე მიდიხარ, ამდენი ხნის უნახავ მეგობრებს შეხვდები და გულსაც გაიხალისებ, მტანჯველი ფიქრებისაგან ცოტა ხანს მაინც დაისვენებ.

არც თუ ისე ბევრი გზა დარჩენდა გასავლელი შეხვედრის ადგილამდე. რაც ასაკში შევიდა, ფეხით სიარულს მოუხშირა. ახლაც ფეხით მიდიოდა ნაძვნარში. მიუყვებოდა ბილიკს, გაუჭირდა აღმართში სიარული, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, სასიამოვნოდ ელამუნებოდა მოშხამული აირებისაგან თავის-უფალი მთის გამჭვირვალე სუფთა ჰაერი, ხალისს მატებდა ბუნების სუნთქვა. მოწოლილი სისხლისაგან სახეც შეუწიოლდა, გუნებაც გამოუკეთდა, ფრინველთა ორკესტრის სასიამოვნო ჟღურტულმა ძალა შემატა, ფეხსაც აუჩქარა და მხნედ დაადგა გზას, მაგრამ გონებას მაინც ვერაფერი მოუხერხა. გონებას, რომელსაც სულის თვალს უწოდებენ.

— ბიჭო! სანამ რამით დაკავდები, იქნებ რამე დაწერო! — მოულოდნელმა და დაუპატიჟებელმა აზრმა ერთ ადგილზე გააშეშა, მერე ხმამაღლა გაიცინა.

— რა გაცინებს, გიფიქრია ამაზე?

— მოდი და ნუ გაგეცინება. მწერლობა შენ პენსიონრების თავშესაფარი ხომ არ გგონია?

— რატომ, კაცო? ჯერ ერთი — პენსიონერი არ ხარ, მეორეც — ამის პრაქტიკაც მრავლადაა მსოფლიოში, თანაც არც თუ ისე უინტერესო ცხოვრება გაქვს გავლილი. გულს მაინც გადააყოლებ, დროს ხომ მაინც მოკლავ, სხვა თუ არაფერი. ამბობენ, გონებას ავარჯიშებსო, სკლეროზსაც თავიდან აიცილებ. ა, საუკეთესო გამოსავალი, თანაც სასარგებლო, მაგრამ რაზე გინდა, რომ დაწერო?

— არა, ამაზე არასოდეს მიფიქრია, — კიდევ ერთხელ გაელიმა, რა აზრი არ მოუვა კაცს თავშიო.

უცნაურმა და მოულოდნელმა აზრმა გაახალისა და ჩა-აფიქრა, მაშველი რგოლივით ჩაეჭიდა ამ აზრს. მერე ვიღაცის დაგდებული ჩაუქრობელი სიგარეტის ნამწვავი ფეხით მოსრისა და გზა განაგრძო.

– მაგალითად, შენი თავგადასავალი, ცოტა გადაგხდენია თავს თუ რა. – ისევ ჩაიცინა, – რამდენი ხანია, ასე არ გავხალი-სებულვარ. მწერლობა არ მომინდომა ახლა, მწერლობა მარტო ამბის მოყოლა ხომ არ გგონია შენ, ბიჭო? ამბავს ლვთისგან მომადლებული ფერებიც სჭირდება, როგორც კერძს საკაზმი. ისე უგემური გამოვა.

– პირველად შეიძლება უგემურიც გამოგივიდეს, მერე რა.
– არა, ძმაო, არა, უნაყოფო შრომა რა შრომაა. ეს იგივეა, სიზიფესავით ქვა აგორო აღმართში.

რა არ მოგივა კაცს თავში. კიდევ კარგი, გარეთ არ მზიურ-დება ყველა ნაფიქრალი, თორემ კაცი კაცს ვეღარ შეხედავდა თვალებში.

– შეგრცხვეს მაინც, წერეთელს ედრები! ცოტა ნაკლებს მაინც გაუყადრე თავი.

– ჰო, რატომ წერეთელს? სხვებიც უამრავია. როგორ იყო, როგორ? „შენ საჩხერის არწივი ხარ, მე – ლვანკითის შევარდენი, შენც პოეტი, მეც პოეტი, შენ აკაკი, მე ვარდენი“. და რა უპასუხა! „წერე, წერე, ჩემო ვარდენ, მტერს დაასე ისარიო, თუ მწერალი არ გამოხვალ წერას მაინც ისწავლიო“. წერას თუ არ აუტანიხარ, დაანებე ამაზე ფიქრს თავი.

ასაკის მატებასთან ერთად რა სწრაფად გარბის დრო – ისევ დროს გაედევნა ფიქრით. მგონი, ფინიშის ხაზიც აღარ არის შორს. ეგ არავინ იცის, მწიფეს ესროდნენ და მკვაწე ცვილდაო,
– იტყოდა ხოლმე საწყალი დარეჯანი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა, სათხო და კეთილი ქალი იყო. ისე, რისი შეცვლაც არ შეგიძლია, ფიქრადაც არ ლირს. ნათქვამია, წყლის ნაყვააო. მე დავამატებდი, დროის ნაყვაც.

აღმართიც გათავდა. საპურმარილემდეც აღარ იყო შორს. შეჩერდა.

– რას აღარ მოიგონებ ხოლმე, რა ახირებაა, რას აიკვიატე

ფეხით სიარული. მართლა პატარა ხომ არ გგონია შენი თავი? რისი თავი გექნება, იქ რომ მიხვალ.

– რა ვიცი, ვიფიქრე, ბუნება მავნე ფიქრების ტყვეობიდან გამათავისუფლებს-მეთქი. მყუდრო ადგილია. როგორ ამბობდა ერთი პოეტი? „ფიქრთა გვირაბი არის მაღარო, ლექსი – ფოლადის ნაწარმოები“.

– თუ ძმა ხარ, ეგ რამ გაგახსენა? რა მოსატანი იყო ახლა აქ?

– რა ვიცი, რა ვიცი, როგორც სამყაროა ამოუცნობი, ისევე ამოუცნობია გონება. გონების ამოცნობა სამყაროს ამოცნობის ტოლფასია. რას არ ამოგიგდებს ხოლმე სხეულის ეს ერთი, ვითომ პატარა ნაწილი. როცა წლები ცის თაღივით დაგაწვება მხრებზე, უფრო მეტად უკვირდები ჟამთა სვლას, სამყაროს. ახალგაზრდობაში ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევ. დროთა განმავლობაში კი, ცხადად შეიგრძნობ მის ცვალებადობას. მიდის ერთი თაობა და მოდის მეორე. გიჭირს, მაგრამ მაინც ეგუები იმას, რომ, მართლაც, წუთია წუთისოფელი. იცი, რომ მოგიწევს წასვლა. მაგრამ ყოველთვის მერმისისთვის გადადებ, გაურბიხარ ამაზე ფიქრს, ის კი თავს აუცილებლად შეგახსენებს. ამასთან, ისიც კარგად მოგეხსენება, რომ „არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“. და ისიც, რომ მიღმიერის, ზეციურის, შეცნობა ვერ ხელენიფების ძეხორციელს, არაფერი იცი, ის წარმოდგენითია, ოცნების სფეროა. აქ კი ყველაფერი გაცხადებულია. ხედავ, ეხები, კაცობრიობის უსასრულო კიბის ერთი საფეხური ხარ შენს თაობასთან ერთად. კლდეს რომ მოანგრევენ, დაინახავ, როგორ საფეხურებივითაა სხვადასხვა ფენა ერთმანეთზე დალაგებული. ასეა კაცთა მოდგმაც. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, არ ღირს ამაზე თავის მტვრევა, რას იზამ, ფიქრს ვერ გაექცევი, ვერ დაემალები. ფიქრები ფანტელებივით აცვივა გონებას. ზოგი უკვალოდ ქრება, სხვანი მკვიდრად მკვიდრდება ტვინის ხვეულებში და კაციშვილი ვერ გაიგებს, ფრინველივით როდის წამოგიფრინდება... ამბობენ, ფიქრის ტყვეობიდან დახსნის ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება ღვინოაო, მაგრამ...

— ჰოდა, ეგ მაგრამ არ დაგავიწყდეს. ისე კი კაცობრიობამ მუხლზე უნდა დაუჩირქოს ჩემს წინაპრებს ამ უდიდესი საუნჯის აღმოჩენისათვის. ღვინო ახალისებს გულსა კაცისასო, — კარგი ნათქვამია ჭეშმარიტად.

* * *

დღე იწურებოდა. ბინდი საბრძანებელს უმზადებდა ღამეს. ისმოდა ფრინველთა ულურტული, ძილის წინა გადაძახებ-გადმოძახება, ძილისპირული ახალგამოჩეკილი ბარტყებისთვის. აქა-იქ ღამის დარაჯების – ბუსა და ჭოტის კივილიც სწვდებოდა ყურს.

რა კარგად მოუფიქრებიათ ამ პატარა მთის წვერზე საპურ-მარილეს გაკეთება. ყველა მხრიდან შერეული ტყის საფარით შემოსარტყლულს მხოლოდ წვერი ჰქონდა მოტიტვლებული მელოტი კაცივით და ამ სიმწვანეში ბადაშივით იყო ჩასმული გასული საუკუნის ერთსართულიანი, კრამიტით გადახურული, ქვის ბოძებზე შესკუპებული იმერული ოდა-სახლი. მისთვის დამხასიათებელი გრძელი აივნით. შემჯული სხვადასხვა ორნა-მენტებით, ფიგურებითა და რიკულებით.

რა არის, კაცო, ეს, ჩემი მეზობლის, ას წელს მიტანებული არჩილას სახლი გადმოუტანიათ, მგონი, აქ.

ტყრუშული ღობით შემორაგული ეზო მწვანედ ხასხასებდა. მხოლოდ თეთრი ქვით გაწყობილი ბილიკი დაეტოვებინათ სახლამდე. აბიბინებულ კოინდარზე აქა-იქ მარგალიტებივით მოებნიათ სისხლივით წითელი, თავდახრილი ვარდები. მოწი-წებით შეჰყურებდა როგორც საკრალურსა და იდუმალს. — ტურტლიანი ტყავის ლანჩით როგორ უნდა შებლალო ეს სიწმინ-დეო, და შორეულმა ბავშვობის მოგონებამაც არ დაახანა, როცა მწვანე მოლზე ფეხშიშველა ტრუსებით დატანტალებდა ხოლმე.

მთისთვის დამახასიათებელი მუდმივად გრილი სიო საამოდ ანანავებდა გარემოს. მოწყდა რეალურს, აწმყოს და ირეალურში, თითქოსდა რაღაც მანქანების საშუალებით შორეულში, მიღმი-ერში გადავიდა. გონება ყოველგვარი ბინიერისაგან გაიცხრი-ლა... მთის წვეროდან ხელისგულივით ჩანდა მდინარის ორივე

მხარეს გაწოლილი ქალაქი, რომელიც ისე ციმციმებდა, თითქოს ცა თავის ვარსკვლავებიანად ამობრუნებულიყო. წეტარების მომგვრელ ურუანტელს დაეპრო მთელი სხეული. აცრემლებას ბევრი აღარაფერი აკლდა... ყოველგვარი მიწიერი გამქრალიყო...

— მგონი, კარგ დროს მოგისწარი, გადაფრენას ხომ არ აპირებდი? — ზურგზე ხელი მოუთათუნა კარგა ხნის უნახავმა მეგობარმა და შემოატრიალა. მერე უკან დაიხია და ვითომ გაკვირვებულმა თუ ნამდვილად გაკვირვებულმა, თვალასხივოს-ნებულმა მიმართა:

— კაცო, შენ არ იცვლები? — ღიმილად ქცეული შინაურულად თმაზე წაეტანა და გაჭალარავებული გრუზა თმა მოუჩეჩა, — შენზეა ნათქვამი, „არ ვსდევ უამთა ცვლასო“.

მერე მარჯვენა ხელი თავზე მოისვა, კეფაზე შერჩენილი შეთხელებული ჭალარა თმის ნაშთი მოიქექა და მწუხარების გამზიარებელი კაცივით დანანებით წარმოთქვა: — ეჲ, შეხედეთ, ერთი შეხედეთ, ახმება, მაგრამ არ ცვივა.

— იქით გაიხედე, შე უკულმართო, თვალი არ ეცეს, — აჩეჩილი თმა შეისწორა გიორგიმ და მეგობრის მოტიტვლებულ თავზე შეაჩერა მზერა.

— რა მეთქმის, ნამეტანი გვალვიანი იყო ბოლო წლები და იმან შეიწირა. თმა კი არა, მგონი, ქვეყანაც კინალამ გადაყვა ამ წლებს.

— ასე ხვდებიან, ბიჭო, მონატრებული მეგობრები? მეტი არაფერი გაქვს სათქმელი?

— როგორ არა, როგორ არა, კაცო, სად გვეჩეარება. აქ დრო გაჩერებულია, დანარჩენი იქ, — წარმოთქვა მხიარულად და ოდა-სახლისაკენ გაიშვირა ხელი.

— სხვები სად არიან, ვახტანგ, სხვები?
— სხვები ორგანიზაციული საკითხებით არიან დაკავებულნი. ამ საოცრებით გარინდებულს რომ შეგასწარი, — მხარზე ხელი გადახვია გიორგის, — ცოტა არ იყოს, შემეშინდა. შენი პოეტური ბუნებისა და გულჩვილობის ამბავი რომ ვიცი, თავს არაფერი აუტეხოს-მეთქი, გავიფიქრე.

ვახტანგი ცოტა ხანს შეყოვნდა, დასერიოზულდა, ქვე-

მოთ ფეხქვეშ განოლილ, აციმციმებულ ქალაქს გადახედა და მყისიერდ გამხიარებულმა ამოიმდერა: – საკვირველია პირდაპირ, ლექსებს რომ არ წერ. სხვისას რომ ჩამოარაკრებ ხოლმე ნაკადულივით და ცრემლებს გვაღვრევინებ, იქნებ შენც გეცადა?

– ეჰ, ვახტანგ, ვახტანგ, სულ მიკვირს და ცოტა მშეურს კიდეც, ასეთი სერიოზული პროფესიისა და თანამდებობის პატრონი სულ მხიარული როგორ ხარ.

– სხვანაირად ვერ გაუძლებ. ჰო, ასეა, ვფიქრობ, ჩემს პროფესიას სჭირდება. – შეყოვნდა, ჩაფიქრდა ცოტა და წარბებაზიდულმა მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, – ტაქტიკაა ერთგვარი. ხომ იცი, რა ხალხთან მაქვს საქმე? ეს მხიარულება ზოგჯერ მოჩვენებითია, მაგრამ არ უნდა შეგამჩნონ. ისე, რაღაც ახირებულობასავით კი დამჩერდა, – ნაღველი გამოკრთა მის ხმაში და ფეხსაცმლის ჭვინტს ჩააცერდა, თითქოს პირველად უყურებდა. – ეს, იმათან, თუ არა შინაურებთან გულწრფელი ვარ. ასე ბნელეთის მოციქულებს ნდობით განვაწყობ ხოლმე ჩემ მიმართ. საქმეს სჭირდება. მართალია, ყოველთვის არ ამართლებს, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს.

– გულწრფელად მიკვირს, – შეესიტყვა გიორგი, – გასაკვირია პირდაპირ, ვერ წარმოვიდგენდი, ამ დონის ონბაზობა თუ შეგეძლო. – არა, არა, – ღიმილი გაუკრთა გიორგის, – შეცდომით აირჩიე პროფესია, შენ იურისტი კი არა, მსხიობი უნდა გამოსულიყავი. – მერე დააკონკრეტა, – ცირკის მსახიობი. როგორ მოგიხდებოდა ნითელი პომპონიანი ქუდი!

– შენ იცინე და მე მართლა ვფიქრობდი მაგ პროფესიაზე, მაგრამ კონან დოილმა დამღუპა. ჰო, ჰო, გადავყევი დეტექტივების კითხვას. – მერე ადრე ნათქვამს მიუბრუნდა, – წელან გითხარი, შემეტინდა-მეთქი, კი არ გეხუმრები, მართალს ვამბობ. აქ, ამ საოცრების შემხედვარე, ბევრი ტყვევდება, ლაპარაკის უნარს კარგავს, ზოგიც ექსტაზი ვარდება – იცი, რამდენი მინახავს აბლავლებული და მინაზე გაგორებული? ხომ ხედავ, ედემის ბალის ერთი პატარა კუთხეა, მარტო ადამი და ევა აკლია... – თქვა ისევ მხიარულად და ხელები გადაატკაცუნა, – მაგრამ დიდხანს ლოდინი არ მოგვიწევს, მისი მოდგმის წარმო-

მადგენლებიც მალე გამოჩნდებიან და მერე ნახე თავდავიწყება. გიორგი, ჰა, რას იტყვი, ამ ადგილის მპოვნელმა და შენობის ამგებმა უნდა თქვას, კომერციული ნიჭი მაქვსო.

პასუხის მოლოდინში თავზე ხელი რიტმულად აატყაპუნა, თითქოს თავის თავს უბრაზდებოდა, მე რატომ ვერ მოვიფიქრეო.

– შენ სად გეცალა მაგისთვის, – ჩანაფიქრს მიუხვდა გიორგი, – კრიმინალებთან ბრძოლაში დალლილს.

– კაი, გვეყოფა კეჭნაობა. ჰო, მართლა, ასე რატომ დაგავვიანდა? – დასერიოზულდა ვახტანგი.

– ფეხით მოვუყვებოდი, ძმაო, ფეხით, ჩემი ნება რომ იყოს, აქ მანქანით ამოსვლას ავკრძალავდი.

– რაო! უარს ეუბნები ცივილიზაციას?

– უარს არ ვეუბნები, მაგრამ ეს სიწმინდეები ხელშეუხებელი კუნძულივით, ნაკრძალივით უნდა შევინარჩუნოთ.

– ეს რაღა ხელშეუხებელია, ისე კი ზემოთ... – თვალი გაადევნა ცას მიბჯენილ მომდევნო მთის წვერს, – არის ასეთი ადგილი, ბერები არიან დავანებულნი. პროტესტს უცხადებენ ცივილიზაციას და ყველაფერს ხელით აკეთებენ, მამაპაპური ხელსაწყოებით, ჰო, ნაჯახი და მისნაირები. ამ ლამაზ კოპწია სახლს, რომ უყურებ, ულურსმნოდაა აგებული. ამბობენ, ლაზები ჩამოიყანესო. ეგენი ხომ ხის ცნობილი ოსტატები არიან. ასლია იმერული ოდა-სახლის, არ ვიცი, ძველი დაშალეს და მერე აქ ააწყვეს, თუ ყველაფერი ხელახლა გააკეთეს. ხის მასალას საოცარი სურნელი აქვს, ჯანმრთელია და, როგორც დღეს ამბობენ, ეკოლოგიურად სუფთაც. რაც შეეხება იმ წმინდა ადგილს, სხვა დროს წავიდეთ, თუ სურვილი გექნება, და რამდენიმე დღით დავრჩეთ. მე ორი კვირა ვიყავი.

– მერე გეშველა რამე?

– არ არის ეს სახუმარო თემა, – დასერიოზულდა ვახტანგი. იქ მოღვაწენი, თითქოს უხორცონი არიან, წყდები ამქვეყნიურს და მსუბუქდები. სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემითაა გაჯერებული ყველაფერი. სასიცოცხლო მოთხოვნილებად მექუა იქ რამდენიმე დღით განმარტოება. – გაოცება რომ შეატყო

გიორგის, ბეჭებზე მოუთათუნა ხელი, პატარა უბიძგა და მხიარულად შეუძახა, – წავიდეთ, წავიდეთ, იქ უკვე ყველაფერი მზად იქნება.

* * *

მეგობრები მასლაათით გაუყვნენ თეთრად მოკირწყლულ ბილიკს, საამურად უბერავდა მაცოცხლებელი სიო. თავდახრილი ვარდები წელში მოღუნული მომსახურე იმერელი ბიჭივით კიდევ უფრო მოღუნულიყვნენ, მიწამდე დაეხარათ თავები და მოკრძალებით ეპატიუებოდნენ სტუმრებს – ანტრე, ბატონო! ანტრე, ბატონო!

კოპწია სახლი მზად იყო სტუმრების მისაღებად. რამდენიმე ხის საფეხური მსუბუქად აიარეს და თანამეინახებს შეუერთდნენ. გადაეხვივნენ ერთმანეთს, ბეჭებზე ხელის ტყაპუნით მოიკითხეს ოჯახები, შვილები, დაინტერესდნენ საქმიანობით და მაგიდას მიუსხდნენ. ისევ ის ბიჭები – ვახტანგი, ცოტნე, თემური, გურამი და გიორგი.

– ღვთის წყალობით, – წამოიწყო ახოვანმა, მხრებში გაშლილმა, ჯერ კიდევ საკმაოდ მოხდენილმა და თმაშევერცხლილმა გურამმა. ის ბავშვობიდან სპორტით იყო დაკავებული და ახლაც შეძლებისდაგვარად აგრძელებდა სპორტულ ცხოვრებას. – ტრადიციას ჯერ კიდევ ვაგრძელებთ. წელიწადში ერთხელ შეხვედრით მონატრების სურვილსაც ვიკლავთ და ქართული სუფრის ეშნით და ლაზათით მომაბეზრებელ ერთფეროვან ყოველდღიურობას ვივიწყებთ, ვხალისდებით. ადრე უფრო ხშირად ვხვდებოდით. მოვუხშიროთ ამ შეხვედრებს, თორემ ხომ ხედავთ, ჩვენი ცხოვრების ფურცლები თანდათან ყვითლდება და ჭკნება, ხან ერთი წყდება და ხან მეორე. აა, თამაზი უკვე აღარ გვყავს, – ნაღვლიანად დასძინა ბოლოს. – მოდი, სანამ საქმეს შევუდგებით, მის სულს პატივი ვცეთ და შესანდობარი ვთქვათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. – ყველანი ფეხზე წამოდგნენ და შესანდობარი შესვეს.

– თემურ! რა თქმა უნდა, შენი ღვინოა, – ტუჩები მოიწმინდა გურამმა და ლავაშს მისწვდა.

თემური კახეთიდან იყო, მწვადისა და ლვინის კუთხიდან. ყოფილი მოცურავე დარბაისლურად შევსებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ცხოვრობდა და სოლიდური თანამდებობაც ეკავა, მამაპაპისეულ ზვრებს დიდ ყურადღებას აქცევდა და ლვინოც საუცხოო გამოსდიოდა.

— რა თქმა უნდა, ჯო, რა თქმა უნდა, — მოუქცია კახურად სახეზე ღიმგამკრთალმა, — ასე იქნება, სანამ ჯანი და ღონე გამყენება და მერე რაც იქნება, ის მერემ თქვას. — ორაზროვნება არ დააკლო ნათქვამს თემურმა.

— ხალხო! რამდენადაც ჯერ კიდევ ლვთის წყალობით ქართული წეს-ჩვეულებების დამცველები და მიმდევრები ვართ, სუფრას თამადა სჭირდება. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ვართ, წესი წესია. არც ერთ ხალხის კულტურაში თამადობის ინსტიტუტი არ არსებობს, ჩვენ გვაქვს მხოლოდ და ამას გაფრთხილება უნდა. კი დაგვძრახიან ზოგიერთი წარბებ და წამნამებ გადახატული, თმა-კიკინა გაევროპელებული თანამე-მამულები, — მოძველებული ტრადიციააო, მაგრამ ლვინის სმის ჩვენებური კულტურა, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს ზოგიერთებისთვის, ევროპელებსაც მოსწონთ. მოკლედ, თამადად ვახტანგი ავირჩიოთ. — დაამთავრა სათქმელი ცოტნებ და ლვინით სავსე ჭიქას მისწვდა. ვახტანგსაც დიდი თავპატიუი არ გამოუდვია და ჩვეულებისამებრ ტრადიციულ სადლეგრძელოებს გაჰყვა. აქეთ ვახტანგი ენამზეობდა, იქით ლვინო იღვნოდა დინჯად — ჯერ გონებას მისწვდა, მერე სისხლს აედევნა და როცა ყველა დასაპყრობი ადგილი უბრძოლველად დაიპყრო, თავს დროებით მოდუნების უფლება მისცა. სასიამოვნოდ დათბა მთელ სხეულში. მეგობრები სიტყვაკაზმულობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ლექსიც თქვეს, სიმღერის გარეშე ქართული სუფრა რა არის, ჰოდა, არც სიმღერა დაუკლიათ. მერე გიორგი ფეხზე წამოდგა, სხვებსაც ადგომისკენ მოუწოდა, მხრებში გაიმართა, ხელები გაშალა, ლვინისაგან გახალისებულს გული გამალებით უცემდა, მიწვდა ალიცლიცებულ ჭიქას, გრძნობამორეულმა სიყვარულით შეავლო თვალი სუფრის წევრებს და გულში ჩამწვდომი ხმით, ისე, ურუანტელს რომ მოგგვრის, წამოიწყო:

– გაიხედეთ ქვემოთ, ხალხო, შეხედეთ და დატკბით, რა სილამაზეა, როგორ ციმციმებს ქალაქი, თითქოს შორეული გალაქტიკიდან სტუმრად მოსული ხომალდი იყოს. – ისე დაიწყო, გეგონებოდა, დილამდე არ გაჩერდებაო, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად უცებ დადუმდა, თითქოს ენა დაება. ხან ცას ახედა, ხან ფეხქვეშ განრთხმულ ქალაქს გადახედა, რაღაც აწვალებდა, გორგალივით გაჩეროდა ყელში და ველარ იღებდა ხმას. ბოლოს ის რაღაც თვალებს მისწვდა, მოსწყდა და ღაწვებზე ჩამოსრიალდა, ქვედა ბაგესა და ნიკაპს შუა ღრმულში შეერთდნენ წამიერად, მერე იქიდანაც გასრიალდნენ და სიყვარულით დაუნამეს გიორგის აალებული გული. დამუნჯებულს შორეთიდან ნიკო ლორთქიფანიძე წამოეშველა, თითქოს ბეჭებზეც ხელი მოუთათუნა და უჩურჩულა: მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები თალხით შემოსილ ჭირისუფალივით რომ დასცექრიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ: „მოუარეთ საქართველოს!..“ – ჩურჩული არა და არ თავდებოდა. – ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამეღობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს: „მოუარეთ საქართველოს!“ ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას: ინყებს მკვირცხლი რიონი, შემოსძახებს გიშმაჟი თერგი და ბანს ეტყვის დინჯი მტკვარი: „მოუარეთ საქართველოს!“ – ნუთუ, ბატონო ჩემო, არ გაგიგონია გუშინწინ, რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, გაუთავებელი გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: „მოუარეთ საქართველოს!.. მოუარეთ საქართველოს... მოუარეთ საქართველოს“... – „ცეცხლებშემწუელი“ სიტყვების ექო თეთრი ნისლივით მოეფინა ახლო მდებარე მთა-გორაკებს. გურამა, ამ მთასავით კაცმა, ბავშვივით მოიწმინდა ცრემლი და ამოილულულა: რა ეშველება ჩემს ქვეყანას?!

– ხომ ვამბობდი, აგვატირებს-მეთქი, – ღიმილის მორგებას ცდილობდა ვახტანგი. ყველანი გარინდებულიყვნენ, მხოლოდ ინახად მჯდომი ბახუსი ხითხითებდა ეშმაკურად სუფრის ბოლოს.

– მერე რომ არ ვიცით, როგორ მოვუაროთ? გზააპნეულ ფარას ვგავართ. ხან საით მივაწყდებით და ხან საით. ხან დასავლე-

თისკენ და ხან ჩრდილოეთისკენ. ტყუილად არავინ არაფერს იძლევა, ყველა სათავისო საქმეს აკეთებს, ხმა ვერ ამოგვილია, არიქა, იმას არ ეწყინოს, არიქა, ამას არ ეწყინოს. დემოკრატიას დაგვინუნებენ, ხმის ამოღება ადამიანის უფლებების დარღვევაში ჩაგვეთვლება, შეწყდება ინვესტიციები, დავიმშევით და სხვა ათა-სი კოჭლი მიზეზი. შე, დალოცვილო, საკუთარი პროდუქცია ვერ შეგიქმნია. ელემენტარულ პირველადი მოხმარების საგნებსაც ვერ აწარმოებ – ვერც ასანთს, ვერც საპონს. ინდუსტრიალიზაციის გარეშე ქვეყანას მომავალი არ აქვს, ის თავისთავად მოითხოვს მონინავე ტექნოლოგიების დანერგვას, რასაც შესაბამისი კადრები დასჭირდება და ახალგაზრდებსაც გაუჩნდებათ ამ ტექნოლოგიების შექმნის ინტერესი. ინდუსტრიალიზაცია დასაქმების ყველაზე მთავარი წყაროა. აგრე, ბატონო, ჩინეთის მაგალითი. მარტო ტურიზმით ქვეყანა ვერ განვითარდება. ტურიზმის იმედად შეუძლებელია ბიუჯეტის დაგეგმვა, იმდენი ტურისტი შედის ესპანეთში, იტალიასა და საბერძნეთში, რომ ჩვენ არც დაგვესიზმრება, მაგრამ მაინც ვალებში იხრჩობიან. პატარა დაძაბულობის შექმნა ჩვენს რეგიონში, ან სტიქიური უბედურება, ეპიდემია, – ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, და მოგჭამა ჭირი ვირტუალურმა შემოსავალმა. დაუსაქმებელია შენი სისხლი და ხორცი. უკანმოუხედავად გარბიან ქვეყნიდან და სხვის ისტორიას ჭედავენ. მოკოსმოპოლიტო მთავრობამ ხელი დაიბანა, – დასაქმება და წარმოებების გახსნა ჩემს ფუნქციებში არ შედის, ეგ კერძო ბიზნესის საქმეაო. კერძო ბიზნესის მკეთებელს კი მოთმინება და პროფესიონალიზმი აკლია – ერთ წელინადში უნდა გახდეს მილიონერი, თან ფულიც არა აქვს. საკრედიტო დაწესებულებები კი ტყავს აძრობენ. და აი, ასე, გონიერი მტრისა თუ ბრიყვი მოკეთის დირექტივებით იწრიტება და იშრიტება ქართული გენოფონდი და გარბიან. შეხედულები, ლამაზები, ნიჭიერები და მოხდენილები. უუნაროები არავის სჭირდება, ძირითადად – ახალგაზრდები, მოდგმის გამგრძელებელნი. დანარჩენები კი, იმის მაგივრად, დღე-ლამეს ასწორებდნენ გამოსავლის გზის ძებნაში, თუ როგორ უშველოს ქვეყანას, ჩამოეკიდნენ ათასგვარ საეჭვო უცხოურ ორგანიზაციებს

და უშრომელი შემოსავლის მიღების მიზნით, უკანასკნელი სიტყვებით ლანძლავენ წინაპართა სისხლით მორწყულ თავიანთ გამზრდელ ქვეყანას. სხვას კი არ უნდა ამართვინო შენი ქვეყანა, შენ უნდა მართო, თუ საბოლოოდ არ გაცვედნებულხარ. უნდა დაანახო სხვებს, რომ დამოუკიდებლადაც შეგიძლია განვითარდე. განავითარო შენი ეკონომიკა, გაძლიერდე სამხედრო თვალსაზისრით, რომელიც საწინდარია მშვიდობისა, განვითარებისა და რომელსაც ანგარიშს უწევს ყველა. აგერ ისრაელის მაგალითი. ჩრდილოეთ კორეის მაგალითიც ავიღოთ, არ აიძულა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყანა ამ პატარა ქვეყანასთან მოლაპარაკების მაგიდასთან მიმჯდარიყო?... ჩვენ კი რას ვაკეთებთ, მივტირით წარსულს, აწმყო არ მოგვწონს, არც მომავლის დიდი იმედი გვაქვს. ასეთი განწყობით როგორ მოვუაროთ საქართველოს. ეს ჩემი მოსაზრებებია, სხვა მზარეცეპტი, მე არ მაქვს, თუ როგორ გადაარჩება ქვეყანა, მაგრამ თუ საშველი არ გამოჩენდა, ამ ლამაზ მთა-გორებს, ნაყოფიერ ველ-მინდვრებს, სხვებიც უმღერებენ, სათავისოდ გამოიყენებენ და დამკვიდრდებიან. ხომ ხედავთ, როგორ აჭრელდა ქალაქი?! – ჩაამთავრა დინჯად ცოტნებ და შეუსმელი სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

მდუმარებამ მოიცვა სუფრა. რომელსაც დარბაზიდან გამოფრენილი სულის ამაფორიაქებელი ჰანგები ენანანავებოდა, ყველა თავის საფიქრალს წაეღო... „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“... ქართული სიმღერის მომაჯადაობებელმა ტკბილხმოვანებამ ტანში ურუანტელივით დაუარა სუფრის წევრებს, ეს აკლდა კიდევ ჩვენს განწყობას? გაიფიქრა ცოტნებ, ვახტანგი გალაკტიონს მისწვდა – „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“... და არც რუსთველი დავიწყნია: „რა ესმოდა მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“ – უკეთესად შემფასებელი ჯერ არ დაპატებულა. მხოლოდ ერთს დავამატებ ჩემი მხრიდან, ვერც ცეკვავენ.

გარინდებიდან სუფრის წევრები ალესილი ნაჯახივით მჭრელმა ხმამ გამოიყვანა, თითქოს წყალი გადაასხესო, ერთბაშად გამოფხიზლდნენ.

– რას დასტირით, დაბლავით სუფრას. თქვე უსაქმურებო! ტირილითა და ვაი-ვიშით გაკეთებული საქმე ვის უნახავს?! – ტყვიამფრქვევივით ისროდა სიტყვებს ვიღაც მოკვანჭალე კაცი და სუფრას უახლოვდებოდა. – დამსხდარხართ, ქეიფობთ, გადაჰყურებთ ქალაქს და ტკბებით. რა გექეიფებათ, თქვე უდღეურებო, ქვეყანა თავზე გექცევათ, თქვენ კი ლაქლაქებთ. ბავშვი ბავშვს აღარ ჰგავს და დიდი – დიდს, ნარკომანია და სხვა ენით გამოუთქმელი სიბილნები მუმლივით შესევიან ქართველთა მოდგმას. ღვინის სამშობლოში ჰაშიშით და სხვა გამაბრუებელი მომაკვდინებელი ნივთიერებებით იღუპება საქართველოს მომავალი. თქვენ კი ქეიფობთ. ვაი, დედასა, სად ჰყავს ამ ქვეყანას პატრონი! სტალინი გინდათ, სტალინი!

თანამეინახენი აიძაგრნენ. მხოლოდ ვახტანგი იღიმებოდა, კი არ იღიმებოდა, იცინოდა და ცოტა უკლდა ახარხარებას.

– ვინაა, ბიჭო, ეს გადარეული? – მიუბრუნდა აღელვებული გიორგი ვახტანგს.

– მოიცა, მოიცა, სანამ არ ჩამოფქვავს, არ მოისვენებს. აქვე გაგიფენს თავის მარგალიტებს. არ იცნობ, კაცო? ელეფთერია. მაგას თითქმის მთელი ქალაქი იცნობს, განსაკუთრებით მძლოლები, რესტორნები. გამაგიუებს, რა ყნოსვა აქვს, როგორ მომაგნო.

– მაინც ვინაა, კაცო, უკანასკნელი სიტყვებით რომ გვთათხავს.

– ჩემი შორეული ნათესავია. წარსულით გაუბედურებული კაცი. ახლა კი ხედავ, რა დარჩა მისგან.

ელეფთერი კი თავის სტიქიაში იყო:

– მიიწ-მოიწიეთ, რომ გაშხლართულხართ! ასე უნდა სტუმრის მიღება და პატივისცემა? ესაა ზრდილობა და რაინდობა? – ქაქანებდა და თან სუფრის წევრებს ათვალიერებდა. მერე მოულოდნელად გადაიხარხარა და ვახტანგს მიმართა: – შე სულელო და ჩერჩეტო, შენც აქა ხარ?

– ვითომ არ იცოდი. ეჲ, ელეფთერ, ელეფთერ.

სუფრის წევრებმა ვახტანგს გადახედეს და მიიწ-მოიწიეს. ელეფთერი სუფრის თავში მოკალათდა.

– ცოტა კიდევ მიაჩოჩე სკამი, ძამია, ვერ ხედავ, ფეხს რომ ვერ ვხრი?

გიორგიმ ჩაიჩოჩა.

– სხვანაირად ვერ დავჯდებოდი, არ იღუნება ეს ოხერი ფეხი.

ელეფთერი ისევ ვახტანგს მიუბრუნდა შეწუხებული სახით:

– ბიჭო, მაინც რა ჩამარტყეს ამ ჩერჩეტ თავში, შენ გეცოდინება. ისე კი მისმა მარჯვენამ გაიხარა, ვყოფილიყავი ჭკვიანად, ახლა ასე ხომ არ ვიქწებოდი...

დაუპატიჟებელი სტუმრის ნამიერი სინანული და მწუხარება ისევ მოურიდებელმა, თავხედურმა კილომ შეცვალა.

– ხო, გეკითხებით, რას ბლავით? ქვეყანას შველა უნდა, თქვენ კი მაღალფარდოვანი სიტყვებით კიკინებთ – ასე არ ვარგა, ისე არ ვარგა, რა გვეშველება. გაანძრიეთ ხელი და ეგ გაყინული ტვინი. მამა გიცხონდათ, მსოფლიოს თქვენ მეტი საფიქრალი არ ჰქონდეს და თქვენი გულისთვის ომს ატეხავენ. გეტყობათ, ჩემზე მეტი განათლებულები ბრძანდებით და არ გაგიგონიათ? „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო“. გამოძვერით ნაჭუჭებიდან, მარტო საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა რომ განალვლებთ. გამოსავალი ყველა მდგომარეობიდან არის, ოლონდ ამას ჭკუა და გონიერება სჭირდება. სიტუაცია შენს სასარგებლოდ უნდა შეაბრუნო. როგორო – იკითხავთ. ისე, აბა რა ჯანდაბად გინდათ ეგ ჭკუა და განათლება, თქვე დიპლომიანო ჩერჩეტებო!

– ვინაა, ბიჭო, ეს გადარეული? მოაშორეთ აქედან, ცოდვა არ ჩამადენინოს! – ნამოვარდა ფეხზე გურამი.

– დამშვიდდი, გურამ, დამშვიდდი. ნათქვამია, ზოგჯერ სულელისაგან უფრო მეტ სიბრძნეს შეიძენ, ვიდრე ჭკვიანისაგანო. ვაცადოთ, ჩამოათავებს და წავა. – გამოესარჩლა თემური.

– ჰო, ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება. – ჩაუმატა ვახტანგმა.

– ისიც ნათქვამია, ვირისაგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო, – დააყოლა ლიმილით თემურმა. – ვაცადოთ, ვნახოთ, კიდევ რა განძის პატრონია.

ანდაზის შინაარსს ელეფთერი არ ჩაღრმავებია, ან იქნებ წაუყრუა, და თემურს მიმართა: – გეტყობა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, როგორ შეიძლება მოსაუბრეს სიტყვა შეაწყვეტინო. – გურამს კი უთხრა, უკულტურობის ნიშანია ეგ, ყმაწვილო.

გურამს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, თანამეინახენი კი დუმდნენ და გაოცებით უყუყრებდნენ ელეფთერს. მანაც ხელი ჩაიქნია და ჩამოესვენა სკამზე.

– მადროვეთ, მე თქვენთვის ვშრომობ, თორემ ეს მე დიდი ხანია ვიცი, აქა მაქვს ჩაჭედილი, სამარეში ხომ არ წავიღებ? – და თავზე მოისვა ხელი. მერე წითური თავი მოიქექა და რიხიანად განაგრძო: – თქვენ მე მოცლილი ხომ არ გგონივართ. ვერ ხედავთ, რამდენი ხალხია? იმათთანაც მისასვლელი ვარ, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, ყველა მდგომარეობიდან შეიძლება სარგებლის მიღება. ასე მასნავლიდნენ მე. აქაო და ქართველები ვართო, ტრაპახობთ. ჭკვიანები ვართო, სადაა მერე თქვენი ჭკუა, ვის უნახავთ? – იყითხა გამომწვევად და პატარა პაუზის შემდეგ თავადვე უპასუხა: – ჭიებს? როგორ ახერხებდნენ ამას ქართველთყლაპიებით გარემოცული ჩვენი წინაპრები.

მერე დანანებით გადააქნია თავი: – ეჲ, რა წინაპრები გვყავდა! თქვენსავით კი არ წუნუნებდნენ. თუ დაეცემოდნენ, ისევ ახალი შემართებით წამოდგებოდნენ. წუთისოფელი დაცემა-აღდგომის მუდმივი პროცესია, – დასძინა ბრძულად. – რაში იყო იცით საქმე, თქვე ჩერეჩეტებო? ახლავე მოგახსენებთ.

როგორც ჩანს, მუხლმა შეაწუხა ნამეტნავად. ხელი ფეხზე მოისვა, სკამი ააჭრაჭუნა, გაშეშებული ფეხი ზარბაზნის ლულასავით დარბაზისაკენ მიმართა და მოხერხებულად მოეწყო. თავდახრილმა ბრაზიანად დაიკრა მუხლზე ხელი და დანანებით ამოიხრა: – ეჲ, რა ბიჭი ვიყავი.

მალევე გამოერკვა, თავი ასწია და ისევ შემართებით შესძახა: – რა დროს პირადულია, თუ გინდა ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს, დაივიწყე პირადული და გადაეგე ქვეყანას. ბიჭო, – მიუბრუნდა ვახტანგს, – შენ ნაკითხი კაცი ხარ, გეცოდინება, რა ერქვა ამერიკის იმ პრეზიდენტს, რომელმაც თქვა: იმაზე

ნუკი იფიქრებ, რას გამიკეთებს ჩემი ქვეყანა, არამედ იმაზე – მე რას გავუკეთებ ჩემს ქვეყანასო. დაახლოებით ასეა.

მერე ხელი ჩაიქნია: – ჭვიანი კაცის ნათქვამია, სახელს რა მნიშვნელობა აქვს. არც მე მაქვს მაგაზე ნაკლები ნათქვამი, მაგრამ იმას ვინ ჩაიწერდა, – და ისევ მოლოდნელად გადაიხარხარა. – მართალი არ ვარ, ჩემო ჩერჩეტო და სულელო ადვოკატო?

– არა ვარ მე, ბიჭო, ადვოკატი.

ელეფთერმა ხელი ჩაიქნია. – იურისტი ხომ ხარ! რა მნიშვნელობა აქვს, ყველანი ერთნაირები მექრთამეები ხართ. ხო, მთავარი არ დამავიწყდეს. არ ვიცი, რით დავიწყო, იმდენი სატკივარია. ხო, ასეთ ლექციებში ლექტორები დიდ ფულს იღებენ, მაგრამ მე უფასოდ გემსახურებით, თქვენ კი იშმუშნებით. დამიჯერეთ, გამოგადგებათ! – თქვა დარწმუნებით. – რას ვამბობდი? ღმერთო, გამახსენე. მაინც რა ჯანდაბა ჩამარტყეს ნეტავ ამ თავში. ხო, ისევ პირადული. ეს გვლუპავს ქართველებს. იმდენი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ სადაა ამდენი დრო. წინაპრებზე ვამბობდი და... – უცებ ფეხზე ისე უხერხულად წამოვარდა, კინაღამ მაგიდა გადააყირავა.

– როცა წინაპრებზე ვსაუბრობთ, – დაიწყო დინჯად და მოკრძალებით, – მათ ხსოვნას ფეხზე უნდა წამოვუდგეთ. მათ სხვა სული ჰქონდათ, თავგანწირვის დიდი უნარი და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ახლა აქვთ აბა სიყვარული? – განაგრძო დანანებით. – კისრისტებით, უკანმოუხედავად გარბიან ქვეყნიდან, სადაც კვამლი მაღალი, მეც იმისი მაყარიო. რომ გარბიხარ, სად გარბიხარ? ვის უტოვებ მამა-პაპათა ძვლებს, რომლებიც მიწიდან შემოგცერიან. რა დაგეკარგა იქ, უცხო მიწაზე, სადაც არავის უნდიხარ და ზიზღით შემოგცერიან. სადაც შენი არაფერია – არც მიწა, არც წყალი, სადაც წინაპრის სულიც ვერ სწვდება. ლუკმა როგორ გადაგდის ყელში. როგორ გძინავს მშვიდად. ვის უტოვებ მიწას, რომელსაც წაწვიმარზე მამა-პაპათა სისხლის ოხშივარი ასდის. მიწა, რომელიც შენი ხორცით და ძვლებით უნდა განოყიერდეს და საზრდო მისცეს შენს შთამომავლობას. ყველამ რომ დატოვოს, ხომ გაბერნდება

მინა, სარეველა და ჯაგი მოედება. იქ შენ სულის სიმშვიდეს ვერასოდეს მოიპოვებ. და რა სიმდიდრეც უნდა მოიხვეჭო, ბედნიერი ვერასოდეს გახდები. უძილობა, დარდი და ნაღველი მოგიღებს ბოლოს. ვერც ღრმა სიბერეს მიაწევ, ვერც შენი მონახვეჭით დატკბები.

ელეფთერი ცოტა ხანს დაყოვნდა, თითქოს შეისვენა, მერე ღრმად ამოიოხრა და ისევ სუფრის წევრებს მიუბრუნდა:

— ის სულგანათლებულები თქვენსავით საკუთარ ოჯახში არ იკეტებოდნენ და არ წუწუნებდნენ, მუდამ შემართულნი იყვნენ. ზოგ ქვეყანას გადასაშენებლად მარტო თემურ-ლენგი ეყოფოდა, ჩვენ კი რვაჯერ მოვიგერიეთ და მის გარდა კიდევ სხვა რამდენი გვჯიჯვნიდა. თქვენ კიდევ წუწუნებთ, ვეღარ ვუმკლავდებით ფულით შემოსულ მტრებსო. ფულმა გაათახსირა და გარყვნა ქვეყანაო. ფული რაც არის, მე რომ ვიცი, ისე არც ერთმა თქვენგანმა არ იცის. ფულმა მიმიყვანა მე ამ მდგომარეობამდე. მერე წუწუნით, ქეიფით უშველით თავსა და ქვეყანას? ის ფული ასე უხვად რომ შემოდის, საკუთარი ჯიბების დასასქელებლად და გასასკდომად კი არ უნდა მოიხმარო, არამედ ქვეყნის სასიკეთოდ. ვერც ერთი ფარული თუ აშკარა მტერი ვერ მოგჭამს ფეხებს, თუ იმ ფულს ერის გამრავლებისათვის გამოიყენებ. ერის უკვდავება ხომ მის სიმრავლეშია. რავა, ტყუილია თუ, რაც შეგიძლიათ, ის მაინც გააკეთეთ. ბოვშები მაინც გააკეთეთ, თქვე შობელძალლებო. აქ მაინც ვინ გიშლით ხელს. სხვისაში რომ თესავთ, საკუთარში დათესეთ. თუმცა, ანი თქვენ რისი დამთესავები ხართ, — პირზე ხელი მიიფარა და ჩაიქირქილა. — მრავალშვილიანებს მაინც დაეხმარეთ, რომლებიც დვრიტაა საქართველოს უკვდავებისა. ვერანაირი უკეთური ქართველთმოძულე ვერაფერს გვავნებს, თუ ერი გამრავლდება. წუწუნებთ, აქაო და, საშუალება არ გვაქვსო. თქვენს წინაპრებს რა ჰქონდათ, გიფიქრიათ ამაზე? ცხრა შვილი ძონძებგადაკრულ თივაში ეწვინა სოხანეზე ერთი გადასაფარებლის ქვეშ და როგორ მამულიშვილებს ზრდიდნენ? სამშობლოს სიყვარულით გულანთებულებს, რომლებსაც თვალის დაუხამხამებლად შეეძლოთ სამშობლოსათვის ყველაზე

ძვირფასის, სიცოცხლის განირვა. ისინი ნაკლებ გაჭირვებაში იყვნენ? აქეთ მეფე, იქით ბატონი, რჩენა ხომ უნდოდათ მათ და თან გაუთავებელი ომები. არაფრის ეშინოდათ, იმიტომ, რომ ღმერთი უყვარდათ. მისი მფარველობის ქვეშ იყვნენ და კარგად იცოდნენ, რომ ადამიანის ცხოვრება მარტო ამ წუთისოფლით არ შემოიფარგლება. საუკუნო ცხოვრებისთვის დათმენაც შეეძლოთ და კიდევ ყველაზე მთავარი ღირსება მათვის ის იყო, რომ ფულზე არ იყიდებოდნენ. თქვენსავით რომ მოქცეულიყვნენ, ერთი გოჯა მიწა არ იქნებოდა ქართული და რა ენაზე ისაუბრებდით, ღმერთმა უწყის. ახლა კი ყიდით ყველაზერს, დღევანდელ დღეზე მოზრუნებს ფუფუნებაში გინდათ აცხოვროთ შვილები. გაანაზეთ, გაანაზეთ, აქნევინეთ უკანალი, რომელიც სანინდარი გახდა თანამდებობრივი წარმატებისა და სამარცხვინო კეთილდღეობის.

ელეფთერი ისევ შეყოვნდა, წამიერად ვახტანგს შეავლო მზერა და სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი:

— გამასინჯეთ, ბიჭო, რა ღვინოს სვამთ, ეგ არის სტუმრის პატივისცემა? ერთი ჭიქა ღვინო არ გემეტებათ?

ელეფთერს ღვინო მიაწოდეს, ცოტაოდენი მოსვა, მერე ხასიათგამოცვლილმა ნაღვლიანად წარმოთქვა: ჩემზე უბედური კაცი ქვეყანაზე არ დადის. ვლოცულობთ – პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღესო, მე კი ყოველი ლუკმა შხამად მერგება და შაგრენის ტყავივით ყოველ წამს მოკლდება ჩემი დღეები. ადამიანთა მოდგმა, ყოველი ცოცხალი არსება, საზრდოთი სიცოცხლეს იხანგრძლივებს, მე კი სიცოცხლეს ვიმოკლებ. სიცოცხლით ნეტარებენ, მე კი ტანჯვად მექცა. მეტის ღირსი ვარ. ადრე თუ გვიან თავის ცოდვებზე ყველა აგებს პასუხს.

მერე მოულოდნელად ისე გადაიხარხარა, ტანში ურუანტელი დაგივლიდა: – რას ვჩერჩეტობ, კაცო, რას ვბოდიალობ, შერლოკ ჰოლმსო, – მიუბრუნდა ვახტანგს! მაინც რა ჩამარტყეს თავში, შე სულელო და ჩერჩეტო, შენ გეცოდინება.

ღვინით სავსე ჭიქა ხელში უკანკალებდა და მაგიდაზე ეწვეთებოდა. გახედა სუფრის წევრებს არაამქეყნიური თვალებით და ისევ თავის კანში შეძვრა.

– თქვე მცონარებო და ბოთეებო, გადაეცით თქვენს შვილებს, დროს ნუ კარგავენ, დროზე დაცოლშვილდნენ და გამრავლდნენ, თუ არა, გაქრება თქვენი სახსენებელი. ერთი რამ გახსოვდეთ, ოჯახის მართვაში ნურავის ჩარევთ, ოჯახი წმინდა, სუფთა და საკრალურია. ოჯახის სიძლიერე ქვეყნის სიძლიერის საწინდარია. დღეს გეყოფათ, სხვა დროსაც შეგხვდებით. წავედი ახლა მე, უამრავი საქმე მაქვს და თქვენც ისეთი თვალებით მიყურებთ, თუ კიდევ გავაგრძელე, კინწისკვრით გამაგდებთ აქედან. ვერ ხედავთ, როგორი გაცეცხლებული მიყურებს ეს აყუდებული? – და თავისი ზღვასავით უძირო თვალები გურამს შეანათა. – წასვლისას ერთს გეტყვით კიდევ – გახსოვდეთ, მდინარის გადალახვისას ფონი უნდა შეარჩიო, თორემ გაგიყოლებს... ასი წელი იცოცხლეთ. – მერე შეჰყვირა, – დისო, დისო, ავოი! წავედი ახლა მე, უამრავი ხალხი მელოდება, – სკამი ბრაზუნით შეაცურა მაგიდის ქვეშ და კოჭლობით მიაშურა დარბაზს.

– ეს რა გვიქნა, კაცო, არ დაგვამხო თავზე ყველაფერი?! ისე, ჩემს წააზრევთან ახლოს იყო, ხომ არ გვისმენდა ნეტავ? – წამოიწყო ცოტნემ.

– შენ, ბატონო, გადარჩინის მზა რეცეპტი არ მაქვსო. ამას კიდევ აქვს, – უპასუხა გიორგიმ.

- რა რეცეპტი?
- რა და გამრავლდითო, – გაიღიმა გიორგიმ.
- თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ხალისი ალარ მაქვს აქ ჯდომის,
- ჩაერთო საუბარში გურამი.
- რაღაც-რაღაცებს ურევდა, მოციმციმე არითმიასავით, მაგრამ გნუსხავდა და გაიძულებდა, გესმინა, – თქვა ისევ გიორგიმ.
- თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის დიდოსტატია და დიდი დამბოლებელი. – გააგრძელა ვახტანგმა. – საინტერესო პიროვნებაა, განსწავლულიც არის და წიგნიერიც. ისე კი, უზნეო კაცის წიგნიერება და განსწავლულობა საზოგადოებას დიდ თავის ტკივილად ექცევა ხოლმე.
- არა, კაცო, არა, – ვერ ისევებდა გიორგი, – რა თვალები აქვს. ეგეთი სუფთა, კრიალა, სხივიანი და მომნუსხველი თვალები

მე არ მინახავს. ნებელობის წამრთმევი ძალა აქვს. გრძნობ, რაღაც ისე არ არის მაგრამ რომ მოგანათებს თავის ზღვისფერ უძირო თვალებს, ფარ-ხმალს ყრი და ეჭვი გიქარწყლდება.

— ეჰ, შენ არ იცი, რამდენი დაუღუპავს მაგ თვალებს, ჩემო გიორგი, — ისევ აპყვა საუბარში ვახტანგი.

— გვეყოფა, სადაცაა გათენდება, თქვა ცოტნემ და ფეხზე წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენენ.

— ვახტანგ, თუ არ გეჩქარება და არ გეზარება, ფეხით გაუყვეთ გზას, თან მაგ კაცის შესახებ მიამბე, თავიდან ვერ ამომიგდია. ხან ბრძენენაცივით საუპრობს, ხან ჭუანაკლულივით.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ, რამდენი ხანია, ცისკარს არ შევგებებივარ. რიურაჟზე ბნელს რომ ნათელი შეეჭიდება და გაცრიცავს, არაამქვეყნიურ გალობას იწყებენ ჩიტები. ეს ჯადოსწური მელოდია ყველაფერს გავიწყებს და უსაშველოდ გინდება სიცოცხლე. საცოდავია ის კაცი, ვინც ერთხელ მაინც არ შესწრებია ბუნების ამ საოცრებას. აბა, წავედით.

* * *

ღამის ბინდი საბოლოოდ გაჰყუროდა მთის ფერდობებზე შეფენილ სოფელს და ტყისკენ გაძურწულიყო. მთიდან ამოწვერილი მზის სხივები მოპირდაპირე მთის წვერს მიბჯენდა, ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა და სოფელს ნათელში ხვევდა. გაღვიძებული სოფელი იშმუშებოდა და ჩვეულ საქმიანობას შესდგომოდა. ისმოდა გლეხების გადაძახილ-გადმოძახილი, ქათმების კრიახი, ერთმანეთს გაჯიბრებული მამლების ყივილი, ინდაურების ლოყლოყი, გოჭების ჭყვიტინი და საქონლის ბლავილი. ნამძინარევი პირუტყვი ზანტად მიიზღაზნებოდა ორლობები და ლობეებიდან გადმოშვერილი ტოტების ახლად გამოსულ ფოთლებს აუჩქარებლად ტკვირავდა. — გაადგი ფეხი, შე სამგლევ! ლობე რომ არ მოსპო, ბალახი ცოტაა?! — უჯავრდებოდა მოზარდი გაჯიუტებულ მოზვერს და სახრეს ულერებდა. ეჩქარებოდა სიჭაბუკეში ფეხშედგმულს, რაიონში იყო წასასვლელი.

ლუკა თავისი ცხვარ-ძრობით სოფელს გასცდა და რამდენიმე წუთის მერე მთის წვერზე მოვაკებულ ადგილას სოფლის ნახირს შეურია თავისი საქონელი. ძოვით გართულმა პირუტყვებმა ერთი წუთით თავები ასწიეს და თანამოძმეებს ბლავილით მიესალმნენ, მერე ისევ დინჯად განაგრძეს თავისი საქმე. ნაზამთრალი პირუტყვი მადიანად შეექცეოდა მწვანედ აბიბინებულ ლორთქო ბალას. სიმწვანეში სხვადასხვა ფერის ღილებივით გაბნეულიყო მინდვრის ყვავილები, რომელთა სილამაზემ და სურნელმა ფეხი შეუბორკა და თვალი წაართვა ახალგაზრდას. გაზაფხულის სურნელით გაბრუებული მალევე გამოერკვა და თავქვე დაეშვა. შევარდა სახლში, გამოიცვალა სამოსი. გახურებულ გულზე ერთი ჭიქა წყალიც მიაყოლა. სარკეში თავი შეათვალიერა და აჩეჩილი უხეში, ჯიუტი თმის შესწორებას შეეცადა, თმა კი არ ნებდებოდა, ბოლოს ხელი ჩაიქინა და ეზოში გავარდა. მიადგა მეზობლის ეზოს და გადასძახა:

— ელეფთერ! ელეფთერ! გამოიხედე, ბიჭო.

ორსართულიანი შუმაბანდიანი სახლის პირველი სართულის კარი გაიღო და თმაწითურმა ბიჭმა გამოიხედა.

— გამოდი, გამოდი, საქმე მაქვს.

— გამომიჩნდა ესეც საქმიანი, რა ცეცხლი წაგეკიდა? — ჩაიბუზღუნა ელეფთერმა.

— მამაჩემმა, კირი და შაბიამანი მომიტანე სადილობამდეო.

— სადილობამდეო? მერე რომ იყოს რა, მზე შეწყვეტს მზეობას თუ რა?

— ე, ბიჭო, შეწყვიტე ლაილაი. თუ დრო გაქვს, გამომყევი.

— მოითმინე ცოტა ხანს, შემოდი, პატარა წავიხემსოთ.

— აუ, ეს ვინ ყოფილა! გამოდი დროზე, ფული მაქვს ჯიბეზე, იქ წავიხემსოთ, ლუდსაც დაგალევინებ.

— ფული თორემ, შენც გეექნება მილიონი.

— არა ბიჭო და, ბაბუაშენი მილიონებმა დაახრჩო.

ელეფთერმაც შეწყვიტა ენამზეობა და — კარგი, კარგი მოვდივარ, ორწუთში მანდ ვარო, გასძახა.

ორღობეში გამოსულ ელეფთერს ლუკამ მეგობრულად ორიოდე უთავაზა თავში და სიცილით გაუყვნენ გზას.

რაიონულ ცენტრში თვალსაჩინო ადგილას რაიკომის შენობა იდგა. მოშორებით, გზის მეორე მხარეს კი, მდინარის პირას, ხელგაშვერილი ლენინის ძეგლი. ძეგლის კვარცხლბეკი და საფეხურები ვარდისფერი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. ძეგლის დადგმამ მდინარის კალაპოტი შეავინწროვა, მდინარემაც ვერ იგუა არტახები და ქალაქს დატბორვით ახსენებდა ხოლმე თავს. ქალაქელები გულისწყრომას გამოხატავდნენ, ამ უხეირო ადგილას ჩაკვეხებული ძეგლის გამო. და არა მარტო გულისწყრომას, – წყალდიდობა აკლდა ჩვენს ქალაქს, ისე ხომ ყველა-ფერი დალაგებულია. ცალკე წყალდიდობა, ცალკე ქარხნიდან ამონაბოლქვი, სულის შემსუთველი ცისარტყელას ფერებად გამშვენებული კვამლი. ბუზღუნი და გინება ცალკე რჩებოდა, ქალაქი კი თავის მშფოთვარე ცხოვრებას განაგრძობდა. ლენინს ხელი კომუნიზმისკენ ჰქონდა გამშვერილი, კომუნიზმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ავტოსადგურისა და ბაზრისკენ მიმავალ გზას კი ზუსტად აჩვენებდა. ეგეც საქმეაო, ტყუილად კი არ არის აშტრიკინებულიო, – ენაკვიმატობდნენ ზოგიერთი.

ავტოსადგური და ბაზარი ერთმანეთის ემიჯნებოდა და მუდამ ხალხმრავლობა იყო. სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს თავიანთი საქონელი ადვილად შეჰქონდათ ბაზარში. მოივაჭრებდენ, ოჯახისათვის საჭირო ნივთებს. პროდუქტს შეიძენდნენ და ავტობუსის მოლოდინში ავტოსადგურის ცენტრში უზარმაზარი კაკლის ძირში ათასი ჭორ-მართლის გარჩევით იქცევდნენ თავს. ელეფთერი და ლუკაც იქ ჩამომსხდარიყვნენ. ელეფთერმა სიგარეტის კოლოფთი გახსნა, ამოილო ერთ ლერი და ლუკას მიაწოდა. ლუკამ უარი უთხრა, ჯერ ადრეა ჩემთვისო. ელეფთერმა სიგარეტი ნეტარებით გააბოლა. ერთმანეთის მიყოლებით უშვებდა პირიდან რგოლებს და ცდილობდა, ანთებულ სიგარეტზე ჩამოეცვა.

- ნამეტანი კარგი და სასიამოვნოა სიგარეტი ჭამის შემდეგ,
- თქვა სტაუიანი მწეველივით.
 - დაიკარგე აქედან, ლამის გაიგუდე და ახლაა ნეტარება?
 - მალე მომბაძავ, აგერ ჩემი სიტყვა, თუ გინდა, დაგენაძლევები, – ნიშნის მოგებით თქვა ელეფთერმა.

- რას ამბობ, მამაჩემმა რომ დამინახოს, მიმაწვავს ტუჩებზე.
- შენც ნუ დაანახვებ მერე. ეჭ, რა უნდა გელაპარაკო, შენი სიამოვნებისთვის კაცმა არავის და არაფრის წინაშე არ უნდა დაიხიოს. – ცხოვრებაგავლილი კაცივით თქვა ელეფთერმა.
- ვინ გაგანთლა ასე, შე უდღეურო?
- ბავშვი ხარ ჯერ, ბავშვი. რა გესმის.
- რავა ემგენიოზივით მელაპარაკები
- გეყოფა, ნუ ბრაზობ, წელან მითხარი, ვინ გაგანათლაო. ჩვენს სოფელში ყველაზე ლამაზი სახლი ვის აქვს? რა თვალები გადმოკარკლე, ვის აქვს-მეთქი გეკითხები!
- რა მნიშვნელობა აქვს, ვის აქვს.
- თუ იცი, მუშაობს სადმე? მაგის ხელში ბარი და თოხი თუ დაგინახავს? არადა, ყველაზე კარგად ცხოვრობს, თუ გიფიქრია ამაზე? ეჭ, მართლა ბავშვი ხარ. არა – სწავლა, არა – გარჯა და ყველაზე კარგად ცხოვრობს. გინახავს, როგორი გოგოები გამოდიან მაგის სახლიდან? – კითხვებს კითხვებზე აყრიდა ელეფთერი.
- გაოცებული და შეცტუნებული ლუკა ვერაფერს პასუხობდა. ნუთუ ეს ელეფთერია? ადრე ხმას ვერ ამოაღებინებდი...
- ხო, მართლა, – თითქოს რაღაც გაახსენდაო, – ქალებში თუ ყოფილხარ? – ეშმაკურად გაიკრიჭა ელეფთერი, – რას გადმოკარკლე თვალები, ყოფილხარ?
- ახლა კი გეყოფა, უკვე ნამეტანი მოგდის, – დაიმორცხვა ლუკამ.
- ნუ გაწითლდი, ბიჭო, გოგოსავით. ცოტა ხანს მაცადე და მე გაგანათლებ მაგ საქმეში.
- ლუკამ ისეთი გადაიხარხარა, კინალამ სკამიდან გადმოვარდა.
- ცხვირსახოცი ხომ არ მოგცე, ბიჭო, ცრემლების მოსაწმენ-დად?
- ისე, არ იქნებოდა ურიგო, რამდენი ხანია, ასე გულიანად არ მიცინია. ბიჭო, რამ გადაგაკეთა, საიდან ასეთი სითამამე, შენ შარვალგამოხეული, ფეხშიშველა ელეფთერი არა ხარ? რაიმე სული ხომ არ ჩაგისახლდა სხეულში და გადაგაკეთა?
- კაი, გეყოფა ხარხარი და მომისმინე, იმ კაცთან დავდივარ

ხოლმე, პატარა დავალებებს ვასრულებ და მასაჩუქრებს. ცოტა ხანს მაცადე და ვნახოთ მერე, ვინ ივლის შარვალგამოხეული.

ელეფთერმა კაკლის ტოტზე შემომჯდარ, მომაბეზრებლად მოყრანტალე ყვავს გახედა.

– ამბაკოსავით არ გალობს, ბიჭო? ნეტავ ეს რაღა გასაჩენი იყო.

– დაავიწყდათ, შენთვის რომ ეკითხათ, – წაკბინა ლუკამ.

ელეფთერი აღარ გამოპასუხებია, უღალი ქოჩორი მოიქექა და ანრიალებული ფეხზე წამოდგა.

– უჰ, მართლა, სულ გამომივარდა თავიდან, კიდევ კარგი ახლა გამახსენდა, ბაზარში შევირბენ და ახლავე დავბრუნდები.

– რა გაგახსენდა ამისთანა? მეც გამოგყვები, აქ რა გავაკეთო.

– არა, შენ აქ დარჩი, თავმომწონე ახალგაზრდა კაცმა, რომლის შეხედვაზე გოგოებს ფეხი ერევათ, კირით და შაბიამნით სად უნდა იარო? – გაიკრიჭა ისევ ელეფთერი.

– შენთვის ხომ ხეზე ეკიდებიან, – არ შეაწია ლუკამ.

– არ მოიწყინო, მალე მოვალ, ხუთ წუთში, – თქვა ელეფთერმა და სიგარეტი და ასანთი ლუკას დაუტოვა. – გააბოლე, გაერთე თუ გინდა, – და აჩქარებული ნაბიჯით ბაზრისკენ გასწია.

გარშემო უამრავი ხალხი ირეოდა. ავტოსადგურის რადიო ავტობუსების განრიგს აცხადებდა. წინ სამოსშემოფლეთილი შუახნის კაცი აესვეტა, გაბურდგნილი, ჭუჭყიანი თმა თვალებზე ჩამოშლოდა და იკრიფებოდა.

– ერთი მანეთი მომეცი, ბიძია, ერთი მანეთი. გეხვეწები, მომეცი და მერე ბევრ ფულს გაშოვნინებ.

– მერე, ბიძია, მერე, ახლა არ მცალია. – უპასუხა ელეფთერმა.

– დეიკარგე, აქედან, რისი მომცემი ხარ შენ, – ზურგი შეაქცია კაცმა და დაბრეცილი, უზომოდ დიდი, ლანჩააყრილი ფეხსაცმლის ტყაპუნით ავტოსადგურისაკენ გაემართა. თან ხმამალლა დიქტორს მიმსაგავსებული ხმით გაიძახოდა: გადის ავტობუსი – ზესტაფონი, ტყლაპი, მიმავალო მგაზვრებო არ ჩამორჩეთ! მერე დაბალ ხმაზე განაგრძო: – ტყლაპი-ტყლუპი, რა არის კაცო ეს ტყლაპი-ტყლუპი. ელეფთერმა ფეხს მოუხშირა. წელან

ლუკასთან ერთად დახლებს შორის რომ მიდიოდნენ, დახლზე დამხობილი ნახევრად მძინარე კაცს მოჰკრა თვალი, ჯიბიდან მაცდუნებლად სანახევროდ ამოწვერილი საფულე უჩანდა. თავში ჩარჩა და არ ასვენებდა. ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან. იქით მიიჩქაროდა. დახლზე თავჩაქინდრულ კაცს უკვე გულიანად ეძინა და გვარიანად ხვრინავდა. გასცდა რამდენიმე მოვაჭრეს და მძინარეს მიუახლოვდა. აქეთ-იქით აცეცებდა მოუსვენარ თვალებს, მერე თითქოს რაღაცას მოულოდნელად წამოკრა ფეხი, მოვაჭრებს შეენარცხა და წაქცევისაგან თავის შესამაგრებლად მძინარეს გადაემხო. ყველაფერი დამაჯერებლად და ოსტატურად გამოუვიდა.

— რას დაბოდიალობ! ახალგაზრდა კაცმა სიარული არ იცი? მთვრალი ხომ არ ხარ? — წაეფოთრა ვაშლებით მოვაჭრე გლეხი.

— ბოდიში, ბიძია, ფეხი წამოვკარი.

— შეეშვი მაგ ბავშვს, რა დროს მაგის სიმთვრალეა. ფეხი შეიძლება ყველას დაუცდეს, — გამოესარჩლა თმაწაკრული მწვანილით მოვაჭრე ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალი. ელეფთერმა აჩქარებული ნაბიჯით დატოვა ბაზარი. გული გამალებით უცემდა. ეგონა, ყველა მას უცეკრდა. ეგონა, რომ ყველამ ყველაფერი დაინახა და აგერ-აგერ წვდებოდნენ ქეჩოში. მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით და თაქს იმშვიდებდა: გეყოფა, დამთავრდა ყველაფერი. მთავარია სიმშვიდე. ყველაფერი კარგადა, მზე ისევ ანათებს, არც ქვეყანა დაქცეულა. ესეც შენი პირველი საქმეო. მერე ტურტლიანი ტუალეტის კარი წიხლით შეაღო. საფულე ჯიბიდან ამოილო. ფული გადათვალა, ამოწმებდა, თითქოს ვინმეს მისი ვალი ჰქონოდეს. ფული ჯიბეში ჩაიდო, საფულე კი სანაგვეში მოისროლა. ასი მანეთი არც თუ ისე ურიგო თანხა იყო მოზარდისთვის. ეს ერთი და სხვა მრავალი. ვაჩვენებ მაგათ, როგორ უნდა ცხოვრებაო, — ჩაილაპარაკა, მორყეული ონკანიდან მოწანწკარე წყალი სახეზე შეისხა და გარეთ გამოვიდა.

კაკლის ხე შესანიშნავი საჩრდილობელი იყო გაზაფხულის მწველი მზის სხივებისაგან დასაცავად. ფოთლები ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაშლილიყვნენ, ზრდასრულობისათვის ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ, ყვავილობის დრო დადგომოდათ. უცნაური

ყვავილობა იცის კავალმა, მწვანე მუხლუხები გირლანდები-
ვით ჩამოშვებულიყვნენ და ხის ძირშიც უხვად მოფენილიყო.
აურებელი მწერი შესეოდა ხეს – ბუზები, ბზიკები, ფუტკრები.
ერთი ის გამაგებინა, კაკლიდან რა ნექტარი უნდა ამონვოს
ფუტკარმა, – გაიფიქრა ლუკამ.

– ხომ არ ჩამოგეძინა, ბიჭო, – ფიქრებიდან გამოიყვანა
ელეფთერმა.

ლუკა ფეხზე წამოვარდა. უნდოდა ორიოდე მკვახე სიტყვა
ეთქვა, მაგრამ გაოცებულმა და დამფრთხალმა ძლივს ამოღერდა:

– რას გავხარ, შე საცოდავო, რა ცეცხლი გიკიდია, გავარვა-
რებულ ნათურასავით ანათებ. ცუდად ხომ არ ხარ? დასიცხული
ხარ, მეონი.

ელეფთერმა ზეცას ახედა, სახეზე ხელი მოისვა და ნაძა-
ლადევი გულგრილობით გაუეშილად უპასუხა: – გეჩვენება
რაღაც. – გულში კი გაიფიქრა, არც თუ ისე ადვილი ყოფილა
შენიღდვაო.

– არაფერი არ მეჩვენება მე. სად დაიკარგე? გამოფხილდი,
მოდი საჩვენოზე. სახლში რომ ვართ წასასვლელი დაგავინებდა?

– მერე შეცბუნებულმა გაგრძელა, – არა, არა, მართლა რაღაც
გჭირს, რეტიანივით იყურები, რამე რომ დაგემართოს, შენები
არ მაცოცხლებენ.

– ბიჭო, რას გადამეკიდე, – სიბრაზე შეერია ხმაში ელეფთერს,
– ჩემ მეტს ვერავის ხედავ? ანდა, რა ჯანდაბა გინდა სახლში,
სად გაგექცევა, – მერე ძალად ღიმილმორგებულმა, თითქოს
გამხიარებულმაც უთხრა, – მოდი, რაც იქნება, იქნება, კინოში
წავიდეთ. რამდენი ხანია, ახალი ფილმი არ გვინახავს. როდის
ჩამოვალთ კიდევ აქ, კაცმა არ იცის. ცოტა გავერთოთ. არ მოგ-
ნებინდა ძროხების დევნა? კარგი ფილმი გადისო, წელან მოვკარი
ყური. – მოიტყუა. – შეხედე აფიშას, რა აწერია! „ეს არის, შეშ-
ლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“.

– აბა, შენ, კაიზე რას დაპატიჟებ კაცს? – უპასუხა შე-
ფიქრიანებულმა ლუკამ. მერე თავი გადაიქნია, გამოერკვა,
შეფუცხუნდა, – რას ამბობ, ბიჭო, მამაჩემს რა გადაურჩება,
ვენახი მაქვს შესაწამლი.

– შენ, რა, მეძროხე! თვალებში ვერ იხედები? – დაცინვით თქვა ელეფთერმა. – შეხედე, შავი ღრუბლები როგორ მოიზლა-ზნებიან, ნახევარ საათში აქ ისეთი თავსხმა წამოვა, დედა შვილს არ აიყვანს, და თუ ყვირილამაც შემოუტია, ლენინის მხრიდან არც ჩვენ დაგვადგება ხეირი.

ლუკამ ცას ახედა, მართლაც რა შეუმჩნევლად წამოპარულიყო საავდრო ღრუბელი. მაცდუნებელმა აზრმა შეაფორიაქა, აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის იყო კინოში. სათაურმაც გაუმძაფრა ინტერესი, ამოიხვნეშა, თავი მოიქექა და ამოღრდა: – ეჲ, რაც არის, არის, ჯანდაბას შენი თავი, წავიდეთ. – და კინოთეატრისკენ გაემართნენ. რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდათ სულ გადაგმული, რომ ელეფთერი ისევ შეჩერდა: – ლუკა! ერთი წუთით კიდევ უნდა დამელოდო, მხოლოდ ერთი წუთით, გამიგე?

ლუკას ბრაზი წაეკიდა სახეზე.

– რა დაკარგე ამნაირი ბაზარში! შენ მგონი ხუმრობის ხასიათზე ხარ, ვერ გავიგე, რას მეთამაშები. ჯერ სულ არ მოდიოდი, ახლა კი აქაურობას ვერ შორდები. წადი, ძმაო, სადაც გინდა, არც შენი კინო მინდა და არც სხვა რამე. წადი. – ზურგი შეაქცია და მთელი ძალით წაკრა ფეხი ცარიელი სიგარეტის კოლოფს. მერე მყისვე შემობრუნდა, კიდევ უნდოდა ორი-ოდე მწარე სიტყვა მიეხალა, მაგრამ ელეფთერის სახემ გაახევა, შეცბა. ელეფთერს აღდგომის კვერცხივით უდვიოდა სახე. შეებრალა, დაუყვავა, შერცხვა თავის სიფიცხის და მორიდებით ჰკითხა: – დაგავიწყდა რამე?

– ხო, დამავიწყდა, ერთი ნაცნობი შემხვდა და რაღაც უნდა დავაბარო. ბაზარში შევირბენ.

– მგონი, რაღაცას მატყუებ, რა დაკარგე ამ ბაზარში ასეთი, ადრე თოფით ვერ შეგაგდებდა კაცი, – შემრიგებლურად თქვა ლუკამ.

– ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, – შეევედრა ელეფთერი, გატრიალდა და ბაზრისკენ გაიქცა.

– მართლა რაღაც ჭირს მგონი ამ უბედურს, – გაიფიქრა ლუკამ.

ელეფთერს დიდხანს არ დასჭირვებია ძებნა. ის გაბურძგნილი

მათხოვარი, მაღაზიის წინ ჩრდილში მოკალათებულიყო და რაღაცას ლოლნიდა.

— ბიძია, წელან ფული მთხოვე, არ მქონდა, ახლა მამაჩემმა მომცა. აა, შენ ათი მანეთი, დღეს გეყოფა ალბათ.

გაოცებულმა მათხოვარმა თავი ასწია, ჯერ ელეფთერს შეაცექერდა თვალებში, მერე ფულს. წამოდგა ფეხზე, აბურძგნული თმა ჭუჭყიანი ხელებით გადაიწია და დიდხანს უცექერდა ელეფთერს თვალებში. ბოლოს საბრალობელი ხმით უთხრა: — ესე იგი მამაშენმა მოგცა?

დაუინებით, თვალდაუხამხამებლად მიშტერებოდა, მერე უთხრა:

— არ მინდა, ბიძია, მე ეგ ფული, ისევ მამაშენს მიუტანე. ფული მე არაფერში მარგა, ყველაფერი მაქვს ჩემი, ყველაფერი, სამყარო, ქვეყანა, ჩემზე დიდი სახლი ამქვეყნად არავის აქვს. ესაა ჩემი სახლი, რასაც ხედავ. რად მინდა მე ფული? წადი, წადი, მიუტანე მამაშენს.

გახევებულ ელეფთერს მხარზე ხელი შემოჰკრა და ნაღვლიანი ხმით უთხრა: — გახსოვდეს, არავის მონობაა საპატიო ერთის გარდა, — და ზეცას გახედა, — მით უმეტეს ფულის. მოერიდე, დიდი და დამლუპველი სიყვარული იცის მაგან. მრავალი მინახავს მაგისგან დალუპული და სანაგვეზე მოფართხალე.

მეტი არაფერი უთქვამს, შებრუნდა და მაღაზიისკენ წაფრატუნდა. კართან ახლოს ჩაიმუხლა, მოხერხებულად ჩამოჯდა, კედელს ზურგით მიეყრდნო და ლოღნა გააგრძელა, თან ბუტ-ბუტებდ: ტყლაპი-ტყლუპი, ტყლაპი-ტყლუპიო.

* * *

სიონის ტაძრის დასავლეთის კარიდან წვეროსანი, სტიქარით შემოსილი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ცოტა შეყოვნდა, მერე უკან შემობრუნდა და ლამაზად მოჩუქურთმებულ კარს ეამბორა. სწრაფადვე შემოტრიალდა ისევ და სასულიერო სემინარიისკენ მიმავალ გზას დაადგა. კიბეზე ასვლისას კიდევ შეჩერდა, აღმოსავლეთისაკენ გაიხედა, მეტების ტაძარს შეავლო თვალი, პირჯვარი გადაიწერა და გზას გაუყვა. საღამო

ხანი იყო. ბინდში იძირებოდა ქალაქი. აქა-იქ ბუჟუტავდნენ ლამპიონები. ბნელეთი გაბატონებულიყო ქვეყანაში. სხვადასხვა ჯგუფი, კლანი და საძმო დანასისხლად გადაკიდებოდნენ ერთმანეთს და, ვინ იცის, მტრის გასახარად მერამდენედ ღვრიდნენ ერთმანეთის სისხლს. პატიოსნება, თავდამბლობა და სხვა სათნოებები სასაცილოდ გამხდარიყო. კანონი და სამართალი მდგომარეობით გაბატონებული ავისმენელების ხელში ჩავარდნილიყო. სამოქალაქო ომის ხანდარი, არეულობა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ღვთით კურთხეული ქვეყანა საკუთარი ცოდვების ნაყოფს იმკიდა.

მიდიოდა მხრებში გამართული ახლგაზრდა წვეროსანი, თავი მაღლა ეჭირა, მზერა ცისკენ მიეპყრო და გულში ორმოცდამეათე ფსალმუნს იმეორებდა. ბევრი არ ჰქონდა დარჩენილი საერთო საცხოვრებლამდე, როდესაც წინ მასსავით მოხდენილი, საშუალო სიმაღლის, ოდნავ შევსებული ახალგაზრდა მამაკაცი გადაეღობა.

— საით გაგიწავია, მამაო, — გაიკრიჭა, — არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო. მე გიცანი წვერში ჩამხრჩვალი და შენ გაგიჭირდა ჩემი ცნობა? როგორც უნდა შეიმოსო, როგორც უნდა დაიბურო სახე, სიარული მაინც გაგყიდის. რამდენი ხანია, არ მინახავხარ, შენზე ამბობენ, მღვდლობას აპირებსო, — არ ჩერდებოდა ახალგაზრდა.

— ელეფთერ, შენ ხარ ბიჭო?!
— ხო, რა გაგიკვირდა. მე ვარ, ლუკაია, მე, — და გადაეხვია,
— სიარულზე გიცანი. მოიცა, ერთი კარგად შემოგხედო. — უკან დაიხია და შეათვალიერა. — გიხდება, ხომ იცი, წვერი. დღეიდან შენი „კლიჩეა“ მამაო იქნება. ახლა რას გაარჩევ, ვინ არის მღვდელი და ვინ — ერისკაცი. ყველას წვერი აქვს მოშვებული. მეც მოვუშვი, მარა არ მომენტია, „რიუა“ წვერი ყველას თვალში ხვდებოდა, ბოლოს და ბოლოს, უწვეროებიც ხომ უნდა იყვნენ. — მხარზე გადახვია ხელი ელეფთერმა. — კაი, დავანებოთ ამას თავი. როგორ ხარ? გამხდარხარ კი. ეგ არაფერი, — მზრუნველად გადახედა, — ანი მე მოგაფერიანებ, ვეღარსად დამეკარგები.

ლუკამ პატარა პაუზით ისარგებლა და ძლივს ჩააკვეხა რამდენიმე სიტყვა.

– როგორ გამიხარდა, ბიჭო, შენი ნახვა. რას საქმიანობ, ელეფთერ?

– ჯერ ერთი, მე ელეფთერი აღარ ვარ.

– კაი, კაცო, აბა მოჩვენება ხარ?

– ერეკლე ვარ ანი. ერთი ის გამაგებინა, რა ჯანდაბამ დაარქმევინათ ჩემთვის ელეფთერი. – პიჯაკის ლილები ჩაიხსნა და წინ გადმოცურებული შავი პისტოლეტი უკან თეძოსკენ გააცურა. – ხო, ახლა ერეკლე ვარ. ისე ხან დავითი ვიყავი, ხან – დემეტრე, სხვა სახელებიც მოვიზომე, მაგრამ ერეკლე ყველაზე მეტად მომწონს, კარგად უღერს, ასე სჭირდება საქმეს. ხომ მართლაც კარგად უღერს? – ლიმილი არ შორდებოდა სახიდან ელეფთერს. – ასეთი სახელით რომ გაეცნობი კაცს, სულ სხვანირი მოწინებით განეწყობა შენ მიმართ. სახელი, ძმაო, დიდი შინაარსის მატარებელია, ისინი კიდევ – ელეფთერიო. მღვდლებსაც ხომ ორი სახელი აქვთ. შენც შეგიცვლიან სახელს. არა, არა, – ხელები გაასავსავა, – მე უკვე დაგარქვი შენ სახელი. დღეიდან შენ „მამაო“ ხარ.

– ეჭ, შენი გამოსწორება არ იქნება, ელეფთერ, – თავი გადაიწინა ლუკამ.

– ა, კიდევ, ელეფთერი კი არა ერეკლე, დაიმახსოვრე, თავი არ მომჭრა საზოგადოებაში.

– გეყოფა ლაზლანდარობა, შენ ის მითხარი, რითი ხარ დაკავებული ამ უკუღმართ დროში.

– ნუ ხარ მოუთმენელი. მოდი, ახლა შენ ეგ სამოსი გამოიცვალე, ჩაიცვი მოხდენილად, თუ რამე გაქვს. მერე რესტორანში წავიდეთ და იქ ვიბაზროთ, როდემდე უნდა ვიდგეთ ქუჩაში. შენი საყვარელი ლუდიც იქნება და სხვა ბევრი რამეც.

– სად ისწავლე, შე უწიგნურო, ასეთი დახვენილი საუბარი?

– გაეხუმრა ლუკა.

– ბიჭო, წადი გამოიცვალე-მეთქი.

ორიოდე წუთი მოანდომა ლუკამ გამოცვლას. ასარჩევიც ბევრი არაფერი ჰქონდა, გარდერობში სილარიბე მორცხვად იღიმებოდა.

ელეფთერს დამტვრეული ძელსკამის კუთხეზე ჩამოესვენა და სიგარეტს აბოლებდა. შეუმჩნევლად წამოეპარა ლუკა და თავზე წაადგა. ელეფთერი ფეხზე წამოვარდა და იარაღზე გაიკრა ხელი.

– მე ვარ, ბიჭო, რამ შეგაშინა!

– ფეხშიშველი ხომ არ დადიხარ, კაცო? ჩქამიც კი არ გაგილია.

– რა იყო, იარაღიანი კაცი რამ დაგაფრთხო? – ირონია გაერია ხმაში ლუკას.

– ცუდი დროა ახლა, ძამია, ძალიან ცუდი. დასწრებაზეა ყველაფერი, კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. წავედით, წავედით, ცოტას გაგამხიარულებ, სულ მალლა-მალლა რომ იხედები, ცოტა ხანს ძირს დაეშვი მიწაზე, აქაც ბევრი საინტერესო რამ ხდება, თუ არა, ერთი დღე იქნება და ფეხს წამოკრავ და მოიტეხავ კისერს. ლამაზი და ცდუნებებით სავსეა ეს წყეული საწუთრო, მოდი და გაუძელ, თუ ბიჭი ხარ.

– რა ქარაგმებით, განსწავლული ბრძენკაცივით მელაპარაკები. ადრე შენგან, შე ჩემას, ჩემი დედას, სულელო და ჩერჩეტოს მეტი არაფერი მესმოდა.

– უნდა განვითარდე, ძმაო, სულ პირველ კლასში ხომ არ იქნები. არც ძველი დამვინწყებია, სულ მეიტანე-წეილეს ხომ არ ვიძახებ. ახლა ასე სჭირდება საქმეს.

– ვინ გაგანათლა, ასე ბრძენკაცივით რომ საუბრობ? – ისევ გაიმეორა ლუკამ.

– თუ მახსოვრობა არ მღალატობს, სკოლაში სანამ დავდიოდი, შეზე წაკლებად არ ვსწავლობდი. და საერთოდ, განათლება სკოლის გარეშეც შეიძლება მიიღოს კაცმა. თუ შეიძლება თვითნასწავლი იყოს მხატვარი, ხომ შეიძლება თვითგანათლებულიც იყო. შენ თუ გონია, მარტო ინსტიტუტები იძლევა განათლებას, აიღებენ დიპლომს, შემოდებენ კომოდის თავზე და დაარიკინებენ მერე ტაქსის, თან მოჩვენებითი დანაწებით იტყვიან, – რა ვუთხარი ამ დროსო. და აქეთ მე მემსახურებიან უდიპლომო კაცს. – მერე წითური თმა მოიქექა; შეაჩერდა სახეში ლუკას და ნიშნის მოგებით ჰკითხა, – აბა, მითხარი, სტალინმა რომელი ინსტიტუტი დაამთავრა? – პასუხს არ დალოდებია და

გააგრძელა, – შენსავით სემინარიაში სწავლობდა და ისიც არ დაუმთავრებია ბოლომდე. არ აზანზარებდა მსოფლიოს?

ლუკამ თავშეუკავებლად გადაიხარხარა, ძლივს მოითქვა სული და უთხრა:

– მაოცებ პირდაპირ, შეგრცხვეს პატარა, ცოტა ნაკლებს მაინც გაუყადრე თავი.

– რავა, ტყუილია, თუ? – და თვითონაც ახარხარდა ელეფთერი.

გამხიარებული ბიჭები რესტორანს მიადგნენ, რომელიც არაფრით გამორჩეოდა სხვა შენობებისაგან. მხოლოდ განათებული აპრა მიანიშნებდა, რომ აქ მოსალხენი ადგილი იყო.

– საოცარია პირდაპირ. მთელი ქალაქი თითქმის ჩაბნელებულია და აქ კი ყველაფერი ჩახჩახებს.

– მოხერხება უნდა ყველაფერს, ძმაო, მოხერხება და იღბალი. ერთი წუთით, ყმაწვილო, ერთი წუთით, – და პარმალთან მისულმა დაბლა რამდენიმე საფეხური ჩაირბინა.

– ისევ? არ მითხრა ახლა, მაშინდელივით აქ დამელოდეო.

– არა, არა, აგერ ვარ შენთან ერთად. ერთი მეზობელი სოფლელია. ცოტა უტუა, მაგრამ საქმის გამკეთებელი, სულ თან დამყვება, დავუძახებ. აქ მელოდება სადღაც. – შეცდუნებულს რომ შეხედა, ისევ გაუმეორა, – შენთან ვარ, არსად მივდივარ.

არ დაუძახია, დაუსტვინა მხოლოდ. სიბნელიდან ტანბრგე ახალგაზრდა გამოვიდა, შავი ლაბადა მუხლებამდე ჩამოშვებოდა, გრძელი შავი თმა ბენდენათი ნაეკრა და უშინაარსო თვალებით იმზირებოდა. – კოჭოია, შევიდეთო, – უთხრა ელეფთერმა. ლუკას გაელიმა, – ეს თუ კოჭოიაა.

ბიჭები შენობაში შევიდნენ. საკმაოდ ვრცელი დარბაზი იყო. თეთრ ფერებში, გაკრიალებული. მკრთალი შუქი ინტიმურ გარემოს ქმნიდა. რესტორანი სანახევროდ შევსებულიყო, აქა-იქ შეზარხოშებული კაცების ხმამაღლალი საუბარი ისმოდა.

– ვიღას სცალია სარესტორნოდ, ჩამოშლილია ქვეყანა, სირცხვილიცაა, – ჩაიღაპარაკა თავისითვის ლუკამ.

– შენ ეგრე გეგონოს, ცოტა ხანში აქ ნემსის ჩასაგდები ადგილსაც ვერ იპოვი.

- სად დავსხდეთ? – იკითხა ლუკამ.
- მოთმინება, ყმაწვილო, მოთმინება. მოთმინებაა საწინდარი ცხონებისა, ასე არ წერია იმ წიგნებში, შენ რომ ყოველდღე კითხულობ?

გაოცებულ ლუკას ხმა აღარ ამოუღია.

- ნუგზარ! – დაიძახა ელეფთერმა. – ხედავ, რა სახელია?
- მოუპრუნდა ლუკას, – ნუგზარ არაგვის ერისთავი, შენ კიდევ ელეფთერიო.

მხრებში გამართული ახალგაზრდა მამაკაცი მოცეკვავე-სავით მოხდენილი მოძრაობით მიუახლოვდა ელეფთერს და გადაეხვია.

- ისევ იმ ოთახში, რაც საჭიროა, შენ ჩემზე კარგად იცი, – უთხრა ელეფთერმა.

– ახლავე მოგაქცევენ ყურადღებას. აი, ის გოგო მოგემსახურებათ, – და ხელი ტანაშოლტილ ქერათმიან და უზომოდ მოკლეკაბიან გოგონასაკენ გაიშვირა.

გაკვირვებული ათვალიერებდა ლუკა კეთილმოწყობილ ოთახს. კედლები ისე იყო დამშვენებული მხატვრის ტილოებით, საგამოფენო დარბაზი გეგონებოდა.

– ალბათ, რეპროდუქციებია ნიჭიერად შესრულებული, თორემ ამდენ ორიგინალს დღეს მუზეუმშიც ვერ ნახავ. მხატვრობის მოყვარული ყოფილა რესტორნის მეპატრონე, – გაუელვა ფიქრმა ლუკას. – ალბათ, რომელიმე ნიჭიერ მხატვარს გადაახატვინა.

- რას ჩაკირკიტებ, მოგეწონა? ერკვევი მხატვრობაში?
- ლუკამ მზერა ტილოებიდან ელეფთერზე გადაიტანა:
- ბევრს ვერაფერს, ერთი მხატვარი მეგობარი მყავს – მერაბი, ის მიხსნის ხოლმე, თანაც სემინარიაშიც გვაქვს ხატნერის გაკვეთილები. გამიკვირდა, ისე ოსტატურადაა შესრულებული, გეგონება, ორიგინალია.

- ვინ იცის, ვინ იცის, – ორაზროვნად ჩაიცინა ელეფთერმა.
- იქით რაღაა? – მასიურ ხის კარზე მიუთითა ლუკამ. ისევ ღიმილი გაუკრთა ელეფთერს. ამ დროს ტანაშოლტილმა ოფიციანტმა შემოაღო კარი. ლუკამ მზერა უსულო ცივი

ტილოებიდან ცოცხალ ხორცშესხმულ მომაჯადოებელ სილა-
მაზეზე გადაიტანა, ისე ახლოს იყო, სუნთქვაც კი ესმოდა.
მაღალი, მომხიბვლელი მკერდი თანაბრად აუდ-ჩაუდიოდა.
ყველაზე მეტად თვალებმა გააკვირვა. უზომოდ მეტყველი,
ამასთან, ნაღვლიანი, მაყვალივით შავი თვალები უძვირფასესი
სამკაულივით ჩაეხატა შემოქმედს ულამაზეს თეთრყირმიზ
სახეში. მზერას დაემონა მთელი არსებით და ქვემოთ გაექცა
თვალი. არასოდეს ენახა ასეთი სწორი და ლამაზი ფეხები.
მალევე გამოერკვა, შეცბუნდა, დაიმორცხვა და აფორიაქებულმა
ისევ ტილოზე გადაიტანა მზერა. ღიმილმორცული შეჰყურებდა
ერეკლე ლუკას წამიერ გარდასახვას. – ასე იცის, ძმაო,
მიწაზე დაშვებამ, შენ კი არა, ეშმაკიც ვერ გაუძლებს მის
მომხიბვლელობას. – გაიფიქრა თავისთვის.

– რა მოგართვათ, ბატონო ერეკლე?

– შენ ხომ ჩემზე კარგად იცი, ჩემო ნათია! – უპასუხა
სახეგაბადრულმა ელეფთერმა, – ვენდობი შენს ალღოს და
გამოცდილებას, იმედია, არ შემარცხვენ მეგობართან. ხო,
მართლა, გაიცანი ჩემი სიყრმის მეგობარი.

ნათიამ წინ გადმოდგა ნაბიჯი და ლუკას ხელი გაუწოდა
– ნაზი და ლბილი თითების შეხებამ ურუანტელი მოჰგვარა.
ღმერთო, მართლაც, მზესავით არ ანათებს?! ნათია ოთახიდან
გავიდა და იმწამსვე ბენდენიანმა ახალგაზრდამ შემოალაჯა.
ლაბადა გაიძრო, სკამზე გადაკიდა, მხრიდან ავტომატი მოიხსნა,
კუთხეში კედელზე მიაყუდა და უპოდიშოდ მაგიდას მიუჯდა.

– ხომ გითხარი, უტუა-მეთქი.

ბენდენიანს აინუნშიც არ ჩაუგდია მისი სიტყვები. ცოტა
ხანში სამეფო სუფრა გაიშალა.

– რომელ ღვინოს მიირთმევ, ახალგაზრდავ, წითელს თუ
თეთრს?

– როგორც ამბობენ, სამკურნალოდ წითელი ჯობია,
მოსალხენად – თეთრი.

– სწორადაც ამბობენ, ყმაწვილო. ბევრი კარგი რამ გვაქვს
ქართველებს. სუფრის კულტურა ერის კულტურის გამორჩეული
ნაწილია, მე თუ მკითხავ, – გვირგვინიც. ასე ვფიქრობ მე.

ლუკას აოცებდა ელეფთერის ასეთი გარდასახვა. ეს, მართლაც, არ არის ელეფთერი, აუცილებლად უნდა გავარკვიო, როგორ გადაიქცა ერეკლედ. აუცილებლადაც გავარკვევ, თანაც დღესვე. კუკუდამალობით და მორცხვობით არაფერი გამომიგაო, – ფიქრობდა ლუკა და სითამამისათვის ღვინოს მიეძალა. ღვინოსაც არ შეურცხვენია თავი, მორიდების საზღვარი ნისლივით ქრებოდა. მხოლოდ ნათიას შემოსვლის დროს მუნჯებოდა, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა სუფრას. მისდა გასაკვირად, ყოველ შემოსვლაზე ელეოთმელეთი მოსდიოდა და სათქმელს ვეღარ აპამდა თავს. გასვლისას კი ისევ ლალი და ენაწყლიანი ხდებოდა. მაგრამ მაინც აწუხებდა რაღაც. მძიმე ტვირთივით აწვა მხრებზე და ბოლომდე ვერ განთავისუფლებულიყო. მისთვის უცნობ სამყაროში აღმოჩნდა, რაც ძალიან ბოჭავდა: უჩვეულო გარემო, ღვინო და ქალი საოცრება. უკითხავად მიძინებულმა გრძნობებმაც გაიღვიძეს, რომლებიც ძალას იკრებდა და მოთოკვაც უჭირდა. გულში დაუწყო თავის თავს კიცხვა – მოეშვი, მერე რა მოხდა, თუ ათასში ერთხელ ღვინოს დალევ, რა არის ამაში დასაძრახი და სამარცხვინო, სიხარული და მხიარულებაც ხომ ღვთის-განააო. გიხაროდენ და მხიარულ იყვენითო, ესეც გაიხსენა, მაგრამ რაღაც მაინც წინენიდა გულს, რაღაც აფრთხობდა და აფრთხილებდა. არც პავლე მოციქული დავიწყებია, ზომი-ერად ღვინის ხმევის საჭიროებაზე. უხილავი შემაწუხებელი და დამთრგუნველი გრძნობებისაგან თავდასალწევად მოზრდილი ჭიქით ღვინოს დაეწაფა, ფეხზე წამოდგა, ხელი აიქნია აბეზარი ფიქრების მოსაშორებლად და მისთვის უჩვეულო რიხიანი ხმით ელეფთერს მიმართა:

– ბიჭო, ერეკლე ხარ, თუ ელეფთერი, გამაგებინე ერთი, ნამდვილად ვინ ხარ, რატომ გეპყრობიან ასე მონინებით, ან საიდან ფული. ამას ყველაფერს ხომ გადახდა უნდა. ვისი შეგირდი იყავ, საიდან ასეთი დახვენილი არსიტოკრატული მანერები, სად ისწავლე ასე გამართული ლიტერატურული ენით საუბარი? ბოლობოლო, ვინ ხარ შენ?

მთელი საღამოს ელეფთერს ღიმილი არ მოშორებია სახიდან

გულწრფელად უხაროდა სიყრმის მეგობართან შეხვედრა. ახლაც სახეგასხივოსნებულმა მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

– სად გეჩქარება, დატკბი მომენტით, ამ ღამის უფალი მე ვარ, მთელ შენს დარჩენილ ცხოვრებაში არ დაგავიწყდება ეს ღამე, ამაზე მე ვიზრუნებ. – ისიც უხაროდა, ლუკას დაბნეულ სახეს რომ ხედავდა. – რა მითხარი მაშინ, ბაბუშენი ხომ მილიონებში იხრჩობოდა? რომ იცოდე, ფულის შოვაზე ადვილი არაფერია. მთავარია მონდომება და იმ ნიჭის მაქსიმალურად გამოყენება, რომელიც ბუნებამ მოგანიჭა. მერე ხელი ასწია, ტილოებს მოავლო მზერა და პათეტიკურად წარმოთქვა: ბუნება უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, ხოლო წრეწირი – არსად. გაჩუმდა წამიერად და დაბალ ხმაზე დააყოლა, – პასკალისაა ძმაო. ახლა რაც მე შემეხება მე, ყველგან ვარ და, ამავე დროს, არსად. ბუნდოვანია ხომ? – ხელი ჩაიქნია, – შევეშვათ...

ყბაჩამოვარდნილი ლუკა მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

– შენ ჩემი გაგიჟება ხომ არ გინდა, ბიჭო! – მერე მოულოდნელად გადაიხარხარა, გონებაში მობორიალე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს კარი გადაუკეტა და მონატრებულ მეგობართან ერთად მხიარულებაში გადაეშვა. – თუ ძმა ხარ, ერთი ეგ შენი მეგობარი ცოტა ხანს გაუშვი. გულახდილი საუბარი მწადია შენთან.

ელეფთერმა თვალით ანიშნა უტუს, ცოტა ხნით დაგვტოვეო, ისიც უსიტყვოდ წამოდგა ფეხზე და ავტომატს მისწვდა.

– არ გინდა, დატოვე, არ დაგჭირდება.

კოჭოიამ კარი გააღო და შეყვინდა. ლუკამ თვალი ჰკიდა გადავსებულ დარბაზს, ესტრადაზე მომღერლები შეკრებილიყვნენ და ვიდაცის შეკვეთას გულმოდგინედ ასრულებდნენ. ესიამოვნა ნაცნობი მელოდია.

– თუ გინდა, ყველას აქ შემოვიყვან. – შესთავაზა ლუკას.

– არ გინდა, ელეფთერ, არა, მე შენი ამბავი უფრო მაინტერსებს, ხომ იცი, ძნელია, სიმღერით გააკვირვო ვინმე ჩვენთან.

კოჭოია კი კარში გაჩერილიყო.

– დაგვტოვე, კოჭოია, დაგვტოვე, დაგიძახებ მერე.

ანონილი ახალგაზრდა უკანმოუხედავად გავიდა და კარი გაიხურა. ელეფთერიც წამოდგა, ლუკას ბეჭებზე ხელი მოუთა-თუნა და ძველებურად მიმართა – შე ძველო. სკამი მაგიდის ქვეშ შეაჩინა და ბოლთის ცემას მოჰყა. უხმაუროდ, ფაქიზად დგამდა ნაბიჯებს, თითქოს რაღაცას ეპარებაო. კრანახის „მაჭანკალთან“ შეჩერდა, დიდხანს უმზერდა, მერე თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, მიღმიერში გადასულმა წარმოთქვა:

– ბავშვობის წლები ყველაზე საუკეთესოა ადამიანის ცხოვრებაში. სუფთა, უხინჯო და წმინდა. – მის სახეს სევ-და მორეოდა, თვითონვე ეუცხოვა თავის ხმა. გამოერკვა და წამიერად ისევ მომღიმარ ელეფთერად იქცა, თავისთვის კი გაიფიქრა – ყველას აქვს თავისი პატარა სისუსტე, რომლის შენიდბვაც ყოველთვის არ ხერხდება.

– ბიჭო! – მიუბრუნდა ლუკას, – გახსოვს, ბავშვობაში ზაფხულის თბილ წვიმაში რამდენს დავტანტალებდით ფეხშიშველნი. თეთრეკლებიან ბალახში რამდენს დავდევდით ბურთს და სალამოზე დასისხლიანებული ფეხებით ვპრუნდებოდით შინ. მთელი ღამე ცეცხლი მეკიდა ხოლმე ფეხებზე, შენ რა გიჭირდა, დები გეხმარებოდნენ ეკლების დაძრობაში, ჩვენ კი რა უნდა გვექნა, ძმებს. ხო, კიდევ, შენ ტალახის ზელა გიყვარდა, რა ლამაზ ფიგურებს ძერწავდი ხოლმე, – ისევ წარსულში გადავარდა ელეფთერი. ლუკას არ გამოპარვია მისი წამიერი ფერის-ცვალება, რატომლაც შეებრალა და მისდა გასაკვირად, ცრემლი მოაწვა თვალზე. ელეფთერი მაგიდას მიუჯდა, მოზრდილი ჭიქა ქარვისფერი ღვინით შეავსო, ლუკასაც შეუვსო.

– ე, ბიჭო, გეყოფა, გამოვთვრები და ერეკლეს შესახებაც ვერაფერს გავიგებ.

– ნუ გეშინია, ყმაწვილო, ანი ვერსად დამეკარგები, – ელეფთერი ფეხზე წამოდგა და სადღეგრძელო თქვა, – მოდი ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, სანთლით საძებარია დღეს ნამდვილი მეგობარი. – მერე ცოტა დაყოვნდა და გააგრძელა, – სიყრმის მეგობარზე ძვირფასი არაფერია, ნალდია, გულწრფელი და უღალატო. ღვინით, ფულით და გავლენით დამეგობრებულნი

პირველსავე განსაცდელის უამს ჩამოიშლებიან ხოლმე. მოდი, ვახტანგურად დავლიოთ.

ბიჭებმა სასმისი გამოცალეს და ერთმანეთს გადახვივნენ. ლვინო კი დინჯად იღვწოდა. არც ერთი იყო შედან ჭილაძე და არც მეორე გულბათ ჭავჭავაძე. შეჰყვნენ ისევ საუბარში. ბავშვობის დროინდელი სხვა ამბებიც მოიგონეს. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, უმიზეზოდ იცინოდნენ და ლვინოს ნება-ნება ყლუპავდნენ. ელეფთერმა მოუკლო სმას, ლუკა კი ჭიქებს აცარი-ელებდა. უზომოდ მხიარული იყო და გადამთვრალი. ნათიამაც მოუხშირა შემოსვლას. ლუკას გვერდით ჩამოჯდებოდა ხოლმე, კერძებს ურჩევდა და განუწყვეტლივ კისკისებდა. ლუკა კი ლვინოს სთავაზობდა. აღარც იბნეოდა და აღარც მუნჯდებოდა. გაუთაველად ლაქლაქებდა და ხელზე ეტანებოდა. ბოლოს სკამი-დან წამოვარდა, თიხის ფიალა შეავსო ლვინით, მუხლზე დაეცა და შანდორ პეტეფის ლექსი ისეთი განცდით, ისეთი გრძნობით წაიკითხა, რომ ნებისმიერ მსახიობს შეშურდებოდა: „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი“... და ცრემლმორეულმა და ალტყინებულმა ბოლომდე ჩაამთავრა. მერე გაირინდა, თავი ჩაქინდრა და დიდხანს დასცექეროდა იატაკს. მომხდარით გაოცებული და გრძნობამორეული ნათია მიუახლოვდა, მკლავში ხელი გამოსდო და ფეხზე წამოაყენა. შეუმჩნევლად გასული ელეფთერი მევიოლინესთან ერთად შემოვიდა. ნელი ვალსის მუსიკა გაისმა, ნათიამ ლუკას ხელი მხარზე დაიდო, მეორე ნელზე შემოიხვია და ნელი მოძრაობით მუსიკას აჰყვნენ.

— ხომ ვამბობდი, ემმაკაცაც შეაცდენს-მეთქი, — ჩაილაპარაკა ელეფთერმა და უხმოდ გაიძურნა. ლუკას არც მისი შემოსვლა გაუგია და არც გასვლა. ნათიამ კი ცეკვა-ცეკვით ნელი და ნაზი მოძრაობით მეორე კარი გააღლო და წყვილი სილრმეში გაუჩინარდა. კედლიდან უკბილო „მაჭანკალი“ იმზირებოდა და ხარხარებდა.

თავის ტკივილმა გაახელინა თვალი. საფეთქლებში ჩაქუჩივით ურახუნებდა რაღაც. წამოჯდა, ირგვლივ მიმოიხედა, ეუცხოვა გარემო. თავის ტკივილმა ისევ ლოგინზე წააქცია. აზრებს იკრებდა — ნეტავ, სად ვარ? აქ, როგორ მოვხვდიო. ისევ დახუჭა თვალი. შემანუხებელი ტკივილი არ ასვენებდა.

წამოჯდა და ყოველი კუთხე-კუნტული მოჩერიკა თვალით. მხოლოდ ფილმებში თუ ენახა ასეთი ფუფუნება. სიზმარში ხომ არ ვარ ნეტავო. ჯოჯოხეთურმა ტკივილმა ფეხზე წამოაგდო, სასთუმალთან სიგარეტს მისწვდა, სანთებელა გააჩხაკუნა და გააბოლა. ისეთი ხველება აუტყდა, ლამის დაიხრჩო. მე ხომ არ ვეწევიო. კედელზე მიმაგრებულ უზარმაზარ სარკეში აირეკლა მისი შიშველი სხეული. შეცბა, სხვა ეგონა და ისევ საწოლში შეძვრა. თავი ახლა მარცხნივ მიაპრუნა, კედლიდან ულამაზესი შიშველი ქალი იმზირებოდა, ცოცხალი გეგონებოდა. ზღვიდან ახლად ამოსულს წყლის წვეთები ტანზე მიჰკვროდა, თითქოს არ ეთმობოდათ მასთან განშორება. ამღვრეული მზერით შესცეკროდა სურათს და როგორც ბურუსში გამოაჭყიტებს ხოლმე მზე, ისე გამოიკვეთა გუშინდელი ლამის კონტურები. აკანკალებული ხელით მისწვდა სამოსს, თავი მოიწესრიგა და მასიური ხის კარი გამოალო. განახლებული სუფრის თავში ელეფთერი იჯდა და ულიმდა. გახევდა. მერე ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მომჩვარული სკამზე დაესვენა.

– თუ არ დაეცი, ვერასოდეს გაიგებ აღდგომის სიხარულს. ხომ გაგიგონია.

– გამაგებინე, ვინ ხარ? – ძლივს ამოღერლა ლუკამ. ელეფთერმა წაუყრუა ნათქვამს.

– სანამ შენ გეძინა, მე შენი საქმეები მოვაგვარე.

– რა საქმეები? – უაზროდ იკითხა ლუკამ და უკვე სულ-ერთიას სინდრომით შეცყრობილი ბორჯომს წაეტანა, ბოთლი-დანვე დალია.

– შენს სასწავლებელში ვიყავი, მოვახსენე, დედა ჰყავს ავად, წუხელ სასწრაფოდ სოფელში გაემგზავრა და ათი დღე არ იქნება-მეთქი. ასე რომ, ათი დღე თავისუფალი იქნები.

– აღარც მეკითხები, ისე წყვეტ. ანდა, ანი რაღა აზრი აქვს. რა მეთქმის, – ხელი ჩაიქნია და თავი ჩაღუნა.

– კარგი, კარგი, გეყოფა თვითგვემა, არაადამიანური არაფერი ჩაგიდენია. ვიღაც ფილოსოფოსი ამბობდა: ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არააო.

– ისევ დაიწყე!

ელეფთერი ფეხზე წამოვარდა:

- გეყოფა, გამოფხიზლდი, ძალიან მჭირდები. პატარა გამოცდა მოგიწყვე, ვერ გაუძელი და ჩაიჭერი. თუ დასჯაა, შენზე მეტად მე დავისჯები. ვაი, მაცდუნებელსო, – ხომ ამოგიკითხავს,
- ეს არის სულ. ახლა რაც შემეხება მე, ვიცი, კვდები ცნობის-მოყვარეობით, ჯერ სული მოითქვი, წაიხემსე, მერე ყველაფერი თანმიმდევრობით.

* * *

- გახსოვს, რომ გეუბნებოდი, სოფელში ყველაზე დიდი და ლამაზი სახლი ვის აქვს-მეთქი, – ბოლთის ცემას მოჰყვა ელეფთერი. – რა თქმა უნდა, გემახსოვრება, – თვითონვე დაამონმა თავისი ნათქვამი, – ისიც გემახსოვრება, მასთან დავდივარ და პატარა დავალებებს მაძლევს-მეთქი, რომ გითხარი. იმ კაცმა ჩემში მისი საქმისთვის სასურველი და გამოსადეგი რამ დაინახა, მოხერხებული და ცუდლუტობისკენ მიდრეკილი ბავშვობიდანვე ვიყავი. არ გამომეპარებოდა, ვისთან მწიფებოდა პირველად ბალი, თხილი, შენ წარმოიდგინე, კიტრიც კი. ამასთანავე მიბაძვის საოცარი უნარი მქონდა – ხმის, მიხვრა-მოხვრის, გარდასახვის სხვა ნიჭიც. მარტო ჩიტების გამოჯავრება რად ღირდა. შაშვი ისე ვეპაექრებოდი, გელამ, ახლა გერმანიაში რომაა, კინალამ თოფი დამახალა, თვითნაბად ოქროსავით ვიყავი, რომელსაც დამუშავება და სათანადო ფორმაში მოყვანა სჭირდებოდა. გუმანით მიხვდა, რა ხვითოც ვიყავი და დაუზარებლად მოჰყიდა ხელი ჩემს გაშალაშინებას. მასალა მოზელილი იყო, საჭირო იყო მისი სათანადო ყალიბში ჩასმა. არც წარმოსადეგობა, შეხედულება და მომხიბვლელობა მაკლდა, რომელსაც ამ საქმეში ხანდახან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ერთი ღმერთია მხოლოდ, რომელიც სახეს არ უყურებს და გულში იხედება. კაცთა მოდგმის უმეტესი ნაწილი სახიერებით იხიბლება და ხშირად განსჯის უნარსაც კარგავს. კარგი ნედლი მასალა ვიყავი. ოსტატზე იყო დამოკიდებული, ქოთანს ყურს საიდან მიაბამდა და ოსტატ-მაც არ დაახანა. დამიქირავა მასწავლებელი, საჭირო იყო გან-

სწავლულობა, კარგი განათლების მიღება და მის საფუძველზე ადამიანებთან მთაბეჭდილების მომხდენი ურთიერთობის დამყარება, დამარწმუნებელი საუბარი. კონტაქტში ადვილად, მაგრამ მორიცხვით შესვლა, ზრდილი და დახვენილი ქცევები, გადმობირება შენსკენ. ხელგაშლილობა და დარწმუნება იმაში, რომ გვერდზე დაუდგები, მისი ერთგული მეგობარი გახდები და მისთვის ყველა საჭირობოტო სატკივარს უნამდებ და მოუგვარებ. მოკლედ, საშულო დონეზე უფრო მაღალი დონის მსახიობად უნდა გადავქცეულიყავი. არ იყო ეს ადვილი ჩემი გაუყებული ტვინისათვის. შემეძლო, ნებისმიერ დროს მეთქვა უარი, მაგრამ მიუხედავად სირთულეებისა, ოფლის ლვრისა, აზარტში შევედი, მაინტერესებდა, რა გამოვიდოდა ჩემგან. სამი წელი მოვუნდი დახვენილი ლიტერატურული ენით საუბრის შესწავლას. უამრავი წიგნი წავიკითხე და შევისწავლე, განსაკუთრებით საღვთო ლიტერატურის წაკითხვა-სწავლამ დამტანჯა. ვეკითხებოდი, ეს რაღა საჭიროა-მეთქი და მპასუხობდა, – ყველაზე მეტად გამოგადგებაო. თითქმის ზეპირად ვისწავლე სახარება. არაერთხელ გადავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“... შევიძინე ცალკე წიგნად გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები და დავიზეპირე. უამრავი ლიტერატურიდან, რაც მე წავიკითხე, გაგიკვირდება, მაგრამ გამორჩეულად მაინც „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მიყვარდა, რაღაც ჩემეული იყო მასში. ვბაძავდი. დიდი გაქანებისაა, მას ვინ შეედრება. კატეგორიულად ამიკრძალა კუთხურ დიალექტზე საუბარი. ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ახლა ხომ ხედავ, როგორ ვსაუბრობ. მეუბნებოდა, – ბრძენთან ბრძენი უნდა იყო და ბრიყვთან – ბრიყვიო, ჩვენს საქმეში არ აქვს გამართლებაო. პირიქით, ბრიყვთან ჭკვიანად უნდა წარმოაჩინო თავი, უნდა გააკვირვო, მე არ გესაუბრები ჭკუანაკლულებზე, მის გარეშეც ბევრი ბრიყვია საზოგადოებაშიო. უნდა დაარწმუნო ასეთი ბრიყვი, რომ შენ მისთვის წარმოუდგენლად დიდი სიმაღლე ხარ და ყველა საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა შეგიძლია. ჭკვიანთან კი თავი უნდა მოიდებილო, უფრო მოგენდობა, მას პაექრობა არ უნდა დაუწყო და დაარწმუნო იმაში, რომ მის იქით სხვა გზა არ გაქვსო. როგორც ზირაქთან არის,

ოღონდ ზოგი რამ უკულმა. ამ განსწავლის პერიოდში პრაქტიკული გაკვეთილებისთვის ხანდახან გამიყოლებდა ხოლმე ეგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებაში, შეუმჩნეველი უნდა ვყოფილიყავი. აი, ისე – რომ ხარ, თან არ ხარ, ჩრდილივით. წუხელ გეუბნებოდი, თუ რამე გახსოვს წუხანდელი ღამის მერე. ის ფრაზეოლოგია უნდა შემეთვისებინა, რომლითაც ისინი საუბრობდნენ. ქცევის ეტიკეტი და ბევრი სხვა რამ. მასწავლიდა და ამასთანავე მცდიდა. რუსული გამოთქმა უყვარდა „დავერიაი ნო პრავერიაიო“. ბრწყინვალედ ფლობდა რუსულს, თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა და მეც მაიძულებდა, მესწავლა. – მონადირესავით უნდა იყოო, ყოველი სიტუაციის შეფასება უნდა შეგეძლოსო. შეეცადე, ყველა შემთხვევიდან სარგებელი მიიღოო, როგორი მძიმე შემთხვევაც არ უნდა დადგეს, ყველა მოვლენიდან შეიძლება სასარგებლო გაკვეთილის მიღებაო.

ელეფთერმა ბოლთის ცემა შეწყვიტა, ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა, ისევ რგოლებში უყრიდა ანთებულ სიგარეტს. როგორც ჩანს, შეუძლებელია ყველა ჩვევის დავიწყებაო, – გაიფიქრა ნამბობით გამოფხიზლებულმა და გაოცებულმა ლუკამ. თავი ისევ ტეხდა, ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამს. ელოდებოდა. შეჰყურებდა ელეფთერის ჩაფიქრებულ სახეს, ნაადრევი ნაოჭებიც შეამჩნია თვალის უპეებთან. არაფერი უკითხავს, მოთმინებით ელოდებოდა.

ელეფთერი ისევ წამოდგა, მდუმარედ შემოუარა მაგიდას, შეჩერდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათებთან და დიდხანს დაჟინებით უცქერდა. მუდამ მომღიმარი ელეფთერის სახეზე ღიმილის ნაშთიც კი გამქრალიყო. შემობრუნდა და ლუკას მიმართა:

- რატომ არაფერს მეკითხები?
 - ლუკამ თავი წამოსწია და მოკლედ უპასუხა:
 - ველოდები დასასრულს.
- ტუჩმა ღიმილის კონტურები მოხაზა: – მაშ, მოისმინე აღსარება, მამაო!

* * *

შელანძღვული „შიგული 06“-ის მარკის ავტომანქანა ფრუტუ-ნით მოუყვებოდა გზას. საჭესთან ოცდაათიოდე წლის ულალთმიანი მამაკაცი იჯდა. გაუკაცრიელებულ გზატკეცილზე აქა-იქ თუ ჩაიქროლებდა ავტომობილი. ეს რა ჯაბახანა შემხვდა, ჩამყვება კი ბოლომდე? ხაშურის შესასვლელთან უცნაურფორმიან ადამიანთა ჯგუფი შეამჩნია. მოძრაობა შეანელა, ქამრიდან იარაღი ამოიღო, გადატენა და საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა. ხელი აუწიეს და ანიშნეს, მანქანა გაეჩერებინა. ეჲ, მანქანა ვარგოდეს და მე ვიცი, რასაც გავაჩერებდი. ახალგაზრდამ მოშორებით გააჩერა „შიგული“, იარაღი ისევ მოსინჯა, კარი გააღო და გადმოვიდა. კარი არ დაუკეტავს. შორიდან მიესალმა უცნაურად გამოწყობილ ახალგაზრდებს. ზოგს ჭუჭყან ჯინსის შარვალზე სამხედრო ფორმის ქურთუკი ეცვა, ზოგი ბათინკებით იყო, ზოგიც – ზონარშეუკრავი კედებით. საცოდავი შესახედავები იყვნენ და დაძაბულნი. სანადიროდ არიან გამოსული, – გაიფიქრა თავისითვის. სანამ რამეს ეტყოდნენ, თვითონ დაასწრო: რა გაგჭირვებიათ, ბიჭებო! ხომ არ შემიძლია, რამეში დაგეხმაროთ?

მერე მოჩვენებითი დარდიმანდობით, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, სიგარეტის ამოსალებად გულის ჯიბეს მისწვდა და იარაღიც გამოაჩინა.

– ხომ არ მოწევთ, ბიჭებო? – ჰკიოთხა და პასუხს არ დალიდებია, ისე მიაწოდა სიგარეტიანი კოლოფი. ბიჭებმა წინ წამოიწიეს. ერთმა – ორ ცალს ამოვიღებო, უთხრა. – დაიტოვთ, გქონდეთ, თქვენ უფრო დაგჭირდებათ, მე კიდევ ვიშოვიო, და მოჩვენებითი მზრუნველობით გადახედა. ბიჭებმა სიგარეტი გააბოლეს; დაძაბულობა ნელ-ნელა იმუხტებოდა, მხოლოდ კედებიანი იყურებოდა უნდოდ. ფერდაკარგულ თითებს მტკივნეულად უჭერდა ავტომატს. ხელი უკანკალებდა.

არ გაუვარდეს ამ დამთხვეულს, ყველაზე საშიში მშიშარა კაციაო, ფიქრობდა, – ყველა ქუჩაშია გამოყრილი. ნადირობის დროა, მაგრამ იციან კი ამ ფრაერებმა საქმის კეთებას შნო რომ

უნდა?! მფრთხალები არიან. სათანადო არც თავხედობა აქვთ
და არც სითამამე.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, შეაფასა რა სიტუაცია,
ინიციატივა თავის ხელში აიღო და როგორც მდგომარეობის
ბატონ-პატრონმა, მბრძანებლურად მიმართა:

– ბიჭებო! რომელი საძმოს წევრები ხართ?

იმათაც უპასუხეს:

– გელასი. გელასი!

ღიმილი მოერია სახეზე უდალთმიანს, თითქოს აკვნის
მეგობარი ყოფილიყო მისი და სიტუაციის კიდევ უფრო
დასათბობად ყველას ხელი ჩამოართვა. მერე ავტომატიანს
მიუბრუნდა და დამცინავად მიმართა:

– ბიჭო, რავა რჩოლია ხარივით მიყურებ, განიე იქით იარაღი,
მაგასთან თამაში არ შეიძლება, ეშმაკს არ სძინავს, მარცხი არ
მოგივიდეს და არ გაგივარდეს.

ზურგი შეაქცია და გულის ჯიბიდან რაღაც საბუთი ამოილო.
ავტომატიანი მაინც დაძაბული იყო.

– დაუშვი, ნიკა, დაუშვი, ჩვენიანი ყოფილა. – შეუძახეს
მეგობრებმა.

– მაინც რა გაგჭირვებიათ, ბიჭებო? – ახლა უკვე შინაურუ-
ლად მიმართა.

– ცოტა ბენზინი გვჭირდება. ტყუილად გვიგდია მანქანა.
მანქანებიც თითქმის არ დადის, რომ ვისმეს სთხოვო, – გაიღიმა
ერთმა მათგანმა ორაზროვნად და ხაზი გაუსვა თხოვნას.

შნო და მარიფათი უნდა ყველაფერს, უნდა მივცე, –
გაიფიქრა უდალთმიანმა. – რა იცი, რას მოიმოქმედებენ, რომ
დავიძრები. მათ კი მხიარულ ტონით მიმართა:

– რაზეა ბაზარი, ძმურად გავინაწილოთ, რამდენიმე ლიტრს
მოგცემთ, გადაუდებელი საქმისთვის მანქანაც კი შემიძ-
ლია დაგიტოვოთ და მეც გამოგყვეთ, მაგრამ მნიშვნელოვან
საქმეზე მაგვიანდება. – გულში კი ისევ გაიფიქრა, გზაზე ვინმეს
გადავაწყდები და ბენზინს როგორ ვერ ვიშოვიო.

გახარებულებმა ლამის გადაკოცნეს უდალთმიანი და
მანქანაში რომ ჯდებოდა, პატარა ფურცელი მისცეს, საშვის

მაგვარი, – რიკოთთანაც დაგხვდებიან, იქაც ჩვენი ბიჭები არიან, აჩვენე და ულაპარაკოდ გაგიშვებენო. ულალთმიანს არაფერი უთქვაშს, მხოლოდ გაიღიმა, მანქანა დაძრა და გზი დასავლეთისკენ აიღო. ბიჭები ხელის ქნევით დაემშვიდობნენ.

– ა, ბიჭო, კაცი. ეტყობა, ვიღაც მაგარია, უშიშარი, წარბიც კი არ შერხევია. ზოგი კი ჩვენთან შეხვედრისას იფსაშს. – ნაჩუქარ სიგარეტს მისწვდა, ასანთი გააჩხაკუნა და გააბოლა. – სად შოულობენ ნეტა? კარგა ხანია, ასეთი სიგარეტი არ მომიწევია. – და დაძრულ მანქანას თვალი გააყოლა.

– რა ვიცი, დაჯლრეული მანქანით კი დადის, – ეჭვიანობდა ისევ ნიკა.

– შესანილბავად ბიჭო, შესანილბავად. ამით შარსა და დავიდარებას იცილებს. ხო, მოისმინე, შემიძლია, მანქანაც დაგიტოვოო.

– რა ვიცი, რა ვიცი, – ეჭვის ჭია ღრწიდა მაინც ნიკას.

რიკოთის გვირაბთან მართლაც დახვდნენ ბიჭები. ხორხო-ცებდნენ, იგინებოდნენ და აბოლებდნენ. მათთან მსახიობობის თავი აღარ ჰქონდა. გელას საძმოს წევრების საშვი აჩვენა და მათაც დიდხანს არ შეუყოვნებიათ. ის იყო გვირაბში თავი შეჰყო, რომ ავტომატის ჯერი გაისმა. უსაქმურობისაგან არ იციან, რა გააკეთონ, ღლაბუცობენ, ერთობიან, – გაიფიქრა თავისთვის. მალე გვირაბს გასცდა და თავქვე დაეშვა. მოსახვევთან გაჩერებული ავტომანქანა შენიშნა, მიუახლოვდა. გაბზიალებული „გაზ-24“ იღგა. ნეტავ, აქამდე როგორ მოალწია. ამ მანქანაზე ხომ ნადირობაა გაჩაღებულიო.

მანქანის ხმაზე ავტომანქანიდან ჭალარათმიანი ასაკოვანი მამაკაცი გადმოვიდა და ხელი აუწია. ან თავზე ხელაღებული უნდა იყოს, ან ძალიან უნდა უჭირდეს, – გაიფიქრა უღალ-თმიანმა, თავისი „უიგული“ უკან მიუყენა „ვოლგას“ და ასაკოვან მამაკაცს მოწიწებით მიესალმა:

– რა გაგჭირვებიათ, პატივცემულოო, – და მისკენ გაემართა.

ასაკოვანმაც შემხვედრი ნაბიჯი გადმოდგა და ხელი გაუწოდა. რა ზრდილი და თავაზიანი ახალგაზრდაა, – გიფიქრა გულში.

— თუ ღმერთი გწამს, იქნებ დამეხმარო, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ასაკოვანი. — არ ვიცი, რა ეტაკა, ვერ ვქოქავ. ბევრი არაფერი ვიცი მანქანის, ოროდე წელია, რაც მყავს, იშვითად დავდივარ.

— ცუდი დროა ბიძია ძალიან ცუდი, არ უნდა გამოსულიყავი.

— ვიცი, ცუდი დროა, აქვე ვცხოვრობ სოფელში, დღეს დილით შემატყობინეს, შენი შვილი დაჭრესო, რაღაც გაუგებრობაში მოჰყვა.

— ნუ გეშინია, ბიძია, გული დაიმშვიდე, არაფერი მოუვა, ახალგაზრდა კაცის სხეული ყველაფერს გადაიტანს. — დაამშვიდა ასაკოვანი.

— შენს პირს შაქარი, შვილო. — იმედის სხივი გაუკრთა კაცს.

— მოდი, ერთი ვნახოთ, რა სჭირს შენს მანქანას.

ჟღალოთმიანმა მანქანაში შეიხედა. ახალივით იყო, მერე კაპოტი ასწია. შეამოწმა აკუმულატორი, კონტაქტები, სადენები, სანთლები, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო.

— ბიძა, მათხოვე გასაღები. — მერე ყასიდად ჰკითხა: — ბენზინი ხომ გისხია?

მოხუცს ჯერ გაელიმა, მერე ნაღვლიანად დასძინა: — შავი დღისთვის მქონდა გადანახული და ეს დღეც დადგა, სავსეა ავზი.

— ნუ გეშინია, ბიძავ, ყველაფერი კარგად იქნება, — ისევ დააიმედა ჟღალოთმიანმა. — ეტყობა, აკუმულატორია დამჯდარი. მოდი, ვცადოთ, რა გამოვა.

ჩაჯდა მანქანაში, გასაღები გადაატრიალა, მანქანას ჩქამიც არ გაულია. გადმოვიდა, ისევ გასინჯა აკუმულატორთან მიერთებული სადენები. ერთ მათგანს სუსტი კონტაქტი ჰქონდა. ეს წელან როგორ ვერ შევნიშნეო. კაპოტი ჩამოუშვა და მანქანაში ჩაჯდა. აბა, კიდევ ერთხელ ვცადოთო. მოხუცს სახე გაბადროდა, ეს რა ღვთისნიერი ახალგაზრდა შემახვედრა ბედმაო. მანქანა ჯიუტობდა. არ იქოქებოდა.

— როგორც ჩანს, მიწოლის გარეშე არაფერი გამოვა. მოდი, პატარა მომანექი. იქნებ დაგორებით დაგქოქოთ.

— ახლავე, ახლავე, — აფუცხუნდა მოხუცი.

– თავდალმართია, ბიძავ, სულ პატარა ბიძგია საჭირო.

ასაკოვანი მანქანას მიაწვა, მანქანაც გაგორდა და თანდათან მოუმატა სიჩქარეს. უღალთმიანმა სათანადო სიჩქარე შეარჩია, მერე გადაბმულობიდან ფეხი აიღო. მანქანამ ერთი ორი გაიფრუტუნა, შებორძიკედა და დაიქოქა.

– შენ აგაშენა ღმერთმა, სიხარულით წამოიძახა მოხუცმა,

– და ტაშიც კი შემოკრა. მანქანა კი სისწრაფეს უმატებდა და უმატებდა, მალე მოსახვევში მიიმალა და თვალსაწიერიდან გაქრა.

* * *

ლუკას სიმთვრალის არანაირი ნასახი აღარ ეტყობოდა, სრულიად გამოფხიზლებულიყო. ყურადღებით და ინტერესით უსმენდა. ელეფთერი კი დიდხანს ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, წრიალებდა, ბოლთას ცემდა, ხან ჩამოჯდებოდა, ხან ადგებოდა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა.

* * *

უღალთმიანი ზესტაფონს რომ მიუახლოვდა ხიდთან შეაჩერა მანქანა. გზაშივე მოიფიქრა შემდგომი ნაბიჯების შესახებ. საწვავი საკმაოდ ჰქონდა, მანქანაც გამართული იყო, ისედაც ცხინვალში იყო ჩასასვლელი მეგობრთან, რაღაც საქმეზე იბარებდა. მეტი უკეთესი მომენტი რაღა გინდაო, გადავალ ჭიათურით და სამ-ოთხ საათში ცხინვალში ვიქნებიო. მაგრამ მაინც ჭოჭმანობდა, აქამდე ვარ ჩამოსული, მოდი, ჩემს კეთილისმყოფელს ვნახავ და მერე გავაგრძელებ გზასო. მანქანა შემოაბრუნა და სოფლისაკენ გაუყვა გზას. ცოტა ხანში ისეთი თავსხმა წამოვიდა, საქარე მინის გამწმენდი გაჭირვებით ასრულებდა თავის მოვალეობას. წინ, მიმავალი ორი მგზავრი შენიშნა, ქალი და მამკაცი, მიუახლოვდა და მანქანა შეაჩერა. თავიდან ფეხებამდე გალუმპულიყვნენ და წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ. გადმოვიდა, უკანა კარი გამოალო და ორივენი მანქანაში შეიპატიჟა. მამაკაცმა თავი შეიკავა – ჩვენ აწი მაინც აღარაფერი გვეშველება, თქვენ კი მანქანას მოგისპობთო.

– რა დროს ეგ არის, დროზე ჩასხედით, სანამ წყალს არ წაუღისართ, – უთხრა ულალთმიანმა.

ორივენი მანქანაში ჩასხდნენ. ცოტა ხანში ტბა დაუდგათ ფეხებთან.

– ხომ გითხარი, მოგისპობთ მანქანას.

– თქვენ მაგაზე არ ინალვლოთ, მანქანას არაფერი მოუვა, თქვენ კი მგონი ფილტვების ანთება აგაცილეთ, – წამოიწყო მხიარულად. მეტი შინაურული ატმოსფეროს შესაქმნელად მოჩვენებითი პათეტიკით დაამატა: – „ოდესა კაცსა დაეჭირვოს...“

– და გალუმპული მგზავრები სარკეში კიდევ ერთხელ შეათვალიერა. ქალს სლავური იერი დაჰკრავდა, მომხიბვლელ პირისახეს კოხტა, უხილავი ხელმარჯვე ისტატისაგან გამოკოპნიავებული პატარა ყურები უმშვერებდა, რომლებზეც დავანებულ ისედაც მოციმციმე ბრილიანტის თვლებს წვიმის წვეთები კიდევ უფრო აციაგებდა. ხელჩანთა გაეხსნა და ცხვირსახოცით ნაზად იწმენდდა სახესა და თმას. მანქანაში ქალის თმის და სუნამოს გამაბრუებელი სურნელი დადგა... ულალთმიანმა ძლივს მოწყვიტა თვალი ქალს, გზაზე გადაიტანა მზერა და სიჩქარეს მოუმატა.

– გივი, სიკეთეს სიკეთით ვუპასუხოთ და ჩვენი კეთილის-მყოფელი სახლში შევიპატიუოთ, მანქანასაც მივხედავთ. ამხელა სიკეთე გაგვიკეთა და უპატივცემულოდ ხომ არ გავუშვებთ, – თქვა ურუანტელის მომგვრელი ღუღუნა ხმით ქალმა.

წვიმამ თანდათან იყლო, ცაზე ელვა გაიკლაკნა, რასაც გამაყრუებელი გრუხუნი მოჰყვა და მანქანა გვარიანად შეაზანზარა.

– რა ძალა აქვს ბუნებას და რამდენად უსუსურია ადამიანი მის წინაშე, – ჩამოვარდნილი დუმილის გასაფანტავად წარმო-თქვა გივიმ.

– აბა, აბა, ბუნება მბრძანებელიაო... რა დიდებულად აქვს ნათქვამი ვაჟას. – და გააგრძელა, – საქართველო არა-სოდეს განიცდიდა გენიოსების ნაკლებობას, მაგრამ ხალხი ვერ მიჰყვებოდა ყოველთვის და არც ესმოდა ბევრს მათი. გენიოსები დროს უსწრებენ და შორს იხედებიან. ხალხი კი ყოველდღიურო-

ბით არის დაკავებული, დღევანდელი დღით ცხოვრება ურჩევნიათ. წარმოგიდგენია, აკაკის შავი ქვის მადანი რომ ჩაეტანა ჭიათურიდან ზესტაფონში, გლეხებმა უარი უთხრეს ტვირთის თავიანთ მიწაზე გატარებისა და თანაც იმშელა ფული მოსთხოვეს, საერთოდ უარი თქვა ამ საქმეზე.

პატარა პაუზის მერე ისევ გააგრძელა:

– მგონი, სწორადაც მოიქცა, შეიძლება, გვყოლოდა საშუალო დონის ბიზნესმენი, მაგრამ რა პოეტს დავკარგავდით! მსოფლიო დონის პოეტს, რომელსაც ნობელის პრემიის კანდიდატობაც კი შესთავაზეს.

პატარა შეყოვნების შემდეგ კი სიცილით თქვა: ნამეტანი მოსაწყენი კი იქნებოდა ცხოვრება, ყველანი რომ გენიოსები ყოფილიყვნენ, ბიზნესმენობა კი დიდი თავის ტკივილია.

– მომიტევეთ, საუბარში რომ ვერევი, – განაზებული ღუღუნა ხმით წამოიწყო ქალმა, – მოგეხსენებათ, მამაკაცთა საზოგადოებაში უყურადღებოდ დატოვებულ ქალს მოეწყინება ხოლმე და რომ არ ჩამეძინოს და სირცხვილი არ ვჭამო, ქალური პირდაპირობით გკითხავთ, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

– ფიქალივით თეთრ სახეზე ტალღასავით გადაუარა სინითლემ ქალს.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, ვერაფერს უჩვეულოს ამაში მე ვერ ვხედავ. ის კი არა, მგონი დროა, გავეცნოთ ერთმანეთს. ჟღალობიანი თავისი სახელი უთხრა.

– ამ მომენტისათვის ჩემი პროფესია ბიზნესია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გამომდის. ხვალ რა იქნება, არ ვიცი, – ღიმილი არ შორდებოდა სახიდან ჟღალობიანს.

– თავდამბლობა კეთილშობილების ნიშანია, რომელიც ყველა სამკაულზე მეტად ამკობს ადამიანს, მე ირინე მქვია, – თქვა სახეშეფაკლულმა ქალმა. თან გაიფიქრა, ნეტავ, რა მემართება, რავა პატარა გოგოსავით ვწითლდებიო. – პროფესიით პედაგოგი ვარ, ქართულ ენა-ლიტერატურას ვასწავლიდი, ახლა დროებით უმუშევარი ვარ. თქვენც არანაკლებ განსწავლულობას ამჟღავნებთთ ლიტერატურის ცოდნაში. საინტერესო ფაქტები მოგვახსენეთ.

– ლიტერატურა ჩემი დიდი გატაცებაა, მიყვარს არა მარტო ქართული, უცხოურიც. ამ ბოლო დროს აპდაკება გამიტაცა, მომწონს მისი თხრობის მანერა და სითამამე.

– ჩემ შესახებ სახლში გიამბობთ. აი, მივუახლოვდით კიდეც,
– ჩაერია საუბარში გივი. – ხელმარცხნივ, რომ ორსართულიანი
სახლია, იქ უცხოვრობთ. დანარჩენი სუფრასთან ვისუბროთ,
უკეთ გავეცნოთ ერთმანეთს. მოგეხსენებათ, ღვინო ყოველგვარ
დაძაბულობას ხსნის. აი, მანდ გააჩერეთ, რკინის ჭიშკართან.

გივი მანქანიდან გადავიდა, ფართოდ გააღო კარი და უდალ-
თმიანი ეზოში შეიპატიუა. უდალთმიამნმა – მხოლოდ რამდენიმე
წუთით შემოვალ, მნიშვნელოვანი საქმე მაქვს მოსაგვარებელიო,
და მანქანა ეზოში შეიყვანა. გააჩერა, გადმოვიდა, სწრაფად
გაუღო კარი ირინეს და გადმოსვლაში დაეხმარა. ახლა უკვე
დაკვირვებულად და თამამად შეათვალიერა. შეათვალიერა
და გახევდა, განუწულ ქალს კაბა ისე შემოტმასნოდა ტანზე,
მთელი მისი ქალური მშვენიერება გამოემზიურებინა. თვალს
ვერ აშორებდა ქალის მაცდუნებელ სხეულს. დიდი ძალისხმევა
დასჭირდა, გვერდზე რომ გაეხედა. ქალმა შენიშნა კაცის
შეცბუნება, მკერდზე დაიხედა, სიცივისაგან წამოპერილ ძუძუს
თავებზე ხელი დაიფარა და აღელვებულმა წინკარს შეაფარა
თავი.

უდალთმიანი მანქანას მიყრდნობოდა. თვალი მოსწყვიტა
კოხტად მოვლილმა ეზო-კარმიდამომ. მოზრდილი ეზოს შუა-
გულში ქოლგასავით გაშლილიყო უზარმაზარი ცაცხვის ხე. მის
გარშემო საკმაოდ ტევადი მრგვალი მაგიდა იდგა – ეტყობა,
სტუმართმოყვარე ოჯახიაო, გაიფიქრა. ეზო სავსე იყო
სხვადასხვა სახეობის ხეხილით. ჭიშკრიდან ცაცხვის ხემდე
მოპეტონებული ბილიკის კიდეები თეთრად შეფეთქილი, ირიბად
დახრილი აგურებით იყო მოპირკეთებული. ბილიკის აქეთ-
აქით ნაირფერი ყვავილებით შემკული კოინდარი ხასხასებდა,
ყვავილებზე წვიმის წვეთები ცრემლებივით ეკიდა და მზის
ყოველ გამონათებაზე თვალისმომჭრელად ციალებდნენ. შორს,
ეზოს ბოლოში მოკრიახე ქათმებს მამალი დაფოფინებდა. იქვე
გაფხორილი ინდაურების მოზრდილი ჯგუფი ბალახს წინქნიდა

და ყოველ გაფაჩუნებაზე უსიამოდ ლოყლოყებდნენ. საიდლანაც გრძელებენვიანი მომცრო ზომის ძალლი გამოჩნდა. წვიმას ისე დაელაგებინა გრძელი ბეწვი, კარგ სტილიტსაც კი შეშურდებოდა. ეგ იყო, რომ თვალებზე ჩამოფხატული დაფანჩული ბეწვისთვის ვერაფერი მოეხერხებინა. საკვირველი იყო პირდაპირ, როგორ იხედებოდა. ძალლი ფეხებთან მიცუნცულდა და დაყინოსა.

— არ შეგეშინდეს, ძალლები სუნით იმახსოვრებენ, გაცნობის რიტუალია ერთგვარი, მომავალი მეგობრობის საწინდარი. ნეტავ, ძალლივით ერთგულება ადამიანებსაც შეეძლოთ, — თქვა სამზადისიდან გამოსულმა გივიმ.

— ერთგულება, მართლაც, შესანიშნავად იციან, მაგრამ როგორც ყველა ცხოველი, ინსტინქტების მონაა. საჭმლით იყიდებიან, — შეეპასუხა ჟღალთმიანი.

— საჭმლი და ნივთიერი ფუფუნება ისეთი ცდუნებაა, კაცთა მოდგმის დიდი ნაწილიც ევნება ხოლმე. მოდი, ნუ დავუკარგავთ, რაც დასაფასებელი აქვთ. კაცზე დიდი ბოროტების ჩადენა მაინც არ შეუძლიათ. ხომ ხედავ, რა დრო დადგა, ყოველგვარმა ფასეულობამ დაკარგა ფასი. პატიოსნება, კეთილმოსურნეობა და ზრდილობა სანთლით საძებარი გახდა.

— არც მთლად მასეა საქმე. შესაბამისი გარემოება ხდება ხოლმე ბიძგის მიმცემი მიძინებული მანკიერების წარმოსაჩენად და გასაღვიძებლად. იმ მანკიერებებისა, კაცთა მოდგმას პირველ შეცოდებიდან რომ მოჰყვება. პატიოსნება კარგი რამეა, მაგრამ სიბრიყვეში არ უნდა გადაგეზარდოს.

— საინტერესოდ მსჯელობს, — გაიფიქრა გივიმ.

ძალლი ჟღალთმიანის ფეხებს მოსწყდა, ყეფით შემოურბინა ეზოს და ენაგადმოგდებული მის ფეხებთან დადგა. კუდს აქიცინებდა და თან თვალებში შეჰყურებდა, თითქოს მისი აზრების ამოცნობას ცდილობდა.

— ხედავ, გაგიშინაურდა, თავისიანად გთვლის უკვე.

— ვაი, რომ ძალლებიც ცდებიან, — გულში გაივლო ჟღალთმიანმა. ამ დროს სახლის კარი გაილო და პარმალზე გამოსულმა ირინემ კაცები შინ შეიძატიუა. გივიმ ჟღალთმიანს

ახლობელივით მოუთათუნა პექებზე ხელი და სახლში შეუძლვა.

გამორჩეულად დასამახსოვრებელი მასპინძლობა გაუწიეს უდალთმიანს. თავს დაფოფინებდნენ, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს და ნაირ-ნაირ კერძებს სთავაზობდნენ. – არ მოგერიდოთ, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ ოჯახშიო, – უმეორებდნენ წამდაუწუმ.

უდალთმიანი თავაზიანად იღიმებოდა და ფიქრობდა: – ეს რა კარგი ოჯახი ჰქონია გივის, ტკბილად მოუბარი მამა, სათნო და კეთილი დიასახლისი. წეტავ, როგორ მოასწრეს ასე უცებ ასეთი სუფრის გაშლა.

– მამა, ამ ღვთისნიერმა კაცმა გადაგვარჩინა, – მიმართა მამამთილს რძალმა, – მანქანას დღეს სად ნახავ, კიდევ კარგი, ჩვენს ბედზე გამოჩნდა, თორემ ღმერთმა უწყის, რა დაგვემართებოდა. თან გზაც გაიმრუდა ჩვენი გულისათვის. – მადლიერების გრძნობას ვერ ფარავდა ძვირფასი სამკაულებით დახუნდლული სუფრის მშვენება, ატკრციალებული ირინე და მიბნედილ მონაცრისფრო თვალებს ელვასავით შეანათებდა ხოლმე სტუმარს, რომლის თვალები ხან ზომაზე მეტად ჩახსნილ საკინძეს ელაციცებოდა, ხან ნაზ და ფუმფულა თითებს.

– წეტავ თუ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც ქალს კეკლუცობას მოაშლევინებს. კიდევ კარგი, რომ არ არსებობს, – გაიფიქრა უდალთმიანმა. ცოტა ხნის შემდეგ სტუმარმა ბოდიში მოუხადა ოჯახის წევრებს, უდროობის გამო მეტს ვერ დავყოვნდები, აუცილებლად უნდა წავიდეო. ისე კი არ ეთმობოდა სუფრა და მისი მომზიდვლელი დიასახლისი. მაგრამ თვითონ არ დაუტოვა არჩევანი თავის თავს, ნათქვამი ჰქონდა, მეჩეარებაო. დამრიგებლის სიტყვებიც გაახსენდა – შენ უნიჭო არა ხარ, მაგრამ თუ ნიჭიერებას გონიერებას დააყოლებ, არ აჰყვები ემოციებს და სიტყვას მოუფრთხილდები, შეიძლება, შენგან კაცი გამოვიდესო.

– სხვა რა გზა გვაქვს, – გაიღიმა გივიმ, – მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კიდევ გვეწვევი.

სტუმარიც დაპირდა, აუცილებლად გეწვევითო. ირინემ მოიწყინა, არ ეთმობოდა სტუმარი. მისი წასვლის შემდეგ კი

ხმამაღლა განაცხადა, – როგორი საქმიანი კაცია, ზრდილი და თავაზიანი, რა დახვეწილი მანერები აქვს, მოერიდა და ზედ-მეტად აღარ შეგვაწუხა. აბა, ზოგიერთივით მომაბეზრებლად კი არ მოიქცა, სუფრიდან რომ ვერ მოგლეჭ.

მასპინძლის ოჯახს კარგა მანძილზე რომ გაშორდა, მანქანა გააჩერა. ფიქრობდა, შეევლო თავის დამრიგებელთან, თუ პირდაპირ ცხინვალში გადასულიყო. შინაარსიანი იღბლიანი დღე გამოვიდა. სანამ კარგი კარტი მოგდის, მანამ უნდა გააგრძელო თამაშიო. ბოლოს მაინც მისვლა გადაწყვიტა, მანქანა მოაბრუნა და დამრიგებლისკენ გასწია.

კარგად შეხვდა. გამოჰკითხა, როგორ მიდის პრაქტიკის საქმეებიო. ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ყურადღებით უსმენდა დამრიგებელი. ერთი-ორჯერ გაედიმა კიდეც. გივის ოჯახის შესახებ სიტყვა არ დასცდენია, თვითონაც უკვირდა, რატომ დაუმალა. წამოსვლისას კი დამრიგებელმა უთხრა: მიდი, ინადირე, სანამ ხელსაყრელი ამინდია, სულ ასე არ იქნება. ყნოსვა კარგი გაქვს, ამ პატარა საქმეებით გამოცდილებას შეიძენ, მე ჯერ შენგან არაფერი მინდა, მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. ფულის გემოს გაიგებ, გაერთე. სადაც ფულია, იქ ქალებიცაა. ქალები კარგი ინფორმატორები არიან. ნათქვამია, ვინც ინფორმაციას ფლობს, ის ყველაფერს ფლობსო. მოიძიე ინფორმატორები, ნუ დაგენანება მათზე ფული. ფულს დიდი ძალა აქვს, შეუძლებელს შეგაძლებინებს, ყველა სურვილს შეგისრულებს, ფული მიწიერი ღმერთია. მაგრამ გახსოვდეს, არსებობს დაუწერელი კანონები, რომელთა გადაბიჯებას საბედისწერო შედეგები მოჰყვება და მიწიერი ღმერთიც კი ვერ შველის. და კიდევ, ერთხელ და სამუდამოდ ჩაიჭედე თავში, არასოდეს გაგექცეს თვალი მეგობრის ცოლისკენ. ღალატი და ორპირობა უსასტიკესად ისჯება. წადი ახლა, ეგ მანქანა მოიშორე, წინ დიდი საქმეები გველის.

გასვლისას კი დაადევნა: მოწინააღმდეგეს ზურგი არასოდეს შეაქციო!

უღალთმიანმა მხოლოდ გამთენისას ჩააღწია ცხინვალში და ჯარის მეგობარს, ვოვა ჯიოევს, მიადგა სახლში. მიუხედა-

ვად რთული მდგომარეობისა, დიდებულად შეხვდნენ. ვოვას მეგობრებიც შეიკრიბნენ, კარგი პურიც ჭამეს, კარგადაც მოილხინეს. მოიგონეს ჯარის ამბები, ნაწილიდან გაპარვა და ღამის სხვა თავგადასავლები. მერე საქმეზეც გადავიდა.

— ვოვა! ტყუილად არ დამიბარებდი, ხომ იცი, არაფერზე დაგზარდები, რით შემიძლია, დაგეხმარო?

— შენთან დასამალი რა მაქვს. შავი ბიზნესი გვაქვს, სიგარეტი იქითაც გაგვაქვს, — ზურგს უკან გაიშვირა ხელი, — კი იცი შენ, რა მდგომარეობაც უნდა იყოს, ოჯახი თავისას ითხოვს. აქ დიდი მოთხოვნაა „ვაისროისზე“, აღარავის აქვს. დაგვეხმარე ჩამოტანაში.

უღალთმიანი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა, — ბაზარი არაა, ერთ კვირაში გექნებათ. მერე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან მივიდა, ეზოში გადაიხედა და სევდანარევი ხმით თქვა:

— ხომ არ იცი, რა ჩიტია ასე საწყალობლად რომ გალობს? ვოვას გაუკვირდა, რა დროს ჩიტიაო.

— არ ვიცი, ძმაო, ვერ ვერკევი ჩიტებში.

— თითქოს რაღაც დაკარგა, როგორ შეწუხებული დახტის ტოტიდან ტოტზე. — მცირე პაუზის შემდეგ მოშორდა ფანჯარას, ჩამოჯდა სკამზე, ჯიბიდან სიგარეტი ამოილო და სანამ მოუკიდებდა, ბიჭებს მიმართა: მეც მჭირდება თქვენი დახმარება.

ბიჭები ყურად იქცნენ. სანთებელამაც გაიკვესა, ღრმა ნაფაზი დაარტყა, დაკლაკნილ ბოლს თვალი გააყოლა და დინჯად გააგრძელა:

— ეს მანქანა მძიმე ტვირთად მაწევს, როგორმე უნდა მოვიშოროთ.

მეტი აღარ უსაუბრიათ და სახლიდან გავიდნენ. მთლად იოლიც არ გამოდგა მანქანის გაყიდვა, მაგრამ დღის ბოლოს-თვის ვოვას ახლობლების მეშვეობით ვიღაც ჩრდილოკავკასიელს მიასაღეს. კმაყოფილი იყო უღალთმიანი.

— სულ ვამბობ ხოლმე — არ არსებობს უსაშველო სიტუაცია, ჭკუა დამჯდარი კაცი გამოსავალს ყოველთვის იპოვის. ახლა

რაც შეეხება სიგარეტს, ფულს, თქვენ რომ მომეცით სიგარეტის-თვის, ჩემსასაც დავუმატებ, მოზრდილ პარტიას ჩამოგიტანთ, დაასაწყობეთ. ახლა ხომ ხედავთ, რა რია-რიაა, ეშმაკიც ვერ გაიგებს, რა მოუვათ თავში ტვინგახურებულ პოლიტიკოსებს.

მერე მოულოდნელად გადაიხარხარა, – იმედია, არ გა-დამაგდებთ და ჩემს კუთვნილსაც მომაწვდით. ბიჭებიც ახორხოცდნენ, აუცილებლად გადაგაგდებთ, ახლა მოსული პონტიაო. ერთმა მათგანმა, რომელიც გაუშინაურდა, უთხრა:

– იქნებ ერთ-ორი დღით კიდევ დარჩენილიყავი, კარგ დღოს გავატარებთ, ღვინო კარგი გვაქვს და არც გოგოების ნაკლებობას განვიცდით.

– არ არის ახლა მაგის დრო, – წარბშეკვრით თქვა ვოვამ.

სტუმარმა კი უპასუხა: ჩემო მეგობარო, არსებობს ქვების შეგროვების დრო და ქვების სროლის დრო. – გაიგეს თუ არა ნათქვამის მნიშვნელობა, ამაზე არც უფიქრია, გამოემშვიდობა მასპინძლებს. ბიჭებმა სტუმარი გამოაცილეს და თბილისისკენ მიმავალ ნაცნობ მძლოლს გააყოლეს.

კარგა დაბნელებული იყო, უდალთმიანი ქალაქში რომ შევიდა. თალხით შემოსილი აჩონჩხილი კორპუსები უნდოდ და ნაღვლიანად გამოიყურებოდა. მორიგეობით ინთებოდა ქალაქის უბნები. მხოლოდ სამთავრობო დაწესებულებები, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია და მთავმინდის ანძა ანათებდა მუდმივად. უშუქობით განამებული მოქალაქები, როგორც მაშველ რგოლს, ისე ჩამოკიდებოდნენ რკინიგზის საზს. ელექტრო-სადენები გორდიას კვანძივით აბურდულიყო რკინიგზასა და კორპუსებს შორის. აბა, რას ვამბობდი, მოხერხებული კაცი გამოსავალს ყოველთვის იპოვის-მეთქი. ბნელოდა ქალაქში და ბნელოდა კაცთა გულებში. პარვისა და ტაცების დრო დამდაგარიყო. იპარავდა ყველა, ვისაც როგორ შეეძლო. ქვების შეგროვების ხანა იდგა, რომელიც შესაფერის დროს უზნეობის სეტყვად დააცხრებოდა საზოგადოებას. კაპიკებად შეგეძლო დიდალი ქონების მოხვეჭა. მოხერხებული და სინდისთან მწყრალი, ცხვრის ქურქში გახვეული, გაქნილი და თვალთმაქცი ინდივიდები ჩალის ფასად იძენდნენ ხალხის ქონებას. პარვის

მასშტაბები ხომ პირდაპირპროპორციულია გაქანების ამპლიტუდასთან. ფულს სუნი არა აქვსო, მორალი კი ვიღას ახსოვდა. და მერე, როცა სითახსირის ვწებები შეინიღბება, ეს თაღლითები, მყვლეფავები და მათი შთამომავლობა ზნეობრიობის მამად მოევლინებიან საზოგადოებას. და არც უღალთმიანი ცდილობდა, ჩამორჩენოდა დროს.

მერია და მომიჯნავე ქუჩები მუდმივად განათებული იყო. უღალთმიანი ტაბიძის ქუჩას მიუყვებოდა და ირგვლივ ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. ბიძამისის სახლამდეცოტაღა იყო დარჩენილი, როცა ქუჩის კუთხეში მოზრდილი ზომის სუპერმარკეტმა მიიქცია ყურადღება. შეჩერდა. შეხედა განათებულ აპრას, რომელზეც მოციმციმე სტრიქონები დასრიალებდნენ. აა, შემოდის ევროპა ბრჭყვიალებით. გაელიმა, ადრე მოწესრიგებულ მაღაზიებს უნივერსამი ან გასტრონომი ეწერა, ახლა კი – სუპერმარკეტი. სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი შინაარსია, ჩემო ძმაო. მოდი, ერთი შევიხედავ, რა სუპერმარკეტიაო.

ჩვეულებრივი მაღაზია იყო, საკმაო მოცულობის და ლამაზად ჩანიკნიკებული პროდუქტებით. გაუკვირდა პროდუქტების სიუხვე. გვიანი იყო, კლიენტებიც არსად ჩანდნენ. მაღაზიის შესასვლელიდან მარჯვენა კუთხეში რამდენიმე მაგიდა იდგა, ალბათ, მსუბუქი სადილისათვის. გაიფიქრა, – გვიანია, რატომ შევანუხო ბიძაჩემის ოჯახი, აქვე წავიხემსებო. ფული იმდენი ჰქონდა, ჯიბეს უწვავდა. უღალთმიანის ყურადღება ზორბა ტანის ქალმა მიიქცია. საკმაოდ მაღალმა, ძვალმსხვილმა და ხორციანმა, რომ მოინდომოს, ალბათ, ერთ-ორ კაცს გალახავსო, მიუახლოვდა და მიესალმა. ქალმა ეჭვიანი თვალებით გამოხედა, – რით შემიძლია, გემასახუროთ, ახალგაზრდავ?

– წახემსება მინდა, თუ გაქვთ რაიმე ხარისხიანი. – მერე ვიტრინებს შეავლო თვალი, – მაგალითად, შამპანური, ლამაზი ეტიკეტი კი აქვს მაგრამ თუ არ გასინჯე, ვერ გაიგებ, შიგ რა ასხია. ხომ ასეა? „ბამბანერკაც“ უცხოური ჩანს, ესე იგი, საუცხოოა, მაგარი დატვირთვა აქვს ამ სიტყვას, და სხვა წვრილმანი ნუგბარი თქვენი გემოვნებით, ფასს მნიშვნელობა

არ აქვს. ნამგზავრი ვარ, გვიანია და მერიდება ახლობლების შეწუხება. საკმაოდ გრძელი წინადადება კი გამომივიდა, – ღიმილად იქცა კლიენტი.

ქალმა მსხვილი, კუპრივით შავი წარბები მაღლა აზიდა და უკმეხი სახით უპასუხა:

– რატომ გვაყენებ, ბატონო, შერაცხყოფას, ჩვენ ყველაფერი ხარისხიანი გვაქვს.

ისემც თქვენ რა გითხარით, ათასი უხარისხო ვითომ ჰუმანიტარული პროდუქტით გაივსო ქვეყანა, – გაიფიქრა უღალთმიანმა, ხმამაღლა კი თქვა: – მე, ქალბატონო, გამორჩეულად ხარისხიანი მინდა, გა-მო- რჩე-ულ-ად. მოგეხსენებათ, ყველაფერი შედარებითა.

– ეკა! – დაიძახა ზორბამ, – საპატიო სტუმარი გვყავს, მიაქციე გამორჩეულად კარგი ყურადღება.

გამორჩეულს ცინიზმით გაუსვა ხაზი, თან გაიფიქრა, – მე შენ გაჩვენებ ხარისხიანს, იშოვიან ორ კაპიკს და იტყლარჭებიან. ფული იშოვე, ბიჭო?! და არ იცი, რა მოუხერხო? გაწუხებს და გამძიმებს? ახლავე ვუმკურნალებთ შენს სატკივარს.

მაღაზიის სიღრმიდან საშუალო სიმაღლის შავგვრემანი, ყელმოლერებული ეშხიანი გოგონა გამოცერიალდა.

– ეკა, მიართვი ამ ახალგაზრდას ყველაფერი საუკეთესო.

კლიენტი სახეში შეცქერდა გოგონას, გადაღლილი სახე ჰქონდა ეკას, სამუშაო დრო მთავრდებოდა, სახლში წასვლას აპირებდა და მაიცდამაინც არ სიამოვნებდა გვიანი სტუმარი. მაგრამ რა ექნა, მოჩვენებითი მხიარულებით უთხრა, – ახლავე მოგართმევთ ყველაფერს. მალე სუფრაც გაიშალა, კლიენტი შამპანურს დასწვდა, ფრთხილად გახსნა და ჭიქაში ჩაასხა მშეფარე სითხე. ჭიქა ტუჩთან მიიტანა და სანამ დალევდა, ზორბას მიმართა, – თუ თავხედობაში არ ჩამომართმევთ, იქნებ მობრძანდეთ, მარტო მიჭირს დალევა. მოგეხსენებათ, მარტო ღვინოს მხოლოდ ლოთები სვამენ.

რა ნაგლი ვიღაცაა, რატომაც არა, – თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილო. თავხედობას თუ თავხედობით არ უპასუხე, დაგასხდებიან თავზე. შენნაირებიც გვინახავს, ბიჭო! ვნახოთ

ერთი, რა ჩიტი ხარ. კარგი, ვითამაშებ შენი წესებით, ვნახოთ, სარგებელი ვის დარჩება, – გაიფიქრა ზორბამ და ტანის რხევით მიუახლოვდა კლიენტს, თან ეკას გასძახა:

– ეკა, შენც მოდი, ჩვენც ხალხი ვართ, დღის ბოლოა, გართობა უნდა კაცს, ნუ გავუტეხავთ. ხანდახან შეიძლება პატარა მოშვება.

დედა, ბიჭო! ქალია თუ დევქალი! ამას ორი კაციც ვერ დაიურვებს, – მაცდური აზრი გაუჩნდა კლიენტს, – ისე კი მოსინჯავდა კაცი მასთან ჭიდაობას.

– ჩვენი გაცნობისა იყოს, – ნამოიწყო ჟლალთმიანმა, – მოგეხსენებათ, ახალი ნაცნობობა რაღაც ურთიერთობის საწინდარია, – ცოტა დაყოვნდა და იდუმალებით მოსილი ზღვასავით უძირო თვალები მიანათა ქალს.

ქალს შეაურულა – ღმერთო, რა თვალები აქვს.

– გაგვიმარჯოს, – თქვა მოსხლეტილმა და შამპანური მოსვა, მეორე ჭიქის შემდეგ ეკა ადგა, მაღაზიაში შემოსულ კლიენტს მოემსახურა და მერე მაგიდასთან აღარც მისულა. ზორბა კი ბოლომდე სვამდა, უჩვეულოდ დაძაბულად გრძნობდა თავს, გაორებულიყო, რაღაც აფრთხობდა, ხან მოეშვებოდა და სითბო დაუვლიდა სხეულში, ხან კი ჯანყი – წამიერი სისუსტის გამო. ამ დროს ენაკვიმატობდა და ცინიკოსობდა. ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. ზორბა ფიქრობდა, ამას, მგონი, ჩემი გამოთრობა უნდა, ვერ მოგართვეს, ყმანილო, ვნახოთ, ვინ ვის გადაყლაპავს. მაგრამ ამჩნევდა, რომ წადილს ძალა არ მოჰყვებოდა. კლიენტი კი ფიქრობდა, ვიღაც მაგარი შებერტყილი მამალი ქალია, მგონი, ღირსეული მოწინააღმდეგე. დიდხანს ზვერეს ერთმანეთი, ისაუბრეს, თითქოს გაშინაურდნენ კიდეც. კლიენტს რაც აინტერესებდა, მაინც გამოსცინცლა ზორბას. ბევრ სიკეთესთან ერთად ღვინო გრძნობების ამშლელიცაა და პატივმოყვარეობის წარმომჩენებიც, თავმდაბლობის მტერი, ამპარტავნობის აღმზევებელი და ყველა ბარიერის დამანგრეველი. კარგი მუშაობა ჰქონიათ და გვარიანი შემოსავალი. ეს, ვითომ სხვათაშორის, ტრაბახით თქვა ზორბამ.

მერე რამდენიმე კაცის სახელიც დაასახელა, აქაოდა, მარტო არ გეგონო, პატრონი მეც მყავსო.

– „სტუმარო დილით ოქრო ხარ, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტას დააგვიანებ, სპილენძად გადაიქცევი“, – წამოიწყო კლიენტმა საამო ხმით, – უზომოდ მიყვარს ხალხური ლექსები, დიდი სიბრძნეა მათში. მართალია, მე კლიენტი ვარ, მაგრამ სანამ სპილენძად გადავიქცევი, დროა დაგტოვოთ. გმადღობთ დიდსულოვნებისა და მოთმინებისათვის, ძალიან მომწონს აქაურობა, მაღალი პროფესიონალიზმი და დახვეწილი გემოვნება იგრძნობა ყველაფერში, რაც თქვენი დამსახურებაა, ქალბატონო, – მიმართა ზორბას.

ქება ყველს სიამოვნებს და არც ზორბა იყო გამონაკლისი. სახე შეეფაკლა ქალს. გაუკვირდა კლიენტს, ცივსისხლიანი მეგონა, ამას კი განითლებაც შესძლებიაო.

– დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა არ იქნება, უსათუოდ გეწვევით, ახლა კი ანგარიში, – და ჯიბისკენ წაილო ხელი, – რამდენია ჩემზე?

– ბატონო, ხარისხიანი ყველაფერი ძვირია, – გაიღიმა ზორბამ და დანახარჯზე უფრო მეტი უთხრა.

კლიენტი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ არ შეიმჩნია, გაიღიმა და ერთი იმდენი კიდევ დაუმატა. ინფორმაცია ფული ღირსო, – გაახსენდა დამრიგებელი. – ეს ამდენ ხანს რომ შეგაყოვნეთო.

კლიენტი რომ გააცილეს, ზორბა ეკას მიუბრუნდა:

– ვითომ შემთხვევით შემოვიდა? ხომ არ დაგვზვერა, არეული დროა.

– რა ვიცი, რა მოგახსენო, სიტყვა-პასუხი კარგი აქვს, ჩაცმულიც შესანიშნავია, ეტყობა, არც უფულობას უჩივის, დაკვირვებულიცაა და ყურადღებიანიც. ბოდიში მომიხადა, დაგღალეო და დასვენება არ განყენდაო. ალბათ, რაიმე კარგ საქმეშია ჩართული. – უპასუხა ეკამ.

– ვნახოთ, ვნახოთ, მე კი რატომლაც მგონია, რომ თამა-შობს. კიდევ გეწვევითო. ისე მეც საინტერესო პიროვნებად მომერვენა, – ფიქრიანად თქვა ზორბამ და ძლივს დაიმშვიდა ურულატანილი სხეული.

იმ დღის მერე ჟღალთმიანი, როცა ბიძამისთან მიდიოდა, ჯერ სუპერმარკეტში შეივლიდა. დაუახლოვდა თანამშრომლებს, ყველას სუფრასთან ეპატიუებოდა და ფულსაც გვარიანად ხარჯავდა. გაეცნო, როგორც ბიზნესმენი. ქალალდის ბიზნესი მაქვსო, ამბობდა. ჯერჯერობით ვკონტაქტობ მხოლოდ თურქეთთან და თუ სათანადო მარიფათი და ფხა გამოვიჩინე, მნარმოებელ ქვეყნებზე გავალ – პირველ ხელზე, რითაც პროდუქციის თვითლირებულება შემიმცირდება, რაც ფასზე იმოქმედებს და ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა მექნება. ბიზნესი ემოციებთან მწყრალად არის, ცივსისხლიანობაა საჭირო, მოსწრებაზეა ყველაფერი, თუ დააყოვნებ, სხვა დაგასწრებს. შეჯიბრია ერთგვარი, აზარტი, გამოწვევა, შენი უნარისა და შესაძლებლობების გამომავლინებელი და საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელიო. მეტნაკლებად ბიზნესი გარკვეულ წილად თავის ტკივილიცაა, მაგრამ წარმატებასაც დიდი სიხარული მოაქვსო. საზოგადოებისთვისაც სასარგებლო პიროვნებად გაქცევსო. ქალალდის ბიზნესს დიდი მომავალი აქვს, ქალალდის გარეშე ხომ ვერც ერთი უწყება ვერ იარსებებს. ის კი არა, პერსპექტივაში დიდი სურვილი მაქვს, დასავლეთში იქნებ ევკალიპტის პლანტაცია გავაშენო, მალე იზრდება და ხარისხიან პროდუქციას იძლევა. მოკლედ, ქალალდის ადგილობრივ წარმოებას უნდა მივყოხელიო.

ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მისვლა თუ დაუგვიანდებოდა, მოისაკლისებდნენ, – სად დაგვეკარგა ჩვენი კეთილისმყოფელი ბიზნესმენიო. მაგრამ მისი ყურადღება ყველაზე მეტად მაინც ზორბასკენ იყო მიმართული, ქათინაურების სიუხვით ქალს სინითლეს გვრიდა, რომელიც აკვირვებდა. ერთი-ორჯერ ფულითაც დაეხმარა პროდუქტების შეძენაში. სასიამოვნო და არა მომაბეზრებელმა ყურადღებამ, თავდამბლობამ, ხელგაშლილობამ, ტკბილისტყვაობამ, რომელიც ქვასაც კი დაადნობს, მისი სხეულის შეფარვით ლაციცმა, ყველა ეჭვები გაუფანტა ქალს და იმდენად მოიხიბლა, თავიც დაკარგა და სარეცელიც გაიყო მასთან. და მგონი, შეუყვარდა

კიდეც. მუდმივად ვწეპადაუკმაყოფილებელი უღალთმიანმა ნამდვილ ქალად აქცია. გაიღვიძა ქალურობის ყველა საწყისმა და უინაშლილი სულ სარეცლისკენ ექაჩებოდა. ყურადღებაც მოუდუნდა. თანამშრომლებს რას გამოაპარებ. მუდმივად გალიზიანებული, კოპებშეერული და ცინიკოსი ქალი ყურადღებიან, მიმტევებელ და ალერსიან არსებად იქცა. სულ იღიმებოდა და საოცრად განაზდა. თვალებში სხივი ჩაუდგა, თითქოს მოციმციმე ვარსკვლავებს დაევანათ მათში.

მორიგი სუფრობისას მაღაზიაში უღალთმიანის ბიძა შემოვიდა.

– ბიძია, თუ რამე გინდოდა, გეთქვა ჩემთვის და მოგიტანდი, – ფეხზე წამოდგა და სუფრასთან მიიპატიუა. – გაიცანით ბიძაჩემი, ჩემი დამრიგებელი და უსაყვარლესი კაცი. სწავლით კი მასწავლის, მაგრამ ჩემს გაუყებულ ტვინს ყოველთვის ნაყოფი არ გამოაქვს, – ახარხარდა უღალთმიანი და ბიძამისს ბეჭებზე ხელი მოუთათუნა. – ჩამოჯექი, შე კაცო, არ იჩქარო, ახლა მაინც ხარ თავისუფალი.

ბიძამისი ჩამოჯდა და გაკვირვებული ათვალიერებდა სუფრას. სასმისი შეუვსეს, დაგვლოცეთო. ფეხზე წამოდგა ლამაზი სახის ჭალარა კაცი, სუფრას გადახედა და დაილოცა. რამდენიმე ჭიქის შედეგ თავდაპირველი უხერხულობა მოეხსნა. უკვირდა, როგორ თვალში შესციცინებდნენ მის დისშვილს და ღიმმორეულმა მიმართა შეკრებილთ:

– წამეტანი ნუ დაუახლოვდებით და ენდობით ამ ყმანვილს, ღვთის პირიდან გადავარდნილია და ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებული. არაფერი მოგატყუოთ და გავნოთ. – პატარა პაუზის შემდეგ მხრებანეულმა ფიქრიანი სახით გააგრძელა, – მომკალით და მაგის გაკეთებული საქმე, ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ არ მინახავს.

სუფრის წევრებმა გულიანად გაიცინეს.

– რას ბრძანებთ, ბატონო! წათქვამია – ადამიანის სანთელი თვალიაო, მაგი მარტო თავისი კი არა, ჩვენი სანთელიცაა. მაგის ზღვასავით უძირო და შინაარსიანი თვალები მთელ სხეულს ანათებს და მისხალს არ ტოვებს დაეჭვებისას. ყველა წყაროზე კამკამაა, ნეტავ, ჩემთვისაც მოეცა ღმერთს ასეთი თვალები. –

ნალველი გაუკრთა ხმაში ეკას, – ქალი ვარ, რაც უნდა იყოს. მერე გენახათ სხვა ქალების შურიანი მზერა. ასეთი ზნეკეთილი და ზრდილი ახალგაზრდა ღმერთმა ნუ გამოგვილიოს. თილისმა-სავით არის ჩვენთვის, – შურნარევი მზერა შეავლო ზორ-ბას და მიაყოლა, – რაც დაგვიახლოვდა, მას მერე კლიენტა რაოდენობა გაორმაგდა. ის კი არა, უნდა ვთხოვოთ, დილით სანამ საქმეზე წავა, ჯერ ჩვენთან შემოიაროს, ოქროს ფეხები აქვს, ილბლიანი, – ისევ შურით გახედა ზორბას, ამ ძონძროხამ როგორ მაჯობაო.

გაუკვირდა ბიძას, მართლა ჩემს დისშვილზე ამბობს ამას თუ სხვაზეო, და შეფიქრიანებულმა თქვა: ღმერთმა ქნას, ყველა-ფერი მასე იყოს, მაგრამ მე ჩემი გითხარით, გაგაფრთხილეთ, ისე კი თქვენი საქმისა თქვენ იცით.

მერე დისშვილს ხუმრობით მუჯლუგუნი წაკრა და ჰკითხა, – მაინც რით დაუბრმავე ამ ხალხს თვალიო.

ცოტა ხანში ფეხზე წამოდგა: ახალგაზრდებო, მე დაგტო-ვებთ, კიდევ ერთხელ გადლეგრძელებთ და მშვიდობას გისურვებთ.

ზორბას არ გამოპარვია ეკას მიბრნედილი თვალის უუუნი. უყურე შენ, რა ცეცხლი მოსდებია, ფრთხილად, გოგონა, არ დაინვა, არაფერი შეგეშალოს. ისე ბიძამისიც კაი ხუმარა ყოფილა – არაფერი მოგატყუოსო, და სიყვარულით შეავლო თვალი ულალთმიანს.

როცა ლხინი მიიწურა, დაიშალნენ და ქუჩაში გამოვიდნენ. ულალთმიანმა ზორბას ხელი გადახვია და ჩასჩურჩულა, თითქოსდა ვინმე უსმენდათ:

– მე რამდენიმე დღე არ ვიქნები, თურქეთში მივდივარ საქმის მოსაგვარებლად. გააგრძელე საქმიანობა, ჭუუა და გონება არ გაკლია. არ შეგეშინდეს, ზედმეტად არავინ შეგანუხებს. ამაღამ შენთან დავრჩები, შენებურად მომიმზადე ყველაფერი, დილით კი სისხამზე გავემგზავრები. და კიდევ, რალაც უნდა გთხოვო. საერთოდ, ჭირივით მეზარება, ვინმეს რამეს რომ ვთხოვ, გაცემა უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მაგრამ ამჯერად შენი დახმარება მჭირდება. ხომ იცი, რა დროა, ტაციაობაა გზებზე, განსკუთრებით გურიის მხარეს, საჭირო ხალხი უნდა ჩავრიო და

დამატებითი თანხა დამჭირდება. საქონელი უნდა მოვიმარაგო. დროებით უნდა მათხოვო, რაც გაქვს გადანახული, იცოდე, არ დაგეკარგება, პროცენტით დაგიბრუნებ, – და ძალუმად მიეკრა.

ქალს ხმა არ ამოულია, შეჩერდა, შემობრუნდა და უღალ-თმიანს თვალებში ჩახედა, რომელიც ლამპიონის მკრთალ შუეზე უმანკო ბავშვივით უციმციმებდა. გაიფიქრა, სიცოცხლე რომ მთხოვო, იმასაც მოგცემო. ვატყობ, ეს თვალები ბედისწერად მექცევაო, და გრძნობამორეული მოეხვია. ბაგე ბაგეს მიაგება და ვნებამორეულმა ჩასჩურჩულა: ჩენი ქონება რამ გაყოო. ის დღე იყო და ის დღე, უღალთმიანი თვალსაწიერიდან გაქრა.

* * *

სამხრობისას წვიმამ ისევ წამოუშინა. უკვე მერამდენედ, – ბუზღუნებდა გივი. მიატოვა მსხლის ნერგის შემოთოხნა და წინკარს შეაფარა თავი. – ორი წლის წინ დავრგე და უკვე ნაყოფიც მომცა, – ჩამოეყრდნო თოხზე, სიყვარულით გადახედა ეზო-კარმიდამოს და ფიქრებს მიეცა: შენ გაუგებ ბუნებას? ვერც ვერავინ გაუგებს, როცა საჭირო იყო, მაშინ წვეთი არ გადმოუგდია, კინალამ გაახმო ყველაფერი, ეზო კი გადავარჩინე, მაგრამ მარტო ეზო რას შველის. ქვედა მიწის ნაჭერს უჭირს ძალიან, ნაგვიანები კია მარა, იქნებ სიმინდი გადარჩეს. წყალი რომ უდგებოდეს, მოგეცა ლხენა. დაილოცოს, ღმერთო, შენი განგებულობა, წყალი სიცოცხლეა, წყალობაც აქედან მოდის ალბათ. დროს ბრალია თუ სხვა რამის, არ ვიცი, გამკვირვებია პირდაპირ, როგორ ტოვებენ მამაპაპისეულ სახლ-კარს, აქ ხომ ყველაფერი მშობლიურია. ისიც კი მახსოვს, ბავშვობაში რამდენჯერ დავცემულვარ. ჩემი პატარა ბუხარი მირჩევნია ყველაზე დიდ ქალაქს.

ფიქრიდან მანქანის სიგნალმა გამოიყვანა. თოხი საწვიმარ ღარს მიუმარჯვა და თავშიშველი ჭიშკრისკენ გაემართა. კარი გააღო. კართან უცხოური მარკის მანქანა იდგა. გაუკვირდა, ნეტავ, ვინ უნდა იყოსო. სანამ მიუხლოვდებოდა, მანქანის კარი გაიღო, მოხდენილი ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა, ღიმილით წამოვიდა გივისკენ და ახლობელივით გადაეხვია.

— მგონი, ველარ მიცანი, — მხიარულად წარმოთქვა უღალ-თმიანმა. ოდნავ შემცბარმა გივიმ დაკვირვებით შეათვალიერა უცნობი და თვითონაც გაელიმა, მერე ხელები დაიფერთხა, შარვალზეც კი გაისვა და ისე ჩამოართვა ხელი.

— სად დაგვეკარგე, კაცო. აკი შემოგივლითო, თუ მაინცდა-მაინც წვიმას ელოდებოდით. ეს ორი დღეა დროგამოშვებით ცრის. გადაიღებს — მოწვიმს, გადაიღებს — მოწვიმს, თავი მოგვაძეზრა. აა, გადაიღო კიდევ, მგონი, თქვენი მოსვლა გაუხარდა. ხედავ, მზემაც მონატრებულივით გადმოგვხედა, — თქვა გახალისებულმა. — ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, ხომ არაფერი ენყინა-მეთქი. მერე შეფუცხუნდა, — ვნახე რა მეც სალაპარაკო ადგილი. რას ვდგავართ კარში, ახლავე გავაღებ, შემოიყვანე მანქანა.

გივი შებრუნდა და ეზოს კარი ფართოდ გააღო. ცინცხალი მანქანა ეზოში შემოსრიალდა.

— რაო, რას ამბობდა ქალი? — დანა დამივარდა, აუცილებ-ლად სტუმარი გვეწევევაო. ეძახე შენ ცრურწენა, კი გამართლდა და. ირინე, გამოდი, ნახე ერთი, ვინ გვეწვია.

კარმა გაიჭრიალა, გულზე მოხვდა გივის ჭრიალი, — ვერ იქნა და ეს კარი ველარ დავზეთეო. პარმალზე გამოსული, შილი-ფად ჩაცმული ირინე უღალთმიანს შეეფეთა, რომელსაც ღიმილი არ შორდებოდა სახიდან.

— უიო! — შეჰკივლა ქალმა და ისევ სახლში შევარდა. გივი და უღალთმიანი დიდი ხნის ნაცნობებივით ნება-ნება საუბრობდნენ და ტაატით მიუყვებოდნენ ეზოს სიღრმეში მიმავალ ბილიკს.

— აქამდეც მინდოდა თქვენთან მოსვლა, — თითქოს თავი იმართლა სტუმარმა, — მაგრამ ვერ მოვახერხე, სულ გადარ-ბენაზე. ვარ დღეს აქ, ხვალ იქ, კარგი მარათონელივით სულ დავრბივარ. დრო ცოტა აქვს ადამიანს, მოსწრებაზეა ამ წუთი-სოფელში ყველაფერი. — მასპინძელს მეგობარივით გამოსდო ხელი, — სულაც არ მინდა, ჩემს საქმეებზე საუბრით მოგაბეზრო თავი, რა დროს საქმეზე საუბარია, აქ ისეთი გარემოა, შეიძლება, ხანდახან მოწყდე მიწერს, — თქვა მხიარულად. — ისე, კი, — წამით შეჩერდა, ზეცას ახედა, მერე გარემოს შემოუარა მზერით

და განაგრძო, – მხოლოდ ხანდახან, ჩემო გივი, მხოლოდ ხანდახან, რადგანაც მიწის შვილები ვართ და რამდენიც არ უნდა ვიყუროთ ზეცაში, მიწისაგან მოზელილი მაინც მიწისაკენ ვართ მიღდეკილი. – ისევ შეყოვნდა და თითქმის ჩურჩულით თქვა: – „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“. დიდებულად არის ნათქვამი, ერთი მოხდენილი ფრაზითაც კი შეიძლება, შემორჩეს კაცი ისტორიას.

უღალთმიანი ოდნავ ჩამოშორდა მასპინძელს, ფეხი მოინაცვლა, გახედა აყვავებულ ვარდის ბუჩქს და სწრაფად თქვა:

– მგონი, გავუტიე, ჯობია, ასეთ თემებზე სხვა დროს ვისაუბროთ.

გივის არაფერი უთქვამს.

– გივი ბატონი! დღემდე ვერ გამოვსულვარ შთაბეჭდილებებიდან, რა დაუკინყარი საღამო მომიწყვეთ მაშინ, მთელი ჩემი ცხოვრება არ დამავიწყდება. ასეთ მოკლე დროში, კაცო, ასეთ მოკლე დროში, დღემდე ვერ ვმალავ განცვიფრებას, მომკალი და ასეთი განყობილი სუფრა არსად შემხვედრია. ბარაქიანი ოჯახი გაქვს, გივი, ბარაქიანი და ღმერთმა ნუ მოგიშალოს.

– კარგი, კაცო, – თავი დალუნა გივიმ, დაიმორცხვა, – რა საღამო, ერთი ჩვეულებრივი ვაბშამი იყო.

ამასობაში ირინეც გამოვიდა ბავშვთან ერთად მოწესრიგებული, კეკლუცი და მომხიბვლელი, სახეგაცისკროვნებული მიუახლოვდა უღალთმიანს და მიესალმა, თან თბილი, საყვედუნარევი ღულუნა ხმით იგივე გაიმეორა, რაც გივიმ, – რატომ დაგვივიწყეო.

უღალთმიანს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ყურადღება დედასავით ლამაზ ხუთიოდე წლის ბიჭს მიაპყრო, რომელიც დედის კაბას ისე ჩაფრენოდა, თითქოს ვინმე მის წართმევას აპირებდა. პატარა ცნობისმოყვარეობით უცქერდა სტუმარს. უღალთმიანი ბავშვს მიახლოვდა, ხელში აიყვანა და მიეალერსა. თან ეკითხებოდა, რამდენი წლის ხარო, მალე სკოლაში წახვალ და დედიკოს უნდა დაუჯერო, კარგად უნდა ისწავლოო. ყველანი ეზოში გამოეფინენ.

— სახლში შევიდეთ, ხალხო, ნამგზავრ სტუმარს ასე ვინ ხვდება, მომჭერით თავი და ეგაა, — თქვა საკმაოდ სიმპათიურმა მხცოვანმა მამაკაცმა. უღალთმიანმა მოხუცს გახედა და ფიქრმა გაუელვა, ახლა ასე გამოიყურება და ახალგაზრდობაში, ალბათ, ბადალი არ ეყოლებოდაო. წამიერად წაიოცნება, ნეტა, მეც ასე ლამაზად დავბერდეო.

— უი, მომიკვდეს თავი, — შეიცხადა ირინემ და ისევ სახლში შევარდა.

— რა გვეჩერება, ბატონო, სახლში შესვლა, თქვენი თვალი შეჩვეულია ამ სილამაზეს, მე კი მინდა, კიდევ ცოტა ხანს დავტკბე ამ პატარა წალკოტის ცქერით. მაშინ ვერ მოვასწარი ყველაფრის ნახვა უდრობობის გამო. ეს ვარდები სულ აყვავებული როგორაა, კაცო? — მისწვდა და დაყნოსა, — რა საამური სურნელი აქვს, გაგაბრუებს კაცს.

— აქ სხვადასხვა ჯიშის ვარდი ერთ მწერივში მიჯრითაა დარგული და მორიგეობით ყვავილობს. უცხოს ეგონება, მარად მოყვავილე ბუჩქიაო, — უპასუხა გივიმ და ფაქიზად გადაუსვა ხელი აყვავებულ ვარდებს. სტუმარი ისევ ეზოს ათვალიერებდა. მორიგეობით ხან ერთ მსხმოიარე ხეს შეავლებდა თვალს და ხან მეორეს.

— ეს რა ჯიშის მსხალია, ორშიმოებივით რომ ჰკიდია ხეს?

— ჯიშის რა მოგახსენო, მაგრამ გემო, მართლაც, საამო აქვს. დიდხანს რჩება ხეზე, ლამის პირველი თოვლის მოსვლამდე, სიმწიფემდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მაგრამ რომ დამწიფდება, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. — პასუხობდა გივი. სტუმარს კიდევ უნდოდა ეზოს სხვა კუთხისთვის თვალის შევლება, მაგრამ ირინემ ალარ დააცადა, — ეგ ხეები არსად გაგეეცევათ, შინ შემოდით, ყველაფრი უკვე მზად მაქვსო.

მას შემდეგ უღალთმიანი კიდევ არაერთხელ ეწვია გივის ოჯახს. ყველანი კარგად გაიცნო და ყველას შეაყვარა თავი. განსაკუთრებით მათ პატარა ვაჟს. მისვლისთანავე გამოექანებოდა ხოლმე და კისერზე ჩამოეკიდებოდა, კუდში დასდევდა და არ სცილდებოდა. უსაჩუქროდ არასდროს მიდიოდა, ყველას ასაჩუქრებდა, განსაკუთრებით პატარას. ერთ დღესაც გივიმ და

ირინემ მორიდებით უთხრეს, თუ არ გვიუკადრისებთ, მეგობრული ურთიერთობა ნათესაურში გადავზარდოთ, იქნებ ბავშვი მოგვინათლოთო.

— კეთილო ხალხო, — გაუხარდა ჟღალთმიანს, — ეს ჩემთვის დიდი პატივია. ნათლიობაზე უარს როგორ გეტყვით. მართალი გითხრათ, მეც ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ვერ გავტედე, შემომეთავაზებინა. ნათლობა ხომ უმნიშვნელოვანესი და საპასუხისმგებლო დღეა ადამიანის ცხოვრებაში. ნათლია ღვთის წინაშეა პასუხისმგებელი ნათლულის სულიერ აღზრდაზე.

— არა მგონია, თქვენზე უკეთ შეძლოს ვინმერ ამის გაკეთება, — თქვა ცრემლმორეულმა ირინემ.

— ერთი თხოვნა მეც მექნება, ხალხმრავალ წვეულებას ნუ გავმართავთ, გაჭირვებული დროა და ხალხს ნუ გავაღიზიანებთ.

ნათლობა მაინც უხვსტუმრიანი გამოვიდა. ჟღალთმიანი ყველას აოცებდა თავის ხელგაშლილობით. ძვირფასი საჩუქრით დააჯილდოვა პატარა. არც დიასახლისი დავინიშებია. ულამაზესი კულონი — ხელოვნების ნამდვილი ნიმუში თავის ხელით ჩამოკიდა ყელზე, რომელიც გველივით ჩასრიალდა ფიქალივით თეთრი მკერდის ღრმულში. ქალს სახე აელენა, მადლიერებისაგან ცრემლიც კი მოაწვა თვალზე. იმ დღის შემდეგ ჟღალთმიანი ცდილობდა, სურვილის თვალით არასოდეს გაეხედა მომხიბვლელი დიასახლისკენ და აღარც მანქანით მისულა.

დრო თავის მდინარებას მიჰყვებოდა, ზოგისთვის ჩქარა გადიოდა, ზოგისთვის — ტაატით და მოსაბეზრებლად. ჟღალთმიანი ხან გამოჩნდებოდა და ხან გადაიკარგებოდა. და როცა გამოჩნდებოდა, ხალისი შემოჰქონდა არა მარტო გივის ოჯახში, არამედ სამეზობლოშიც. თბილად მოიკითხავდა ხოლმე ყველას და დაამატებდა, ხომ არაფრით შემიძლია, დაგეხმაროთო. უბანში კარგახანს სხვა სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, — ნეტავ, ეგეთი ნათლია ჩვენც შეგვახვედროს ღმერთმაო. ზოგიერთი შურგაკენწლილი კი იტყოდა, ტყუილად არავინ არაფერს გაგიკეთებსო. ჟღალთმიანი კი ისე გაუშინაურდა ოჯახს, აღარც დაძახება სჭირდებოდა და არც კარზე დაკაკუნება. და არასოდეს უსაჩუქროდ არ მოდიოდა.

ამჯერადაც სათამაშო მანქანა ჩამოუტანა პატარას, რომელ-
საც ნამდვილი მანქანასავით საჭეც ჰქონდა და პედლებით
გადაადგილდებოდა. ბავშვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა,
მეზობლის ბავშვებს დაუძახა და იყო ერთი ურიამული ეზოში –
ხან ერთი იჯდა საჭესთან, ხან მეორე, დანარჩენები კი უივილ-
ხივილით მისდვდნენ უკან. ოქროსკულულა ნათლულს ხელი
ჩაეჭიდა ნათლიისთვის და გახარებული უცქერდა გამხიარე-
ბულ ბავშვებს. ნათლია რაღაცა გარეგნულ მსგავსებას ხედავდა
მასში, თმაზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე და იტყოდა, თმით ხომ
მაინც მგავსო და უზომოდ ანებივრებდა. უფროსებიდან ეზოში
არავინ ჩანდა. გაუკვირდა, რომ არავინ გამოვიდა და ნათლულს
ჰქითხა:

– სადაა დედიკო?

– ბაბუასთან, ავადაა ბაბუა. – უპასუხა პატარამ ისე, რომ
თანატოლებისთვის თვალი არ მოუცილებია. უღალთმიანმა
მიატოვა მოურიამულე ბავშვები და სახლში შევიდა. ოჯახის
ნათლიას დიასახლისი გამოეგება, შეწუხებული სახე ჰქონდა.
უღალთმიანმა ჩვეულებისამებრ სიყვარულით მოიკითხა და
ბოლოს ჰქითხა:

– რა დაემართა ბაბუას, რა სჭირს?

– უჰ, – შეიცხადა დიასახლისმა, – მთლად გამოვშტერდი,
სკამიც კი არ შემოგთავაზე. ჩამოჯექი, ძმაო, ჩამოჯექი, – და
სკამი გამოუწია.

უღალთმიანი ჩამოჯდა. ირინემ კი თხრობა დაიწყო:

– რაღაც უცნაური სენი შეეყარა, ჩამოხმა, მახსოვრობა
დაუქვეითდა, ითიშება, სულ გალიზიანებულია, აუტანლად
ჭირვეული გახდა. ძლივს ველაპარაკებით. გვითხრეს, თავში
აქვს პრობლემებიო და სასწრაფო ოპერაციაა საჭირო. მო-
გეხსენებათ, რამხელა სახსრებთან არის ეს ყველაფერი
დაკავშირებული. გივიც ფულის საშოუნელადაა წასული. არ
ვიცით, რა გვეშველება. მაგის საცოდაობით ვკვდებით, –
ცრემლი გადმოღვარა შეწუხებულმა ქალმა.

უღალთმიანი წამოდგა მხრებზე ხელი მოხვია და შეეცადა
დამშვიდებას.

- ნუ გეშინია, გამოსავალი აუცილებლად გამოჩნდება.
- ბავშვსაც კი გაურბის, – ფშლუკუნს აგრძელებდა ქალი. – ბავშვმა რაღა დაუშავა.
- დაწყნარდით, ტირილი რას უშველის, – და ლამაზ პირი-სახეზე ცრემლები მოუწმინდა. – მოვიდეს გივი და ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. ცოცხალი ადამიანი გამო-სავალს ყოველთვის ნახავს. გალიზიანება და ნერვიულობა საქმეს უფრო გააფუჭებს. დაველოდოთ გივის. მე ავალ, მოხუცს მოვინახულებ.

შესაბრალისად გამოიყურებოდა სნეული. მოეფერა და გაამხნევა. არც ღიმილი დავიწყნია და არც ჩვეული იუმორი. ყველა ღონეს მოვიხმარ და აუცილებლად გამოკეთდებით, – დააიმედა. მოხუცს ცრემლი მოერია და იმედის სხივი გაუკრთა თვალში.

- ქალების ბრალია ეგ ყველაფერი, ქალების, – თვალი ჩაუკრა ჟღალოთმიანმა.
- რა ქალების, კაცო, – გამოცოცხლდა მოხუცი.
- ახალგაზრდობაში, ალბათ, მოსვენება არ გექნებოდა, შენისთანა ლამაზი კაცი აქ მეორე არ შემხვედრია. – გულს უკეთებდა ნათლია.

– შენ რომ არ თქვა ისეთი, ხომ არ იქნება. ეგ ქალები რაღამ გაგახსენა, – ღიმილი გაუკრთა დამჭკვნარ სახეზე მოხუცს.

ჟღალოთმიანს ქვემოდან საუბარი შემოესმა, ცოლ-ქმარი საუბრობდნენ.

– ნათლია მოვიდა და ბავშვს ისეთი საჩუქარი მოუტანა, სიხარულით აღარ არის. ნამეტნავად გვინებივრებს, როგორ უყვარს, როგორ ეფერება. ბავშვიც რომ არ სცილდება?

– ბავშვები გულწრფელები არიან, სადაც სითბოს ნახავენ, იქით მიუწევთ გული. ამ კაცს კი სითბო არ აკლია. მეც ვნახე საჩუქარი, მთელი უბნის ბავშვები შეყრილან და ერთობიან, მართლაც ზღაპრული სათამაშოა.

ირინე მაგიდის გარშემო ტრიალებდა, სუფრას შლიდა და თან ქმარს ელაპარაკებოდა.

- ღვინო არა გვაქვს, იქნებ ჭური მოგეხადა, არა ცოტა

კი გვაქვს, მაგრამ ხომ იცი, როგორ უყვარს ჭურიდან ახლად ამოღებული ღვინო.

— ახლავე, ახლავე, — დაფაცურდა გივი, — რა დიდი საქმე ეგ არის. გამოვიცვლი და გავალ.

დიასახლისმა ჭიქები მაგიდაზე ჩამოაწყო და სანამ ქმარი ფაცი-ფუცობდა, ჰეთხა, — ფული თუ იშოვეო. გივიმ მხრები აიწურა და ნაღვლიანად უპასუხა, — სამწუხაროდ, ვერაო. ყველას უჭირს, ამდენ ფულს სად იშოვის ახლა კაციო. აღარ ვიცი, რა გზას დავადგეო.

ქალი მოწყვეტით დაეშვა სკამზე. უღალთმიანმა მოხუცს მოუბოდიშა, კიბეზე სწრაფად დაეშვა და გივის გასძახა:

— არ გინდა, გივი, ნუ შეწუხდები. არავითარი ღვინო, მეჩქარება. საქმეზე მივდიოდი და ბავშვის სანახავად შემოვირბინე, შემთხვევით ჩამივარდა ხელში ეს სათამაშო მანქანა, ვიცოდი, ძალიან გაუხარდებოდა. მთავარზე მინდა გესაუბროთ. იცით, რომ უზომოდ მიყვარს ეს ოჯახი, ისიც იცით, რომ თქვენთვის უკან არაფერზე დავიხევ, მეც მინდა, რაღაც წვლილი შევიტანო თქვენი სატკივარის მოგვარებაში, იმედია, ენდობით ჩემს გულწრფელობას. — მერე ღიმილით დააყოლა,

— მართალია, თაგორმა კი თქვა: გულწრფელობა მაშინაა ადვილი, როცა სრული სიმართლის თქმას არ აპირებო, მაგრამ მე არაფერი მაქვს თქვენთვის დასამალი და თქვენც კარგად ხედავთ ამას. ახლა იმას ვფიქრობ, რა შემიძლია, თქვენთვის გავაკეთო, რით დაგეხმაროთ. ამ ეტაპზე ჩემი ფინანსური მდგომარეობა რთულია, მაგრამ არა უიმედო. რაც ფული მქონდა, საქმეში დავაბანდე. პროდუქციის უმეტესი ნაწილი ნისიად მაქვს გაცემული და კაცმა არ იცის, როდის შემოიტანენ. ზოგს საერთოდ არ მოაქვს იმიზეზებენ, გავკოტრდიო. და არის ერთი ვაი-უშველებელი და გარჩევები. დალაგებული ქვეყანა რომ იყოს. კანონი მოაწესრიგებდა ყველაფერს. მანქანაც გავყიდე, ასე რომ, დროებით უფულოდ ვარ. ღმერთია მოწმე, გულწრფელად გეუბნებით. ამ საქმის გადადება არ შეიძლება, თუ არ ვუშველეთ, მდგომარეობა დამძიდება. მე ამ ეტაპზე, კიდევ ვიმეორებ,

მატერიალურად ვერ გეხმარებით, მაგრამ რჩევა შემიძლია მოგცეთ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენთვის მისაღები იქნება.

უდალთმიანი ჩაფიქრდა, თითქოს ჭოჭმანობდა, თითქოს უჭირდა თქმა. მერე ირინეს მიაპყრო თავისი ზღვასავით იდუმალი მზერა და მიმართა:

— ამ შემთხვევაში ყველაზე მარტივი გამოსავალია, შენი ძვირფასეულობის ნაწილი დავალომბარდოთ. ავიღებთ საჭირო თანხას და მოხუცს გადავარჩენთ. ძვირფასეულობის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი მე ვარ. იმედია, ჩემი საქმეც გამოსწორდება და მე დავიხსნი თქვენს სამკაულებს. — შეყოვნება, რომ შეამჩნია, ფეხზე წამოდგა და დინჯად განაგრძო: — ნათქვამია, ადამიანი იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ღმერთი კი გულს ხედავსო. ღმერთს დავიმოწმებ ისევ, გულწრფელად გელაპარაკებით, სხვა გამოსავალს ახლა მე ვერ ვხედავ, დრო ახლა ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს. იფიქრეთ და გადაწყვიტეთ.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ბოლოს ირინემ თავი წამოსწია და თქვა:

— სხვა გამოსავალი მართლაც არ გვაქვს. კაცის სიცოცხლე ბეწვზე კიდია.

ბევრი აღარ უმსჯელიათ. ირინე მეორე ოთახში გავიდა და მალევე დაბრუნდა სამკაულებიანი მომცრო ყულაბით ხელში. ყულაბა უდალთმიანს გაუწოდა და ცრემლიანი თვალები შეანათა. კაცს გააჟრუოლა, თვალი მოაცილა და სწრაფად თქვა, ფულს ორ დღეში მოგაწვდითო. სტუმარი ჭიშკრამდე მიაცილეს მასპინძლებმა. გასვლისას უდალთმიანმა ერთი კიდევ გამოხედა ცოლ-ქმარს, გაულიმა და კარი გაიხურა.

* * *

სიცხისაგან დაოსებული მაღაზიის მომსახურე პერსონალი სულის მოსათქმელად რიგრიგობით გამოდიოდა ხოლმე ეზოში. მოსახვევიდან შუქაბდლვრიალებული უცხოური მარკის ავტომანქანა გამოჩნდა და მაღაზიასთან გაჩერდა. საიდანაც უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული შავპიჯაკიანი და შავსათვალიანი მამაკაცი გადმოვიდა. თეთრპერანგს გემოვნებით შერჩეული

ჰანთა ჟალსტუხი უმშვენებდა. ხელში დიპლომატის შავი ჩანთა ეჭირა. მანქანის კარმა დაინკაპუნა და დაიხურა, რომელზედაც ინგლისურად ეწერა „კრაისლერ ბარონი“. მგონი, ვიღაც ბარონი გვეწვია, ვის არ გადაეყრები მაღაზიაში, – გაიფიქრა სულის მოსათქმელად გამოსულმა ეკამ. მამაკაცი ეკას მიუახლოვდა, თავი მდაბლად დაუკრა და მიესალმა:

– როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ეკა!

ეკა დაიბნა, აიწურა, თვალები აახამხამა და ენის ბორძიკით მორიდებით უთხრა: გმადლობთ, კარგადო. მისმა დაბნეულობამ ღიმილი მოჰვარა მამაკაცს, მერე კიდევ ცოტა ხანს უცქირა ღიმილით, თავი გააკანტურა და სათვალე მოიხსნა. ახლაც ვეღარ მიცანიო, და გულიანად გადაიხარხა.

– შეენ! შეენ! შენ ხარ?! – რამდენჯერმე გაიმეორა აღტაცებულმა და აკისკისებული ყელზე ჩამოეკიდა. მოურიდებლად ეხვეოდა და ფეხებს ჰერში ასავსავებდა. მერე მოწყდა და გახარებული მაღაზიაში შევარდა. – ბარონი გვეწვია, ბარონი გვეწვიაო, – გაიძახოდა და დახლებსა და ვიტრინებს შორის დარბოდა. ხმაურზე ზორბამაც გამოყო თავი კაბინეტიდან:

– რა მოგივიდა, გოგო! ხომ არ გაგიუდი! რა ბარონი, რის ბარონი?

– გადი გარეთ და თავად ნახავ, – ნიშნისმოგებით თქვა ეკამ.

ყველანი ეზოში გამოიკრიფნენ. ეკა კი ვერ ისვენებდა, ხომ გეუბნებოდით, აუცილებლად გამოჩნდება-მეთქი. ზორბას არ გაჭირვებია ულალთმიანის ცნობა, ცოტა ხანს უმზირა და უკან-მოუხედავად მაღაზიაში შევარდა.

– აბა, რა გეგონა, ჩემსავით ყელზე ჩამოგეკიდებოდა? სად დაიკარგე! ასე როგორ შეიძლება! – უსაყვედურა დასერიოზულებულმა ეკამ. – წადი ახლა და მოუბოდიშე, როგორც გინდა, შემოირიგე. გვცოფავს და გვჭამს, თითქოს ჩვენი ბრალი იყოს რამე.

– გეყოფათ, დამთავრდა ცირკი, საქმეს მიხედეთ! – შემოუძახა ეკამ თანამშრომლებს. – ხალხი გველოდება, ესენი თვითონ გაარკვევენ თავიანთ საქმეს.

ულალთმიანი მაღაზიაში შევიდა, გაცდა ვიტრინებს და

ზორბას კართან შეჩერდა, ერთი გაფიქრება გაიფიქრა, დავაკა-
კუნო თუ არაო. არ დაუკაკუნებია და მოურიდებლად შეაბიჯა.
ზორბა ფანჯარაში იხედებოდა, არ შემობრუნებულა.

— მესმის შენი, ჩემო კარგო, — თბილად დაიწყო უღალ-
თმიანმა, — ვაცი, არ მოვიქეცი მაინცდამაინც სწორად. მართა-
ლია, როგორმე უნდა შემეტყობინებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე,
გადაუდებელი საქმე მქონდა, ჩემი ჩამოსვლით კი ის საქმე
გაფუჭდებოდა. მოვაგვარე და ჩამოვედი. შენ რას ფიქრობდი,
დავიკარგებოდი? ან ფულს აგახევდი? ჩემო კარგო, მე შენთან
დიდი გეგმები მაქვს. წინ დიდი საქმებია, რომელსაც მარტო მე
ვერ მოვერევი. ის ფულიც ჩამოგიტანე თავისი პროცენტებით,
როგორც შეგპირდი.

უღალთმიანმა დიპლომატის ჩანთა მაგიდაზე დადო, საკეტი
გააჩხაკუნა და გახსნა. ჩანთა სავსე იყო ფულით.

— მე საქმის კაცი ვარ და არა ვიღაც უიგოლო. — ვერანაირი
რეაქცია რომ ვერ შეამჩნია ზორბას, კიდევ უფრო დატყება და
ლამის ენის მოჩერებით უთხრა, — კარგი, გეყოფა, შევრიგდეთ.
ასეთი იყო საქმის ვითარება.

უღალთმიანი ზორბას მიუახლოვდა და ხელი გადახვია. ქალმა
გველნაკბენივით მოიშორა ხელი, ისევ ფანჯარაში იცქირებოდა
და უაზროდ გაპყურებდა ქუჩას. მერე მხრები აუცახცახდა და
ხმამაღლა ატირდა.

— როგორ შეგეძლო, როგორ! ერთი სიტყვა მაინც როგორ
არ მომაწვდინე, რა არ ვიფიქრე, თუ ცოცხალია, ხმას რატომ
არ მანვდის-მეთქი. კარგა ხანია, გამოგიგლოვე, გამოგიტირე და
დაგმარხე. ბიძაშენმაც ვერაფერი მითხრა.

— არ შეიძლებოდა ჩემი გამოჩენა, საყვარელო, საქმეს
ჭირდებოდა ასე. მე დიდ საქმეს ვარ შეჭიდებული. ფულს კარგად
ვშოულობ, მაგრამ უფრო დიდი ფულია საჭირო.

უღალთმიანი ისევ მიახლოვდა ქალს, ხელები შემოხვია და
თავი მხარზე ჩამოადო. ქალი გაყუჩდა. მერე შემობრუნდა და
აზლუქუნებული მკერდში ჩაეკრა. ცრემლებს ღვრიდა, ზურგზე
მუშტებს უბრახუნებდა და გაიძახოდა, — არ უნდა მიგეტოვებინე
ამდენ ხანსო.

ის ღამე სიყვარულში გაატარეს. მეორე დღეს უღალთმიანმა დამცხრალი და დამშვიდებული ზორბა გვერდზე მოისვა და საუბარი გაუბა:

— ამ ჩანთაში დიდი ფულია, მე რამდენიმე დღით ისევ გავალ. კიდევ მჭირდება ფული. ძალიან დიდ საქმეს შევეჭიდე შენი დახმარება დამჭირდება, იქნებ შენც დამიმატო, ან ვინმეს გამოართვა. ამ საქმეს რომ მოვრჩებით, მერე ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცემა. ფული ბევრი გვექნება და დასვენებაც არ გვაწყენს. ჰა, რას იტყვი? რა მოხდება, ჩვენც რომ გავინავარდოთ სადმე? მოიცა, მოვიფიქრო, — თავი მოიქექა, თვალები მოჭუტა და მერე მხიარულად თქვა, — მაგალითად კანარის კუნძულებზე. ხო, კანარის კუნძულებზე. გვაწყენს თუ რა? რითი ვართ სხვაზე ნაკლები. მოვწყდეთ ამ ქაოსს და ახალი მიზნები და გეგმები დავისახოთ.

ქალიც აჲყვა ოცნებაში:

— რომ გაიგებენ, არ დასკდებიან შურით?
— ახლა ერთი დღით გავალ, ფულს შენ დაგიტოვებ, სად ვიარო ამდენი ფულით. ფული განსაცდელია. ადამიანი არ უნდა ეძებდეს განსაცდელს. ის თვითონ მოვა, როცა საჭირო იქნება. და მთავარი, არ უნდა შეგეშინდეს, განსაცდელი გაწრთობს და ჭკუას გასწავლის. ოლონდ კიდევ ვიმეორებ, შენ არ უნდა შეყო თავი ძალით განსაცდელში. — კიდევ ბევრი იფილოსოფოსა უღალთმიანმა და ბოლოს უთხრა, — აქ ორი ტელეფონია. ერთი ჩემთვის, ერთი შენთვის, ახალი ხილია, ერთეულებს აქვთ მხოლოდ. ნებისმიერ დროს შეგიძლია, დამიკავშირდე. წავედი ახლა, დაფაცურდი, მარიფათი არ გაკლია, რაც მეტი — მით უკეთესი.

ორი დღის შემდეგ უღალთმიანმა თავის ფულს ზორბას მოგროვილი დაამატა და ქალაქიდან გავიდა. არც დამშვიდობებია — ვერ ვიტან ზედმეტ სენტიმენტებსო, გააზრებას ვერ მოასწრებ, ისე მალე დავბრუნდებიო... მას შემდეგ ზორბას უღალთმიანი აღარასოდეს უნახავს.

* * *

პოლიტიკურმა არეულობამ ქვეყანაში პიქს მიაღწია. ასობით პარტია გამოიჩეკა, ყველა ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობდა, უმეტესად ყალბი და პოპულისტური დაპირებებით. დროშაზე ყველას დემოკრატია ეწერა ფარად. „საჭიროა დემოკრატიული გარდაქმნები“, „სიტყვის თავისუფლება“, „გამოხატვის თავისუფლება“ და სხვა ბევრი ბუნდოვანი ლოზუნგები, რომლებისაც თვითონაც არ სჯეროდათ, ან არ ესმოდათ. მიტინგებზე გაჰყვიროდნენ ევროპული ლირებულებების შესახებ – ევროპის გარდა ჩვენ სხვა გზა არ გვაქვსო. თავიანთი საკუთარი განვითარების გზაზე კი არავინ ფიქრობდა. პოლიტიკაში მოსვლა დიდ დივიდენდებთან იყო დაკავშირებული. ევროპისკენ ყველას უნდოდა, მაგრამ შრომისადმი ევროპული დამოკიდებულება არავის. სამაგიეროდ სხვა, ქართულ ზეობისთვის მიუღებელ ღირებულებებს უხვად დაეწაფენ: სქესობრივი თავისუფლება, ტრანსგენდერობა, ერთსქესიანთა ქორწინება და სხვა მრავალი ქართული მენტალობისათვის მიუღებელი მოძღვრებები. შეიძლება ბევრ მათგანს შინაგანად თვითონაც არ მოსწონდა, მაგრამ დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. დასავლეთიდან ჩამოსული ზოგიერთი ემისრებისაგან დამოძღვრებულები გაჰყიოდნენ ტოლერანტობაზე. შუა საუკუნეების ინკვინზაციამ ევროპაში ასიათასობით სხვადასხვა მოდგმის, ჯიშისა და რწმენის ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქართველები კი თავიანთი შემწყნარებლური ბუნებიდან გამომდინარე თანაარსებობდნენ ებრაელების, სომხების, მუსულმანებისა და სხვა აღმოსავლელ ხალახთან ერთად და არც მათ სალოცავებს ანგრევდნენ, არც კოცონზე წვავდნენ მრწამსის გამო. გვესწავლება კი ჩვენ ტოლერანტობა – იგივე შემწყნარებლობა? მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მძიმე ცოდვად აწევს ამ შეუწყნარებლობის გამო გადაშენებულ-გადაჯიშებული ხალხების ტკივილიანი ისტორიები. უამრავ სატკივართან ერთად მიძინებულმა სეპარატიზმაც გაიღვიძა. ყველა მეზობელს ტერიტორიული პრეტენზია გაუჩნდა. ქვეყანას ქაოსი მართავდა. ღმერთი დაივიწყეს და სალოცავად მამონა გაიხადეს. დრო იხელთეს და გავლენის მოსაპოვებლად

კრიმანალურმა დაჯგუფებებმაც დაუნდობელი ომი გააჩაღეს ერთმანეთთან. უამრავი ახალგაზრდას სიცოცხლე შეიწირა ამ გარჩევებმა. ქვეყანა დღითი დღე უმოწყალოდ იძარცვებოდა და ღატაკდებოდა. ჯართით, სპილენძით, ჩარხებით თუ მანქანა – დანადგარებით დატვირთული მანქანები საზღვრებს მიაწყდნენ. აგურ-აგურ იშლებოდა შენობები. ხალხი, უბრალო მასა კი ფიზიკური გადარჩენისათვის იბრძოდა, სახელმწიფო ინსტიტუტები მოშლილიყო. სამართლდამცავები კი მიძინებულნი. უზნეოთა და სულგაყიდულიანებისათვის ხელის მოთბობის დრო დამდგარიყო. სამართალს ძნელად თუ იპოვიდა კაცი. მოსამართლის ფუნქციები კრიმინალურმა ბოსებმა აიღეს ხელში.

უღალთმიანი პერიოდულად შეირბენდა ხოლმე თავის დამრიგებელთან, რომელიც ბოლო დროს ძალიან დაკავებული და მოუსვენარი გამხდარიყო. რაღაც დიდი ნახტომისათვის ემზადებოდა და უღალთმიანს დიდ ყურადღებას ვეღარ უთმობდა. უღალთმიანმაც აიშვა. უამრავი ბრიყვი თევზი გააბა მახეში. თევზაობისას ფეხებიც ხშირად უსველდებოდა. რამდეჯერმე სასტიკად სცემეს. პატარა ხანს ციხეშიც იჯდა. კოჭოას პირით შეუთვალა დამრიგებელმა, ყველაფერი მიატოვე და ჩამოდიო.

– რა უნდა, ხომ არ იცი? – ჰერითხა კოჭოას.

კოჭოა გაიღრიჭა:

– შენს ჭკუაზე რომ დალაყუნობ და დაფშვიტინებ, აბა, რა გეგონა! ჩახვალ და წაგიკითხავს „გამზრდელს“.

ცივად შეხვდა დამრიგებელი და მკაცრად გააფრთხილა:

– კიდევ ერთი ეგეთი თავნებობა და შედეგი იქნება უმკაცრესი. ბევრი რამ გახდა შენთვის ცნობილი, ბევრის მცოდნე და ენაჭარტალა მოწმები კი არავის ჭირდება. რამდენჯერ გაგაფრთხილე, ჩემი სახელი არსად ახსენო-მეთქი. ბოლო გაფრთხილებაა, არანაირ საქმეს ალარ გაეკარო. ახლა კი ყურადღებით მომისმინე. აქეთ მოიწიე, ამ სურათს დააკვირდი კარგად, – და სურათი გაუწოდა. – გაზეთები მისი სურთებითაა აჭრელებული. ცნობილი მუსიკოსი და მომღერალია. ტაბახმელაზე აქვს აგარაკი. უნიკალურ ვიოლინოს ფლობს, რომლის

საფასური განუსაზღვრელია, მოკლედ, ანტიკვარია. ეგ ვიოლინო უნდა ამოვილოთ.

უღალთმიანს პირი გაოცებისაგან ღიად დარჩა, – ნუთუ მე მანდობს ამხელა საქმეს?! კიდეც შეეშინდა და კიდეც გაუხარდა.

– დამუწე პირი და ყურადღებით მომისმინე. კერძო დაცვა ჰყავს აყვანილი, კარგად შეიარაღებული. იარაღით ვერაფერს გავაწყობთ და არც ვარ ბრძოლის მომხრე. სისხლი არა არის ჩემი საქმე. მე სხვა მიზნები მაქვს. მოკლედ, კარგად უნდა შეისწავლო მეზობლები, უნდა გაარკვიო მისი ხასიათის ყველა დეტალი. დაიმახსოვრე ყველა წვრილმანი – მისი ქცევები, გამონათქვამები, დაიხმარე ვინც გინდა. მე დაგაფინანსებთ.

უღალთმიანი ბოლომდე მაინც ვერ ჩაწვდა საქმის არსა, – კი ბატონო, დავუშვათ, შევისწავლე ყველა წვრილმანი. მაგრამ სახლში როგორ შევაღწევთ. დამრიგებელი მიუხვდა ჩანაფიქრს, გაელიმა და მოკლედ მოუჭრა:

– მაგასთან ერთად იმ მუსიკოსის ორეული უნდა ვიპოვოთ. მიხვდი?

უღალთმიანი ყველაფერს მიხვდა.

– ვიპოვით ორეულს და მორგებული გასაღებით დღისით მზისით ადვილად შევაღწევთ სახლში. მარტივია ხომ?! ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ ამასთან ერთად ურთულესი. ერთი პატარა შეცდომა და ციხე გარანტირებულია. გარდა მეზობლებისა, უნდა დავადგინოთ, დაცვის რომელ წევრთან აქვს ყველაზე კარგი დამოკიდებულება, მისი ოჯახის შემადგენლობა, ყველა წვრილმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს დავალება სხვასაც მივეცი, მოვაგროვებთ კანდიდატებს და მათ შორის საუკეთესოს ამოვარჩევთ და გავწვრთნით. მე ბევრი მაქვს ამაზე ნაფიქრი. ყველაზე რთულია, მაგრამ ყველაზე საუკეთესო. დიდ ფულს მოიტანს.პოლიტიკაში შესვლა არ არის ადვილი. წარმატების მოსაპოვებლად დიდი ფულია საჭირო, თუ წარმატებით დამთავრდა ყველაფერი და, ალბათ, ასეც იქნება, ოკეანის კუნძულები გარანტირებული გაქვს.

სადღაც გონების კუნძულში ზორბა წამოტიტივტივდა...

– ოცნებებს თავი დაანებე და მომისმინე, მაგ ოცნებასაც

აგისრულებ, მაგრამ თუ ჩავისვარეთ, მეორე საგზურიცაა აქვე ახლოს, უფასოდ, ორთაჭალა ჰქვია მაგ კურორტს. ყველაფერი გითხარი, ამოცანა ნათელია. ახლა გამოჩნდება, სწორად ჩავყარე ფული შენს აღზრდაში, თუ ქარს გავატანე.

სათქმელი რომ დაამთავრა, დამრიგებელი მოეშვა და შინაურულად, თითქმის მეგობრულად გაულიმა:

- შენზე ამბობენ, კონიაკი უყვარსო. ამოუსუნთქავად შეუძლია ერთი ბოთლის გადაკვრაო. ჩამოასხი, დალიე და მეც დამალევინე. იმასაც ამბობენ, სისხლძრლვებს აფართოებსო და გონებასაც ამშვიდებსო, შენს ტვინს ახლა გავარჯიშება არ აწყენდა.

უღალთმიანს არაფერი უთქვამს, ბოთლს დასწვდა, ჩას ჭიქაში კონიაკი ჩამოასხა და უთქმელად გადაკრა.

მიდიოდა უღალთმიანი და ფიქრობდა, - მე მეგონა, მენდობოდა, მას კი ყველა ჩემი ნაბიჯის შესახებ სცოდნია. ნეტავ, გივის ოჯახის შესახებაც იცის? ეცოდინება, რა თქმა უნდა. ფულს ტყუილად ჰაერში არავინ ისვრის. თვითონვე არ ამბობდა - „დავერიაი ნო პრავერიაო“. ესე იგი, ყველაფერი იცის. დაჭერასაც გადამარჩინა, რამდენიმეთვიანი ციხეში ყურყუტიც მაგის მოგონილი ხომ არ იყო ნეტავ? ამოუცნობია, ვერაფერს გაუგებს კაცი. ყველანაირი საბრძოლო ნათლობა მიმაღებინა. ნუთუ ამდენ ხანს ამ საქმისთვის მამზადებდა? ეს ჩემი თავისუფალი განავარდება ერთგვარი მოთელვა იყო მაგისთვის ალბათ. არა, ნდობა უნდა გავუმართლო, დიდი საქმე კი ამკიდა, ძალიან საპასუხიმგებლო. დაიწყო ფიქრი, მის ნაცნობებებში დაახლოებით ვინ შეიძლებოდა, დამსგავსებოდა მუსიკოსს. ტვინი ვერ აზროვნებდა, გაყინულივით იყო. კონიაკმაც არ უშველა, ვერავინ გამოჩხრიკა. ასე ადვილი არ იქნება ამ საქმის კარგად დამთავრება. თითქოს ციხის სუნიც იგრძნო. მაინც რა საშინლად ყარს იქ ყველაფერი! აბეზარი და უსიამო ფიქრი თავიდან მოიშორა. მერე ისევ წაიოცნება, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მთავრობაში მოკალათდა, ნეტა მე სად მიმიჩენს ადგილს? ჰე! მეოცნებევ! ხომ გაგიონია, ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე დაიძახეო. კარგი ნათქვამია,

ჯერ გადავხტეთ. ახლა გივი და მისი ოჯახი წამოუტივტივდა, – ნეტავ, როგორ არიან, მოხუცი თუ გადარჩა, ბავშვი? გაუკეირდა, არ ეგონა, მის გაქვავებულ გულს ოდესმე რაიმე გრძნობა თუ შეარხევდა.

უღალთმიანი დიდი მონდომებით შეუდგა დავალების შესრულებას. ყველა კუთხე-კუნჭული მოიარა აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. ვერც ნაცნობებში და ვერც ნაცნობების ნაცნობებში ხელჩასაჭიდი ვერავინ ნახა. დრო, რომ ტყუილად არ დაეკარგა, კოჭიოია იხმო.

– წადი და მომღერლის სახლთან ახლოს ბინა იქირავე, დაუახლოვდი მეზობლებს ისე, რომ საეჭვო ვერაფერი შეგამჩნიონ. იმოქმედე თავაზიანად და ზრდლობიანად. ვითომ სხვათა შორის იკითხე მომღერლის შესახებ. ისიც ჩაურთე, საამაყოა ასეთი მეზობლის გვერდით ცხოვრება-თქო. დაადგინე და დაწვრილებით შეისწავლე მისი ხასიათის ნიშან-თვისებები, მისი გატაცებები, საუბრის მანერა, უესტიკულაციები, მიხვრა-მოხვრა. რას ჭამს, რას სვამს, მისი დამოკიდებულება ქალებთან. მოგვიანებით მეც ჩამოვალ. ვისაც ენდობი, ისიც დაიხმარე. რამე სისულელე არ ჩაიდინოთ, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ და არ გაიშიფროთ.

კოჭიოამ მისი ინტელექტისა და შესაძლებლობის ფარგლებში თავის თანამოაზრესთან ერთად ყველაფერი შეისწავლა. მისი ბოლო ქალის შესახებაც. ისიც კი დაადგინეს, თუ რომელ მხარეს იძინებდა. მალულად, სხვებს თვალში რომ არ მოხვედროდა, დაზვერეს და კარგად შეისწავლეს მომღერლის ეზო და მისი მომიჯნავე ტერიტორიები. საქმის ჩავარდნის შემთხვევაში ყველაზე მოკლე გასაქცევი გზა. გასაკვირი არაა, მომღერალს ქეიფი და მოლხენა რომ ჰყვარებოდა. მიუხედევად დიდი პოპულარობისა, ის არ თაკილობდა უბრალო ხალხთან, მეზობლებთან მოლხენას და დროს ტარებას. ქეიფის დროს რა არ წამოგცდება კაცს! გამორჩეულად ჰყვარებია ნადირობა. ყველაფერი რომ მოახსენეს, ბოლოს თვითონაც ჩავიდა. ბინა იქირავა მომღერლის სახლთან ახლოს. დაუახლოვდა მეზობლებს, გაეცნო, როგორც ბიზნესმენი. აწყობდა საღამოებს და ყველას პატი-

უებდა. ცდილობდა, დაეთრო ისინი და სიმთვრალეში წამოცდებოდა სასიათის სხვა ნიშან-თვისებებით სრულყოფილად დაეხატა მუსიკოსის პორტრეტი. იცოდა, რომ ამ საქმისთვის ყველა წვრილმანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრიც გაიგო და ბევრიც შეისწავლა. დაუკეპელმა აზარტმა შეიძყრო, აინტერესებდა თავისი შესაძლებლობები, ემზადებოდა და გატაცებით ვარჯიშობდა. ბაძავდა სიარულში, მიხვრა-მოხვრაში, უესტიკულაციაში. ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, მე ხომ არ მოვირგო ორეულის როლით, მაგრამ პარამეტრებში ვერ ჯდებოდა. ის მაღალი იყო, თაფლისფერთვალებიანი, გრძელი შავი თმით და სპორტული აღნაგობით. თვითონ კი ცისფერთვალება, „რიჟა“, შედარებით დაბალი და შევსებული. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი არ ჩანდა, ვარჯიშს მაინც გულმოდგინედ აგრძელებდა, რათა როცა გამოჩნდებოდა, ორეულისთვის შეესწავლებინა ყველაფერი. ეს მისი ყველაზე მთავარი საქმე იყო, ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო. იცოდა, რომ მარტო ფიზიკური მსგავსება დიდ შედეგს ვერ მოიტანდა, საჭირო იყო მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული ორეულის პოვნა. მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, კანდიდატი არსად ჩანდა. ვერსად მიაკვლია. ბოლოს ეჭვებმა დაუწყო ღრღნა, რომ ვერ ვიპოვოთ, ან თუ ვიპოვი და უარი რომ მითხრასო. არა უარს, როგორ მეტყვისო, იმშვიდებდა თავს. ეჭ, ნეტავ მაპოვნონა, თუ არა ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და ხომ წარმოგიდგენია, მიწიერ ჯოჯოხეთს როგორ გააბრდლვრიალებსო. თავს კი იმშვიდებდა, მაგრამ შინაგანი ღელვა და ფორიაქი მაინც არ ასვენებდა. ლამის ფარხ-მალი დაყარა, მოეშვა. ცოტა ხანს სხვა რამებზე თუ არ გადავერთე, შეიძლება გავგიშდეო. დიდანს ვერ გაძლო ასეთ მდგომარეობაში და განსატვირთად ისევ დროს-ტარებაში გადაეშვა – ღვინო, ღუდუკი და ქალები ხომ მისი ცხოვრების ნაწილი იყო. გართობით კი ერთობოდა, მაგრამ მთავარიც არ ავინყდებოდა, მე უნდა ვიპოვო და დავუმტკიცო, რომ ჩემში არ შემცდარაო.

ამ განამანია-ხეთუებაში მისდა გასაოცრად ისევ გივის ოჯახი აეკვიატა... ბავშვი... განსაკუთრებით კი მისი მომხიბვლელი

ნაცრისფერთვალება დიასახლისი, რომლის ხმის გაგონებაზე ურუანტელი დაუვლიდა ხოლმე ტანში. მერე მოხუცსაც მისწვდა ფიქრით. ნეტავ, თუ გადარჩა, აეკვიატა და ლურსმანივით ჩაეჭედა. აბეზარი ფიქრით განამებულმა თავის თავს შეუკურთხა – შენ და სენტიმენტები! მაგის დროა ახლა? ამხელა საქმე გაქვს წამოკიდებულიო.

ფორმიდან რომ არ ამოვარდნილიყო და მთლად არ მოდუნებულიყო, ულალთმიანი პატარ-პატარა გამოვარდნებს მაინც აწყობდა ხოლმე. ახლაც ოჩამჩირეში მიდიოდა თავის ორ თანამზრახველთან ერთად. ზესტაფონს რომ მიუახლოვდნენ, კლდეეთის ასახვევთან მანქანა გააჩერეს. გადმოვიდნენ.

– ურიგო არ იქნებოდა, სადმე წაგვეხემსა, – თქვა ერთმა.
– მე მეგულება ასეთი ადგილი, – უპასუხა ულალთმიანმა. გაახსენდა, გივისთან რომ მიდიოდა ხოლმე, ქალაქიდან ერთ კილომეტრში გზის პირას ნაქები საპურმარილე იყო. ადრეც აპირებდა იქ შესვლას, მაგრამ ვერასდროს მოახერხა. ახლა კი მშვენიერი საბაბი ჰქონდა და არც ეჩქარებოდა. ბიჭებს უთხრა, აქვე ახლოს კარგი ადგილია და იქ წავიდეთ, ვისადილოთ, ცოტა დავისცენოთ და მერე გავუდგეთ გზასო.

ჭამაზე ფიქრით გართული წარსულს გადასწვდა: – დიდი უცნაური ხალხი ვართ ქართველები. გაჩენის დღიდან დალხენილი ცხოვრება არ გვქონია პატარა გამოჭიატების გარდა. მდიდარი და მსუყე ქვეყანა იყო და კარგი საკბილო მტრებისათვის, მაგრამ სამზარეულოს მრავალფეროვნება, სიმღერისა და მოლხენის კულტურა უზადო გვაქვს და მსოფლიოში ბევრი ვერ შეგვეძრება. როდის ასწრებდნენ ნეტავ... ახლაც ამ ვადადარიაში ვიღაც ჭკვიან და მეურნე კაცს კარგი მუხლჩასახრელი და სათავდავი-წყებო ადგილი მოუწყვია. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა იქ შედიოდა, – ფულიანიც და უფულოც. იყო ერთი გაწევ-გამოწევა. შეიარაღებული კაცების რუზრუზი. გვიანობამდე ისმოდა დოლ-გარმონისა და ხმამაღალი შემოძახილების ხმა. მეპატრონეს ხან ართმევდნენ და ხანაც ორჯერ და სამჯერ მეტსაც უტოვებდნენ. ისიც შეეჩინა ყველაფერს და არც წაგებაში იყო. საკვირველი კი ის იყო, რომ ამ რიარიასა და განუკითხაობაში დაწესებულებას

ქალი ხელმძღვანელობდა. საოცარია პირდაპირ, ამ ბოლო დროს როგორ მომრავლდნენ მამალი და უნარიანი ქალებიო. მეხსიერებაში ზორბაც ამოატივტივა თავისი მჩხვლეტავი მზერით. რას იზამ, თავის საქციელზე ყველა თვითონ აგებს პასუხს. შუბლზე ხელი მოისვა, თვალებიც კი დახუჭა, თითქოს მეხსიერებიდან მის სამუდამოდ ამოშლას ცდილობდა.

უდალთმიანი თანამოაზრებთან ერთად შენობაში შევიდა. სამხედრო ფორმა ეცვათ და შეიარაღებულნი იყვნენ. კართან ახლოს კუთხეში, ფანჯარასთან ადგილი შეარჩიეს, ავტომატები კედელზე მიაყუდეს და მაგიდას მიუსხდნენ. მოსამსახურე ბიჭი მიუახლოვდა და ჰერთხა, რას მიირთმევთო.

— ყველაფერს, რაც საუკეთესო გაქვთ, — დაიწყო რიხიანად უდალთმიანმა, — გაითვალისწინე, ძამია, ბევრი დრო არ გვაქვს, ოჩამჩირეში მივდივართ. ომია, ძმაო, ომი! ქვეყანა სისხლისგან იცლება და შველა უნდა. ქვეყნისმოყვარე ყველა თავმომწონე კაცმა დღეს თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, ყოფნა-არყოფნის საკითხია.

უდალთმიანმა სკამი გამოაჩინა, მაგიდას ოდნავ მოშორდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ხელები მუხლებზე დაიწყო, თვალები ოდნავ მოჭუტა და ბიჭი კარგად შეათვალიერა, ახედ-დახედა და განაგრძო.

— შენ კი, ამოდენა ვაუკაცს, იმის მაგივრად, იარაღი აგელო ხელში, წინსაფარი ჩამოგიყიდებია გულზე და ხელში ქაფქირი გიჭირავს, მაგ საქმეს ქალებიც მიხედავენ, მოისროლე ეგ წინ-საფარი, მიატოვე ყველაფერი და ჩვენ გამოგვყევი. იარაღს იქ გიშოვით. — გაკვირვება და დაბნეულობა, რომ შეატყო ბიჭს, თავი გადაიქნია. — არა, არა, ასე არ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები. — სიმკაცრე და ბრაზი გამოურია ხმაში უდალთმიანმა. ბიჭი კიდევ უფრო აიწურა და გაწითლდა. — ხომ გითხარი, ყველაფერი საუკეთესო-მეთქი! რაღას დგახარ, გაინძერი! — თავის სტიქიაში იყო „რიჟა“.

ბიჭი უთქმელად წაფრატუნდა სამზარეულოსკენ.

— დაანებე, ბიჭო, მაგ ბავშვს თავი, რომელი ქრისტე

ღმერთი შენ ხარ, შენს ნათქვამზე რომ მიატოვოს ყველაფერი და გამოგეკიდოს.

- ვინაა, ბიჭო, ბავშვი? სულ ცოტა თვრამეტი წლის ხომ მაინც იქნება, მაგის ხნისა და მაგაზე ნაკლები ასაკის ქვეყანას მართავდნენ. არ მინდა ახლა ისტორიის წიაღსვლებში გადავეშვა.
- თავისას არ იშლიდა ჟღალომიანი.

- გეყოფა, შარსა და დავიდარებას ჯობია, ვისადილოთ და მალე წავიდეთ აქედან. აცადე ბავშვს, იქნება ეგაა მაგის მოწოდება. თანაც ხომ იცი, იქ ვინ გველოდება.

- გველოდება და გველოდოს, - არხეინად და უდარდელად თქვა ჟღალომიანმა.

სულ მალე ბიჭმა ისეთი სუფრა გააწყო, ვერ წარმოიდგენდი, რომ ქვეყანში ანარქია, ქაოსი, განუკითხაობა და შიმშილი დაქსიტინებდა. კარგად დანაყრდნენ და კარგადაც შეზარხოშდნენ. განსაკუთრებით ღვინო მოეწონათ.

- მოიწი, ძამია, აქეთ. ხომ არავერი გწყენია ჩემგან?
- დატკბა ჟღალომიანი, - ერთი ეს მითხარი, ღვინო საიდან მოგაქვთ?

- გივისგან, - უთხრა ბიჭმა.

- კი არ გამიკვირდა, კაცო, რა ნაცნობი გემო აქვს-მეთქი? დიდებული კაცია გივი და დიდებულ ღვინოს აყენებს. კარგად ვიცნობ მის ოჯახს. - მერე ისევ ბიჭს მიუბრუნდა და როგორც ახლობელსა და გულშემატკივარს, მზრუნველად უთხრა, - ამ დროს რა ვუთხარი, თორემ ახლა შენ წიგნი უნდა გეჭიროს ხელში და მეცადინეობდე. ცოდნას დიდი ძალა აქვს, ოღონდ სიფრთხილით უნდა მოპყრობა. კარგი ნათქვამია - „ჭკუა უხმარ არს ბრიყვათათვის ჭკვა ცოდნით მოიხმარებისო“. ეჰ! რა წინაპრები გვყავდა. - დანანებით გადააქნიათავი. - ახლა კი რას დავემსგავსეთ. კაცი, რომელიც საშოვარზეა გამოსული მხოლოდ კუჭის ამოსაყორად, ის კაცი და ის საზოგადოება ვერაფერს ფასეულს ვერ შექმნის. როდის შეიქმნა ყველა დროის ყველაზე საუკეთესო მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები, ფაქტობრივად მეორე სახარება? ქართული სახარება! რომელმაც თავი დაუდი ევროპულ რენესანსს? ევროპელებს მაშინ ამისთვის არ ეცალათ,

მჩხიბაობდნენ რაღაცეებს. ეჭ, – ისევ გადაიქნია თავი ქადაგად ქცეულმა და წარბები მაღლა აზიდა. – საოცარი რამ არის, როგორ შეძლო ადამიანის გონებამ ასეთი ნაწარმოების შექმნა, ტყულად კი არ ამბობენ ღვთის ხელი ურევიაო. სანამ კითხვას შეუდგები, ჯერ სათაური გნუსხავს „ვე-ფხის-ტყა-ოს-ან-ი“, – თქვა დამარცვლით, – „ვეფხისტყაოსანი!“ ნახე როგორ უდერს, სათაურიც კი პოეზიით არის გაუღენთილი. – წაოცნებებულმა თავი უკან გადასწია და სიგარეტის ბოლით დანისლულ ჭერს გახედა. – ხო, თქვენ გეკითხებით! – განაგრძო სიბრძნის ფრქვევა და ორატორობა უღალთმიანმა, თითქოს სტუდენტებით სავსე აუდიტორიის წინაშე იდგა და ლექციას კითხულობდა. კარგად იცოდა, რომ პასუხს არავინ გასცემდა და თვითონვე უპასუხა, – როცა ქვეყნა ერთიანი და ძლიერი იყო. მოიწი აქეთ, მოიწი. ჩამოჯექი, – და სკამი გამოუწია. რაღაც უჩვეულო სითბო გამოერია ხმაში უღალთმიანს. – დაჯექი, ძამია, დაჯექი, – და მხარზე ხელი გადახვია. – მომენტები, კარგი ბიჭი ჩანხარ, ბეჯითი და მარჯვე. თუ ცოცხალი გადავრჩი, არ დაგტოვებ უყურადღებოდ. მჭირდება მე შენნაირი ხალხი. უსიტყვოდ და გუმანით რომ შეუძლია, გამოიცნოს პატრონის სურვილები. – მერე ყურადღება ისევ ბიჭებზე გადიტანა. – მორჩა. გვეყოფა. დროა საქმეს მივხედოთ, – და ფეხზე წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენ და გასასვლელისკენ გაემართნენ. კართან რომ მივიდნენ, ლოყებაწითლებულმა ბიჭმა უღალთმიანს მიმართა:

– ბიძია, ფულს ვინ გადაიხდის! თქვენ რომ წახვიდეთ და ფული არ გადაიხადოთ, გამაგდებენ მე სამსახურიდან. მე ფული საიდან მოვიტანო! სახლში ყველა უმუშევარია.

უღალთმიანი შემობრუნდა.

– შენ, ძამია, ლაპარაკიც გცოდნია, თანაც შთამბეჭდავი და გულში ჩამწვდომი, მაგრამ ჩემი გადახდილია, ჩემი ქვეყანა იხდის, ჩემი სამშობლო, რომლისთვის მე სისხლი უნდა ვღვარო. გესმის, პატარავ?

კართან შეყოვნებული უღალთმიანი ბიჭისკენ წამოვიდა და თვალებში ჩააცქერდა, ცრემლის გუბე გასასხლტომად მზად

იყო. უდალთმიანმა მხრებზე ხელი მოხვია და ჰქითხა, უფროსები სად არიანო. ბიჭმა კარისკენ მიუთითა.

— ბიჭებო, თქვენ გარეთ დამელოდეთ, მე ახლავე გამოვალ, — და სანამ მითითებული კარისაკენ გაემართებოდა, ბიჭს უთხრა: — ცრემლი არ არის კაცის საქმე, გახსოვდეს! მხოლოდ ცოდვით დამძიმებული მონანული კაცის ცრემლია სათხო და მისაღები.

უდალთმიანმა კარი შეალო. მომცრო ზომის ოთახს ერთი ფანჯარა და საკმაოდ შთამბეჭდავი რკინის გისოსები ამკობდა. ფარდა ბოლომდე არ იყო განეული და კარგად მოჩანდა ეზო და მიმდებარე ტერიტორია. უდალთმიანის თანამეინახენიც თვალთახედვის არეში იყვნენ, იარაღი ხეზე მიეყუდებინათ, იქვე გაშელართულიყვნენ და ოხუნჯობით თავს იქცევდნენ. ოთახში დივანი, მაგიდა და რამდენიმე საკამი იდგა. დაუცლელი ლუდის ბოთლები, მაგიდაზე უხვად მოფენილი ფულებიდან გასაფრენად გამზადებული მცირე ზომის ბალისტიკური რაკეტებივით იმზირებოდნენ. მაგიდის წევრები მომენტალურად წამოიშალნენ. სუფრის წევრებიდან ორი წვეროსანი იყო, ერთი პირტიტველა ვაჟი, საკმაოდ გრძელი თმით და ორმოცგადაცილებული ჭქნობაშეპარული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მომხიბვლელი ქალი. პირტიტველამ მომენტალურად იარაღს წაატანა ხელი. ქალმა ხელით ანიშნა თანამეინახებს, რომ დამსხდარიყვნენ. უდალთმიანს ცოტა არ იყოს გაუკვირდა ქალის სიმშვიდე, — არავითარი შიში და ფორიაქი არ იგრძნობოდა მის ქმედებაში.

— შიშმა გაგაკეთებინა შენ ეგ, ყმაწვილო, შიში ცუდი მეგზურია და ხშირად კლდეზე გადამჩენი. როგორ ფიქრობ, მე აქ უსაფრთხოებით უზრუნველყოფილი რომ არ ვყოფილიყავი, ასე თამამად შემოვიდოდი? თავზეხელალებულს კი მეძახიან, მაგრამ არც იმ დონეზე ვარ თავზეხელალებული, რაღაც „პუსტიაკისთვის“ უსახელოდ მოვისწრაფო სიცოცხლე. გაიგე, ბიჭო! თუ გაიგე, მერმისისთვის გაითვალისწინე. ეს ქალბატონი კი, როგორც ჩანს, ჭკვიანი და გამოცდილია, წამსვე მოწვა.

— დაბრძანდით და ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელი, მაგრამ ალლოიანია და ყველაფერს

მალე ითვისებს. იმედია, გაითვალისწინებს თქვენს რჩევას, – გამოექომაგა პირტიტველას ქალი.

უღალთმიანმა ჯიბებიდან ხელები ამოიღო და ჩამოჯდა. ახლოს მიიწია მაგიდასთან, იდაყვებით დაეყრდნო, ხელებში თავი ჩარგო და მოუსვენარი თვალებით მაგიდის ყველა კუთხე-კუნჯული მოჩხრიკა.

– როგორც ვატყობ, სეკას თამაშობთ. საკმაოდ დიდი ფული მოგროვილა.

– კი, საკმაოდ, – დაუდასტურა ქალმა. – უკვე მესამე დარიგებაზე სეკაა, ახლა მეოთხედ უნდა ჩამოვარიგოთ.

უღალთმიანმა სახიდან ხელები მოიცილა და მაგიდაზე დააწყო.

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენის ნებართვით, მხოლოდ ერთ ხელს ვითამაშებ, – თანხმობას არც დალოდებია და დააყოლა, – ცოტა ხნით თქვენს ადგილზე დამსვით ქალბატონო.

ქალი უსიტყვოდ წამოდგა, ადგილი დაუთმო. უღალთმიანი მოხერხებულად მოკალათდა.

– ვინ არიგებს?

– მე უნდა დამერიგებინა, – უპასუხა ქალმა.

– რადგანაც თამაშის ნება დამრთეთ, თუ შეიძლება, თქვენს მაგივრად მე ჩამოვარიგებ. – ქალმა უსიტყვოდ გაუწოდა კარტი, უღალთმიანმა გამოართვა, ხელში შეათამაშა, მერე რამდენჯერმე აჭრა და აჩეხა, ელვისუსწრაფესად აკეთებდა ყველაფერს, ისე რომ თვალსაც ვერ შეასწრებდი თითების მოძრაობას. მოთამაშენი დაძაბულნი აკვირდებოდნენ მისი თითების მოძრაობას და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდნენ. ბოლოს შეჩერდა, მოთამაშებს სათითაოდ მზერით ჩამოუარა, დაუინებით და დაყოვნებით უცქერდა თვალებში, თითქოს ნუსხავდა და კარტი ჩამოარიგა. ფსონი კიდევ გაიზარდა და ფულმაც იმატა. დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ყველამ სათითაოდ გახსნა კარტი. თამაში უღალთმიანმა მოიგო. ქალმა შვებით ამოისუნთქა. მოგებული ფეხზე წამოდგა, ფულისკენ არც გაუხედავს, ფანჯარასთან მივიდა და ეზოს გახედა. ბიჭები ისევ ხის ქვეშ ისხდნენ და მოთმინებით ელოდნენ მას. აჭარხლებულმა ქალმა ნახევარი

შესთავაზა. კაპიკიც არ მინდა, შენი იყოსო, ომში მივდივარ და ფულს რა თავში ვიხლიო, ერთს კი გთხოვთ, იმ ბიჭს მიაციეთ ყურადღება, თუ ცოცხალი დავრჩი, უკან მობრუნებისას შემოგივლითო. უღალთმიანი ფანჯარას მოშორდა, კარი გამოაღო და დარბაზში გამოვიდა.

— ყმაწვილო, ჩვენი გადახდილია, ნუ გეშინია, არავინ გაგიშვებს სახლში. — სანამ ეზოში გამოვიდოდა, კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ბიჭს, — რამდენი წელია, რაც აქ მუშაობ?

— რაც გაიხსნა, იმ დღიდან.
— კიდევ რამდენი წელი უნდა იმუშაო, მწვადის შეწვა რომ ისწალო? — მერე დაუყვავა, — კარგი, კარგი, რამდენიც უნდა ეცადო, კახელივით მანც ვერ შეწვავ.

* * *

ვნებადამცხრალი დღე გადიოდა. მთის წვერს ნათლის შარავანდედივით დასდგომოდა ვეება ცეცხლოვანი დისკო. მთელი დღის ნაჯაფი მალე მთას ამოეფარებოდა და დამშვიდობების ნიშნად ხელს დაიქნევდა. მთვარე კი ვეება სარკედ ქცეული ოკეანის წინ თავს იკოხტავებდა და პატარძალივით მოკაზმული სამორიგეოდ ემზადებოდა... ის-ის იყო გივი წინკარში უნდა შესულიყო, როდესაც მის ჭიშკართან მომცრო ზომის ფორდის მარკის სატვირთვო ავტომანქანა გაჩერდა. მძლოლმა რამდენჯერმე მიასიგნალა, მერე რკინის კარზე დააბრახუნა. გივი შემობრუნდა და ჭიშკრისკენ გაემართა. საიდლანაც ძალლი გამოვარდა და მასზე უწინ გაჩნდა ჭიშკართან. დაჯდა და პატრონის მოლოდინში კუდს აქიცინებდა. გივიმ კარი გამოაღო. კართან უცნობი მამაკაცი იდგა. გივი გაკვირვებული უცქერდა.

— ბატონო გივი! ერთმა ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა თქვენთან პურმარილი გამომატანა, თვითონაც მალე გეახლებათ. უცნობმა გივის გონზე მოსვლაც არ აცალა და მანქანის გადმოტვირთვა დაიწყო. რა აღარ იყო: ოცლიტრიანი შტოფი წითელი ღვინით სავსე, შემწვარი გოჭები, ქათმები, ხაჭაპურები და სხვა უამრავი ნუგბარი, ნამცხვარები და უზარმაზარი ტორტი, ლიმონათები, ბორჯომი და ბევრი სხვა რამ, რომელიც

ლამაზად იყო შეფუთული და არ ჩანდა. გივი დამუნჯებულიყო და ხმას ვერ იღებდა. როგორც უეცრად გამოჩნდა, ისე უეცრად გაუჩინარდა უცნობი. ხომ არ მეჩვენებაო, – გაიფიქრა გივიმ და თვალები მოიფშვნიტა. ძლივს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ძალლი კი კარს არ სცილდებოდა, ყეფდა და კარს ფხოჭნიდა. რაღაც ფარსაგი არ უნდა იყოს ჩვენს თავსო, – გაიფიქრა გივიდ.

ძალლის ყეფაზე ირინემაც გამოიხედა, გამოვიდა წინკარში და გაოცებული უყურებდა ეზოში მოფენილ ხორაგს.

– რა ხდება, გივი? მგონი, კართან ვიღაცა არის, ძალლმა ჩამოიღო ჭიშკარი.

დამუნჯებული გივი ისევ კარისკენ გაემართა და სანამ სახელურს მისწვდებოდა, კარი გაიღო... მის წინ თავგადაპარ-სული უღალთმიანი იდგა. მოულოდნელობისაგან კაცი კინაღამ წაიქცა. ირინემ გულზე მიიღო ხელი და რომ არ წაქცეულიყო, მეორე ხელი მოაჯირს წაატანა. იქვე ჩამოჯდა. მხოლოდ ძალლი მხიარულობდა, ახტებოდა უღალთმიანს და ელაქუცებოდა. უღალთმიანი გივის მიუახლოვდა და ხელი გამოსდო, ნებაწართმეული და დაბნეული კაცი დასაკლავი კრავივით გაჰყვა ნათლიას. როცა ირინეს მიუახლოვდა, უღალთმიანმა გივის ხელი გაუშვა, ქალის წინ მუხლზე დაიჩოქა და თავდახრილმა მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: ციხეში ვიჯეები.

ქეიფმა დილამდე გასტანა. გივიმ მეზობლებსაც დაუძახა – კონიასა და ერმილეს, კარგი ხმები ჰქონდათ და კარგადაც მღეროდნენ. არც უღალთმიანი იყო უსმეონ და სახელდახელოდ შესანიშნავი ტრიო ჩამოაყალიბეს. ნათლიამ კი მოუთხრო, თუ როგორ შეეცილნენ ბიზნესში, როგორ მოინდომეს წილში ჩაჯდომა, როგორ შეუთითხნეს საქმე, წაართვეს ფული, ბიზნესი და დიდი ნაცნობობით მხოლოდ ორი წლით გამოამწყვდიეს ციხეში. ამ ამბით შეძრნუნებული ირინე ცრემლმორეული დასტრიალებდა უღალთმიანს, ხან თეფშებს უცვლიდა, ხან კერძებს სთავაზობდა და მოთქვამდა: – იმ უღმერთოებმა როგორ დატანჯეს საწყალი ბიჭიო.

უღალთმიანი კი მისთვის ჩვეულ სტიქიაში იყო.

– კაცი ყველგან კაცად უნდა დარჩეს, ციხე იქნება ეს, თუ

მაღალი საზოგადოება. ციხე ერთგვარი გამოცდაა, შეძლებ კი მაღალი ზნეობრივი პრინციპების შენარჩუნებას? ადამიანის ბუნება ყველაზე კარგად სულიერი და ხორციელი შეჭირვების დროს წარმოჩნდება. განსაკუთრებით შიმშილის დროს. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს მშიერი კაცი, ერთი ლუკმა პურის-თვის შეიძლება ყველაფერზე წავიდეს. ამის უამრავ მაგალითს შევესწარი მე იქ. ციხე ერთგვარი კოლექციონერია, ადამიანური მანკიერებების შემგროვებელი და აღმნუსხავი. და ნურავინ ნურაფერს დაიქადნის. შეიძლება, გონებისთვის მიუწვდემელი რამეც კი ჩაიდინო. ციხეს თავისი დაუწერელი კანონები აქვს და ყოველგვარი გადაცდომისათვის სასტიკად ისჯები. ყველა ჯურის დამნაშავე იჯდა იქ. გინდა თუ არა, ვინმეს აუცილებლად დაუახლვდები. ერთი გამოუსწორებელი თაღლითი იჯდა ჩემ გვერდით, საოცარი იუმორის მქონე. ასე სიცილ-ხარხარში ატყუებდა ხალხს. ყველას ყველაფერს ჰირდებოდა და არავის არაფერს უსრულებდა. ბიჭო, იციან მატყუარა და გადამგდები რომ ვარ, მაგრამ მაინც მენდობიანო. და რასაც მე ვაკეთებ, ამას მე კი არ ვაკეთებ, ეშმაკი მაკეთებინებსო, ზურგზე მაზის და ის მკარნახობსო. იცინე, შენ, იცინე, სანამ თვითონ არ გამოცდი, მანამ სასაცილოდ მოგეჩვენებაო. მე ჯერჯერობით ვერ მოვიცილე, აქაც კი შემომყვა და უმრავ სისულელეს მაკეთებინებსო. ისე, გულახდილად რომ გითხრა, არც მისი ბრალია ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, დიდ სიამოვნებას მანიჭებსო. მრავალ სხვადასხვა ჯურის დამნაშევესთან ერთად შინაური ფრინველების ქურდიც იჯდა ჩვენთან ერთად საკანში. ყველა სახის ფრინველს იპარავდა, რაც კი ხელში მოჰყვებოდა, ქათა-მი იქნებოდა თუ ინდაური. ბატების ქურდობის დროს ჩავარდა. ისეთი გნიასი ატეხეს ბატებმა, პატრონს გაეღვიძა, ეგონა, მელა თუ შევარდა საქათმეში და თოფით გამოვარდა. სახედასისხლიანებული და სკინტლში ამოგანგლული მეზობელი რომ შერჩა ხელში, სიცილისაგან კინაღამ ჩაბურდა, თურმე ჭუჭულები ჰყოლია და უცხო კაცი რომ დაინახეს, დაესივნენ და სულ ერთიანად დაასისხლიანეს. არ ვიცოდი, კაცო, ბატებს თუ ასეთი კენა შეეძლოთ. და მოდის ერთ დღეს ეს ქათმისპარია და მეუბნება:

როგორც ქათმისპარიას ამრეზით მიყურებენ, ამ თაღლითსა და აფერისტს კი პატივისცემით, არადა ჩემზე უარესია. არ ენდო, თუ ჯერ არ მოუტყუებიხარ, ანი აუცილებლად მოგატყუებს. სი-ცრუისა და თაღლითობის დიდოსტატია. გასაკვირია პირდაპირ, ყველას ატყუებს, მაგრამ ყველა უცინის. ყველანაირ საქმეზეა წამსვლელი. ერთ საღამოს ქუჩაში დაღაყუნობდა და მორიგ საკბილოს ეძებდა. ერთმა ჯიხურის პატრონმა დაუძახა: გეტყობა, უსაქმურად ხარ, მოინი აქეთ, საქმე უნდა მოგცეო. შენ რა საქმე უნდა მომცე, რომელი საქმოსანი შენ მყავხარო. მოინი აქეთ, მოინი და ყური მიგდეო. იმ ჯიხურს ხომ ხედავ, მოპირდაპირე მხარეს რომ დგას, გადაწვი ამაღამ და ასი დოლარი შენიაო. ბაზარი არ არისო, ოღონდ ფული წინასწარო. ჯიხურის პატრონმა მისცა ასი დოლარი. დავალება პირნათლად იქნება შერულებულიო. ეს თაღლითი და აფერისტი ახლა მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და მეორე ჯიხურის მეპატრონეს ეუბნება: იმ ჯიხურის პატრონმა ასი დოლარი მომცა, ამაღამ შენი ჯიხური უნდა დავწვაო. ესე იგი, ჩემი ჯიხური უნდა დაწვა! მაშ კარგი! აჰა, შენ ორასი დოლარი და მისი ჯიხური გადაწვიო. როგორ ფიქრობ, რას მოიმოქმედებდა ეს თაღლითი? მაინცდამაინც დიდი ყურადღებით რომ არ ვუსმენდი, შემამჩნია და მითხრა, ორივე გადაწვა, კაცო, ორივეო. მერე ამბობდა, პირნათელი ვარ ორივესთანო. ფული გადამიხადეს და დავალება შევასრულეო. გამელიმა, პრინციპში, მართალია-მეთქი. იცინე, შენ, იცინე, ეგ რა არის, ისეთი რამეები აქვს ჩადენილი, ნორმალურ ჭკუათმყოფელ კაცს თავში რომ არ მოუვაო. ამას მელაპარაკება ქათმის ქურდი. გულის გადასაყოლებლად გავამხნევე, მაინც რა ჩაიდინა-მეთქი. კაცო! საკუთარი ბიძა მოპარული კუბოთი დამარხაო. გაკვირვებისაგან კინაღამ ნარიდან გადმოვვარდი. რა-მეთქი?! გაგიკვირდა ხომ? ყველას გაუკვირდებოდა, მე კი ის მიკვირს, რამ მოაფიქრებინა. მაგან არც შინაური იცის და არც გარეული, ფულის დანახვაზე გონება ეკეტება და ყველაფერზე წამსვლელი არისო. მაგას ბიძა გარდაეცვალა და ახლობლებმა ფული მისცეს კუბოს დასამზადებლად. ეს კი, მივიდა მეკუბოვესთან და უთხრა: – აი ამ კუბოს წასაღებად მოვედიო და გამზადებულ

კუბოზე მიუთითა. იმ კაცს ეგონა, შეკვეთილი კუბოს პატრონი თუ იყო. ან როგორ მოიაზრებდა, თუ ვინმე კუბოს მოსაპარად მოვიდოდა. მერე რომ ჰყითხეს, ასეთი გაუგონარი საქციელი როგორ ჩაიდინეო! არ იცი, რა უპასუხა? – არ იყო ეგ კაცი მეტის ღირსიო. მაგ არაკაცმა საკუთარი ახლობელი, ახალგაზრდა გოგო გააუბეჭურა და მომავალი დაუნგრიაო. ის კი არა, ეგეთი კაცი საერთოდ არ უნდა დამარხოო. ტურებს, და მგლებს უნდა აძიძგნინო მაგის გვამიო. ხედავ, შენ! რაღაც მორალური პრინციპები მაინც ჰქონია-მეთქი. რა პრინციპები, კაცო – ფულია მაგ-ისთვის ყველაზე მთავარი პრინციპი. აქ რომ შემოვიდა, პირველი ის იყითხა, სეკას ვინ მეთამაშებაო! უთხრეს, ჩვენ ფული არ გვაქვსო. აბა, ვის აქვს ფულიო. აი იმასაო და ქურდზე მიუთითეს. მივიდა მასთან და ეუბნება, სეკა მეთამაშეო. მე რატომ უნდა გეთამაშოო, კითხვა შეუბრუნა ქურდმა. შენ მეტს ფული აქ არავის აქვს და აბა, ვის ვეთამაშოო. ყოვლისმნახველი ქურდიც კი გადარია ამის თავხედობამ. მომაშორეთ ეს „ნაგლი“ აქედან, სანამ ცოცხალი არისო. ამის მერე მაგის სახელია „ნაგლია“. მოდის შენთან კაი კაცივით და გეჭუკჭუკება. მე კუბო მაინც არ მომიპარავს საკუთარი ბიძისთვის, ესენი კი მაგას ეტორლიალებიანო. შნო უნდა მაგას, შნო, შე ქათმის ქურდოო, და პანდური ამოჰკრა წამოპარულმა ნაგლიამ. ჩემთან ერთად სხვებიც ისმენდნენ ამ საუბარს და ბევრიც იხორხოცეს.

მონათხრობმა სუფრაზე ზოგს გაოცება და ზოგს ლიმილი მოჰგვარა. ერმილემ კი გადაიხარახარა, თავისი პრინციპების ერთგული ყოფილაო, მარა კუბო მაინც რამ მოაპარინაო, და ისევ გადაიხარხარა. გადახარხარებამ მოულოდნელად ლუკა გაახსენა – რავა დავკარგე სიყრმის მეგობარიო, იმან იცოდა ასე გულიანი გადახარხარება, გულწრფელი და ალალი. გაახსენდა და სევდა მოერია. მოწყდა სუფრას და გონებით სად არ იხეტიალა. მერე მომლერლის სახე აეკვიატა, უფრო მოიწყინა და გაირინდა. – სად ჯანდაბაში ვიპოვო ორეულიო, ისევ ლუკა წამოუტივტივდა და უცებ თითქოს ათასი ვარსკვლავი აფეთქდა ერთად და მისი გონების ყოველი კუთხე-კუნჭული გაანათა. მომლერლის ტყუპისცალიც გამოჩნდა, ულიმოდა და მისალმების ნიშნად ხელს

უნევდა. მის წინ ლუკა იდგა. თფუ, აქამდე სად იყავი, შე დებილ! ცხვირწინ გყოლია და შენ კი დასალიერში ეძებდიო. არა და როგორ ჰგავს?! აღნაგობა გინდა, შეხედულება, ცოტა თმა კი აქვს შეთხელებული, არც სმენა აქვს, მაგრამ მერე რა, პარიკი და მისი ჯანი, სიმღერით კი ქუჩაში ვინ ამღერებს, თუ სიტუაციამ არ მოიტანა, საერთოდ არ ამოვალებინებ ხმასო. ისე გაუხარდა თავისი აღმოჩენა, კინალამ დავლური დაუარა. დისახლისი კი სუფრას დასტრიალებდა, ყველას თვალებში შესციცინებდა, მაგრამ გულში ხანდახან გაკრავდა ხოლმე, ნუთუ სამუდამოდ დამეკარგა ჩემი სამკაულებიო, ახლა ეს გაკოტრებული და უფულო როგორ დაიხსნის ძვირფასებულობასო. ბედს შეგუებული მაინც თავს იმშვიდებდა, – არა, მოხერხებული კაცია, რამეს იღონებსო, ამის იმედი რომ არ ჰქონდეს, ან მოტყუება უნდოდეს, აქ როგორლა მოვიდოდაო.

უდალთმიანმა კატეგორული უარი განაცხადა დარჩენაზე, ჩემს გაუბედურებულ საქმეს მიხედვა უნდაო. ყველაფერი ისევ ნულიდან უნდა დავიწყოო. ტაშ-ფანდურით გააცილეს სტუმარი ჭიშკრამდე. კართან ერმილემ და კოწიამ კიდევ ერთხელ წაუმლერეს: „ჩემი გული, შენი გული, ჯაჭვით არის გადაბმული“. სტუმარიც აჲყვა, მაგრამ შუა გზაზე შეწყვიტა სიმღერა, მოუბოდიშა მომღერლებს, გადაკოცნა და გივის მიუბრუნდა, მკლავში ხელი გამოსდო და ყურში ჩაუჩურჩულა: ვიცი შენი მეუღლის გულისტკივილი, ქალია და ქალისთვის რამხელა მნიშვნელობა აქვს სამკაულებსო. არა ვარ უპირო კაცი, სამკაულებს აუცილებლად დავაბრუნებო.

გათენებას ბევრი აღარ აკლდა. ცისკრის ვარსვკლავი მომატებულად კაშკაშებდა, ტოროლამაც შეუწერიალა ცას, მამლებმა ყივილს მოუხშირეს და ქათმებმა კრიახს. ღამენათევი ძალლები ბოლო ძალას იკრებდნენ და მიღულული თვალებით მაინც მხიარულად ეგებებოდნენ ახალი დღის დაწყებას. უდალთმიანს ერთგული მეგობარივით ადევნებოდა მისივე ჩრდილი და გამხიარებულნი მტკიცე ნაბიჯით მიუყვებოდნენ გზას.

ამ ამბიდან არც თუ ისე ბევრი დრო იყო გასული, როდესაც გივის სახლ-კარს ახლად წვერალერებული ჭაბუკი

მიადგა. ჭიშკართან ცოტა ხანს შეყოვნდა და მერე მორიდებით დააკაკუნა. პატარა პაუზის შემდეგ შიგნიდან გამოსძახეს: კარი ლიაა, შემოდით!

ჭაბუკი ეზოში შევიდა და იქვე კართან შეჩერდა. სტუმარს გივი გამოეგება. შემოდი, კაცო, რას დამდგარხარო. ახალგაზრდას მღელვარებისაგან სახე ასწითლებოდა და ბიჯს არ დგამდა წინ, ერთ ადგილზე მოუსვენრად წრიალებდა. როგორც იქნა ხმა ამოილო და დატუქსული ბავშვივით ერთიანად აჭარხალებულმა მოწინებით მოახსენა: გივი ბიძია, ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენთან რესტორანში ერთი წარმოსადეგი და შეხედული მამაკაცი მოვიდა. გვითხრა, გივის ოჯახის ნათლია ვარო. გივის რუსეთიდან სტუმრები ეწვია, გამოვლით არიან, ბევრი დრო არ აქვთ, სახელდახელოდ კარგი პურ-მარილი გაამზადეთ და მანქანაში ჩამიწყვეთ, რომ სათანადო პატივი ვცეთო. ჩვენც ყველაფერი მოვამზადეთ, მაქანაში ჩავუტვირთეთ და იმ კაცს გამოვატანეთ. გივის ხომ კარგად იცნობთ, თავს არ შეირცხვენს, ერთი-ორად გადაგიხდითო. რომ არ ეჩქარებოდეს სტუმრებს, გივის ოჯახს პურ-მარილის გაშლა არ ესწალება და არც თქვენ შეგანუხებდათო. აგერ უკვე ამდენი დრო გავიდა, თქვენც არ გამოჩნდით, და ამიტომ შეგანუხეთ.

გივი გაირინდა, სახე აუფორაჯდა, მერე ფურცელივით გაფითრდა, ბიჭს ამღვრეული თვალები შეანათა და ხმის ამოულებლად გულწასული მოწყვეტით დაენარცხა მიწაზე.

* * *

— აი, ასეთია ჩემი ისტორია. — ჩაათავა ამბის მოყოლა ელეფთერმა. სიჩუმე ჩამოწვა. ხმას არც ერთი არ იღებდა. მონათხობმა ლუკა დაამუნჯა. ელეფთერიც გარინდულიყო. როდის, როდის, კონიაკის ბოთლს მისწვდა, პირთამდე აავსო ჭიქა და სულმოთქმელად გადაჰკრა, არც არაფერი მიუყოლებია.

— ხმას აღარ ამოიღებ, ბიჭო?! — სიჩუმე დაარღვია ელეფთერმა, — ნუთუ სათქმელი არაფერი გაქვს, ან კითხვა მაინც არ დაგებადა?

ლუკა ფეხზე წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ტილოებთან

გაჩერდა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და კრანახის „მაჭანკალზე“ შეაჩერა მზერა. დიდხანს უცქერდა დაუინებით, მაჭანკალი კი თითქოს დაცინვით უუბნებოდა, აბა, რა გეგონა შენ! ამ წუთისოფელში ყველაფერი იყიდება და არც შენ იქნები გამონაკლისიო. ელეფთერსს ბრაზი მოჰვარა მისმა დუმილმა და გალიზიანებულმა ჰქითხა:

- რას მიშტერებიხარ ამ სურათებს, ამოიღე ხმა!
- ლუკა შემოპრუნდა და ურეაქციოდ, ყასიდად ჰქითხა:
- ვისია ეს სურათები! რომელია ორიგინალი!
- ყოველ შემთხვევაში, რომელსაც შენ მიშტერებიხარ, ორიგინალია.

- ერთი ამბავია ამ ტილოზე ატეხილი, მუზემიდან გაიტანესო უცხოეთში. მაინც ვისია?

- რაღა აზრი აქვს დამალვას, მე უკვე ყველაფერი გითხარი. ჩემი დამრიგებლისაა, აქ ერთგვარი სამალვია და არც არავის მოსდის აზრად, თუ ორიგინალებია. შესაფერის მომენტს ელოდებიან უცხოეთში გასატანად. ეს უკვე ჩემი დონე არ არის, მე ამ საქმეს ვერ შევწვდები. ასეა, ის, რაც ყურის ძირშია, დასალიერში ვეძებთ ხოლმე.

- ახლა ეს მითხარი, ჩემთან რამ მოგიყვანა. ოლონდ არ მითხრა, სიყვარულმა და მონატრებამო. შენი ნაამბობიდან ცხადია, რა არის შენი სიყვარული.

- არც მთლად ეგრეა საქმე, შენ რომ ფიქრობ. სიყვარულმაც და საქმემაც. სიყრმე ხელშეუხებელია, უხინჯო, წმინდა. და არც ყველა ადამიანური გრძნობა დამჩლუნგებია მთლად.

- ეს ღამის თავგადასავალი რაღა საჭირო იყო?
- ერთ მნიშვნელოვან საქმეზე მჭირდები და გამოგცადე. ხომ ხედავ, არცთუ ისე ადვილი ყოფილა ცდუნებისაგან თავის შეკავება. ჩემთვის ყველაზე მთავარი ცდუნება ფულია, როგორც შენ აღნიშნე.

- და არა მარტო ფული, ხომ?
- არა, ყველაფერი მაინც ფულს უკავშირდება, პირველი ბარიერის გადალახვაა ყველაზე რთული, სანამ ჯერ კიდევ სინდისი გაწუხებს, ზოგი შუბლის ძარღვს ეძახის, მე აღარ

მანუხებს და ეს ძარღვიც არ დამყოლია. ასე ვუთხარი ერთხელ ბიძაჩებს.

— მაინც რამ მოგიყვანა ჩემთან? მე ჯერ სინდისი ისევ მანუხებს.

— რამ მომიყვანა და მეგობრობამ. ამ ერთხელ უნდა დამეხმარო, ამ ერთხელ და უკანასკნელად. შენ მეტი ამ საქმეს ვერავინ გააკეთებს. შენ ხარ ერთადერთი და შეუცვლელი.

— და მაინც, რა საქმეა ასეთი, შეუცვლელი რომ ვარ?!

ელეფთერმა დაწვრილებით უამბო ლუკას ყველაფერი ორეულის შესახებ, თუ როგორ გადაატყავა მთელი საქართველო და ამდენი ძებნის შემდეგ, როგორ იპოვა შესაფერისი კანდიდატი. უტიფარმა თხოვნამ ისე შეაძრნუნა ლუკა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— არ მეგონა, შენი ნაამბობის შემდეგ, თუ რამე გამიკვირდებოდა. ასეთის მოფიქრება, ალბათ, თვით ეშმაკსაც კი გაუჭირდებოდა.

— და შენ ფიქრობ ეშმაკი გარე-გარე დაძრნის? ის ყველა ჩვენთაგანშია, ერთი პატარა მოდუნება და მისი ნების ალმსრულებელი ხდები. ყველა მინიერზე შეყვარებული მისი მონაა. მე, დიდი ხანია, მის ნებაზე დავდივარ და უზარმაზარ სიამოვნებას ვიღებ მისგან.

— რა იმედით მოხვედი ჩემთან და რატომ ფიქრობდი, რომ დაგთანხმებოდი?

— მეგობრობის იმედით, მეგობრობა უველაზე დიდი გრძნობაა, მეგობრობა და სიყვარული ურთიერთგადაჯაჭვულია.

— ამხელა ცინიზმი... სხვას რომ მოეთხრო ეს ამბავი, არ დავიჯერებდი და გამელიმებოდა.

— არაფერია აქ სასაცილო, მხოლოდ ერთხელ დამჭირდი. დიდ ფულთანაა დაკავშირებული და საქმის წარმატების შემდეგ ყველაფერს შევეშვები, უცხოეთში წავალ და თან შენც გაგიყოლებ. რამდენიმე ხნის მერე ჩამოვიდეთ და დიდი ბიზნესი გავაკეთოთ. ეს საქმე შენ უნდა გააკეთო. ჩვენი მეგობრობაა ყველაფრის საწინდარი. რომელი ერთი მაგალითი მოგიყვანო. შორს რომ არ წავიდე, გაიხსენე „ვეფხისტყაოსანი“.

ვიცი, მარტო წაკითხული კი არა, კარგად ნასწავლიც გაქვს. მეგობრის გულისთვის ავთანდილმა მომაკვდინებელი ცოდვის ჩადენაზეც კი არ დაიხია უკან, მომაკვდინებელი ცოდვა, გე-სმის?! ფატმანისაგან სასიყვარულო წერილის მიღებისას პირველად კი გაიკვირვა, „რა უთქვამს, რა მოუჩიმახავს, რა წიგნი მოუწერიაო“.

- რა ცოდვა, კაცო, - შეაწყვეტინა ლუკამ.
- ტარიელის გამო, მისი სატრფოს პოვნის გამო, მეგობრობისა და სიყვარულის გამო, საკუთარ შეყვარებულს, საცოლეს უღალატა, უდანაშულო კაცი ღორივით დაკლა, ბეჭდიანი თითიც კი წააჭრა, როგორც მტკიცებულება და ბოზანდარა ფატმანს ჩაუგორდა ლოგინში.
- საჭირო ინფორმაციის მისაღებად.
- არ მითხრა ახლა, არ უმრუშიაო. ასე წერია პირდაპირ - „დაიწყეს კოცნა, ლალობა წყლიანიო“... კოცნა-ლალობით იწყება ყველაფერი, თუ არა შენც გამოსცადე შენს თავზე.
- რას არ მოიფიქრებს კაცი უმგვანო საქციელის გასამართლებლად! კონტექსტიდან გლეჯ იმას, რაც შენ გაწყობს. ბარემ ისიც თქვი, რაც უფრო ქვემოთ წერია: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“-ო. და კიდევ, გაიხსენე სახარება, რომელიც თუ შენს ნათქვამს დავუჯერებთ, თითქმის ზეპირად გაქვს ნასწავლი: „უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცდუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან“. ალბათ, არ დაგჭირდება ჩემგან განმარტება, თუ რა იგულისხმება.

- კარგი, კარგი, - აღარ დაამთავრებინა ელეფთერმა, - აღარ გვინდა, გვეყოფა, მე ჩემი სათქმელი გითხარი, საკმაო არგუმენტებიც მოგიყვანე, ათი დღე თავისუფალი ხარ. იფიქრე, დრო ბევრი გაქვს.

უღალთმიანს მეტი აღარაფერი უთქვამს, წამოდგა, კარი გაიხურა და გავიდა.

* * *

მუდმივად ცვალებად სამყაროში კაცმა არ იცის, თუ რა სიურპრიზს უმზადებს მომდევნო დღე. სიურპრიზები შეიძლება

სასიხარულოც იყოს და თავზარდამცემიც. ისე კი მედლის ორი მხარეა. ლუკასთან ბოლო შეხვედრის შემდეგ ელეფთერი ქეიფსა და დროსტარებაში ატარებდა დღეებს. დარწმუნებული იყო და რატომდაც ეჭვიც არ ეპარებოდა ლუკას თანადგომაში და მხიარულობდა. ახლაც იმავე რესტორანში ილენდა. მუხლებზე ორი ნახევრად შიშველი გოგო ესვა, ხითხითებდა, ხან ერთს უღიტინებდა და ხან მეორეს და თან აიძულებდა, მისთვის რიგრიგობით ეკოცნათ. ნეტარებდა მომავალი უზრუნველი ცხოვრების განცდით. თითქოსდა საოცნებო ინსტრუმენტი ხელში სჭეროდა. დოლ-გარმონი ჰქონდათ გახურებული: „წავალ და გაგიფრინდები“. უკანასკნელ ხმაზე გაჰკიოდა თავლაპლაპა ასაკოვანი მომღერალი.

– მუზიკა, სტოპ! – შეაწყვეტინა დაკვრა აღაულაჟებულმა ელეფთერმა, – გოგოებო, თქვენ ცოტა ხნით ჩამოხტით, – ფეხზე წამოდგა, ხელები მუსიკოსებისკენ გაიშვირა და აღგზნებულმა დაიწყო, – რას მიქვიან, წავალ და გაგიფრინდები, ცუდ განწყობაზე მაყენებს მე ეგ სიმღერა. ვერავინ ვერსად წავა და ვერც გაფრინდება უჩემოდ. მაგას გირჩევნიათ, ჩემი ჰიმნი დაუკრათ. ხო, ჩემი ჰიმნი არ მოგწონთ თუ რა. ხომ იცი შენ, მიდი, მიაწექი, – და თავლაპლაპას გახედა, – გოგოებო, თქვენს ადგილებზე დაბრუნდით! – მბრძანებლობდა სუფრის უფალი.

თავლაპლაპამ გარმონივით განელილ ტუჩებს ძლივს მოუყარა თავი და წამოიწყო: „მასვი, მაჭამე, მალხინე“, მეგარმონის თითებმაც არ დააყოვნა და ასრიალდა კლავიშებზე, არც მედოლეს შეურცხვენია თავი, შეუნთო ცეცხლი – „მასვი, მაჭამე, მალხინე, მამხიარულე, მაძინე, თუ კიდევ რამე მოგთხოვოთ“... თავს არ ზოგავდა მომღერალი, ელეფთერი კი თავის კანტურითა და გოგონების უკანალზე ხელის ტყაპუნით ადევნებოდა დოლის რიტმს. ის იყო უნდა ჩაემთავრებინა მომღერალს შეკვეთა, რომ კოჭოიამ კარი წიხლისკვრით შეალო და დაილრიალა: შეწყვიტეთ ღრეობა!

ელეფთერს გაკვირვებისაგან თვალები შუბლზე აუვარდა, უნდოდა ერთი მაგრად შეეკურთხებინა, მაგრამ კოჭოიამ კიდევ უფრო ხმამაღლა შეჰქვირა და მაგიდაზე მუშტი ისეთი ძალით

დასცხო, რომ თევზები მაგიდას მოსწყდა, აფრინდა, იატაკს დაენარცხა და უწვრილეს ნაწილებად დაიშალა.

– სასწრაფოდ გაყარე „რიუა“ ესენი აქედან! – მპრძანებლურად ბოლო ხმაზე შეუყვირა ელეფთერს. ელეფთერს გულმარეჩი უყო. ასეთი კოჭოია მას თავის დღეში არ ენახა. რაღაც უბედურების მოლოდინში გაისუსა, ხმა არ ამოულია. მხოლოდ ხელით ანიშნა სუფრის წევრებს, ოთახი დაეტოვებინათ. თანამენახებმა ფაცხა-ფუცხით დატოვეს ოთახი.

– შე მუნჯო, – დაუყვავა და დაუტება ერთბაშად გამოფხილებული, – დამშვიდდი, დაჯექი და მიამბე, რა ხდება ჩვენს თავს, ყვირილით გაკეთებული საქმე მე ჯერ არ მინახვს. ქვეყანა დაინგრა? რაღაც ხმები არ გამიგია, – ღიმილის მორგებას შეეცადა ელეფთერი.

კოჭოია სკამზე მიესვენა და როდის-როდის ძლივს ამოლერლა:

– ხო, დაინგრა. ჩვენი მამამთავარი მოკლეს.

– რაო! – ფეხზე წამოვარდა ელეფთერი, მოულოდნელი ამბით შეძრწუნებულს გონება დაებინდა და არ იცოდა, რა მოემოქმედა.

– ხო, ჩვენი მარჩენალი, დამრიგებელი და მასწავლებელი მოკლეს მოსკოვში, – თავი ჩაღუნა და ქალივით აზლუქუნდა კოჭოია. ცოტა ხანში ისევ ფეხზე წამოვარდა, მუშტებით ცრემლიანი თვალები მოისრისა და უკვე შედარებით მშვიდად განაგრძო, – მოკლეს. ჩაიფუშა, წყალში ჩაგვეყარა ყველაფერი.

ელეფთერის გონება კი სრულ ქაოსს მოეცვა: აქა-იქ ორეულები დახტოდნენ მანჭვა-გრეხვით, ეს რამდენი ყოფილან აქამდე, როგორ ვერ შევამჩნიეო. ლუკამაც ჩამოუქროლა და სანამ თვალს მიეფარებოდა, სიბრალურით შემოხედა, თავი გადაიწინა და შორეთში ჩაინთქა. არც ზორბას დაუხანებია, დიდხანს დედის გინებით, და მუშტებით მოიწევდა მისკენ. შორს, ჰორიზონტს მიღმა ოსებიც გამოჩნდნენ მრისხანე სახეებით. მხოლოდ გივი, მისი მეუღლე და ნათლული შესცქეროდნენ დანანებით და თითქოს ეუბნებოდნენ: ადრე თუ გვიან ყველას მოუწევს თავის საქციელზე პასუხის გებაო...

– ჰე, ბიჭო, ჩამოდი მინაზე. ანი როგორ მოვიქცეთ?! –

შეაჯანჯლარა კოჭოიამ. ელეფთერმა თავზე ხელი რამდენჯერმე გადაისვა, თითქოს ხელის მოსმით შეეძლო უსიამო აჩრდილების ჩამოშორება. ხო, როგორ მოვიქცეთ. ელეფთერი სკამზე ჩამოსვენა, ცოტა ხანს გარინდებული იჯდა, მერე ცნობიერება დაბრუნებულმა კოჭოიას გასაკვირად მშვიდად თქვა:

- პირველ რიგში, ოჯახი უნდა მივინახულოთ და მივუსამძიმროთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. როგორ გვასწავლიდა განსვენებული! ყველა სიტუაციდან შენთვის ყველაზე სასრგებლო გამოსავლით უნდა გამოხვიდეო. სრული ჭეშმარიტებაა და ჩვენც ასევე მოვიქცევით.

* * *

საკმაოდ რეზონანსული გამოდგა ცნობილი ავტორიტეტის სიკვდილი. უურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო მისი ფოტოებით. უამრავი ჭორ-მართალი იწერებოდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ერთნი ამბობდნენ, პოლიტიკაში მოსვლის მცდელობა არ აპატიესო, მეორენი – კრიმინალურ გარჩევას შეეწირაო. ბევრი კიდევ – საკუთარმა ცოდვებმა იმსხვერპლაო. ასე იყო, თუ ისე, კარგა ხანს ჰქონდა პრესას და საზოგდოებას სალაპარაკო. მერე ეს ამბავიც მიივინყეს.

წუთისოფელი თავის ცოდვამადლინა დღეებს მიაგორებდა. ქვეყანაში ახლის სიომ დაქროლა და რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინში გაირინდა. უმაღლესი ხელისუფალი, რომელსაც თითქოს ხელისუფლების დაკარგვის არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და მისი შენარჩუნების ძალაც ჰქონდა, მოულოდნელად გადადგა. გატანჯული ხალხი, უკვე მერამდენედ, მოთმინებით ელოდა ახლი ხელისუფლებისაგან ქვეყნისა და ხალხისათვის მნიშვნელოვან ცვლილებებს. თითქოს კარგად დაიწყეს, კრიმინალებიც შეავინროვეს...

დამრიგებლის გარდაცვალების შემდეგ ელეფთერი კარგა ხანს იყო დაბნეული და საგონებელში ჩავარდნილი. არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ოცნება მილიონის შეძენისა და გამდიდრებისა საპნის ბუშტივით გაქრა. როდის-როდის გამოერკვა და ინერციით ისევ ძველებურად განაგრძო თავის

„მოღვაწეობა“ ახალ ცხოვრებას ალღო ვერ აუღო, უმეთვალყუროდ დარჩენილმა აიშვა, სიფიზლე მოუდუნდა, დაივინყა გარდაცვლილის ყველა დარიგება და მთლიანად ინსტინქტების მონა გახდა. აღარც ძველი მეთოდები ჭრიდა. სახელიც გაუფუჭდა და საასპარეზო არეალიც შეუვინროვდა. თამაშობდა და აგებდა. ისე გაუჭირდა, სახლიდან დაიწყო ნივთების გამოტანა და გაყიდვა. გასაცოდავებული მამამისი ამბობდა, კოვზით მოგროვილი ჩამჩით გააქვსო. ერთხელაც წააგო, ვერ მიიტანა, მერე როგორც გადამგდები, ეგრეთ წოდებული, „ფუფლოვშიკი“ გახდა. თავისიანებმაც მოიძულეს და მოიკვეთეს. ცემდნენ, არც პოლიცია აკლებდა ხელს. ერთ-ერთი საქმის გარჩევისას ტყვიაც დაახალეს, მუხლი გაუხვრიტეს, ძლივს გადაურჩა სიკვდილს, მას მერე დაკოჭლდა. გამოკეთდა თუ არა, ისევ ჩვეული საქმინობა გააგრძელა. იმ უამრავ შერქმეულ სახელს „კოჭლი წაგლიაც“ დაემატა. წაგლიას ისედაც ეძახდნენ. მისი საქციელიდან გამომდინარე, სახელი ზუსტად ასახავდა მის შინაარს. არ ისვენებდა და კიდევ ერთხელ ამოჰყო თავი ციხეში. შენ წარმოიდგინე, გაპარვა მოახერხა. მომხდარის შესახებ მამამისმა არაფერი იცოდა. ერთხელაც მოსანახულებლად ჩამოსულს უთხრეს, გაიპარაო. გაგიჟდა კაცი. საოცარი იუმორი ჰქონდა იმ სულგანათლებულს, გადაირია: თქვე ბედოვლათებო და დოყლაპიებო, ციხიდან როგორ გაგეპარათო. ეს იყო ერთადერთი ადგილი სადაც მისი ნახვა და მასთან საუბარი შემეძლოო. ციხეა თუ საქათმე, ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ მომიყვანთო. ეს ის პერიოდია, როცა ერთი ხელისუფლება მიდიოდა და მეორე მოდიოდა... შეუთვალეს, მოდი ჩაგვპარდი, ერთ თვეში ამნისტიია შეგეხებაო. მართლაც, ჩაბარდა და მალე გაათავისუფლეს. როგორც ხშირად თვითონ იტყოდა ხოლმე, ბოროტი ჰყავდა მართლაც შეჩენილი, საბოლოო დაღუპვას ბევრი აღარ აკლდა. ტყვიამაც კი ვერ დაოკა, განწირული იყო. გასაკვირია, მაგრამ სათავისო საკბილოს, მაინც შოულობდა. ისევ ჩავარდა და უკვე საბოლოოდ. სულ უბრალო საქმეზე; მეზობელი გაქურდეს, სხვათა შორის, ორგანოს თანამშრომელი იყო. მივიდა და ეუბნება: მომეცი სამასი დოლარი და „ვაზვრატს“ გავაკეთებო. იმანაც

მისცა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდა, რისი მიმტანი იყო ელეფთერი, ან როდის მიუტანია ვიმესთან რამე. ის ფულიც, როგორც სხვა მრავალი, ქალებსა და დროსტარებაში დახარჯა. უჩივლეს და დაიჭირეს. იქ კი მისგან გამნარებულმა ხალხმა ვიღაცები მოისყიდეს და სასტიკად აცემინეს. ისე, რომ გრძნობა დაკარგა და ველარც მოაბრუნეს. ერთი ლამე ციხის სავადმყოფოში იწვა გათიშული. მერე წმინდა მიხეილის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩაუტარეს საჭირო პროცედურები, გადაუდეს სურათები. მდგომარეობა უიმედო იყო – არც ერთი ნათელი წერტილი. ტვინის ადგილას უზარმაზარი შავი ლაქა ჩანდა სურათზე. ექიმებმა ხელები გაასავსავეს – არ გადარჩებაო, მოეწიადეთ წასასვენებლადო. ისეთი სიტუაცია იყო, სოფელში სკამებსა და მაგიდებს აგროვებდნენ ქელეხისთვის. ერთი ღვთისნიერი, ღვთისმოშიში და კაცთმოყვარე ნათესავი ჰყავდა, თამაზი, – არ გამორთოთ აპარატიდან, ხარჯებს მე დავფარავო. როგორც ამბობენ, იმ ნათესავმა სამთავროს დედათა მონასტერში სამჯერ გადაუხადა ჯანმრთელობის პარაკლისი. სამი დღის შემდეგ ისევ გადაუდეს სურათი და ო, საოცრებავ. ტვინი ნელ-ნელა იწმინდებოდა. არ ვიცი, უბრალო დამთხვევა იყო, თუ პარაკლისის შედეგი. გაოცებულნი იყვნენ ექიმები, ამნაირი ჩვენს პრაქტიკაში არ გვეონიაო. გაჩნდა იმედი, მაგრამ ამას ზედ კიდევ ერთი უბედურება დაერთო – რეანიმაციულ განყოფილებაში რაღაც ვირუსი გაჩნდა, რომელიც პაციენტებს მუსრს ავლებდა. განყოფილების გამგემ პაციენტის ახლობელს უთხრა: გადაიყვანეთ აქედან, არც ერთი წუთით არ დააყოვნოთ, სასწრაფოდ გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება. ვერაფერს გამოვრიცხავთ, შესაძლოა, გადარჩესო. მერვე სავადმყოფოში ჩაუტარდა ოპერაცია. და კი ხედავ, ცოცხალია დღეს! მაგრამ სავალალო დიაგნოზით – ინტაკრანიალური ანევრიზმის კლიპირების შემდგომი მდგომარეობა, პოსტიშემიური ენცეფალოპათია დარბილების მრავლობითი კერებით კოგნიტურ-მნესტიური და ქცევითი დარღვევებით. გაგიკვირდება, ალბათ, რამ დაგამახსვრა დიგნოზიო. მე მიმყავდა მაგის საქმე, არაერთხელ მომიწია სხვადასხვა პროცესებზე დიაგნოზის

წაკითხვამ და შენ წარმოიდგინე, დამამხსოვრდა კიდეც. მეურნალი ექიმი ამბობდა, თანდაყოლილი ანევრიზმა ჰქონია, როგორც ჩანს, ცემამ დააჩქარა პროცესიო. ტვინის მთლიანი მასის ერთი მეოთხედი ფუნქციონირებს, დანარჩენი მკვდარია. და კი ხედავ, რა დღეშიცაა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ დიდხანს იმეურნალა, ახლაც მეურნალობს და სიცოცხლის ბოლომდე მოუწევს მეურნალობა, ბევრი სხვა დავადებებიც აწუხებს. ყველას უკვირს, ცოცხალი რომაა.

ამოუცნობია, ჩემოძმაო, ადამიანის ბუნება და მისი შესაძლებლობები. ეს ამბავი ლუკამ მომითხო. ბევრი რამ საქმიდანაც შევისწალე, სხვა უამრავი ეპიზოდიცაა, რომლებზეც სხვა დროს გიამბობ, თუ დაგაინტერესებს. კიდევ ვიმეორებ, ამოუცნობია ადამიანის ბუნება-მეთქი. არც სიავეცეს აქვს საზღვარი. ნუ განიკითხავო, გვასწავლიან, არ განვიკითხავ, მაგრამ მიკვირს, საიდან მოდის ადამიანს ასეთი, ყველა მორალურ ნორმებს აცილებული აზრები და ქმედებები, რომელიც, პავლე მოციქულს თუ დავესესხებით, თვალს არ უნახავს და ყურს არ სმენია. ლუკა და ელეფთერი ჩემი დედულეთიდან არიან. ხომ იცი, როცა კაცს გაუჭირდება, ყვავი ჩხიკვის მამიდას გამონახავსო. მომაკითხეს ელეფთერის მშობლებმა და დახმარება მთხოვეს. სოფელშიც ვიყავი მათთან. განვაახლეთ ძველი ნათესაური ურთიერთობები. ლუკა ბოლოს მთაში, ზემოთ რომ მონასტერია, იქ ვნახე. ღრმა სინანულში იყო, ფეხშიშველი ამოსულიყო ბარიდან და ფეხები სულ ერთიანად დასისხლიანებული ჰქონდა... დავახლოვდით. ერთი კვირა დარჩა, განმარტოვდებოდა ხოლმე და სულ ლოცულობდა. მერე წავიდა, როგორც მითხრეს, გერმანიაში, ახლაც იქ არის, სემინარიას ალარ მიბრუნებია. ერთხელ ელეფთერს ვკითხე, შიშის გრძნობა თუ გაქვს, ცოდვების უფრო გეშინია, თუ სიკვდილის-მეთქი. დიდი ჭოჭმანის გარეშე მიპასუხა, – ერთი და იგივეა ეგო. მერე დაუმატა, სიკვდილის ცხოველსაც კი ეშინიაო. ისე, მე მაინცდამაინც დიდად არ განვსხვავდები ცხოველისგან, მეც ინსტინქტების მონა ვიყავიო. საუბარი გამიბა. ხან სულელსა და ჩერჩეტს მეძახდა, ხან თითქოს დაბრძენდებოდა. მერე ატირდა, ამ ბოლო დროს ხშირად ტირის ხოლმე და ხშირ-

ად ახსენებს ვიღაც მათხოვარს. ისე კი კარგი იქნებოდა, უფრო ადრე რომ ჩაერტყათ ჩემთვის თავშიო. შენ როგორ ფიქრობ, ღმერთს რომ ჩემი სიკვდილი სდომებოდა, საოპერაციოში არ მომკლავდაო?! ერთი რამ დაიმახსოვრე, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობაო. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა თავისი უცნაური თვალები მომაპყრო და მითხრა: – ვიცი, ეკლესიას ხშირად სტუმრობ, ლოცვებს კითხულობ და ეზიარები. ხომ ამოგიკითხავს, რა ცოდვებს დასტირიან წმინდანები, მარიამ მეგვიპტელიც გემახსოვრება, ნურც კვიპრიანე კართაგენელს დაივიწყებ, ბოლოს და ბოლოს, დემონების მამამთავრის მოადგილე იყო მიწაზე, მაგრამ მაინც ცხონდა და წმინდანიც კი გახდა. ასე რომ, იცოდე, ჩერჩეტო და სულელო, შანსი ყველას აქვს და არც მევარ გამონაკლისიო. ისე, შენც არ მავიწყდები, სანთლებს გინთებ ხოლმე და არც შენ დაგეზაროს, მომიხსენე ლოცვებშიო. წამოდგა, კარგა ხანს მიცქირა დაუინებით თავისი იდუმალი და გამოუცნობი მზერით – დისო, დისო, გაიმეორა მაშინდელივით, ჩემთვის სრულიად არაფრის მთემელი ორი სიტყვა, გადამეხვია, გადამკოცნა, – მიყვარხარ, შე სულელო და ჩერჩეტო. მერე შებრუნდა, ისევ გაიმეორა – დისო, დისო, გასვლისას კიდევ ერთხელ მომიბრუნდა, ელვასავით მტყორცნა მზერა, და ჩემს გასაგონად ჩაილილინა – საკვირველ არიან უფალო საქმენი შენიო. უდავოდ ნიჭიერი და ამოუცნობი კაცია, ერთი ღმერთმა უწყის, როდის თვალთმაქცობს და როდის არის გულწრფელი. მე მაინც მებრალება. ნიჭი საშიში რამეა, თუ დროულად არ მისცემ საჭირო მიმართულებას, შეიძლება, დაგლუპოს.

დაგვთენებია კიდეც, ჩემო მეგობარო, ხუთის ნახევარია, ღამის ლანდებიც იკრიფებიან ნელ-ნელა, მზეც ალარ დააყოვნებს დიდხანს ამობრძანებას. ხედავ?! ჩიტებიც გამოდიან ასპარეზზე. აქა-იქ უკვე ჟლურტულებენ, ჭიკვიკებენ და ასე ეგებებიან მისი უდიდებულესობის, დღის მობრძანებას. ჩვენც ხომ ბუნების ნაწილი ვართ, გვირგვინი ბუნებისა, ავდგეთ და ტაშით შევეგებოთ ღვთის დიდ წყალობას – ნათლის მობრძანებას. სევდიანი სახე გაქვს, ჩემო გიორგი, შტბეჭდილებებით დამძიმებულს, ალბათ, კარგა ხანს შეიძლება მოსვენებაც დაგეკარგოს. როგორ

არის იმ ფილმში? – „ადინ უმნი ვეშ სკაჟუ“ – მორიგი დღის ენერგიულად შესახვედრად და საბოლოოდ გამოსაფხიზლებლად აგერ ქვემოთ ყავახანაში შევიდეთ და თითო ფინჯანი ყავაც მივირთვათ. ასე იყოს, ჩემო პროკურორო. ადვოკატობა არ მაკლდა!؟ ახლა კიდევ – პროკურორო. სახელიმილიანი მეგობრები ბაას-ბაასით თავქვე დაუყვენენ მიკლაკნილ-მოკლაკნილ გზას.

2018 წელი, თბილისი

ମନ୍ଦିରଶାଖକୁହା



Ճանալո



ძახილი

ხეთა ტოტებში გაპნეული მთვარის სხივებით დახატული შიშისმომგვრელი ლანდები თანდათანობით იცრიცებოდა და ქრებოდა. ღამენათევ ვარსკვლავებს თვალები ელულებოდათ. რიურაჟის გრილმა ნიავმა ააშრიალა მთვლემარე ბუნება. ხის ტოტებზე დაყუნცული ფრინველიც შეაქანა და გამოაფხიზლა. მსხლის ტოტს მოსწყდა ყვითელნისკარტა შაშვი, მიწის პირს აეკრა ფრენით და აჭახჭახებული კუნელს მოექცა კენეროზე. ღამენათევმა მამალმაც ფრთების ფათქუნით ბოლო ხმაზე შეჰყიულა, საქათმის ბინადარნი ააკრიახა და ვალმოხდილი ქანდარაზე ჩაიქინდრა. ბახულამაც ერთი-ორი შეჰყეფა, სანამ თანამოძმენი კანტი-კუნტად ხმას შეაშველებდნენ, ეზოს შემოურბინა და ხუხულაში შეძვრა.

მზის ამოსვლას ბევრი აღარაფერი აკლდა. ძილ-ბურანში მყოფი თომა ჩიტების გალობა-გადაძახილმა გამოაფხიზლა. ასაკის შეუფერებლად მკვირცხლად წამოხტა, მაგრამ წაბარბაცდადა, ისევ საწოლზე ჩამოჯდა. ავიწყდებოდა ექიმის არაერთი გაფრთხილება – შენი წნევის პატრონი ჯერ წამოჯექი, ერთი-ორი ღრმად ამოისუნთქე და მერე დინჯად შეუდექი საქმიანობასო. თომას წნევა სტაბილურად მაღალი ჰქონდა. ვერაფერი მოუხერხა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, რაც იქნება, იქნებაო.

დღე – ახალი, საზრუნავი – ძველი. ასეა მას შემდეგ, რაც ქალაქი დატოვა და ისევ სოფელს დაბრუნდა. ისე, მთლად მოწყვეტილი სოფლისაგან არასოდეს ყოფილა. ობლად გაიზარდა. ძირითადად ბებია და ბაბუა ზრდიდა. სოფლური ცხოვრების წესი მისთვის უცხო არ იყო. მძიმე დრო დაემთხვა ბავშვობას – ომი, შიმშილობა, უსახსრობა. ბაბუის თოხმა

გადაარჩინა. სოფელ-სოფელ დადიოდა სათოხარში ბაბუა – სულგანათლებული დიანოზი. ბევრჯერ უბით მოუტანია მჭადი. უპატიოსნესი კაცი იყო, სოფლის მერიქითე და თავდაუზოგავი მშრომელი. დიდმა ჯაფამ და ოფლის ლვრამ ბაბუას თვალები დაუზიანა, ბოლოს მთლად წაერთვა თვალისჩინი.

თომა შრომას პატარაობიდან მიაჩვია ბაბუამ. რომ წამოიზარდა, ტყიბულს მიაშურა მემახტის პროფესიის დასაუფლებლად. მძიმე იყო მისთვის მიწისქვეშ მუშაობა, ვერ გაუძლო და გამოიქცა. ამისთვის კინაღამ საპყრობილეში მოხვდა. მძიმე და მკაცრი კანონები იყო მაშინ. ვიღაც ლვთისნიერმა კაცმა წააშველა ხელი. თავის თავზე აიღო მეურვეობა და ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში მოაწყო. იქ დავაუკაცდა, კვალიფიციური მდნობელი გახდა და ქვეყანამაც გაიგო მის შესახებ. აჭრელებული იყო გაზეთები მისი ფოტოებით. მიუხედავად ფეროს ჯოჯოხეთური პირობებისა, ბოლომდე გაძლო. კარგი პენსიაც დაუნიშნეს. არაადამიანური ჯანმრთელობის მქონე იყო. რკინის კაცს ეძახდნენ, მაგრამ რას იზამ, რკინასაც გასდის ხოლმე ყავლი. უქმად ყოფნა დიდხანს ვერ შეძლო. მამაპაპი-სეულ სოფელს დაუბრუნდა და იქაურ საქმიანობას შეუდგა.

ზღურბლზე გადმობიჯებულს ბახულა შეეფეთა. ანკეტუნდა, ხან მუხლებზე შეახტა, ხან ფეხებში გაუწვა. მერე წინ გავარდა ყეფით. ეზოს ჭიშკრიდან სახლში შესასვლელ კიბე-მდე ციცქა-ცოლიკოურის ტალავერი ფარავდა. ალაგ-ალაგ იზაბელა და კიდევ სხვა უცნობი ჯიშის ვაზი ხარობდა. ციცქა-ცოლიკაურს აკლდა მწიფობა. იზაბელა ანუ ადესა, როგორც სოფელში ეძახდნენ, გადამწიფებულიყო, ჭკნობაში შესულიყო და მარცვლები ცვიოდა. ჩიტები გამორჩევით გადამწიფებულ ადესას ეტანებოდნენ.

– წელს ყურძნის კარგი მოსავალი მექნება. კარგა ხანია, ასეთი მოსხმული ვაზი აღარ მახსოვე. ნეტავ, რისი ნიშანია? ერთი, ი, ბიჭი ჩამოვიდეს და ყველას ერთად მოვაქცევ საწნახელში.

თომამ, როგორც ყოველთვის, ახლაც, პირველ რიგში, ბოსელს მიაშურა. კარის ჭრიალზე ძროხამ, რომელსაც ლამაზას ეძახდნენ,

თავი მოაბრუნა, კუდით აბეზარი ბუზები მოიგერია, ენით ნაწლი გვერდი მოიფხანა და თომას შეჰპლავლა.

– რაო, მოგშივდა, ლამაზა?

ლამაზამ ბრიალა თვალები თომას შეანათა და ხელებში დაუწყო ცქერა – სასუსნავი ხომ არაფერი მომიტანაო. თომა ძროხას რქებში წაეტანა, შუბლი მიუქექ-მოუქექა, მერე კისერზე მოუთათუნა ხელი და მოფხანა. ლამაზა გაირინდა, ალერსს მინებდა. გეყოფა, ჩემო ლამაზო, ახლა საქმე. თომამ თოხს ხელი წამოავლო და ენერგიულად შეუდგა ბოსლის დასუფთავებას. მერე მცირეოდენი თივა ჩაუყარა ძროხას ბაგაში და გარეთ გამოვიდა.

მზე სანახევროდ შემოჯდომოდა გაღმა მწვერვალს. თომამ ღრმად შეისუნოთქა შემოდგომის გრილი ჰაერი და საქათმისაკენ გასწია. გამოაღო საქათმის კარი. ქათმები კრიახით მიაწყდნენ და ეზოს მოეფინენ. მამალმა კიდევ ორჯერ იჯერა გული ომახიანი ყივილით და ქათმებს დაერია. ხან ერთი დაქოჩრა ხან, მეორე. თომამ სიმინდისა და პურის ერთმანეთში არეულ მარცვლებზე მიიპატიუა ქათმები. ქათმებში ბელურებიც გაერივნენ, რამაც შინაური ფრინველების უკმაყოფილება გამოიწვია, ბელურებს გამოენთნენ. ისინი კი არ ეპუებოდნენ, სკუპ-სკუპით ადგილს ინაცვლებდნენ და პურის მარცვლით ივსებდნენ პანაზინა ჩიჩახვს. ყველა სულდგმული რომ ადამიანს ეტანება! რა იქნებოდა სამყარო ადამიანის გარეშე? ეჭ, რა დროს ფილო-სოფიაა – თომამ კარალიოკის ხეს გახედა, რომელსაც ნაყოფის სიმძიმისაგან ტოტები ძირს ჰქონდა დაწეული. ბავშვები ჩამოვლენ და ეს ხეც ამოისუნოთქავს. საქმე, საქმე, ჩემო თომა – ძველებურად ენერგიულად გასწია სამზადისაკენ. გზად მიმავალს ჩიტმა გადაუფრინა ჭიკჭიკით და სამზადისთან ახლოს ვაშლის ტოტზე დაფრინდა. იგი ულამაზეს ფერებში გაწყობილი ბუმბულით ზღაპრულ ფრინველს წააგავდა. გული ყვითელი ჰქონდა, ფრთები და ქოჩორი ნაირფერად დაწინწკლული. თომა შინ შევიდა, წყალში ქატო გააზავა, საჭმლის ნარჩენებიც დაუმატა და ჯოხით მოურია. ლამაზასათვის მზად იყო საგემრიელო, რომელიც ძალიან უყვარდა და რძესაც ბლომად იძლეოდა.

თომამ ვედროებს ხელი წამოავლო ეზოში გამოვიდა. უცნაური ფერის ფრთოსანი ახლა ტალავერზე იჯდა და საამოდ ჭიკჭიკებდა. რაო, ჩიტო, რისი თქმა გინდა, რა უნდა შემატყობინო? – მიდიოდა თომა და ჩიტიც ფრენით მიჰყვებოდა. ბოსლის კართან კაცი შეყოვნდა. ჩიტიც კარალიოკის ხეზე დაფრინდა და გალობა გააგრძელა. თომა გააოცა ფრინველის საქციელმა. წეტავ, მესმოდეს, ჩიტო, შენი ენა, ბებიაჩემი ეფემია ჩიტის ძახილზე, ასე იტყოდა ხოლმე, შენს პირს შაქარი, კაი ამბავი ჩიტოო...

თომა ბოსელში შევიდა, ლამაზას ზურგზე ხელი გადაუსვა, მერე პატარა სკამი ძროხის ფეხებთან მიაჩოჩა და ჩამოჯდა. ვედრო ძროხას ფეხებს შორის ჩაუდგა, ცური გაუსუფთავა და წველას შეუდგა. აჩხრიალდა რძის წაკადი ვედროში. თომა ფიქრებს მიჰყა: ცხოვრება რას არ გაგაკეთებინებს კაცს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამ სიბერეში ძროხის წველა მომიწევდა. ქალი დამეჩაგრა. ათასმა სნეულებამ დარია ხელი, თორემ რომელი მწველავი მე ვარ. ძლივს შევიჩვიე ძროხა. შემოდგომაა, ყველაფერს ხელი სჭირდება. მარტო კაცისათვის ძნელია. ჯაფით დამძიმებული წლებიც თავისას შვრება. ექიმმა – ხუთ კილოზე მეტი არ ასწიოო. ცოცხალ კაცს გულხელდაკრეფილი რა გაგაჩერებს, მით უმეტეს, სოფელში. ჩაწოლილი კაცი მკვდარია. ეჺ, გულს, რომ სხეული მოჰყვებოდეს, მაშინ რა მიჭირს. ძროხის ფეხის გაქნევამ ფიქრებიდან გამოიყვანა. შეუწყრა ლამაზას, ქაჩაჩში წვდა და ფეხი გაასწორებინა. წყალში არ ჩამიყარო ყველაფერი, რა დროს ფეხის ქიცინია; ცოტაც და გაგათავისუფლებ, შენ საგემრიელოსაც მოგართმევ. – თომამ რამდენჯერმე ძალუმად ჩამოქაჩა ცურზე. წამოდგა და აქაფქაფებული რძით სავსე ვედრო კარებთან მიდგა. ლამაზას ბაგაში წყლითა და ქატოთი შეზავებული სავსე ვედრო ჩაუდგა. ლამაზამ დრუნჩი ვედროში ჩაკრა და მოუთმენლად დაიწყო ხვრება. თომამ რძით სავსე ვედროს ხელი წამოავლო, პარმალზე გადასვლისას წაბარბაცდა, ხელი შეაშველა გაღებულ კარებს, ვედრო ფრთხილად დადგა და იქვე ჩამოჯდა. ესლა მაკლდა ამდენი საქმის პატრონს. რა დროს ავადმყოფობაა – მაჯაზე ხელი მოიკიდა. ისეთი ფეთქვა ჰქონდა, პულსი ვერ დაითვალა. ეჺ, თომა, თომა, სიბერის

ავადმყოფობაა ეგ ყველაფერი. ძლივს წამოიწია, მუხლებმა ტეხვა დაუწყო. ბაბუა იტყოდა ხოლმე, სიბერეს პირველად მუხლები გრძნობსო. ასეცაა, ჯერ მუხლები, მერე კიდევ ბევრი სხვა რამ, – გააგრძელა ფიქრი.

რამდენიმე დღის წინ სიზმარი წახა უცნაური: ყველა გარდაცვლილი ახლობელი ერთად შეეკრებილიყო. თამადად აირჩიეს. თამადობა, იცოცხლე, შეეძლო, ღვინოსაც კარგად სვამდა. სიზმარს მაინცდამაინც არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც არ ესიამოვნა მიცვალებულთა საზოგადოება. დროისათვის უდროება არ არსებობს. დროს ყველაფერი ემორჩილება. დრო მუდმივი, მარადი და შეუბრალებელია. სიკვდილიც დროის შემადგენელი წაწილია – უფიქრია ამაზეც. არის რაღაც შიშიც, ინტერესიც შეუცნობლისა. ისე, კი იტყოდა ხოლმე – კი, არ მეშინია, მეზარებაო, უამრავი ხალხი უნდა შეწუხდესო, თუ მართლა გარდავიცვლები, ხომ კარგი, თუ არა და რას ტოვებ? – სახელს, ჩემო თომა, სახელს. ურნმუნოების ეპოქაში გაიზარდა. ის დრო იყო, ეკლესიებს რომ ანგრევდნენ და მღვდლებს პარსავდნენ. მამამისი კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა და წითელი პარტიული ბილეთი ედო ჯიბეში. წინააღმდეგი იყო მისი მონათვლისა – ციმბირს უკან დამატოვებინებო. მაგრამ ბებია ჰყავდა საოცრად მორწმუნე. დროთა ცვლას მასზე არ უმოქმედია, – სულ არ მაინტერესებს, შენი პარტია, ბავშვს მოუნათლავად ხომ არ დავტოვებო. ჩუმად მოანათვლინა. გაუგეს. ციმბირი არა, მაგრამ პარტიდან გარიცხეს და სამსახურიც დაატოვებინეს. მიანება ფიქრს თავი, საქმე არ იცდიდა, ყანაში იყო გადასავლელი. ბალახი უნდა მოეთხარა, მოემარაგებინა ზამთრისათვის.

თომამ მეზობელ ეზოში რძალს გადასძახა:

– უუუუნა, გცალია?

ქალმა სამზადისიდან გამოიხედა, წამოვიდა, თან გზადაგზა თმას ისწორებდა.

- დილა მშვიდობისა, თომა!..
- მშვიდობა მოგცეს ღმერთმა.
- რამე ხომ არ გიჭირს?
- არაფერი ისეთი, თუ ქალი ხარ, რძეს მიმიქციე შენებურად

ყურადღება. ყველს ვუგროვებ ბავშვებს. კი იცი, ეგ საქმე მაინ-ცდამაინც კარგად არ მეხერხება. მე გადალმა ყანაში გადავალ. ბალაზი მაქვს გამოსალები, ძროხასაც იქ წავიყვან.

— შენები როდის ჩამოდიან, თომა?

— არ ვიცი ზუსტად. კი იცი, ქალი ქუთაისშია, მკურნალობს. ბიჭმა თქვა, ჩამოვალო. ამ საქმეს რომ მოვრჩები, ხვალ წის-ქვილში მინდა წავიდე, ახალი სიმინდი უნდა დავფქვა. კარგი გამხმარია. რაფში წავალ, წყლის წისქვილზე დაფქული კარგი გამოდის. ბავშვობიდან მახსოვს იქ დაფქული სიმინდის გემო.

— იმ სიშორეს რა წავიყვანს. ჩვენც ხომ გვაქვს ელექტრო-წისქვილი, პატარაა, მაგრამ თავის საქმეს აკეთებს.

— კარგი, თავი წუ მოგიკვდება, სად წყლის წისქვილი და სად ელექტრო. წყლის წისქვილზე დაფქული ცხიმიანობას ინარჩუ-ნებს, ელექტრო კი აშრობს. ხომ იცი, როგორ უყვართ პატარებს ცხელი მჭადი და ჭყინტი ყველი?

უუჟუნას გაეცინა.

— ერთი მითხარი, ვის არ უყვარს?

— ჰო, ყველანი ჩამოვლენ ალბათ. პატრა ხელს წამიკრავენ საქმეზე, ყურძენსაც დავკრეფთ და მივუჩნოთ თავის ადგილს. მე კი, ხედავ, დავბერდი და ძველებური ჯანიც წლებს გაჰყვა.

— კაი, ახლა, თომა, შენი დამღლელი კაცი არ არის ამ სოფელში, — გული გამოუკეთა უუჟუნამ.

— ეგ წარსულში იყო, წარსულში.

მოსაუბრეებს უუჟუნას ქმარი, ბადრია მიუახლოვდა, თომას მიესალმა.

— ბადრი, რავა ხარ, რას შვრები, რა ქენი, ჩაათავე სამუ-შაოები?

— ნაწილობრივ, თომა, ნაწილობრივ. ერთ ნაჭერზე სიმინდი დამრჩა ასალები და მერე ყურძენია მოსაკრეფი.

— აბა, ჯერ შენ შუა ტყავებაში ყოფილხარ.

— ასეა, ასე.

— ბიჭო, მურთაზა რას შვრება. ეგეც, მარტოხელაა. უკულ-მართმა დრომ, ხედავ, როგორ დააცარიელა სოფელი.

— მურთაზას რა უჭირს, რაც ქალი გაუშვა საბერძნეთში,

იმის მერე ვეღარ იცნობ. ადრე პრიმას აპლაკუნებდა, ულვაშ-გაყვითლებულს ბოტკინის ფერი ედო. ახლა, ჩემო ბატონო, უცხოურ თუთუნს ექაჩება და ლამის ჰალსტუხით იაროს ყანაში.

– ნუ იცი, შენ, ბიჭო, ყველაფრის გამასხარავება.

– რა გამასხარავება, სიმართლეა, ჩემო ბატონო. მაგი კი არა და, ვფიქრობ, ჩემი ქალიც ხომ არ გავუშვა. მარა მაგის მარიფათი და შნო ვინ მისცა. გამოიჩენს კი სამაგისო ფხას?

– გაგისკდეს მიწა, შე, მიწადასაყრელო და ენამყრალო. ნეხვსა და ტალახში ზელვას იქ წასვლა არ ჯობია? – არ შეაწია უუშუნამ, კიდევ ერთი მიაწყევლა და სამზადისისაკენ გასწია.

თომამ დილის საქმე მოთავებულად ჩათვალა და ბოსლი-საკენ გაეშურა. ლამაზამ ისევ შეპტლავლა და თივის ხრამუნი განაგრძო.

– აბა, წავედით, ლამაზო, – თომამ ძროხა გამოიყვანა და ყანისკენ გაუდგა გზას. წინ ბახულა მიდიოდა, უკან ლამაზა.

სოფლის შუაში, უძველეს ჭასთან, ქვის ლოდისაგან გრძელი სკამი გამოეთალათ წინაპრებს. ყანა-ვენახებიდან დაბრუნებული გლეხები შეიკრიბებოდნენ ხოლმე ჭასთან, ცივი წყლით გულს გაიგრილებდნენ და ენასაც მოიქავებდნენ ხოლმე. ათასგვარ ჭორებს მიმოხილავდნენ, პაპიროსს გააბოლებდნენ და სახლებ-ისაკენ გაეშურებოდნენ. კარგი მუხლის ჩასახრელი ადგილი იყო. თომამ შორიდანვე შენიშნა მეზობელი – გუჯა, რომელიც ქვაზე ჩამომჯდარიყო, პაპიროსს აბოლებდა და იპურჭყებოდა.

– დილა მშვიდობისა! – ფეხზე წამოუდგა გუჯა.
– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! – სალამი დაუბრუნა თომამ.
– ბევრი რამ გამიგონია, მომისმენია, მაგრამ ძროხა რომ უბანროდ დაჰყავდეს, შენს მეტი არ მინახავს. რა სწავლა-განათ-ლება ჩაუნერგე ასეთი, ეს ძროხული ბუნება როგორ დააკარგ-ვინე, კაცო, როგორ გაზარდე? მე კი არა, მთელ სოფელს უკვირს. არ იქცევა ეგ ძროხა ცხოველივით, – ჩამოარაკრაკა გუჯამ.

მართლაც, უკვირდათ სოფელში პირუტყვის უცნაური საქციელი. პატრონს სულ უკან დასდევდა, ბაწარს თაკილობ-და. თომაც არ აბამდა. საბალახოზე თომა ჩრდილს მოძებნიდა

ხოლმე და წიგნის კითხვით გაჰყავდა დრო. ლამაზა კი მის გარშემო დიდ წრეზე ბალახობდა. ერთი დაძახება იყო საჭირო, რომ მასთან მიერბინა. თომა თვითონ შექსწრო მის გაჩენას. დედამისმა მინდორში გააჩინა, თვითონ კი დაიღუპა. ასეც ხდება ხდება ხოლმე. ბავშვივით ატატებული მოიყვანა შინ და საწოვარათი ზრდიდა. არაფერს აკლებდა – რძე, მჭადი, პური, კანფეტსაც კი აჭმევდა ხოლმე. წამოიზარდა ლამაზა და კუდში დასდევდა პატრონს.

– სიყვარულით გავზიარდე, გუჯა, სიყვარულით, ასეა ეს. რას აკეთებ აქ?..

– ვისვენებ, – მოკლედ მოჭრა გუჯამ.

– რა დროს დასვენებაა, შე კაცო, ყველა სამუშაოზეა გაკრეფილი.

– სად წავა ერთი სამუშაო?

– შენ, როგორც გეტყობა, უკვე კარგად ხარ.

გუჯა ღვინის ზომაზე მეტად მოყვარული იყო. სმას გაეზარმაცებინა, რაც კარგად ეტყობოდა მის ჯანმრთელობასა და სახლეარს. ახალგაზრდა კაცი ებრალებოდა თომას.

– ჩემო თომა, სანამ ხარ, კარგად უნდა იყო. სამუშაოსაც ეშველება. წამესმარებიან ახალგაზრდები და გავაკეთებთ გა-საკეთებელს. თანაც ვიპურმარილებთ. მარტოკაცი არაფერში ვარგა.

– არც სხვისი მოიმედობაა მაინდამაინც კარგი საქციელი, – უთხრა თომამ.

ლამაზამ შეჰპბლავლა და თომას მსუბუქად ურქინა. თითქოს ეუბნებოდა, რა აზრი აქვს მაგასთან ლაპარაკსო.

– აბა, შენ იცი, გუჯა, ხომ ხედავ, ლამაზა არ მასვენებს? ჩვენ წავედით...

გუჯამ თვალი გააყოლა წასულებს. კიდევ ერთი ნაფაზი დაარტყა, თავი გადაიქნია და სახლისაკენ გაემართა, თან ჩაიბურდლუნა:

– საკვირველია, პირდაპირ, ძროხა ძალლივით როგორ დასდევს, იქნებ ენაც ამოაღგმევინოს.

ცოტა ხნის შემდეგ თომა თავის ნაკვეთს მიადგა.

– აბა, შენ იცი, ლამაზა, კარგად იბალახე, ბევრი რძე გვესაჭიროება, სტუმრებს ველით, ხომ იცი?

ლამაზა უკვე შედგომოდა თავის საქმეს, ენერგიულად ძოვდა ყანაში შემორჩენილ შემხმარ ბალახს.

ვერაფერი დაუკლია ჩემი ჩალის ჩერგილებისათვის ქარს. მყარად დგანან. გადავიტან და ბადრიას მოვიხმარ ზვინის დასა-ადგმელად – თომა ჩაიმუხლა, ნამგალი მოიმარჯვა და ყანაში შემორჩენილ ბალახს გამოუსვა – ზამთარი გრძელია, ცოტას შემეფარება, მარტო ჩალა არ იკმარებს, ფიქრობდა იგი. ისევ სიზმარი აეკვიატა, ვერ ამოიგდო გონებიდან. მერე ვაჟი გაახ-სენდა, რამდენჯერ უსაყვედურა მამას, რომ დახოხიალობ მაგ ყანაში, რამე რომ დაგემართოს, რას იტყვის ხალხი? იტყვიან, მშრომელი კაცი იყოო, პასუხობდა ხოლმე თომა. ჩემზე რაღას იტყვიან? – გადააყოლა კაცი ერთ ჭირიან ძროხასა და ერთ მტკაველ მიწასო, უკმაყოფილო იყო ვაჟი... ეჰ, რა იცით თქვენ მიწის.

გაშუადლევდა. შემოდგომის მზე მნარედ იკბინებოდა. არ გაავდარდეს ეს დალოცვილი. ჩამილპება ყველაფერი. დაიღალა მუხლებზე დგომითა და ნამგლის ქნევით. ეჰ, ჩემო ჯანო და ღონეო. ფეხზე წამოდგა. იმერული ქუდით შუბლი მოინმინდა და ჩერგილისკენ გაემართა. ჩრდილის მხარეს ჩამოჯდა, ზურ-გით ჩერგილზე მიესვენა და შუბლი მოინიავა. მერე ჰორიზონტს გახედა, შორს სკანდის ციხე და მუხურის მთები მოჩანდა... თომამ ხელი ასწია, ერთი კი დაიძახა, ლამაზაო, და ხელი ნათო-ფარივით მოწყვეტილი ჩამოუვარდა, ჩერგილიდან ჩამოცურ-და და გულალმა გაიშოტა. მეყსეულად მოირბინა ძროხამ თო-მასთან, სახეზე ხაოიანი ენა აუსვა, მერე შებლავლა, რქებით გვერდზე მიაწვა. თომამ ვერც წამოწევა, ვერც ხმის ამოლება შეძლო. შორს უცნაურად აჭრელებული ფრინველი შენიშნა. ბახ-ულაც დალანდა, რომელიც ყეფით თავს დატრიალებდა. გარშე-მო ყველაფერი გამუქდა და სიბნელეს შეერწყა.

ლამაზამ თომას თავი მიანება, ტლინკები ყარა, ჩერგილს დაეძგერა, გადააყირავა და ბლავილით სირბილს მოჰყვა. ფერ-დობზე მომუშავე კოლიამ შუბლი მოიჩრდილა, ყანაში მორბე-

ნალ საქონელს გახედა. რაღაც ხდება, ფარსაგი არ უნდა იყოს მის თავსო, გაიფიქრა. პირჯვარი გადაიწერა და თავქვე დაეშვა.

* * *

თავდაუზოგავად გარბოდა. ოფლისაგან თვალები ეწვოდა, აქოშინებულს ფილტვები დასკდომაზე ჰქონდა. თითქმის ვეღარ სუნთქავდა, უკან მოხედვა არ უნდოდა, ცხენების ფლოქვების თქარათქური ისედაც ყურებს უხეთქავდა. ვერ გავასწრებ, დამეწევიან... მაინც ვერ მოითმინა, უკან მოხედა, მზის სხივებისაგან ალაპლაპებული მუზარადიანი მხედრები ჭენებით მოსდევდნენ, ცოტაც და ააგებდნენ შუბის წვერზე. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ზღვასავით აბიბინებულ სიმინდის ყანაში შევარდა.

ნაწინმარ სიმინდის ყანას მცხუნვარე მზის სხივები ორთქლის ბუღში ხვევდა. დამძიმებული ჰაერი ისედაც სუნთქვაშეკრულს სულს უხუთავდა. სიმინდის სველი ხაოიანი ფოთლები სამართებელივით უსერავდა სხეულს. ღვარად მომსკდარი ოფლი ნაჭრილობებს ცეცხლს უკიდებდა. ძლივს გააღწია ყანის ბოლოს. კი არ სუნთქავდა... ხრიალებდა. გასაქცევიც არსად ჩანდა... მარჯვნივ გადმომხობილი დასუროებული კლდე, უკან – სიმინდის ყანაში მოშლიგინე შუბოსანი მხედრები. წინ და მარცხნივ – კლდის პირი, გამეჩხერებული ძელქვის ხებით. ნუთუ დასრულდა ყველაფერი?! ახედა ზეცას... ცის კაპადონზე ნაფლეთი ღრუბელიც კი არ ჩანდა, სილაჟვარდეში ჩანთქმულიყო ზეცა...

მხედრებამდე ერთი ხელის გაწვდენა იყო დარჩენილი. შუბის წვერი ავისმომასწავებლად ციალებდა. კლდის მიღმა ატალახებული და მოდიდებული ძუსა მოქუხდა... ფიქრის დრო აღარ იყო. კლდის ქიმზე შემდგარმა ერთი კიდევ მოიხედა უკან და მდინარეში გადაეშვა... ნამები უკლდა ჩანთქმას. რაღაცამ ხელები გააშლევინა, გააშლევინა და ჩანთქმის მაგივრად წყლის ზედაპირს ფრინველივით აეკრა. ფრთებივით მოიმარჯვა ხელები და ზეცაში აიჭრა. წონადაკარგული სხეული სივრცეს დაეპატრონა. აიქნია ხელები, კამარა შეკრა და ძელქვებისაკენ

გაფრინდა. ძელქვებთან ფრენა შეანელა, გახევებულ მხედრებს ზემოდან ომახიანად დასჭექა, – ეჰეჰე, აბა, რა გეგონათ!!!... თავზარდაცემულმა მხედრებმა საჭურველი მოისროლეს, ცხენებს ქუსლი ჰკრეს და სიმინდის ყანაში დურთეს თავი.

გალალებულმა ერთხანს ფრენით მისდია დაზაფრულ მხედრებს, შემდეგ კი ცის თაღს შეეჭიდა. ზემოდან საამო სანა-ახავი იყო ცისქვეშეთი, სხვადასხვა ფერად მოხატულ ხალიჩას ჰგავდა. რაც უფრო ზემოთ მიინევდა, მით უფრო შეუმჩნეველი ხდებოდა საზღვრები ბალბოსტნებსა და ეზო-კარმიდამოებს შორის. მდინარე ძუსა ძაფივით დაწვრილებულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ აღარც წყალი ჩანდა და აღარც მინა, მხოლოდ უსაზღვრო ცა გადაშლილიყო. აღარ ფრენდა, სხეულსაც ვეღარ გრძნობდა. უკიდეგანო სივრცე და გაფაციცებული გონება. სცადა გადაადგილება, გამოუვიდა. დიდხანს მიდიოდა. სილა-ჟვარდე გაქრა. თოვლზე უსპეტაკესი სითეთრე გამეფებულიყო, ნეტარების მომგვრელი იყო ეს სითეთრე. სვლა განაგრძო. შორს მანათობელი სვეტი შენიშნა. მზესავით ანათებდა, მაგრამ არა მწველად. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო უჭირდა თვალის გასწორება. უცნაურ ნათებას საოცარი სურნელიც დაერთო, გამალალებელი, თავბრუდამხვევი და ურუანტელის მომგვრელი. წინსვლასთან ერთად სურნელიც ძლიერდებოდა და ნათებაც. ჯიქურ მოინდომა უსპეტაკესი სვეტისათვის თვალის გასწორება. თავი ასწია და... საყრდენიც გამოეცალა, დამძიმდა თითქოს, განსხეულდა. დამძიმებული სხეული ადგილიდან მოწყდა, უსწრაფესად იწყო ვარდნა. შეუილით მიფქროდა ძირს. ნათელს გაცრეცილი ბინდის ფერი ენაცვლებოდა. სხივი კონა-სავით ჩაშებულიყო მრუმე უსასრულობაში. ხელით წაეტანა, ჩაეჭიდა და თავი შეიმაგრა. სხივის კონა ფეხებსქვემოთ ეშვებოდა უსასრულობაში და თანდათან მკრთალდებოდა. დამძიმებული სხეული სხივის კონაზე ქანაობდა... და იყო კიდევ შიშნარევი, გაფაციცებული გონება.

ხელებმა წვა დაუწყო. სისხლის წვეთებიც გამოჩნდა, ნამდვილი, წითელი სისხლი, ამაზრზენი სუნით, რომელიც თანდათან მატულობდა. ზემოთ, სინათლისკენ მოინდომა აჩოჩება.

ვერ შეძლო. თითებმაც უმატეს წვას. მიმოიხედა, გაცრეცილ სიმრუმეში რაღაც კონტურები გამოიკვეთა. თვალი შეაჩვია სიმრუმეს. გაურკვეველი ხმები ისმოდა. სამოსშემოფლეთილი, გადამტვრეულ შუბს დაყრდნობილი ცალფეხა მეომარი მისკენ ხელს იშვერდა და ილანძლებოდა: – სად არის ჩემი ვადაჯვრიანი ხმალი? გაყიდეთ ხომ, თქვე სატანის მოციქულებო, გეშინოდეთ! არც მინა მიგიღებთ, არც ცა, არა მინა, არა მამული, თქვე იქედნეს ნაშობნო.

დამძიმებული სხეული ქვემოთ მიცურავდა. ტკივილიც გაუსაძლისი ხდებოდა. უფრო და უფრო უძნელდებოდა მოქანავე სხეულის შეკავება. გაცრეცილი მიღამო სიმყრალის სუნით ივსებოდა. დამწვარი გოგირდის, ლპობისა, და ხრწნის ერთმანეთში არეული სუნი სუნთქვას უკრავდა. თავის შეკავება ვარდნისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა. დაბლა, მიღმეთში, ცეცხლის ალიც გამოჩნდა, ცხოველურმა შიშმა შეიპყრო.

მკრთალი ალის შუქზე შიშველი სხეულები დალანდა. ნათება ცეცხლისა ძლიერდებოდა. ბნელეთს ავბედითი წითელი ფერი ელაციცებოდა. შიშველი სხეულები უკვე კარგად ჩანდა. ქალები იყვნენ, ყველანი ერთსახოვნად მოეჩვენა. მაღალი მკერდით და სხვა ქალური სამშვენისებით. შეეცადა, ვინმე ამოეცნო და ამოიცნო – მისი ცხოვრების დიაცები...

...სარეცელზე ახალგაზრდა ქალი გართხმულიყო, წელზემოთ შიშველი, გვირილის ფურცლისფერ მუცელს ამაყად გადმოჰყურებდა, მაღალი, ოდნავ გვერდზე გაქცეული, ულამაზესი, ჯერ კიდევ მოუტეხავი მკერდი. დარცხვენილი ძუძუსთავები ამაოდ ცდილობდნენ მკერდზე ჩამოშვებულ თმაში დამალვას. კაკუნი. შველივით წამოვარდნა. შიშველ ტანზე უსწრაფესად გადაიცვა ჭვირვალი სამოსი და ალანძული ფანჯარას აეკრა. კაკუნი განმეორდა.

- გიო! – სახლის პატრონი ეძახდა მდგმურს.
- დიახ, ქალბატონო ნათელა.
- ტელეფონზე გეძახიან.

წამიერად გამკრთალი ცხადება უმწვავესმა ტკივილმა გაფანტა. შიშველი სხეულები უმახინჯეს მაჯლაჯუნებად გა-

დაქცეულიყვნენ. ზემოთ აიხედა, ნათელი თაღი ჭურის ყელის ოდენა გამხდარიყო. სხივის კონა ხელებს შორის თითქმის გალეულიყო. ისევ მოინდომა ზემოთ აცოცება, ამაო იყო წადილი... სხივის ფენაც გამქრალიყო... და მოსწყდა... შვილოო! მამის განწირული ხმა შემოესმა... მამი, შეჰკივლა თვითონაც და ჩაინთქა...

* * *

- სად გარბიხარ, კაცო? – შემოესმა მეუღლის ნამძინარევი ხმა. ჯერ კიდევ ბურანში მყოფი კარებს მივარდა.
- სად გარბიხარ, კაცო, არ გესმის? – შეშფოთდა ქალი.
- მამაა კარებთან, მეძახის.
- რა მამა, ადამიანო, ღამის სამ საათზე მამაშენს სოფლიდან ვინ ჩამოგიყვანდა?

მაინც გააღო კარები და გაიხედა... ცის ქვეშეთს ღამის სიჩუმე ენანავებოდა – ბნელი შეჭიდებოდა ნათელს...

უკან მობრუნდა და სანოლში ჩაწვა. ხმამაღლა თქვა, ხვალ უსიკვდილოთ სოფელში უნდა წავიდე, არ მგონია, იქ ყველაფერი წესრიგში იყოსო. გათენებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო...

ძილგატეხილი ფიქრებმა წაიღო...

ბოლო დროს სულიერად გაძარცვულად გრძნობდა თავს. უპატრონონ ძაღლივით ადევნებოდა წუთისოფელს, უმისამართოდ, აღარც მინის ენაღვლებოდა, აღარც ცის. რაღაც უხილავი ძალა ეწინააღმდეგებოდა. გატანჯა, დაღალა, გაასავათა ამ ბრძოლამ. უგულო გახდა. სამყაროს ორომტრიალი მის გულს არ ეკარებოდა. საერთოთ დაკარგა განცდა – არა სიხარული, არა მწუხარება, არა ტკივილი, ქვად ქცეულიყო მისი გული. რეალობა, ცხოვრება გვერდს უვლიდა. მის შუაგულში იყო, მაგრამ უკაცრიელი კუნძულივით, მარტო. გრძნობდა, უცნაური სენის ძალას. დინებას მიჰყევებოდა შეწინააღმდეგობის უნარგამოცლილი. თავი ფუტკრის სკასავით უზუზუნებდა. ფიქრების წვიმას გონება ცხრილავდა. მოუხელთებელი აზრები გონების ფსკერზე ფეხს ვერ იყიდებდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ. ერთი წუთობა ჩასთვლიმა. მალევე გამოეღვიძა – სჯობია, პირველ რეისს

გავყვე. ჩაიცვა, ბავშვებს ისევ ეძინათ. ცოლს გადასძახა, წავე-დიო და კარები გაიხურა.

ავტოსადგური ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა. მიუხე-დავათ სისხამი დილისა, სადგური ხმაურით შეხვდა. კისერზე ხონჩაჩამოკიდებული ქალები სხვადასხვა სასუსნავს სთავა-ზობდნენ მგზავრებს. ზოგს პირდაპირ ქუჩაში, ზოგს მიკროავ-ტობუსებში. ახლად გაღვიძებულნი ზანტათ მიმოდიოდნენ. ნაწ-ილი სიგარეტს აბოლებდა უსაგნო საუბარში ჩართული, ნაწილი მზესუმზირას აკნატუნებდა და იფურთხებოდა.

თხუთმეტიოდე წუთი იყო დარჩენილი გასვლამდე, როცა შევიდა ავტობუსში, შუა ადგილას სავარძელში ჩაეშვა. მანქანის შევსებას რამდენიმე მგზავრი აკლდა. ერთი მის გვერდით და უკანა სკამებზე.

წვერმოშვებულმა მძლოლმა ავტობუსში შემოიხედა, მგზა-ვრები შეათვალიერა, ახალგაზრდა გამომწვევად ჩაცმულ ქალ-ბატონს სკამებს შუა დაედო ჩანთა და ზომაზე მეტად მოშიშვ-ლებული მუხლებით გასავლელს კეტავდა.

– ქალბატონო, მომეცით ეგ ჩანთა, საპარგულში შევინხავ. ნუ გეშინიათ, არაფერი დაგეკარგებათ.

ქალმა უსიტყვოდ გამოაცურა ჩანთა და ისედაც წამონეული კაბა კიდევ უფრო ზევით გაექცა. მოჭარბებულმა სიშიშვლემ ზოგიერთის ყურადღება მიიქცია, ზოგიერთმა თავის გადაქწევით თვალი აარიდა. მძლოლმა ჩანთა დაითრია, ავტობუსიდან ჩავიდა და ჩაილაპარაკა, ცოტაც მოითმინეთ, თუ ვინმე შემოგვემატა ეგრევე გავალოთ.

გიომ მგზავრები შეათვალიერა – მძლოლის მხარეზე პირ-ველ რიგში ხანში შესული ქალი და მამაკაცი ისხდნენ, ალბათ, ცოლ-ქმარი. მათ უკან ახალგაზრდა, სანდომიანი სახის შავებში ჩაცმული ქალი და მოზარდი გოგონა. ეჰ, როგორ გამრავლდნენ შავოსანი ქალები. შემდეგ მუხლებმოშიშვლებული ქალი და შუა-ხნის ქალბატონი. მერე კიდევ ორი კაცი. მათ უკან, ბოლო გრძელ სკამზე იყო თავისუფალი ადგილი. მგზავრების თვალიერება გიოს ხმაურმა შეაწყვეტინა. ორი ახალგაზრდა მძლოლს ევაჭრე-ბოდა მგზავრობის საფასურზე. ისინი მოურიდებლად, ხმაურია-

ნად ირჯებოდნენ, ეტყობოდათ, კარგად შეზარხოშებულები იყვნენ.

— ძამია, ქუთაისში ხომ მიდიხარ, ჩვენც ზესტაფონამდე გა-
მოგყვებით, მეტი არ გვაქვს, შემოგვეხარჯა, დაბადების დღეს
აღვნიშნავდით დილამდე.

მძღოლმა გაურკვევლად ჩაიბუზღუნა და ორმა ახალგაზრ-
დამ ავტობუსში შემოაბიჯა.

— დილა მშვიდობისა, მგზავრებო, ხომ კარგად მყავს თქვენი¹
თავი, კი ხომ? ღმერთმა კარგად გამყოფოთ. ხმაურის ნუ
შეგეშინდებათ, ხმაური სიცოცხლეა, ხალხო, ბიჭო, სიცოცხლის
სადღეგრძელო დავლიერ? ისე, რას გეკითხები, ასეთ სადღე-
გრძელოს როგორ გამოვტოვებდით, ცოტა ნასვამები ვართ და
იმიტომაც ვართ ხასიათზე, — შენ, დაიკო, — მუხლებმოშიშვლებუ-
ლისკენ გაიხედა ერთმა მათგანმა, წითურმა საშუალო სიმაღლის
მოკლედშეერქილთმიანმა, — გაგეხადა, ბარემ, შე დალოცვილო.

ესღა მაკლდაო, გაიფიქრა ქალმა და ფანჯრისკენ მიაბრუნა
თავი.

— ბიჭო, რა შენი საქმეა, ვის რა აცვია? დავსხდეთ ჩვენს
ადგილზე, — შეეპასუხა საკმაოდ უსახური თანამეინახე, — ამის
ამბავი, რომ ვიცი, გამხვევს ახლა შარში.

მერე ხელი ჰკრა ბოლო სკამისაკენ წითურს. ის კი ოჩანი
ხარივით მიაბოტებდა. მუხლებმოშიშვლებული კაბის ბოლოს მი-
წვდა და რაც შეეძლო, დაქაჩია.

— მაგას დაქაჩია კი არა, დაგრძელება უფრო მოუხდება,
მაგრამ რად გინდა, ჭკუა მწყრალი ქალები სიშიშვლით ცდილო-
ბენ ყურადღების მიქცევას, სიშიშვლე კარგი საქონელია, კარ-
გად იყიდება — კინოსათვის, ჩემო ბატონო, თეატრისათვის,
ჟურნალისათვის, გაზეთისათვის — ისე აღარაფერი იყიდება, თუ
სადმე ტიტლიკანა ქალი არ იქნა წამოგორებული. მე რა, ბოვშები
მეცოდებიან, დაშტერდნენ მთლად...

ქალმა ამრეზილად შეავლო თვალი წითურს, თან გაიფიქრა,
ახია ჩემზე, ხომ ვიცოდი, სადაც მივდიოდიო.

— შენ ვიღას აძლევ შენიშვნას, შე ყაჩალო, შე ციხეში

გაზრდილო, – ისევ უჯიკა ხელი უსახურმა და ბოლო სავარძელში ჩასვა.

– მე ვარ ყაჩალი? გვერდით, რომ დაგიყენე და ქვეყნიერება გაჩვენე, ახლა ვარ ყაჩალი ხომ? ის რა იყო, დასავლეთის ომი-დან ტყვიასავით მძიმე ტომარა რომ მათრევინე. მაშინ არაფერი მითქვამს, ვიფიქრე, რაღაც სახეირო იპოვა და მეც მახეირებსო და რას ვხედავ, ტომრიდან ჟანგშეპარული „სვარკის“ აპარატი არ მიმზერს!

– რა მექნა, უპატრონოდ ეგდო, მაინც გაფუჭდებოდა, მეც „სვარშიკი“ ვარ, დამენანა.

წითურმა არ დაამთავრებინა.

– ახლა ვარ ყაჩალი ხომ, – ცოლი მე მოგაყვანინე, ოჯახი შეგაქმნენინე, რაღამც არ იშლი და პირი მოალე, მე მოვახსენებ ამ პატიოსან საზოგადოებას შენი დაქორწინების ამბავს.

მგზავრებისათვის არ უკითხავს, აინტერესებდათ თუ არა მისი მონათხრობი. ღვინო თავისას აკეთებდა და მორიდების საზღვარიც უკვალოდ გამქრალიყო, წითური ეშხში შესულიყო.

– ეს კაცი დაუმთავრებელი კრიმინალია, ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა, შიში ვერ დაძლია, შიში და, ალბათ, სინდისიც აქვს იოტისოდენა შემორჩენილი. ის უშლის ხელს...

ჭკუამხიარული წითური ენას არ აჩერებდა... ჰოდა იმას გიამბობდით, თუ როგორ შევრთე ცოლი – ერთი ლტოლვილი გოგონა მოეწონა ამ მზეჭაბუკს, – ხელი გადადო უსახურს და თან ჩაიხვიხინა, – მოეწონა და აღარ მომასვენა, თუ კაცი ხარ, ეს გოგო როგორმე ხელში ჩამაგდებინეო. იმდენად კარგი გოგო იყო, მეცოდებოდა ამ მახინჯისთვის, მაგრამ რას ვიზამდი, ჩემი მეგობარია, ჩემსავით მთლად წყალწალებული არაა, – ვიფიქრე იქნებ საშველი დაადგეს-მეთქი. დავპირდი, რომ მივეხმარებოდი...

გიომ მგზავრებს გადახედა ზოგიერთი მათგანი ყურადღებით უსმენდა, წითური კი განაგრძობდა“.

ერთ ჩვეულებრივ დღეს შევიმოსეთ სამხედრო ტანსაცმლით, – ამას მაიორის ფორმა ჩავაცვით მე – ლეიტენანტის ჩავიცვი. ერთი იყო კიდევ ჩვენნაირი – მამაოს ვეძახდით და მივადექით ამ გოგონას ოჯახს. გამოვიდა მამამისი, ცოტა კი შეშინდა ავტომა-

ტიანი ხალხის დანახვაზე, – ხომ იცით, განუკითხაობის დრო იყო. შინ შეგვიპატიუა. ჰო, სანამ ოჯახში შევიდოდით, ამ ბედოვლათს ვუთხარი, იქ შენ ისე მოიქეცი, თითქოს ჩვენი უფროსი ხარ, შეგიძლია, საჭირო დროს ხანდახან თავშიც წამითაქო ისე, მსუბუქად, ბევრი არ მოგივიდეს, თუ არა, ხომ იცი-მეთქი, გავაფრთხილე, ზედმეტად რომ არ შეჭრილიყო როლში. შევედით ოჯახში. კაცმა სუფრა გაშალა. ღვინოც გაჩნდა. აქეთურიც ვთქვით და იქითურიც. ასე ვქაქანებდით, როგორც ახლა. ამ უდლეურმა გასაჩუმებლად ერთი-ორი ისეთი მითაქა, ნაპერწკლები გამცვივდა თვალებიდან. რას ვიზამდი, უნდა მომეთმინა. როგორც იქნა, ვთქვით სათქმელი. გადარია კაცი. როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. უარით გამოგვისტურა. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მივედით და, როგორც იქნა, გატყდა კაცი, იფიქრა, ალბათ, არეული დროა, რა ვიცი, ვის გადაეყრება, პატრონი მაინც ეყოლებაო. ასე დავაქორწინე, შვილებიც ჰყავთ. დიდად მიღებული კაცი ვიყავი ოჯახში, სულ ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით მიმასპინძლდებოდა რძალი. მაგრამ რად გინდა. კაცს ისე ვერავინ ავნებს, როგორც საკუთარი ენა, – დასძინა ბრძნულად. ჩვეულებისამებრ, ერთხელაც მივადექი სახლში. დავიძახე, ეს რაღაცას „სვარკავდა“, ქალმა გამოიხედა და ნამოვიდა ჩემკენ თვალებზე ხელაფარებული – ეჲ, არ მოისვენა ჩემმა უკულმართმა ენამ, წამომცდა, ჩემო ბატონო, – შე დალოცვილო, ამ კაცს უყურებ იცდაოთხი საათი და სვარკა მაგაზე უარეს რას დაგმმართებს-მეთქი. ხმა არ ამოულია, ცივად შებრუნდა ქალი. ის იყო და ის, იმ დღიდან ხაჭაპურებმაც მოგჭამა ჭირი. ასეა, ენას უნდა მოუაროს კაცმა. ხომ მართალს ვამბობ, ბიჭო? – ჩასცხო თავში გალიმებულ უსახურს.

მგზავრები ახარხარდნენ. ყველაზე მეტად წითური ხარხარებდა. წინა რიგში მჯდომმა ასკოვანმა ქალმა თავშლის ბოლოთი მოიწმინდა ცრემლი.

მძღოლმა ერთი მგზავრიც შემოიყვანა. გიოს გვერდით იყო ადგილი. გიო ფანჯრის მხარეს ჩაინია და მგზავრი მოხერხებულად დაჯდა. შეათვალიერა, ეცნაურა, მაგრამ ვერ იხსენებდა, საიდან და სადაური იყო.

— აბა, წავედით, — მძლოლმა პირჯვარი გადაინერა და მან-ქანა დაძრა.ხიდი გადაიარეს და გეზი დასავლეთისაკენ აიღეს.

გიო ფიქრებმა წაიღო, — რა, მოვუხერხო იმ კაცს. არაფ-რით არ უნდა ქალაქში ჩამოსვლა, ვეუბნები — ცოტა ხანს ჩამო-დი, ექიმებთან მიგიყვან, გამოგიყვლევთ, ცოტასაც დაისვენებ და რახან შენსას არ იშლი, ისევ გაგიშვებთ სოფელში-მეთქი. ძლივს დავითანხმე. არ სჯერა მაინდამაინც ექიმების, კაცს ალო რომ მოუვა წასვლის, იმას ექიმი რას უშველისო, ცოტა მაცალე, ჩავათავებ საშემოდგომო სამუშაოებს და ჩამოვალო. მეშინია, არაფერი დაემართოს. გახდა ამ ბოლო დროს, მარტოა, არც არავის შეწუხება უყვარს. ისე, ხალხიც ალარ მოიძებნებაო სოფელში. ამას წინათ მეუბნებოდა, საფლავის გამთხრელიც ალარ დარჩაო, ახალგაზრდები გადაკარგულები არიან, სოფლის მწირი შემოსავალი ალარ ჰყოფნითო, არადა, ადრე ხომ ყოფნი-დათ. გაზრდილი მოთხოვნები აქვთ ახლა. დრომ მოიტანა, ალბათ, ესეც. წუხდა, რა ეშველება ამ ქვეყანასო. მიწას თუ გაუუცხოვდი, გავერანდებაო. უნდა რამე მოიფიქრონ, გლეხი რომ დამაგრდეს მიწაზეო.

მუხრუჭების ღრჭიალმა ფიქრებიდან გამოიყვანა. სავარძელს მკერდით მიასკდა, მერე მარჯვნივ გადაქანდა და ფანჯარას მხრით შეეჯახა. ძლივს გაასწორა ატორტმანებული მანქანა მძლოლმა. აყაყანდნენ მგზავრები, ხალხი ვართ, ჩალას ხომ არ ეზიდებიო.

— ეჲ, მადლობის მაგიერია, საიდან გამოტყვრა დამთხვეული ძროხა, კინალამ არ დაგვლუპა!..

როგორც ჩანს, მართლაც, მძლოლის ოსტატობამ გვიხსნა მგზავრები აშკარა ხიფათისაგან. ...როგორც იტყვიან, მარცხი ერთნამსაო.

— გიუივით რომ მიერეკები, ნელა იარე, ძამია, თუ არა, ჩამოგსვამ ახლავე ძირს, — აპობოქრდა წითური.

— ძროხისთანა უტვინო ცხოველი არ შემხვედრია, მასზე არაფერი მოქმედებს — არც სიგნალი, არც შეძახილი, სანამ ზედ არ მიადგები, გვერდს არ იცვლის...

აბა, მამაჩემს ჰყითხე, — გაიფიქრა გიომ.

– გეშლება, – შეეპასუხა ვიღაც მგზავრი, – ინდაურზე მეტი ჩერჩეტი სულდგმული არ არსებობს. ლოყლოყობს გაუთავებლად...

– სამაგიეროდ საცივშია კარგი, – შეეპასუხა ვიღაც...

ცხოველთა და ფრინველთა ჭკუა-გონებაზე მოკამათე აღარ ჩანდა, სიჩუმემ დაისადგურა. მძლოლი შერჩეული სიჩქარით მისდევდა უსასრულო გზას.

გიო ისევ მამაზე ფიქრობდა, ამბობს, ჭორიკანა კაცებმა წაიღეს ქვეყანა, საქმის გამკეთებელი არ ჩანს. ადრე ასე იყო, ჯერ ქვეყანა და მერე მეო. ახლა პირიქითაა – ჯერ მე და თუკი რამე მომრჩა, მერე ქვეყანასო. არ აშენდება ასე ქვეყანა. წინა-მძლოლი ყველას სჭირდება, განსაკუთრებით კი – ქვეყანასო. ნაპოლეონის მოშველიება უყვარდა ხოლმე – ხომ გაგიგონია, უმჯობესია, ცხვრის ფარას ლომი ხელმძღვანელობდეს, ვიდრე ლომების ფარას ცხვარიო. ბრძენი კაცის ნათქვამია. დალვინებული, დადინჯებული, ზნეობრივად სუფთა და სპეტაკი ქვეყნის მოყვარეს თავის განირვაც უნდა შეძლოს. მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ზნეკეთილობაში. გამძაფრებული უნდა ჰქონდეს სამშობლოს განცდა. მისი ყოველი ტკივილი უნდა სტკიოდეს. აბა, ზოგიერთისთვის სამშობლო მისი ბოსტნით იწყება, თუ შემოვიდა მეზობლის ქათამი, მაშინ აკრიახდება. ასე ფონს ვერ გახვალ, ასე გადაგვარება და გადაჯიშებაა...

– ბოდიშს გიხდით, განმარტოებას რომ გირლვევთ, – გამოელაპარაკა გვერდით მჯდომი, დიდი ხანია გაკვირდები, და თუ ნაადრევმა სკლეროზმა არ დამრია ხელი, უეჭველად გიო უნდა იყოთ...

– ნამდვილად გიო ვარ. – ღიმილმორეულმა თქვა გიომ...

– მე ვერ მიცანი?

გიო უხერხულად შეიშმუშნა.

– მერაბი ვარ, ბიჭო.

ყურადღებით შეათვალიერა გვერდზე მჯდომი – მელოტი კაცი იღიმებოდა პარპალა თვალებით.

– შენს მოპირდაპირე მხარეს ვიჯექი სკოლაში. ჩვენთან,

რომ სწავლობდი, მართალია, დიდი ხნით არა, მაგრამ სამი წელიც დროა...

გაუჭირდა ცნობა, ამდენი დრო გავიდა, ნუთუ ის გამხმარი, ხუჭუჭმიანი მერაბაა?

— ხო, მერაბა ვარ, მერაბა, ოღონდ ის მერაბა არა. ახლა ღიპიანი და ქაჩალი. ხომ ხედავ, დრო რას შვრება. შენ მაინცდა-მაინც დიდად არ შეცვლილხარ, ისევ გამხდარი, ოღონდ მთლად გათეთრებული ხარ...

გიოს გულწრფელად გაუხარდა კლასელთან შეხვედრა.

— მერაბ, მერაბ, მართლაც, რამდენი დრო გავიდა. მიამბე შენ შესახებ. რას საქმიანობ, ცოლ-შვილი თუ გყავს? ის გოგო შეირთე? ლეგენდები დადიოდა თქვენს სიყვარულზე...

— არა, გიო, მშობლები გაჯიქდნენ. სტაცეს თავიანთ ქალ-იშვილს ხელი და სადღაც ქალაქში გადამალეს. თვალებპარპალა მერაბა არ გვინდაო...

მერაბი გაირინდა, წამიერად წარსულში გადავარდა. მერე თავი გაიქნია, თითქოს რაღაც ტვირთი ჩამოიბერტყა და განაგრძო:

— მყავს ოჯახი, მეუღლე და ქალ-ვაჟი. მათემატიკასა და ისტორიას ვასწავლი სკოლაში.

გიოს გაახსენდა, თუ როგორ იწერდნენ ხოლმე მისგან დავალებებს.

— რა ხდება სკოლაში, შენი აზრით, როგორი თაობა მოდის?

— რა გითხრა, როგორც ყველგან. არიან გამორჩეულად ნიჭიერები და ზარმაცებიც, მაგრამ არის ერთიც, რომელ-საც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ხაზს ვუსვამ

— განსაკუთრებული ყურადღება! მოსწავლეთა რაოდენობა კატასტროფულად მცირდება. თვითდინებაზეა მიშვებული დემოგრაფიული საკითხი. ამის მოსაწესრიგებლად სახელმწიფო პროგრამა უნდა არსებობდეს, თითო-ოროლა მეცენატი

ამ რთულ საქმეს ვერ მოაგვარებს. და კიდევ, თუ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მშობლიურ ენას და ისტორიას სათანადო ყურადღება არ მიექცა, გადავჯიშდებით. ასეა ეს. სატკივარს დამალვა არ შველის. დავუგდოთ ყური, რას ამბობს

ილია, ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით კი ასე ჟღერს: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებსო“... აი, ძმაო, ფორმულა, მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებული. რამდენი ხალხი და ქვეყანაა გამქრალი. თვითდინებაზე არაფრის მიშვება არ შეიძლება...

უყურებდა გიო მერაბის ალელვებისაგან ავარდისფერებულ სახეს და ფიქრობდა: ჩემი თაობისანი, სადაც კი შეიკრიბებიან, სულ ქვეყნის სატკივარზე წუწუნებენ. ადარებენ წარსულს, მისტირიან დავითისა და თამარის დროს, დაობენ, კამათობენ, გადარჩენის გზებს სახავენ, ასე გათითოკაცებულნი. ქვეყანამ კი ჯერ ვერ შვა ის, ვინც გათითოკაცებულებს შეკრებს და შეადუღაბებს ერთი საერთო მიზნისთვის. ამაზე ილიაც ოცნებობდა. მერაბმა რა ქნას, უყვარს თავის ქვეყანა, ანუხებს მისი სატკივარი და ბავშვებსაც გადასცემს, მაგრამ მიდის კი მისი ბაგიდან გამოსროლილი ტკივილიანი სიტყვები მათ გულამდე? თუ მიდის, ლვივდება, როგორც კეთილი მარცვალი, რომელმაც ნაყოფი უნდა გამოიღოს?

— გიო, თაობაზე მეყითხებოდი, — მერაბი შეყოვნდა, — თავი ხომ არ მოგაბეზრე, ბიჭო?..

— არა, მერაბ, რას ამბობ? განაგრძე, ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით და არც ამდენი დრო გვექნება სასაუბროდ, ხელსაც არავინ გვიშლის.

— თაობის სიჯანსაღე... მგონი, ახალს არაფერს ვამბობ, ყოველთვის ასე იყო, წინა თაობაზეა დამოკიდებული და გარემოზე. აღზრდის საიდუმლოება ოჯახშია. ოჯახი და კიდევ ერთხელ ოჯახი. ოჯახში ისეთი სულიერი საზრდო უნდა მიიღოს ყრმის გონიერამ, რომელიც ქვაკუთხედი იქნება მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ასეთი საზრდომილებული გონება სკოლაში კიდევ უფრო იწვრთნება და საზოგადოებაში მოყელყელავე მოთარეშე უზნეობანი ნაკლები საფრთხე იქნება მისთვის.

— მერაბ, აკაკისაც ნუ დავივიწყებთ...
— „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამსო“, — შეეპასუხა გიო. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემო გიო. სრულყოფილება ძნელი მისაღწევია, არც რაიმეა, მგონი, სრულყოფილი.

გიო მეტს აღარ შეპასუხებია. მერაბი კი განაგრძობდა:

– ბოლო ათწლეულებში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, განსაკუთრებით კომუნიკაციების სფეროში იმ ზღვრამდე მიაღწია, და ეტყობა, ეს არ იქნება ბოლო მიჯნა, საზღვრების ცნება პირობითობამდე დაიყვანა. ამაში ბევრი კარგიცაა და ბევრი ცუდიც. არც თვითიზოლაციაა გამოსავალი. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ცუდმა გადაფაროს კარგი. მოზღვავებულ გაუცხრილავ ზღვა ინფორმაციას ყრმის გონება მომზადებული უნდა შეხვდეს და რაღაცით დაუპირისპირდეს და რა არის ეს რაღაც? – პატარა პაუზის შემდეგ თვითონვე გასცა პასუხი,

– ეს არის ის სულიერი საზრდო, რომელზედაც ზემოთ ვამბობდი – სარწმუნოება, ძირძველი ტრადიციები და ეროვნული ლირებულებები, რომლებმაც შეგვინარჩუნა გამორჩეულება და თავისთავადობა, რასაც დღეს იდენტობას ეძახიან. ესაა ის ციხესიმაგრე, რომელიც გლობალიზაციის არასასურველი ზემოქმედებისაგან დაგვიცავს.

– საინტერესოდ საუბრობთ, თუ უზრდელობაში არ ჩამომართმევთ, მეც ჩავერევი, წარმოთქვა თავზე წარმომდგარმა თეთრწერა და თეთრთმიანმა ასაკოვანმა მამაკაცმა.

გიო განაცვიფრა უსპეტაკესმა თმამ და წვერ-ულვაშმა. ერთი ღერი სხვა ფერი არ ერია. რატომ აქამდე ვერ შევამჩნიეო, გაუკვირდა.

– თქვენ რწმენა ახსენეთ, მე დავაზუსტებ – მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. უზამაზარი მადლი დააბერტყა მაცხოვარმა ამ მინას. ქართველ ერს კი ზეპური ერი უნოდა. საფრთხეებსა და საშიშროებებზეც საუბრობდით. მოგეხსენებათ, ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. განსაცდელი წამალია გამოჯვანმრთელობის გზაზე.

– ჩვენ თუ განსაცდელი გვაკლია, – ჩაერია მერაბი, – რწმენაც ნელ-ნელა უბრუნდება ხალხს, ამდენმა გაჭირვებამ და უზნეობამ ხალხი ეკლესიისკენ მიაბრუნა. შაბათ-კვირას ტევა არ არის ტაძრებში. მართალია, ხარისხობრივი მაჩვენებელი ტოლი არ არის რაოდენობრივისა, – მათემატიკა გაურია მერაბმა.

– მაგრამ სტრიპტიზ ბარებში სიარულს ხომ სჯობია? ღვთის

შიში დაკარგეთ ქართველებმა, სიყვარულისაგან ხართ დაცლილები და მამონას დაუმეგობრდით, — განაგრძო თეთრწვეროსანმა.

გიო უცნაურმა მოთენთილობამ შეიპყრო, ნეტარმა მოთენთილობამ. ძალადაკარგული ვერ გრძნობდა სხეულის ვერც ერთ ნერვს, ვერც ერთ ძაფს. ყურში ჩაესმოდა სხვადასხვა სიტყვები და ფრაზები: მონანიება, სინანული, აღსარება, ზიარება, მარხვა. არა პურითა მხოლოდ ცხონდების კაცი, კარგად მყოფს კი არ სჭირდება მკურნალი, რამეთუ არ არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს. მრავალნი არიან ჩინებული და მცირედნი რჩეული... და ბევრი სხვა რამ, რომელიც გონებამ ვერ დაიტია. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ამ მდგომარეობაში. მერაბი თავისთვის ჩუმად რაღაცას ლაპარაკობდა.

- მერაბ, ის მოხუცი ჩავიდა?
- რომელი მოხუცი, გიო?
- თეთრწვერა და თეთრთმიანი.
- გიო, ასეთი აქ არავინ ყოფილა, არ ვიცი. ცუდად ხომ არ ხარ, რაღაც შენითლებულხარ, წნევას ხომ არ ატარებ მაღალს?
- აწრიალდა მერაბი.
 - არა, არა, — დაბნეულად უპასუხა გიომ.
 - ზესტაფონში ათ წუთს გავჩერდებით, — გამოაცხადა მძღოლმა.
- მერაბ, მე აქ უნდა ჩავიდე, აბა, ნახვამდის, — წამოიწია გიო და გასასვლელისკენ გაემართა.

* * *

რა დამთხვეულივით გამოვვარდი, წესიერადაც კი ვერ დავემშვიდობე. რას იფიქრებს ის კაცი. ანდა რაა ეს გაუთავებელი ზმანებები, თავი ვერ დამიდევს საწოლზე, ფიქრობდა გიო. ირგვლივ მიმოიხედა, გახუნებული შენობები, შუშა ჩამოლენილი ადმინისტრაციული შენობა, დაბინძურებული ავტოსადგომი, შელანდული ავტობუსები... უღრუბლი ცას ფეროს კვამლი აფერადებდა. მხოლოდ ორიოდე მიღი ხრჩოლავდა. წინა წყობილების ღროს კვამლში იყო გახვეული მთელი რაიონი და არა მარტო რაიონი. მამამისის ნაამბობი გაახსენდა: მოსკოვიდან

სამთავრობო დელეგაცია იყო ჩამოსული. დასავლეთ საქართველოში მიემგზავრებოდნენ გზად ხომ ზესტაფონში უნდა გაევლოთ, კინალამ გაგუდულა მაღალჩინოსანი. გადარეულა, აქ ხალხი როგორ ცოცხლობსო, არ ვიცი რამდენად მართალია, თითქოსდა ის ცნობილი ანეკდოტი უამბნიათ ფეროელების საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრის შესახებ, გაზის კამერამ რომ ვერაფერი დაკალო. ბევრი უცინია. ასე თუ ისე, ამ ამბის შემდეგ იაპონლები ჩამოიყვანეს, ფილტრები დააყენეს საკვამურში და ქალაქმაც ამოისუნთქა. თვითონ იაპონელები წყალტუბოში ცხოვროდნენ და იქიდან დაპყავდათ. აბა, ჩვენისთანა კვამლგამძლები ხომ არ იქნებოდნენ? – გაელიმა ბოლოს. კარგახანს იყვნენ იაპონელები და მხოლოდ ერთი სიტყა ისწავლეს ქართულად – თათბირი. გაოცებულები იყვნენ, ამდენი სათათბირო რა აქვთო...

მატარებელმა კივილითა და ბრაგაბრუგით ჩაუარა ავტოსადგურს. გიო გამოერკვა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა სალაროებისაკენ. სალაროს პატარა სარკმლიდან თმააბულულებული ქერათმიანი მოლარე იმზირებოდა. ლამაზ ბაგეს უხდებოდა ვარდისფერი ტუჩისაცხი. გულწრფელად გაულიმა და იმერულად მოუქცია:

- ერთი ბილეთი გნებავთ, ჩემო ბატონი?
- ერთი, – თვითონაც გაელიმა გიოს. გულუბრყვილო გოგონას გულწრფელმა ღიმილმა კარგ გუნებაზე დააყენა. ნეტავ, თმები ასე როგორ დაიბულულა, – გაიფიქრა ავტობუსისკენ მიმავალმა.

გიო ავტობუსში ჩაჯდა. დიდი ხნის ყავლგასული სატრანსპორტო საშუალება რის ვაი-ვაგლახით დაიძრა და კვნესა-ჭრიჭინით დაადგა სოფლისაკენ მიმავალ გზას. ნახევარსაათიანი ჯაყჯაყის შემდეგ, როგორც იქნა, ავტობუსმა სოფლის ცენტრს მიაღწია. გიო ჩამოვიდა, დაბუჟებულმა სხეულმა შვებით ამოისუნთქა. მშობლიურმა გარემომ ხალისი მოჰგვარა. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ნაცნობი იყო მისთვის. წარსულიდან სიყრმე იმზირებოდა. ცოტაც და გავახარებ მოხუცს. ისე არ შეიმჩნევს მაინდაცდამაინც. ერთს კი იტყვის – დალოცა ღმერთმა, კიდევ

კარგი, გზა არ დაგვიწყებიაო. იყო შვილების მიმართ მკაცრი და სამართლიანი იყო, შვილიშვილებთან კი ზომაზე მეტად ხალი-სიანი. სხივჩამდგარი თვალებით ჯერ შორიდან მიეალერსებოდა, მერე გულში ჩაიკრავდა, თმას აუჩეჩავდა გვერდით მოისვამდა. უყვებოდა სახალისო ამბებს თავისი ბავშვობიდან, სოფლისა და მის მახლობლად მდებარე ციხე-კოშკების ისტორიას. დაპირე-ბული იყო, სკანდის ციხეზე აგიყვანთო. ციხე ერქვა, მაგრამ ნანგრევების მეტი იქ აღარაფერი იყო შემორჩენილი...

მზის მცხუნვარება ნელდებოდა, რაჭის ქედზე ტყვიისფერ ღრუბლებს ჩამოესვენათ, გაავდარდება ალბათ, ასე იცის შე-მოდგომის კბენია მზემ, ფიქრობდა გიო. მიდიოდა, მონატრე-ბული თვალით ხარბად აკვირდებოდა გარემოს. წიწვნარში ჩასმული სოფლის სკოლა, პატარა სკვერი აკაკი წერეთლის ბიუსტით. მუდამ ცოცხალი ხასხასა ფერადოვანი ყვავილებით. ბიუსტს ქვემოთ ამშვენებდა მგონის სიტყვები: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“... ამ ადგილს რა დაავიწყებს? აქ აკოცეს პირველად. თამაში იყო ასეთი, – წვრილად დაჭრილ ქაღალ-დებზე მოთამაშეთა სახელები იყო ჩამოწერილი. ერთი მოთამა-შე ქაღალდებს მუჭში მოიქცევდა და იტყოდა, ამის პატრონმა რა ქნასო, სხვა კი იტყოდა, ესა და ეს მოქმედება შეასრუ-ლოსო. სასკოლო ფორმებში იყვნენ გოგოები გამოწყობილნი, ყავისფერი კაბებითა და თეთრი წინსაფრებით. ანცობდნენ და მხიარულობდნენ. ის ასაკი იყო, როცა მოულოდნელად უმიზე-ზოდ აკასკისდებიან... ან უმიზეზოდ ცრემლებს ღვრიან. ყვინ-ჩილობის ჰერიონი ჰერინდათ ბიჭებს. ქოჩორსაც გულმოდგინედ, რომ ისწორებ დილდილაობით. ეკას ჰერინდა მუჭში მომწყვდეუ-ლი ყველას სახელები. ტანდაბალი, ჩასუქებული, ულამაზესი პირისახის იყო ეკა და, ამასთანავე, სულ ნაღვლიანი. მოთამა-შეთა ბედის გამგებელი კი ირინე იყო – ანცი, ქაჯანა, ყოველ-გვარი ოინბაზობის მომგონებელი, კენარტანოვანი, სიცოცხ-ლით სავსე თვალებით და პირმცინარი. ეკამ გამოაცხადა, ამის პატრონმა რა ქნასო და მუჭიდან პატარა გაკეცილი ფურცელი გამოაძვრინა. ირინე ცოტა ჩაფიქრდა – წყლის სმით დავსკდით, ხეებზეც ძრომიალითაც, მოდი, ამის პატრონმააა, წააგრძე-

ლა, მოუსვენარ თვალებს ხან ერთს დაატაკებდა, ხან მეორეს. – ე, გოგო, დაგვაყენე საშველი, სადაცაა ზარი დაირეკებაო, ახმაურდნენ გოგო-ბიჭები. კარგი, კარგი, როგორც იქნა, გაიღო მოწყალება, ამის პატრონმა გიოს აკოცოსო, ხმალივით მოიქნია სიტყვა ირინემ. გოგო-ბიჭები გაირინდნენ. ეკამ ფურცელი გაშალა და ამოიკითხა, გვიმრაძეს ერგო. ყველა ელენე გვიმრაძეს მიაშტერდა. ელენე თავის ასაკთან შედარებით უფროსად გამოიყურებოდა. ზრდასრული ქალივით იყო. დინჯი, ხორბლის-ფერსახიანი, თაფლისფერი თვალებით, ტანთხელი და მაღალი. ელენეს არვითარი გაოცება არ გამოუხატავს, ოდნავ სინითლემ გადაკრა ღაწვებზე და მიუახლოვდა, მან ლოყა შეაგება, ელენემ კი ტუჩებში აკოცა. ეს იყო, რაღაც ახალი, მოულოდნელი, შეუცნობელი, გამარინდებელი, ურუანტელის მომგვრელი, უცხო და ტკბილი. დღემდე არ დავიწყებია ნოტიო ტუჩების სილბილე. ათასი წელიც რომ გავიდეს, რა დაავიწყებს, – ის იყო ერთადერთი და განუმეორებელი. მისი მსგავსი არც არასოდეს განუცდია... და დასრულდა მისი ბავშვობაც. მალე ზარი დაირეკა. გიო კი დიდხანს იყო გაშეშებული და უაზროდ გაჰყურებდა გაქცეულ ბავშვებს...

სკვერისგან მოშორებით კალათბურთის მოედანი იყო. ახლაც თამაშობდნენ ბავშვები, ცდილობდნენ, როგორმე ჩაეგდოთ ბურთი ბადეჩამოგლეჯილ რკინის რგოლში. სკოლის წინ გზის მეორე მხარეს სოფლის საბჭო, თუ გამგეობა იყო განთავსებული. იქ გლეხები ირეოდნენ, რაღაცაზე ბჭობდნენ. გზა კი გაუბედურებული იყო, აქა-იქ ემჩნეოდა ძველი დიდების ნაშთი – პატარა კუნძულებად ქცეული ასფალტი. მაგრამ რადგან რაიონებს აკავშირებდა ერთმანეთთან, ახლაც მოეკირნყლათ თეთრი ფერის მთის ნაშალით. სითეთრე მოსდებოდა გზის ორივე მხარეს. თეთრად იყო შეფეთქილი ხეები და ტრიფოლიატის ღობე. როგორ აუყრიათ ტანი მისი მოწაფეობის დროს დარგულ ნაძვებს, ფიჭვებსა და კვიპარისებს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გამოჰყავდათ ბავშვები ნერგების დასარგავად, მოშიებული ბავშვები უგულოდ ასრულებდნენ სამუშაოს. გაბო მასწავლებელი კი ამხნევებდა, ეხუმრებოდა – კულტურისა და

დასვენების პარკი კეთდება, თქვენ კი ზარმაცობთ, რა ჯობია, ყანებიდან, ვენახებიდან რომ დაბრუნდებით, ჩამოჯდებით, მდინარიდან მონაბერი და ნაძვნარის სამკურნალო მტვრით გაჯერებული გრილი ნიავი დაღლასაც დაგავინყებთ და გახალისებული დაუბრუნდებით თქვენს ოჯახებს. ეს ისე, ვითომ საოხუნჯოდ, თუ არა თვითონაც კარგად იცოდა, რომ გლეხებს არასოდეს ეცალათ პარკში დასავენელად და ენის მოსაქავებლად. დასვენებით თავის დახატულ ეზო-კარმიდამოში უკეთესად დაისვენებდნენ. შიმშილისაგან მუცელაწრიალებული ბავშვები მხოლოდ სახლში გაქცევაზე ფიქრობდნენ. ნაკლებად აინტერესებდათ პარკის ბედი. არადა, მართლა მშვენიერი გამოვიდა. მინას თუ კეთილად მოექცევი, ვალში არასოდეს დაგრჩება.

გიოს სოფელს საზანოს მდინარე ძუსა ორ ნაწილად ჰყოფს. მდინარის მარჯვნივ და მარცხნივ საკმაოდ ნაყოფიერი ვაკე ადგილებია. ზოგი ხოდაბუნს ეძახდა, ზოგი ჭალას. საკმაოდ ნაყოფიერი. ვაზი ჰქონდათ გაშენებული, უმეტესად ციცქა და ცოლიკაური, აქა-იქ პინოც. პინო ადრე მნიშვნელოდა და ბავშვებიც მალულად ეწვეოდნენ ხოლმე. შესანიშნავი ღვინო დგებოდა. თვითონ უპირატესობას ცოლიკაურს ანიჭებდა. ვაკე ადგილებს ორივე მხარეს გორაკები მოსდევდა. ხალხი დაბლობზეც ცხოვრობდა და გორაკებზეც. ისინი გორაზე ცხოვრობდნენ. გამორჩეული ადგილი ჰქონდათ, გვერდოს ეძახდნენ, მუდამ გრილი ნიავი ქრის და საღამოობით იქ იკრიბებოდა ხოლმე დიდი თუ პატარა. იქიდან ხელისგულივით ჩანდა მთელი დაბლობი, ახლომდებარე სოფლები – ვარდიგორა, თუზი, მუჯირეთი, მუხურისა და რაჭის მთები. ვარდიგორაზე ძველები ამბობდნენ, ოდესლაც იქ თამარს გაუვლია თავის ლაშქრით, ვარდი დავარდნია. ვარდი გორავს, ვარდი გორაქსო, უთქამს დიდ მეფეს და სოფელსაც, ვარდიგორა დაარქვესო. საქართველოში თამარის ნაფეხურებზე აღმოცენებულ სოფლებს თამარის სახელს უწოდებდნენ. ერთხელ მასთან ოჯახში სტუმრად მყოფმა სულგანათლებულმა ომარ კელაპტრიშვილმა ჰკითხა, რატომ ჰქვია შენს სოფელს საზანოო. პასუხი რომ დაუგვიანდა, თვითონვე უპასუხა – ზანების ქვეყანა იყო ეს მხარე, უძველესი ქართველი ტომების სამყოფელიო.

ბულბულს ეძახდნენ ომარს არა მარტო ჩვენთან, უცხოეთშიც. შესანიშნავი ვირტუოზი შემსრულებელი იყო ხალხურ ინსტრუმენტებზე, გამორჩეულად სალამურის. გიოს და და სიძე მოღვაწეობდნენ მის ანსამბლში და ეს აძლევდა საშუალებას, ხშირად შეხვედროდა მას.

ამ ფიქრებით გართული გიო საკირეს მიუახლოვდა. მამასთან ერთად ბავშვობისას ჩამოდიოდა ხოლმე კირის წასაღებად. არ სიამოვნებდა მაიცდამაინც ეს პროცესი. გამომწვარი ქვების გროვა ზურგს ტკენდა. მარტო თვითონ არ იყო ამ დღეში, სხვა ბავშვებიც დაჰყვებოდნენ თავიანთ მამებსა, თუ ბაბუებს. შრომას ასწავლიდნენ სიყრმიდანვე. შრომის გაკვეთილები იყო, მოთმინების გაკვეთილები. საკირე საშუალო ზომის ფუძეგანიერი და ყელ-ვიწრო თეთრი ქვით იყო წრიულად ნაშენები, ფოლადის საალტებით გამაგრებული. ახლა ბოლო სალტე გაწყვეტილიყო და ციხის ქონგურივით ჩამოშლილიყო. ნეტავ, როდის დატრიალდება წალმა ჩვენთის დრო, ფიქრობდა გიო.

სანამ ხიდს გადაივლიდა, შეყოვნდა. მდინარე ძუსას ჩააც-ქერდა. მოლივლივებდა ძუსა და შორეული წარსულის ამბავს ჰყვებოდა, თავის დაბადებისა და შემდგომ დროზე. მსმენელი და გამგებელი კი არ ჰყავდა. სამწუხაროდ, დავინწყებოდათ ენა ქართველებს. ადრე აქ ბონდის ხიდი იყო. ბაგირზე დამაგრებული. აქა-იქ აყრილი ფიცრებით. მოქანავე ხიდი არცთუ ისე ადვილი გადასასვლელი იყო. ცრემლივით წმინდა და გამჭვირვალე იყო ძუსა. კენჭებს დაითვლიდი მის ფსკერზე. პატარა თევზები გუნდ-გუნდად აღმა-დაღმა დაუყვებოდნენ მდინარეს. ძუსა სოფლის ემბაზია. შვების მომგვრელი ზაფხულობით. აქაური ბავშვები ლამის ჯერ ცურვას სწავლობენ და მერე სიარულს.

ისევ სიყმანვილის მოგონებები წამოტივტივდა. მაშინ უკვე ქალაქში სწალობდა. მამასთან ერთად ცხოვრობდა. დედა და დები კი სოფელში დიდ ბებიას უვლიდნენ. ბებია ეფემია ღრმად მოხუცებული და დაუძლურებული იყო. გიოს ენატრებოდა სოფელი, მეგობრები და შაბათ-კვირაობით ჩამოდიოდა ხოლმე. ერთხელაც სისხამზე ჩაჯდა ავტობუსში და გამოემგზარა სოფლისკენ. ქალაქი გაჩახჩახებული იყო და გზები მოასფალტე-

ბული. მალე ჩამოვიდა ავტოპუსი. სოფლის გადასახვევთან გააჩერებინა. იმდენად ადრე ჩამოვიდა, რომ ჯერ კიდევ დილის ბინდში იყო გახვეული ყოველივე. იცის ასე გვიანი შემოდგომისას. სიბნელემ შეაშინა. შორს გაღმა გორაკზე აქა-იქ გამოკრთებოდა სახლებიდან მბუუტავი შუქი. საკუთარმა ფეხის ხმამ შეაკრთო. ხეებიც უცნაურად შრიალებდნენ. მდინარე ძუსა კი არ მოლიკლიკებდა, გეგონებოდა, ქუხსო. ჩქარა მიდიოდა. ფეხის ხმამ ისეთ ექოს გამოსცემდა, თითქოს მთელი ჯარი მოსდევდა უკან. დაიბნა, ალარ იცოდა, რა ექნა. გული გამალებით უცემდა. თან ხიდი ჰქონდა გადასასვლელი, რომელიც ნაძრას ადგილად ითვლებოდა. ნაძრას ადგილს სოფელში ისეთ ადგილს ეძახდნენ, სადაც უწმინდური სულები ბინადრობენ. დიდ ბებიას ჰქონდა ნაამბობი, ბაბუაშენს იქ ბოროტი სული დახვდა, მაგრამ არ შეშინდა, პირველი გადაინერა – მიაძახა – ფური ეშმაკსო და ხმალი იშიშვლა, მაგრამ ბოროტს ხმლით რას დააკლებ! ერთი ისეთი გადაუხარხარებია, ძარღღვებში სისხლი გაგეყინებოდაო. ხმალი გადაუტეხია და გაუჩინარებულაო. მოგონებით დამფრთხალ ბავშვს თავში ყველაფერი აერია. იფიქრა – მოდი, სირბილით ვუშველი თავსო. მის ფეხის ხმას ათასი ფეხის ხმა აედევნა, ხეებიც ადგილიდან დაიძრნენ და შხუილით გამოუდგნენ, ძუსამაც თითქოს აიწყიტა. რის ვაი-ვაგლახით გადაიარა ბონდის ხიდი და ვენახებს შორის მიიმალა. გული გახეთქვაზე ჰქონდა. არც გაქცევა შეეძლო. შეჩერდა, რაც იქნება, ის იქნებაო და თვალები დახუჭა. არ ახსოვს, რამდენმა ხანმა განვლო. ბოლოს, შიში დაძლია და თვალები გაახილა. ყველაფერი თავის ადგილზე იდაგა, ღამეც გაცრეცილიყო. კიდევ დაყოვნდა ცოტა ხანს და აღმართზე მიმავალ ბილიკს დაადგა. უფრო მოკლე გზას... სახლში მისულს დედა ფეხზე დაუხვდა. შეშფოთდა, ასე ადრე რამ წამოგიყვანა, ხომ არ შეშინდიო. მოიტყუა – რაა შესაშინებელი, პატარა ხომ არ ვარო. მის მერე მისთვის შიშიც გაფერმერთალდა.

ახლა სანამ აღმართს შეუდგებოდა, ორ მუხასთან შეყოვნდა. დიდი ლოდი იყო მუხასთან მიგორებული. გზა რომ გაჰყავდათ ფერდობზე, კლდოვანი მონაკვეთი ააფეთქეს და ლოდიც

მაშინ ჩამოგორდა. მერე გლეხებმა წერაქვით მოაპირკეთეს. გიომაც ჩამოისვენა მასზე. მისი წინაპრების მიერ იყო დარგული ასწლოვანი მუხა. საამური საჩრდილობელი ზაფხულის ხვატის დროს ვენახში მომუშავე დამაშვრალი გლეხებისათვის. შესვენებისას პურს გატეხდნენ ხოლმე, ღვინიან ჭიქასაც წაუქცევდნენ თავს და წინაპრის, დიანოზის მოსაგონებელსაც იტყოდნენ. შორს, მაღლა, ჩალით დატვირთული ურემი ტაატით მიუყვებოდა გზას. გლეხები სავარგულებს იყვნენ შესეული, დარიან ამინდს ეშურებოდნენ. ფერდობზე ორიოდე კინკილა ცხვარ-ძროხა ძოვდა. გიო წამოდგა და წინაპრების მიერ გატკეცილ ვიწრო ბილიკს დაადგა. გაუჭირდა აღმართში სიარული. გული გამალებით უცემდა. ასე იცის პასიურმა ცხოვრებამ. ახალგაზრდობაში სულმოუთქმელად ამოირბენდა ხოლმე. შეისვენა, ხარბად ათვალიერებდა გარემოს სივრცეს დანატრებული თვალი. ერთი პატარა ბექობი და სერსაც თავზე მოექცა. კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ირგვლივ და ორლობები შეაბიჯა. ფეხის ხმას მეზობლის ძალი ყეფით გამოეხმაურა. სადღაც მამალმა დაიყივლა. თავზე დამფრთხალი ბეღურების გუნდმა გადაუფრინა და იქვე ახლოს ტყემლის ხეზე ჩამოსხდნენ.

ჭიმკარი ღია დაუხვდა, თითქოს ელოდნენ. ეზო ნაირფერადი ფოთლებით იყო მოფენილი, მოყვითალო ფერი ჭარბობდა, ლურჯი გაბაცებულიყო, ნარინჯისფერი მენამულში გადადიოდა. მამალი ღობის ძირას იქექებოდა და კრიახით უხმობდა დედლებს. ბაზულა არსად ჩანდა. წინ შემოეგებებოდა ხოლმე, ყეფა-წკმუტუნით ფეხებში გაუწვებოდა, წამოხტებოდა და წინ გავარდებოდა, თან უკან იხედებოდა, მომყვება თუ არაო.

ნაჯაფ კაცივით მოხრილ კარალიოკს ფოთლები ჯერ კიდევ შერჩენდა, მისი ნაყოფი ანთებული ნათურებივით ღულდა. მუხურელა ვამლს აქა-იქ შერჩენდა ნაყოფი. ადესის მტევნები ჩამომჭკნარიყო. ჩიტები ურიამულით ესეოდნენ. დავაგვიანე, უფრო ადრე უნდა ჩამოვსულიყავიო, გაიფიქრა გიომ. ყველგან მიმოიხედა, სახლშიც შევიდა, მარანშიც და სამზადისშიც. არავინ ჩანდა. მამა სამუშაოდ იქნება სადმე წასული, სახლში რა გააჩერებდაო. მოწყენილმა მეზობელს გადასძახა, არავინ გამო-

ეხმაურა. შევიდა მეზობლის ეზოში და კვლავ დაიძახა. გაიღო სამზადისის კარები და უუჟუნა გამოვიდა, ცოტა შეყოვნდა.

– უი, უკვე ჩამოხვედი?!

გარეთ გამოსულ ქალს კვამლი ძალლივით გამოჰყვა. მოეხვია, თან მალულად თავსაფრის ბოლოთი ცრემლს იწმენდდა. ეუცხოვა გიოს, ადრე მხოლოდ ხელის ჩამორთმევით მოიკითხავდნენ ერთმანეთს. გიომ გულთან ახლოს წინკნა იგრძნო.

– რა გატირებს, უუჟუნა, რა მოხდა?

– არ ვტირი, კაცო, – თვალი მოარიდა და პატარა ხნის შემდეგ წამონითლებულმა აჩქარებით უპასუხა, – ფიჩია ნედლი, კვამლმა ამინვა თვალები, ბუხარიც აღარ გვივარგა.

– რა იცოდი, რომ უნდა ჩამოხსულიყავი, – რაღაც აწუხებსო, გაიფიქრა გიომ.

უუჟუნა ისევ შეყოვნდა, სათქმელის თავის მობმას ცდილობდა.

– შენს ცოლს დავურეკე, მარინეს, სამი საათის წინ. გამიკვირდა ასე მალე, რომ ჩამოხვედი.

– უუჟუნა, შენგან მსახიობი არ გამოვა, პირდაპირ მითხარი სათქმელი, – რაღაც უბედურების წინათგრძნობმა დაყვავებით მხარზე ხელი გადახვია და ჩუმად ჰკითხა, – ცოცხალია?..

უუჟუნას მხრები აუცახცახდა, ისევ წამოუვიდა ცრემლები და წაძალადევი მხიარულებით გაღიმებულმა სხაპასხუპით უთხრა:

– ცოცხალია, ბიჭო, ცოცხალი...

– აბა, რაღა გატირებს, თუ ცოცხალია? – შვებით ამოისუნთქა გიომ.

– ცოცხალი კია, მაგრამ...

– რა მაგრამ?!

უუჟუნამ თავსაფრის ბოლოთი ცრემლი მოიწმინდა და უკვე დამშვიდებულმა განაგრძო

– ყანაში იყო წასული სამუშაოდ. ცუდად გამხდარა და წაქცეულა, კოლიას დაუნახავს მოვარდა და ჩვენც შეგვატყობინა. ჩვენ რომ მივედით, გრძნობა დაკარგული ჰქონდა. რის ვაი-ვაგლახით სასწრაფოც მოვიდა. ექიმმა სისხლის ჩაქცევააო. ბადრი და ბონდო გაჰყვა რაიონში – საავადმყოფოში. მეზო-

ბლები ძალიან მოგვეხმარნენ, ყველა მხარში დაგვიდგა. განსაკუთრებით ბონდომ და კოლიამ იყოჩაღა. ექიმმა – ყველაფერი ორგანიზმზეა დამოკიდებულიო. რკინასავით კაცი იყო, ამას ვინ იფიქრებდა? – სინანულით გადააქნია თავი უუჟუნამ, მერე მტკიცედ დაამატა, – აუცილებლად ეშველებაო.

მოულოდნელი ამბით გაბრუებულ გიოს გული უკვნესოდა. ინსულტი სახუმარო ამბავი არ იყო. ეჭ, რამდენჯერ გავაფრთხილე, მაგრამ ბედს სად გაექცევი.

- მანქანა გვჭირდება, უუჟუნა, ვის ჰყავს მანქანა?..
- მურადის...
- აბა, უუჟუნა, შენ იცი, იქნებ დაგვეხმაროს...

ასაკდავიწყებული უუჟუნა გარბოდა – ბახულაც სასწრაფოს აედევნა...

ძროხაც ვერაფრით დაეჭირათ...

* * *

რაიონული ცენტრი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთ მხარეს ადმინისტრაციული შენობები: საკრებულო, პროკურატურა, სასამართლო და მშენებარე ეკლესია. მეორე მხარეს – საავადმყოფო და კვების ობიექტები. ტროტუარს ამშვენებს უხვფოთლიანი ჭადრის ხეები. ოდესალაც თეთრად შეღებილი სავადმყოფო გახუნებულიყო. შეუბრალებელ დროს თავისი დაღი დაესვა – კედლებიდან ალაგ-ალაგ იმზირებოდა უანგმოდებული არმატურა. და განუკითხაობის დროდან შემორჩენილი ნატყვიარების ნაკვალევი – ამოკებეჩილი ღრმულები.

კარგად შეღამებული იყო, გიო სავადმყოფოს, რომ მიადგა. სამსართულიანი შენობა უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა აქა-იქ ბუუტავდა ნათურები. ისის იყო ფეხი შედგა წინკარში, რომ ცაზე ელვა გაიკლაკნა წამიერად გაანათა გარემო და იქუხა. ქუხილს კანტიკუნტად მოჰყვა წვეთები და თანდათანობით თავ-სხმაში გადაიზარდა. წვიმას მოყოლილი ქარაშოტი ცოფიანივით ეძგერა ჭადრის ხეებს და რომ ვერაფერი დააკლო, გაგულისებული საავადმყოფოს შეასკდა. მორყეული ფანჯრები ამაოდ ცდილობდა მომსკდარი ღვარცოფის შეკავებას. დასჭექა კიდევ

ერთხელ. გრგვინვამ ქვეყანა შეაზანზარა და ძალგამოცლილი მთებს მიღმა ჩაიკარგა. მბჟუტავი ნათურებიც ჩაქრა. ჩაბნელ-ებულ დერეფანში მყოფმა გიომ აღარ იცოდა, საით წასული-ყო. დერეფნის სიღრმეში სანთლის მოლიცლიცე მკრთალი შუქი შენიშნა. სიფრთხილით წავიდა მისკენ. პატარა შუშებიანი ოთახი გამოჩინდა რომელზედაც სამორიგეო იკითხებოდა. თაროებზე უამრავი გახუნებული საქალალდეები იყო ჩამწკრივებული. თეთრხალათიანი ახალგაზრდა ლამაზნაკვთებიანი ქალი ტელე-ფონზე დარეკვას ცდილობდა.

— ალო, ალო, იქნებ, როგორმე შუქი ჩაგვირთოთ რეანი-მაციაში ინსულტიანი გვინევს, სისტემაზეა შეერთებული, — ივედრებოდა ქალი. უჩვეულოდ ესახებოდა გიოს მომხიბლავი გაქათქათებულ-სამოსიანი ახალგაზრდა ქალი ამ უსახურ და მრუმე შენობაში. ადამიანი უკიდურესად მძიმე სიტუაცაშიც კი არ კარგავს სილამაზის აღქმის უნარს.

იგი ქალს მიესალმა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს — უპასუხა ქალმა და გაკვირვებულმა გიოს მიანათა ცნობისმოყვარე თვალები — უჭირს რაღაც, თუ არა, ამ წარლვნაში აქ რა მოიყვანდა.

— რამდენიმე საათის უკან თქვენთან ერთი შუახანს გად-აცილებული კაცი მოიყვანეს, სავარაუდოდ ინსულტით, იქნებ დაგვაკვალიანოთ — ვის მივმართოთ, სად მივიდეთ, როგორია მისი მდგომარეობა, სად წევს, — მიაყარა გიომ.

ქალის ცნობისმოყვარე თვალები თანაგრძნობამ და სიბრა-ლულმა შეცვალა.

— რეანიმაციაში წევს, ბატონო. მერე ბრაზშეპარული ხმით განაგრძო: აუტანელ პირობებში გვინევს საქმიანობა, არა შუქი, არა წყალი, სავადმყოფოა ბოლო-ბოლო. გაჭირვებით დავრეკე ჩაგვირთავენ, ალბათ, შუქს. ცოტა ხანს დამელოდეთ, მორიგე ექიმთან მიგიყვანთ, ის გეტყვით ყველაფერს.

გიო სარკმელს მოშორდა და გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ვერც დამჯდარმა მოისვენა. აწრიალებული დერეფანში წინ და უკან სცემდა ბოლთას. რას მეტყვის ექიმი. ინსულტი ხუმრობა საქმე

არ არის. როგორც გამიგია, მკურნალობას ექვემდებარება. ბევრი გამომძვრალა ამ მდგომარეობიდან. ასაკსაც ხომ მნიშვნელობა აქვს. რა ვიცი, რა ვიცი, ისე, ღვთის ნებაა ყველაფერი. ცოტა ხანში შუქიც მოვიდა. ისე მკრთალად ანათებდა, ოდნავ თუ სჯობნიდა სანთელს. გიო ისევ სარკმელს მიადგა.

– უკაცრავად ქალბატონო, თქვენი სახელი, თუ შეიძლება.

– ინგა, ბატონო.

– ქალბატონო ინგა, იქნებ მიმიყვანოთ მორიგე ექიმთან.

ინგამ უჯრიდან პატარა სარკე ამოილო, თავი შეითვალიერა და კმაყოფილი ფეხზე წამოდგა, გაქათქათებული ხალათი შეისწორა და შუშებიანი კარი გამოალო.

– მესმის თქვენი, ჩემო ბატონო, მძიმე ავადმყოფია, მაგრამ ერთ რამეში გაგვიმართლა. ამ შემთხვევაში შეიძლება უადგილოდაც მოგეჩვენოთ რაიმე გამართლებაზე საუბარი, მაგრამ პატარა წვრილმანსაც კი გადამწყვეტი როლი უთამაშნია,

– გამოცდილებით დაბრძენებულივით წარმოთქვა ახალგაზრდა ხიბლიანმა ქალმა, – ის ფაქტი, რომ დღეს ნევროპათალოგია მორიგე, წვრილმანი ნამდვილად არ არის...

ვერანაირი რეაქცია რომ ვერ შეამჩნია გიოს, აღელვებულმა განაგრძო:

– თბილისიდანაა, ბატონო, ჩამოსული, სამი წელია უკვე. თავისი ავადმყოფები თბილისიდანაც კი აკითხავენ, ქუთაისზე აღარ ვლაპარაკობ. მე ერთი რამ გამკვირვებია, ასეთ სპეციალისტს როგორ შეელიენ. არ ვიცი, რამ აიძულა აქ ჩამოსვლა, – ვეღარ ჩერდებოდა ქალი, – როგორც გავიგე, ოჯახიც ჰყოლია დედაქალაქში. აქ კი სულ მარტოკაა, ცოტა დალევა უყვარს...

ალბათ, კიდევ იტყვოდა რამეს, მაგრამ ექიმის კაბინეტსაც მიადგნენ. ინგამ კარზე დააკაკუნა.

– ბატონო თენგიზ, თქვენთან არიან.

მუშამბა გადაკრული კარი გაილო. საშუალო ასაკის თითქმის მთლიანად გაჭალარავებული ბრგე, ჩასხმული, სპორტული აღნაგობის, საშუალოზე მაღალმა სახელიმილიანმა მამაკაცმა გიო ინგასთან ერთად კაბინეტში შეიპატიუა. მოჭიდავე ხომ არ იყო ნეტავ წარსულში, გაიფიქრა გიომ. კოხტად მოწყობილ

სუფთა კაბინეტში გრძელ ფართო მაგიდას შედარებით მოკლე პატარა მაგიდა ჰქონდა მიღმული, რომელსაც ტყავგადაკრული სავარძელი ამშვენებდა. სავარძელსა და მაგიდას კედლიდან ფიროსმანის მეთევზე დასცექეროდა. ფანჯრის მხარეს დივანი იდგა და კიდევ კარებთან ორი შუშებიანი კარადა. მაგიდას სამი მამაკაცი უსხდა. მათ შორის, ორი თეთრხალათიანი. ხალათიანები იქნებოდნენ ოცდაათი-ოცდათხუმეტი წლის, ერთი ჩვეულებრივად ჩაცმული დაახლოებით ნევროპათალოგის ასაკის.

— ბოდიშს გიხდით, პატარა სუფრა გვაქვს — წარმოთქვა თენგიზმა.

— მოგვიანებით შემოვალ, — შეწუხდა გიო.

— არა, არა, რას ბრძანებთ? დაბრძანდით, — დივანზე მიუთითა თენგიზმა.

გიო ჩამოჯდა.

— გმადლობთ, ინგა, თქვენ შეგიძლიათ, წაბრძანდეთ. ინგას თითქოს არ ეთმობოდა იქაურობის დატოვება, ნაძალადევი ღიმილით უკან-უკან სვლით, ზურგშეუქცევლად გავიდა კაბინეტიდან. მანამდე კი მოასწრო თქმა:

— დღეს, რომ მოიყვანეს იმ კაცის ახლობელია...

— ვხვდები, ჩემო ინგა, ვხვდები, — ღიმილით წარმოსთქვა თენგიზმა.

— მამაა ჩემი ის პაციენტი, ქალბატონმა ინგამ რომ მოგახსენათ. მაინტერესებს მისი მდგომარეობა, რა სიმძიმისაა დავადება, გვაქვს თუ არა გადარჩენის შანსები, — ღელვაშეპარული ხმით თქვა გიომ.

თენგიზი ტყავის სავარძელში ჩაეშვა, კეხიან ცხვირზე სათვალე შეისწორა და უურნალს მისწვდა.

— კი ბატონი, თომა რობაქიძე 77 წლის. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში რაღაც — რაღაც პროცედურები ჩავატარეთ. ზოგიც ხვალ ჩაუტარდება, — თქვა თენგიზმა. მერე უურნალი გააჩოჩა და განაგრძო, — ერთი შეხედვით, სტანდარტული ჩაქცევაა, ვფიქრობ, ჰემორაგული ინსულტია. როგორც მითხრეს, მამათქვენი დიდი ხანია, მაღალ წნევას ატარებს. ჰოდა, მაღალი წნევის ფონზე ტვინის რომელიმე სისხლძარღვი

შეიძლება, დაზიანდეს და მოხდეს სისხლის ჩაქცევა. შეიძლება, რომელიმე ინფექციაც იყოს მიზეზი, შეიძლება, იშემიური ინსულტიც იყოს, ძნელია თქმა. ინსულტის დროს თავის ტვინის დაზიანების ნიშნები ძირითადად ერთ ღამეში გამოვლინდება ხოლმე. დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. კომპიუტერული ტომოგრაფიის საშუალება ჩვენ არა გვაქვს, რომ დაზიანების ხარისხი დავადგინოთ. ყველაფერი ორგანიზმზეა დამოკიდებული და – მაღლა აიხდა – ღმერთზე.

- თუ შესაძლებელია, ვნახავ.
- კი ბატონო, რეანიმაცია აქ პირობითი ცნებაა. ერთი ჩვეულებრივი პალატაა. ქვემოთ ინგას სთხოვეთ და გაგყვებათ. ისე, სანამ ჩახვალთ, იქნებ წაგეხემსათ, ნამგზავრი პრძანდებით, მამათქვენს ამაღლამ მეტით ვერაფრით დავეხმარებით, ხვალინდელ დღეს უნდა დაველოდოთ. დანარჩენს ხვალე გვეტყვის, – მიიპატიუა სუფრასთან თენგიზმა.

– გმადლობთ, ბატონო თენგიზ, მამასთან ჩავალ...
მეტი თავპატიუი ექიმსაც აღარ გამოუდვია. ეჰ, რამდენს გაუვლია მის ხელში, შეჩვეულია და ემოციებისგანაცაა დაცლილი. მამაჩემიც მისთვის მორიგი ავადმყოფია.

რეანიმაცია პირველ სართულზე დერეფნის ბოლოში იყო. ინგა პალატაში შეუძლვა. შესასვლელთან ხელმარცხნივ პირველ საწოლზე იწვა თომა. თავთან წვეთოვანი ედგა ვენაზე მიერთებული. პირში რეზინის მილი, რომლითაც ჰაერი მიეწოდებოდა. საწოლს უკან ლურჯი ფერის გრძელი საბრძოლო ტორპედოს მსგავსი ჟანგბადის ბალონი იყო მიყუდებული. გიო პალატაში მყოფთ მიესალმა, იქაურობა შეათვალიერა. ხუთი საწოლი იდგა, აქედან ერთი მამის გვერდით – თავისუფალი, დანარჩენი ავადმყოფებს ეკავათ. რეანიმაციის პირობაზე გიოს ავადმყოფთა რაოდენობა ებევრა. გარედან ფართო ფანჯრაში ღამე იმზირებოდა.

– მე დაგტოვებთ, – თქვა ინგამ, – თუ რამე დაგჭირდებათ, აქვე ვარ სამორიგეოში. გიომ სკამი მიადგა საწოლს. ჩამოჯდა. ხელში აიღო მამის ხელი.

– ეჰ, მამა, მამა, შენ და სავადმყოფო? საწოლი და ავად-

მყოფობა, როგორ აპატარავებს, უსუსურს ხდის ადამიანს. მამა, ჩამოვედი, გესმის ჩემი? – თავზე გადაუსვა ხელი მამას გიომ, მისი უმწეობის შემხედვარე ერთბაშად მოისხლიტა, მოითენთა და ძალა წაერთვა, – მამა, იქნებ გესმის ჩემი, – კვლავ გაიმეორა გიომ ჩურჩულით, – იქნებ თვალები მაინც გაახილო...

დაუინებით დასცექეროდა მამას. თითქოს თვალზე ცრემლიც შენიშნა, ალბათ, მეჩვენებაო, გაიფიქრა და ხელი გადაუსვა. სისველემ ხელი დაუნამა. გაუხარდა, შესაძლებელია, ესმის კიდეც და ლაპარაკს ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს. წეტავ, საერთოდ თუ დაილაპარაკებს, ან ფეხზე თუ გაივლის. ურთიერთსანინააღმდეგო აზრები მოსვენებას არ აძლევდნენ გიოს. ფეხზე წამოდგა. დახუთული მძიმე ჰაერით და სპეციფიკური სუნით იყო გაჯერებული სივრცე.

– თუ შეიძლება, ცოტა ხნით ფანჯარას შევალებ, – მიმართა ფანჯარასთან მწოლიარე ავადმყოფს.

– რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, ვეღარ ვგრძნობთ ამ სიმყრალეს...

– აქ ყველა ინსულტიანია?
– კი ბატონო, მე მეშვიდე დღეა, რაც აქ ვარ, დიდი განსხვავება არ არის პალატებს შორის, აქ მირჩევნია, შედარებით მეტი სისუფთავეა. ისე კი, დროა, გავეცნოთ ერთმანეთს. წება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ აქ მყოფი საზოგადოება, – რიხიანად დაიწყო ფანჯარასთან მწოლიარემ...

– ჩანს, ძნელია ადამიანის ბუნების შეცვლა, ზოგიერთს მძიმე სნეულებაშიც კი არ ღალატობს იუმორის გრძნობა, ასეთები მალე ჯანსაღდებიან ხოლმე, გაიფიქრა ვიომ.

– მე ვარ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი გოდერძი, ჩემო ბატონო, ორმოცდათხუთმეტი წლის. სხვათა შორის, ერთი კვირის წინ გავხდი წინ გავხდი ამ ხნის. დღეს აღვნიშეთ, მეორე დღეს კი აქ მოვხვდი. ვერ გეტყვი, აღნიშვნის ბრალია, თუ უბრალო დამთხვევაა, ესენიც ვერაფერს მეუბნებიან. ცარიელი საწოლის იქით რომ წევს, ეგ სოსიკოა, ყოფილი სანერგეს მუშაკი, შესანიშნავი მყნობელი ვაზისა, – სოსიკომ თავი წამოსწია გაცნობის ნიშნად. – სულით ხორცამდე გლეხი,

მინაზე უზომოდ შეყვარებული და მისით დაავადებული. ჩემსა და სოსიკოს შორის რომ წევს, შალიკოა, კალატოზი, – შალიკომ ჯამრთელი ხელი ასწია. – პროფესიებს აქ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ ჯიშით, მოდგმით, გენეტიკით ყველანი გლეხები ვართ, – დაამთავრა გაცნობა გოდერძიმ.

– მე გიო ვარ, ეს კაცი კი მამაჩემია.
– ბიძია, – მიმართა სოსიკომ გიოს, – მაგ ცარიელ საწოლზე მამა მიქაელი იწვა, გამოკეთდა და წავიდა. მამაშენიც გამოკეთდება, ჩვენც მაგ დღეში ვიყავით ყველანი. ჯერჯერობით ლაპარაკს მაინც ვახერხებთ, არც სახე დაგვპრეცია და არ არის ეს პატარა საქმე. შენ შეხედვაზე გული ხომ არ უნდა შეუწუხდეს კაცს, – დაამატა ღიმილით სოსიკომ, – ჰო, კიდევ ყველაფერი ღვთის ნებაა, როგორც მამა მიქაელი იტყოდა, ალბათ, ღმერთი არ გაგვირავს, – გაამხნევა სოსიკომ გიო.

– ღმერთი უკიდურქს შეჭირვებისას თუ გაახსენდება ადამიანს, ეს შეჭირვებაც ღვთისგანაა. განსაცდელია. ავადმყოფობით იწმინდება ადამიანის სული. მოთმინებით და ღვთის დიდი სასოებით, – როგორც ამბობენ წმინდა მამები, – წამოიწყო გოდერძიმ, – ღმერთს არავინ ავიწყდება და ყველას დამსახურებისამებრ მიაგებს. ბოლო ღროს ბევრს ვკითხულობდი თეოლოგიურ ლიტერატურას და ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, ანი უფრო მეტს წავიკითხავ, თუ დამცალდა, – წაღველი გაერია, ერთი შეხედვით, ხალისიან გოდერძის.

– სულზე ამბობდი შენ, – შეესიტყვა გოდერძის სოსიკო, – ვის ახსოვს სული, თუ ძმა ხარ, ან რა არის სული, სული მე ის მეგონა, რითაც ვსუნთქავთ. ვფიქრობდი, რომ ამით მთავრდებოდა ყველაფერი. თურმე ასე არ ყოფილა. ბავშვმაც კი იცის, რომ სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მაგრამ მამა მიქაელი ამბობს, სიკვდილით იწყება სიცოცხლეო. სიკვდილზე უფრო საშიში სიკვდილის შემდგომი ხანააო. მომკალი და ვერ წარმომიდგენია, არსება უსხეულო და მოაზროვნე. მე მხოლოდ სხეულით შევიცნობ სიცოცხლეს, ცოცხალი სხეულით. ჩვენ უმეცრები ვართ ამ საქმეში, ბევრი არაფერი გაგვეგება. მამა მიქაელმა დაიწყო ჩვენი განსაწავლა. გვაზიარა კიდეც. არც ამის მნიშვნელობა

ვიცით ჯერ. გავიგებ, თუ არა საერთოდ, ესეც არ ვიცი.ის კი ვიცი, რომ ბაბუაჩემი ყოველი საქმის წინ პირჯვარს იწერდა, მამაჩემიც და მათი მიბაძვით მეც ასე ვაკეთებდი, ოღონდ მალულად, იმიტომ, რომ ჩვენს მეტი პირჯვრის გადამწერი ჩემ სოფელში მე არ მინახავს.

– შვილო, გიო, არ გეწყინება ალბათ, თუ ასე მოგმართავ,
– მოსაუბრეებს შეურთდა შალიკო. – რას ბრძანებთ ბატონო
შალიკო?

– კაი, თუ კაცი ხარ, რომელი ბატონი მე ვარ, ერთი უბრა-
ლო გლეხის კაცი ვარ, გლეხები ვართ ჩვენ ყველანი, – როგორც
აღნიშნა გოდერძიმ, – დაუდევარი გლეხები. ვენახიო, ყანაო,
საქონელი, სხვა ათასი წვრილმანი, ფრინველი და კიდევ მიწა
იმდენს ითხოვს, სად გვცალია ჩვენი თავისთვის, სანამ არ
წავიქცევით. მერე კი ასეთ დღეში აღმოცხნდებით ხოლმე.

– შალიკო ბიძია, ინსულტი პროფესიის მიხედვით არ ეტაკება
კაცს, ასე რომ იყოს, იმ პროფესიას არავინ აირჩევდა. – თქვა
გოდერძიმ.

– რა ვიცი, ბიძია, ჩვენ კი მოგვსპო და მოგვარილა, – გიოს
დედამისის საყვარელი ფრაზის გაგონებაზე, გაელიმა. დიაბეტით
გატანჯული ხმირად იმეორებდა ხოლმე ამ სიტყვას, – დაგვიფ-
ჩენია პირი და ქაქანის მეტი ალარაფერი დაგვრჩენია. შრომას
მოწყვეტილები ქაქანს მივეძალეთ, არადა, რამდენი სამუშაოა
ახლა სოფელში. მთელი წლის ნაამაგარს ახლა უყრიან თავს...

– აბა, აბა. – ჩაერთო ისევ სოსიკო, – დაცლილია სოფელი
ხალხისაგან. შენიც უნდა გააკეთო, იმ წასულის პატრონსაც უნდა
წაუკრა ხელი, მარტო ქალები და მოხუცები რას გახდებიან, მათ
ამარაა სოფელი. ასე თუ გაგრძელდა, დაიქცევა ქვეყანა.

– სწორად თქვი, სოსიკო ბიძია, მართლაც, დაიქცევა ქვეყანა
იმიტომ, რომ გლეხობა ოდითგანვე ხერხემალი იყო ქვეყნის. –
მხარი აუბა გოდერძიმ. მეფე-პოეტი არჩილი გაახსენდა გიოს,
რომელიც გლეხობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა
– განათლებასთან ერთად ერის ცხოვრებაში.

– იმსხვრევა ეგ ხერხემალი და ეგაა, – ჩაურთო შალიკომ.
– მეტი დამსხვრევა რაღა გინდა? ქალაქში ვიყავი ერთი

თვის ნინ, სამსახურმა გამაგზავნა, – გააგრძელა ისევ გოდერძიმ. საქმეს რომ მოვრჩი, ბაზარში შევიარე, ცეცხლი უკიდია ყველაფერს და არც ერთი არ არის ქართული პროდუქტი – მწვანილი ირანიდან, ლობიო ჩინეთიდან, კაცო, გაგიგნია, ჩინეთიდან. როგორ ახერხებს ლამის მილიარდნახევრიანი ქვეყანა, თავისი ხალხი გამოკვებოს და ჩვენთანაც შემოიტანოს? რაღა შორს წავიდეთ, ყველა მეზობელი ქვენის პროდუქტია.

– ჩვენ რაღა ღმერთი გვიწყრება. – ამოიხვნება შალიკომ და შეთხელებული ჭალარა თმა მოიქექა.

– აქ სახელმწიფოებრივი აზროვნებაა საჭირო, ბიზნესს თავისი მგლური კანონები აქვს, შემოტანა უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვა. სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მოწინავე ტექნოლოგიებმა ჩვენამდე ჯერ კიდევ ვერ მოაღწია და არის კიდევ სხვა მიზეზები – თანამდებობითა და მდგომარეობით გადიდეკაცებულთა ფინანსური ინტერესები. ხალხზე მზრულები თავი კაცი აკლია ქვეყანას, – ბრძენკაცივით დასძინა სოსიკომ. – როდის გამოჩნდება ასეთი კაცი, – იკითხა ისევ შალიკომ.

– გამოჩნდება, აუცილებლად გამოჩნდება, – უპასუხა გოდერძიმ.

– ოდესალაც შეიძლება მართლა გამოჩნდეს, მაგრამ დაცარი-ელებულ სოფელში თვითონ ხომ არ დაიწყებს ხვნა-თესვას?! – რიტორიკული კითხვა დასვა სოსიკომ.

მოსაუბრენი ცოტა ხანს მიყუჩინდენ. შალიკომ მარჯვენა ხელით მოუხერხებლად ბალიში შეისწორა, მარჯვენა ფეხი მუხლში მოხარა და დაიწყო ისევ:

– თქვენ, ბიძია, კიდევ ერთხელ გამიმეორეთ თქვენი სახელი, ჩემს თავში ახლა, რია-რიაა, არა გასაკვირი, რომ დამვიწყებოდეს.

გიომ თავისი სახელი გაიმეორა.

– საავადმყოფო და ერთ ბედში მყოფობა აახლოებს ადამიანებს, ასე მგონია, წლებია აქ ვწევარ. ერთმანეთის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცით, რამდენჯერმე ვიმეორებთ ერთსა და იმავეს.

შალიკომ პატარა ხანს შეყოვნდა, ჩაფიქრდა.

– ფუი ეშმაკს, დამავიწყდა, რისი თქმას ვაპირებდი. ეს ჩერჩეტი თავი ვეღარ აზროვნებს. ხო, ვენახის ჩაყრას ვაპირებ. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა ახლა. ადრე იქ მდინარის პირას იყო სანერგე. სოსიკომ იცის ეს კარგად. იქ იმყნებოდა სხვადასხვა ჯიშის ვაზი და ყველას ხელი მიუწვდებოდა. ახლა არ ვიცი, საიდან მოვიტანო. მიწიერზე საზრუნავი დადამბლებულ ადამიანსაც კი არ ასვენებს, გაიფიქრა გოდერძიმ. ყველაზე კარგად ჩვენთან მაინც ციცქა-ცოლიკაური ხარობს. ათფუთიანი მაქვს ხელშეუხებელი, წმინდა, კამკამა, თაფლისფერი. იქნებ ღმერთმა ფეხზე გაგვარონიოს ჰა, რას იტყვი შენ, სოსიკო?

– ნეტავი მაგას ველირსებოდე და შემოვუსხდეთ მერე ჭურის თავზე და კაცურად დავვაგუგუნოთ, -თქვა სოსიკომ.

ღმილი მოერიათ მოსაუბრებს.

– შენ მაინც რომელი მოგწონს? – გამოეხმაურა გოდერძი,

– მე ბულბულს ენა მიყვარს. კარგია სამ ხმაში. ეჰ, სად წავედით, ხალხო!

გიო ფეხზე წამოდგა და ფანჯარას მიადგა. ბნელის მეუფება გრძელდებოდა ისევ. აქა-იქ ფოთლებს შემორჩენილი წვეთები თუ აციალდებოდა ხანდახან. უკან შებრუნდა და მამას გახედა. საშინელი სანახავი იყო პირში მილგაჩრილი მამა. ლაპარაკის იშტაზე მოსული შალიკო კი განაგრძობდა:

– დღეს იშვიათია, ვინმემ ვაზი ჩაყრაოს. გარბის ყველა სოფლიდან. ჩვენს უბანში სამი-ოთხი კომლილა დავრჩით. მე და ჩემი ქნენა ჯერჯერობით ავუდივართ საქმეს. თუმცა, მე ანი რიღას მაქნისი ვარ? – შუბლი შეიჭმუხნა, ამოიხვნეშა და კვლავ განაგრძო შალიკომ. – ეს ჩემი ბიჭიც გადაკარგულია უცხოეთში. კაცმა არ იცის, რას აკეთებს იქ. გოგოც ქმართან ერთად თბილისშია. ბიჭი მანალვლებს ძალიან. რამდენჯერმე ფულიც გამოგვიგზავნა. მის ფულს არ დავეძებ, რამე ხიფათში არ გაყოს თავი. ცუდი ამბები მოდის იქიდან. სიკვდილის პირას მისულ კაცს მთლად არ მომიღოს ბოლო, – ნალვლიანად ჩაამთავრა შალიკომ.

– გეყოფა, შალიკო გეყოფა. წინასწარ რას იეხეთქავ გულს. იქნებ ყველაფერი იმაზე უკეთესადაა, ვიდრე შენ ფიქრობ,

– სიტყვაში ჩაენაცვლა სოსიკო, მერე გიოს მიუბრუნდა – გიო, ბიძია, სანამ შენ შემოხვიდოდი, მაგრად რომ იჭექა და აქაურობა დღესავით გაანათა – არ ვიცი, მომეჩვენა, თუ რა იყო, მამაშენი თითქოს შეინძრა, თვალი გაახილა. აუცილებლად გამოკეთდება და მერე ქე გვპატიუობს აგერ შალიკო, წევიდეთ სუყველა და დავაფასოთ ეს პატიოსანი კაცი. ოქროს ხელები აქვს ამ კაცს, ოქროს ხელები. ის ლამაზი სკოლა ნაძვნარში რომ არის ჩაფლული, მაგის და მაგის მამის აშენებულია. – მიეფერა სოსიკო შალიკოს. და განაგრძო, – სიხარბეს რა ვუთხარი, თუ არა მარჯვე გლეხი სოფელში თავს აუცილებლად გაიტანს. მაგრამ სადღა გლეხი ხომ გაგიგონია, ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო, ნახევრად ქალაქში რომ ხარ და სოფელს ხანდახან ჩამოუქროლებ, ვერანაირ მეურნეობას ვერ ეწევი. გლეხი მიწას უნდა იყოს შეზრდილი. მიწა, მზე, მთვარე, ცა და ვარსკვლავები გლეხისთვის წიგნია. ყველა წიგნზე დიდი წიგნი, ოღონდ წაკითხვა უნდა შეგეძლოს. სად იყო ადრე ამინდის ბიურო? ახლა სხვა სახელს ეძახიან. რა ქვია, გოდერძი? დამავიწყდა სახელი...

– სინოპტიკოსები, სინოპტიკოსები, სოსიკო – უთხრა გოდერძიმ.

– რა უბედურებაა, ენას მოიტეხს კაცი. გლეხს მამა-პაპათა გადმოცემული, დროში გამოცდილი ცოდნით, გამოცდილებით, დაკვირვებითა და ალლოთი შეძენილი სიბრძნე ჰქონდა და ის იყო კიდე მისი წიგნი. შეუცდომლად იცოდა, როდის მოხნა და როდის დაეთხესა. დიდი სიყვარულით ელოლიავებოდა ყოველ ხეს, ბუჩქს, თუ ყვავილს. ვენახზე აღარაფერს ვამბობ. ხეს რომ დარგავენ, მერე კითხულობენ, გაიხარა თუ არაო. გახარება და სიცოცხლეა ერთი და იგივეა, უსიხარულობა სიკვდილია, ჩემო კარგებო; ასე ვფიქრობ მე ჩემი გლეხური ჭკუით.

ყურადღებით უსმენდა სოსიკოს შალიკო, მერე მარჯვენა ხელით უსიცოცხლო მარცხენა ხელი გულზე დაიდო, ამოიოხრა და თქვა:

– ღმერთო, ამ ხელით ჭურის აყალო მომაზელინე და მერე თუ გინდა, მომკალი.

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი გოდერძიმ დაარღვია.

– გიო, შალიკო ამბობდა, შვილი მყავს უცხოეთში და წუხს, რას საქმიანობსო. გულწრფელია მაგის წუხილი. საშინელებები ისმის იქედან. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერაფერი ღირებული ვერ გაგვაქვს საექსპორტოდ, გარდა მამაძალლობებისა. სირცხვილი დაკარგა ხალხმა. ზნეობა. უსირცხვილო კაცი ყველაფერზე წამსვლელია. საოცარ დროში ვცხოვრობთ. ასეთი რეკლამირებულ უზნეობას და უსირცხვილობას არ მოსწრებია კაცობრიობა და თუ ასე გაგრძელდა, ეს იქნება წინაპირობა ქვეყნიერების დასასრულისა. ჩემი წინაპრებიც ამ რაიონის მკვიდრები იყვნენ, მეც აქ ვარ დაბადებული. სასწავლებლად მომიწია წასვლამ ქალაქში. მერე იქ დავრჩი, დაცოლშვილდი. სანამ მშობლები ცოცხლები იყვნენ, მიხაროდა ჩამოსვლა. მერე გამიცივდა გული და იშვიათად ჩამოვდიოდი. ერთხელაც დაკრძალვაზე ჩამოვედი. შემძრა ჩემი სახ-ლკარის მდგომარეობამ. ღობეებჩალენილი, გავერანებული და გატიალებული დამხვდა ყველაფერი. უპატრონო სასაფლაოს ჰგავდა. შემრცხვა ჩემი წინაპრების, ჩემი მშობლების იმათი დალვრილი ოფლის. მივატოვე ყველაფერი და ჩამოვედი. ყველას გაუკვირდა, ჩემებს განსაკუთრებით. სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება მაქვს. ახლა აქ ვსაქმიანობ ადგილობრივ ხელისუფლებაში.

გიო ხშირ-ხშირად წამოდგებოდა ფეხზე მამას დახედავდა ხოლმე, თან მოსაუბრეებს უგდებდა ყურს. ავადმყოფები მწყურვალივით დაწაფებოდნენ სიტყვას.

– უცნაურ დროში ვცხოვრობთ, ჩემო გიო, მთლად გაუშინაურდა გოდერძი. – სახელმწიფოებრიობის ორასწლოვანმა წყვეტამ საშინელ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. არანაირი გამოცდილება არ გვაქვს სახელმწიფოს მართვის, რომელიც, ჩემი აზრით, ურთულესი მექანიზმია. ვთარგმნით ათასგვარ კანონს და ვითომ ვუსადაგებთ ჩვენს პირობებს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოგვდის. და იყითხავ, რატომ არ გამოგვდის? გიპასუხებ – იმიტომ, რომ მასში არ არის ეროვნული სული.

– რა გამოვა, თუ ძმა ხარ, ხე არ ვარგა უცხოეთიდან გადმონერგილი და კანონი ივარგებს? – ჩაეჭრა სოსიკო. გოდერძი ცოტა ხანს შეყოვნდა და განაგრძო:

— ვატარებთ ათასგვარ ექსპერიმენტს, რომლებსაც თაობები ეწირება. ვყიდით ყველაფერს. წარმოიდგინეთ უმიწოდ დარჩენილი ქვეყანა. გაუუცხოვდა ხალხი საკუთარ ქვეყანას. აღარ არსებობს სამშობლოს განცდა. კუჭს დაემონა ყველაფერი. ფერებიდნელი ქართველების მშურს, რა გვიჭირდა, სამშობლოს მათნაირი სიყვარული რომ შეგვეძლოს. ჩვენს ქვეყნაში აღარავინ წერს ქვეყნის სიყვარულზე, პატრიოტიზმზე. ფსევდო ლირებულებებმა წალეკა ყველაფერი. ყველა უმსგავსოებას დემოკრატიით ამართლებენ. მიზეზებს არ ვეძებთ, შედეგები კი ასეთია, რიგორიც არის. მხოლოდ სუფრაზე გვახსენდება სამშობლო განსხვავებული სასმისით. სიყვარული დაკარგა ხალხმა, მძვულვარება მძვინვარებს ქვეყანაზე. ორ შაურად გაუყრიან დანას ერთმანეთს. მე მტკივა ჩემი ქვეყანა, მიყვარს, დავბრუნდი იქ, სადაც ვიშვი. მიუხედავად ყველაფრისა, მე არასოდეს ვიტყვი, რომ მრცხვენია ქართველობის. არავისზე ნაკლები და არავისზე უარესი არ ვართ ჩვენ. მე მინდა, ერთი აგური მაინც დავდო ჩემი ქვეყნის ამღმენებლობაში და ვერავინ ვერ გამაგდებინებს ამ აგურს ხელიდან. როცა უიმედობა შემომიტევს ხოლმე, ყაზბეგს ვკითხულობ, ქართულ ცეკვებს ვუყურებ, ჩემი სახელოვანი წინაპრების სული ცოცხლდება მათში და ისინი მე მაძლიერებენ...

შალიკო თვალმილული იწვა. უსიცოცხლო ხელი ისევ გულზე ედო. გოდერძიც მიყუჩდა. გიომ კიდევ ერთხელ გახედა მამას და უსიტყვოდ დერეფანში გავიდა. მედდა სამორიგეოში ჟურნალში რაღაცას იწერდა. გიოს გასვლისას თავი ასწია და მომლოდინე თვალებით შეაცქერდა. გიომ უხმაუროდ გაიარა დერფანი და ეზოში მიაშურა. შორს სადღაც მამალმა იყივლა. მამლის მესამე ყივილზე გადიოდა ხოლმე მამამისი სახლიდან, როცა წისქვილში მიდიოდა. ლამის სუსხმა შეამცივნა და სავადმყოფოში შებრუნდა. მედდა დასასვენებლად ემზადებოდა. გიო ფრთხილად შევიდა პალატაში. განცდებით დამაშვრალ ავადმყოფებს ჩასძინებოდათ. გიომ სკამი მამის საწოლთან მიაჩოჩა, ხელში მისი შრომისაგან დაშაშრული ხელი აიღო და თითები წაზად გადაუსვა. გული აუჩვილდა და ცრემლები მოეძალა. მერე მაჯა

გაუსინჯა. გული რიტმულად სასიცოცხლოდ უცემდა, რამაც განუზომელი სიხარული მოგვარა. ათთროლებულმა მამის ხელი გულში ჩაიკრა საწოლზე თავი ჩამოდო და გაირინდა...

დროის ამ მცირე მონაკვთის მოვლენებმა კინოკადრებივით ჩაიქროლა: ზმანება, მგზავრობა, ტრასაზე გამოვარდნილი ძროხა, თმააბულულებული მოლარე გოგონა, სოფელი, მოლიალებული ეზო-ჭიშკარი, დაბნეული უუუუნა, საავადმყოფო, მამის უმნეო მდგომარეობა, ნევროპათალოგი... რაო, შეიძლება, ინსულტი ინფექციამაც გამოიწვიოს, რა ინფექცია, საიდან... გააოცა დადამბლავებული ადამიანების ოპტიმიზმია, გამოჯანმრთლების საოცარმა რწმენამ, აქა-იქ თუ გამოერეოდათ ნალველი. ეტყობა, განსაცდელში მყოფთ სულის ამოხდამდე აქვთ თავის დაღწევის იმედი. მათი ცოცხალი მსჯელობა, გულისტკივილი მოუწეს-რიგებელ ყოფაზე, აზრები, ფიქრები ქარბორბალასავით ტრიალებდნენ, რომლებიც რაღაც მომენტში უხილავშა ძალამ შავი ხვრელივით შეისრუტა...

უჩვეულო შეხებამ გამოაღვიძა. თვალები გაახილა. თავზე მამის ხელი ედო. თვალცრემლიანი შეჰერებდა, მერე ხელი ჩამოილო, პირიდან მილი მოიშორა და თითქოს ბოდიშს იხდისო, ღიმილმიმსგავსებული სახით ამოიჩურჩულა.

- გაგაწვალე, შვილო?! - ცრემლები წამოუვიდა და ამ პანანა მარგალიტებში მოექცა ის მამა-შვილური სიყვარული, რის გამოც ღვთის მიერ მონიჭებული სიცოცხლე უსასრულოდ გრძელდება...

* * *

ექიმის გამოთქმულმა ვარაუდმა ინფექციის შესახებ გიო საგონებელში ჩააგდო. რა ინფექციაა, რომელმაც თითქმის საბედისწერო შედეგამდე მიიყვანა კაცი? ჯანსაღ კაცს რაღაც გამოუცნობი ინფექცია უღებს ბოლოს. როდიდან დაეწყო, ვინ იცის, რამდენი ხანი აწუხებდა, ხმას ხომ ვერ ამოაღებინებდი, ან იქნებ უბრალოდ დამთხვევაა და წნევის ფონზე განვითარდა. ვინაა ამის გამომცნობი. ექიმმა ჩვენ ინფექციების გამოკვლევის საშუალება არა გვაქვსო. ინფექცია ათასგვარია, რომელმა გა-

მოიწვია ინსულტის პროვოცირება, ძნელი დასადგენიაო, იქნებ ინფექციაც არაფერ შუაშიაო...

მერე თავისი თავის გადამოწმება დაიწყო – მუხლები ტკიოდა – მეც მტკივა. არც მუცელშია დალაგებული ყველაფერი. თავის ტკივილებიც არ არის უცხო. ჰე, დაიწყე ახლა შენებურად. არა, გელა უნდა ვნახო, მაგრამ რა გაუძლებს მას. სასაცილოდ არ ეყოფა. სამხედრო სამსახურის გავლამ ღვთისგან დავიწყებული აუტანელი კლიმატური პირობების მქონე ქვეყნის დასალიერები მოუწია, სადაც ზაფხული ზაფხულს არ ჰგავდა და ზამთარი ზამთარს. ბინძური წყლის გამო დიზენტერია შეეყარა და კინაღამ წერილი წაიღო. მის შემდეგ შიში დაჩემდა ინფექციების და ჰერიოდულად აკითხავდა ხოლმე გელას.

გიო ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, იმ ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელ სტანდარტულ ხუთსართულიან კორპუსში. სახლს წინა და უკანა მხარეს ტანაშოლტილი წინვნარი ამშვენებდა. ფანჯრიდან ხშირად გასცემობდა ხოლმე ცისკენ აშოლტილ მწვანე კორომს – ყველა ზეცისკენ ისწრაფის, ყველას ზეცისკენ აქვს თვალი მიმართული. წინვოვანის ქათიბი განსაკუთრებული სიხასხასით გაზაფხულობით გამოირჩევა ხოლმე. თვალს ანყნარებს, გულს ამშვიდებს. ფრინველთათვის ხომ შეუცვლელი თავშესაფარია. მზის ამოსვლამდე, გარიურაუზე, ურიამულით მოწყდებიან თავიანთ სახლ-კარს და საზრდოს საპოვნელად მოეფინებიან ეზოებს. უფრო თამამნი ფანჯრის რაფაზე დაპაკუნობენ – ყოველ დილით უფასო კონცერტებს რომ გასმენინებთ, ცოტაოდენი გასამრჯელო გაიღეთო. განსაკუთრებით ბეღურები აქტიურობენ, აქა-იქ შაშვიც გამოერევა ხოლმე, ერთხელ თოხიტარაც კი გამოჩნდა.

გიოს გელასთან ვიზიტი აღარ გადუდვია და გზას დაადგა. მიდიოდა და ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა – გზას, მანქანებს, ხალხს. ადრე უფრო ჰენიანად იცვამდნენ, ახლა რაღაც უცნაურ მოდას არიან აყოლილნი. უხდებათ, თუ არა, ამისთვის არ სცხელათ, ამაზე არავინ ფიქრობს. მთავარია, მოდას არ ჩამორჩე. ერთ დროს სამარცხვინოდ მიჩნეული სიშიშვ-

ლე ახლა სააშვაროზე გამოუმზირებიათ. ვარცხნილობა უცნაური, აქოჩრილი მამლის, თუ ოფოფის მსგავსი. სამოსს სხეულის ფორმა მთლად დაეკარგა, ქალი იყო თუ კაცი, ვერ გაარჩევდით. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ბევრი რამ შეიცვალა, ადამიანის გონებრივმა შესაძლებლობებმა ყველა ზღვარი გადალახა, თანამედროვე ტექნოლოგიებმა სამყარო ამოატრიალა, უკიდეგანო ფანტაზიებმა ფრთები შეისხეს და შორეულ გალაქტიკებს შეესივნენ. სამყარო გარეგნულად იცვლება, რაც შეეხება ადამიანის შინაგან არსა, ბუნებას, ის არ შეცვლილა – ისევ კლავენ, ისევ მრუშმობენ, ისევ იპარავენ, ისევ ღალატობენ, შურთ. ცოტა სიყვარული და ბევრი უკეთურება. ვერც დრომ და ვერც მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მანქიერ და წარმავალ წუთისოფელში ვერაფერი შეცვალა, დაამძიმა კიდევაც. როგორ ამბობს ეკლესიასტე? იგივე სოლომონ ბრძენი – რაც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია და რაც იქნება, ის უკვე იყო. რა გიკვირს? – ღმერთის ძიებაა მთავარი და შენზეა დამოკიდებული მისი პოვნაო. ყველაფერია ნათქვამი. ფიქრი, ფიქრი, სად არ გაგისვრის, სად არ გაგტყორცნის, ვის დაულწევია თავი ფიქრების ტყვეობისაგან. ზრახვები, ზრახვები, ღვთისათვის სათნო თუ წარსანწყმედელი. პირველ დაცემიდან მოყოლებული ეძებენ ღმერთს და ცოტანი პოულობენ. თვითონაც ხომ ბრძანებს – მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირედი რჩეულნი. შორს მობარბაცე სილუეტი შენიშნა. ნუთუ ის არის. სტუდენტობის შემდეგ ერთი-ორჯერ თუ შეხვედრია. ყველა მეზღვაურს ეძახდა. მეზღვაურივით ბარბაცებდა სიარულის დროს. მთაგორიანი სოფლიდან იყო მუხლდაულელად ადიოდა და ჩამოდიოდა ფერდობებზე. არავინ იცის, რისი ბრალი იყო, ვერაფრით ვერ გადაეჩვია ბარბაცით სიარულს. გამხმარ-გაჩინებული, აზონილი ტანის მეპატრონე ახლა შევსებულა. უაღრესად შრომისმოყვარე და ნიჭიერი იყო და ბევრსაც მიაღწია. რამდენჯერმე ტელეგადაცემაშიც მოჰკრა თვალი. თეოლოგიურ თემებზე საუბრობდა, კაცომოყვარეობასა და სხვა სათნოებებზე. ყოფილი პარტისტორიის სპეციალისტი მოექცა, რელიგიურ კაცად იქცა და საზოგადოებას მოძღვრავდა. უხაროდა და ეამაყებოდა მისი წარ-

მატებები. ისე კი, ცოტა ფხუკიანი იყო და იუმორთან მწყრალი.

– ნიკოლოზს გაუმარჯოს ნიკოლოზს, – შორიდან შესძახა გიომ. ნიკოლოზი ოდნავ შეყოვნდა, მერე სახელიმილიანი გიოს მიუახლოვდა. ერთმანეთს გადეხვივნენ და მოიკითხეს.

– ბიჭო, რავა გამოკეთებულხარ, შევსებულხარ, ხელი მოუთათუნა ბეჭზე, – კიდევ უნდოდა რაღაც მსგავსი ეთქვა, მაგრამ ვინ დააცადა.

– რა, მჭირდა მე, ბიჭო გამოსაკეთებელი? – უკმეხად უპასუხა ნიკოლოზმა, ზურგი შეაქცია და გაშორდა. გაშრა გიო, მილურსმულივით დაერჭო ერთ ადგილას. არა, არა ამის გამოსწორება არ იქნება. მის სოფელში ხორცნაკლული ადამიანი, თუ სადმე დასასვენებლად წავიდოდა და შემდგომ შევსებული და მომატებული დაბრუნდებოდა, ეტყოდნენ ხოლმე, როგორ გამოკეთებულხარო. ეჰ, მეცა ვარ რა. დიდკაცობაა, თუ ფხუკიანობა. შე, კაი კაცო, სიყვარულსა და სათნოებაზე რომ ქადაგებ, იმ დალოცვილ წიგნში, მოთმინებაზე, თავშეკავებასა და მიტევებაზეც ხომ წერია. არაფერია, ეშველება. არც სავლე გადაქცეულა უცბად პავლედ, გული დაიმშვიდა გიომ. გზა კარგი აურჩევია, ამ ფხუკიანობასაც მოერევა ალბათ. ისიც ნათქვამია, სიტყვას თუ საქმეც არ მიაყოლე, თესლი არ გაღვივდება და ნაყოფსაც არ გამოილებს.

მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარმა ფეხი მოაცვლევინა გიოს. ნაგავი და მტვერი სახეში რომ არ შეჰყროდა, თვალზე ხელაფარებულმა შეაბიჯა სავადმყოფოს ეზოში, სადაც აყვავებული ნაძვნარის მტვერი ხალიჩასავით მოჰყენოდა ყოველივეს. მწვანეში ჩაფლული სოციალიზმისდროინდელი ორსართულიანი შენობები სანატორიუმის კოტეჯებს წააგავდნენ. ბოლო კორპუსი იყო მხოლოდ თანამედროვე სტილში აგებული, ხუთსართულიანი თეთრი. გიო მესამე სართულზე ავიდა და პათოლოგიური ინფექციების განყოფილებას მიადგა. გრძელი და ფართო დერეფანი პალატებს ერთმანეთისაგან ყოფდა. კიბესთან ახლოს, სამორიგეოში თეთრ ხალათში გამოწკეპილი მედპერსონალი ფუსფუსებდა. გიო საშუალოზე მაღალ, ჭალარათმიან, სანდომიანი სახის ქალბატონს მიესალმა და თხოვნით

მიმართა, იქნებ ექიმ გელა ჩუბინიძესთან მიმიყვანოო. შემოვლაზეა, ბატონო, მალე დამთავრდება, ორი პალატის იქით რომ კაბინეტია, იქ შეპრძანდით მერე, მანამდე კი აქ დაელოდეთ და ფანჯარასთან მდგომ გრძელ სკამზე მიუთითა. გიო მითითებულ ადგილზე ჩამოვდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. ფრინველების სიმრავლემ გააოცა. ნაზამთრალ ფრთოსნებს თბილი ქვეყნებიდან მოფრენილნიც დამატებოდნენ და აღმა-დაღმა სერავდნენ სივრცეს. სულის მოსათქმელად ფრთების ფათქუნით ერთმანეთს ეცილებოდნენ ფანჯრის რაფაზე ჩამოსხდომაში, თანაც საკვებს ელოდებოდნენ თავისუფლებასა და ჯანმრთელ ცხოვრებას დანატრებული სწეული ადამიანებისაგან...

მალე გელაც გამოჩნდა თეთრხალათიან გოგო-ბიჭებთან ერთად, კისერზე ფონენდოსკოპჩამოკიდებული ახალგაზრდებთან მხიარულად მასლაათობდა. სამორიგეოსთან გაჩერდნენ. ჭალარა თმიანმა ქალბატონმა გიოსკენ მიანიშნა. დინჯად სერიოზული სახით წამოვიდა, რომელიც სულ არ უხდებოდა მის სიცოცხლისმოყვარე ხალას ბუნებას. გიოს შეცნობისთანავე ნაძალადევი სიდინჯე მისმა ჩვეულმა ბუნერიობამ შეისრუტა და ლიმილად ქცეულმა ოდნავ ხრინწიანი ხმით წამოიძახა:

– ცოცხალი ხარ, კაცო, სად დამეკარგე? ხან ყოველდღე აქ ხარ, ხან წლობით იკარგები. წამომყევი, წამომყევი ხელი გამოსდო და კაბინეტისაკენ გაიყოლა. მერე აჩორჩხლილი გასაღებების გროვა ამოაცურა, ჯიბიდან კაბინეტის კარები გააღო და შიგ შეუძლვა.

– ციხის უფროსი ხარ, თუ ექიმი? ჩააბარე ჯართში და მთელი დღის საფასურს მიიღებ...

– იცინე შენ, იცინე, ამ გასაღებებზე უამრავი ადმიანის ბედია დამოკიდებული. ყველას კი არ აქვს მასზე წვდომა, მხოლოდ ჩემნაირებს, – პათეტიკურად წარმოთქვა და ხელი მაღლა ასწია,

– მოდი გასაღებებს თავი დავანებოთ, მანდ ჩამოვექი.

მაგიდისთან მიდგმული სკამი გამოაცურა. თვითონ სიგარეტს მისწვდა, ასანთი გააჩხაკუნა და ნეტარებით გააბოლა.

– ბიჭო, რანაირი ექიმი ხარ, სხვას უნდა მოუწოდებდე ჯანსალი ცხოვრებისკენ, თვითონ იგუდები და სხვასაც ახრჩობ?

- ხუმრობა იქით იყოს და თუ რაღაც არ მოვუხერხე ჩემს თავს, კარგს არაფერს დამმართებს, ხმაც კი შემეცვალა.
- მერე ადექი შენც და დაანებე თავი.
- ოხ, დაანებე თავი, ეს შენ ინფექცია ხომ არ გვონია. ჩაყლაპავ ანტიბიოტიკებს და გაგივლის, მოგკლავს ამდენი ანტიბიოტიკი, სოკოდ იქცევი, სოკოდ.
- კარგი, კარგი, გვეყოფა ამდენი ურთიერთდამოძღვრებები,
- გელა ფეხზე წამოდგა, ზურგს უკან მდგომი კარადიდან ორი ბოთლი შამპანური, შოკოლადი და ორცხობილა გამოაძვრინა.
- „ინ ვინო ვერიტას“ ხომ გაგიგონია, ჩამოვსხდეთ. მესაუბრე და თანაც თავი შევიყოლიოთ, ოლონდ ინფექციებზე არ დაშინუყო ლაპარაკი. ღვინო ერთ-ერთი კარგი სამკურნლო საშუალებაა. არ ვიცი, წაგიკთხავს თუ არა, პავლე მოციქული თავის მოწაფეს, ტიმოთეს, წერს, – ცოტაოდენი ღვინო იხმიეო, სასარგებლო იქნება შენი ჯანმრთელობისთვისო. ყურადღება მიაქციე, ცოტაოდენიო, – დაამარცვლით წარმოთქვა გელამ, – ერთი მძიმე ავადმყოფი მყავს, ის განმსწავლის ხოლმე ასეთ საკითხებში. მიდი, თუ ძმა ხარ, ჭიქებში წყალი გამოავლე და ვეძიოთ ჭეშმარიტება.

გიომ ჭიქებში წყალი გამოავლო და გელას მიწოდებულ ლანგარზე დააწყო.

- მოკლედ ყველაფრისთვის მზად ხარ...
- რას იზამ, ძმაო, ესაა ჩემი ოჯახი, დღე და ლამე თითქმის აქ ვარ. არც ერთ სულიერ არსებას ისეთი შეგუების უნარი არ გააჩნია, როგორც ადამიანს. სადღაც ამომიკითხავს, წყალში რომ ჩააგდო, ლაყუჩები გამოებმებაო.

გელა შამპანურს მისწვდა, ოსტატურად გაათავისუფლა საცობის ტყველისაგან, პატარა ტყაცანი და ბოლავარდნილი, აქაფებული სითხე შუშეუნით ჩაეშვა ჭიქებში.

- რამდენადაც ჩემს ტერიტორიაზე ვართ, მე ვიტყვი, – მოდი ჩვენი დაულაგებელი ქვეყნის შევსვათ. ასეთი მარგალიტი ღორების ხელში არ უნდა იყოს. დადგომოდეს საშველი.

გიო სვენებ-სვენებით, დაგემოვნებით სვამდა და ცხვირში შეყრილ ბუშტუკებს ცხვირსახოცით იმშრალებდა.

- და შენ ფიქრობ, მარტო მაგათი ბრალია? ხალხის ბრალიცაა...
 - თუ ძმა ხარ, ხალხმა რა ქნას? დაბეჩავებულია, ხალხი საშოვარზეა გასული ოჯახისა და საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს...
 - კიდევ კარგი, თუ ოჯახზეც ფიქრობს. ეჭ, წალეკა მათხოვ-რობამ და უზნეობამ ქვეყანა – როგორც ჩანს, ბოლო ზღვრამდე არ არის მისული, ჯერ დასაკარგი კიდევ ბევრი აქვთ. იმასაც, რომ დაკარგავენ, მერე იხუვლებს და წალეკავს ყოველივეს.
 - ეგლა უნდა ჩვენს გაუბედურებელ ქვეყანას?
 - ბოროტებას არ უნდა წამოუწვე. ბოროტებას ბრძოლით თუ მოუღებ ბოლოს, აღარ არის შეგონებების დრო.
 - ბრძოლები და რევოლუციები აპარტახებენ ქვეყანას, უამრავ მსხვერპლს ითხოვს. სხვა გზაც არის.
 - რა არის ეს გზა?
 - თეორიები მაგ გზის შესახებ ძველი ბერძნებიდან მოდის, ჰო, დემოკრატიის გზაზე ვლაპარაკობ.
 - დამისახალე ერთი ქვეყანა მაინც დემოკრატიის კლასიკური გაგებით. დემოკრატია შირმაა უამრავი უმსგავსობის დაკანონებისაკენ. იწყებენ დემოკრატიით და ამთავრებენ დიქტატურით,
 - უკეთესი ჯერ ვერ მოიგონეს.
 - გვეყოფა, აქ გავჩერდეთ, – ღიმილით წარმოთქვა გელამ,
 - თუ არა, სადმე გადავიჩეხებით.
 - ჩემო გელა, როგორც ჩანს, სამყარომ ამ ფორმით თავისი მისია ამოწურა. რაღაც სხვა უნდა გამოჩნდეს და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოჩნდება.
- გელამ ხელმეორედ შეავსო ჭიქები.
- რთული თემაა-მეტეი, სხვა უფრო მსუბუქზე გადავიდეთ,
 - შენი ამბავი მაინტერესებს, ოღონდ ინფექციებსა და ფობიებზე არ მესაუბრო.
 - ჩემდა სამწუხროდ, ვერ ავცდები მაგ თემას.
 - რა ხდება, – დასერიოზულდა გელა.
- გიომ დაწვრილებით მოუთხრო მამის შესახებ. გელა ყურა-დღებით უსმენდა; მერე თითქოს აუდიტორის წინაშე ლექციებს კითხულობსო, ხრინწიანი ხმით დაიწყო.

– გეთანხმები ინსულტი სერიოზული დავადებაა. განსაკუთრებით მოხუცებულთათვის წინასწარ ძნელი გამოსაცნობია, რა მოხდება. მარტო მედიკამენტებიც არაა პანაცეა. თვითონ ორგანიზმზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, – მერე როგორც ჩვეოდა, მხიარულად განაგრძო:

– ბიჭო, ექიმმა ვარაუდი გამოთქვა, ვიმეორებ, მხოლოდ ვარაუდი რომელიმე ინფექციაზე და შენც მეტი არ გინდოდა. ვარაუდი ვარუდია, კაცო, ინფექციურ დავადებას თავისი დამახასიათებელი ნიშნები უნდა ჰქონდეს, ასეა მიღებული მეცნიერულ თეორიებში და პრაქტიკიდანაც დასტურდება – სიცხე, ოფლიანობა, შეცივება, შეხურება, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, გამონაყარი და სხვა უამრავი დამახასიათებელი ნიშნები. ერთი მათგანი თუ მაინც ჰქონია?

– აბა, რა გითხრა? უთქმელი კაცი იყო, წუნუნი არ უყვარდა.
– არ გვაპნებია, ბიჭო, შენ...
– ხომ შეიძლება მაგ ნიშნები არ ჰქონდეს, უჩუმრად მიდიოდეს პროცესი?

გელა ფეხზე წამოდგა, სიგარეტს მისწვდა, ფარდა გადასწია, ფანჯარა გააღო, გააბოლა და ეზოში გაიხედა. მზის მაცოცხლებელი სხივები ოთახში შემოიჭრა, შემოირბინა ყოველი კუთხე-კუნჯული და ჭიქებში მოცეკვავე ბუშტუკებს გაელაცია. პატარა პაუზის შემდეგ გიოს მოუპრუნდა.

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად. ნუ გადაეკიდე ამ ინფექციებს, მოდი, მამაშენის დღეგრძელობის შევსვათ.

გელა თავის ადგილს დაუბრუნდა და ერთი მოსმით დააცარიელა სასმისი.

– ღმერთმა გისმინოს, – გიომ ოდნავ მოსვა და შოკოლადის ნატეხი მიაყოლა.

– დალიე, დალიე, ბორჯომივითაა, არ გავნებს, აი, თურმე რა მანუხებდა, – გელამ ფონენდოსკოპი მოიხსნა და კარადის უჯრაში ჩადო, – მომკლავს ეს ოხერი, – კვამლისაგან თვალებ-მოჭუტულმა სიგარეტის ნამწვავი საფერფლეში ენერგიულად ჩასრისა, თითქოს ჯავრი იყარაო, – ნამეტანი დალოცვილი

სითხეა, ღვთიური, დაილოცოს ამ კულტურის მომყვანი. ხანდახან ცოტა თუ არ დალიე, შეძლება გარეკოს კაცმა. ცოდვისაგან დამძიმებულ კაცობრიობას ახალ-ახალი სატკივარი არასოდეს ელევა. რა არ გადიტანა – შავი ჭირო, ესპანკაო და ახლა კიდევ შიდსი. ამაზედაც არ დაიწყო ახლა შემოწმება, – ღიმილით დააყოლა ბოლოს. – მოიცა, მოიცა, ახლა ვხვდები, შენი ფორიაქის მიზეზს, როგორ გამოგიგდო თავიდან ეგ ფობია, შენ ფიქრობ, მამაშენს სოფელში რა ინფექცია უნდა შეყროდა და მე ხომ არ ვარ ინფექციის გადამტანიო. ნუ იტანჯავ თავს. ათასჯერ მითქვამს, არაფერი გჭირს. რამე რომ გჭირდეს, შენთან დავჯდებოდი და ვიქეიფებდი? მომაწოდე შენი ჭიქა, – შეყოვნებულ გიოს აღარ დააცადა, ხელი სტაცა მის ჭიქას, ჩამოასხა და სულმოუთემელად გადაჰკრა, – ისე, რა ხარ, კაცო, რამე სერიოზული რომ შეგეყაროს, გამოკვლევის დამთავრებამდე წაიღებდი წერილს, – ხმააწეულმა წარმოთქვა გელამ.

შეწუხდა გიო.

– მომიტევე, ჩემო ძმაო. არ არის ადვილი იმაზე ფიქრი, ჩემდა უნებუბურად, მამის მკვლელად ხომ არ ვიქეციო.

– განაჩენი რომ გამოუტანე მამაშენს, იქნებ სამაგისო არაფერი სჭირს. მამაშენს ახლა სჭირდება კარგი ნევროპათოლოგი. ჩემზე იყოს ეგ საქმე, დაგადგები მთელი ბრიგადით თავზე. იქნებ როგორმე დაგაშოშინო. გაითვალისწინე და მამაშენის ცოლიკოურიც არ დაგავიწყდეს.

– როცა იტყვი, მზად ვარ.

– ვიცი, შენ მაინც არ დამშვიდები. წელან გეუბნებოდი, მეზობელ პალატაში მძიმე ავადმყოფი მიწევს-მეთქი. შვილი მაგას არ აკითხავს და ცოლი. ერთი კაცი მოდის ხოლმე, საკვებიც მაგას მოაქვს და ფულიც. უნდა გაგაცნო.

გელა მოულოდნელად დადუმდა, ჩაფიქრდა და იკითხა.

– შენ, ბიჭო, რაღაცებს წერდი. წერ კიდევ?

– სადღაა სამაგისო განწყობილება?

– უნდა წერო. წერა ყოველთვის საჭიროა. ნაწერი მატეანეა ეპოქის. შეძლება ახლა არავის უნდოდეს, მაგრამ მერე დასჭირდება. დამწერლობამ და მწერლობამ კაცობრიობა

ველურობის ეპოქიდან გამოიყვანა. რამხელა ვალშია კაცობრიობა შუმერების წინაშე, დაგვიტოვეს დამწერლობა, გაიჯახუნეს კარები და გაქრენ. იმასაც ამბობენ, ჩვენ გვენათესავებაო. მოუსმინე იმ კაცს, საინტერესოდ საუბრობს. იქნებ გამოგადგეს. უაღრესად განნავლული კაცია, გაგაცნობ. ნუ გეშინია, არაფერი გადაგედება, ასე ადვილად რომ გადადიოდეს, აქამდე მკვდარი ვიქნებოდი.

გიო ფეხზე წამოდგა.

— მოითმინე, მოითმინე, ახალგაზრდავ, ისევ დამარცვლით წარმოთქვა ზომიერად — და პირამდე ავსებული ჭიქა მიაწოდა.

* * *

ყველას თავის ოდისეა აქვს გასავლელი მოვლინებიდან აღსასრულამდე. ცხოვრება ბურთივით ხან სად გაგისვრის და ხან სად. ხან დაეხეთქები, ხან რბილად დაეშვები და მერე მიგორავ. გაჩერება შენზე არ არის დამოკიდებული და როდესაც გაჩერდები, ეს იქნება საბოლოო გაჩერება. ზოგი სულსწრაფობის გამო მალე ჩერდება. ბევრი რიგში დგას, ზოგი მოთმინებით და ზოგიც მოუთმენლად ჭირვეულად ელოდება ბოლო გაჩერებას. ბოლოს წინა გაჩერება სარეცელია. სხვა განზომილებაში გადასავლამდე თვალწინ ჩაგირბენს მთელი ამქვეყნიური ცხოვრება თავისი დაცემებით და ხანდახან აღდგომით. როცა ყველაფრის დამამხობელი მისი უდიდებულესობა სიკვდილი მშერი მგელივით დძრნწრის შენს გარშემო და ყნოსვის ორგანო გამძაფრებულად გრძნობს მის ამაზრზენ სუნს, კიდევ ერთხელ მოიხედავ უკან.

ჩვეულიბრივი დღე იყო, ან რას მიქვიან ჩვეულებრივი ან არაჩვეულებრივი დღე. დღე არის დრო-უამის შესაფერი. მბრძანებელი ბუნება ხან მზით დაგვხრუკავს, ხან თავსხმას მოგვივლენს, ხან დაგვსეტყვავს, ხანაც თეთრად შეგვმოსავს. შუალედებში კი გვანებივრებს ხოლმე. მისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ასე უნდა იყოს ჩვენთვისაც. — მიუყვებოდა გზას ახოვანი, სამოსელშემოფლეთილი წვერგაბანჯგლული კაცი და თავისთვის ბუტბუტებდა. გაბანჯგლული წვერი ოდნავადაც

ვერ აფერმქრთალებდა მის მაღალ, ლამაზ შუბლს, თაფლისფერ თვალებსა და ოდნავ კეხიან ცხვირს. მიდიოდა და ყურადღებით აკვირდებოდა ირგვლივ ყოველივეს. ხალხი ქუჩას შესაოდა. ზოგიერთი ცნობისმოყვარეობით შეავლებდა თვალს და ფეხს შეანებდა, მაგრამ როდესაც მის ნაღვლიან და, ამასთანავე, მეტაცრ მზერას დაიჭერდნენ, აჩქარდებოდნენ და გაეცლებოდნენ. კაცი მეტროს სადგურს მიუახლოვდა. ჯიბეები მოიქექა და გვირაბში ჩაეშვა. გაჩირალდნებული მეტროს სადგური ზუზუნებდა, გუგუნებდა და ყაყანებდა. მატარებელიც ჩამოდგა. შუა ვაგონში შევიდა და მგზავრები შეათვალიერა. მისი ყურადღება ახალგაზრდა გოგონამ მიიპყრო, რომელსაც იმდენად მოკლე კაბა ეცვა და ფეხი ფეხზე ისე გადაედო, საცავალი, რომ სცმოდა, აუცილებლად გამოუჩნდებოდა. გამჭვირვალე დეკოლტიან სამოსს სააშკაროზე გამოემზიურებინა მაცდუნებელი სითეთრე, ყოველი ქალის სიამაყე, რომელთა ღრმულში უზარმაზარ ჯვარს დაევანა.

– რას გავხარ, შვილო, რას დამსგავსებიხარ, რა ჩაგიცვია, თუ ამას ჩაცმა ჰქვია. მშობელი არ გყავს, ძმა ან ახლობელი? შეხედე, როგორი მშიერი თვალებით გიყურებენ ბიჭები. ამ ხალხის დასალუპავად ხარ გამოსული შენ. ვნებისა და სიძვის ქარბორბალა დააყენე. შენ საცდური ხარ და ვაი, ამ ქვეყანას საცდურთაგან, ვინაიდან საცდური გარდაუვალია, მაგრამ ვაი, იმ კაცს, ვისგანაც მოდის საცდურიო. გულზე უზარმაზარი ჯვარი გკიდია. ერთხელ თუ მაინც შესულხარ ტაძარში და თუ შესულხარ, სინმინდის მცირე ნაწილი მაინც არ გამოგყვა?..

ერთხანს გასუსული ვაგონი აყაყანდა. მგზავრებს ერთ გაჩხიკული, თმაგადალესილი ყმანვილი გამოეყო.

– რა შენი საქმეა, შე წვირიანო. შენი თავისთვის ვერ მიგიხედავს. რა შენი საქმეა, ვინ რას ჩაიცვამს?! ჩასცხეთ ერთი მაგას! – და საცემრად გაინია. მისნაირი სხვა ახალგაზრდებიც წამოემველნენ და კაცს ცემა დაუწყეს. მერე ფეხქვეშ გაიგდეს და წიხლები ურტყეს. საკვირველი ის იყო, რომ ხელიც კი არ გაუნდრევია თავის დასცავად.

აყაყანებულ ბრბოს ახოვანი ჭარმაგი ასაკის მამაკაცი გამოეყო და მოჩხუბრების დაშოშმინებას შეეცადა.

– რას ერჩით მაგ კაცს? ყვლაფერი მართალი თქვა. მთლად დაკარგეს ნამუსი. თქვენ კიდევ ეგ ვაუკაცობა სხვა ადგილას რომ გამოგემულავებინათ, უკეთესი იქნებოდა, რომელიც ასე ძალიან სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანს, მაგრამ მხდალები ხართ, მხდალები! – გამოესარჩლა საშუალო ასაკის ჭალარათმიანი, ლამაზი პირისახის ქალბატონი დასისხლიანებულ მამაკაცს და სისხლის მოწმენდა დაუწყო.

დედაქალაქის ქუჩებში ბევრი შეამჩნევდა წვერგაბანჯგლულ, დაკონკილსამოსიან კაცს, რომელიც, თუკი სადმე შეკრებილ ადამიანთა ჯგუფს შეამჩნევდა, ნამსვე იქ გაჩნდებოდა და ებმებოდა მწვავე კამათში. დაურიდებლად ამხელდა ყველას, ვინც არ მოეწონებოდა. კამათობდა ზნეობაზე, მორალზე, ქვეყნის მომავალზე, სარწმუნოებასა და საქართველოს ისტორიაზე. ზოგი ცნობისმოყვარეობით უსმენდა. ზოგი დასცინოდა. ბევრი კიდეც სცემდა ხოლმე – შეხედე, შეხედე, ამის გადარჩენილ საქართველოს რა ვუთხარიო. ბიძავ, ტრიბუნა გაკლია, ტრიბუნა. ერთი სულ ტრიბუნით დარბის, მიუჩირდი და იქნებ ხანდახან შენც დაგითმოს ტრიბუნაო. დრო მიდიოდა, შეეჩივინენ ქალაქელები ამ უცნაურ კაცს და აღარ აქცევდნენ ყურადღებას. ხუმრობდნენ ხოლმე, ზოგიერთ ენაბლუ პარლამენტარზე მეტად გამართულად საუბრობს და უჭკუოდ არაფერს ლაპარაკობსო, თანაც მართალს ამბობს ყველაფერსო. წვეროსანი კი დაიოდა და თითქოს რაღაც ახალი შტრიხი შემატა ქალაქს. დრო მიდიოდა, ხელისუფლებას ხელისუფლება ცვლიდა, მაგრამ ხალხისთვის არაფერი იცვლებოდა. მორიგი არჩევნები ახლოვდებოდა და იყო ერთი მიტინგობანა. ერთ დღეს ქალაქის მთავარ მოედანზე მოხვდა. ცვლილებების მომლოდინე ათასობით მომიტინგე შეკრებილიყო. ზღვა ხალხს მოეყარა თავი. იყო გუგუნი, შიგა-შიგ ტაშის ცემა. წვეროსანი ხალხში გაძვრა-გამოძვრა. ბევრმა იცნო და სიცილიც დააყარა – მიდი, მიდი, ადი ტრიბუნაზე, ესენი ყველანი იტყუებიან, შენ მაინც თქვი მართალიო. წვერგაბანჯგლული ყველასგან მოულოდნელად ტრიბუნასთან მიიჭრა. გამომსვლები შეფუცხუნდნენ. ატყდა ჩოჩქოლი, სტაცეს ხელი,

ტრიბუნიდან გათრევა მოუნდომეს. მან კი ხელები მძლავრად დაიქნია და მოძალადეები ჩამოიშორა, მიიჭრა ტრიბუნასთან და ხალხს მიმართა:

– თუ დემოკრატიისთვის იბრძით, მეც მათქმევინეთ სიტყვა!..

ერთწამობას გაყუჩულმა ხალხმა ქვემოდან ასძახა ტრიბუნაზე მყოფებს:

– თქვას, თქვას!

ტრიბუნასთან მდგომა, მომცრო ტანის, საშუალო ასაკის გამხდარმა მამაკაცმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა უცნაური კაცი და მიკროფონთან ადგილი დაუთმო. მიკროფონის გამართულობა წვეროსასანმა თითის მიკაუნებით შეამოწმა, რასაც ხალხის სიცილი და ტაში მოჰყვა. მან ჩახველა და დაიწყო:

– მიუხედავად შინაური თუ გარეშე მტრების დიდი წადილისა, მიძინებული ქართველობა ნელ-ნელა იღვიძებს, თქვენი ასე მრავლად აქ ყოფნა ამის დამადასტურებელია, – გამომსვლელი ცოტა ხანს შეყოვნდა, ხალხს თვალი გაადავლო. ზღვა ხალხის მზერა მისკენ იყო მიპყრობილი, რამაც ცოტა დააფრთხო და თითქოს დააბნია კიდეც, მაგრამ მალევე თავი ხელში აიყვანა და ენერგიამოზღვავებულმა რიხიანად განაგრძო, – იღვიძებს-მეთქი, იშმუშნება, იზმორება და ფეხზე წამოდგომას ცდილობს. მდგომარეობით გაბატონებულთ კი ეს აშინებთ და ძალის-ხმევას არ იშურებენ, ყოველნაირ მზაკვრობაზე მიდიან, რათა შეშმუშნულები ისევ საღათას ძილში შეაპრუნონ. მიძინებული საზოგადოების მართვას კი რა უნდა? ქვეყნის თავი კი, არა მარტო ვირტუალური მეფეა, არამედ იქცევა კიდეც მეფესავით, იქმს რასაც ინებებს. მიძინებული კი არა, ფეხზე მდგომი, შიშნაკრავი ხალხის წამოენავლება სასცილოდ არ ყოფნის. შედეგი – გაჩანაგება და გავერანება ქვეყნის. სხვა გზა?! გზა ყოველთვის არსებობს, ოღონდ სწორი შერჩევა უნდა. უფრო სწორად, სწორი შემრჩევი. ვინ უნდა იყოს ის? როგორი უნდა იყოს ის? ღვთივმოსილი, პატიოსანი, სინდის-ნამუსიანი, სიტყვის პატრონი, სამშობლოზე შეყვარებული, თავგანწირული, უანგარო, უშიმარი, ხალხის მოყვარული – დევიზით „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. გაჰყება კი ხალხი? – ეს

დაშინებული, დაბეჩავებული, დაბნეული, თავის თავში შეკუჭული, ანგარებიანი, მცირედითაც კმაყოფილი, ღალატით დანავსული, ცოტა გამონაკლისის გარდა? რა დააძლევინებთ ყოვლისმომცველ შიშს? – ორატორმა მცირედი პაუზა გაკეთა და სახეაწითლებულმა განაგრძო, – მაგალითი, ჩემი მეგობრებო, თავგანწირვის მაგალითი, მსხვერპლად შეწირვის მაგალითი. სხვანაირად ბრძოლა წაგებული იქნება, ძებნაც და შორს წასვლაც არ გვჭირდება, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულში. წარსულზე ვდგავართ, წარსულით ვსულდგმულობთ, წარსულით ვარსებობთ, წარსულით გვიცნობენ, წარსულში ვიზრდებოდით ყოველმხრივ. აწყმოში კი ვმცირდებით. ზღვრამდე ვართ მისული. წინ გაურკვევლობის ბურუსია. მაშ, რა ვქნათ წარსულისაკენ ნათელი მომავლისათვის?!

დაბრკოლებები იქნება უთვალავი, – თვითმკვლელობაა დიდი საქმის ჩენები დაწყებაო, ეს უნდა იცოდეს ხელმძღვანელმა. გვყავს კი ასეთი კაცი? საქართველოს ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც კრიტიკულ ზღვართან მისულ ქართველებს ღმერთი გამოუგზავნიდა ხოლმე რჩეულს. ამ მდგომარეობაში ვართ ახლა, ღვთის წყალობით გამოჩნდა კაცი და თუ ამ შანსს არ გამოვიყენებთ, დავიღუპებით. გამოჩნდა კაცი, რომელმაც სასწორზე დადო ყველაფერი – კეთილდღეობა, ჯანმრთლობა, ოჯახი, სიცოცხლეც კი, რომელმაც დამოუკიდებლად გაიკვლია გზა მაღალი ბიზნესისკენ და მაღალი საზოგადოებისაკენ. კაცი, რომელსაც ყოველთვის ახსოვდა დიდი მწერლის სიტყვები: „შენ ჰეი, პატარა მდინარის პირას დაბადებულო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარის პირას დაბადებულთა“. კაცი, რომელმაც თავისთვისა და ბევრი სხვებისათვის შექმნა მიწიერი სამოთხე, კაცი, რომელმაც ღირსების შეულახავად, უმწიკვლოდ ამ გზის გავლას მოანდომა მეოთხედ საუკუნეზე მეტი და გზა იყო ხნარციანი, ეკალ-ბარდიანი. კაცი, რომელსაც რკინის ნებისყოფა და უსაზღვრო მოთმინება აქვს. დასახული მიზნისაკენ დაუოკებელი ლტოლვა და გამარჯვების მიღწევა – აი, ასეთი ყოველმხრივ შემკული კაცი ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მავანი იტყვის, რისთვის

აიტკივა აუტკივარი თავი? მხოლოდ ერთვისთვის – სამშობლოს გადარჩენისათვის, მათვის, ვისთვისაც მამული გაცვეთილი სიტყვა არ არის, დაბეჩავებულ-დამარცხებული, დაგლახაკებული, დაშინებული, ანგარებიანი, მდგომარეობას შეგუებული, იმედდაკარგული საზოგადოებისათვის. და ვისთან უწევს ბრძოლა? – უმადურ, უზნეო, კოსმოპოლიტურ მანქანასთან. არცთუ ისე შორეულ ნარსულში ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ სახელმწიფო არის ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ბატონობის იარაღი. დღეს გვაქვს კი სახელმწიფო? და თუ ეს სახელმწიფოა, ის არის კრიმინალური გზით ეკონომიკურად გაბატონებული პარტიის პოლიტიკური ბატონობის იარაღი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ ბრძოლა იქნება უსასტიკესი, დაუნდობელი. გამოყენებული იქნება ყოველნაირი მზაკვრული ხერხი და რა გევალება შენ? ცოტათი მშიშარავ, ცოტათი მცონარევ, ყველაფერს შეგუებულო, შენი უმოქმედობით შენი ქვეყნის მესაფლავევ? შენ რას კარგავ? შენ ხომ დასაკარგი არაფერი დაგრჩა. კაცმა, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, ქვეყნის კეთილდღეობისათვის სამსხვერპლოზე ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს და მთელ ქონებას დებს, შენ, მავანო, მათხოვრისათვის ოცი თეთრის მიცემა რომ გენანება, ერთ რამეს გთხოვს – მიდი თავის დროზე საარჩევნო უბანზე და მიეცი ხმა მომავალს, რომ შენც გადარჩე და შენი შთამომავლობაც ტრადიციული ღირებულებით.

ქვეყანა იქცევა, ნადგურდება ეკონომიკურად და ზნეობრივ-მორალურად. თუ არ გინდა, შენი ქალიშვილი მექავების რიგში დადგეს და მიზნად ელიტარული ბოზობა გაიხადოს, თუ გინდა, შენმა ვაჟიშვილმა ტრადიციული ორიენტაცია შეინარჩუნოს, ან უბრალოდ ქვეყნიდან არ გაიქცეს. ასიათასობით არის გაქცეული და ნაკლებად სავარაუდოა, სრულად დაბრუნდნენ. – თუ არ გინდა, კიდეებშემოფლეთილი და ტერიტორიებდაკარგული დალეული ქვეყანა, რომელსაც მეზობლები ფარულად თუ აშკარად კიდევ უფრო ამცირებენ და ხმის ამომღები არავინაა, თუ არ გინდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ყოველ-ჯამს უცქერდე, უსმენდე და კითხულობდე, ეროვნული მენტალი-

ტეტის დეგრადაციის, უზნეობის, უხამსობის, უსირცხვილობის ზეობას, ტელეეთრიდან ფეხებაშვერილ ქალთა კნავილს და კრუტუნს, რომლებიც საზოგადოებას გარყვნილების გაკვეთილებს უტარებენ, თუ არ გინდა, უცხოენოვანი ტელეგადაცემებით მშობლიური დაგავიწყონ და ხიზნად გაქციონ შენს ქვეყანაში, თუ არ გინდა, შენი ქვეყანა სხვა ქვეყნად გადაიქცეს და ქართველების სახსენებელი მოისპოს, დაუდექი გვერდით რიგით ჯარისკაცად, თუ ღმერთმა მეტის შნო არ მოგცა! და თქვენ კიდევ, რომლებიც მხოლოდ აკრიტიკებთ და ფასეულს არაფერს ქმნით, გაიხედეთ უკან, თქვენი წარსულისაკენ, თუ გვერდზე არ დაუდგებით, ხელს მაინც ნუ შეუშლით დემაგოგით. პოლიტიკოსი ყველაფერს სააშკაროზე ვერ გამოიტანს. არსებობს მიზნის მიღწევის ტაქტიკა და სტრატეგია, ყველაფრის თქმა არ შეძლება. ჯერ მიზანია მისაღწევი, მერე კი საქმე იტყვის თავისას. ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

ბევრის მომსწრე მომიტინგები გაოცებული და ცნობის-მოყვარეობით უსმენდნენ უცნაურ ორატორს. ასეთი რამ, პირველად ხდებოდა ამ ქალაქის ისტორიაში. ორატორმა სულ-მოუთქმელად ერთი ამოსუნთქვით ჩაათავა სათქმელი და როგორც მოულოდნელად გამოჩნდა, ასევე გაქრა. ხალხი საკმოდ დიდხანს უკრავდა ტაშს.

— აი, სეირი ძმაო, არ ჩაუტარა გაკვეთილი გამომსვლელებს, არ დაანთო ცეცხლი? მიდიან ტრიბუნასთან და სათქმელს თავს ვერ აბავენ, — ამბობდა ერთი.

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ, სიტყვის თქმაში მაგრები ვართ, საქმის გამკეთებელი მაჩვენე, — უთხრა მეორემ.

— იქნებ ამან გააკეთოს, ვისზედაც ამდენი სიტყვები დახარჯა.

— რა ვიცი, რა გითხრა, ის კი ვიცი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

ის გამხდარი მამაკაცი, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ საშუალება მისცა წვეროსანს სიტყვით გამოსულიყო, ტრიბუნასთან მდგომ გამომსვლელებს გამოეყო და დაცვას მიმართა:

— სასწრაფოდ მომიძებნეთ ის კაცი!

* * *

ადამიანი თავისი ცხოვრების რომელიღაც ეტაპებზე ერთხელ მაინც უსვამს თავის თავს კითხვას: ვინ ვარ მე, რა მინდა მე, სად არის ჩემი ადგილი? ცდილობს შეიცნოს თავის თავი. რას წარმოადგენს სამყარო, რომელშიც ცხოვრობს. საიდან გაჩნდა? ფილოსოფიამდე მიდიხარ. ფილოსოფია ხომ მეცნიერებაა ცოდნის, შემეცნების შესახებ. ფილოსოფია ხომ შორეულ წარსულში ყველა მეცნიერებას მოიცავდა? და ყველა მეცნიერების მთავარი ამოცანა ჭეშმარიტების დადგენაა. როგორ უნდა დაადგინო ჭეშმარიტება? ჭეშმარიტება არ შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. ჭეშმარიტების დადგენას ზოგი პრაქტიკით, ზოგი თეორიით ცდილობს. ამ საკითხის გადაჭრას ანტიკური ფილოსოფოსებიდან მოყოლებული დღემდე ცდილობენ. აპა, როგორია – პლატონი სოკრატეს მოსწავლე იყო და არისტოტელეს მასწავლებელი. არისტოტელე კი ალმზრდელი მსოფლიოს უდიდესი მხედარმთავრის ალექსანდრე მაკედონელისა. ეპოქის ამ პატარა მონაკვეთმა რამდენი მოაზროვნე ტიტანი შეჰყარა ერთად. თითქმის მთელი ცხოვრება ადამიანის ბუნებისა და სამყაროს შეცნობას შეალიეს. შეიჭვრიტა ამ უღრან ტყეში, მხოლოდ შეიჭვრიტა, შეეცადა, ჩაძიებულიყო მათ მოძღვრებებს. საყოველთაოდ ცნობილია, ორი მთავარი მიმართულება ფილოსოფიაში – მატერიალიზმი და იდეალიზმი. მატერიალიზმი თვლის რომ სამყარო არავის შეუქმნია, არსებობდა მარად. იდეალიზმი სულის პირველობას ქადაგებს, რომლის მიხედვითაც, ყოველი არსი ღმერთმა შექმნა. ცნობიერება თუ ყოფიერება – დღემდე მიმდინარეობს ბრძოლა მათ შორის ჭეშმარიტების დასადგენად. მაინც რა არის ჭეშმარიტება? განმარტავენ, რომ ის არის სინამდვილის სწორი ასახვა. სწორად რომ ასახო, სწორად უნდა შეიმეცნო. იბადება კიდევ კითხვა: რა არის სინამდვილე, რა არის შემეცნება? ძნელია ამ ლაპირინთებში გზის გაკვალვა და ჭეშმარიტებამდე მისვლა. საზოგადოების უმეტესი ნაწილი მატერიალისტები არიან. მხოლოდ იმისი სწამთ და სჯერად, რასაც ხედავენ, ეხებიან და შეიგრძნობენ. იდეალისტებისათვის მთავარია სული, ღმერთი, უხილავის რწმენა უნდა შეგეძლოს.

ადამიანი მოუსვენარი არსებაა სულ ძიებაშია, ჩხრეკს. ადრეული წარმართი ფილოსოფოსებიც კი აღიარებდნენ სულს. იგი განუყოფელია სხეულისაგან და მასთან ერთად კვდება. მოგვიანებით მივიდნენ სულისა და სხეულის განსხვავებამდე. სადღაც ვკითხულობთ, რომ სოკრატემ სულს არამატერიალური უწოდა, პლატონმა კი უფრო განსაკუთრებულ სუბსტანციად აღიარა. ქრისტიანული ფილოსოფიის მიხედვით, მიუხედავად წარმართ ფილოსოფოსთა დიდი ღვაწლისა, მათი ფილოსოფია მეცნიერებისა და მაგის მიჯნაზე იდგნენო. სადაც მაგიაა, იქ ჭეშმარიტების ადგილი არ არის. ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია, რომ იყო ასეთი ფილოსოფოსი ემპედოკლე, რომელიც მოგვიც იყო, ექიმიც, ასტრონომიც, ასტროლოგიც, მეცნიერიც და ცრუმორნმუნეც. ის ამბობდა, რომ შეეძლო ყველა სნეულის განკურნება, ბუნებრივი სტიქიების დაცხრობა, თავი ლამის ღმერთად მიაჩნდა. თავისი ღვთაებრიობის დასამტკიცებლად გაღვიძებულ ვულკან ეტნაშიც კი ჩახტა, მოგეხსენებათ, რა დაემართებოდა. აბსტრაქტულად სულის, ღმერთის, აღიარება ბევრს არაფერს ნიშნავს. რწმენა უნდა გქონდეს ძლიერი და გზაც გამოჩნდება. ყველა ამ საკითხებმა მისმა ბუნდოვანებამ და სხვა სულიერმა თუ ხორციელმა შეჭირვებამ ეკლესიისკენ გაახედა. ამბობენ, რომ საკუთარი თავისა და სამყაროს შესაცნობი ყველაზე საუკეთესო გზა ეკლესიური გზაა... ოღონდ კარგი მეგზური და გზის გამკვალავია საჭირო.

ეჭვნარევი, სულით და გონებით დაადგა ამ გზას... შიშნარევი კრძალულებით ათვალიერებდა ფრესკებს, ხატებს, სხვა სამყარო იყო მისთვის, უცხო და იდუმალებით მოცული. არაფერი გაეგებოდა ღვთისმსახურების წესებისა. ყველა კაბით შემოსილი მამაკაცი მღვდელი ეგონა. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უწვერულმა, საამო სახის ღვთიმსახურმა ჩაუარა გვერდით, ლანგარზე დაწყობილი უამრავი წარწერიანი ქაღალდები მიჰქონდა. შეაჩერა, მღვდელთან მინდა გასაუბრებაო. სანთლების გამყიდველ შავოსან ქალთან მდგომ კუნაპეტივით შავწვეროსან ღვთისმსახურზე მიუთითა, იმასთან მიდიო. მივიდა კრძალვით და რიდით მოუბოდიშა, არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, თქვენთან

გასაუბრება მსურსო. მან კი უდროობა მოიმიზება, იქნებ სხვა დროისთვის გადავდოთო. ენყინა, მაგრამ არ შეიმჩნია, უკან სვლით გაშორდა – ნეტავ იცოდეს, რა ძალისხმევა დამჭირდა აქ მოსასვლელადო. მერე ქალაქის სხვა ეკლესიებიც შემოიარა, შევიდოდა, სხვების მიბაძვით სანთლებს აანთებდა და თუ დასაჯდომს იპოვიდა, ჩამოჯდებოდა. საათობით შეეძლო ჯდომა. უცნაური სურნელით შეზავებული სივრცე თავბრუს ახვევდა, გაირინდებოდა ხოლმე და იკარგებოდა... ძველებური ყოფა ფერმედალდებოდა, ღვთის სახლი და შეუცნობლის შეცნობა ანდამატივით იზიდავდა.

ახლობლის შვილის ქორწინებამ საჯვარო ბიბლიოთეკის უკან მდებარე ქორწინების სახლთან მიიყვანა. შემოდგომის მზიანი დღე იყო, ცარგვალს ადევნებული მკრთალი ღრუბლები ხელს ვერ უშლიდა მზის სხივების ცხოველმყოფელ ძალას. ხანდახან მსუბუქი ნიავი მიენანვებოდა გარემოს, ნაადრევად ჩამოცვენილ ფოთლებს ააშრიალებდა და მიფანტ-მოფანტავდა. ქორწინების სახლის წინ აგურით ნაშენი მომცრო ზომის ეკლესია აღმართულიყო. ყველა მხრიდან უსახური, დაზიანებული შენობებით შემოსარტყყლულს ასპარეზი მხოლოდ ცისკენ დარჩენიდა. გარინდებული, ასაფრენად გამზადებულ კოსმოსურ ხომალდს ჰეგავდა. თითქოს უხილავის ბრძანებას ელოდებაო ზეცაში ასაჭრელად.

ქორწინების სახლის წინ ნელ-ნელა გროვდებოდნენ სტუმრები. ჭრელაჭრულა სამოსით, ზურგზე სურჯინივით გადაკიდებული ჩვილბავშვებიანი ბოშა ქალები დაბარებულივით გამოჩნდნენ. გაერივნენ ხალხში, ხან ერთს მიადგებოდნენ, ხან მეორეს. „მომავლის ჭვრეტის უნარით დაჯილდოებულნი“, ცდილობდნენ როგორმე ფული დაეცინცლათ ვინმესთვის. ნეფე-დედოფალი აგვიანებდა. წვეროსანმა ეკლესიას მიაშურა. სანამ პარმალს გადაკვეთდა, შესასვლელის მარჯვნივ, კედელში ჩაშენებულმა, წარწერებიანმა ქვამ მიიქცია მისი ყურადღება. იგი იუწყებოდა: „ქართული სუროთმოძღვრების ძეგლი. პირველად 1790 წელს ააგეს მცირე სამლოცველო თბილისის მცხოვრების პეტრე აღნიაშვილის / „პეტრე ყარაულის“ / მიერ. მე-19 საუკუნის

პირველ ნახევარში მისმა შვილმა, მღვდელმა შიო აღნიაშვილმა, სამლოცველოს მაშენა სვეტებიანი კარიბჭე და სამრეკლო. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დეკანოზ არდაზიანის თაოსნობით ააგეს გუმბათიანი ეკლესია, რომლის კურთხევა მოხდა 1863 წლის დეკემბერში. შენობა XVII-VIII საუკუნეთა ქართული ტაძრების მიხედვითაა აგებული. ეს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთი უკანასკნელი ნიმუშთაგანია. აქ, ყოვლადწმინდა სამების ტაძარში, 1863 წლის 10 აპრილს ილია ჭავჭავაძემ – წმინდა ილია მართალმა ჯვარი დაიწერა ოლღა გურამიშვილზე”.

ბევრი აღარ უფიქრია და აღარც ტაძრები უძებნია, გადაწყვიტა, ამ ტაძრის მრევლი გამხდარიყო. ილია, ილია, ყველა დიდი ქართული საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი, საქართველოს უგვირგვინო მეფე, ზვარაკად შენირული, ერის სულიერი მამა. უამრავი ცნობილი ტაძარი იყო ქალაქში, მან კი ახლად გახსნილ ტაძარში დაიწერა ჯვარი. ჩაუკვირდა. არ იქნებოდა ადვილი ილიას ნატერფალზე დგომა. ამ დღის მერე მოუხშირა ეკლესიაში სიარულს. მიიყუჟებოდა კუთხეში, ყველაფერს ცნობისმოყვარე თვალით აკვირდებოდა. შესცეკრდა ხატებს, ფრესკებზე გამოსახულ წმინდანებს და აინტერესებზდა, მის მიღმა რა იმალებოდა. უკვირდა, ეკლესიაში შესვლისას თავბრუ რატომ ეხვეოდა, მთელი სტომაქი ასტკივდებოდა ხოლმე. ერთი საათის შემდეგ ტკივილები უკვალოდ ქრებოდა. ვერ აეხსნა მიზეზი. როგორც იქნა, ერთი ღვთის მსახური გამოირჩია მრავალთაგან. საშუალო სიმაღლის ჭალარამოძალებული კაცი, უკანგადანეული გრძელი თმებით და ჭკვიანი შუბლით, რომელზედაც ორი პარალელური წვრილი ღარი ნაიარევივით აჩნდა და კიდევ საოცრად კეთილი ზღვისფერი თვალები. ამ დარბაისელ სიჭარმაგეში შესულ ღვთისმსახურს საოცარი ტემპრის ხმა ჰქონდა. მისი ქცევის უბრალოება და სიდარბაისლე კრძალვითა და რიდით განგანყობდა მის მიმართ. დამრიგებელი ჭირდებოდა მისთვის უცნობ სამყაროში და გადაწყვიტა, მასთან მისულიყო. შინდისფერ სტიქარში შემოსილ ყმაწვილს მიმართა, თუ შესაძლებელია, იმ მღვდელთან მინდა გასაუბრებაო. ვეტყვიო, დაპირდა ყმაწვილი; თუ მოახერხებს, წირვის შემდეგ მოახერხებს, იქ მიდი

ანალოგიასთანო, შემაღლებულ ადგილზე მიუთითა. დაუოკებელი სურვილი ჰქონდა გასაუბრების, თანაც შიშობდა, ვაითუ, ამანაც უარი მითხრასო.

წირვა დასრულდა. ტაძარი ხალხისაგან ნელ-ნელა იცლებოდა. მღვდელი ამბიონზე გამოვიდა და ანალოგიას მიუახლოვდა.

- თქვენ მელოდებით?
- დიახ, მე გელოდებით.
- მომიახლოვდი.

მიუახლოვდა.

- გავეცნოთ ერმანეთს, მე მამა ზაზა ვარ, ამ ტაძრის მღვდელმსახური.

მანაც თავისი სახელი უთხრა. თვალებში შეხედა. ჩაიძირებოდი კრიალა, უძირო, ზღვისფერი თვალების სიღრმეში.

- აბა, მიამბე, რა გაგჭირვებია, აქ ძირითადად სხვადასხვა სატყივარით შეჭირვებულები შემოდიან ხოლმე. დალხინებული იშვიათად, - დაღლილი ხმა ჰქონდა მამა ზაზას, - თამამად, თამამად, ეს ყველასგან გამორჩეული ადგილია, აქ ყველაფრის თქმა შეიძლება.

არ იცოდა, რით დაეწყო, დაიბნა.

- როგორ მოგმართოთ?
- ხომ გითხარი, მამა ზაზა ვარ. მამის თქმა გეჩოთირება? პირველად ხარ ეკლესიაში? მიეჩვევი, მიეჩვევი. მონათლული ხომ ხარ?

- დიახ, ბატონო, ჰო, მამაო, - დაირცხვინა, - არაფერი ვიცი ამ ინსტიტუტის წეს-ჩვეულებისა.

- ინსტიტუტის კი არა, საეკლესიო სწავლების. ეკლესია ღვთის სახლია, აქედან იწყება ღვთის გზაზე სიარული და ეს არის გზა, თუ სურვილი, მოთმინება და გამძლეობა გექნება, რომელიც აუცილებლად ჭეშმარიტებამდე მიგიყვანს - „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლეო“.

ეს კაცი ჩემს გულში ხომ არ ზის ნეტავო, გაიფიქრა.

მამა ზაზას თითქოს რაღაც გაახსენდაო:

- ერთი წუთი დამელოდეთ, ახლავე გამოვალ, - და კარს მიღმა გაუჩინარდა.

მალევე გამოვიდა, ხელში მომცრო წიგნი ეჭირა.

– მოყვასო, ეს ჩემგან საჩუქრად. ლოცვების წიგნია, დავი-წყოთ ლოცვებით და წირვაზე სიარულით. აქ ის ლოცვებია, რაც შენ გჭირდება, დაიწყე დილა-სალამოს ლოცვებით. იარე ეკლე-სიაში, მერე აღსარებას ჩავიბარებ, შემდგომში კიდეც ეზიარე-ბით. ზიარების გარეშე ცხონება შუძლებელია. არ იქნება ეს გზა ადვილი. ესაა რწმენის გზა, უხილავის რწმენის, რომელსაც ბევ-რი შრომა და ლვანლის გაცემა ჭირდება. ეს არ არის მშიშრების, და მცონარების გზა. წურაფრის ნუ შეგეშინდება, გეშინოდეს მხოლოდ ღვთისა. „მოვედით, შვილნო ჩემნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისაი გასწავოთ თქვენ“ და „სიბრძნის დასაწყისი არის შიში უფლისაი“. დღეს გვეყოფა, არ მინდა, რომ დაფრთხე. თუ იბეჯითებ, შეიძლება აქეთ მაჯობო, რომელიც მე აუცილებლად გამიხარდება, – დააყოლა ღიმილით.

იმ დღიდან მოყოლებული ყოველ შაბათ-კვირას ესწრებოდა წირვა-ლოცვას, ბევრი ახალი სიტვებით გაიმდიდრა ლექსიკა. არ ყოფილა ადვილი ლოცვის კითხვა. თითქოს არაფერი, სულ რამდენიმე ფურცელი, მაგრამ ვერაფრით სიტყვებს გონება ვერ მიაყოლა. გაუჭირდა, ზარავდა თავისი უსუსურობა. აღსარების ჩაბარებას კი აჭიანურებდა. არ იყო ადვილი თვალსა და ყურს მიღმა ჩადენილი უკეთურობების სააშკაროზე გამოტანა. მერე რა, რომ ის მღვდელია, კაცია ჩვეულებრივი, ადამიანია ისიც, რას იფიქრებს, ეს ვინ ყოფილაო! ცოდვების ჩამონათვალმა კი მთლად დაზაფრა. ბევრი ჭოჭმანის შემდეგ მამა ზაზასთან მივი-და, მიესალმა. მამა ზაზა ღიმილით შეხვდა:

– გაპედე ხომ, ბოლოს და ბოლოს? გელოდებოდი და არ გაჩქარებდი, ჩამობერტყე, ჩამობერტყე, ნუ გერიდება, საოცარ შვებას იგრძნობ, ახალმობილივით იქნები, იცოდე, მოუნანიებე-ლი ცოდვა – ესაა გზა ჯოჯოხეთისაკენ. ნუ გრცხვენია, რამეთუ არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს. ჩვენი უბე-დურება ისაა, რომ კაცის გვრცხვენია და არა ღმერთის.

– მამაო, პირდაპირ არ ვიცი, რით დავიწყო. ამ წიგნში ჩამო-ნათვალმა ცოდვებმა თავგზა ამიბნია. რა გითხრათ, აქ ჩამო-თვლილი თითქმის ყველა ცოდვა ჩამიდენია ერთის გარდა.

- რა არის ის ერთი?
- კაცი არ მომიკლავს, მამაო.
- კაცი არ მოგიკლავს?
- არ მომიკლავს, მამაო.
- მეუღლე გყავთ?
- დიახ, მამაო.

რატომძაც უადგილოდ მოეჩვენა მეუღლეზე შეკითხვა.

- შენს ცოლს აბორტი თუ გაუკეთებია? – შეჭმუხნილი შუბლის ორ ლარს მესამეც მიემატა.

- არა, მამაო, – უპასუხა დაბნეუღლად.

- აგაშენა ღმერთმა! – გაებადრა სახე მოძღვარს.

სხვა აღარაფერი უკითხავს, თავზე ოლარი გადააფარა და შენდობის ლოცვა წაუკითხა. მერე ჯვარსა და ბიბლიას ემთხვია და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მას შემდეგ კიდევ უფრო მოუხშირა ტაძარში სიარულს, განისხავლებოდა გამოცდილი მრევლისა და მოძღვრისაგან. წირვის შემდეგ დარჩებოდა და ხშირად ესაუბრებოდა ხოლმე მოძღვარს. ისიც დაუზიარებდა და მოთმინებით განსწავლიდა... რაღაც შეიცვალა მასში, აკვირვებდა ეს ცვლილებები.

- მამა ზაზა, ვერ ამიხსნია, რატომ ვხვდები ცუდად ტაძარში შემოსვლისას და მერე კი საოცარი ძალის მოზღვავებას ვგრძნობ.

- შენ, მოყვასო, თავისუფალ ცხოვრებას იყავი მიჩვეული, რაც გინდოდა, იმას აკეთებდი. მერე აქ მოხვედი. გგონია, შენით მოხვედი? ლვთის მოწყალებაა, მისი ნების გარეშე არაფერი ხდება არც ამ სამყაროში და არც იმ სამყაროში. ხომ გაგიგონია, სამყაროს ორი ფერმწერი ჰყავსო. ერთისგან სინათლე და ცხონება მოდის, მეორისგან – სიბნელე და გარდაუვალი სიკვდილი, ზეციდან გადმიყრილ ბოროტ ანგელოზებთან ერთად. ისინი უხილავი, ადამიანის სულებზე მონადრე ბოროტი არსებები არიან. იცოდე, გაუთავებელი ბრძოლა გექნება მათთან. უხილავთან ბრძოლა არაა ადვილი, დიდ ძალის ხმევას მოითხოვს, რწმენას მოითხოვს. გითხარი ადრე – რწმენას მთების გადაადგილება შეუძლია. აქამდე ბოროტ სულთან იყავი და არ ეთმობი, მისგან არის ეგ შენი ცუდად ყოფნა და გაბრუება...

და რომ ამბობ, წირვის ბოლოს კარგად ვხვდებიო, ამ დროს ღვთისგან მადლი გადმოდის შენზე. მადლი და ჭეშმარიტება ქრისტესგანაა. როგორც პატარა ბავშვს სჭირდება ხელის წაშველება დასაწყისში, ისე შენც ყრმასავით ხარ, ცხონების გზაზე შემდგარი და ის გვერდით გიდგას, ის აკეთებს შენს გასაკეთებელ საქმეს, სულ ასე არ იქნება, მერე დამოუკიდებლათ უნდა იარო. აი, მაშინ გამოჩნდება, რა შეგიძლია შენი ღვანლით, უნდა შეისისლხორცო სათონ საქმეები. შენი ნება ღვთის ნებას უნდა დაუმორჩილო, – ესაა საწინდარი წარმატებისა. ცხოვრების გზის გამკვალავი ბიბლიაა. ამაზე დიდი წიგნი კაცობრიობას არ შეუქმნია; ესაა ყველა კითხვაზე პასუხის გამცემი, იმიტომ, რომ ღვთისგანაა. უნდა ხშირად იკითხო სახარება, წმინდა წერილები და ასე განისწავლები. მაგრამ მარტო სწავლა არ შველის. იმ ნასწავლის პრაქტიკული გამოყენება უნდა შეგეძლოს; ნეტარ არიან, რომელი ისტერნ ღმრთის სიტყვას და იცავენ მას... ღვთის სათონ საქმეებით უნდა დაკავდე და წარმატება მოვა. გახსოვდეს ქრისტეს შეგონება – „უარყავ თავი თვისი, ალიღე ჯვარი თვისი, და შემომიდექი მე“. ჰო, მოკალი ძველი კაცი შენში – ბილწი, მრუში, მპარავი და ბევრი სხვა მიწიერი სიგლახით დაავადებული. შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით, მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით და „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. სიყვარულის ყველაზე კარგი განმარტება პავლე მოციქულს აქვს თავის ეპისტოლეებში. ამაზე სხვა დროს. და კიდევ ერთი, როგორც შენ გსურს მოგექცნენ კაცნი, შენც ასევე მოექცი მათ. ამას მაშინ შეძლებ, თუ მოერევი ამპარტავნობას, რომელიც თითქმის ყველა კაცშია. ამპარტავნობაა ყველა ცოდვის და სიგლახის მიზეზი. იცოდე, სულს არ არგებს გადამეტებული ზრუნვა მიწიერზე. ზომიერებაა საჭირო. „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლეს მისა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.“ თუ ღმრთისკენ იქნები, კეთილ ნაყოფს მოიმკი და თუ ღმრთისკენ არა ხარ, ესე იგი, ეშმაკისკენ ხარ, შუალედი არ არსებობს, „ვერვის ხელენიფების ორთა უფალთა მონება“. ეს მცირე ამონარიდებია სახარებიდან, რომელთა

შესისხლხორცების გარეშე გაჭირდება ცხონება. მაცხოვარი გვასწავლის, დიდი მოთმინებაა საჭირო ამ გზაზე, მაგრამ ვინც ბოლომდის დაითმენს, ის ცხონდებაო. ასეა, ჩემო მოყვასო.

ბოლო დროს ამჩნევდა, რომ მოძღვარი გამორჩეულ ყურა-დღებას აქცევდა. უკვირდა, ნუთუ ყველასთან ასეთი ყურადღე-ბიანიაო, ნეტავ ამდენ ხალხში, როგორ მამჩნევსო. მორიგი წირვის დამთავრების შემდეგ შეაჩერა.

— დამელოდე, უჩემოდ არ წახვიდე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მიუბრუნდა, სახელიმილიანმა შე-ანათა თავისი კეთილი თვალები, უხდებოდა ლიმილი, მეტნილად სახელიმილიანი იყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, როგორ გადაუვლიდა ხოლმე წალველი სათნო სახეზე.

— მოყვასო, ფსალმუნთ მკითხველთა ოცკაციანი ჯგუფი შევადგინე, ერთი მათგანი შენც ხარ. ყოველი თქენთაგანი საღამოს წაიკითხავს თითო კანონს და ჯამში ოცი კანონი წაიკი-თხება. მთელი კანონთა კრებული, ფსალმუნები მორნმუნის ფარი და მახვილია, დიდი ძალა აქვს. გაცდენა და გამოტოვება არ შეძლება. სინანულის კანონებია, სინანული მძლავრი იარა-ლია ბოროტან საპრძოლველად. მაცხოვარი ხომ ასე ამბობს — „მე ვარ ღმერთი მონანულთაო“. ბოროტი გაურბის მონანულებს.

ამდენი ხალხია, რაღა მე ამომირჩია, ახალმოქცეული ლოცვებსაც გაჭირვებით ვკითხულობ, გაიფიქრა.

— კარგი, მამაო, წავიკითხავ, — დაფიქრება რომ შეამჩნია, ბეჭებზე ხელი მოუთათუნა და უთხრა, სიზარმაცემ არ გძლიოს, მოყვასო.

მფარველობდა, მხარში ედგა მოძღვარი რწმენის რთულ გზაზე, სულის ცხონების გზაზე, მაგრამ ადამიანი ხომ ხორციცაა, მიწიერი არსება მიდრეკილია მიწიერისაკენ. ძნელი იყო ხელალებით მიწიერზე უარის თქმა, რომელიც უამრავ ხორციელ სიამოვნებასთანაა დაკავშირებული. არ იყო ადვილი თავისი თავის უარყოფა. საღამოს დაღლილ-დაქანცულს უჭირდა ლოცვებისა და კანონების კითხვა, მაგრამ მაინც ასრულებდა. მოძღვარი კი ყურადღებას არ აკლებდა. ერთხელაც სტიქაროსანს უთხრა, აიყვანე ეს კაცი სამრეკლოზე და ზარი დაარეკვინეო.

გაკვირვებული იყო, საინტერესოა, რა უნდა ჩემგან, რისთვის გამომირჩია, რისთვის მამზადებს და ამას მაშინ მიხვდა, როცა ყველაფერი უკვე დაგვიანებული იყო. დიდი დრო არ გასულა ამ ყველაფრის შემდეგ, როცა მოძღვარმა სტიქაროსნის პირით შეუთვალა, სახარების მკითხველთა წრეში უნდა ჩაეწერო. დაუფიქრებლად უთხრა უარი, ვერ შევძლებო და მერე ეს საქციელი მთელი ცხოვრება სანახებლად გაუხდა. არც ისე ადვილი ყოფილა ჭეშმარიტების გზაზე სიარული.

ჩვეულებრივად აგრძელებდა შაბათ-კვირას ტაძარში სიარულს. ისევ საუბრობდნენ. ისევ ასწავლიდა. უარის შემდეგ მოძღვარსა და მის სულიერ შვილს შორის რაღაც შეიცვალა. თითქოს რაღაც გაწყდა. მის ლამაზ ტემპრში ნაღველი იგრძნობოდა, ალბათ, ფიქრობდა, ნუთუ შევცდი? გაბედა ერთხელ და უგუნებობის მიზეზს შეეკითხა.

— მოყვასო, ჩვენ ღვთის მსახურებს ერთი პროფესიული დავადება გვაქვს ფეხების ტკივილი. საშინლად მაწუხებს, ჯერ ვერ მოვიცალე ჩემი თავისთვის, — უპასუხა მოძღვარმა.

რცხვენოდა თავისი საქციელი, ნუთუ დამიმალა ნამდვილი მიზეზი და სხვა რამეზე გადაიტანა საუბარიო. წუხდა, უარი როგორ ვუთხარიო, აკი მაფრთხილებდა, სიზარმაცემ არ გძლიოსო. იმ დღეს წმინდა გიორგის პარაკლისი ჩაატარა ისეთი გრძნებით, ისეთი ემოციებით, რომ ცრემლი ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა და შეჭალარებულ წვერ-ულვაშში ეკარგებოდა. მის შემხედვარეს ურუანტელი უვლიდა, თვითონაც ცრემლები წასკდა. პარაკლისის შემდეგ მოძღვარმა იქადაგა:

— თქვენი ვალია ყველგან და ყოველთვის დაიცვათ მართალი სიტყვა. ამხილოთ, ასწავლოთ და შეეცადოთ, სწორ გზაზე, ქრისტეს გზაზე დააყენოთ დაბნეული ჩვენი მოდგმა. ხალხში უნდა გაერიოთ, მათი სატკივარი იტვირთოთ. „ერთმანეთის ტვირთი იტვირთედ და ისე ალასრულეთ ქრისტეს რჯული“, გვმოძღვრავს პავლე მოციქული. ერთად დგომით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მარტო საკუთარ თავზე ზრუნვით ვერ ცხონდებით. წმინდანობის დონემდეც რომ ახვიდეთ, რა მსხვერპლის გაღებამაც არ უნდა მოგიწიოთ, ღვთის წყალო-

ბით, ამ ეტაპზე სიკვდილს არავინ ითხოვს თქვენგან და თუ მაგის დრო დაგიდგებათ, არც მაგის შეგეშინდეთ. ჩვენმა დიდმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა ანდერძად დაგვიძარა – ეძიებდით სიკვდილს ქრისტესთვისო. იქადაგეთ, ნუ შეგაშინებთ ეს სიტყვა. თქვენც შეგიძლიათ იქადაგოთ. რთული დროება მოდის და მზად უნდა იყოთ ყველაფრისათვის. ყველა სიძნელეს მხოლოდ სულის ნაყოფებით თუ სძლევთ, როგორიცაა – სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, მყუდროება, მოთმინება – ესეც პავლე მოციქულია. ბევრ თქვენთაგანს მოციქულის მსგავსი ტვირთის ზიდვამაც შეიძლება მოგიწიოთ.

წირვის დამთავრების შემდეგ სულიერ ძმას, მირიანს, მოუთხრო ყველაფერი მოძღვრის მის მიმართ ასეთ გადამეტებულ ზრუნვაზე. მირიანი დიდი ხნის მრევლი იყო ამ ტაძრისა და მამა ზაზას სულიერი შვილი.

– აბა, რა გითხრა ძმაო, სტიქაროსნების უმრავლესობა, მედავითნე და ეს ახალგაზრდა მღვდელი მაგის გამოზრდილია. ასე გმოარჩევს ხოლმე ზოგიერთებს, განსწავლის და საღვთისმსახურად ამზადებს. შენშიც დაინახა, ალბათ, რაღაც. იმიტომაც იჩენდა ასეთ მზრუნველობას. იქნებ მიხვიდე და გაესაუბროო, ურჩია მირიანმა.

კვირა დღე იყო, არც ძალიან ნათელი და არც უმზეო. ფეხით გაუდგა გზას. გაღვიძებული ქალაქი ძალას იკრებდა და ჩვეულებრივ რიტმში ჯდებოდა. უამრავი მანქანა მხრიოლავი მილებით. მოფუსფუსე ზღვა ხალხი. რკინა-ბეტონის ქალაქი მაგნიტივით იზიდავდა ხალხს, დაუნდობლად და შეუბრალებლად ნთქავდა ყოველივეს მიწიერსა და სულიერს. აქ მწვანეში ჩაფლული საავდმყოფო იყო. ის დაუტოვებიათ, მწვანე ნარგავების მაგივრად კი ახალი კორპუსებია. ცოტა ხანში მეზობელთან პირდაპირ ფანჯრიდან გადახვალ. გაქრება ქუჩები და ქალაქი უთვალავ-ტონიან ქვის მასად გადაიქცევა. ცივი და უგრძნობია ქალაქი. მტვერისა და უზომო მხრიოლავი აირების გამო ხეებს ჭლექის ფერი დასდებოდა. ფრინველებიც კი ერიდებოდნენ ქალაქს. მერცხლის მსგავსი ფრინველები შემოესია ამ

ბოლო დროს, მაგრამ ესენი არ იყვნენ კუდმაკრატელა მგოსნები, ყორნებივით შავები იყვნენ და მჩხავანები.

ტაძრის ეზოში უჩვეულო ფუსფუსი შენიშნა. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ და ჩუმად საუბრობდნენ. მიუახლოვდა მათ. გივის მიესალმა.

– რა ხდება გივი, ტაძარში რატომ არ ხართ?

თავჩალუნულმა კაცმა ამოხედა და გაბზარული ხმით უთხრა:

– მამა ზაზა გარდაიცვალა...

იმდენად მოულოდნელი იყო ეს ამბავი, ერთხანს ხმა ვერ ამოილო.

– რა მოუვიდა, კაცო, ავადმყოფობის არაფერი ემჩნეოდა?..

– თრომბი, ქმაო, თრომბი. სოფელში ყოფილა. ცუდად გამხდარა, ჩამოსვლის ღამესვე გარდაიცვალა მოულოდნელად. ასეა, კაცმა არ იცის, სიკვდილი ვის როდის ეწვევა... გაახსენდა წინა საუბრები მოძლვართან, ფეხები მტკივაო, სოფელი არ მიატოვოთო და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ გაახსენდება, უჭირდა წარსულზე ფიქრი.

მოძლვრის გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა. სულში გაჩენილი პატარა ბზარი ლრმავდებოდა, ლოცვას გულს ვერ უდებდა, აღარც გაბრუებები იყო და აღარც ძალის მოზღვავება. თითქოს კი არ იდგა ტაძარში, არამედ უსულო საგანივით იდო, არც არაფერი შეჰქონდა და არც არაფერი გამოჰქონდა. ვერ ეპატიებია თავისთვის მოძლვრის თხოვნის უგულებელყოფა. ის დღე იყო და ის დღე, მოუშვა წერი და ქუჩას შეეკედლა...

პალატაში ჩამოვარდნილ სიჩუმეს სწეულის გახშირებული სუნთქვა არღვევდა.

– დავიღალე მოყვასო, – მამა ზაზა მიმართავდა ხოლმე ასე, – მიყვარს ეს სიტყვა. მადლობელი ვარ, რომ მოთმინებით მისმენდით. საუბარი ახლა ჩემთვის შეუცვლელი სამკურნალო საშუალებაა. ცნობილ გამოთქმას: „ვაზროვნებ, ესე იგი, ვცოცხლობ“, ჩემ თავს ასე მივუსადაგებდი – ვსაუბრობ, ესე იგი, ცოცხალი ვარ.

სწეული წამოიწია, საწოლის საზურგეს მიეყრდნო, გალეული მკლავები გამხმარი შეშის ნაჭრებივით დაალაგა ზენარზე. ცოტა

ხანს მიყუჩდა, მერე თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, წამოიწყო:

– ფაფარაშლილი ზღვის ტალღასავით შეხეთქება ამაოების სალ კლდესთან და მერე რეტდასხმულის, ძლეულის, დარცხვენილის, უთვალავ ნაწილებად დამსხვრეულის, უკანვე ჩანთქმა წუთისოფლის ზღვარმოშვებულ ყოველდღიურობაში, მარტოსული, მარტოხელა, გრძნობებისა და ემოციებისაგან დაცლილ სამყაროში. დრო კი მიქრის, ტკბილ-მწარე, ვნება-კვნესიანი წუთისოფელი თავისას ითხოვს. დრო კი მიქრის, ფიქრის ტყვევ და ვნებების მონავ. ეჱ, რაც არის, არის. ვის უნახავს წუთისოფლით გამძლარი კაცი. მოყვასო, – კიდევ ერთხელ მიმართა სნეულმა გიოს, – თუ თქვენთვის საინტერესო იყო და თუ კიდევ ცოტახანს ვიცოცხელე და თქვენი სურვილიც იქნება, ჩემი ცხოვრების სხვა ეპიზოდებსაც მოგითხობთ, იმ ეპიზოდებს, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიმიყვანა. კვლავ შეხვედრის იმედით გემშვიდობები...

გიომ პალატა დატოვა. გელასთანაც ბევრი აღარ უსაუბრია, გამოემშვიდობა და შეფიქრიანებული ქუჩის მდინარებას შეერია.

მეგობარმა თავისი დანაპირები შეასრულა და ექიმთა ჯგუფთან ერთად გიოს შინ ეწვია. პორტატული დიაგნოსტიკური საკვლევი აპარატურაც კი გამოეყოლებინათ. გასინჯეს, გადაუდეს კარდიოგრამა, შინაგანი ორგანოები. ყველაფერი ასაკის შესატყვისი ჰქონდა. ტრადიციული სუფრის შემდეგ გელამ გიო განზე გაიხმო:

– შინაგან ორგანოებში პრობლემები არ გვაქვს. მამაშენს ახლა, როგორც მაშინ გითხარი, ნევროლოგის მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება, დრო და ლოდინი, ძმაო, ასაკსაც აქვს მნიშვნელობა, – მერე რაღაც თანაგრძნობიანი ხმით დაამატა, – ისე, კაცი ყველაფრისოთვის უნდა იყოს მზად.

პატარა პაუზის შემდეგ გელა სამედიცინო აპარატურისაკენ დაიხარა.

– ტყვიასავით არაა, კაცო! ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ის კაცი გარდაიცვალა, შენ რომ გესაუბრა მაშინ. არ ვიცი, როგორ იგრძნო სიკვდილის მოახლოება. როგორ შეატყობინა მის მეურვეს, მღვდელთან ერთად მოვიდა, აზიარეს, ბოლო წუთს

ფარდის გადაწევა ითხოვა, რიურაჟს შეანათა მიმქრალი თვალები, სადღაც-სადღაც მგალობლებმაც გადაუჭიკიკეს ერმანეთს, შაშვმაც არ დაახანა და ჭახჭახით ჩაიქროლა ფანჯარასთან ახლოს, გაელიმა და ასე ლიმილშეყინული მიიცვალა. იდუმალებით მოსილი პიროვნება იყო. ყველაფერი წინასწარ მოუგვარებია. სასაფლაო სადა და უბრალო, ზომიერად გამშეენებული მოყვითალო ქვით. ზედ მარტო ჯვარი იყო ამოტვიფრული, არც სახელი, არც გვარი და არც თარილი. უხმაუროდ წავიდა ამქვეყნიდან, გაქრა კაცი უკვალოდ...

ამბავმა გიო დაანალვლიანა. თითქოს ახლობელი დაეკარგოს. რაღაცნაირად დარცხვენილმა, აღლვებულმა წარმოთქვა:

– მთხოვა, რომ კიდევ მივსულიყავი, ვერ მოვახერხე, არ მეგონა, თუ ასე მალე წავიდოდა ამქვეყნიდან. რამე ხომ არ დაუტოვებია, წერილი ან ხელნაწერი?

– არაფერი არ მინახავს, თუკი რამე ჰქონდა, მეურვემ წაიღო, იმ კაცმა, რომ აკითხავდა ხოლმე.

– თუ ძმა ხარ, იქნებ მაგ კაცის ადგილსამყოფელი დაადგინო, აუცილებლად უნდა გავესაუბრო.

– ხომ გეუბნებოდი, საინტერესო კაცია-მეთქი, თუ რამე გავახერხე, აუცილებლად შეგატყობინებ. გავიქეცი ახლა, მე ქვევით მელოდებიან.

– სამწუხარო ამბავმა მადლობის თქმაც კი გადამავინყა.

– კაი ერთი, თუ კაცი ხარ. შემომირბინე ამ დღეებში.

ზღურბლზე გასვლისას დამშვიდობების ნიშნად ხელი მალლა ასწია, გაიღიმა და კიბეებზე დაეშვა.

* * *

მამის გარდაცვალებამ გიო სასაფლაოს ხშირი სტუმარი გახადა. პირველმა ელდამაც გადაიარა. მოხუცებულის დაუძლურებულმა სხეულმა ვეღარ შეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაეწია განმეორებითი ინსულტისათვის. კიდურებმოწყვეტილს არად მიაჩნდა ამგვარი სიცოცხლე. დანანებით იტყოდა ხოლმე, ამდენი ახალგაზრდა იღუპება და ჩემი სიცოცხლე რაის მაქნისიაო. ერთხელ ტელევიზორში მოისმინა, რომ ვიღაც გაჭირვებულ ახალგაზრდა

კაცს თირკმელი ესაჭიროებოდა, თუ გამოადგება, ჩემსას მივცემო. ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როცა ის აზროვნებს, მეტყველებს და მოქმედებს. მიუხედავად საერთო უძლურებისა, გონება, აზროვნება და მეხსიერება შესაშური ჰქონდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ითხოვა, ჩემი თანდასწრებით წაიკითხე ლოცვებიო. მერე გიომ მღვდელიც მოუყვანა, მამა გურამი. მის დანახვაზე ურნმუნოების ეპოქაში გაზრდილმა კაცმა ისეთი რამ თქვა, მრავლის მნახველი მძღვარიც კი გააოცა – ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავიო. მღვდელმა კი წარმოთქვა, დიდი ხანია, ასეთი რწმენა არ მინახავსო. მამა გურამმა საჯანმრთელო პარაკლისი გადაიხადა და აზიარა კიდეც. ღამით გარდიცვალა. გიოს დაღლილს ჩაეძინა და გული წყდებოდა, რომ ვერ შეესწრო მის გარდაცვალებას, უკვირდა სისხლმა რატომ არაფერი მიგრძნოო. იქნებ რაიმე ეთქვა ჩემთვისო. როგორც ჩანს, სიკვდილი მისთვისაც მოულოდნელი იყო. როგორც დედამ უამბო, მისი ბოლო სიტყვები იყო – თავი მაქვს გახეთქვაზე, წნევა ალბათ სამასი მექნებაო.

გიოს ბავშვობიდან ზარავდა სასაფლაო. შიშს გვრიდა საფლავის ქვებზე მიყინული გარდაცვლილთა მომღიმარი სახეები. ახლაც მიდიოდა საფლავებს შორის და ცდილობდა, არ შეეხდა მათთვის. მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა. გაგანია ზაფხული იყო. ყველა გარიდებოდა ამ სევდისმომგვრელ მდუმარე ადგილს. სიცხისაგან დაოსებული ორიოდე ფრთოსანი თუ ჩამოისვენებდა ხანდახან საფლავის ქვაზე. კიდევ რამდენიმე ადგილას ახლად გარდაცვლილის ჭირისუფლები საქმიანობდნენ სამუდამო სამყოფელის მოპირკეთებაზე. არსებები, რომლებზედაც არც ადგილის მდუმარება, არც აუტანელი ხვატი მოქმედებდა და ყველა სულდგმულზე უკეთესად გრძნობდნენ თავს, ჭრიჭინები იყვნენ, გაუთავებლად ჭრიჭინებდნენ.

სანამ მამის საფლავს მიუახლოვდებოდა, საფლავების მეორე რიგში ორი მამაკაცი და ერთი თალხით შემოსილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი შენიშნა. შავი გრანიტისაგან გამოთლილ მაგიდაზე დოქი, რამდენიმე ჭიქა და მისაყოლებელი იდო. მიიპატიუეს. უარის თქმა არ გამოდიოდა, ძველთა-ძველ

ტრადიციას პატივი სცა. შეუვსეს პატარა ჭიქა, სასმისი ასწია, რაღაცის თქმას აპირებდა, შეხედა ქვაზე გადახატულ ახალგაზრდა კაცს, ვეღარც სათქმელს მოაბა თავი და ხელიც გაუშეშდა. პორტრეტიდან ულამაზესი ოციოდე წლის ჭაბუკი იმზირებოდა. ვერ გაუძლო მარადისობაში გადასული ლანდის ცქერას.

ავარიაში დამეღუპა, არც ცოლი და არც შვილი, თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა შედარებით ახალგაზრდამ. სად დამეკარგე, ჩემო ცხოვრებაუნახავო შვილოო, – შესტირა შავოსანმა ქალმა. ჭალარათმიანმა მამაკაცმა ქალს მხრებზე ხელი მოხვია.

– ასეა, ჩემო მეგობარო, სულ ეჩქარებათ, სად ეჩქარებათ, დროს შენ გაუსწრებ? აი, შედეგი სიჩქარისა. ეს ახლად გახსნილი სასაფლაოა, ნახე ერთი, რამდენი ახალგაზრდაა დაკრძალული. ზოგი ავტოკატასტროფით, ზოგი კიდევ წამლით. ღმერთო, გამაგებინე, რა ეშველება ამას. გიომ მორიდებითა და კრძალვით გაამხნევა, როგორც შეეძლო და გამობრუნდა. რით გინდა გაამხნევნო შვილმკვდარი მშობლები. ძნელი საპოვნელია ასეთი მაღლმოსილი სიტყვა.

კიდევ ცოტა ხანს მიდიოდა საფლავებს შორის. ის იყო უკვე უნდა გადასულიყო პირველ მწკრივში მამის საფლავისკენ, რომ მისი ყურადღება მომდევნო საფლავზე აღმართულმა უცნაურმა სტელამ მიიპყრო. ისევ მეორე მწკრივს გაუყვა. თუ საფლავების უმეტესობა შავი მარმარილოთი ან გრანიტით იყო მოპირკეთებული ეს საფლავი მოყვითალო ფიქალით გაეწყოთ. განსასვენებელის დასავლეთ მხარეს იმავე ფერის დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის ქვა იყო აღმართული. გიო ახლოს მივიდა საფლავთან. უბრალო, კარგად მოვლილი საფლავი იყო, წვრილად გაცრილი შავი მიწით. უყვავილო და ჯერ კიდევ უბალახო, მაგრამ სხვებისაგან მაინც გამორჩეული. სტელაზე ამოტვიფრული წმინდა ნინოს ჯვრის გარდა საფლავზე სხვა არაფერი არ იყო. არც მიცვალებულის პორტრეტი, არც გვარი, არც სახელი და არც თარიღი. გიო საფლავთან ცოტა ხანს შეყვნდა, ჩაფიქრებულს შორს შავნაბადას მთებისთვის მიეპყრო მზერა, რომლის თავზე მქრქალ გაცრეცილ ღრუბელს დაევანა.

გაუკვირდა, პაპანაქებაში ცაზე ღრუბლის არსებობა. რაღაც ძალამ საფლავს მიაჯაჭვა. გონებაში გელა ამოტივტივდა. მისი ნაამბობი უცნობის უცნაური საფლავის შესახებ. ნუთუ ეს არის! როგორლაც უნდა მოვახერხო ჭირისუფალთან გასაუბრებაო, მოსვენება დაკარგა. თითქმის ყოველდღე სიარულმა მიცვალებულთა საუფლოში შედეგი არ გამოიღო. ვერასგზით შეძლო, შეხვედროდა ვინმეს. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ბარათი მისწერა უცნობ ჭირისუფალს და ზედ თავისი ტელეფონის ნომერი მიუთითა. იხვეწებოდა, იქნებ შემეხმიანოთო. პატარა კონვერტში ჩადო და ჯვრის დაბლა, ლამაზად მოხატული დოქის ქვეშ ამოდო...

თავს დატეხილმა მოულოდნელმა ამბავმა გიო საგონებელში ჩააგდო და უცნობზე საფიქრალად კარგა ხანს აღარ ეცალა. დირექტორმა დაიბარა რამდენიმე დღის ნინ, ჩვეულებრივად შეხვდა, როგორც ყოველთვის. ცოტა წაისაუბრეს აქეთურიქითურზე. შენუხებული ჩანდა. გიო, ჩვენი ფირმა არ არის სახარბიელო მდგომარეობაში, რაღაც გამექცა ხელიდან, ამდენიმა მივლინებებმა ყურადღება მომიდუნეს. მდგომარეობა სავალალოა. გაგვიჭირდება ამ მდგომარეობიდან გამოძრომა. პატარა ფული რომ დავზოგოთ, გადავწყვიტე, თანამშრომლების რაოდენობა მინიმუმადე დავიყვანო. რაც მატერიალური ქონება გვაქვს, ბანკში უნდა ჩავდო. იცი შენ, ჩემი დამოკიდებულება შენ მიმართ. გამოუვალი მდგომარეობა რომ არ იყოს, როგორ გაგიშვებდი. დროებითი ღონისძიებაა, მჯერა, გაებით მოეკიდებიო. დამოკიდებულება, მართლაც, შესაშური ჰქონდათ, უფრო მეგობრული, ვიდრე უფროს-უმცროსული. მიუხედავად სირთულეებისა, იმედს არ ვკარგავ, დარწმუნებული ვარ, გავუძლებ ამ გამოცდას და, თუ რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე, მერე გიამბობ. ამ საქმეში მოდუნება არ შეიძლება, ძალიან ფხიზლად უნდა იყო. პატარა პაუზის შემდეგ ნაღვლიანი ხმით განაგრძო, უკულმართმა დრომ როგორ გააფუჭა და გარყვნა ხალხი, არავის ნდობა აღარ შეიძლება, წარმოგიდგენია, შენს სისხლისმიერ ნათესავსაც კი ვერ ენდობიო.

გიო წამოდგა, გადაეხვია დირექტორს, ბეჭებზე ხელი

მოუთათუნა და უთხრა, დრო არაფერ შეუაშია, ჩემო ძმაო, ამ დრომდეც გაფუჭებული და გარყვნილები იყვნენ ალპათ. მჯერა, შენი მიზანდასახულობა, შეუპოვრობა და მოთმინება საწინდარია იმის, რომ წარმატებებს აუცილებლად მიაღწევ, ყველაფერს შეძლებ. წავედი ახლა მე, დროებითო.

კეთილი და ღვთისნიერი კაცი იყო იყო დირექტორი. ბევრს ეხმარებოდა, მისთვისაც არაერთხელ გაუმართავს ხელი. როგორც ჩანს, რაღაც გამორჩა თვალსაწინერიდან.

ახალი ეტაპი იწყება გიო შენს ცხოვრებაში, ახალი ეტაპი, – შემოსახა თავის თავს, – სამუშაოს ძებნის ეტაპი, ზურგის ქარს გისურვებ...

ბევრი იარა, ბევრი იხეტიალა, აქეთაც მიდგა, იქითაც, მაგრამ საშველი არ ჩანდა. ორმოცგადაცილებული კაცისთვის ყველა კარი დახშული აღმოჩნდა.

უცნობის შესახებაც ვერაფერი გაარკვია. მის მიერ დატოვებული ბარათი ხელუხლებელი ხვდებოდა. ნუთუ საბოლოოდ დაივინყეს ეს კაცი? განირეს დავინყებისათვის? შეუძლებელიაო, ფიქრობდა. ან იქნებ ბარათი ვერ შეამჩნიეს. როგორ ვერ შეამჩნევდნენ, ნუთუ ერთხელ მაინც არ შეავლეს ხელი, მტვერს ხომ მაინც გადაწმენდნენ? უმუშევრობამ, თავისუფალმა დრომ და უცნობის რაიმე კვალის უშედეგო ძებნამ გააწამა. უცნობი „იდე ფიქსად“ ექცა, რაც უნდა დაჯდომოდა, მისი კვალისთვის როგორმე უნდა მიეგნო. ყველაზე დიდი საცდური და სატანჯველი ადამიანისათვის მოჭარბებული თავისუფალი დრო ყოფილა. თუ ზარმაცი არ ხარ, უმცირეს დროშიც კი უდიდესი საქმეების გაკეთება შეიძლება. მოჭარბებული დრო აზარმაცებს კაცს – დრო ხომ მაქვს, ხვალ გავაკეთებო და მერე აღარ თავდება ხვალები. უსაქმეურობამ ტელევიზორს მიაჯაჭვა ერთხანს. მაგრამ გაუთავებელმა კინკლაობამ, ერთმანეთის ლანძღვამ, ჩხუბმა, მისკენ გახედვის სურვილი დაუკარგა. კიდევ კარგი ტყვიას არ ესვრიან ერთმანეთს პირდაპირ ეთერშიო. ფიქრობდა, ამდენ ლანძვა-გინებას ხომ სჯობია, რაიმე შესამეცნებელი, ტვინის გასავარჯიშებელი გადაცემა მოამზადონ. წალეკა უმეცარმა არაპროფესიონალმა და ამბიციურმა კადრებმა ქვეყანაო. შე

დალოცვილო, არა მარტო პარტიული კუთვნილების მიხედვით უნდა ნიშნავდე თანამდებობაზე, არამედ პროფესიული ნიშნის მიხედვითაც. გაგიკვირდება და ამას ხანდახან კომუნისტებიც კი ახერხებდნენ. მიეცი საშუალება მოაზროვნე ადამიანს, იმუშაოს ახალ ტექნოლოგიებზე, რომელიც ყველაზე ძვირფას ლითონზე უფრო მეტად ფასობს და რაც საწინდარია ქვეყნის უმოკლეს დროში განვითარების. გაუნათლებლობის ბრალია, რომ ვერ ახერხებენ არგუმენტირებულ, საინტერესო და შინაარსიან მსჯელობებებს. არა, არა, რაღაცით უნდა დაგვავდე, თუ არა, ეს ფილოსოფოსობა და ამდენი ფიქრი ჭკუაზე გადამიყვანსო...

მეორე დღეს დილაადრიან ფეხით გაუყვა სასაფლაოსაკენ მიმავალ გზას. ცასა და ქვეყანას შეჰქაროდნენ ახლად გაღვიძებული მგოსანი ფრთოსნები და საამოდ ჭიკჭიკებდნენ. მიუყვებოდა გზას გიო და მისი ფიქრები ისევ უცნობს დასტრიალებდა, უკვირდა, რომ მამაზე უფრო მეტად უცნობზე ფიქრობდა. აინტერესებდა მისი წარსული. არადა, დაპირდა გიამბობო, რატომ მაინცდამაინც მე, რაღაცას ჩქარობდა, რამ შემიბორკა ფეხები, ერთხელ მაინც მივსულიყავი. ვინ იცის, რა უნდა მოეთხოო, რის თქმას აპირებდა. იდუმალებით მოცული პიროვნება იყო და რაღაც იდუმალ ცოდნასაც ფლობდა. გამოუყენებელი ცოდნა მიწაში ჩაფლული განძის მსგავსია, რომელსაც არანაირი სარგებელი არ მოაქვს და მის მლობელთან ერთად კვდება. ცოდნა, რომელსაც სარგებელი არ მოაქვს, ცოდნა არ არის. მიუახლოვდა მწუხარების სავანეს და პირდაპირ უცნობის საფლავისკენ გასწია. მღელვარება მოერია – ნუთუ ამჯერადაც გავწბილდები? შორიდან ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა. მიუახლოვდა საფლავს და ჩამოჯდა. უიმედოდ გაიხედა დოქისკენ, რომლის გვერდზე პატარა ჭინჭილაც შენიშნა, თვალები მოიფშვნიტა – ხომ არ მეჩვენებაო. წამოდგა ფეხზე და დოქისკენ დაიხარა, რომელიც ნამისაგან ერთიანად დასველებულიყო. მისწვდა დოქს, წამოსწია, და მოულოდნელობისაგან კინაღამ ხელიდან გაუვარდა. დოქის ქვეშ ბარათი აღარ იდო...

2016 წელი, თბილისი

ଶୀଘ୍ର ଧର୍ମକାନ୍ଦ ଅବସର୍ପିତ...



მაგრა ღმერთი არ გასწირავს...

ვუძღვნი შვილიშვილებს,
ეკატერინესა და ელისაბედს

- ბა-ბუ-ა, ბა-ბუ-ა! – დამარცვლით იძახდა ლოგინზე წამოგორებული პატარა. ხელში სათამაშოს ათამაშებდა, ხან გააჩხარუნებდა, ხანაც ჰირისკენ გააქანებდა. ორიოდე კბილს, რომელიც ობოლი მარგალიტებივით ანათებდა, გაუსვამდა, ჩალეჭავდა, თითქოს აგემოვნებსო და მოისვრიდა. მერე სხვას გადასწვდებოდა. სათამაშოები უხვად იყო მოფენილი საწოლზე.
 - ჰო, ბაბუა, მოვდივარ, მოვდივარ!
 - ბა-ბუუ! – პატარას ტყუპისცალი აჟყვა და სხვა ტონალობაში განაგრძო,
 - ბა-ბუუ, ბა-ბუუ! – განწირულივით შველას ითხოვდა, ჩაფრენოდა სათამაშოს და არაფრის დიდებით არ უთმობდა თავის დას. ისიც ეჯიუტებოდა და წიოკობდნენ. მერე დედას დაუწყეს ძახილი:
 - დედა! დედა!
 - აქა ვარ, დედა. ნახეთ, რა ლამაზი ნახატებიანი წიგნი მომაქს.

პატარები ლოგინზე კოტრიალებდნენ, ენის ამოდგმის დრო დადგომოდათ, რამოდენიმე სიტყვა ჰქონდათ ნასწავლი. სიტყვებთან ერთად რაღაც ბგერებსაც გამოსცემდნენ, რომლებიც მხოლოდ მათთვის იყო გასაგები.

ზაფხულის აუტანელი ხვატი იდგა.

- ჩააცვით ბავშვებს და ეზოში ჩავიყვან. – მიმართა ბაბუამ ახალგაზრდა დედას, რომელიც ბავშვებთან მოკალათებულიყო,

ნახატებიანი წიგნი გაეშალა და ბავშვებს გარესამყაროს აცნობდა.

— ეს არის ძალი, ეს არის ფისო. პატარებს კი ციცქანა თითები გაეშვირათ ნახატებისკენ, და გაიძახოდნენ: — აუა, აუა! ფისოს კი მია-ს ეძახდნენ, „მიაუს“ მაგივრად.

ბაბუა წინკარში, პატარა სკამზე, ჩამომჯდარიყო და ფეხ-საცმელს ირგებდა. ბოლო ზონარიც გამონასკვა და ფეხზე წამოდგა.

— გესმის, შვილო, უმჯობესია, მართლაც, ეზოში ჩავიყვანო. იქ იმდენი ძალია, სოფელსაც კი შეშურდება. ღვთის წყალობაა, ჯერ კიდევ რომ არ გვეტანებიან. რაღა უსულო ნახატებით ვაცნობთ, ცოცხლად ვაჩვენებ. არც კატების ნაკლებობაა. მათ კნავილს და მოთქმას დამდამობით საშველი არ აქვს.

— მამა, ძალიან ცხელა, შეწუხდებიან, — თავს იკავებდა ახალგაზრდა დედა. — ამაზე მეტად რას შეწუხდებიან, მოსწყინ-დათ ერთი და იგივე გარემო. ეზოში მაინც მრავალფეროვნებაა და გაერთობიან, სახლის წინ რომ პატარა ბალია, იქ ჩრდილს შევაფარებთ თავს.

— ორ ბავშვს როგორ მიხედავ, საკმაოდ დამძიმდნენ. — ღიმი გაუკრთა დედას და მზრუნველად გადახედა ჩვილებს.

— მივხედავ! შენ შენი საქმეები ჩაამთავრე, მერე ჩამოდი და დამეხმარე. ბაბუამ აუღურტულებული ჩვილები ხელში აიტაცა და კიბეზე ფრთხილად დაეშვა. ეზოში სიო არ იძვროდა. ჰორი-ზონგს ალმური ასდიოდა. ხის ფოთლებსაც თავი ჩაეღუნათ და მოეწყინათ. ცნობისმოყვარე პატარებს პანაკენტელა თითები წინ გაეშვირათ და ყველაფერზე — იიის! — იძახდნენ. ალბათ, კითხულობდნენ, ეს რა არისო.

ბაბუა ბალში შევიდა, ტოტებგაშლილ, უხვფოთლიან, უზარ-მაზარ ხეს მიაშურა და მის ძირში მოკალათდნენ. ნეტავ, რა ჯიშის ხეა, ან რამდენი წლისაა? — გაიფიქრა ბაბუამ.

— იიი! — წამოიწყეს ისევ ბავშვებმა და მოფარფატე, ყვითე-ლი პეპლისკენ გაიშვირეს ხელი.

— ეს, ბაბუა, პეპლაა. ნახე, რა ლამაზად დაპფარფატებს ყვავილებს. ის ფუტკარია, ისიც ყვავილებისაკენ მიისწრაფის, რომ მერე გემრიელი და ტკბილი თაფლი მოგვცეს. აა, ბაბუ,

ძალლებიც გამოჩნდნენ, ნახე რამდენია: ერთი, ორი, სამი... ერთი ჩალისტფერია, მეორე – ჭრელი, მესამე – რუხი.

ბავშვები ძალლების დანახვაზე აფართხალდნენ, გრძელ წამ-ნამებს აფახულებდნენ, ბუქნავდნენ, წინ ფუნჩულა, პანაწკინტე-ლა თითებს იშვერდნენ და – აუა, აუა-ს გაიძახოდნენ.

– ფრთხილად, ფრთხილად, ხელიდან არ დამისხლტეთ და უბედურებაში არ გამხვიოთ! უკვე გაიზარდეთ, ბაბუკელებო, დიდები ხართ, კაცო, და ველარ გერევით. ფრთხილად, ეკატე-რინე, ფრთხილად! როგორ მოილუნე, წელში გასწორდი, შე ონავარო! შენ რა დღეში ხარ, ელისაბედ, შეიძლება, სულ პირში გქონდეს თითები!?

ბაბუა ფეხზე წამოდგა, ტყუპები მკერდზე მიიკრა და გა-იფიქრა: ნეტავ, თუ არსებობს ამაზე დიდი, ჭკუიდან გადამყანი, ენით გამოუთქმელი, ზეციური მადლით მოსილი, წრფელი და უმანკო სიყვარული, ბაბუასა და შვილშვილებს შორის რომ იბადება. ვის შეუძლია ამ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა! სი-ყვარულის ეს ციცინათელები, კაცობრიობის მერმისი, ღვთის ყველაზე დიდი საჩუქარია, ყველაზე საუკეთესო წამალია ასაკს მიტანებული კაცისთვის. ბაბუამ დაბუჟებული ხელებით ბავშვე-ბი შეათამაშა, სიყვარულით გადახედა პატარებს და გრძნო-ბამორეულს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მოძალებული ცრემ-ლებისთვის გზა რომ გადაეკეტა. დავბერდი მგონი, ამ ბოლო დროს, ყველაფერზე ცრემლები მაწვება. პატარები კი ფართხა-ლებდნენ, წელში იდრიკებოდნენ, ძალლებისკენ მიიწევდნენ, უნდოდათ ხელით შეხებოდნენ.

– არა, ბაბუ, არა, ჭუჭყიანები არიან და ვინ იცის, იქნებ, ბრაზიანებიც.

ძალლები აინუნშიაც არ აგდებდნენ სამეულს, დარბოდნენ, იღრინებოდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ და კოტრიალებდნენ. ბაბუამ ძალლებს თვალი მოაშორა და ყურადღება გუნდად მოფრენილი ბეღურებისკენ გადაიტანა, გადამხმარ ბალახს რომ შესეოდნენ და ქათმებივით იქექებოდნენ.

– ნახე, ბაბუ, სკუპ-სკუპით როგორ დახტიან. იცოდეთ, ქვეყნის ერთგული ფრთოსნები არიან და სამშობლოს არც

არასოდეს ტოვებენ, განსხვავებით ზოგიერთი ჩვენი თანამემამულისაგან.

მფრთხალი ბელურები კი პანაწყინტელა ფეხებს არ აჩერებდნენ, ქექვას აგრძელებდნენ და დიდი გულმოდგინებით საზრდოს დაეძებდნენ. გუნდს ორი ბელურა გამოეყო, ერთი ზრდასრული და მეორე ოდნავ მომცრო. საკმაოდ თამამად იქცეოდნენ, ლამის ბერიკაცის ფეხებამდე მივიდნენ. ზრდასრულმა ბელურამ პატარა პურის ნატეხი იპოვა და ნისკარტით მის დანაწევრებას შეეცადა. მომცრო ზომის ბელურა სკუპ-სკუპით მიუახლოვდა და გაირინდა. მოზრდილმა ბელურამ, როგორც იქნა, პატარა ნამცეცი მოაცილა პურის ნატეხს, ნისკარტით მისწვდა და მის წინ მდგომი ბელურასაკენ მიბრუნდა. მანაც ფრთები ააფართხალა და პანაწა პირი დააფჩინა. როგორც ჩანს, დედა-შვილია, ბარტყი, – გაიფიქრა ბაბუამ. დედიკოს გაუზარმაცებია. მართალია, უკვე ზრდასრული ფრინველია, მაგრამ მაინც თავის დედიკოსაა მიტმასნილი. ნამდვილად ჩვენებური ბელურები არიან, გაეღიმა ბაბუას.

სასიამოვნო საქმით გართული ბელურები პატარების ჭყლოპინმა დააფრთხო. თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, ერთდროულად წამოიშალნენ და ელვის უსწრაფესად ხის კენწეროზე მოექცნენ. ალტაცებული და გამხიარულებული პატარები კი – ფრ... ფრ... – გაიძახოდნენ და მაღლა იშვერდნენ ხელებს.

ბავშვებთან თამაშით გართულ ბაბუას წყლის ჩერიალი შემოესმა. გაუკვირდა, არც ქუხს, არც წვიმს და ამ გაგანია სიცხეში წყალი საიდან გაჩნდაო. ფეხი მოინაცვლა, ტყუპები მაგრად მიიკრა მკერდზე და წყლის ხმას მიჰყვა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ბალის კიდესთან შეჩერდა. დამრეცზე გაურკვეველი ფერის, ამღვრეული სითხე მოჩუხჩჩუხებდა, პატარა ჩქერალებსაც კი ქმნიდა, რომელსაც აცეტონისა და კიდევ სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოუცნობი, სპეციფიკური სუნი დაჰკერავდა. ის იყო, აქოთებულ, მღვრიე ნაკადულს უნდა გაშორებოდა, რომ მისი ყურადღება ისევ ბელურების გუნდმა მიიპყრო. დასიცხული ფრთოსნების ჯგუფი წყალს მიაწყდა. შეცვივდნენ მღვრიე სითხეში, ჩანვნენ შიგ, ფრთებს აფართხუნებდნენ,

მხიარულობდნენ და მღვრიე წყალს ენაფებოდნენ. ორიოდე წუთში ბელურებს რაღაც უცნაურობები დაეწყოთ. რამდენიმე მათგანი წყლის ნაკადს განერიდა და ასფალტზე დაიწყეს არა-ბუნებრივი მოძრაობები. მერე გაირინდნენ, რამდენიმე გულალ-მა ამობრუნდა. ის პატარა ბარტყიც შენიშნა, ცოტა ხნის წინ, დედა ჩიტი პურის ნამცეცებით რომ უმასპინძლდებოდა. ფრთე-ბი ფართოდ გაემალა, ხან გაფოთხდებოდა, აფართხალდებოდა, ხან ფრთებს შეკეცავდა და ხანაც პანაწინა ფეხებს ჭიმავდა. დედა ჩიტი კი თავს დასტრიალებდა და სასოწარკვეთილი ჟივ-ჟივებდა. ერთხანობას გარინდული ბაბუა გამოერკვა, მივარდა ბელურებთან და ფეხების ბაკუნით დააფრთხო. ნაწილი ფრთოს-ნებისა აფრინდა, ნაწილი კი წყლის პირას უსიცოცხლოდ ფარ-თხალებდა.

ჩიტების არაბუნებრივ საქციელს, და ჟივჟივს, ტყუპებიც აჰყვნენ და გულსაკლავად ატირდნენ. ბაბუას არ შეეძლო, გაეგო, თუ რა იგრძნეს პატარა გულებმა, მაგრამ გულ-საკლავად კი ტიროდნენ. ანგელოზთა თვალთაგან მომსკ-დარი ცრემლი მზის შუქზე ციალებდა და ავარდისფერებული ლოყებისკენ მიისწრაფვოდა. გამწარებულმა და მომხდარით შეძრწუნებულმა, აღარ იცოდა, რა გააეკეთებინა. დაზაფრუ-ლი, დაბნეული, აღმფოთებული გაერიდა შხამიან ადგილს და პატარები კორპუსიდან გამოსულ დედას ჩააბარა. თვითონ კი იმ ადგილისკენ გაემართა, საიდანაც სიკვდილის მთესველი სითხე მოედინებოდა.

უზინ, ამ ადგილას, კერძო დასახლება იყო და მის მო-ბინადრეებს საკმაოდ ვრცელი ბალი გაეშენებინათ. სხვა ხეებთან ერთად, ნაყოფის მომცემი ხეებიც მრავლად იყო, რომლებიც მწიფობის უამს უბნის ბავშვებით იხუნძლებოდა. მერე აქ კორპუსები ააშენეს, რამაც ბალის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. მობინადრეთა ნაწილმა მოხერხებულობის, გავლენისა და სხვადასხვა მაქინაციების წყალობით, უსახური გარაუებიც წამოჭიმეს და საკმაოდ ვრცელი ბალიდან თაგვის კუდის მოსაქნევი ადგილიდა დარჩა.

დრო თავის მდინარებას მიჰყვებოდა. იცვლებოდა სამყარო

და იცვლებოდნენ ადამიანები. დავიწყებული, ნაცარწაყრილი მანქიერებებიც წამოტივტივდა. ბევრი რამ, რაც ადრე სამარცხვინოდ ითვლებოდა, ახლა სასირცხვილოდ აღარ მიაჩნდათ. ახალმა დრომ ბევრი ფსევდო-ლირებულება წარმოაჩინა, რამაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დააბნია. დიდი სულიერება, მოთმინება და ვაჟკაცობა იყო საჭირო კეთილ-გონიერების შესანარჩუნებლად.

გაცეცხლებულ მოხუცს გზად მეზობელი შემოეყარა.

– რა მოგივიდა, კაცო! ასეთი ალელვებული სად გარბიხარ, უბედურება ხომ არაფერი შეგემთხვა?

– მეტი უბედურება რაღა გინდა, ამ შხამიან მდინარეს ხედავ? შვილიშვილებთან ერთად ვიყავი გამოსული, ვართობდი და ვასეირნებდი. საიდანღაც დასიცხული ბეღურების გუნდი მიაწყდა ამ სითხეს. რა იციან ფრთოსნებმა, წყალია თუ შხამი. დაეწაფნენ, ნახევარი იქვე დაიხოცა, ნაწილი მე დავაფრთხე და ის ნაწილიც გადარჩება თუ არა, ღმერთმა უწყის. მომკლა ცალკე მაგათმა საცოდაობამ, ცალკე პატარების მოთქმამ. მიკვირს პირდაპირ, პატარებმა რაღა იგრძნეს! – ძლივს მოაბა თავი სათქმელს მოხუცმა. ამოიოხრა, ოფლით დანამული შუბლი მოინმინდა და მეზობელს შეანათა აწყლიანებული თვალები. მერე ისევ აქოთებულ სითხეზე გადაიტანა მზერა და ბრაზმორეულმა, გამომძიებელივით თქვა:

– უნდა დავადგინო, ვინ არის მკვლელი!

– მაგას რა დადგენა უნდა! – მშვიდად თქვა მეზობელმა, – ამ გარაუებს ხომ ხედავ, მის წინ დალენილი მანქანების ხროვასაც ხომ ხედავ, – ხელი დეფორმირებული მანქანებისაკენ გაიშვირა, – უცხოეთიდან ჩამოჰყავთ, მერე ამ კორპუსების წინ მთელი დღე ხეხავენ, კემსავენ და ღებავენ, მაგათი ნამოღვაწარია. სახელოსნო მოაწყვეს, რაღა! ფართი პატარა აქვთ, სულ რაღაც ათიოდე კვადრატული მეტრი, ყოვლად შეუსაბამო სამღებრო საქმიანობისთვის. წყალგაყვანილობაც კი არ აქვთ, არც სანიაღვრე, ნარეცხ წყალს პირდაპირ ქუჩაში უშვებენ და წამლავენ ყველაფერს. ნუთუ აქამდე არ შეგინიშნავს? – სიცხისგან შეწუხებულმა ხელი თავს ზემოთ ასწია და მოიჩრდილა. –

მე ვერაფერი გავაწყვე, კიდეც ვუთხარი რამდენჯერმე, მაგრამ ვინ გისმენს, სასაცილოდაც არ ეყოთ, რომ ვუთხარი გიჩივ-ლებთ-მეთქი. სადაც გინდა, იქ გვიჩივლეო. კიდევაც გავპრაზდი, კიდევაც განვრისხდი, ბევრიც ვიყვირე, კინაღამ გადავყევი ამ შეხლა-შემოხლას, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე, გვერდით არავინ დამიდგა. მეზობელი ცდილობდა, მშვიდად მოეთხრო, მაგრამ შინაგან მღელვარებას მისი წამოფორაჯებული სახე ამჟღავნებდა.

– თუ მათთან მიდიხარ, ტყუილად ირჯები, შარში გაეხვევი.

– რას ჰქვია, სადაც გინდა, იქ მიჩივლეო! – წარბები მალლა აზიდა ბაბუამ და ხმას აუწია! – ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული?!

– როგორც ჩანს, მართლაც, ჩალითაა დახურული. – წამო-იწყო ისევ დანაღვლიანებულმა მეზობელმა, – სადაც შემეძლო, შევატყობინე, უბნის ინსპექტორსაც კი შევხვდი. დამპირდა, მივხედავ მაგ საქმესო. მარა, კი ხედავ, როგორი მიხედილია, მე უკვე ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე.

– რას ჰქვია, ხელი ჩაიქნიე?

– რას ჰქვია და, იმას ჰქვია, რომ გამოვიყვანე ხელოსანი, ვაჩვენე აფერადებული ნიადაგი, ავუხსენი, რომ იწამლება მიწა და თუ ასე გაგრძელდა, ხეები დაიწყებენ ხმობას, მოიშხამება ჰაერი და არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე-მეთქი. ყოველნაირად ვცდილობ, შევინარჩუნო სიმშვიდე, მაგრამ მათი უტიფრობის გამო, აღელვების გარეშე არ შემიძლია ამ თემაზე საუბარი. გაცხარებისათვის ბოდიშს გიხდი. – ამ კაცს რაღას ვემართლები, თითქოს მისი ბრალი იყოს რამე. – გაიფიქრა მეზობელმა და ცას ახედა. პატარა შეყოვნების შემდეგ მორიდებით განაგრძო:

– რა ვქნა, კაცო, ეს ამბავი ძალიან მაწუხებს, ქალაქი ისე-დაც მტკრითაა სავსე. ბავშვები მეცოდებიან, მთელი დღე, აგრ იმ პატარა სპორტულ მოედანზე არიან, – ხელი მოედნისკენ გაიშვირა, – დღე და ღამე ბურთს დასდევენ. კარგი დაემართებათ?! – ეჰ, ჩაიქნია ხელი. – ქადაგად გადავიქეცი, ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ, თავი მოვაბეზრე ყველას, შედევი კი ნული. – მეზობელი სვენებ-სვენებით აგრძელებდა საუბარს.

– არ იკითხავ, რა მითხრა? – მე, ბიძია, ეს ფართი და-

ქირავებული მაქვს და მრიცხველი ჩართულიაო, თუ არ ვი-
მუშავე, ფული საიდან გადავიხადოო. ჩვენი ჯანმრთელობის
ხარჯზე-მეთქი? მე ეგ არ მაინტერესებს, ვისიცაა ეს გარაუი,
იმას მიმართო. – მეზობელი წამიერად შეყოვნდა, ისევ ცას
ახედა, თვალები მოჭუტა და გაიღიმა. – რას ვეკვლევინებით,
კაცო, ამ გავარვარებულ მზეს? ხომ არ აჯობებდა, ჩრდილი
მოგვეძებნა. – წაბიჯი გადმოდგა, ხელი გამოსდო ბაბუას და
ფართოდ გაშლილი ხის ტოტებქვეშ ჩადგმული ძელსკამისკენ
გაემართნენ.

– ერთს კი გირჩევ, ახლა არ მიხვიდე, აღელვებული ბრძან-
დები, შეიძლება, მათი უტიფრობის გამო, თავი ვერ შეიკავო
და ხათაბალაში გაეხვე. შენს ასაკს ყურადღებას არ მიაქცევენ,
შეიძლება, ხელითაც შეგეხონ.

დალონდა მოხუცი, საშინელმა უსუსურობამ შეიპყრო.

– აბა, რა ვქნათ, ასე ხომ არ შეიძლება! რომ იცოდე, უსულ-

გულობა, ფეხებზე მკიდიაობაა, გულს რომ უტეხს ხალხს,
გულგრილი ხდები. ზოგი ვერ უძლებს და უსამართლობით

შეწუხებული, ქვეყანას ტოვებს. – შვილის სახე წამოუტივტივდა.

– ამ ბოლო დროს სულ აღრენილი დადის, ჩემი ადგილი აქ არ
არის, ჩემს ქვეყანას არ ვჭირდებიო. – ფიქრებიდან გამოერკვა
და ისევ მოსაუბრეს მიუბრუნდა: შენც ხელი ჩაიქნიე, არა, მეპა-
ტრონესთან თუ იყავი?

– კი, ვიყავი.

– მერე, რა გითხრა?

– შეეშვი ამ საქმეს, ვალები მაქვს უამრავი და ნაწილ-ნაწილ
ვისტუმრებო.

– მერე, შენს ვალებს უნდა შეეწიროს ჩვენი ჯამრთელო-
ბა-მეთქი?! ადრე ნათქვამი ფრაზა ისევ გავიმეორე. – ჩამომ-
შორდი, თორემ სერიოზულ შარში გაეხვევიო, თუ არ გინდა;
შენი მანქანა დაფშვნილ-დალენილი დაგხვდეს ხვალ დილით,
ჩამომშორდიო და თუ მაინც გააგრძელებ, სხვა საშუალებებსაც
გამოვძებნიო. პირდაპირ, არ ვიცი, რა ვქნა, არავინ გვერდში
არ დამიდგა, ყველას ეშინია. იქნებ ერთად დგომით მივაღწიოთ
რამეს. უსამართლობა მახრჩობს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

გული გამისკდება ალბათ. მეზობელმა თანადგომის იმედით გადახედა მოხუცს.

უძილობით გაწამებულ ბაბუას არც იმ ღამეს გაკარებია თვალზე რული. ცალკე იმდღევანდელი ინციდენტი, ცალკე შვილის ამბავი. წრიალებდა, ხან გულალმა იწვა, ხან პირქვე, შვილის ბედზე ნაღვლობდა და მისი ნათქვამიც აფორიაქებდა: რატომ გამომიძახე, ან, საერთოდ, რად გამიშვი უცხოეთში, არ შემირცხვენიხარ, კარგად ვსწავლობდი და კარგადაც დამიფასეს იქაურმა მესვეურებმა. შესანიშნავი სამუშაო მქონდა და ანაზღაურებაც ღირსეული! ჩამოდი, ჩამოდი, ქვეყანას სჭირდებიო. გამოვიდა, რომ თურმე არავის ვჭირდები. იქ კი წამოსვლისას მითხრეს, თუ ვერ ააწყვე საქმე, ჩამოდი და უსიტყვოდ შიგიღებთო. ფიქრებით გატანჯულს მხოლოდ გამთენისას ჩაეძინა.

ბაბუას დიდხანს არ სძინებია, მზის პირველი სხივების მისალმებისთანავე ფეხზე წამოიჭრა, თავი მოიწესრიგა და მეზობელთან შესახვედრად მოემზადა. მისდა გასაოცრად, მხნედ გამოიყურებოდა, იმედიანად იყო, ამ სატკივარს როგორ ვერ ვუწამლებ, ეს ჭუჭყი და სიბინძურე, მოწამლული ჰაერი, ერთი უბნის კი არა, მთელი ქალაქის სატკივარია. მივალთ, დაველაპარაკებით, ჩავაყენებთ საქმის კურსში. საკუთარი თავის მტრები უნდა იყვნენ, რომ არ მოგვისმინონ. მართლაც, ჩალით ხომ არ არის ეს ქვეყანა დახურული. ავახმაურებთ ამ საქმეს და შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

ის იყო, გასვლას პირებდა, პატარების ძახილი შემოესმა: – ბაბუა, ბაბუაო. ისევ უკან შემობრუნდა. ტყუპები პაწანა ხელებით საწოლის მოაჯირს ჩაფრენოდნენ და მთელი ძალით აჯანჯლარებდნენ. სახეგაცისკროვნებულთ თვალები მოჭუტოდათ, ოქროსფერ კულულებს მაცოცხლებელი მზის სხივები ელაციცებოდა, ხალისიანად დასთამაშებდა და კიდევ უფრო აოქროსფერებდა. ახლად გაღვიძებულნი, გახალისებულნი, საწოლის მოაჯირს ჩაფრენილნი ბუქნაქვდნენ და ერთმანეთის ჯიბრზე ბოლო ხმაზე გაჰკიოდნენ: ბაბუა, ბაბუაო! ამ სიტყვებში იმოდენა სიხარული და სიყვარული ჩაქსოვილიყო, რომ ბაბუას ისევ ცრემლები მოადგა თვალზე.

– ჰო, ბაბუ გენაცვალოთ, ბაბუ! – მიუახლოვდა და ორივეს თავზე ეამბორა. პატარები ბაბუს თმაში წვდნენ და მიქაჩ-მოქაჩეს.

– გეყოფათ, ბაბუკელებო, გეყოფათ, ახლა უნდა წავიდე და ერთი კარგი საქმე მოვაგვარო, ჯანსაღი, სუფთა ჰაერი რომ ისუნთქოთ და ჯანმრთელები გაიზარდოთ. აბა, თქვენ იცით, დედიკო და ბებო არ გააბრაზოთ.

პატარებმა ბაბუს ნათქვამიდან, რა თქმა უნდა, ბევრი ვერაფერი გაიგეს, უკან გაბრუნებულ ბერიკაცს კი ტირილნარევი ხმით ისევ ბაბუა-ბაბუა დაადევნეს.

ბაბუა მეზობელთან ერთად გარემოს დაცვის ერთ-ერთ სამთავრობო დაწესებულებას მიადგა. შუშებიანი, მბრუნავი კარები შეაღეს და ფართო დერეფანში აღმოჩნდნენ. ყველაფერი სუფთად და თვალის საამოდ გამოიყურებოდა. კონდიცირებული, გრილი ჰაერი ისე სასიამოვნოდ უბერავდა, გარეთ გამოსვლა არ მოგინდებოდა. შეჩერდნენ, არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. მოშორებით, შუშებიანი ჯიხური შეამჩნიეს, რომელზედაც დიდი, წითელი ასოებთ ეწერა – დაცვის პოლიცია. იქით გაემართნენ. ჯიხურიდან ფორმიანი, მოხდენილი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა და თავაზიანად ჰკითხა:

– რით შემიძლია დაგეხმაროთ! – ყველაფერი აუხსნეს. ახალგაზრდამ დინჯად მოუსმინა და მერე ბაბუს მიმართა:

– ბაბუ, ასეთი საქმეების მოსაგვარებლად წერილობითი მიმართვაა საჭირო.

– იქნებ, უფროსთან მიგვიყვანოთ, ძალიან მტკიცნეული საკითხია. შევძლებთ კი უგულო, ცივ ქალალდზე იმ სატკიცრისა და ემოციების გადმოცემას, რაც ჩვენ გვაწუხებს?! – სევდანარევი ხმით უთხრა ბაბუამ.

– ასე ადვილი არ არის უფროსთან შესვლა. თანაც, დღეს მიღება არ აქვს და, აქაოდა, არაფრით არ შემიძლია, დაგეხმაროთო, ხელები გაასავსავა. მერე, ბერიკაცის ნაღვლიანი სახის დანახვაზე, თანაგრძნობით, თბილად უთხრა:

– უმჯობესია, ისე მოიქცეთ, როგორც დაგარიგეთ, წერილების განყოფილებას მიაკითხეთ.

– რა გაეწყობა, თუ სხვა გზა არ არის. – ბაბუა მაინც ფეხს ითრევდა.

– იქნებ როგორმე, როგორც გამონაკლისი, შეგვიშვათ უფროსთან, რა ვიცით, ვისთან მოხვდება ჩვენი წერილი, ვინმე უგულო არ იყოს და წაუკითხავად არ მოისროლოს სანაგვეში.

– არა, ბაბუარა, აუცილებლად განიხილავენ და პასუხსაც მოგწერენ. – დაცვის მუშაკმა მოხუცი ღიმილით დაამშვიდა.

ყურადღებით მოუსმინა თვალებდახატულმა, არისტოკრატულად ფერმკრთალმა, მოხდენილმა, მინიატურულმა გოგონამ. წერილის ფორმისა და შინაარსის შესახებაც უკარნახა, დააკვალიანა, თან გადაჰყვა, გადაელია და მომზიბლავი ღიმილით გამოისტუმრა. რომელიმე სამოდელო სააგენტოდან ხომ არ ჰყავთ ნეტავ მოწვეული, გაიფიქრა ბაბუამ. იმდენად მოხიბლა გოგონას მშვენიერებამ და სიტყვა-პასუხმა. ბაბუა შესანიშნავ განწყობილებაზე დადგა.

– აკი ჩალით არის ქვეყანა დახურულიო! არა, ძმაო, ახლა სხვა დროა.

– რა ვიცი, ბაბუ, ვნახოთ. ალდგომა და ხვალეო, გათენდება მალეო. – გულგატეხილი მეზობელი მაინც ეჭვობდა.

სულ მოკლე ხანში, რაღაც ორიოდე კვირის თავზე, ბაბუამ დალუქული წერილი მიიღო. კონვერტზე დიდი ასოებით ეწერა სამთავრობო დაწესებულების სახელწოდება. მოუთმენლად, მღელვარებით გახსნა კონვერტი. თაბახის ფურცელზე კი ორიოდე სტრიქონი იუწყებოდა, არსებული მდგომარეობა ადგილზე იქნება შესწავლილი და თქვენი მოთხოვნა შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილდებაო. გახევდა, გაირინდა, მერე შუბლზე ჩამოშლილი ხშირი, ჭალარა თმა უკან გადაიწია და ნელი ნაბიჯით მაგიდას მიუჟახლოვდა. სკამი გამოსწია, ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ფიქრს მიეცა. მგონი დამცინიან, ამოდენა თაბახის ფურცელზე მხოლოდ ორი წინადადება, ქალალდს მაინც მოუფრთხილდნენ! სრული უპასუხისმგებლობა და უპატივცემულობა, რას ჰქვია, შესაძლებლობის ფარგლებში, რა უნდა კუსტარული, ყოველგვარი ნორმების დამრღვევი, სიკვდილის მთესველი სამღებროს დახურვას?! მოკალათებულან კომფორ-

ტულ ოთახებში და საკუთარი თავის გარდა, არავინ ენაღვლებათ. სრული სიპრიყვე, თუ ჰერინიათ, რომ ეს მოშხამული ჰაერი მათ კაბინეტამდე ვერ მიაღწევს, ანდა მათ შვილებს დაინდობს, მწარედ ცდებიან. მეზობლები უკვე აღმტვოთებით ლაპარაკობენ, რომ ზოგიერთ პატარას ასთმის ნიშნები აქვთ და ექიმები ურჩევენ, ბავშვები უბანს გაარიდეთო. ყველას როდი აქვს საშუალება ბავშვების აგარაკზე გაგზვნის. ესენი კიდევ: შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება თქვენი მოთხოვნაო. რა ჰქევია ამას?! ასეთ უსულგულობას რომ გადააწყდა შვილი, ამიტომ დადის სულ აღრენილი და ამიტომ უჭირავს თვალი უცხოეთში გაქცევაზე. ყველა რომ გაიქცეს, ამ ქვეყანას ვის უტოვებენ, გაქცევა რა გამოსავალია?! არა, არა, რაღაც სხვა გზა უნდა მოვძებნო. ასაკის მიუხედავად, მკვირცხლად წამოვარდა ფეხზე და ეზოს მიაშურა, თითქოს ეზოში იპოვიდა ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის გასაღებს.

ბევრი იბორიალა, სამღებროსთანაც გაიარა. მანქანები ისევ ახორცლილი ეყარა, ხელოსნები ხალისიანად მუშაობდნენ, ბილნისიტყვაობდნენ და ხშირ-ხშირად იპურჭყებოდნენ. სახე და თმა სხვადასხვა ფერის საღებავებით ჰქონდათ აჭრელებული. ერთი გამეტებით უქნევდა ჩაქუჩის დაბრეცილი მანქანის კარებს, ყოველი დარტყმა გულში ლახვარივით ესობოდა მოხუცს. მეორე მანქანის კაპოტს ჩაფრენოდა და გულმოდგინედ ხეხავდა. ჰაერი ფერადი მტვრითა და აცეტონის სუნით იყო გაჯერებული. გული შეეკუმშა, სუნთქვა შეეკრა და აღელვებულმა იქაურობა სასწრაფოდ დატოვა. მერე გაბრაზება სიბრალულმა შეცვალა და ფიქრით ხელოსნებს გადაწვდა. – ამათ რა უნდა ქნან, მდგომარეობის ყმები არიან. არსებობა ყველას უნდა. ალბათ, ოჯახებიც ჰყავთ და პატარა შვილებიც, მათაც ხომ რჩენა უნდა. ვინ იცის, როგორ ეხუტებიან საღამოს დაღლილ-დაქანცულ მამებს, ჩარგავენ თავს მამის მკერდში, სუნამოს სუნის ნაცვლად საღებავების მძაფრი სუნი საყნოსელს მოუსუსხვავთ და თავს გვერდზე მიაბრუნებენ. მერე კი, ისევ, ალერსს მონატრებულნი, დიდი სიყვარულით მამებს ჩაეკონებიან. ეყოფათ კი დღეს აღებული გასამრჯელო ხვალისთვის შერყეული ჯანმრთელობის აღსად-

გენად? საკუთარი კეთილდღეობა სხვისი სიცოცხლისა და ჯან-მრთელობის ხარჯზე არ უნდა ააშენო. ადრე თუ გვიან, მაინც ჩამოიშლება. უთვალავ ფერად მოცემულ სამყაროს უდიერად არ უნდა მოექცე. ყველა სულიერი ღვთისგანაა გაჩენილი და ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. ფიქრი წამიერად შეწყვიტა, ფეხი შეანელა და საღებავებით აფერადებულ ასფალტს გახედა. მოფართხალე ბეღურები დაუდგა თვალწინ. ნეტავ რამდენი გა-დარჩა?! გულჩვილ მოხუცს ცრემლი მოერია, ისევ სამლებრო-საკენ გააპარა მზერა, სინანულით თავი გაიქნია და იქაურობა აჩქარებული ნაბიჯით დატოვა.

დღეები დღეებს მისდევდა, კვირეები კვირეებს, – არსაიდან ხმა, არსით ძახილი, გარაუში შეკვეხებულ სამლებროში კი ძვე-ლებურად საქმიანობდნენ. ირგვლივ ყველაფერმა ფერი იცვალა. მცენარეებმაც მოიწყინეს, ფოთლებს სიხასხასე დაეკარგა და მეწისქვილესავით მოთეთრო ფერად შეფეთქილიყვნენ. ალარც შაშვი ჭახჭახბდა ომახიანად დილაობით. სხვა ფრინველიც გარიდებოდა ავისმომასწავებელ ადგილს. ბეღურების ჭაჭანე-ბაც არსად იყო. იმდენად იმატა დაბრეცილი მანქანების რიცხვ-მა, რომ მობინადრეები თავიანთ მანქანებსაც ვეღარ აყენებდნენ კორპუსთან. ხმირად ისმოდა ჩოჩოლი, შეხლა-შემოხლა, გინება. ერთხელ, შესრულებული სამუშაოთი უკმაყოფილო კლიენტმა სასტიკად სცემა მღებავების უფროსი. ამ ვითომ უმნიშვნელო საქვეყნო სატკივარს ოჯახისათვის სატკივარიც დაემატა, რომელიც საქვეყნო სატკივარის თანამდევი იყო.

ერთ საღამოს, ვაჟიშვილმა მორიდებით მიმართა მამას:

– ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე მინდა გაგესაუბრო, ოღონდ, გთხოვ, დინჯად და ცივი გონებით მომისმინო. ამას ჩვენთვის და ჩვენი ოჯახისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ბაბუას გულმა რეჩხი უყო. ეჭ, ისევ უცხოეთზე დამინტებს ლაპარაქს და როგორ გინდა, სიმშვიდე შეინარჩუნოო. დაკვირვებით შეათვალიერა შვილი, გადაღლილი მოეჩვენა. გა-დაღლილი იქნება, აბა რა, დილიდან შუალამემდე გადაკარგულია. დროებით სამუშაო იშოვა. რამდენ ხანს გაძლებს ასე. დაუინებით

უცქერდა, გულში რაღაც გაულლვა და სითბო ჩაეღვარა, რა მალე დამიკაცდი, შვილო. ვერ გამიგებს, თორემ გულში ჩავიხუტებდი, მხოლოდ თვალებით მოეფერა. მაღალი, მოხდენილი და კაცურად ლამაზი იყო ვაჟიშვილი. თეთრყირმიზა სახეს კუნაპეტივით შავი წვერ-ულვაში და მაყვალივით შავი თვალები უხდებოდა. ერთი შეხედვით ნაზი, მაგრამ კუნთებად ქცეული, საბრძოლო ხელოვნების რომელიდაც ქამარსაც ფლობდა. არც ქუჩა იყო მისთვის უცხო, ბევრს ატყუებდა მისი გარეგნული სინაზე, ადვილად ინვეზდნენ ჩხუბში თუ საქმის გარჩევებში. ოჯახმა დაადინჯა და თითქოს ნაადრევადაც დააბრძენა. ეჭ, შვილო, როგორ არ მინდა ამ მადლიან მინა-წყლისგან მიღებული სისხლი და გენეტიკა სხვა მდინარებას შეერიოს და ჩაიკარგოს. შვილს მამის დაჟინებული მზერა ეუცხოვა, თვალის კუთხეში თითქოს ცრემლიც შენიშნა, გული მოეწვა, თვალი მოარიდა და თავი ჩაღუნა.

— მამა! — რიდით და კრძალვით დაიწყო ვაჟმა, — ხვდები, ალბათ, რაზეც უნდა გელაპარაკო, — შეყოვნდა, მერე ლიმილით მოეფერა, თითქოს გაეხუმრა კიდეც, — შენ რას გამოგაპარებს კაცი, — და როცა სახიდან ლიმილის ბოლო ნაშთები მოიშორა, განაგრძო. — ხედავ, რა მდგომარეობაშიც ვარ, ისიც იცი, რომ ყველა დაწესებულებაში თუ კომპანიაში გაგზავნილი მაქვს ჩემი მონაცემები. არც ჩემი წითელი დიპლომი აინტერესებთ და არც დახასიათება. გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ქვას გახეთქავდა და აქეთ დამიწყებდნენ ხვეწნას, ჩემთან დასაქმდიო. სამწუხა-როდ, ასეთი არაფერი მომხდარა. ყველაფრის იმედი რომ გადამეწურა, ისევ ძველი ნაცნობები შევანუსე უცხოეთში და მეტად გასახარებელი ამბავი მეუწყა — კარგი ვაკანსია გვაქვს, ჩამოდით, მგზავრობისა და ბინის ხარჯებს ჩვენ დავფარავთო. ბიჭი ცოტა ხანს დადუმდა, დალუნული თავი წამოსწია და მამას მოკრძალებით შეაცქერდა.

მამა ხმას არ იღებდა, დინჯად ისმენდა შვილის ნაუბარს. თავის აწყლიანებულ თვალებს ხან შვილს შეანათებდა და ხან კედელზე ჩამოკიდებული მშობლების გადიდებულ სურათს.

— ცუდად ხომ არ ხარ, მამა! — ბიჭმა წამოიწია და დანანებით გაიფიქრა, მგონი მოხუცს გული მოვუკალიო.

— დაჯექი, დაჯექი, ჩემი ასაკის კაცი კარგად აწი ვეღარა-სოდეს იქნება. — გაბზარული ხმით წარმოთქვა მოხუცმა. ბიჯგებივით მიშვერილი ხელები სახეს მოაცილა და მოკლედ თქვა, — წაუცბათევმა გადაწყვეტილებამ შეიძლება კაცი დაღუპოს.

— მამა! არანაკლები უბედურებაა, როდესაც გადაწყვეტილებას საერთოდ ვერ იღებ. — მოუთმენლად ღელვაშეპარული ხმით უპასუხა შვილმა და იქვე აჩქარებით მიაყოლა: — არაა ეს წაუცბათევი გადაწყვეტილება, ჩემი პროფესია მომავლის პროფესია და კარგად ანაზღაურებადი. იქ მომავალია, აქ კი წარსულში ვცხოვრობთ.

ვაჟი მაგიდას აღარ მიკარებია. წრიალებდა, დუმდა, ფიქრობდა, ყველაფერი ახლა ვუთხრა, თუ მერმისისთვის გადავდოო. მერე ხელი ჩაიქნია, გაუეუილს გატეხილი სჯობიაო და თქვა:

— მამა, ოჯახით მეპატიუებიან, დედასთან ერთად შენც უნდა წამოხვიდე. ორი კვირა მომცეს მოსაფიქრებლად. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

მამა დუმდა, მხოლოდ წარბი შეარხია და შვილს თვალებში შეაცემდა.

— მამა, საბოლოოდ იქ დამკიდრებას არ ვაპირებ, პატარა კაპიტალს მოვაგროვებ და უკან დავბრუნდები, ჩემს საქმეს წამოვიწყებ. — ჩაამთავრა ვაჟმა, დაცვარული შუბლი მოიწმინდა და ჩამოჯდა. გული გამალებით უცემდა. მღელვარებისაგან ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულიყო.

იქნება კი შენზე დამოკიდებული დაბრუნება? — გაიფიქრა მამამ, შვილს კი მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა:

— ვიფიქრებ...

ბიჭი ფეხზე წამოდგა, მამას მხარზე მოეხვია, ეამბორა და ოთახიდან გავიდა. ბაბუას აწყლიანებული თვალები კი ცრემლად იქცა და თეთრ წვერ-ულვაშში ჩაიკარგა.

შვილთან საუბრის შემდეგ ბაბუა სიტყვაძუნნი გახდა, მოწყენილი და უბრი. აღარ ერეოდა საუბრებში და აღარც არაფერზე გამოხატავდა თავის აზრს, ცდილობდა განმარტოებულიყო.

ოჯახს აფორიაქებდა მოხუცის ასეთი მდგომარეობა. ში-შინბლენენ, თავს არაფერი აუტეხოსო. მხოლოდ ჩვილებთან გულ-მხიარულობდა, ძველებურად ეთამაშებოდა და ეფერებოდა, ხან კისერზე შეისვამდა მონაცვლეობით, ხან ხელში აიტატებდა და გაცისკროვნებულ თვალებს უკოცნიდა მათ. ახლა თქვენც მაკოცეთო, რომ იტყოდა, ეკატერინე ყელზე შემოეხვევიდა, ელისაბედი კი ლოყაზე სველ ტუჩებს მიადებდა. მერე ხალი-ჩაზე გაიშოტებოდა, პატარებიც გულზე შეაღოდებოდნენ, ხან წვერში წვდებოდნენ და ხან თმაში. დიდად ხალისობდნენ, მხიარულობდნენ და ანცობდნენ. ისე თავდავიწყებით ერთო-ბოდნენ, საჭმლის ჭამაზეც კი ეურჩებოდნენ მშობლებს. ბაბუას მკერდზე ჩამომსხდარნი ნაცნობ სიტყვებს სხაპა-სხუპით ჩაარ-აკრაკებდნენ: – ბაბუა, დედა. – ეკატერინე დედას ნაცვლად ხანდახან დადას იძახდა, მერე მამას მოუხმობდნენ, მერე ბებოს რიგი დგებოდა. ბებოს რატომლაც ბუას ეძახდნენ. ბავშვებისა-გან გახალისებული, შუა თამაშში ბებოს გაეხუმრებოდა: – ბუა რომ ხარ, ბავშვებიც კი ხვდებიანო. ბებო კი იცინოდა, პატარებს გულში იკრავდა და ამბობდა – ბუა გენაცვალოთ თქვენო.

– არა, ბაბუკელებო, თქვენ როგორ მიგატოვებთ, სადაც თქვენ, მეც იქ. მე ხომ თქვენით ვცოცხლობ და ვხალი-სობ ამ მიმწუხრის უამს. თქვენს გარეშე ჩემი სიცოცხლე რა იქნება? წამოვიდებ სათანადო ლიტერატურას და ქართულად გაგზრდით. ოჯახში სალაპარაკო ენა ქართული იქნება. სად ჰყავს ჩემს ქვეყანას დასაკარგი შვილები. დედაენით დავიწყებთ განათლებას. ექვს წლამდე არანაირი უცხო სიტყვები. ბაღშიც არ გაგიშვებთ, მე ვიქნები თქვენი აღმზრდელიც და გამზრდელიც. ოცნებაში გადავარდებოდა ხოლმე და გეგმებს აწყობდა ბერი-კაცი. იმ დღის მერე სახლში ვეღარ ჩერდებოდა და გარე-გარე დაიწყო ხეტიალი. ხშირად ადიოდა მთაწმინდაზე და იქედან დიდხანს დასცექროდა ქალაქს, თითქოს ცდილობდა ყოველი კუთხე-კუნჭული მეხსიერებაში ჩაეჭედა. პანთეონშიც შეივლი-და, გამოჩენილი მამულიშვილების საფლავთან შეყოვნდებოდა, ჩაიმუხლავდა. უფრო მეტხანს ილიასა და აკაკის საფლავთან შეყოვნდებოდა და ნაღველმორეული ფიქრობდა: ასეთი კაცი

სასიკვდილოდ როგორ გაიმეტესო. თავქვე დაშვებული ტრამვაის ვაგონი კი რიტმულად იმეორებდა „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო“...

სოფელსაც ესტუმრა. მხრებჩამოყრილი, სენმორეულივით დახვდა კაცის ხელსა და ხმას დანატრებული ძველი სახლი. შევიდა, კარ-ფანჯრები გააღო, ოთახები შემოიარა, იატაკს კილი მოსდებოდა და ჭრიჭინებდა. მშობლების ფოტოსურათთან ჩამოჯდა, ახედა მივიწყებულ მშობლიურ სახეებს, დიდხანს უცქირა. მერე ფეხზე წამოდგა, სიყვარულითა და მონატრებით გადაუსვა ხელი დამტვერილ სურათს, ცრემლი მოერია და თავი ჩაღუნა.

აუტანლად მტკიცნეული იყო დუმილით მოცული სივრცე. სასწრაფოდ ეზოში გამოვარდა და ღრმად ჩაისუნთქა მაცოცხელებელი გრილი ჰერი. ჩამოიარა ეზო-კარმიდამო, ყველგან შეიჭყიტა – სამზადში, ბოსელში, თითქოს ლამაზა ისევ იქ დახვდებოდა, ჩალის ღეროთი პირგამოტენილი. მარანში ობობას ქსელი მებადურის ბადესავით გაშლილიყო. დიდხანს შესცექეროდა აკაკია ბაბუას მიერ ალიზით ნაშენებ გაჭვარტლულ ბუხარს. ბზარი გასჩენდა საკვამურს. დროის მსახვრალ ხელს თავისი კვალი დაემჩნია კუთხეში მიწყობილ, მთვლემარე სასოფლო-სამეურნეო იარღებისთვის. უანგი მოსდებოდა თოხსა და ბარს, ჭურის საგლესი ხის უროს სალტი გაწყვეტილიყო და გახეთქილიყო. კედელზე მიყუდებულ სარქველებს ლპობა შეპარვოდათ. თაროზე იდო გოდორი, ორშიმო, დოქები, ჭინჭილა და სხვა მრავალი ნივთი, რომლებიც კაცის ხელს ელოდნენ, თითქოს აგერ-აგერ შემოვიდოდა სტუმართმოყვარე მამა, თოხს ხელს წამოავლებდა და მხიარულად შეუდგებოდა ჭურის მოხდას. ეჰ, რამდენი სტუმარი ახსოვს ამ სახლს, ამ მარანს, რამდენი ომახიანი ხმა და მრავალუამიერი.

მეზობლებსაც ჩამოუარა, ვინც ჯერ კიდევ შემორჩენდა სოფელს: ბადრიას, ბორისას, ელგუჯას, ბონდოს, გულადის, ავთოს, ას წელს მიტანებულ ვაჟიკოს, რომელიც ისე მხნედ გამოიყურებოდა, ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა. სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი, საყვედურიც შეაპარეს ამდენი ხნის ჩამოუსვლელობისთვის, მთლად ნუ მიატოვებთ მამაპაპი-

სეულ კერასო. ყველას მოეხვია და გამოემშვიდობა, ვინ იცის, საბოლოოდ!..

ორლობეს რომ გამოცდა, სანამ თავქვე დაეშვებოდა, შე-მაღლებულ ადგილზე ცოტახანს შეჩერდა და ფეხქვეშ გაწოლილ მშობლიურ სანახებს სურათები გადაუღო. ნაღველი და სიხარული მონაცვლეობდა მის გულში. სოფელმა თითქოს გუნება-განწყობილება გამოუკეთა. სახემცინარი, ღიმილიანი და ყურადღებიანი გახდა. შვილს უკვირდა მისი ფერისცვალება: შეეგუა ალბათ, ძალიანაც კარგიო, – გაიფიქრა და შვება იგრძნო. ბაბუა კი ატატებული ბავშვებით ოთახიდან ოთახში დადიოდა და ხშირად წაუმდერებდა: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაპრუნვებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვანა სადაურსა, სად აღუფხვრი სადიც ძირსა! მაგრა ღმერთი არ გასირავს კაცსა, შენგან განაწირსა.“ იმდენად ხშირად იმეორებდა, ყველა შეაწება.

– ბერიკაცო, ბავშვებისთვის ნამეტნავად ადრე ხომ არ არის მაგის სწავლა, – უთხრა სამზარეულოში მოფუსფუსე თავ-წაკრულმა ბებომ.

– სწავლა არასოდეს არ არის ნაადრევი. – და ისევ ჯიუტად იმეორებდა და იმეორებდა. განსაკუთრებით ბოლო ფრაზას ამბობდა ომახიანად: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსაო“, დაიმახსოვრეთ, ბაბუკებო, ასეთი სიბრძნე და მუსიკალობა დედამიწის ზურგზე არც ერთ ლექსს არა აქვს. ისეთ მარცვალს ჩავდებ თქვენს გონებაში, რომელიც თავის დროზე აუცილებლად გაღვივდება და სიკეთის უხვ ნაყოფს მოისხამს.

– ნეტავ, რა სჭირს, რამ შეცვალა ეს კაცი, ასეთი მხიარული არასდროს მინახავს, ნუთუ სოფელმა ყველაფერი დაავიწყა? შეუძლებელია, ფიქრობდა ბავშვების დედა. ის კი საბოლოოდ მიეჯაჭვა ბავშვებს. ართობდა, ამხიარულებდა და აკისებდა, თან გამოჯავრებით ამბობდა: ვნახოთ, რა ჩიტიცა ბრძანდება ეს ნაქები ევროპაოო.

შემოდგომის ერთ წვიმიან ღამეს ბაბუას ოჯახმა ქალაქის საჰაერო ჭიშკარი გადაკვეთა. გაიარეს საგალდებულო შემოწმება

და საკმაოდ ვრცელ დარბაზში აღმოჩნდნენ. ათასი ჯურის ხალხი ირეოდა, ისმოდა სხვადასხვა ენაზე საუბარი, თავი უცხო ქვეყანაში გეგონებოდა. ბარგი შეფუთეს და რიგში დადგნენ. ვის არ ნახავდით იქ: ჩვილებს, რომლებიც გვიანი ლამის გამო ჭირვეულობდნენ და დროგამოშვებით ღნაოდნენ; ახალგაზრდებს, რომლებიც ნაძალადევად მხიარულობდნენ, ფიქრით კი უკვე სხვა ქვეყანაში იყვნენ; წლებით დამძიმებულ მოხუცებს, რომელთათვის მგზავრობა, ალბათ, ყველაზე მტკიცნეული იყო.

თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი ბაბუა დროდადრო თავს ასწევდა და ყველაფერს მღელვარებით აკვირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში საკმაოდ თბილოდა, რატომლაც შეამცივნა და შეაურულოდა. ბავშვები მშობლებს ეჭირათ. ბებო დიდი ჩემოდნების უკან იდგა და გაქვავებული სახით მალი-მალ უკან იხედებოდა. რიგი ტაატით მიინევდა წინ. სულ ცოტადა დარჩა. ბაბუას მოუთმენლობა და წრიალი დაეწყო, ვერ ისვენებდა. თითქოს ჰაერიც აღარ ჰყოფნიდა. გვიანი შემოდგომის წვიმიანი ლამე იყო. ფანჯრები დაორთქლილი და დანისლული. გარესამყაროს მოწყვეტილს უჰაერო რეზერვუარში ეგონა თავი. გული საშინლად ჩხვლეტდა და სახე უხურდა.

— ცოტა ხანს გარეთ გავალ. — თქვა გაბზარული ხმით ბაბუამ.

ხმა არავის ამოულია, ვაჟიშვილმა მხოლოდ თავი გადაიქნია. მოხუცი ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისაკენ გაემართა. გარეთ კი წვიმდა მონოტონურად, დინჯად და ირიბად. პატარ-პატარა გუბურებში ლამპიონების შექი ირეკლებოდა. მანქანების ქარავანზე დავანებული წვიმის წვეთები ბრილიანტის თვლებივით ციმციმებდნენ. ცივი ჰაერი ღრმად შეისუნთქა, ცას ახედა და გახურებული სახე წვიმას შეუშვირა. სისველე ეამა. ვინ იცის, მელირსება კი ოდესმე ქართული ცისა და ქართული მზის ნახვა? როდის დამასველებს კიდევ მშობლიური წვიმა! მოხუცი გარინდებულიყო და სახეს არ აშორებდა მოხშიორებულ წვიმის წვეთებს. მთლიანად დაუსველდა სახე, წყალი წურწურით ჩადიოდა ყელ-კისერში. ერთმა ლმერთმა უწყოდა მხოლოდ, წყალი მეტი იყო თუ ცრემლი. თავიდან ფეხებამდე დასველდა,

– ასე მაინც გავიყოლებ ქართული წვიმის სურნელსო. მოხუცი შემობრუნდა, თავი ჩაღუნა და მხრების ცახცახით დარბაზისაკენ გაემართა. საკითხავი ის იყო, სიცივისაგან უცახცახებდა მხრები, თუ უხმო გოდებისაგან. ცრემლით აცილებდა დედა სამშობლოც მოხუცს დასაკარგავში.

მოჭარბებულ მგზავრთა ნაკადს თითქმის მთლიანად შეევსო დარბაზი, გაბმული ზარივით გუგუნებდა, ყველა ხმა და გამონათქვამი ერთ საერთო ხმად ქცეულიყო, რომელიც ტალღასავით ხან ჭერამდე ამაღლდებოდა და ხან იატაკზე გაიბნეოდა. უკეთესი მომავლის იმედით ყველა ევროპისაკენ მიისწრაფული მისხალ-მისხალ იწრიტებოდა ქართული სისხლი.

ფიქრებიდან რეისების გამომცხადებლის ხმამ გამოიყვანა. მალე ჩამოფრენილი მგზავრების პირველი ჯგუფი გამოჩნდა, მერე მომდევნო. უმეტესობა უცხოტომელები იყვნენ, განსაკუთრებით აღმოსავლური იერის ხალხი სჭარბობდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ხალხის ნაკადს ბოლო არ უჩანდა. მოხუცს სახე წამოუხურდა, თითქოს ცეცლი წაეკიდა, გული გამალებით უცემდა. სახეზე მოწოდილი სისხლი საფეხულებს ასკდებოდა. ჩამოფრენილ მგზავრთა ზურგს უკან გამოსასვლელ ბარიერთან ინდაურზე უფრო დიდი წითელი ფერის ფრინველი შემოფრინდა, რომლის მსგავსი არსად ენახა. მას მეორეც მოჰყვა, მერე მთელი ჯგუფი. ამაზრზენად და ავისმომასწავებლად ჩხაოდნენ და შხუილით დაქროდნენ. დარბაზი თითქოს წითელი საღებავით გადაიდლაბნა. მფრინავი ურჩხულები ფრენასა და ჩხავილს არ დასჯერდნენ, მგზავრებს მიეტანნენ და მათზე დაიწყეს ნადირობა. თავზე დასჩხაოდნენ, სახესა და თვალებს უკორტნიდნენ. დარბაზი პანიკამ მოიცვა, ხალხი გასასვლელს მიაწყდა. ჩქარობდნენ, კიოდნენ, იგინებოდნენ, იქყლიტებოდნენ და ერთმანეთზე გადადიოდნენ. მოხუცს თავზარი დასცა ფრინველთა მოულოდნელმა მეტამორფოზამ, ჩონჩხადქცეულ, ადამიანის მსგავს მფრინავ არსებებად რომ იქცნენ. ხელში ორლესული ეჭირათ, სისხლის გამყინვად წიოდნენ და თავზარდაცემულ ხალხს მუსრავდნენ. ერთმანეთში აზელილი ხალხი ყვიროდა, კვნესოდა და სისხლის გუბეებში ცურავდა. ბავშვები! – გაუელვა

თავში. წინ გავარდა, შვილს ბავშვები გამოსტაცა, გულში ჩაიკრა, ლაპადა შემოახვია, კედლისაკენ გახოხდა და მათთან ერთად იატაქზე განერთხა. ისევ ფეხზე წამოვარდა, დაიყვირა – დაწექითო! ბავშვები ფეხებს შორის მოიქცია და კედელს აეკრა. ხორცულების სახეგასისხლიანებული დემონი მისკენ ისარზე უსწრაფესად მოფრინავდა. კედელზე აკრულმა ბაბუამ წინ წამოიწია და მფრინავ სიკვდილს მახვილზე აუკრა ხელი. წონასწორობა დაკარგული მტაცებელი კედელს შეენარცხა და კვამლივით ჩამოიშალა, მერე რეტდასხმულივით აწივლდა, მანათობელ ბირთვად იქცა და დარბაზის ბოლოსკენ გაშეუილდა. ბაბუამ ჩაიმუხლა და ის იყო, ბავშვებს უნდა გადაფარებოდა, უმწვავესმა ტკივილმა რომ ფეხზე წამოაგდო. ზურგში ჩაცემული მახვილი მკერდის მხარეზე გასულიყო. ერთხანს კიდევ იდგა ფეხზე, უაზროდ მოავლო თვალი ჯოჯოხეთურ ვაკხანალიას, მუხლები მოეკეცა და წონასწორობადაკარგული იატაკს დაენარცხა. ატორტმანებული დარბაზიც ამოყირავდა და მახვილგაყრილ მოხუცს თავზე დაემხო.

თეთრ პალატაში უზარმაზარ საწოლზე, შუახანს გადაცილებული სპეტაკულუროსანი, მთლად გაჭალარავებული მამაკაცი იწვა. მზის პირველმა სხივებმა ფანჯრიდან მორიდებით შემოიჭყიტეს, იქაურობა მოათვალიერეს, მერე ყველა კუთხე-კუნჭული თამამად შემოირბინეს და ფერმიხდილი მოხუცის სახეზე ათა-მაშდნენ. ჯიუტად დასცექროდნენ, მანამ არ მოისვენეს, სანამ მოხუცმა თვალი არ გაახილა. სხივმა თვალი მოსჭრა მოხუცს, ხელი წამოსწია მოსაჩრდილებლად, მაგრამ თვალებამდე ვერ მიაწვდინა. მზის მოციქულებმა პირზე ხელაფარებით ჩუმად ჩაიკისეისეს, ერთხელ კიდევ მოაჭუტინეს წვეროსანს თვალი, საქმე მოთავებულად ჩათვალეს და გამხიარულებული მოპირდაპირე კედელს მიებჯინნენ. ბერიკაცმა გამოძინებული კაცივით გემრიელად დაამთქნარა, გაიზმორა და ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ სხეულს ძვრა ვერ უყო. არტახებ-გადაკრული ჩვილივით იწვა. ირგვლივ მიმოიხედა, გარემო ეუცხოვა, ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. ნეტავ, სად ვარ, აქ როგორ მოვხვდიო, გაიფიქრა და გაუკვირდა, სარეცელზე

რომ იწვა უამრავ სადენში გახლართული. თვალი ჭერს მიაპყრო, საიდანაც ისიფერი მანათობელი შუქი დასცექეროდა, რომელიც მომძლავრებული დღის სინათლის გამო გაბაცებულიყო და გაფერმკრთალებულიყო. თავს ძალა დაატანა და ისევ მოინდომა წამოდგომა, საწოლი შეტოვდა და აჭრიალდა.

— ფრთხილად, ფრთხილად! — შემოესმა წაცნობი და აკანკალებული ხმა, — დიდება შენდა, უფალო, მშვიდობა შენს მობრუნებას!

წაცნობი ხმისკენ თავი მიაბრუნა მოხუცმა, სახეგაბადრული, გაოცებული და ღიმილადქცეული ვაჟიშვილი უახლოვდებოდა. კიდევ გაიმეორა, მშვიდობა შენს მობრუნებასო, აღტაცებულმა და მოულოდნებული სიხარულით თავდაკარგულმა, მუხლზე დაიჩოქა და ცრემლმორეული მამას მკერდზე ეამბორა.

- სად ვარ, შვილორ?
- აქ, აქ, ჩვენთან, სახლში.
- სად სახლში?!

— თბილისში, თბილისში! — ძლივს მოუყარა თავი სიტყვებს სიხარულით აღტყინებულმა შვილმა.

ბერიკაცმა თვალები წამიერად დახუჭა და ისევ გაახილა.

- ხო, მამა, თბილისში! — იმეორებდა გახარებული ვაჟიშვილი.

ბურანიდან ჯერ კიდევ საბოლოო გამოუსვლელს აკვირვებდა შვილის მოქარბებული ემოცია და თავისი მდგომარეობაც. როდის-როდის, ისევ ამოილო ხმა.

- რა ხდება, შვილო, ჩემს თავს?

ეს არ ჰგავდა მამის ცნობილ ფოლადნარევ ხმას. ეს რაღაც მიღმიური, მშვიდი, ინტერესით დატვირთული ხმა იყო.

— ახლა ყველაფერი კარგადაა, ძალიან შეგვაშინე. აეროპორტში ცუდად გახდი, დავარდი, იატაკს თავი დაარტყი და გრძნობა დაკარგე. — სხაპასხუპით პასუხობდა შვილი.

— აეროპორტში?! — გაიკვირვა და თვალი დახუჭა. რაღაც შხუილის მსგავსი ხმა შემოესმა, მისკენ მფრინავი ურჩხული მოისწრაფოდა. მსწრაფლ გაახილა თვალი, წამოიწია და გულზე იტაცა ხელი. ვაჟიშვილი დაფეხებული წამოვარდა.

- რა მოგივიდა, მამა, ცუდად ხარ?!

– არა, შვილო, არა. – სნეულმა პალატას ყურადღებით მოავლო თვალი. ფანჯარას, რომლის მიღმა ქარი სამოსშემოცლილი ხეების ტოტებს ატორტმანებდა. ისევ პალატას მიუბრუნდა მზერით. სვეტებად ჩამოშლილ მზის შუქში მტვრის ნაწილაკები რეტდასხმულივით ირეოდნენ... დაუინებით უცქერდა მზის შუქს. თითქოს რაღაც გაახსენდა. – მხოლოდ მზის შუქს ვხედავდი, ბაგეები შეარხია მოხუცმა, მხოლოდ მზის შუქს, მზის შუქი და მეტი არაფერი. – ისევ ჩაფიქრდა. გონებას აწვალებდა, რაღაცის გახსენება უნდოდა, მაგრამ ვერ იხსენებდა.

– ჩვენ კი, მამა, ერთი კვირაა მზის შუქი სანატრელი გაგვიხდა. ერთი კვირაა გადაუღებლად წვიმს, დღეს გამოანათა მზემ.

– დღეეს? – იკითხა მამამ.

– ხო, დღეს.

– ჰოდა, მეც მაგ მზემ მომიყვანა.

შვილს ბუნდოვნად მოეჩვენა მამის ნათქვამი, მაგრამ მის მომღიმარ სახეს რომ ნააწყდა, აღარ ჩაძიებია.

– ხო, იმას ამბობდი, აეროპორტში ცუდად გახდიო.

– გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე გრძნობა დაკარგე. სულ არაფერი არ გახსოვს? საკვირველია პირდაპირ.

ბერიკაცმა გონება დაძაბა, თავი უმწეოდ გადაიქნია და თქვა:

– თუ რაღაც უსახურ ლანდებს არ ჩავთვლით, სიბნელეს, მერე მზემ გამოანათა და მზის მეტი არაფერი ყოფილა.

– ჩვენ კი ძალიან დავიბენით, შევშინდით. ვიღას ახსოვდა ევროპა. ადგილობრივი სამედიცინო პერსონალი დაგვეხმარა ძალიან. მიუხედავად დიდი მცდელობისა, რომ ვერაფერი მოგიხერხეს, სასწრაფო გამოიძახეს. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ აქ მოგიყვანა, ცენტრალურ კლინიკაში. თავს გევლებოდნენ, მაგრამ გრძნობაზე მაინც ვერ მოდიოდი.

– რაო, ექიმებმა, რა სჭირსო?

– ძლიერი სულიერი აღელვების ფონზე გულის უკმარისობა დაგემართა, დაცემისას თავიც დაგიზიანდა. მთელი ეს დღეები სისტემაზე იყავი შეერთებული. თავდაპირველად სუნთქვაც გიჭირდა. ორი დღის შემდეგ აპარატის გარეშე დამოუკიდებლად

სუნთქავდი. თქვეს, დაცემის გამო ტვინის შერყევა მიიღო. სურათიც გადაგილეს, ჩაქცევა არ ჩანსო. არც ტიპიური, კლასიკური კომატოზური მდგომარეობა არისო. ხელ-ფეხს ამოძრავებდი, ხანდახან ბორგავდი კიდეც, მაგრამ გონს ვერ მოდიოდი. სხეულის ყველა ორგანო ჯანმრთელი აქვსო და უკვირდათ, ცნობიერება რომ არ გიბრუნდებოდა, დაველოდოთო.

– რას დაველოდოთო!

– რა ვიცი, დაველოდოთო, ასე ამბობდნენ.

ბაბუას ისევ ღიმილმა გაუნათა სახე, ფერიც მოემატა, თითქმის მთლიანად გამოვიდა ბურუსიდან. ხელი წამოიღო თავისკენ, ალბათ, მოსაქექად, მაგრამ ვერ მიაწვდინა.

– თუ ღმერთი გწამს, ეს მავთულხლართები მომაშორე, ასე მგონია, ბადეში ვარ გახლართული.

– მოგაშორებენ, მამა, მოგაშორებენ. ისე ჯანსაღად გამოიყურები, კაციშვილი ვერ შეგამჩნევს, თუ ოდესმე ავადობდი. გულს უკეთებდა შვილი მამას.

მამამ წაუყრუა ნათქვამს. მოცოცხლებულმა რიხიანად, ძველებურად იკითხა:

– ჩვენები როგორ არიან, თითქოს მის თავს არც არაფერი მომხდარიყო.

აი, ეს უკვე ნამდვილი მამაჩემია, გაიფიქრა ღიმმორეულმა და გახარებულმა შვილმა.

– ჩვენებს რა უჭირთ, შენი მდგომარეობის გამო იყვნენ შეწუხებულნი, ზრდასრული ხალხია, ესმოდათ ყველაფერი. მაგი რა და, ბავშვებმა კი ძალიან მოგისაკლისეს, სულ ბაბუაბაბუას გაიძახოდნენ, აუხსენი, თუ ბიჭი ხარ. დღესვე მოგხსნიან, ალბათ, მაგ სადენებს და პალატაში გადაგიყვანენ, მოვიყვან და გაჩვენებ.

– არავითარ შემთხვევაში, საავადმყოფო არ არის ბაშვებთან შესახვედრი ადგილი. მე ანი ალარაფერი მიჭირს, სახლში მოვალ და იქ შევხვდებით.

უყურე შენ, როგორ მოყოჩალდა! ხომ არაფერს გვატყუებდა ნეტავ? – გაიფიქრა შვილმა. ამნაირი ტყუილი? არა, არა, შეუძლებელია... და იმ წამსვე უკუაგდო უკულმართი აზრი. ბაბუა კი

იისფერ მანათობელ შუქს გასცეკეროდა, ღიმილი ეფინებოდა სახეზე. მოულოდნელად, უეცრად ხმამაღლა წამოიძახა:

– ხომ ვამბობდი, ხომ ვამბობდი... – ისე ხმამაღლა შეჰყვირა, შვილი შეაკრთო.

– რას ამბობდი, მამა, რას ამბობდი?

– არაფერს, არაფერს, ნუ გეშინია! – ჩაჩუმდა კაცი.

რა უცნაურად იქცევა. ნეტავ, რა სჭირს ამ კაცს. ბაბუამ კი თვალები ისევ შვილს მიაპყრო და თქვა:

– გააგრძელე, გააგრძელე, რაღაცის თქმას აპირებდი.

ბიჭი დაიბნა. რის თქმას აპირებდა, აღარც ახსოვდა. მერე უცებ გამოერკვა, ვითომ გაახსენდა.

– პირველი, რაც შენთვის, დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა, ის არის, რომ, – შვილი შეყოვნდა. ერთნამობას შეავლო თვალი და გაიფიქრა, არ აღელდეს, კიდევ არაფერი დაემართოსო, მაგრამ რადგან უურადლებით და მომლოდინე სახით უსმენდა მოხუცი, განაგრძო, – ერთი სული მქონდა, როდის მოხვიდოდი გონს, რომ შენთვის ეს ამბავი მეხარებინა, მეტად სასიხარულო ამბავი – ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მიმიწვიეს სამუშაოდ, აღარ-სად მივდივართ.

– რაა! – გაიკვირვა მოხუცმა.

– ჴო, ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში!

– აკი, აქ არავის ვჭირდებიო?! ხომ ვამბობდი! – წამოიწყო მწოლიარემ ისევ მხიარულად, მაგრამ შვილის გაოცებულ სახეს რომ შეხედა, იმ წამსვე მოკუმა ბაგეები.

აუწერელმა სიხარულმა დარია მოხუცს ხელი, ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გადაეხარხარა, მაგრამ შვილი ებრალებოდა, ჭუუაზე გადამცდარი ვეგონებიო. კუშტი სახის, სიტყვა-ძუნნ მოხუცს სიხარულის ათინათი დასთამაშებდა. უკვირდა შვილს მამის სწრაფი ფერისცვალება.

– ასეთი მხიარული და გაბრწყინებული სახე აღარც მახსოვს, მამა, ბოლოს როდის გქონდა.

– ალბათ, წამლების ბრალია, შვილო, რაც მე აქ ალბათ წამ-ლებს მიშეუპუნებდნენ. მაგის ბრალი იქნება უეჭველად. შენ რა გაკვირვებული მიყურებ! სულ მსაყვედურობდით, წარბი გახსენ

და წარბი გახსენო. ა, გავხსენი წარბი და შეშფოთებული დამყურებ თავზე. – მერე ისევ განაგრძო ღიმილიანმა, – გარაუები?

მორჩა უკვე, მთლად საჩვენოსკენაა, – გაიფიქრა შვილმა. თქმით კი გაოცებულმა ჰკითხა:

– რა გარაუები, მამა!

– ხო, გარაუები, სამლებრო, კაცო, რა გაგიკვირდა?

– გადამრევს ეს კაცი, რა დროს გარაუებია! სულ დამავიწყდა, ექიმებმა გამაფრთხილეს, როცა გონს მოვა, ბევრი არ ელაპარკოთო, არ გადაღალოთო, დიდი ემოციები მავნე იქნება მაგის ჯანმრთელობისთვისო.

– პირიქით, შვილო, პირიქით, მეყოფა, რაც ვდუმდი. გულწრფელად გეუბნები, ასე კარგად მე არასოდეს ვყოფილვარ, რადგანაც გამოვძვერი, ალბათ, ჯერ კიდევ საჭირო ვარ.

ვაუი შეყოვნდა, ჭოჭმანობდა, ეთქვა, თუ არა კიდევ რამე.

– კარგი, გეტყვი... სამლებრო გაინტერესებდა. შენი დაწყებული საქმე მეზობლებმა დააგვირგვინეს. მთელი სამი კორპუსის მაცხოვრებლები მიაწყდნენ იმ დაწესებულებას, შენ რომ წერილით მიმართე. გადაკეტეს ყველაფერი და სამუშაოდ არ უშვებდნენ არავის. გაჰყვირდნენ, თქვენმა უსულგულობამ კაცი კინალამ ქვეყნიდნან გააქცია და ახლა სიკვდილს ებრძვისო. როგორც იქნა, იკადრეს მოსვლა და იქაურობა დალუქეს.

– მართლა, კაცო? – კიდევ უფრო გახალისდა მოხუცი, – გულს ხომ არ მიკეთებ?

– მართლა, მართლა, გამოხვალ და შენი თვალით ნახავ.

აქ კი უკვე თავი ვეღარ შეიკავა და ისე გულიანად ახარხარდა, საწოლმა რყევა დაიწყო, მოძალებულ სიხარულის ცრემლებს კი ხელუკულმა იწმენდდა.

– ხომ ვამბობდი! ხომ ვამბობდი! – წამოიწყო ისევ.

– რას ამბობდი, მამა? იქნებ ბოლოს და ბოლოს, გამახსენო!

– ძლივს ამოთქვა ანურულმა, შეშინებულმა და გამშრალმა ვაჟმა.

– „მაგრა ლმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსო, –“ და ისევ განაგრძო ხარხარი.

კაცი ისე გულიანად და გადამდებად ხარხარებდა, ვაჟსაც

მოერია ღიმილი და მერე ისეთ ხარხარში გადაეზარდა, რომ არ წაქცეულიყო, სკამზე ჩამოვჯდა.

- ეს რა მეტაკა, კაცო? ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიცინია.
- სულს ძლივს ითქვამდა მოხუცი. მორჩა, მორჩა, გათავდა, სიცოცხლის ზეიმია, შვილო, ჩემი დაბრუნების ზეიმი. ნუ გაქვს მასეთი გაკვირვებული სახე, დამშვიდდი და შენი ნაქები ექიმები მომიყვანე, იქნებ ეს სადენები მომაშორონ.

ვაჟი წამოდგა, კარს მიაშურა და თან ფიქრობდა, რაღაც მთლად ისე ვერაა, მგონი, საქმე. ის-ის იყო, კარი გაიხურა, ბაბუამაც წამოინია საწოლიდან, დინჯად და დაკვირვებით კიდევ ერთხელ შეათვალიერა მისი სამყოფელი, ფანჯრის მიღმაც გადასწვდა მზერით. მომძლავრებული ქარისაგან მოქანავე ხეები კარგი შეყვარებულებივით მალიმალ ეხუტებოდნენ ერთმანეთს. ბაბუა ექიმებს ალარ დალოდებია, დინჯად მოიშორა სადენები, ფეხები ჩამოუშვა საწოლიდან, წამოდგა, ცოტა ხანს შეყოვნდა და ღიმმორეულმა ჩუმად ჩაიღილინა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსო.“ მერე პირჯვარი გადაინერა და ფრთხილი წაბიჯებით გასასვლელს მიაშურა...

2018 წელი, თბილისი

აკამი



ეკალი

ძალიან უჭირდა გადაადგილება ნორჩ, ნაზ და მზედაუკრავ თოთო წვერს. უჭირდა მიწის ლაპირინთებში გზის გაკვალვა და ძრომიალი. ვერაფერს ხედავდა. ბრმად მიიწევდა წინ. შორი-დან უხილავის ძახილი ჩაესმა – ჩემკენ წამოდი, ჩემკენო. რა თქმა უნდა, ვერ ხედავდა, მაგრამ ხმას გუმანით მიჰყეა. რაღა-ცას თავით შეეჯახა, მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. შეყოვნდა და ჩამოსვენა, მერე ისევ შეტოვდა და მიაწვა. ამაო იყო წადილი, მოიქანცა, არაქათი გამოელია. ისევ ხმა ზემოდან – გვერდი აუქციე და გააგრძელე შეჭიდებაო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ძალუმად მიაწვა ნორჩი წიწვებით. კარგად გამოუვიდა და ზესწრაფვა გააგრძელა. ბნელი იცრიცებოდა, რაც ზემოთ მიიწევდა, უცნაურ სიმსუბუქესა და შვებას გრძნობდა. კიდევ ერთი გაბრძოლება, ერთი პატარა ბიძგი და მიწიდანაც ამოიწვერა.

უკიდეგანო სივრცემ, ჩახჩახა მზემ, თვალი მოსჭრა, თავი დაღუნა, შეშინდა და ისევ მიწაში მოინდომა ჩაძვრომა.

– მშვიდობა შენს მოვლინებას, ჩემო პატარა და საყვარე-ლოო. ნაცნობი ხმის გაგონებისას ისევ წამოსწია თავი. თვალებ-მოჭუტულმა ზემოთ აიხედა. უზარმაზარი ნაძვი დასცექეროდა ზემოდან. მოულოდნელად სიომაც ჩამოუბერა, აქა-იქ ნაადრე-ვად ჩამოცვენილი ფოთლები ააშრიალა და მიფანტ-მოფანტა. უზარმაზარმა ნაძვმა წიწვიანი ტოტები დაბლა ჩამოსწია და პატარას თავზე გადააფარა. ნიავმა კიდევ ერთხელ ჩამოიქრო-ლა და კორპუსებს მიღმა გაიძურნა. ნაძვის ხემ ნიავს აყოლილი ტოტები შეათამაშა, წელში გასწორდა და პატარას ჩამოსძახა:

– ასეთია, პატარავ, ეს სამყარო. კიდევ ბევრ რამეს ნახავ

და ბევრ რამესაც შეიმეცნებ. ახლა კი ცოტახანს დაისვენე და მეგობრებსაც გაგაცნობ.

ახლად ამოწვერილმა, ნორჩმა, ჯერ კიდევ უსუსურმა თავი ჩაღუნა და მიიძინა. ნიავისაგან მიწვენილი ლორთქო და ხასხასა ბალახნი წამოიშალნენ, ერთმანეთი შეავიწროვეს და პატარას ადგილი გამოუთავისუფლეს, რომ მზის მაცოცხლებელ სხივებს სასიცოცხლო ძალა და ენერგია გადაეცა ახალშობილისათვის. იქმა ლურჯი თვალები მორცხვად შეანათეს ჩვილს, მდაბლად დაუკრეს თავი და მიესალმნენ – მშვიდობა შენს მოვლინებასო. არც, თეთრი შარავანდედით გაბრწყინებულ ყვითელგულა გვირილებს შეურცხვენიათ თავი, წელში მოიდრიკნენ და ნაზად გადაუსვეს ხატულა, თეთრი გვირგვინი ნორჩ, სათუთ წიწვებზე. იასამანმა კი მთელ ქვეყანას გააგებინა მისი მოვლინება. კაკლის ხემ კენწეროდან გადმოხედა პატარას, ტანი შეარხია და მთელ სამეგობროს, პატარა ბალის ყველა ბინადარს გააგებინა თან-ამოძმის მოვლინება.

აშრიალდნენ ლელვები, ჭერმისა და ნუშის ხეები და დედა ნაძვს ულოცავდნენ პატარას დაბადებას. დამორცხვებული და ალელვებული დედა ნაძვი კი მზრუნველად დაჰყურებდა პატარას და ტოტების შერხევით ყველას მადლობას უხდიდა. ამდენმა ჩურჩულმა და გადაძახილმა პატარა გააღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და მაღლა აიხედა. გამხიარულებული და სახე-გაცისკროვნებული დედა მალიმალ შეარხევდა ხოლმე ტოტებს და სიყვარულისაგან ცრემლმორეული შორიდან ეალერსებოდა პირმშოს.

პატარა კი ნელა-ნელა ეჩვეოდა ახალ გარემოს. ყველანი გა-იცნო. უკვირდა, ახალისებდა და თან აკრთობდა ყველაფერი. განსაკუთრებით დედის მხრებზე ჩამომსხდარი და საამოდ მგალობელი ყვითელნისკარტა შაშვები მოეწონა. ყოველ დილით, სანამ მზე თავის მაცოცხლებელ სხივებს გამოუშვებდა დედა-მიწაზე, ურუანტელის მომგვრელი გალობით ატკბობდნენ პატა-რა ბალის ბინადრებს. ყველანი ეხვენებოდნენ, – არა, ჩემთან ჩამოისვენე, არა, ჩემთან! ისინიც გულს არავის წყვეტდნენ, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც დედის მხრებზე ჩამოსხდებოდნენ

ხოლმე და იწყებდნენ საოცარ, ხმატკბილ, მომაჯადოებელ მღერა-გალობას. პატარას ძალიან უხაროდა და ფიქრობდა, ასეთი პატარა რომ ვარ, ალბათ, მე მიმღერისო. ერთი, როდის გავიზრდები, რომ ჩემს მხრებზეც ჩამოისვენონ და იგალობონო.

არც ბეღურები აყოვნებდნენ დიდხანს, შეესეოდნენ ბალახს და მოუსვენარი თავის ქიცინით საზრდოს დაეძებდნენ. ისინიც თავისებურად გალობდნენ, ჟივუივებდნენ. ისე ხმატკბილად ვერა, მაგრამ მაინც სასიამოვნო მოსასმენი იყო. ერთხელ კაჭკაჭებიც მოფრინდნენ და ისეთი ჩხავილი ატეხეს, გულგახე-თქილმა არ იცოდა, სად დამალულიყო. კიდევ კარგი, მალე გაფრინდნენ. ყველაზე მეტად ფრთახატულა პეპლების მოფრენა უყვარდა. ჩამოსხდებოდნენ მონაცვლეობით მის ნაზ მხრებზე და სახეს უნიავებდნენ. რამდენი არ ეცადა, ვერაფრით გაარკვია ფერთა რაოდენობა, – მთელი სამყაროს ფერებს მათ ფრთებზე დაევანა.

დღეები დღეებს მისდევდა, პატარამაც იწყო ზრდა. ბალახს უკვე ზემოდან დასცექეროდა. პატარა ბალის თითქმის ყველა ბინადარი გაიცნო. ყოველ გათენებულ დღეს შეჰქაროდა. მზის ამოსვლისთანავე იწყებდა ბალი ფუსფუსს. სხვადასხვა გვარის, მინისა თუ მინისზედა არსებები ბზუილითა და ფუსფუსით იკლებდნენ გარემოს. ჭიანჭველები აკვირვებდა განსაკუთრებით. ნეტავ, სად დარბიან მთელი დღეები წინდაუკანო? ზოგიერთი მათგანი ზედ შეაცოცდებოდა ხოლმე, მთლად წვერომდე ადიოდნენ. მერე უკანა ფეხებზე დადგებოდნენ, იქაურობას მოათვალიერებდნენ და კისრისტებით ისევ თავქვე ეშვებოდნენ. ელიტინებოდა მათ ბოჭიალზე და ლიმილი ეფინებოდა. ბოლო დროს ჭიამაიამ მოუშირა სტუმრობას, დღეს არ გააცდენდა, შეჰქვებოდა ვიწრო ბილიკს, ბოლოსნინა მოქანავე ტოტზე წამოსკუპდებოდა ხოლმე და მზეს ეფიცხებოდა. დიდხანს იქაც ვერ ჩერდებოდა, ახლად გაღვიძებულივით გააზმორებდა, წამოიმართებოდა, პატარა ფრთებს მაღლა აბზეკდა და სივრცეს შეერწყმებოდა.

მზის ყოველ ამობრძანებას ბალის მესვეურნი ზარზეიმით და ტაშით ხვდებოდნენ. სიბნელისაგან მოწყენილი ხე-მცენა-

რეები, ბალახი და ყვავილები პირველი სხივის გამოჩენისთანავე თავს წამოწევდნენ და შეთრთოლდებოდნენ. მათზე დავანებული, მზის სხივებით აციაგებული ცვარ-ნამი კი ერთმანეთის მიყოლებით მთიდან დაშვებულ მოთხილამურესავით მხიარული ყიფინით ეშვებოდნენ მინაზე.

იმ დღესაც საერთო მხიარულებაში ჩაბმული პატარა უჩვეულო ხმამ გამოაფხიზლა. უჩვეულო იყო მისთვის, ყველა ხმისაგან გამორჩეული. ორი ხმა იყო, ერთი ბოხი, თითქოს უღრიალა, ხოლო მეორე – ნაზი და წკრიალა, მერცხალივით მოჭიკჭიკე. თავი წამოსწია და ხმებისკენ გადაიტანა ყურადღება. ხეებს ჰგავდნენ, ერთი ტანმსხვილი, ხოლო მეორე – პატარა და ნორჩი. ყველაზე მეტად კი იმან გააკვირვა, რომ ხეები გადაადგილდებოდნენ. შეკრთა, თავბრუ დაეხვა და შეშინებულმა დედას ახედა. დედამ შეამჩნია შვილის შეკრთომა, ტოტები დაბლა დაუშვა, მოეფერა და ჩასჩურჩულა: – ნუ გეშინია, ადამიანები არიან, ეგენი არიან ჩვენი ბატონ-პატრონებიო.

ბაბუა და შვილიშვილი ბალის ვიწრო ბილიკზე მოაბიჯებდნენ. პატარას ხელი ჩაეჭიდა ბერიკაცისათვის, ირგვლივ ყოველივეს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, გაუთავებლად ტიტინებდა და კითხვებს კითხვებზე აყრიდა:

- ეს რა არის, ბაბუ?
- ეს კაკლის ხეა, ბაბუ, ფოთოლუხვი და ტოტებგაშლილი შესანიშნავი საჩრდილობელია ზაფხულის აუტანელი ხვატის დროს. ნაყოფიც შესანიშნავი აქვს, ყველა კერძს აგემრიელებს, ქვასაც კი, – ღიმილით დააყოლა ბოლოს.

პატარა კი ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა, ხელიდან უსხლტებოდა. ხან ერთ ხესთან მიირბენდა, ხან მეორესთან, ხან ყვავილებთან ჩაიჩოქებდა და ტიტინს აგრძელებდა, – ეს რა არის, ეს რა არისო? დაუღლელად ერთს და იმავე კითხვას სვამდა. ბაბუაც დაუზარებლად პასუხობდა. ისევ დაუსხლტა პატარა ბერიკაცს და კაბის ფრიალით ბალის ბოლოსკენ გაიქცა.

– ნელა, შვილო, ნელა, არ დავარდე, ძლივს მოგიშუშდა მუხლები, კიდევ არ დაიზიანო!

პატარა შეყოვნდა, ჩაიცუცქა, პეპლებით მოხატული ჩითის კაბა კოჭებამდე ჩამოიწია და ჯოხით მიწის ჩიჩქნა დაიწყო. ჩიჩქნიდა მიწას და რაღაც ფიგურები გამოჰყავდა.

მისი ყურადღება ჭიანჭველების ჯგუფმა მიიქცია, რომლებიც ჩამწერივებულიყვნენ და ერთმანეთის მიყოლებით პანაზა ფეხებით წინ და უკან დარბოდნენ. ნეტავ, სად გარბიანო, გაიფიქრა და თვალი გააყოლა. ჭიანჭველები კი მწყობრი ნაბიჯით, ერთი მეორის მიყოლებით მიწას ახლად აცდენილი ნაძვისკენ მიისწრაფვოდნენ. აცოცდებოდნენ ზედ, მერე ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

- ბაბუ, ბაბუ, მოდი, ნახე!
- რა იპოვე, შვილო?
- მოდი, ბაბუ, მოდი!

ბაბუა პატარასთან ჩაცუცქდა და იქაურობას თვალი შეავლო.

– ჭიანჭველები არიან, ბაბუ. ჭიანჭველები, ძალიან შრომისმოყვარე არსებები, საზრდოს დაექცებენ, როგორც ყოველი სულიერი. შესაშური შრომისმოყვარენი არიან. ნეტავ, ასეთი შრომისმოყვარენი კაცთა შორისაც ბევრნი იყვნენ. სოლომონ ბრძენი, კიცხავს რა ზარმაცებს და მცონარებს, ამბობს: „იქმენ ვითარცა ჭიანჭველი, ჰოი, მცონარეო, და ბაძვიდე გზათა მისთა და იქმენ უბრძნეს მისა...“ მაგრამ ეს საიდან გაჩნდა? როდის გაჩნდა? ბიჭოს! ახალი ნევრი შემატებია ბალის საძმოს, – ჩაეღიმა ბერიკაცს.

ნაძვი შეკრთა, შეშინდა და აიწურა. დედა ნაძვიც ლელვა-შეპარული დაჲყურებდა მოფუსფუსებს.

– ბაბუ, ახალი სიცოცხლე შეემატა ჩვენს ბალს, შენსავით პატარაა და ყურადღება სჭირდება. მოდი, ახლა ჩვენ ყველა საქმე გადავდოთ და პატარაზე ზრუნვა დავიწყოთ. შენ აქ დამელოდე, მე სახლში ავირბენ და საჭირო ინსტრუმენტებს მოვიტან. უნდა შემოვუბაროთ, ჭიგოც დავუსვათ და შემოვლობოთ, რომ ვინმემ შემთხვევით ფეხი არ დაადგას და არ დააზიანოს. ხე-მცენარეები ჩვენი სიცოცხლეა, ხეები და სხვა მწვანე საფარი ყველა სულიერისათვის სასიცოცხლო უანგბადს გამოყოფს, მათ გარეშე დედამიწა მკვდარ პლანეტად იქცევა. რომ გაიზრდები,

მერე უკეთ მიხვდები ყველაფერს. ნათქვამია, ადამიანმა მის სიცოცხლეში ერთი ხე მაინც უნდა დარგოსო.

მალე ბაბუამ თოხი, ჭიგო, პატარა თოკი, წყლიანი ჭურჭელი მოიტანა და საქმეს შეუდგა. შემოუთოხნა, ჭიგო დაუსვა, მერე თოკით ნაზად დაამაგრა და წყალიც დაუსხა.

— ამას ჰქეია, ბაბუ, გაკეთებული საქმე. დღეს გვეყოფა, ხვალიდან კი დღეგამოშვებით მოვრწყავთ, მალე ტანსაც აიყრის. ამ სამყაროში ყველაფერს ზრუნვა სჭირდება და ეს მისია ღმერთმა ადამიანს დააკისრა, გაიგე, ბაბუ?

— კი. — უპასუხა სხარტად პატარამ და გადაიკისკისა.

ბაბუას გაელიმა, პატარა ხელში აიტაცა და ვიწრო ბილიკს გაუყვა. შემკრთალმა და შეშინებულმა პატარა ნაძვმა შევბით ამოისუნთქა. ძალიან ეშინოდა, რამე არ დამიზიანონ. არც მათი საუბრიდან ესმოდა რამე. პატარა გოგო კი ძალიან მოეწონა, — როგორი ნაზი თითები ჰქონია, როგორ მისვამდა თითებს, იქით მეშინოდა, არ ვუჩხვლიტო-მეთქი. სტუმრების წასვლის შემდეგ დამშვიდებულმა დედა ნაძვმა ტოტები დაბლა დაუშვა, პატარას მოეფერა და გაუმეორა:

— ესენი ადამიანები არიან, სამყაროს ბატონ-პატრონები. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, ნუ შეგეშინდება, მიეჩვევი და მათ საუბარსაც მალე გაიგებ.

იმ დღის შემდეგ ბაბუა და შვილიშვილი თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ, მინას უფხვიერებდნენ, სარეველებისგან წმენდნენ და მორწყვასაც არ აკლებდნენ პატარა ნაძვის ხეს. შრომა არასოდეს იკარგება უკვალოდ. ყოველთვის გამოაქვს ნაყოფი. ნაძვმა სწრაფად აიყარა ტანი, მოღონიერდა და ტოტებიც გაუხშირდა. ისე დამშვენდა, რომ საახალწლოდ კოხტად მორთეს, ზედ ათასგვარი ბრჭყვიალა, მანათობელი სათამაშო ჩამოკიდეს, რომლებიც ღამდამობით თვალისმომჭრელად ციალებდა. ყველას უხაროდა, განსაკუთრებით ბავშვებს. მათი ყიუინა ნაძვსაც დიდ მხიარულებას ჰქვრიდა, მაგრამ ყველაზე მეტად ნაძვს ის უხაროდა, რომ მის ტოტებზე ფრინველებმა დაიწყეს დაბუდება. დილით კი, სისხამზე, მომაჯადოებელი გალობა-სიმღერით ეგებებოდნენ განთიადს.

დრო გადიოდა, დღეები დღეებს მისდევდა. ყველაფერი მბრძანებლური ბუნების კანონს ემორჩილებოდა. ნაძვიც იზრდებოდა, ტანი უმსხვილდებოდა და ტოტებიც უხშირდებოდა. მოზარდი ნაძვის ხე პატარა ბალის სრულუფლებიანი და ღირსეული წევრი გახდა. ყველაფერს შეეჩვია, შიშისაგანაც განთავისუფლდა. ყოველ დღეს ხალისი და სიხარული მოჰქონდა მისთვის.

იმ დილით შაშვების საამო გალობა-გადაძახილმა გააღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, გააზმორა. ჯერ მზეს მიაპყრო მზერა, მდაბლად დაუკრა თავი, მხრები შეათამაშა და მერე ძირს დაიხედა. ყველა თავის საქმეს შედგომოდა. ის იყო, დედას უნდა შეხმიანებოდა, რომ მისი თვალხედვის არეში სრულიად ახალი, ახლად ამონწვერილი მცენარე მოხვდა. გაიფიქრა, ხომ არ მეჩვენებაო. თვალები მოიფშვნიტა და კარგად დააკვირდა. არ შემცდარა, მართლაც, ახალი მცენარე შემატებოდა პატარა საძმოს. ძირს დაიხარა, პატარას შეეხმიანა:

– ვინ ხარ შენ და აქ საიდან გაჩნდი?

მოყავისფერო-მომწვანო ნაზფოთლიანმა მცენარემ ნორჩი ფოთლები შეარხია და თავდახრილმა მორცხვად უთხრა:

– არ ვიცი, ვინ ვარ და არც ის ვიცი, აქ საიდან გავჩნდი. – შიშისგან აიწურა და სატირლად მოემზადა.

ნაძვს შეებრალა პატარა, დაუყვავა, მიეფერა, მერე ჩაფიქრდა, – თავისი პატარაობის ლანდებმა გაირბინა მის თვალნინ. დაბლა დაუშვა ტოტები და პატარას ალერსიანად უთხრა:

– ნუ გეშინია, ჩვენ ყველანი შენი მეგობრები ვართ, ნელნელა ყველას გაგაცნობ. მერე მაღლა აიხედა და დედას მიმართა, – დედა, ერთი შეხედე, სრულიად უცნობი სახეობის თანამოძმეშეგვემატა. ხომ ვერ მეტყვი, რა ჰქვია?

დედამ მაღლიდან გადმოხედა.

– ვერ ვხედავ, შვილო, კარგად რომ წამოიზრდება, მერე გამოვიცნობ. შენ ყურადღება არ მოაკლო, გაართე, ესაუბრე. ხომ იცი, პირველი ნაბიჯები ყოველთვის რთულია. თან ბალის ბინადარნი გააცანი. ნაძვი დაუმეგობრდა პატარას, ქარსა და წვიმაში თავის ტოტებს გადააფარებდა ხოლმე, ზრუნავდა მასზე

და ახალ ცხოვრებას აცნობდა. ნელ-ნელა ბალის ყველა სტუმარ-მასპინძელი გააცნო.

ბალის ბინადართ უკვირდათ უცნაური ფორმისა და სახეობის მცენარის გამოჩენა, ეჭვნარევ მზერას დააყოლებდნენ და თან ფიქრობდნენ, – ნეტავ, ვინ არის, ან აქ საიდან გაჩნდაო. პატარასაც უკვირდა, მის მსგავსს რომ ვერ ხედავდა ბალში, ობლად გრძნობდა თავს და დედასავით მიეკედლა ნაძვს. ნაძვიც ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა, მაგრამ ერთი კი უკვირდა, ახალი მცენარე უსწრაფესად იზრდებოდა და უცნაურად იტოტებოდა. სულ მალე სიმაღლეში წამოენია, მერქანი გაუმსხვილდა, მხრებში გაიშალა და ისე გაიტოტა, რომ ირიბად დაფენილ ნაძვის ტოტებში გაიხლართა.

შენუხდა ნაძვი:

– ძმობილო, იქნებ როგორმე შენი ტოტები მომაშორო, სუნთქვა მიჭირს, ტოტებსაც ველარ ვამოძრავებ.

უცნობი სახეობის ხემ კი, რომელიც მის თავს უკვე ზემოდან მედიდურად დასცექროდა, გულარხეინად უთხრა: – რა ვქნა, მეგობარო, მე რა შემიძლია? როგორც ჩანს, მე სხვა ბუნების ვარ, სიყვარულსაც ასე გამოვხატავ და სხვანაირად არ შემიძლიაო.

დედაც შეაწუხა შვილის უმწეო მდგომარეობამ, მაგრამ ვერაფერს შველოდა. ერთ დღეს ნაძვის ხე უსაშველო ტკივილმა გამოაღვიძა. გვერდში ხანჯალივით რაღაც ერჭობოდა და საშინლად სტკენდა. თვალები მოიფშვნიტა და გვერდზე მდგომ ხეს გახედა, გახედა და შეცბა. უცნობი სახეობის ხე თითის სიგრძე ბასრი ეკლებით დახუნძლულიყო, ურჩხულს დამსგავსებოდა და შემზარავად გამოიყურებოდა. არა მარტო დედა-შვილი, მთელი ბალი გაოცებული და შეძრნუნებული შეჰყურებდა უცნაური ხის მეტამორფოზას. უცნობი სახეობის ხე კი უსწრაფესად იზრდებოდა, ლამის დედა ნაძვს გაუსწორდა სიმაღლეში. უფრო მეტად დაიტოტა, ისე გაიშალა მხრებში, სამზერი გადაუკეტა ბალის ბევრ ბინადარს და ჩრდილში მოაქცია. პატარა ნაძვს კი ისე ჩაეხუტა, ისე შემოაჭდო ეკლიანი მკლავები, ლამის დაახრჩო. განსაკუთრებით ქარის ამოვარდნისას ხდებოდა აუტანელი მისი

მდგომარეობა. მთელი ტანი დაესერა და ჭრილობებიდან სითხემ იწყო დენა. ეკლექტისაგან ტანდაჩევლეტილი ნაძვი მოიღუნა, წელში მოიდრიკა, წიწვებიც გაუხუნდა და ცვენა დაიწყო. საბრალობელი შესახედავი იყო. ბალის ბინადართა მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. შფოთავდნენ, – ვინ არის ეს გადამთიელი, საიდან გამოტყვერა, რა უადგილო ადგილას ჩაეკვეხაო. არ არის ეს ჩვენი ჯიშის და არც ამის ადგილი არის აქო, მაგრამ რა შეეძლოთ, დამწუხერებული მხოლოდ ფოთლებს აშრიალებდნენ და ასე გამოხატავდნენ თანაგრძნობას საბრალო ნაძვის მიმართ.

ის იყო, მზე გადასვლას აპირებდა, რომ ბალში ბერიკაცი და ახლად წამოჩიტული გოგონა შემოვიდნენ. გოგონა მხიარული ნაბიჯებით წინ უსწრებდა ბაბუას და ყოველ მცენარეს ცნობის-მოყვარე თვალებით ათვალიერებდა.

– ბაბუ, ბაბუ, მოდი, ნახე, ჩვენი ნაძვი რამოდენა გამხდარა! მაგრამ რას დამსგავსებია ბეჩავი, – თქვა ნალვლიანად, – როგორ მოღუნულა. ეს რაა, ბაბუა? რამდენი ეკალი აქვს, როგორ შემოხვევია ჩვენს ნაძვს! ნახე, რამდენი ეკალი ჩასობია საბრალოს.

ბაბუამ ჯერ ნაძვს შეხედა, მერე მის სულთამხუთავს, დანანებით თავი გადაიქნია და თქვა, – აქ რა ჯანდაბამ მოიყვანაო.

– ბაბუ, რა ჰქვია ამ ხეს?
– ბაბუ, მაგის ზუსტი სახელი მეც არ ვიცი. ისე, სოფელში ყველა რუსულ ეკალს ეძახის. ბავშვობაში დიდი სიფრთხილით ვუვლიდი გვერდს, ისეთი ბასრი ეკლები აქვს, ფეხსაცმელშიც კი ატანს. უნაყოფო და უსარგებლო ხეა, დასაწვავად თუ გამოიყენებ, ოლონდ იქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო. ზოგჯერ ღობის შესარაგვავადაც იყენებენ, მაგის ბასრ კლანჭებს ცხოველებიც კი უფრთხიან. ეგ რაც მაგ ხის შესახებ ვიცი. არ არის მაგის ადგილი აქ.

ბაბუა ჩაფიქრდა, დიდხანს უმზერდა ეკლიან ურჩეულს და ბოლოს თქვა:

– ასე არ გამოვა, ამ ნაძვს თუ არ ვუშველეთ, გახმება.
– როგორ უნდა ვუშველოთ, ბაბუ?

– რამეს მოვიფიქრებ, შვილო.

ნაძვის უმწეო მდგომარეობამ ცრემლები მოჰკვარა გოგონას.

მეორე დილით ბალის ბინადარნი უჩვეულო ხმებმა შეაშფოთა. ჯერ მანქანის გუგუნი შემოესმათ, მერე მანქანიდან მუშები ჩამოხტნენ და რაღაც დანადგარი ჩამოიღეს, დიდხანს უჩხიკინებდნენ, მასზე მიბმულ თოვს რამდენჯერმე ხელი გამოჰკრეს. დანადგარმა დაიგუგუნა, აფართხალდა, შემზარავი ხმა გამოსცა და დადუმდა. ისევ გამოჰკრეს ხელი, ამჯერად ჯერ ატყაცუნდა, მალე დგრიალში გადაიზარდა და იქაურობა დააკვამლიანა. შეშინებული ბალის ბინადარნი გაისუსნენ. ერთმა ახალგაზრდამ დანადგარს სადენი მიუერთა და ელექტროხერხი გამართა, რომლის ხმამ ტანში ურუანტელივით დაუარა ბალის ბინადართ. მერე კიბე მიადგა ეკლის ხეს და აცოცება დაიწყო. მწვანე ნარგავები მოიბუზნენ და ტანში გასცრათ.

– ფრთხილად, გიორგი, ფრთხილად! მზაკვარი ხეა, არ დაზიანდე, დიდი სიფრთხილით ჩამოსხიპე ტოტები ისე, რომ ნაძვი არ დააზიანო. ჯერ შუა წელს ზემოთ გადახერხე, მერე შუაში, ბოლოს კი ძირში. – მითითებას აძლევდა ჭალარათმიანი მამაკაცი ახალგაზრდას.

რამდენიმესაათიანი მუშაობის შემდეგ დახერხილი და დანაწევრებული ეკლის ხე მანქანაზე შეყარეს და იქაურობა დატოვეს. მყრალი კვამლის ჯანლი კი გაიშალა, გაინელა, ნარგავებს აცდა და სივრცეში გაიბნა. ბალში სამარისებური სიჩუმე დადგა. აღარც ფრთოსნების გალობა ისმოდა და აღარც მათი ფრთების ტკრციალი.

ის ღამე შიშში გაატარეს ბალის ბინადრებმა, კიდევ დიდხანს ჩაესმოდათ ყურში დანადგარის დანდგარი და ელექტროხერხის მკვნესაარე, ცოდვიანი ხმა. როდის-როდის მილულეს თვალები.

რიურაჟზე, როდესაც ღამე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაცრეცილიყო, პატარა ბალი შაშვის არამინიერმა გალობამუსიკალობამ გააღვიძა. თვალები ფართოდ გაახილეს და ირგვლივ მიმოიხედეს. ეკლიანი ურჩხულის ადგილას მხოლოდ მოტიტვლებული არე ჩანდა. შვებით ამოისუნთქეს. შაშვი კი გადაღუნული, მხრებჩამოყრილი ნაძვის ტოტზე ჩამომჯდარიყო

და ურუანტელის მომგვრელი სმით გალობდა. მალე მეორეც გამოჩნდა, ალბათ, გულისსწორი, მერე სხვებიც მოფრინდნენ და ირგვლივ ყოველივე გაამუსიკეს.

ნაძვმაც გაახილა თვალი, ნაიარევი სხეული შეათროლა, გვერდზე გაიხედა და ცრემლები წასკდა. ვერ გაერკვია, რაზე ტიროდა, – იმის გამო, რომ ალარ სტკიოდა, თუ იმის გამო, რატომ ალარ სტკიოდა.

მომდევნო წელს ნაძვი ერთბაშად მოყვითალო-მორუხო ფერად დაიმტვერა და სულ მალე ნორჩი გირჩებით დაიხუნდლა.

2019 წელი, თბილისი

ეთნოლიტ ეოსცლა



მეორედ მოსვლა

სიყალბემ წალეკა ყველაფერი. პიროვნების ჭეშმარიტი სახე განსაცდელებისა და მრისხანების უამს გამოიცნობა. ასევე, თუ მის პატივმოყვარეობას შეეხები. ბოლომდე თამაში არავის შეუძლია, თვით დიდ მსახიობებსაც კი. ბოლომდე ვერ შეინიღები. ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდება შენი ჭეშმარიტი სახე, შენი ბუნება.

– რატომ ამბობ ასე, ხომ არავინ გაწყენინა? – უთხრა ტოტებგაშლილი ვაშლის ძირში რკინის ფეხებიან ძელსკამზე მჯდომმა ასაკოვანმა გლეხმა მასავით მხცოვან კაცს, რომელიც იდაყვებით მოცემენტებულ, მრგვალ მაგიდას დაყრდნობოდა და შორეთს უმზერდა.

– რა გითხრა, ჩემო ლეუშა, მეტად გულდასაწყვეტი ამბავი გავიგე.

– რა ამბავი, კაცო?

– რა ამბავი და... – პატარა შეყოვნდა, მერე დანანებით თავი გადაიქნია და განაგრძო, – ოდესმე თუ იფიქრებდი, თამაზი და ციალა ერთმანეთს დაცილდებოდნენ, თანაც ამ ასაკში, სიბერეში, კაცო. – ხელები მაგიდაზე დააწყო მოსაუბრემ, სოფლის ყოფილმა მასწავლებელმა გრიგოლმა, რომელსაც შინაურულად გრიშას ეძახდნენ.

– რას ამბობ?! – შეიცხადა ლეუშამ, უსიამო ამბით გაოცებული ფეხზე წამოდგა და სახეზე დაშაშრული ხელი ჩამოისვა.

– დაჯექი, დაჯექი. მე მეგონა, ასე პანტა-პუნტით მხოლოდ ქალაქში თუ სცილდებოდნენ ერთმანეთს, სადაც ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი კაცს. იქაურმა სიბილწეებმა ხედაავ, აქაც შემოაღწია! ეჱ! რა უკუღმართ დროში ვცხოვრობთ! – თავი

გააკანტურა გრიშამ, – ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი – ადამიანი, სამყარო, კლიმატი, ქალაქი ქალაქს აღავს და სოფელი-სოფელს. მოიწამლა ქვეყნიერება, ზნეობრივად გა-თახსირდა. აღარც დიდმა იცის თავისი ადგილი და აღარც პატარამ. ერთი გამაგებინა, ამ ბავშვებს მაინც რაღა ემართებათ? რაღაც უნიათოდ, გამოთაყვანებულებივით დადიან, მოწყენილი და ხალისდაკარგულნი. რა ქნა, კაცო, ამ დრომ! – ისევ დროს უქბინა მხცოვანმა, – ბავშვებს ბავშვობა დააკარგვინა, გაგიგონია! ყველაფერი ეზარებათ, ყველაფერი, სწავლაც და შრომაც, ბურთის თამაშიც კი. ტელეფონი საყურესავით აქვთ მიწებებული, სულ ტელეფონში არიან შემძვრალი. ნეტა გამაგებინა, ამდენი რა აქვთ სალაპარაკო. ადრე, ჩვენს დროს, ბავშვს რომ ეტყოდი, წყალი მომიტანეო, კისრისტეხით გარბოდა... – ნარსულს შესტირა გრიშამ და სახე გაუნათდა, – ახლა კი წელ-მოწყვეტილივით მიიზღაზნება.

– კარგი რა, გრიშა, ნუ იცი ყველაფრის გაბუქება. – ღიმილი მოერია ლეუშას, ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო და ისე დაეშვა სკამზე. – შე კაცო, თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობენ. აბა, ხომ არ ჩამორჩებიან თავიანთ უცხოელ თანატოლებს. ერთში კი შემიძლია, დაგეთანხმო, მართლაც, ნამეტანი გაზანტდნენ, მართლაც, აღარ ეკარებიან ბურთს, მაგას მეც დავაკვირდი და შედეგიც სახეზეა. რას ჰგავს ჩვენი ფეხბურთი? – ლეუშა ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი იყო. ახალგაზრდობაში თვითონაც დასდევდა ბურთს, რაიონული ნაკრების ფეხბურთელი იყო და შანსს არ უშვებდა ხელიდან, რა თემაზეც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, ფეხბურთი რომ არ ჩაეკვეხებინა. – არადა, როგორ მიყვარდა! შემაძულეს, კაცო. ახლა აქა-იქ თუ გამოერევა ნიჭიერი, მაგრამ რად გინდა, ერთი შეჯახება და მოგჭამა ჭირი მისმა ფეხბურთელობამ. სოფელში გაზრდილი ბავშვი ჯანმრთელი, ჯანიანი და ამტანი იყო. ნახევარი თბილისის დინამოც ხომ რაიონებიდან ჩასულებით იყო შევსებული. აფსუს! რა გუნდი გვყავდა!

– ლეუშა! ფეხბურთის გარდა, იმდენი სატკივარია, ჩამოთვლა რომ დავიწყო, თითები არ მეყოფა. კარგად იცი შენ,

მე ყოფილი პედაგოგი ვარ და ჩემი სამზერიდან ვუყურებ ყველაფერს. ყველაზე მეტად მაინც ბავშვები მაწუხებს, ბავშვები მტკივა – ჩვენი უკვდავების დერიტა, ჩვენი მომავალი. გულს მიკლავს მათი მიშვებულობა. თითქოს აღარავინ ზრუნავს მათ აღზრდზე. მშობლები გადაკარგულში არიან ორიოდე გროშის-თვის. ბებიებსა და ბაბუებს კი აღარ შეუძლიათ და იზრდებიან ქუჩაში. აი, ესაა ყველაზე დიდი თავის ტკივილი. – ღრმად ამოისუნთქა, მუჭად შეკრული თითებიდან საჩვენებელი თითი მაღლა შემართა, გაიქნია და მუქარანარევი ხმით განაგრძო, – ამაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ, საზოგადოებამ. ქუჩაში რა განათლებას მიიღებს ბავშვი, გეკითხები მე შენ! განათლების გარეშე კი ქვეყანას მომავალი არ აქვს, ძმაო! – შენ ამბობ, ორი-ოდე გროშისთვისო. რას ამბობ, გრიშა, ბევრმა დედაქალაქში სახლებიც შეიძინა და აქაც გაიუმჯობესა მდგომარეობა.

– შვილების დაკარგვის ხარჯზე, ბიჭო! – ზოგი გალოოთდა, ზოგი – ნარკომანია, ზოგიც ციხეში ზის. არ ჯობდა, ცოტა ჰქონოდათ და შვილები აღეზარდათ სათანადოდ?! მათაც გამოადგებოდათ, ქვეყანასაც და თავიანთ თავსაც. მრავალ-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იძულების გარეშე ქართველი არასდროს ტოვებდა მამულს, ახლა კი რიგები დგას ქვეყნიდან გაქცევაზე. საწუხარი ის არის, რომ უკან ძალიან ცოტა ბრუნდება და რა დასამალია, ბევრი ქვეყანასაც თავს ჭრის. გავსებულია იქაური ციხეები ჩვენი თანამემამულეებით, – რით დავიწყეთ და სად გადავვარდით! – მოწყვეტით ჩაიქნია ხელი გრიშამ, – ჯაჭვივით არის ყველაფერი ერთმანეთზე მიბმული. ადრე საზოგადოება სუფრასთან რომ შეიკრიბებოდა, იყო საუბარი სიყვარულზე, მეგობრობაზე, მამულიშვილობასა და სხვა სათნო საქმეებზე. ახლა კი! – ვინმემ მაინც თქვას, სადაა საშველი! ერთი გამაგებინე, მთავრობა რას მიკეთებს? მთავრობამ უნდა იზრუნოს და არა ჩვენ უნდა ვიჭყლიტოთ თავი!

– რას იზამ, გრიშა, ოპონირებას აგრძელებდა ლეუშა, – უკეთესის იმედი უნდა ვიქონიოთ, ამაზე მეტი შავბნელი დღეებიც გამოუვლია ჩვენს ქვეყანას. ზოგი ისწავლის და ზოგიც იზარმაცებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ახალი ამაში

არაფერია. მთავარია, თავისი ქვეყნის და ხალხის პატივისცემა ჰქონდეთ და მამული სათარეშოდ სხვას არ დაუტოვონ. ქვეყანა კი, ასე თუ ისე, მაინც წინ წავა...»

- კაი, თუ ძმა ხარ, ჩვენ წავალთ წინ? — არ იმობდა გრიშა.
- სად მივდივართ, ერთი ღმერთმა უწყის მხოლოდ. მგონი, დალუბვისა და გადაშენებისკენ მივდივართ. გაგიგია, კაცო, ამ ხნის ოჯახის დანგრევა! — რითაც დაიწყო, ისევ იმას მიუბრუნდა,
- ამ უბედური ოჯახის შვილი შემხვდა ამას წინათ, ვისაუბრეთ აქეთურ-იქეთურზე. შეწუხებული ჩანდა, ჩავეძიე, რა მოგივიდა-მეთქი. თავი ვეღარ შეიკავა და თავჩაღუნულმა ტირილით მიამბო ის, რაც შენ გითხარი. რცხვენოდა მშობლების გამო, — სირცხვილით თავი სად გამოვყოო.

- მაინც რა მოხდაო, ან შენ რატომ გიამბო.
- რა ვიცი, რა გითხრა. აწუხებდა, ალბათ, და გული გადა-მიშალა. — შემთხვევით შევესწარი მათ საუბარსო, სიტყვებზე გამოეკიდნენ ერთმანეთსო. ქალი ამბობდა თურმე — მთელი ცხოვრება გადაგელიე, თან გყვებოდი და შენი სათანადო ყურადღება ვერ დავიმსახურეო, უმაღური კაცი ხარო, მხოლოდ შენს თავზე ფიქრობ.

- ბიჭო, სად იყო აქამდე, თუ არ მოსწონდა ქმარი, თუ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, აქამდე ვერ თქვა? სამარის კართან რომ მივიდა, ახლა ცილდება? ცოტა, ადრე ეთქვა მაგ დალოცვილს, — გაიმეორა ისევ გრიშამ, იქნებ გამოსწორებულიყო. არადა, როგორ შენატროდა მათ მთელი სოფელი, რა ოჯახი აქვთო, რა თავმდაბალი, უწყინარი და უპრეტენზიო ქალიაო. თამაშობდა, როგორც ჩანს. წელან ვამბობდი, ბოლომდე ვერ ითამაშებ-მეთქი.

- გინ იცის, როდის გაჩნდა უკმაყოფილება, როდის გაღვივდა ბოლმის მარცვალი. — ფიქრიანად თქვა ლეუშამ და გაღმა ფერ-დობზე მობალახე ძროხას გახედა, რომელსაც იმდენი ეწრიალა რკინის პალოს გარშემო და ისე დაეხვია ბაწარი, ბიჯს ვეღარ დგამდა და მინას დაპბლაოდა. — თავის დროზე არ თქვა, ითმინა, ითმინა და ბოლოს ბუშტივით გასკდა, სახელიც გაიფუჭა და ოჯახიც შეარცხვინა. ეთქვა მისი ქმრისთვის მაგ დალოცვილს,

თუ რამე ანუხებდა, არ არის ის კაცი ხეპრე და რეგვენი. რაც მახსოვს, სულ შრომაშია.

– რა ვიცი, შეიძლება, ბავშვმაც არ იცის ყველაფერი, ან მოერიდა და არ მითხრა.

– ამბობ, ოჯახი შეარცხვინაო. – კაი, თუ კაცი ხარ ერთი, განქორწინება დღეს ვიღას მიაჩნია სირცხვილად. ეგ ადრე იყო, ადრე. ადამიანის ბუნებაში წვდომა, მის სილრმეებში შესვლა ძეხორციელს არ შეუძლია. მხოლოდ ღმერთია გულთამხილველი, დაილოცოს მისი სახელი. – ფეხზე წამოდგა ისევ ლეუშა და პირჯვარი გადაინერა. როგორ ფიქრობ შენ, ალბათ, სასამართლოს მიაკითხავენ. ვაი, სირცხვილო!..

– ალბათ. – უპასუხა გრიშამ. – ისე კი, სანამ ორივეს არ მოუსმენს კაცი, სიმართლეს როგორ დაადგენ. რა წუთისოფელი დადგა, ჩემო ლეუშა, კაის ხომ ვერაფერს გაიგებ კაცი – მამა შვილმა მოკლაო, ძმამ – ძმა, იმან თავი ჩამოიხრჩო, იქ უწლოვანი გააუპატიურესო. თან ამას ისეთი ზარზეემით აცხადებენ, თითქოს დიდი სასიხარულო ამბავი ყოფილიყოს. გაირყვნა და გათახსირდა ქვეყანა. ნამდვილად მეორედ მოსვლაა. შენ კი იძახი, წინ წავაო. ეჲ, ამას თუ წინწასვლა ჰქვია... – ხელი ჩაიქნია გრიშამ, – ქვეყნის განვითარებას საფუძვლად ზნეობრიობა უნდა დაედვას. უზნეობას გადაშენებისკენ მიჰყავს ერი. ის რა ერია, სადაც უფროს-უმცროსობა არ იციან, სადაც ტრადიციებს პატივს არ სცემენ. ასეთი ერი რობოტიზებულ მოლაპარაკე ინსტრუმენტად იქცევა და ეროვნების ყოველ მახასიათებელს დაკარგავს. ასეა ეს!

– ჭირთმოძალების უამს ყოველთვის ასე ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, მეორედ მოსვლააო, მაგრამ ღვთის წყალობით, სამყარო ისევ დგას. ლეუშა მეტს აღარ შეკამათებია და ფეხზე წამოინია, – წავედი ახლა მე, ძროხა მყავს დასარწყულებელი და მერე უნდა გადავაბა, თუ არა, ქე იხრჩობს თავს. – და გრიშა დანიელის სერისკენ გაახედა.

– გადახმა, შე კაცო, ყველაფერი. – თავი წამონია და გაღმა მხარეს გაიხედა გრიშამ. მერე სიცხისგან შეწუხებულმა ზანგად დაამატა, – თონიდან ამოვარდნილი ალმურივით ლივლივებს

სივრცე! რა ქნას ძროხამ, შია და ბლავის. ასეთი გვალვები მე არ მახსოვს, ანდა რა აზრი აქვს გადაბმას, მოძოვით მაინც ვეღარაფერს მოძოვს და ქვეყანას კი აიკლებს ბლავილით.

– მართალი ხარ შენ, ალერდს გამოვუტან ყანიდან და სადმე ჩრდილში გადავაბამ.

– დაილოცე, შე კაცო და ისე წადი, გადავყევით ლაპარაკს. ხომ იცი, ახალი ამოლებულია, ცივია ჯერ კიდევ. ლეუშამ ალი-ცლიცებული ჭიქა ასწია, მერე მზეზე გახედა და მოკლედ თქვა:

– ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი შეგვეწიოს! – სასმისი ბოლომდე დაცალა, სკამის კიდეზე გადაფენილ იმერულ ქუდს მისწვდა და ჭიშკრისკენ გაემართა. შუა ეზოში ფეხი შეანელა, შეყოვნდა, მობრუნდა და გრიშას მიმართა:

– ბიჭო, საღამოს გადავიდეთ, შევუაროთ. ვცადოთ, იქნებ გამოგვიდეს რამე. ეს მარტო მათი სირცხვილი კი არა, სოფ-ლის სირცხვილიცაა. ის ბავშვი უჭკუო არ არის, ტყუილად არ მოსულა და არ შემოუჩივლია შენთვის.

ლეუშა პასუხს არ დალოდებია, ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა და რკინის კარები ჭრიალით გაალო.

ის იყო, ჭიშკრის ზღურბლს გადააბიჯა, წინ ახალგაზრდა, მოხდენილი, წვეროსანი მამაკაცი შეეფეთა. გონზე მოსვლაც არ აცალა, გადაეხვია და გამხმარ ბეჭებზე სიყვარულით მოუთა-თუნა ხელი.

– ბოდიშს კი გიხდი, მაგრამ ვერ გიცანი, ბიძია. – დაბნეულმა წარმოთქვა ლეუშამ.

ახალგაზრდამ უკან დაიხია, თეთრ პერანგზე ხელი ჩამო-ისვა, მოკლე, შავი ჰალსტუხი შეისწორა და ბროლივით თეთრი კბილები გამოაჩინა.

– მართლა ვერ მიცანი? – შეყოვნება რომ შენიშნა, აღარ აწვალა დაბნეული კაცი და უთხრა, – ბიკენტიას შვილი ვარ, კონია. ოხ, ბოდიში, კონსტანტინე, – წელში მოიდრიკა ახალ-გაზრდა.

ლეუშას გაელიმა, ნაბიჯი გადმოდგა წინ და დაკვირვებით შეათვალიერა სახელიმილიანი ახალგაზრდა.

– რაღას გიცნობ, ბიძია? რამდენი წლის წასული ხარ,

ყმანვილი იყავი მაშინ და თუ ხანდახან ჩამოირბენდი, მოსული რომ არ იყავი, წასული იყავი უკვე. – ჩაუსხარტულა ტუჩების ცმაცუნით ლეუშამ, – ახლა კი წვერულვაშიანი ხარ, ჩემო ბატონო, ხმაც შეგცვლია, დამშვენებულხარ და დავაუკაცებულ-ხარ. რას გეიხარებს, ბიჭო, მამაშენი!

– ვინაა, კაცო, ჭიშკარში რომ ესაუბრები? შემოიყვანე შინ, მოვკვდი კაცი ცნობისმოყვარებით, – შემოუძახა გრიშამ და თვითონაც ჭიშკრისკენ წაფრატუნდა, მაგრამ სანამ ჭიშკართან მივიდოდა, ლეუშა კონიას ეზოში შემოუძლვა.

გრიშამ სახე ხელით მოიჩრდილა და დაფანჩული წარბების ქვემოდან უცნობს შეაყოლა მზერა.

– აბა, თუ იცნობ, „მაღარიჩი“ ჩემზეა.

კონიამ ლეუშა მაღარიჩს გადაარჩინა, წინ წამოიწია, ხელები გაშალა და გრიშას გადაეხვია.

– კონია ვარ, ბიძია, კონია. – მერე დააზუსტა, – აგერ, შენ მეზობელ ბიკენტიისი.

მოხუცებს ძალიან გაუხარდათ თავიანთი კუთხის შვილის ნახვა, ამოუდგნენ აქეთ-იქით მხარში და ეზოს სილრმისკენ გასწიეს.

– ჩამოჯექი, ბიძია, სუფრასთან. ჩვენ ორიოდე ჭიქა დავლიეთ. ნამგზავრი ხარ, პატარა ჩამოისვენე, წაიხემსე და დაილოცე.

კონიას თავპატიუი არ დაუდია, ჩამოჯდა.

– ნაუცბათევი სუფრაა და იმედია, არ დაგვძრახავ.

– რას ბრძანებთ, გრიშა ბიძია, რამდენი ხანია, ცხელი მჭადი და ყველი არ მიჭამია. მომენატრა ყველაფერი ჩვენებური. კონიამ ჭყინტი ყველი და მჭადი თევზზე გადმოიღო. – მე მგონია, ასეთი სურნელოვანი და გემრიელი მჭადი და ყველი დედამიწის ზურგზე არ არის. ჭიშკართან ვიგრძენი სუნი. – მერე ღიმილით დააყოლა, – ნუ შემომედავებიან ახლა ამერიკელები და მექსიკელები. კი, იმათაც მოჰყავთ, კი ბატონო, იქიდან შემოვიდა ჩვენთანაც, მაგრამ როგორც წელან ვთქვი, ასეთი გემრიელი, ნურას უკაცრავად. როგორ იტყოდა ხოლმე სულ-განათლებული გრიგოლი – გარემოს მჭადიაო, გარემოსიო. – შეუქო წამოლვანევი გლეხს. მერე ოხრახუშსაც მისწვდა, დაახ-

ვია, მარილში ჩააწო და პირისაკენ გააქანა. წამიერად ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ თვითონ დაარღვია, – მიწა და კლიმატი გვაქვს მადლიანი, მართლაც, ღვთივურთხეული ქვეყანაა. შრომის კულტურაც დასაბამიდან ყოველთვის მაღალი გვერდა და ამას აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები თუ ისტორიკოსები. არა, არა, მშობლიური კუთხე მაინც სულ სხვაა! – ენას ვეღარ აჩერებდა აღტყინებული კონია. – რა სიმშვიდეა, რა სიწყნარეა, კაცო, არ მოვითქვი სული!

გრიშამ ღვინო ჭიქებში ჩამოალიკლიკა და კონიას მიმართა:

– დეილოცე, თუ კაცი ხარ და ჩვენც დაგვალევინე ორიოდე ჭიქა. ჩვენ შინაურები ვართ და სულ ერთი და იგივეს ვლაპარაკობთ. ყურს ახალი მოენატრა, იქნებ შენ გვითხრა რამე.

კონია ფეხზე წამოდგა, ხელები მოიფშვნიტა, მარცხენა ხელის მტევანი ხელუკულმა ტუჩზე მოისვა, მარჯვენათი ჭიქა ასწია და დაიწყო:

– რა გითხრათ, ბიძიებო, რა უნდა ვთქვა ახალი, – ღიმილი არ შორდებოდა სახიდან კონიას, – ახლა, ძირითადად, შოკის-მომგვრელ ინფორმაციბზე გამალებული ტაციაობა. ყველაფერი სააშკარაოზე გამოტანილი, ყველაფერი. არათუ საქვეყნო-სახელმწიფო საიდუმლოებებია დაუცველი, არამედ პირადიც. საწოლში უძვრებიან ერთმანეთს კამერებით. ინფორმაციის მოპოვებისათვის ყველა დაუზარებლად იღწვის, განსაკუთრებით – უურნალისტები და პარტიები. პარტიები კი ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდნენ. გაგიგა, კაცო, ამ ცერო-დენა ქვეყანაში ორასი პარტია! საქვეყნო საქმისათვის რომ იღწვოდნენ, მაგას რა აჯობებდა, მაგრამ არა! პირადი კეთილ-დღეობისთვის რომ უნდათ ხელისუფლებაში შეძრომა, ეგაა გულსაკლავი. ათას სისულელეს ჰპირდებიან ხალხს და როცა მოკალათდებიან ზემოთ, ხალხიც ავინყდებათ და ქვეყანაც. მდიდარი უფრო მეტი სიმდიდრისათვის იღწვის, უქონელი კი იმას ცდილობს, როგორმე იმ მდიდარს დაეწიოს. ქვეყანა კი, ვიღაც უხილავის ხელით, კაცმა არ იცის, საიდან იმართება. მოკალედ, ასეთი სიტუაციაა. ჩემგან რა გესწავლებათ, თქვენც კარგად ხვდებით. – დაამთავრა კონიამ და ჩამოვდა.

– მაგის შესახებ, ასე თუ ისე, ჩვენც გაგვიგია, ბიძია. შენ ის მითხარი, სადლეგრძელო რომელი იყო შენი ნათქვამიდან? – თავი ასწია გრიშამ და დაფანჩული წარბები მაღლა აზიდა.

– ეჱ, მეცა ვარ რა! – ფეხზე წამოვარდა წამოწითლებული კონია. ისევ მიტინგზე მგონია თავი. მომიტევეთ, ჩემო კეთილო ხალხო. მომიტევეთ, მომიტევეთ! – ჩაახველა და განაგრძო, – მართალი ბრძანდებით, სუფრას თავისი წესი აქვს, რამდენი კაციც არ უნდა იჯდეს მაგიდასთან. რა თქმა უნდა, თქვენც იტყოდით, თქვენსავით კარგად შეიძლება ვერ ვთქვა, მაგრამ როგორც მოვახერხებ, ისევ ვიტყვი, – კრძალვა შეერია ხმაში კონიას. – აქ არ ვიცი, როგორ, მაგრამ დღესდღეობით, იქ, ჩვენთან, – ხაზი გაუსვა, – ჩვენთან,პირველ სადლეგრძელოდ უფლის სადლეგრძელო ითვლება, ყველა ამას ამბობს.

– თქმით კი ამბობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი მიმდევარი თითზეა ჩამოსათვლელი. – ჩაეჭრა ლეუშა და თვალებში შეაცქერდა.

– ფეხზე წამოვუდგეთ, მეგობრებო, მამაზეციერს და შენ-დობა ვთხოვოთ. ეს მოჩვენებითობაა, რომ ღუპავს ქვეყანას, ჩემო კარგებო. – თავი გადაიქინია კონიამ და ნათქვამის დასა-დასტურებლად ლეუშას გადახედა.

მოხუცები სახსრების ტკაცუნით წამოიშალნენ და ერთხმად შესვეს. მერე ჩამოსხდნენ და პატარაც წაილუკმეს. ლეუშას ლუკმა ბოლომდე გადაყლაპული არ ჰქონდა, რომ წამოიწყო:

– ჩემს ახალგაზრდობაში მორწმუნე კაცი ღმერთს ჩუმად და კრძალვით ახსენებდა. სიფრთხილე იყო საჭირო, თუ გაგიგებდნენ, ციმბირს უკან დაგატოვებინებდნენ. მაგრამ ხომ გაგიგონია, ჭკვიანი კაცი გამოსავალს ყოველთვის ნახავსო, ღმერთი ბუნების ძალით ჩაანაცვლეს, – ბუნების ძალას გაუმარჯოსო, ასე მაღლულად, შენიღბულად ამბობდნენ მის სადლეგრძელოს, დეილოცოს მისი სახელი.

– ხო, ეგ ერთი და იგივეა. – თქვა თავის კანტურით გრიშამ. – რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა. – დაუდასტურა ლეუშამ. – დღეს კი ვინ გიმლის, ილოცე რამდენიც გინდა, მაგრამ მარტო ლოცვა რას შველის, თუ საქმეც არ მიაყოლე. – თქვა

გრიშამ, – საქმე წალმართიანი უნდა იყოს და არა იმნაირი, როგორც კონიამ თქვა.

– შენ რას საქმიანობ, ბიკენტიას ყმაწვილო, შენ? – პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა ლეუშამ.

ფეხზე წამოიმართა კონია.

– დაჯექი, თუ კაცი ხარ, მართლა მიტინგზე ხომ არ გგონია შენი თავი? – ღიმილით მიმართა გრიშამ.

– ისე მივეჩვიე ფეხზე დგომას და საუბარს, დამჯდარი თავს ვერ ვუყრი სიტყვებს. – წუხილი გაუკრთა ხმაში კონიას.

– დაჯექი, დაჯექი-მეთქი, უცხოებთან ხომ არ ხარ, შინაურები ვართ. – დაუყვავა გრიშამ, – შენიანებთან ხარ ახლა.

– საქმეზე მეკითხებოდით.

– ჰო, საქმეზე. – შეთანხმებულივით ერთად წარმოთქვეს მოხუცებმა და მხრების შემუშვნით მოსასმენად მოემზადნენ.

– აბა, რა გითხრათ, ბიძიებო, – წამოიწყო დინჯად კონიამ და წვერ-ულვაშზე ჩამოისვა ხელი. – საქმეა მთავარი, საქმე, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ბიძია გრიშა. საქმემან შენმან გამოგაჩინოსო,

– ხმას აუწია კონიამ და მოხუცებს შეავლო მზერა. – დღეს თუ საქმე გაქვს, კაცი ხარ ქვეყანაზე, პატივისცემითაც გეპყრობიან. უსაქმურ კაცს ძალლადაც არავინ აგდებს. საქმე, – იგივე ბიზნესი.

ისეთი დრო დადგა, ყველანაირი ბიზნესი გამართლებულია და არც არავინ აქცევს ყურადღებას მის მორალურ-ზნეობრივ ასპექტებს. და არ გაგიკვირდეთ, მეგობრებო, – წარბები მაღლა აზიდა, შუბლი შეფმუხნა კონიამ და ბრძენკაცივით დასძინა, – დღეს ყველაზე მომგებიანი ბიზნესი პოლიტიკაა. ჰო, პოლიტიკა.

– მერე წამიერად გაირინდა, ოცნებაში გადავარდნილივით ხან შორეთს გახედავდა, ხან მოხუცებს, ხან თავზე გადმომხობილ ვაშლის ხეს და პათეტიკანარევი ხმით აგრძელებდა, – ჰო, პოლიტიკა, როგორც ამბობენ, ყველაზე ბინძური, მაგრამ ყველაზე მომგებიანია დღეს. მოგეხსენებათ, პოლიტიკა ეს არის ლაპარაკისა და ქმედებების ხელოვნება. ლაპარაკი, გაგიხარია, გვეხერხება, მაგრამ საქმისა რა მოგახსენოთ.

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ჩემო მეგობრებო, ვიმეორებ, პოლიტიკა დღეს ლაპარაკის

ხელოვნებად იქცა-მეთქი. წელან ვთქვი, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, მაგრამ არც სიტყვა უნდა დაგვავიწყდეს, ჯერ ხომ სიტყვა იყო. ჩემგან რა გესწავლებათ, – ლმობირად, წყალობანარევი ლიმილით გადახედა მოხუცებს ორატორმა. – ლაპარაკი დიდ და მომგებიან ბიზნესად იქცა. ოღონდ საჭირო დროს უნდა მოხვდე საჭირო ადგილას და მერე შენს მარიფა-თზეა დამოკიდებული ყველაფერი. ზოგმა შეიძლება, იყიქროს, ეს რა ადვილი საქმე ყოფილაო, მაგრამ მთლად ეგრეც არ არის. ვითომ ლაპარაკობ ყველაფერზე და, ამავე დროს, არაფერზე, დამაბნეველად – დაპირდი, დაპირდი და დაპირდი. სიტყვით გა-მოსვლა უნდა იყოს მიმზიდველი და აღტაცების მომგვრელი. უნდა მონუსხო მასა, განსწავლულობის ნიშნად კი წინადადე-ბებში ხშირად უნდა გამოურიო ხოლმე უცხოური სიტყვებიც. ხომ იცით, როგორ აღტკინებას განიცდიან ჩვენები ყოველივე უცხოურის მიმართ. სიტყვა უნდა იყოს შთამბეჭდავი და დიდი „დალიაქება“ ექნება და ეს ისე უნდა მოახერხო, რომ საზოგა-დოებამ „დააშეაროს“. უნდა შეეხო ყველაზე მტკივნეულს. იტყვით ახლა თქვენ, ალბათ, სამშობლოსო. არა, ბატონებო, – სამშობლო დღეს თავჩაქინდრულია მისი უძლები შვილების გამო. ვიღას ახსოვს, რაღაც განყენებულ ცნებად იქცა და მხოლოდ სუფრაზე თუ გაახსენდებათ, მაგრამ ხანდახან შეფარ-ვით აქაც უნდა გამოურიო, ესეც საჭიროა. ყველაზე მთავარს, საჭირბოროტოსა და მტკივნეულს უნდა მიაქციო ყურადღე-ბა და რა არის ყველაზე მთავარი? – შეყოვნდა პატარა ხანს კონია, თითქოს მათგან ელოდა პასუხს. დუმილი რომ გაინელა, თავი მაღლა ასწია, მზერით ჩამოუარა სუფრის წევრებს და ეჭვშეუვალი სიმტკიცით თქვა, – საყოველთაო კეთილდღე-ობის დაპირება, ჩემო ბატონებო, აი, ისეთი, დაახლოებით კომუნიზმის მაგვარი. და რა შედის ამ გაცვეთილ საყოველთაო კეთილდღეობაში, რომელიც არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება?! მოკლედ რომ ვთქვათ, მატერიალური კეთილდღეობა, ჩვენს ენაზე – სმა-ჭამა დიდად შესარგი, ჩაცმა და დახურვა და ეს ასე იქნება მანამ, სანამ უსტომაქო კაცს არ შექმნიან. გარდა ამისა, უნდა დაპირდე „სეილებს“ გაზზე, ელექტროენერგიაზე,

ბენზინზე და სხვა ათას წვრილმანზე. – კონიამ თვალი ისევ შორეთს მიაპყრო და დამაშვრალივით დადუმდა.

ჰორიზონტი იწვოდა, ყველა სულდგმულს საჩრდილობლის-თვის შეეფარებინა თავი. მხოლოდ ჭრიჭინობელები გაბზარული ხმით ხანდისხან თუ შეეხმიანებოდნენ გარემოს. ორატორმა ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო მოწრუპა, შუბლი მოიწმინდა, მოქერილი ჰალსტუხისაგან თავი გაითავისუფლა, იქვე სკამზე გადაკიდა და ნეტარებით ამოისუნთქა. ბერიკაცებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. შვებამოგვრილმა კონიამ კი რიხიანად განაგრძო:

– ეს საკითხი ძალიან „სენსიტიურია“. ამ საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია „კრედიბილური“ და „კონსისტენტური“ ხალხი. ხალხის „კონსისტენტურია“ უნდა იყოს „კრეატიული“ და „სმაილიანი“. ამასთან ერთად კიდევ საჭიროა „ექსტრა“ თანამოზიარენი. „ვიზიტორებიც“ არ უნდა დაგვავიწყდეს. მოგეხსენებათ, ჩვენ, ქართველებმა, როგორი დახვედრა ვიცით. გაუთავებელი ქეიფებისა და დროსტარების შემდეგ „ვიზიტორს“ „რელაქსაციაც“ ჭირდება, რომ „ლეტალურ“ შედეგამდე არ მივიყვანოთ. „ვიზიტორთან“ ურთიერთობა რომ არ გამოვიდეს „ფეიკიური“, ამისათვის სათანადო „სუპერვაიზერი“ გვჭირდება, რომ „ივენტებზე“ არ შევრცხვეთ. არსებობს საამისო „რელევანტური მანუალი“, მაგრამ ეს სახელმძღვანელო წინასწარ უნდა „დავტესტოთ“, რომ საჭირო „კორექცია“ შევიტანოთ და „იმიჯი“ არ დავკარგოთ. „მესიჯი“ უნდა გავუგზავნოთ ჩვენს „სტაფებს“, რათა ჩვენი საქმის უცხოელი „ფოლოუერის“ სათანადო „ოფცია“ და „ქასთინგი“ მოაწყონ... – და გაუტია და გაუტია კონიამ...

მოხუცები პირდაფჩენილნი და მონუსხულებივით შესცეროდნენ ორატორს. მერე, როდის-როდის, ბურანიდან ახლად გამოსულივით – ლეუშამ ხელი მაღლა ასწია, ორატორს ანიშნა, შეჩერებულიყო, გრიშასკენ მოაბრუნა თავი და გაკვირვებული სახით ჰკითხა:

– გაიგე რამე, გრიშა?!

გრიშამ მხრები აინურა, თავი გადაიქინა და ხელები გაასავსავა.

– შენ თუ მაინც გესმის შენი ნათქვამი? – ახლა კონიას მიუბრუნდა ლეუშა და საპრალობლად გადახედა.

– აი, მაგაშია სწორედ საქმე, ეგ არის მთავარი ხიბლი. ვინ იტყვის, ვერ გავიგეო? ამპარტავნობა და კუდაბზიკობა მედალი-ვით ჰქიდია ბევრ ჩვენს თანამემამულეს. ის კი არა, ბევრი იტყვის, რა განსწავლული და მომზადებული ახალგაზრდააო. რაც შემეხება მე, ინგლისურს ვსწავლობ და ყველაფერი მესმის. მის გარეშე დღეს ბევრს ვერაფერს მიაღწევ, მით უმეტეს, პოლიტიკოსი. რას იზამ, ისტორიის ბედუულმართობის გამო, ჩვენი წინაპრები ხან არაბულს სწავლობდნენ, ხან სპარსულს, ხან თურქულსა და ხან რუსულს. დღეს ინგლისურის ჯერია, ხვალ შეიძლება ჩინურის სწავლამაც მოგვიწიოს. მოკლედ, ასეთია მდგომარეობა, ჩემო კარგებო.

– შენ რას საქმიანობ, შენ, ბოლოს და ბოლოს, არ გვეტყვი?

– კიდევ ვერ მიხვდით, ხალხო?! – ღიმილმა გაუპო სახე კონიას. ეჭ, ამოიხვნეშა და დააყოლა, – აქა ვდგავარ და სხვა-ნაირად არ ძალმის. – მერე თითქოს აზროვნების ერთი საფეხურით დაბლა დაიწია და მინაზე დაეშვა, – რა დააჭირა, კაცოო! ჩრდილიც კი აღარ შველის, ჩრდილიც. – სიცხისაგან შეწუხებულმა სახე მოინიავა, ფეხზე წამოდგა და მოხუცებს მიუბრუნდა, – დაგტოვებთ ახლა, ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა, კარგია თქვენთან საუბარი, მაგრამ მცირე ხნით ვარ ჩამოსული, დროს ვეშურები. გადავალ, სახლში შევირბენ და ჩემიანებსაც მოვესიყვარულები. ღმერთმა დიდხანს და ჯანმრთელად მიმყოფოს თქვენი თავი! – ჭიქაში ღვინო ჩამოასხა, ასწია და მწყურვალივით დაეწაფა...

ლეუშა და გრიშა კარგახანს დუმდნენ.

– ვაი, საწყალო ბიკუნტია! – თქვა გრიშამ.

– ვაი, საწყალო ჩემო ქვეყანა, თუ მართლა ასეა საქმე! – უპასუხა ლეუშამ და გალმა გორისკენ გაიხედა. დასიცხული პირუტყვი ფერდობზე თავქვე მიწოლილიყო. – მგონი დამეხრჩო მარჩენალი. – წამოვარდა ფეხზე ლეუშა და აჩქარებული ნაბიჯით ჭიშკრისკენ გაემართა. – ხო, არ დაგვავიწყდეს, – თითქოს

თავისთვის ჩაიდუდუნა, – საღამოს იქ ვართ გადასასვლელი.
გეყურება, კაცო?!

– მეყურება, მეყურება, გადავიდეთ შებინდებისას. –
უპასუხა გრიშამ, – აკი ვამბობდი, მეორედ მოსვლაა-მეთქი, –
ჩაილაპარაკა ყოფილმა პედაგოგმა და ნაამბობით გაბრუებულმა
მაგიდის ალაგება დაიწყო.

2019 წელი, თბილისი

უცნაური კაცი



უცნაური კაცი

მიუხედავად იმისა, რომ შუახანს კარგა ხნის გადაცილებული იყო, ვერცხლისფერი აქა-იქ თუ გაიელვებდა თმაში. უკვირდათ მისი ახალგაზრდული იერი: – შენზე, კაცო, წლები არ მოქმედებს, თუ გვერდზე ჩაგიარეს, შენს ტოლებს ან სარკესავით უპრიალებთ თავი ან თმაშეთხელებული, ერთიანად გათეთრებული არიანო.

ბევრს არაფერს იტყოდა, ერთი ჩაიცინებდა და მოკლედ პასუხობდა: – ჯიში, ძამია, ჯიშიო.

რა დასამალია, მარტო ჯიშსაც არ ენდობოდა, ხანდახან ექიმსაც მიაკითხავდა ხოლმე. ბოლო მიკითხვისას ექიმმა უთხრა: ისეთი არაფერი, მაგრამ დილდილაობით ცოტას თუ წაივარჯიშებ, ურიგო არ იქნებაო, ოლონდ თავი არ გადაიტვირთო, ნელი ნაბიჯები და ძუნძული წაადგება საქმესო.

მას შემდეგ სისხამზე, ყოველ დილით ჩამოდიოდა ეზოში და პატარა სპორტულ მოედანს მიაკითხავდა. სანამ ექიმის მითითების შესრულებას შეუდგებოდა, მცირეხანს ჩამოჯდებოდა და მზის ამოსვლას ელოდებოდა. ანცვიფრებდა იდუმალებით მოცული ზეციური სამყარო, საგონებელში აგდებდა მისი უსასრულობა, შეუმეცნებლობა და მისტიკურობა. ბაგჟვობიდანვე უყვარდა მზის პირველ სხივებთან შეგებება. ბაბუის სიტყვები აგონდებოდა – მზემ ვერ უნდა დაგასწროს ამოსვლა და ყოველთვის ფეხზე ამდგარი უნდა შეეგებოო. არც ახსოვს, ბაბუას ამ წესიდან ოდესმე გადაეხვიოს. ისიც ცდილობდა ბაბუისათვის მიებაძა, სისხამზე გვერდოზე გადავიდოდა და ელოდებოდა ცარგვალის გაპრენიებას.

ნუსხავდა მზე, მისი მაცოცხლებელი სხივები და დიდებულება.

გაღმა სერიდან იწყებდა ამოსვლას, ჯერ პატარა ნაწილი გაიბლანდებოდა მთის წვერზე ხეთა ტოტებში, მერე ნახევრად ამოცურდებოდა, ბოლოს კი მთელი სიდიადით ამობრწყინდებოდა და სოფელიც ცოცხლდებოდა. აცრემლებამდე შესცექოდა გავარვარებულ დისკოს და მერე მისთვისაც გასაკვირი ძალით აღვსილი და გახალისებული, ფრთაშესხმულივით მოკურცხლავდა სახლისაკვენ.

ასეთი შეგრძნება მას შემდეგ მხოლოდ ახლახან განიცადა მლეთაში, ერთ საოცარ ბერთან სტუმრობის შემდეგ. გამოვიდა თითქოს უსხეულო, მარტო სული, ერთი ხელის აქნევა იყო საჭირო, რომ აფრენილიყო...

ის-ის იყო, მზე კორპუსებს ასცდა, ფეხზე რომ წამოიმართა. კიდევ ერთხელ თვალმოჭუტულმა შეავლო თვალი მის ბრწყინვალებას და ძუნძულს შეუდგა – ერთი ორი, სამი... რვამდე რომ მივიდოდა, ისევ თავიდან იწყებდა – ითვლიდა გუნებაში და თვითონაც არ იცოდა, რისთვის ითვლიდა.

ბათუმი, ისევ ბათუმი, რომ აღარ დაადგა საშველი ამ პროცესის დასრულებას! მძინარე ვულკანივითაა, ხან ჩაიფერფლება, ხან ისევ ამოიფრქვევა. უკვე რამდენი წელი გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

როგორც დაარიგეს, დინჯად მიძუნძულებდა, გონებაში კი ვიღაც უხილავი სარეკელასავით რეკდა – ერთი, ორი, სამი... ნამძინარევი ქალაქიც იღვიძებდა. მანქანებმაც უმატეს სრბოლას და ქროლვას.

ალბათ, პენსიაში გასვლამდე გამყვება ეს მომაბეზრებელი სასამართლო პროცესი. ესეც მეოთხე წრე. კი არ ძუნძულებ, დარბიხარ, დარბიხარ. გაგაფრთხილეს, ძუნძულიო, რა უცნაური სიტყვაა – ძუნძული. ცოტა ტემპს მოუკელი, ტემპს.

ეზარებოდა წასვლა, არც მოგების დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კიდევ ერთი ხათაბალა იქნებაო და წასვლა ამჯობინა. – წადი, წადი, კაცი ხომ ვერასოდეს გაიგებს, თუ რას უქადის ხვალინდელი დღე. ესეც ექვსი წრე, დღეს მეყოფა. ისე, ათამდე უნდა გავზარდო.

მეორე დღეს, დილით, დანიშნულ დროს, ტაქსმა მოაკითხა.

რვა საათზე გადიოდა მატარებელი. ყველა აქებდა მატარებლის ამ შემადგენლობას; უცხოეთიდან ჩამოეყვანათ, ორსართულიანი არის და ძალიან კომფორტულიო. აინტერესებდა, არასოდეს ენახა ორსართულიანი მატარებელი. ისე, ბევრი ავისმოსურნეც გამოუჩინდა – ქილიკობდნენ, წყალში გადაყრილი ფულიაო, წიფის გვირაბში არ გაეტევაო. ყველაფერმა მშვიდობაინად ჩაიარა, მგზავრებიც კმაყოფილი იყვნენ. ხშირად არ ჩერდებოდა და დროულად ჩადიოდა დანიშნულების ადგილზე.

რამდენი ავყია ცდილობს ამ წუთისოფელში თავისი ავყიაობით გამოჩინდეს ავანსცენაზე. არც არაფრის რცხვენიათ და არც იმაზე ფიქრობენ, თუ რა ზიანს აყენებენ ქვეყნის ავტორიტეტს. ფიქრებიდან მძღოლმა გამოიყვანა: – მოვე-დით, მეგობარო, ბედნიერ მგზავრობას გისურვებო. მადლობა გადაუხადა მძღოლს, წარმატებული დღე უსურვა და მანქანიდან გადმოვიდა.

მომზიბვლელი ახალგაზრდა გამცილებელი გოგონა შეეგება, მიესალმა, მეორე სართულზე აიყვანა და თავის ადგილზე მიანიშნა. ფანჯარასთან მოკალათდა, წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი ადგილი ფანჯარასთან. ფიქრობდა, კიდევ ერთხელ დავტკბები მშობლიური პეიზაჟებით, რომელთა ცქერა არასოდეს მოსწყინდება ქვეყანაზე შეყვარებულ კაცსო.

ვაგონი შეათვალიერა. ყველაფერი სადად და კოხტად გა-მოიყურებოდა. გასაშლელი სავარძელი და პატარა გადმოსაწევი მაგიდა სამუშაოდ და, ალბათ, წასახემსებლადაც. ვაგონი თანდა-თან ივსებოდა მგზავრებით. ისმოდა უცხო ენებზე საუბარი. მეტი წილი ჩრდილოელი მეზობლები იყვნენ, მცირენლოვნებიც და ხანდაზმულებიც. ფუსფუსებდნენ, ბარგს ალაგებდნენ, ადი-ჩამოდიოდნენ კიბეზე, გაზიანი სასმელებითა და სხვადა-სხვაგვარი ნუგბარით მარაგდებოდნენ.

ვერც შენიშნა, ისე უხმაუროდ დაიძრა მატარებელი, თითქოს შენობებმაც აიდგეს ფეხი, მერე ხეებიც აჰყვნენ და მოუმატეს სრბოლას. გასცდა დიდუბეს. მხოლოდ ლიანდაგების გადაბმის ადგილას თუ გაიტკაცუნებდა შემადგენლობა. კი არ მიდიოდა, თითქოს მისრიალებდა. ავჭალასაც მიუახლოვდნენ.

ავჭალა რაღაც ავისმომასწავებელი სახელია, შიშის მომგვრელი, მტკიცნეული წარსულის გამოძახილია ალბათ. მატარებელი შეკიცებებით მიიწევდა წინ. უხმაუროდ რომ მიდის, საფრთხის ასაცილებლად კივის ხოლმე, ალბათ, ასე ხშირად. მთის ძირში მიიკლაკნებოდა დინჯად. გაღმა მხრიდან ჯვარი და სვეტიცხოველი იმზირებოდა. გამოლმა მხარეს – წარმართული ღვთაებების, გაცისა და გაიმის ყოფილი ადგილ-სამყოფელი, რომლებიც ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განადგურდა. საინტერესოა ისტორიის წიაღსვლებში ჭვრეტა. ბიზანტიის კეიისარი, ბასილი, თუ ერთი ხელით სამხრეთ საქართველოს მიწებს იტაცებდა, მეორე ხელით სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებას აფინანსებდა. პარადოქსებითაა სავსე კაცობრიობის ისტორია.

ყველამ ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია, მისი აღმასვლისა, თუ დაღმასვლისა, დიდებისა, თუ დაცემის მიზეზები, რომ ერმა დასკვნები გამოიტანოს. მაგრამ ისიც ნათქვამია, ისტორიის გაკვეთილები ის არის, რომ გაკვეთილები არ გამოაქვთ ისტორიიდანო, – ჩვენზეა ნათქვამი.

ფიქრში ხელს არავინ უშლიდა და გადაეშვა უნაპირო ოკეანები. სულ უკვირდა, თუ რა ძალამ შეანარჩუნებინა მის მოდგმას თვითმყოფადობა და თავისთავადობა გარეშემორტყმულ დაუნდობელ მტრების გარემოცვაში. ყველაზე დიდი განძი, საფიცარი მათთვის ღმერთი და სამშობლო იყო. რა სულისკვეთებით ზრდიდნენ!.. რა ჰარიჰარად ეკიდებოდნენ სიკვდილის ფენომენს! რამხელა რწმენა ჰქონდათ და რა სიყვარული!

ცნობილი ჭეშმარიტებაა, ვისაც უყვარს, მისთვის არანაირი – არც მიწიერი, არც ზეციური დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობსო. ბარაქალა, თქვენ, მიღმიეთში გარდასულნო დედანო... ასეთი მამულიშვილების აღზრდისათვის! ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო! – სვებედ გამწარებული ბარათაშვილი...

მატარებელმა გორს მიაკივლა. თვალი შეავლო მის გოდოლებს. „ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?“ – მზერადაშრეტილი ჩიქოვანი. ციხეებითაა მოფენილი ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე, თითქოს ერთი

მთლიანი ციხესიმაგრეა. დროის მსახვრალი ხელის გამო, ბევრ-გან მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი. ზოგს მტერი ანგრევდა, ზოგს მოყვარე – მტერი რომ არ გაბატონებულიყო მასში. მერე ისევ შენდებოდა და ასე დაუსრულებლად. ბევრი დღესაც გოროზად გასცერის სივრცეს, რომლებშიც სუსხიანი ისტორიის მწარე ფურცლები ირკვლება. მგონი, ნიკო კეცხოველს უთქვამს – ბრძენკაცის ნათქვამია, თუ რომელიმე ქვეყანას არ აქვს ისტორია, მიეცით გარეჯი და ექნება ისტორიაო. ბევრი გვაქვს საამაყო, ბევრი! დიდი მოთმინება, სიბრძნე და გამძლეობაა საჭირო, დღევანდელი ქარტეხილები რომ გადავიტანოთ და მხოლოდ ისტორიას არ შემორჩენი ჩვენი სახსენებელი. უყურებდა ქონგურებმოშლილ ციხეს და სადღაც მის თავზე სტალინიც ამოისვეტა. ერთ დროს გორი და სტალინი ხომ თითქმის სინონიმები იყვნენ. ძნელია, დაასახელო სხვა ისტორიული პიროვნება, ჭორ-მართალის ბურუსში ასე რომ იყოს გახვეული.

სოფელი გაახსენდა, წყაროსთვალი. იმ კუთხეში მხოლოდ ერთი წყარო იყო, დარტაფებს შორის შემაღლებულ ადგილას უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ წყალუხვი და ცივზე ცივი. მხოლოდ ერთი ცაცხვის ხე იდგა. სხვა არანაირი ნარგავი. მედიდურად გაჰყურებდა სივრცეს და მზრუნველად დაჰფოფინებდა წყალუხვი, ანკარა, ცივ წყაროს. ისეთი ცივი იყო, ყმაწვილები გამძლეობის საზომად იყენებდნენ, ვინ უფრო დიდხანს დააყოვნებდა ხელს ყინულივით ცივ წყალში. სოფლის ჭებში ზაფხულობით წყარო რომ დაშრებოდა, გლეხები იქ იკრიბებოდნენ. მიუდგამდნენ ღარს ჩაფებს მონაცვლეობით და მსჯელობდნენ წუთისოფლის ავკარგიანობაზე. რა საკითხიც არ უნდა ყოფილიყო განხილული, სტალინზე აუცილებლად ისაუბრებდნენ. აქებდნენ და იყვნენ ერთ ამბავში. იშვიათად ვინმეს საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა. იმასაც უმალვე მოაკეტინებდნენ ხოლმე. თითქმის სულ ერთსა და იმავე ამბავს ჰყვებოდნენ. თუ ვინმე რამე ახალ ამბავს მოიტანდა, ყურადღებით უსმენდნენ. განსაკუთრებით ერთი ომგამოვლილი გამოირჩეოდა – ახოვანი, მხრებგაშლილი, ლამაზპირსახიანი, ერთიანად გაჭალარავებული, დინჯად და მოხდენილად მოსაუბრე ლევანა. არა თუ დიდები,

მოზარდებიც კი გულისყურით ვუსმენდით. იტყოდა ხოლმე – ილიას რამე შეეშლებოდა? მისი ლექსის, „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ წაკითხვის შემდეგ უთქვამს: – ეს ახალგაზრდა ან დიდი პოეტი ან დიდი სახელმწიფო მოღვაწე გამოვაო. ახლა იაკობ გოგებაშვილს არ იკითხავ? ლექსი თავის უკვდავ „დედა ენაში“ შეიტანაო. დიდმა კაცებმა იციან ერთმანეთის დაფასება. ერთხელ სტალინს ვიწრო ნრეში, ქართველებთან სუფრისას უკითხავს, ყველაზე დიდი ქართველი ვინ არისო. რა თქმა უნდა, უთხრეს – თქვენი. არაო, ყველაზე დიდი ქართველი ილია იყოო, მას მსოფლიოს ხელმძღვანელობა შეეძლოო. აი, თავმდაბლობა! თუ არა, თვითონ არ ხელმძღვანელობდა მსოფლიოს! მისი სიდიადისა და სიბრძნის შესახებ მისმა მტრებმაც კარგად იცოდნენ. ჩერჩილი ამბობდა, მტერი მტრის ხელით გაანადგურაო. აბა, ახლა გვყავს ხელმძღვანელი? ამოდენა ქვეყანა დაამშია და შავი პურიც კი სანატრელი გახდაო. ხრუშოვი მეფობდა მაშინ და პურს უცხოეთში ყიდულობდნენ. ამის შემხედვარე ჩერჩილს ჩაუქირქილებია, – მეგონა, სიბერით მოვკვდებოდი, არადა, მგონი სიცილით ვკვდებიო. ასეა, ქვეყანას თავი სჭირდება, თავი, ახლა კი ხედავთ, უჭკუო თავის ხელში რა მდგომარეობაშია ქვეყანაო. ვუსმენდით ჩვენ და გვეამაყებოდა, ასეთი დიდი პიროვნება ქართველი რომ იყო. ეჭვიც კი არ გვეპარებოდა მის ნათქვამში.

ფიქრებიდან სამიოდე წლის პატარა ჩალისფერკულულებიანმა, ცისფერთვალება გოგონამ გამოიყვანა. შესცეკრდა უძირო, კამკამა, ცნობისმოყვარე თვალებით, ალალად და გულწრფელად უღიმოდა უცხოტომელის შვილი.

– რაო, პატარავ!

გოგონა ერთი ხელით მკლავზე წაეტანა, მეორე ხელით კი ფუნთუშა გაუწოდა. დაყოვნება რომ შეამჩნია, თვითონ ჩაკბიჩა და ისევ გაუწოდა. მისმა ბავშვურმა უშუალობამ ღიმილი მოჰგვარა. ხელით წაეტანა, იქვე, სკამზე რომ დაესვა, მაგრამ დედამ ალარ დააცადა, პოდიში მოუხადა და თავის ადგილზე დასვა. პატარამ შვილიშვილები გაახსენა. ყველა ბავშვი ერთნაირი ბუნებისაა, ალალი და გულწრფელი, მისი მოდგმისა

და წარმომავლობის მიუხედავად. ბავშვის თვალებიდან ხომ ანგელოზი იცქირება.

მატარებელი ხაშურს გასცდა და წიფის გვირაბში გაუჩინარდა.

წიფიდან თავქვე იწყება. დამრეცზე მატარებელმაც სვლას უკლო – ისე ტაატით მიდიოდა, წინა ვაგონიდან ჩამოსული მწეველი, სანამ ბოლო ვაგონი გაუსწორდებოდა, სიგარეტის გაბოლებასაც მოასწრებდა. ყველაზე მეტი დრო მგზავრობისას აქ იხარჯებოდა. ბუნების მოყვარულნი ფანჯარას აკრობოდნენ. ათვალიერებდნენ ხევებს, ღრანტეებს, მოჩუხჩუხე პატარა ნაკადულებს, რომლებიც წვიმიანობისას ცოფიანივით მოჰქუს და წალეკვით ემუქრება ყველაფერს. გაოცებულები გაჰყურებდნენ კორტოხზე წამოსკუპულ ორსართულიან სახლებს და უკვირდათ, რა ძალამ ააშენებინათ იქ სახლიო. გზის პირას კანტი-კუნტად რეინიგზის მუშები საქმიანობდნენ. მატარებლის ჩავლისას თავს მაღლა ასწევდნენ და თვალებით მიაცილებდნენ შემადგენლობას, რომელიც წივილ-კივილით მიიკვლევდა გზას.

ისევ სტალინს გადასწვდა ფიქრით. მისი გარდაცვალების შემდეგ, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ ააბურთავა. ობიექტურად და კრიტიკულად შემსწავლელი კი არ ჩანდა. ერთი სტალინელის ნაამბობი გაახსენდა, რომელიც ახლობლის წვეულებაზე იყო მიპატიუებული – მან კაცობრიობის ისტორიაში ისეთი სოლი ჩაარჭო, რომლის ამოგდებას სამყაროს დასასრულამდე ვერავინ შეძლებსო. შეეპასუხნენ – არა მარტო კაცობრიობის ისტორიაში, არამედ ქართველთა გულში ჩაასო ეგ სოლიო, მისი დამსახურებით დაკარგა საქართველომ ძლივს მოპოვებული, ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობაო, მისი დამსახურებით დანაწევრდა საქართველო ავტონომიებად, რომლის მნარე ნაყოფს ახლა ვიმკითო; გააჩუქა ქართველთა სისხლით მორწყული ჩვენი მიწებიო. საკუთარი სამშობლოს საზიანოდ სხვა ქვეყნისთვის ერთი ბიჯიც კი არ უნდა გადადგაო, მან კი უცხო ქვეყნის კეთილდღეობასა და სიძლიერეს შეალია მთელი სიცოხლე, ქვეყანას, რომელიც ახლა უპირველეს მტრად გვექცაო. დიდხანს არ უპასუხია იმ სტალინელს, ბოლოს კი

თქვა: ერთხელ თუ მაინც დაგისვამთ კითხვა, რატომ უყვარდა ასეთი თავგამოდებით უბრალო ხალხს, მისი გულისთვის ტანკ-საც კი უვარდებოდნენ მუხლუხებში? ვიცი, ვერაფერს არგუ-მენტირებულს ვერ მიპასუხებთ. მე გეტყვით: იმიტომ, რომ ეს ხალხი არარაობიდან რაობად აქცია, საუკუნეების განმავლობაში თავდახრილი, დამონებული და დაგლახაკავებული მდგო-მარეობიდან ამოიყვანა, თავი მაღლა ააწევინა, მისი მჩაგვრელის ტოლ-სწორი გახადა და ლირსება დაუბრუნა, ცოტაა?! და კიდევ, თქვენ რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ მსოფლიომ საქართველო მისი სახელით გაიცნოთ.

როგორც იქნა, მატარებელი ხეობიდან გამოძვრა, ზესტა-ფონს გასცდა და სვლას უმატა. ბევრი აღარ იყო დარჩენილი ბათუმამდე. შე დალოცვილო, იმის მაგივრად, მოახლოებულ პროცეზე ფიქრობდე, სად დახეტიალობს შენი გონება. – გული მიგრძნობს, ეს პროცესი კიდევ გადაიდება, სალაპარაკოც ბევრი არაფერი მაქვს, ჩემ მაგივრად მტკიცებულებები ისაუბრებენო – შეეპაექრა თავის თავს. მგზავრობა მშვიდ ვითარებაში გრძელ-დებოდა, ბავშვებიც კი უშფოთოველად, მოხერხებულად მოკალ-ათებულიყვნენ მშობლების მუხლებზე – არც წიოკობდნენ, არც ჭირვეულობდნენ და არც დარბოლების შორის.

მატარებელი ფრთებშესხმულივით მიაპობდა სივრცეს. მონაცვლეობით თვალს შეავლებდა ხოლმე გზის პირას ჩამწკრი-ვებულ სოფლებს, საიდანაც ნალვლიანად, თალხით შემოსილი ქალებივით იცქირებოდნენ დაობლებული სახლები, ბალახითა და ჯაგით გადავლილი ეზოები, უანგისგან შექმული, დაბრეცი-ლი ჭიშკრები. გული მოეწვა და გაიფიქრა – სულ განსაცდელში როგორ უნდა იყოს ჩემი ქვეყანაო.

მატარებელმა ქობულეთს მიაკივლა და გაჩერდა. მგზავრები აიშალნენ, ზოგი აქ ჩადიოდა, ზოგმაც მუხლის გასაშლელად ბაქანს მიაშურა. სადღაც ახლოს ზღვა იყო. თითქოს მლაშე წყლის გემოც შეიგრძნო, სასიამოვნოდ გრილოდა. ხუთი წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა. ერთი თვალის დახამხამება და ბათუმში ამოყოფდა თავს.

სასამართლო პროცესი ისევ გადაიდო. წინასწარ მომზადე-

ბული წერილობითი საპაექრო სიტყვა კანცელარიას ჩააბარა და სასამართლოს შენობიდან გამოვიდა. თან გაიფიქრა – აქ მეტი მომსვლელი აღარ ვარო. ჩქარობდა, მატარებლისთვის უნდა მიესწრო. ტაქსი გააჩერა და ათიოდე წუთში ვაგზალს მიადგა. ბილეთი შეიძინა, გამოვიდა ბაქანზე და წინ და უკან დაიწყო სიარული. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი.

რეინიგ ზის ხაზს იქით, აღმოსავლეთის მხარეს, ფერდობებს სოკოსავით შესეოდნენ წითელკრამიტიანი სახლები. მათ მიღმა კი შორეთიდან მედიდურად იმზირებოდა უნაგირა მთები, რომელთა თავზე საავდრო ლრუბლებს დაევანათ. ირეოდნენ ერთმანეთში, ხან შეერთდებოდნენ, ხანაც დანაწევრდებოდნენ, მუქდებოდნენ და შესაფერის დროს ელოდნენ, რათა მძიმე ტვირთისაგან დაცლილიყვნენ. დასავლეთის მხარეს კი უკიდეგანო ზღვა განოლილიყო.

ზღვა ყოველთვის იზიდავდა, უყვარდა, ამასთან ურუოლასა და შიშასაც ჰგვრიდა. ბევრი აღარ უფიქრია, დრო საკმაოდ ჰქონდა. ქუჩა გადაჭრა და ზღვის პირს მიაშურა. ნაპირი ალაგ სილიანი, ალაგ გაპრიალებული, სხვადასხვა ზომის ქვებითა და კენჭებით იყო მოფენილი. გაუყვა ნაპირს, გასცეროდა ზღვას და სილაზე ნაკვალევს ტოვებდა. უკან მობრუნებისას ყველა ნაკვალევი წაშლილი დახვდა. გაიფიქრა, ასე გაქრება ჩვენი ნაკვალევიც მარადისობის უკიდეგანო სივრცეში. მოზრდილ ქვაზე ჩამოჯდა და ზღვას გახედა, შორს გემი მოჩანდა. ოდნავ ქროდა ქარი, ზღვა ტორტმანობდა და მცირე ზომის ტალღები ნაპირს ეთამაშებოდა. ძალზე ხიბლავდა ზღვის სუნთქვის მოსმენა, რომლის აქორილი, ათას კილომეტრ გამოვლილი ტალღა ნაპირთან მიახლოებისას, დამაშვრალი კაცივით, ერთი ლრმად ამოისუნთქავდა, თითქოს ამოიხრაო, ცოტას შეყოვნდებოდა და გულდანყვეტილი ისევ უკან გაუყვებოდა უსასრულო გზას.

საათს დახედა, დრო თითქმის აღარ რჩებოდა. წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა სადგურისკენ, მოიძია თავისი ვაგონი, შევიდა და კუთვნილ ადგილზე დაჯდა, ისევ ფანჯარასთან, ოლონდ ამჯერად უკულმა. არ ესიამოვნა, მაგრამ რას იზამდა. არ უყვარდა უკულმა სიარული. ისე, ფანჯარას-

თან ჯდომასაც აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ბინდდებოდა, ღამეში ვერაფერს დაინახავდა. ბაქანიდან ხმამაღალი და აღგზნებული საუბარი ისმოდა, მერე სიმღერაც წამოიწყეს, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. ურევდნენ, ერთი მეორის ხმაში გადადიოდნენ. გოგო-ბიჭები იყვნენ, მხიარულობდნენ და გამუდმებით იცინოდნენ. ერთმა მიიქცია განსაკუთრებით მისი ყურადღება, ტანთხელმა, მაღალმა და მოკლედ თმაშეჭრილმა ახალგაზრდამ. მოცეკვავესავით ჩამოუქროლებდა მომღერლებს, ხან ერთს წაეტანებოდა და ხან მეორეს. – გეყოფა, ბიჭო, რა წრიალი და მოუსვენრობა აგიტყდა, დამშვიდდი, მოდი და ერთი ხმა წაგვაშველეო. ის კი თავისას არ იძლიდა, ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა, ხან ერთს უჯიკებდა და ხან მეორეს. თანამეინახებს სახეში აბოლებდა და ამბობდა: თქვენი ნამღერი არ გაიშვაო. მოკეტეთ, თქვენი ყროყინით ხალხს გულს ნუ უწუხებთო. – ელაპარაკე ახლა ამას, არა, არა, ჩვენ მივქარეთ, ღვინო რომ დაგალევინეთ, შენთვის ღვინო კი არა, წაქია ზედგამოჭრილიო. ის კი თავისას არ იძლიდა. მატარებელი დაიძრა და გოგო-ბიჭები ფაცხაფუცხით შემოცვიდნენ ვაგონში. ბოლოს ის ხმელ-ხმელი ბიჭიც შემოვიდა, ძლივს გააგდებინეს ხელიდან ანთებული სიგარეტი.

გამცილებელმა გამოაცხადა – ვაგონში სიგარეტის მოწევა სასტიკად აკრძალულიაო. მის ბოლზე კომპიუტერული სისტემა ირევა, მატარებელი ჩერდება და მის გამართვას სამი საათი სჭირდებაო. ხმელ-ხმელმა ბიჭმა გამცილებელს ჩაწითლებული თვალები შეანათა და უთხრა:

– გვაბოლებ, არა?! – მერე გამცილებელი გოგონა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა: – ღმერთო, რა ლამაზი თვალები გაქვთ, რა მაცდურად და მომხიბივლელად ილიმებით, ყველას ასე ულიმით, თუ მარტო მე? რა თქმა უნდა, მე! ჩემს შეხედვაზე ქვებიც კი დნებიან, მაგრამ არ ამჟღავნებენ. თქვენც მაგ დღეში ხართ ახლა, მაგრამ ქალური კდემამოსილება არ გაძლევთ მისი გამოხატვის საშუალებას. დედა, დედა, როგორ გიხდებათ უნიფორმა! საპატარძლო კაბასაც კი დაჩრდილავს...

– ახალგაზრდავ, გთხოვთ დაბრძანდეთ თქვენს ადგილას.

– მოიცათ, მოიცათ, რატომ მიშლით მშვენიერებით ტკბობას? გგონიათ, რომ ეგ სილამაზე მარტო თქვენ გეკუთვნით? გინდათ, ლექსს გეტყვით, თქვენნაირმა თვალებმა ათქმევინეს, ალბათ, დიდ კონსტანტინეს – „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰეგხარ ზღვას“... არა, არა, ეს ლექსი მუხლზე დგომით უნდა წაგიკითხოთ.

ბევრის მნახველ გამცილებელს არ აკვირვებდა ახალ-გაზრდას საქციელი, იქნებ კიდევაც სიამოვნებდა გულში.

– აპრძანდით, ახალგაზრდავ, ნუ გადაკეტეთ გასასვლელი.

– ხომ ვამბობდი, ამის ღვინის დალევა არ შეიძლება-მეთქი. – თანამეინახეებმა ახალგაზრდას ხელმკლავი გამოსდეს და თავის ადგილისაკენ წააჩანჩალეს. ის კი კისერმობრეცილი უკან-უკან იხედებოდა და ამბობდა, – უნდა გავიგო, ამ გოგონას შეყვარებული თუ ჰყავსო.

მგზავრების ნაწილი ცნობისმოყვარედ შესცეკროდა ქალის მოხიბვლის რიტუალს, ნაწილი კი ბუზღუნებდა, ამას რა გაუძლებს თბილისამდეო.

ყველანი თავის ადგილას დასხდნენ, მატარებელმაც სვლას უმატა. გრაფიკით ათი საათისთვის თბილისში უნდა ყოფილიყვნენ. მის წინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იჯდა, სპორტულად შემოსილი სპორტული აღნაგობის მამაკაცი და წაბლისფერთმიანი, ფერ-მკრთალი გოგონა. გოგონას უკვე დატყობოდა მუცელი. ახალი სიცოცხლის ყოველ გატოვებაზე შეხტებოდა ხოლმე.

– ნახე, ნახე, როგორი მოუსვენარია, ვერ ისვენებს... – და ქმრის ხელს მუცელზე მიიდებდა ხოლმე. მამაკაცი თავს დაჰფოფინებდა სიფრიფანა მეუღლეს, – ხან ხილს მიაწვდიდა, ხან წყალს, ხან კიდევ რას.

მგზავრობა ისეთი რამ არის, დიდხანს უბრად ვერ იქნები, მით უმეტეს, როცა წინ ხუთსაათიანი მგზავრობა გელის. ახალ-გაზრდა კაცი პირველი გამოელაპარაკა, – წყალს ხომ არ მიირთ-მევთო. მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ საუბარიც გაიბა.

– პატარა ვიყავი, აფხაზეთის ომმა რომ მომისწრო, მშობლებთან ერთად თავი ბათუმს შევაფარეთ. ძალიან გვიჭირდა. მშობლები ვერსად დასაქმდნენ. უსაშველობის გამო

გადაწყვიტეს, რუსეთში გადახვეწილიყვნენ. საოცარიც არის და მტკიცნეულიც, რუსეთმა გამოგყარა ჩვენი კუთხიდან და ჩვენ მაინც რუსეთს შევეკედლეთ. წამოვიზარდე, იქაური უნივერსიტეტი დავამთავრე და ბიზნესს მოვკიდე ხელი. გაამართლა ბიზნესმა, გარკვეულ კაპიტალს მოვუყარე თავი და ისევ ბათუმში ჩამოვედი. შევიძინეთ სახლი. მშობლები ახლა აქ ცხოვრობენ. მე კიდევ რაღაც საქმეები მაქვს გასაკეთებელი, მეუღლესთან ერთად ისევ რუსეთში უნდა დავბრუნდე. შვილის გაჩენის დრო რომ მოალწევს, აქ დავბრუნდები. მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, გაიღიმა და განაგრძო:

— აქ მინდა, ქართულ მინაზე რომ დაიბადოს და ქართულად აღიზარდოს. ქართულ ტრადიციულ ოჯახში, ბებია-ბაბუასთან ერთად. იქ დაბადებული ბავშვი გაორებულია. მოგეხსენებათ, თუ როგორ აყალიბებს გარემო პიროვნებას. კი ბატონო, გენეტიკით იქნება ქართველი, მაგრამ სამწეუბაროდ, მენტალობით — სხვა ტომის. გარემო არათუ ყრმაზე, ზრდასრულ ადამიანებზეც ახდენს გავლენას. სხვა კულტურას ითვისებ, სხვა კულტურას ეზიარები, რომელიც შენს კულტურასთან ვერ მოდის თანხვედრაში, უცხოა. და თუ დიდხანს დაყოვნდები, გადაჯიშდები. გადახვენა დიდი უბედურებაა, როგორც პიროვნებისათვის, ასევე ქვეყნისთვის. მით უმეტეს, იქ გაჩენილი ბავშვისთვის. გადმოქართველება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ჩამოვდივარ ჩემს ქვეყანაში. ქვეყანამ ყველა საქმე უნდა გადადოს და, რაც არ უნდა დაუჯდეს, გადახვენილი შვილები უკან, სამშობლოში დააბრუნოს. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ბუნება ცარიელ ადგილს დიდხანს ვერ ჰგუობს და ის აუცილებლად შეივსება. შეივსება და საბოლოოდ დაგველუპავს. ისტორიიდან ცნობილია, რომ ხმალში ყოველთვის მხნენი ვიყავით. დღეს კი — ფულში მოვიკოჭლებთ. ფული გვჯაბნის, იმიტომ, რომ მიწიერს მივეჯაჭვეთ და ღმერთი დავივიწყეთ. ჩვენი წინარე ქართველები სხვაგვარად ირჯებოდნენ, სიძნელეებს არ უშინდებოდნენ და არც არსად გარბოდნენ. გადახვენილი კაცის გულში თუ სამშობლოს სიყვარულმა სხვა რამის სიყვარულს არ აჯობა, გაუჭირდება სამშობლოში დაბრუნება.

გულწრფელი ახალგაზრდაა და საინტერესოდ მსჯელობს. ნეტავ, ასე ბევრი აზროვნებდეს, ბევრი ჰყავდეს ქვეყანას. – გაიფიქრა თავისთვის და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ კი წყვდიადს მოეცვა ყოველივე.

ჩოჩქოლმა და ხმამაღალმა საუბარმა გამოიყვანა გარინდებიდან. ისევ იმ ხმელ-ხმელის ჭირვეული ხმა ისმოდა: – რა უფლებით მიკრძალავთ სიგარეტის მოწევასო.

გოგო-ბიჭები ეძიძგილავებოდნენ და ცდილობდნენ სიგარეტი წაერთმიათ მისთვის. ის კი დარბოდა სავარძლებს შორის. ხან ერთ მგზავრს დაეჯახებოდა, ხან მეორეს, ხანაც წონასწორობა დაკარგული თავზე გადაემხობოდა.

მოთმინებადაკარგული მგზავრი ფეხზე წამოვარდა და გაბრაზებულმა ხმამაღლა, უცხო ენაზე გამოხატა გულისწყრომა.

– პარდონ, მუსი. – ჩაუფრანგულა და თავი დაუღუნა ახალგაზრდამ უცხოელს.

უცხოელს მისი ადგილობრივი თანმხლებიც გამოექომაგა:

– როგორ არ გრცხვენია, ახალგაზრდავ! უცხოეთის საელჩოს წარმომადგენელია, დიპლომატი. რას იფიქრებს ჩვენზე?

ხმელ-ხმელი მოუბრუნდა თანმხლებ პირს და ირონიული გრიმასით მიუვო:

– დიდი ამბავი, თუ უცხოელია! გოუნექით, გოუნექით ფეხევეშ, ეგ უცხოელები იქნება ცოტა ხანში თავზე რომ გადაგივლიან. რას მიკეთებენ ერთი, რა გაუკეთებია ჩვენთვის. ერთი მაგენის გაკეთებული საქმე მანახეთ. ევროპელებიდან აიღეთ მაგალითო. რა უნდა ვისწავლოთ ევროპელებისგან? მშიშრები არიან, მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. შეგვატოვეს პირდაფრჩილ რუსეთს. მაგათი დამსახურებაცაა, ასეთ დღეში რომ ჩავცივდით. სიტყვით ვითომ აკრიტიკებენ ჩრდილოელ ქართველთყლაპიას, საქმით კი მათზე არიან ჩამოკიდებულნი. ვერასოდეს ვიქნებით ჩვენ ევროპისთვის რუსეთის საპირწონე. ჩვენ რა შეგვიძლია, შევთავაზოთ? ის, რაც ჩვენ შეგვიძლია, შევთავაზოთ – ჩვენი ზნეობა, კულტურა, ტრადიციები, მათ როგორც ახლა ამბობენ, ჰეკიდიათ. სამაგიეროდ, ჩრდილოეთიდან ღებულობენ სითბოს, სინათლეს და სხვა მატერიალურ სიკეთეებს. გაბერწდნენ, მათმა უსაშვე-

ლო ლიბერალიზმმა წარყვნა, წაბილნა და გაათახსირა ყოველივე სულიერი. ჩვენც რაღაც გროშებისთვის იგივეს გვიპირებენ. ეს არის დღევანდელი ევროპა, ყოველგვარი სულიერებისაგან დაცლილი. ასეა ეს და დიდი ამბავი, თუ ცოტათი შეშფოთდა. შეშფოთების გარდა სხვა რა შეუძლიათ?! გამოხატვის თავისუფლებას მიზღუდავს ეგ ევროპელი – ასე არ გვასწავლიან?! და მადლობა მითხრას, ამ თეზისიდან გამომდინარე, მკვდარსა და ცოცხალს რომ არ ვაგინებ.

თანამეინახეებმა რის ვაივაგლახით წაართვეს სიგარეტი გაჯიუტებულს და ისევ თავის ადგილისაკენ წაიყვანეს.

– ეს რა შარში გავეხვიე, კაცო! ამასთან ერთად აწი არსად წამსვლელი არ ვარ, მეონი მთლად გარეკა. – ამბობდა აჭარხლებული, ნაადრევად თმაშეთხელებული თანამეინახე.

უცხოელის ქომაგი კი ხმამაღლა აცხადებდა:

– კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა და პოლიციას გამოვუძახებო.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა თავის საფიქრალმა წაიღო. მგზავრობისას რას არ მოისმენ და გაიგებ კაცი. მის წინ მსხდომი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კი სიყვარულით იჭუკ-ჭუკებოდნენ ერთმანეთს, სხვა სამყაროში იყვნენ. მხოლოდ ხანდახან ხმამაღლა შეძახილზე თუ წამონევდა თავს ფერმკრთალი გოგონა, სახე შეეფაკლებოდა და შიში გაუკრთებოდა თვალებში. ქმარი კი სიყვარულით თავზე ხელს უსვამდა, გულში იხუტებდა, ამშვიდებდა, – არაფერია საშიში, სამყარო სავსეა უცნაური ადამიანებით და ამიტომ არის ასე ლამაზიო. შენთან ვარ და ხომ იცი, მარადუამს შენთან ვიქნებიო, ნუ შეშფოთდები, ექიმმა ხომ გითხრა, არაფერზე ინერვიულოო. ბევრი აღარ დაგვრჩა, მალე დედაქალაქს ვეწვევითო. ისე კი ყველაზე კარგი იქნება, თუ ცოტას წაუძინებ, დროც შეუმჩნევლად გაირბენსო.

უცეცხლო რკინის რაში ლაგამმიშვებულივით მიაპობდა სივრცეს. ალაგ-ალაგ კი ისე გადაიგრიხინებდა და შეჰქივლებდა, გული შეგიფრთხიალდებოდა. მატარებელი წიფის აღმართს შეუყვა და სვლას უკლო. ისევ ჩოჩქოლი ატყდა.

– სადისტები ხომ არა ხართ, მწეველი კაცისთვის ხუთ-საათიანი თავშეეკავება ჯოჯოხეთია, შეიძლება ჭკუიდან გადახ-

ვიდე. მეტის მოთმენა მე აღარ შემიძლია, მომეცით სიგარეტი, თორემ რაღაც საშინელებას ჩავიდენ!

ჭირვეული ახალგაზრდის გამოხტომებს მგზავრები უკვე შეეჩვინენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ხმელ-ხმელი კი არ ისვენებდა და ყვიროდა:

— ასეთი უსულგულოები როგორ ხართ? კაცი არ ვიყო, თუ არ გამოგაფხიზლოთ! — ნამოვარდა ფეხზე და კიბისაკენ გაექანა.

თანამეინახენი უკან დაედევნენ. დიდი ხნის ჩოჩქოლისა და დავიდარაბის შემდეგ ისევ უკან მოაპრუნეს.

— მგონი, ვერ აქვს ამ ბიჭს თავში მთლად კარგად საქმე. — აბუზლუნდა ისევ თმაშეთხელებული.

ხმელ-ხმელი კი ვაგონის შუაში გაჩერდა, თავი მაღლა ასწია, მზერით ჩამოუარა მგზავრებს და რაღაც გაბზარული, სევდა-ნარევი ხმით ხმადაბლა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, დაიწყო:

— რა გაძინებთ, თქვე უბედურებო, რა გაძინებთ, თქვე მშიშ-რებო, მხდალებო და მცონარებო?! თქვენს ხელში გაბრნებინდება საქართველო?! მოსემ ორმოცი წელი ახეტიალა ეპრალები უდაბნოში, რომ მონური ფსიქოლოგიდან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ შეძლო და ჩაინთქნენ უდაბნოში. მხოლოდ თავის-უფლებაში გაზრდილი ელირსენენ ალთქმულ მიწას. თქვენ კი, სანამ კეთილდღეობის მონობისგან არ გათავისუფლდებით, სანამ საქვეყნო საქმეს პირადულზე მაღლა არ დააყენებთ, სიზმარშიც ვერ იხილავთ გაბრნებულ ქვეყანას. დარბისართ, დაეხეტებით, მიგიტოვებიათ საკუთარი დედა და დედინაცვალს ებლაუჭებით. შეებრძოლეთ კეთილდღეობის მონობას, თუ არა, ამ მონიბაში აღმოგხდებათ ცოდვებით დამძიმებული სული. ეჰ! — ამოიხსრა, თავი გადაიქნია და უაზროდ მოავლო თვალი მგზავრებს. დადუმდა, ჩაფიქრდა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჯიბეები მოიქექა. წამიერად გაირინდა და ლიმილი გადაეფინა სახეზე. მისკენ შემობრუნებულ პატარა ბავშვს, რომელიც ცნობისმოყვარეობით შესცეკრდა, თვალი ჩაუკრა, ჩაიფრუტუნა და გულიანად გადაიხარხარა, — რას გეხვენებოდით აქამდე, თქვე უგულოებო. აგერ არ მქონია, კაცო, გადანახული ერთი ლერი. — ჯიბიდან სიგარეტი ამოაძვრინა, თითებს შორის

მოიქცია და მოსრისა. – ო, რა ნეტარებით გავაძოლებ! ერთი ვნახოთ, მართლა გაჩერდება თუ არა სამი საათი.

– ეს კი უკვე მეტისმეტია! – როგორმე უნდა დავაშოშმინოთ წამოვიწიე და ფეხზე წამოვდექი – მივალ ორიოდე სიტყვას ვეტყვი.

– თქვენ, არა ბატონო, თქვენ, თქვენ დაბრძანდით, ვფიქრობ, ამაოდ დაშვრებით, მე მივხედავ ამ საქმეს, შეგონებების დროაც აღარაა, როდესაც სიტყვები უძლური ხდება მოქმედებაა საჭირო. ძალიან გთხოვთ, მეუღლეს მიმიქციეთ ყურადღება, მე ახლავე დავბრუნდები.

ახალგაზრდა მამაკაცი ხმელ-ხმელს მიუახლოვდა, გულის-პირში ხელი წავლო და ისეთ სილა გააწნა, ძირს დასცა. ერთ-წამობას ყველა გაისუსა, მერე კი აქა-იქ წამოიძახეს:

– დაგელოცა მარჯვენა, გაიხაროს შენმა გამზრდელმა!

ერთმა მიძინებულმა, რომლის ხვრინვაზე ვაგონი ზანზარებდა, ხმაურზე თავი წამოყო:

– რა მოხდა, ჩავედით უკვე? – მერე, რომ გაერკვა, რაშიც იყო საქმე, ხელი ჩაიქნია, – მოგცლიათ თქვენცო და ისევ ძილს მისცა თავი.

ძირს დავარდნილი წამოიმართა, მუხლებზე დადგა, თავი დახარა და სილის გამწნავს ფეხზე ეამბორა. მერე ცრემლ-მორულმა თავი ასწია და თქვა:

– როგორც იქნა! როგორც იქნა! ძლივს არ გამოვალვიძე კაცი, რომელსაც გული ჰქონია და უმსგავსობას არ შეეგუა. თქვენ კი, – მგზავრებისკენ მიაპრუნა თავი – ყველაფრის შემგუებლებო, ქვეყანას ნაწილ-ნაწილ ხელიდან გტაცებენ, მზაკვრულად გგლე-ჯენ „მოყვარე მტრები“ მომლიმარი სახეებით. გაყურსულხართ, ხმას არ იღებთ. იძინეთ, იძინეთ, ხვალ რომ საზღვარს თქვენს ეზოზე გამოატარებენ და უცხო ქვეყანაში გამოიღვიძებთ, წკავნკავი და ხელების ქნევა მერე ვეღარ გიშველით. გამოიღვიძეთ, ასე რამ დაგაპეჩივათ, რამ დაგჯაბნათ, რამ გადაგა-ჯიშათ?! თავზე გადაგიარეთ და ხმას არ იღებთ. სამწუხაროდ, თუ სავაიოდ, თქვენ ხართ დღევანდელი სახე ჩემი ქვეყნისა, ლეთარგიულ ძილს მიცემულნი. მე კი, მიუხედავად ყველა-ფრისა, მაინც ჯიუტად მწამს, რომ ასეთი ახალგაზრდები... – ხელი გაიშვირა ახალგაზრდისაკენ, – მრავლად გამოჩნდებიან,

არ შეეგუბიან ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, რომელ-
საც საკუთარი განვითარების გზა ჯერ კიდევ ვერ უპოვია და
გამოგაფხილებენ. მეგობარო, ხელი გამომიწოდეთ! – მიმართა
სილის გამნვნელს, – დიდი პატივი იქნება ჩემთვის თქვენთან
მეგობრობა. – გამოწვდილ ხელს თავისი შეაშველა, წამოიმართა,
წელში გასწორდა, მგზავრებს მოავლო ცრემლნარევი თვალი და
ათრთოლებული ხმით განაგრძო: – თქვენს გამოსაფხილებლად
გამომგზავნეს მე, ჩემით კი არ მოესულვარ. იცოდეთ, გამოსავა-
ლი ახლოსაა, მხოლოდ პატარა ძალისხმევაა საჭირო. შეიყვარეთ
ღმერთი და დაუბრუნდით სოფელს. საქართველოს ხსნა სოფ-
ლის სიძლიერეშია. ასე იყო ოდითგანვე და ასე იქნება მარად-
ჟამს. თუ სოფელი არ შეივსო, გაქრება ჩვენი სახსენებელი. ხომ
ხედავთ, დაიცალა ქვეყანა და აღარც ვმრავლდებით. ნურავის
იმედი ნუ გექნებათ, არავინ აიტყივებს თავს ჩვენი გულისთვის,
დიდი-დიდი შეშფოთდნენ. – ხმელ-ხმელმა თავი მაღლა ასწია,
მხრებში გაიმართა, თვალი მოავლო მგზავრებს და დადუმდა.

მტკიცნეულად დიდხანს გაგრძელდა დუმილი, მთელი
ვაგონი გასუსულიყო. როდის, როდის, ულრიალა, ჩახრინნული
ხმით წარმოთქვა:

– უნდა წავიდე ახლა მე, ჩემი გაჩერება აქ აღარ შეიძლება,
მელოდებიან. გამოსაფხილებლად ხანდახან ჩხვლეტაც საჭი-
როა. მებრალებით და მიყვარხართ და თუ ერთი ძარღვი მაინც
შევატოკე თქვენში, თუ თვალი პატარაზე მაინც აგიხილეთ,
მიმიღწევია სანადელისთვის. უკულმა გადაგდებული თესლიც კი
ღვივდება, თუ მას ნოყიერი ნიადაგი დახვდება.

მიღმიურში გადასულმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი
მგზავრებს, საჩვენებელი თითით ცრემლი მოიწმინდა, შებრუნდა
და კიბეზე დაეშვა.

– მგონი, საბოლოოდ გაგიჟდა ეს უბედური! – წამოიძახა
აკანკალებული ხმით თმაშეთხელებულმა და გამოედევნა.

ხმელ-ხმელმა კი რის ვაივაგლახით გამოაღო ვაგონის კარი,
თვალი შეავლო ზეცას და სიბნელეში გადაეშვა.

2018 წელი, თბილისი

გზას აკოლილი ფიქტურები



გზას აყოლილი ფიქრები

— გეყურება, კაცო, გეყურებაა! ას წელს მიუკავუნე, ხუმრობა ამბავი ხომ არ გონია, ამას ოდესმე წარმოიდგენდი? წარმოიდგენდი კი არა და, ვერც იოცნებებდი. ისე, მაგარი ზურგი ქე გქონია, ვირს რომ შეშურდება ისეთი. — ჩაიქირქილა ტუჩებზე ხელმიფარებულმა ერმილემ და აქეთ-იქით მიმოიხედა.

— რას იყურები აქეთ-იქით, ერთთავად ვინმემ არ დაგინახოს, გამარჯობის მთქმელიც კი აღარ დარჩა სოფელში. იარე და ელაპარაკე ახლა შენს თავს. რავა ყველა გარბის, თითქოს ცეცხლმოკიდებულ გემზე იმყოფებოდნენ. ის კი ვერ გაუგიათ, გემის კიჩიზე იქნები თუ ტრიუმში, ჩაძირვა თუ უწერია, მაინც ვერ გადარჩები. დაცურავს ეს ჩვენი გემი სამყაროს უკიდეგანო სივრცეში...

— დაიწყე ახლა შენებურად, მოგძვრება კისერი ზეცაში ცქერით. მაინც რას დაეძებ მილმიეთში?

— რას დავეძებ?

— ჰო, რას დაეძებ?

— ელაპარაკე ახლა ამას, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ჩემო ბატონო, აქ თვალი ყველაფერს შეეჩია და არ გაგიკვირდეს, ცოტა კიდეც მომწყინდა, დალლილობამაც დამრია ხელი. ყველაფრისგან იღლება ადამიანი, შენ წარმოიდგინე, სიცოცხლითაც კი.

— რაღაც უცნაურად მსჯელობ დღეს შენ, ერმილე.

— მაცადე, მაცადე, როგორ ამბობს ის სულგანათლებული — რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტიო — აი, მასეთ დღეში ვარ ახლა მე. სიცოცხლეზე მეტი კი რა არის, ან სად არის? ვერ ხვდები, კაცო! ჰო, ზემოთაა, ზემოთ. მომკლა იმის ინტერესმა, რა ხდება მაღლა.

და მიდიოდა ფიქრებში გახვეული მხცოვანი კაცი ორლობებში... პატარძლებივით შემოსილი თეთრად აფეთქებული ტყემლის ხეები კი მორცხვად ესალმებოდნენ და თავს უხრიდნენ მხცოვანს. აყვავილებული ტოტები ისე გადახვეოდნენ ერთმანეთსა და ისეთი თაღი შეექმნათ, გეგონებოდა, ნათლის სვეტით გაბრწყინებულ გვირაბში მივდივარო. თითქოს პირველად ხედავდა, ისე ხარბად შესცექროდა სამოთხის მსგავს ბუნების უბინოებას – ფუტკრების ზუზუნი, ოხშივარავარდნილი მიწის სურნელი და ფრინველთა გალობა არამინიერ, ზეციურ ჰანგებად ესალბუნებოდა მთელ მის არსს.

– იტყვი ხოლმე შენც! – ამის მოწყენა იქნება?!

ბერიკაცი გასცდა ორლობეს და თვალი ზეცას შეავლო. წერტილისოდენა ღრუბელიც კი არსად ჩანდა. ცინცხალ, ხასხასა, გამჭვირვალე, უძირო სილაუვარდეში იძირებოდა ზეცა და მედიდურად იცქირებოდა ზემოდან. გაზაფხულისაგან გაბრუებულ, ურუოლატანილ ნეტარ სხეულს ეცოტავებოდა მიწა და ზეცაში გაჭრას ლამობდა. – ერთი თვალით მაინც შემაჭყიტა, ნეტავ, იქო! – გაიფიქრა ძალაგამოცლილმა. სივრცეს მოავლო მზერა და ქვაზე ჩამოჯდა, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა მთელი თვალსაწინერი: გაღმა-გამოლმა გორაკებს შეუაში ჩამოუდიოდა ანკარა, სუფთა და საამოდ მოლიკლიკე პატარა მდინარე. ეგ კი იყო, წვიმობისას საზარელი ადიდება იცოდა. მოაგორებდა მღვრიე, მძიმე ტალღებს და მოჰქონდა იმ დღის ნაამაგარი – მოგლეჯილი ხეები, საქათმის, თუ სალორის ნაშთები. პატარა-ობისას, როცა მამა გაიყოლებდა ხოლმე სათევზაოდ, ხშირად ეკითხებოდა – ჩვენს მდინარეზე ტივის დაცურება თუ შეიძლებაო. მამაც ყოველთვის პასუხობდა, ისეთი მიხვეულ-მოხვეული და კლდოვანი ნაპირი აქვს, ტივი აუცილებლად დაიშლებაო. გული სწყდებოდა, ტივი არასდროს ენახა და უნდოდა ერთხელ მაინც ეხილა მდინარეზე მოცურავე.

მოგონებებიდან გამორკვეულმა ჯერ მიწას დახედა, ხელჯოხით მოჩიჩენა, მერე ხელში აიღო, მუჭში მოიქცია. აფურებული და ფაფუკი გამხდარიყო მიწა, მზად იყო ნაყოფის მოსაცემად

და ვაი, რომ მხვნელ-მთესველები აქა-იქ თუ შემორჩენოდნენ
სოფელს... და ტიროდა დაობლებული.

ფეხზე წამოდგა ბერიკაცი და გაღმა გორაკს გახედა, რომ-
ლის წვეროდან უძველესი ეკლესია იმზირებოდა მოოქროვილი
ჯვრით. ახლო წარსულში ძალიან დაზიანებული იყო მრავლის-
მომსწრე პატარა ტაძარი. უცხოეთში გადახვეწილმა აქაურმა
მკვიდრმა თავს იდო მისი აღდგენა-რესტავრაცია. უკვირდათ
ადგილობრივებს, იმ ოქროს საფასური გაჭირვებული ხალხის-
თვის რომ დაერიგებინა, უკეთესი იქნებოდაო. თვითონ კი
კურთხევის ცერემონიალსაც ვერ დაესწრო, რაღაც შარში გაეხვა
და მოკლეს. ჩამოასვენეს და მის მიერ აღდგენილი ეკლესის
ეზოში დაკრძალეს. მალე ეკლესიაც იკურთხა და წინამძღვარიც
დაინიშნა, ძალზე ახალგაზრდა სასულიერო პირი. ეკლესია კი
გაიხსნა, მაგრამ თითო-ოროლა ცნობისმოყვარე თუ მიაკითხ-
ავდა ხანდისხან. ძნელი იყო ურწმუნეობის ეპოქაში გაზრდი-
ლი ხალხის ხელმეორედ მოქცევა. არავინ არაფერი იცოდა, არც
ახალგაზრდა წინამძღვრის შესახებ და არც ეკლესიური ცხოვრე-
ბის შესახებ. შავ კაბაში შემოსილ, შავწვერულვაშიან მოძღვარს
თმა უკან გადევარცხნა და მხრებამდე ჩამოშლილი, სამაგრით
შეეკრა. ისეთი ხორცნაკლული იყო, უსხეულო გეგონებოდა.
თვალს ვერ გაუსწორებდი მის სხივიან მზერას, მოკრძალები-
სა და მოწინების გრძნობა გეუფლებოდა. გრძნობდა მოძღვარი,
არ იქნებოდა ადვილი მიწიერს მიჯაჭვული გონებისა და სულის
ზეციურისკენ მიქცევა. და შეუდგა ღვაწლს. იცოდა, რომ ყვე-
ლაზე კარგი მაგალითი პირადი მაგალითია და რომ სიტყვასთან
ერთად საქმემან შენმან უნდა გამოგაჩინოს. კარდაკარ დადიო-
და, შედიოდა ოჯახებში და ყველას თავაზიანად ესაუბრებოდა,
უსხინდა და განსწავლიდა. გლეხებიც არანაკლებ თავაზიანად
ხვდებოდნენ, სუფრაზე ეპატიუებოდნენ და უამრავ კითხვას
უსვამდნენ, მაგრამ სოფელში დარჩენილი ხანდაზმული მოსახ-
ლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, წლებითა და ღვაწლით დაღლილ-
დაქანცულებს, დრო არ ეთმობოდათ ტაძარში დგომისათვის.

თავდაპირველად უკაცო ოჯახები მოიძია, ხან ერთს გაუწოდა
დახმარების ხელი და ხან მეორეს – ხვნა იქნებოდა, მკა, შეშის

დაჭრა, სახურავების შეკეთება თუ სხვა სამუშაო. ისიც კარგად იცოდა, თუ რაოდენ განუზომელია ქართველი ქალის ღვაწლი ერის ისტორიაში და როგორი შარავანდედითაა შემოსილი. სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ქალის კეთილგონიერებამ და სი-წმინდემ მოიყვანა ეს ქვეყანა ამ დრომდე და რომ ქალი – დედა უწინ უპირველესი საფიცარი იყო ქართველთა მოდგმისათვის. ქალის ზნეკეთილობა და ოჯახისადმი ერთგულება საწინდარია ქვეყნის კეთილდღეობისა, თავისთავადობისა და თვითმყოფადობისა. ასე იყო წარსულში, ასე უნდა იყოს დღესაც და მომავალშიც – ფიქრობდა მოძღვარი.

ქვეყანაში დატრიალებულმა ქარტეხილებმა ბევრი დედა შემოსა შავით. სვეგამნარებულებმა პირველად მათ მიაკითხეს მოძღვარს. დაუყვავა, გულში ჩაიკრა, მათი ცრემლებით უბედალტობილი თვითონაც ცრემლად იღვრებოდა. მერე ზოგს საკურთხი უკურთხა, ზოგს პანაშვიდი გადაუხადა. რიდითა და მოკრძალებით უხსნიდა წარმავალი წუთისოფლის ამაოების შესახებ, ღვთის განგებულების შესახებ, სულის უკვდავების შესახებ და არწმუნებდა, რომ გაუთავებელი ურვა და წუხილი ვწებს გარდაცვლილთა სულებს. მდგომარეობის შესამსუბუქებლად შეკვეთილ წირვებს უტარებდა გარდაცვლილებს და უხსნიდა დედებს მისი მნიშვნელობის შესახებ. ცოტა ხანში შაოსნებს მათი ქმრები და შვილებიც მიჰყვნენ და ნელ-ნელა ხალხი ეკლესიის გზას დაადგა.

ერმილეც იქ მიდიოდა. რაც ეკლესია იკურთხა, მას შემდეგ ყოველ კვირას დადიოდა ტაძარში. გაუყვებოდა გზას და ფიქრებით წარსულს ელაციცებოდა.

– ერთი ის გამაგებინა, ამ ხელჯოხს რას დაათრევ, ვითომ გჭირდებოდეს!

– მრცხვენია და იმიტომ, ხომ უნდა გამოიყურებოდე ასაკის შესაფერისად. არ გახსოვს, რა თქვა იმ ყიამყრალმა – შენ კიდევ ცოცხალი ხარო?!

– არც შენ შეგირცხვენია თავი, შენც გვარიანად უპასუხე – ამ წუთისოფელში ყველას თავისი საფლავი აქვს ამოსავსებიო. ენა ჩაუვარდა და ხმა ვეღარ ამოილო...

– ისე კი, საკვირველია, აქამდე მართლაც რამ გამაძლებინა?!

ჯოხი კვერთხივით მოიმარჯვა მხცოვანმა და თავქვე დაუყვა გზას. შვილთაშვილის დამზადებული იყო, ისეთი გამოკოპნიავებული, ხელოვნების ნიმუში გეგონებოდათ. ხელს რომ წაავლებდა ჯოხს, თითქოს ახალგაზრდა ყმაწვილის ხელის სითბო მასზე გადმოდიოდა, ჩაიღიმებდა გრძნობამორეული და თავისთვის იტყვოდა – ხელმარჯვეობით მე მგავსო.

დინჯად მიდიოდა თავქვე ბერიკაცი. სასიამოვნოდ უბერავდა დილის გრილი ნიავი, გაღვიძებულ დედა-ბუნებას ყველა სულდგმული სახალისო ფერხულში ჩაება. ფრთახატულა და ფრთაფარფატა პეპლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სურნელოვან ყვავილზე წამოსასკუპებლად.

ამას წინათ, ოჯახში ყველაზე უმრნმეს გოგონას სათამაშო პეპელა მოუტანეს. ისე მოეწონა, სულ ხელში ეჭირა და აქეთიქით დაარბენინებდა. რომ შეეკითხებოდი:

– რას აკეთებ, ბაბუ?

პასუხობდა – პეპელას დავაფარფატებო. მოდი და თქვი უკეთესად. ვინ უკარნახა, ან საიდან მოიგონა უწლოვანმა ასეთი პასუხი, საკვირველია პირდაპირ.

– რას ვამბობდი, აქამდე რამ გამაძლებინაო!؟ ისე კი, მართლაც, გასაოცარია, აქამდე როგორ მოვალნიე. რა ცხოვრება გამოვიარე, ვინ იფიქრებდა, როგორი ბავშვობა, უმამობა, შიმშილი, დედის ამარა დარჩენილი ობლები. ყველაზე პატარა შიმშილმა თუ რაღაც სახადმა გადაიყოლა.

შუბლი შეიქმუხნა ბერიკაცმა, ეტკინა წარსული. ისევ ფიქრებს გაუყვა – სანამ მამა ცოცხალი იყო, არაფერი უჭირდათ. ყველაზე ტკბილმოსაგონარი ის წლები იყო მის ტანჯულ ცხოვრებაში. არაფერი აკლდათ. მამას რესტორანი ჰქონდა რაიონულ ცენტრში. მეთვალყურედ თავისი ნათლული ჰყავდა მიჩენილი. კაცმა არ იცის, უყურადღებობითა, თუ მავნებლის ხელით, რესტორანი დაიწვა. პირველად მის ნათლულს მიადგნენ და დააკავეს. ახლად დაქორწინებული იყო ნათლული, ოჯახით ხარობდა და ხალისობდა. მიაკითხა მილიციაში – მე ვიყავი იმ ღამეს რესტორანშიო, დალლილს ჩამეძინა და არ ვიცი, ხანძარი

საიდან გაჩნდაო. დაიჭირეს. მაისში ოცდაჩვიდმეტი წლის ხდებოდა და რაღაც სამ კვირაში, ოცდაჩვიდმეტი წლის ჩვიდმეტ მაისს დახვრიტეს.

ციფრებსაც თავის იდუმალება აქვს, ვერავის ხელენიფება მისი ამოხსნა. როგორც დედა იტყოდა, დახვრიტეს, როგორც მავნებელი და ხალხის მტერიო. მერე დაიწყო, რაც დაიწყო – ჯოჯოხეთი. იტყოდა ხოლმე, სიკვდილი იმ ჯოჯოხეთან შედარებით, რაც მე გამოვიარე, რა მოსატანია, მიღმიერი ჯოჯოხეთი, წუთისოფლის ჯოჯოხეთან შედარებით, ჩემთვის სამოთხე იქნებაო. ცოტა ხანში დედაც დაიჭირეს. ღმერთმა ნუ გამოლიოს კეთილი ადამიანები, ღვთისმოშიშ, გონიერ და ზნეკეთილ ადამიანებზე იდგა სამყარო ყოველთვის. უპატრონო ბავშვები ყველაზე პატარას ნათლიამ შეიფარა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად და თბილისში წაიყვანა. ავი დრო იყო, ცხოველური შიში სუფევდა. როგორც კეთროვანს, ისე ერიდებოდნენ რეპრესირებული ოჯახის შვილებს. კაცმა არ იცის, რა მანქანებით, ნათლიამ დედა ციხიდან დაიხსნა და ისევ საკუთარ ოჯახს დაუბრუნდნენ. მორწმუნე ქალი იყო დედა და ყოველ საღამოს ლოცვებში ატარებდა. მასაც ასწავლიდა ლოცვებს. სადაც არ უნდა იყო, იესოს ლოცვა ყოველთვის თქვი, ამ ერთი ლოცვითაც კი შეიძლება ცხონდეს ადამიანიო. ამბობდა კიდეც და ყოველთვის გრძნობდა უხილავის უჩინარ ხელს. აბა, რა ძალამ გადაარჩინა!

– მერე რა იყო, ერმილე, მერე? გადი ბარემ ბოლოში, ჯერ კიდევ საკმაო გზა გაქვს, ჩამოფქვი ბარემ.

– ეჱ, მერე იყო, რაც იყო! – მერე იყო ომი და ტყვეობა. სოფლის მოშორებით ტყის პატარა ნაგლეჯს მავთულხლართები შემოარტყეს და იქ შეგვრეკეს. ერთ კვირაში მწვანე ნარგავებს არათუ ფოთოლი, ტყავიც კი არ შერჩა, შიმშილისაგან განამებულები შეესივნენ. ბევრი დაიხოცა.

იქ ნახა პირველად ახალგაზრდა კაცმა ზნეკეთილობისა თუ წარწყმედის მაგალითები. შეზარა ადამიანების რეალურმა სახეებმა. ნიღბები, მეძავი ქალის სამოსივით, ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა ძირს. გაპირუტყვებული ბრბოს გაშიშვლე-

ბული სულის კივილი ცას სწვდებოდა. ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. ერთ დილით ფეხზე წამოყარეს და დაამწკრივეს. მერე ვიღაც მაღალჩინოსანმა ჩამოიარა და ცხოველებივით დაუწყო სინჯვა. რამდენიმე მათგანი გამოარჩიეს, შერეკეს მანქანაში და გზას გაუყენეს. გაიფიქრა, ალბათ დასახვრეტად მივყავართო. დედის შეგონება გაახსენდა და იქსოს ლოცვებს იმეორებდა გულში. მერე მანქანა რკინიგზის ვაგონებმა შეცვალა და რამდენიმე დღეში, როგორც შემდეგ გაარკვია, გერმანიაში ამოყო თავი. ყველაზე მეტად ის გაუკვირდა, რომ გზაში ნორმალურად კვებავდნენ...

საოცრება ის იყო, რომ გერმანიაში ჩასული, საკონცენტრაციო პანაკში კი არა, ვიღაც პარონთან მიიყვანეს. თევზები ჰყვარებია ძალიან იმ პარონს. სატბორე მეურნეობა ჰქონდა და იქ გაამწესეს. თევზებისთვის უნდა მიეხედა. შეასწავლეს ყველა საქმე, საცხოვრებელიც გამოუყვეს და საკუებიც. ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა. შეეგუა თავის ხვედრს და გაურკვეველი მომავლის მოლოდინში მონდომებით შეუდგა საქმიანობას. ან სხვა რა გზა ჰქონდა!

ერმილემ ჩამოივაკა და სანამ მდინარეს მიადგებოდა, მუხის ძირში სახელდახელოდ გაკეთებულ სკამ-მაგიდასთან ჩამოისვენა.

– რაო, ერმილე! – შეუძახა თავის თავს. – ამ ბოლო ხანებში ძალიან ხშირად იქექები წარსულში. დაკარგე რამე? რას დაეძებ?!

– თავს ვიყოლიებ, შე კაცო, ასაკმა იცის მოგონებებით ცხოვრება.

მოიფშვნიტა ხელები და ცას ახედა. უღრუბლო ზეცა დაჰყურებდა ზემოდან. მშობლიურ გარემოს დანატრეპული მერცხლები ჭიკჭიკით სერავდნენ სივრცეს. მზე ცის თაღს მხრებამდე მისწვდენოდა.

– ისევ მაღლა იყურები, ერმილე?

– კაცო, სულ მაინტერესებს, როგორი იქნება ღმერთთან შეხვედრა. საინტერესოა, როგორ გამოიყურება. ისეთივეა, როგორიც აქ იყო – მიწაზე, თუ სხვანაირი.

მერე მაგიდაზე იდაყვები დაუშვა, ხელებზე თავი ჩამოასვენა და მზერით ძელქვის წვეროს მისწვდა.

— ამაზრზენია სიკვდილი, მაგრამ იმით ფასობს, რომ ერთა-დერთი საშუალებაა ცოდვილი კაცის ღმერთთან შეხვედრისა. ღმერთთან შეხვედრა! მეხუმრები შენ? ცოტაა ეს?!

— მერე?

— რა მერე? ყველაფრის ცოდნას ნუ მომთხოვ ახლა. მერე რაც იქნება, ის იქნება.

— ფიქრებიც შენს ცხოვრებასავით აწენილი გაქვს, ბერიკა-ცო, რაღაც ველარ ეტევი მიწაზე.

— ძეხორციელს არ ძალუძს ფიქრის გარეშე ცხოვრება, ფიქრის უნარი ღმერთმა მხოლოდ ადამიანს მისცა. შენ რა! არავის ვაწუხებ მე ჩემი ფიქრებით, ჩემთანაა, ჩემია და საგზლადაც გავიყოლებ იმ სოფელში. სიკვდილის წინაც გაიელვებს, ალბათ, მთელი წარსული და ცრემლით გავაცილებ.

მერე ჩაიქირქილა:

— აპა! შე დალოცვილო, საარაყე ქვაბიც კი თუხთუხებს ფიქრისგან, მსხვილი ნაკადი გავუშვა თუ წვრილიო.

— რას არ იტყვის შენი ენა, ერმილე, როგორია საარაყე ქვაბის ფიქრი! — ჩაიფრუტუნა თავისთვის. მერე ისევ წამოიმართა და შარაგზას გაუყვა. ძელქვების კორომსაც ჩაუარა და ახლად გაკეთებულ ხიდზე შედგა ფეხი.

— ძელქვა. აი, ამას ჰყოლია ნათლია, თუ ჰყოლია.

შუა ხიდზე გაჩერდა და მდინარეს ჩააცქერდა. მზის სხივები ათინათებად ირეულებოდნენ მდორედ მოდუდუნე პატარა ჭალ-ლებზე. რამდენი უნახავს, რამდენს ნახავს კიდევ...

ხიდი გადაიარა მხცოვანმა და გაწყვეტილ ფიქრს აედევნა. სამყარო ომის ცეცხლში იყო გახვეული. დაუნდობლად ულეტდნენ ერთმანეთს. მილიონბით ადამიანი იხოცებოდა. გეგონებიდა, აპოკალიფსი დაიწყოო. თვითონ კი ამ დროს თავშესაფარიც ჰქონდა და საკვებიც. მისი ქვეყნისთვის მოღალატე იყო, ამ ქვეყნისთვის კი ტყვე და მონა. როგორც არისტოტელე იტყოდა, მოლაპარაკე ინსტრუმენტი, ცხრა გრამ ტყვიაზე ნაკლები ღირებულების. უცნაურ ტყვეობაში იყო. მოგეხსენებათ, გერმანელები როგორი პედანტი და წესრიგის მოყვარული ხალხია. ყველა-

ფერი გათვლილი ჰქონდათ, ყველაფერი, საყოფაცხოვრებო წვრილმანიც კი.

— წუთისოფელში ბევრმა რამემ შეიძლება, გააოცოს ადამიანი, მაგრამ მე ყველაზე მეტად მისი გონიერივი შესაძლებლობები მაოცებს. რამდენ რამეს იტევს, ზოგს ცხრილავს და უკვალოდ აქრობს, ზოგს კი, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ დაივინყებ, ვერ ამოშანთავ, ვერ ამოძირკვავ...

საკვები მის საცხოვრისში ერთ ახალგაზრდა, მზარეულის თანაშემწერ გოგოს დაჰქონდა. დაუტოვებდა და უკანმოუხედავად გარბოდა. მაღალი, ქერათმიანი, ცისფერთვალება, ლამაზი და ეშხიანი გოგონა იყო. მშვენიერებისკენ სწრაფვა ხომ სულის დამახასიათებელი თვისებაა, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყო და ყოველთვის თანამდევია. გოგონას მოსვლა აფორიაქებდა, შებორკილად გრძნობდა თავს და თავდახრილი ხვდებოდა. შეხედვას როგორ გაუბედავდა, შეპარვით თუ შეავლებდა ხოლმე თვალს. მოგეხსენებათ, შიშს როგორი თვალები აქვს. ის ხომ ერთი უუფლებო, მსუნთქავი არსება იყო.

— დრო მოვლენებს ან არბილებს, ან ასასტიკებს. როცა დარწმუნდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი და არა კაციჭამია, უფრო გათამამდა. ისე, იქაური გოგონები უფრო თამამნი არიან.

აღარ გარბოდა უკანმოუხედავად, გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ მასთან ყოფნა სიამოვნებდა. თანდათანობით მცირეოდენი გერმანულიც შეისწავლა. პირველ ხანებში გერმანული ენის ულერადობა ტანკის მუხლუხების ღრჯიალს აგონებდა და ტანში ზარავდა. მერე ყურიც შეაჩვია. გოგო კი მეტად თამამი ვინმე გამოდგა. ზომაზე მეტად ჩასხსილი გულისპირით, მოკლე კაბით, მის საცხოვრისში უფრო დიდხანს რჩებოდა. ფეხს ფეხზე გადაიდებდა, თვალებს ეშმაკურად შეანათებდა და ჩაიკისკისებდა. თვითონ კი არ იცოდა, თვალები სად წაელო. ფიქრობდა, შარს გადამკიდებს ეს გოგოო. რაც დრო გადიოდა, ქალი უფრო მოურიდებელი ხდებოდა. ერთხელ პიჯაკის მსგავსი ჩასაცმელი მოუტანა, მოიზომეო. მანაც მოიზომა. ეგრე არაო, ანიშნა, ძველი ზედატანი გაეხადა. დაიმორცხვა, მაგრამ მაინც გაიხადა. ქალმა

შეათვალიერა, მერე მკლავის კუნთებზე ხელი მოუჭირა, ცერა თითი მაღლა ასწია, ჩაიკისკისა და ეზოში გავარდა. მისი წასვლის შემდეგ მთელი დღე ურულაატანილ სხეულს ძლივს დაათრევდა. ერთი ფრაზა გაიზეპირა და ხშირად უმეორებდა – იხ ფერმტეენ დოიჩ აპერ შპრეხენ კან იხ ნიხტ – მე მესმის გერმანული, მაგრამ ვერ ვლაპარაკობო. გოგო კი გაუთავებლად რაღაც ამბებს უყვებოდა, შიგადაშიგ ჩაიკისკისებდა და მხარზე წამოარტყამდა ხოლმე ხელს. რა უნდა ექნა, იჯდა და უსმენდა. აღარავისი ერიდებოდა, როგორც ტოლ-სწორს, ისე უყურებდა. იმ დღეს ნავშიც ჩაუხტა და თევზების დაპურებაში დაეხმარა. ჯერ გვერდით მოუჯდა, ისე აეკრა, ცეცხლი წაუკიდა მთელ ტანზე. მერე წინა მხარეს დაუჯდა და მოურიდებლად, აქეთიქით იქნევდა ფეხებს. აღარ იცოდა, საით გაეხედა, ძლივს გამოაღწია ნაპირამდე. ფიქრობდა, ჩემს დასაღუპადაა ეს გოგო მოგზავნილი.

– ფრთხილად, ფრთხილად, ერმილე, ხომ არ დაგავიწყდა, სად ხარ – სადაც შენნაირებისთვის ტყვიაც კი ეძვირებათ და გაზის კამერებში გუდავენ.

სხვა მოსამსახურებიც ამჩნევდნენ იმ გოგოს მოურიდებელ ქცევებს, მაგრამ არაფერს ამბობდნენ – ყველა ზრდასრული, ჯანმრთელი მამაკაცი ხომ ფრონტის პირას გავარვარებულ ტყვიებს აგრილებდა, – მხოლოდ ირონიულად თუ გაიღიმებდნენ ხოლმე.

გრძნობდა ერმილე, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ეს იყო რაღაც წარღვნის მსგავსი, ვულკანი, პლანეტების შეჯახება, სახმილმოდებული სხეულების გონიერების მიღმიერი, ყველაფრის წამლეკავი ვნება. ყველაფერი გამქრალიყო, იყო მხოლოდ მდედრი და მამრი და სამყაროს პირველყოფილი ვნებით რეტდასხმული თავდავიწყება.

ამ ამბიდან სულ მალე რაღაც სახადი შეეყარა – დაეწყო მუცლის გვრემა, აუნია ტემპერატურამ. ცეცხლწაკიდებული სხეული ეწვოდა. ხშირ-ხშირად კარგავდა გონებას. როგორც შემდეგ გაარკვია, დეზინტერია შეყროდა. ეს იმ დროს სიკვდი-

ლის ტოლფასი დაავადება იყო, მით უმეტეს, მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის. დღემდე გაოცებულია, თუ როგორ უმკურნალეს ვიღაც უთვისტომო ტყვე კაცს და სიკვდილს გამოგლიჯეს ხელიდან. მომვლელად ის გოგო მიუჩინეს და გამოჯანმრთელებამდე არც მოშორებია. მოდი და ნუ გაგიკვირდება ტყვე კაცის მიმართ ასეთი ჰუმანიზმი.

ვაკე დამთავრდა და ერმილე აღმართს აუყვა. გორაკის წვერზე იყო ის კოპნია ეკლესია და იქით მიეშურებოდა, ახალგაზრდა მოძღვარს უნდა შეხვედროდა.

- ერმილე, აღსარებას შენს თავს აპარებ თუ მღვდელს?
- ჯერ ჩემს თავს...

მძიმედ აუყვა აღმართს მხცოვანი. გაჩენიდან, კაცი გაახელს თუ არა თვალს, ფეხის ადგმისთანავე თავდაუზოგავად გარბის

- ჯერ მსუბუქად, ადვილად, ვაკეზე და დალმართზე. შუახანს რომ გასცდება, აღმართში უწევს სიარული, მწვერვალამდე კი შორია და ძნელად სავალი...

მობორიალე ფიქრები ღრუბლებივით ირეოდა. ბერიკაცმა ნაბიჯი შეანელა, შეჩერდა, შემობრუნდა და თავის სოფლისკენ გაიხედა, გაეღიმა.

- რაო, რა გითხრა უწლოვანმა კუდრაჭამ ორი დღის წინ?
- ერმილეს ახლა უკვე გულიანად გაეცინა.

- ტახტზე ვიყავი ნამონოლილი. მოვიდა და სანტიმეტრი მოიტანა. მიყურა, მიყურა და მეკითხება: ბაბუა, რატომ გაქვს თმა თეთრიო. პასუხს არ დალოდებია და მკლავის გაზომვა დამიწყო. – ბაბუ, შენც ხვდები, რომ დრო მოვიდა და ზომების აღებაა საჭირო? ისევ არაფერი მიპასუხა, თვალებში მიმზერდა დიდხანს და სერიოზულად მითხრა: ბევრი ხარ, ბაბუა შენ, ბევრიო. მერე გადაიკისკისა და გაიქცა.

ვერანაირი ელექტირი და მაგიები ვერ უხანგრძლივებს კაცს სიცოცხლეს ისე, როგორც საკუთარ ფეხვებზე ამოზრდილთან ურთიერთობა. „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“... ასეც შეიძლება ითქვას, – ტყემლისფერ გზის გარდა.

- ბიჭო, რას გადაეკიდე ამ ტყემალს?

– რას გადავეკიდე? მზერა ჯერ არ დაგშრეტია და ვერ ხედავ, რა საოცრად ყვავის ეს ტკბილ-მჟავე მცენარე?! წუთი-სოფელივითაა, ძმა!

– სამაგიეროდ არაპოეტურია, არაზეციური, მიწიერია.

– მერე რა, მეც მიწის არა ვარ?!

შორიდან ისეთი სტვენა შემოესმა, ტანში დაბურძგლა, ფიქრ-მაც დაუტევა და ბიჯიც ველარ წადგა წინ. გრძნობამორეული ბულბული თავდავიწყებით უსტვენდა.

– რა ყელი, რა ენა, რა ოქროს ნისკარტი გაქვს, შე დალოცვილო, ასეთ ჰანგებს რომ მოჰყენ და მგრძნობიარე კაცს ცრემ-ლებს ჰევრი?!.

თვალდანამულს ისევ ჰატარა გაახსენდა: ბაბუა, მაინტერე-სებს ბულბულის აბულბულებაო. ძეხორციელს არ ძალუძს, ჩანვდეს უწლოვანის სულის განსაცვიფრებელ მეტამორფოზებს, რომლებშიც ზებუნებრივი აირეკლება და გაუცნობიერებლად, ასე ხატოვნად გადმოედინება.

– აი, ესაა, ბაბუ, ბულბულის აბულბულება. – თქვა ხმა-მაღლა მხცოვანმა. ამოიხვენება, თავი გადაიქნია, მხრები შეარხია და აღმართს აუყვა.

– ისე, შაშვის და ბულბულის გაჯიბრება იქნება საინტერე-სო. ნეტავ, ვინ მოიგებს?!

– მაგას რად უნდა შეკითხვა, შე კაცო! – ღიმილი გაუკრთა და ისევ ხმამაღლა თქვა: – მსმენელი, ერმილე, მსმენელი...

– ჩემი ხნის კაცს სანატრელი რაღა უნდა ჰქონდეს, სირცხვი-ლიც კია, მაგრამ ერთს კი ვინატრებდი – ღმერთო, მანამ ნუ გამიყვან ამ წუთისოფლიდან, სანამ იმ კუდრაჭას მახსოვრობაში არ ჩავრჩები!

– ახლა კი ნამეტანი მოგდის, აკი ზემოთ მეჩქარებაო?!

– კაი ახლა, კაი, ნუ ჩამომეკიდები ენაზე. ხომ იცი, ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ ადამიანი მახსოვრობაში აგრძელებს სიცოცხლეს. ცნობილ და სახელოვან ადამიანებს, სანამ კაცო-ბრიობა იარსებებს, სიკვდილი ვერ ეწევა. ჩვეულებრივ მოკვ-დავებს კი დავიწყების ბურუსში ჰქვევს.

ტაძრის ეზო ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით. მიესალმა მათ

და მდაბლად დაუკრა თავი. მოძღვარმა შორიდანვე შენიშნა და მისკენ წამოვიდა. გადაეხვია, მხარზე ემთხვივნენ ერთმანეთს. ღვთისმსახურმა გულსაკიდი ჯვარი გამოუწოდა, ეამბორა მხცოვანი.

— ერმილე ბატონი, როგორ ბრძანდები? რაც გასწავლე, თუ შეასრულე? დღეს მნიშვნელოვანი დღეა შენს ცხოვრებაში, სტიქარით უნდა შეგმოსო და ღვთისმსახურებაში დამეხმარო, მერე კი გაზიარებ.

— ნეტავ, რა უნდა გავაკეთო? — გაიფიქრა ერმილემ.

მოძღვარს გაელიმა.

— ბევრი არაფერი, ერმილე, საცეცხლური დამიჭირე ხოლმე და ნაკვერცხალზე საკმეველი დაადე, ეს არის სულ.

— ბავშვივით მექცევა, არადა, თვითონაა ბავშვი ჩემთან შედარებით.

— ერმილე, მე სულიერი მამა ვარ თქვენი, ღვთისგან ხელ-დასხმული. სულისთვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ასაკმა არ დაგაბრკოლოს.

მერე ხალხისკენ მიბრუნდა და ყველას გასაგონად თქვა:

— ვისაც ბავშვივით წრფელი გული არ ექნება, არც უნდა იოცნებოს ზეციურ სასუფეველზე. ჩემი სიტყვები არაა, მალ-ლიდანაა. — პირველი გადაიწერა და ზეცას აღაპრო თვალები.

— ნეტა, საიდან მიხვდა? — გაიფიქრა დარცხვენილმა ერმილემ და კიდევ ერთხელ მოეხვია მხრებზე.

ვიღაცის მწველი მზერა იგრძნო, შემობრუნდა და გახევდა, ყიამყრალი უმზერდა ცეცხლოვანი, მშფოთვარე და მოუსვენარი თვალებით. მერე თითქოს გამოერკვაო, დაიმორცხვა, თავის დაკვრით მიესალმა მხცოვანს და ნელმოწყვეტილივით ტაძრის-კენ წალასლასდა.

— მგონი, რაღაც სჭირს ამ ბავშვს. ავად ხომ არაა ნეტავ?!

ყიამყრალი ღვთისმშობლის ხატის წინ დადგა. დიდხანს უმზერდა ხატს. მერე თვალები დახარა, კანდელიდან სანთელი აანთო და ახლა მაცხოვარს დაუწყო მზერა.

— ღმერთო, რატომ ვარ ამ დღეში, ვინაა დამნაშავე, წინაპრის რა ცოდვა გადმოვიდა ჩემზე ასეთი, სულს რომ მხდის?!

წუთისოფელი ჯოჯოხეთად მექცა, გული გამისასტიკდა, შური მჭამს. გახალისებული კაცის სახე მტანჯავს, მომლიმარი სახეები ცეცხლს მიკიდებს... შემიწყალენ, უფალო, განმკურნე, ან მოთმინების ნიჭი მომმადლე! რა აზრი აქვს ჩემს აქ დგომას, ერთი სიტყვაც კი არ მესმის. შენ ამბობ, რომ ყველაზე მთავარი მცნებაა – შეიყვარე უფალი შენი და ასევე ამის მსგავსი – შეიყვარე მოყვასი შენიო. მე არ ვიცი, რა არის სიყვარული. მე არავინ და არაფერი მიყვარს. ან იმ ბერიკაცმა რა დამიშავა, გული რომ მოვუკალ. შემეწიე, უფალო, და დამიხსენ ამ სატანჯველი-საგან! ჩემი უსაზიზღესი ენის გამო ყიამყრალი შემარქვეს და შემარქვეს სამართლიანად. არანაირი ექიმი და წამალი არ მშველის. უფალო, შენ უნდა მიშველო, იქნებ გამილლო ეს გაყინული გულ!

მვედრებელი დამწვარი ხორცის სუნმა და თითების წვამ გამოაზიზლა – სანთელი ჩაწვოდა თითებში...

მღვდელი ამბიონზე იდგა და ქადაგებდა:

– იყო ერთი მსაჯული, რომელსაც არც ღმერთის ეშინოდა და არც კაცის რცხვენოდა...

ისეთი გზნებით ქადაგებდა, ისეთი ცეცხლით, მთელი ტაძარი ყურად ქცეულიყო. დიდხანს უცქირა ყიამყრალმა მღვდლის აელვარებულ სახეს, მერე მზერა მის უკან, ალსავლის კარის მარჯვნივ, მაცხოვრის ხატზე გადაიტანა. შეცბუნდა და შიშმა დარია ხელი. აკანკალდა, გამოსახულება ისე გასპეტაკებულიყო, ისეთ ნათელს გამოსცემდა, თვალი ვერ გაუსწორა. არც კაცის რცხვენოდაო – რეკადა თავში. ირგვლივ მიმოიხედა, თვალის-მომჭრელ, არამინიერ ნათებას ვეღარ იტევდა ტაძარი, რძისფერ ნისლში დაცურავდნენ სახეები. ცრემლი წასკდა ყიამყრალს, თვალთ დაუბნელდა, ჩაიკეცა და იატაკზე დაენარცხა.

არ იცოდა, რამდენ ხანს იყო ამ მდგომარეობაში. თვალი რომ გაახილა, ერმილეს მუხლებზე იყო მისვენებული და ცრემლიანი თვალებით დასცქეროდა. თვითონაც წასკდა ცრემლი, აზლუქუნდა:

– პატიებას გთხოვ, ერმილე ბაბუა, პატიებას!..

მღვდელმა ნაკურთხი წყალი დაალევინა, მერე სახეზეც ასხურა.

– ეზოში გაიყვანეთ, ეზოში, უფრო მოცოცხლდება.

გარეთ კი გაზაფხული ზეობდა. ფრთოსნები ეკლესიის ეზოში ხის ტოტებს შესეოდნენ, ტოტიდან ტოტზე დახტოდნენ და თან უზენაესს სამადლოპელ საგალობელს უძღვნიდნენ, კაცობრიობას კიდევ ერთი დღე რომ გაუთენა.

2019 წელი, თბილისი

გვე სიანერება ჯაღია



გზა სიარულეა დალია?!

შუალამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. ცა ვარსკვლავებს ისე მოეჭედათ, ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არსად იყო.

პირბადრი მთვარე თავის მეუფებას ზეიმობდა. ყოველთვის ჩაბნელებული ლამპიონებიც კი აკაშკაშებულიყო ქალაქის ამ უპატრონო გარეუბანში.

გაუკაცრიელებულ დამის შიშნარევ მდუმარებას შუა ასაკს მიტანებული მამაკაცის ფეხის ხმა არღვევდა, რასაც კაცის ხელდანატრებული, მოუვლელი კორპუსები ექოდ ახმიანებდა.

მიდიოდა გზაზე კაცი და მიღილინებდა. თავაწეული ზეცას შეჰდიმოდა. ძნელად შესამჩნევი ბანცალი დაკვირვებულ თვალს მიახვედრებდა, რომ კაცი ნაქეიფარი იყო.

– რერო-ოო... სულ არ მოვალ ამ სოფელში რეროო... არ ვარგა, ხმები მაკლია... ხმები. რაო, თქვენო უდიდებულე-სობავ მთვარევ! – შუბლმოჩრდილულმა აიხედა ზეცისკენ – იქნებ თქვენ, თქვენ, დამეხმაროთ. ბანი მაინც მომეცი, შე დალოცვილო... ეჰ, – ხელი ჩაიქნია კაცმა, – შორსა ხარ, შორს, რას მომაწვდენ. ისე, დღეს რავა პატარძალივით გამოიყურები – გალამაზებული, გაკრიალებული, სუფთა და ულაქებო, ჰა, რაშია საქმე?

მუდმივ საზრუნავში ჩაფლულმა მთვარემ, ლიმილით გადმო-ხედა შეტორტმანებულ კაცს, თავი გადაიქნ-გადმოიქნია და ქათინაურისაგან გახალისებულმა ერთი-ორად მოუმატა ნათებას.

– ვიტყვი, რა, მეც, მოცლილი ხომ არ არის, მთელი სამყა-როს ლამეული დარაჯია. – ბოდიში, გვაპატიეთ, გვაპატიეთ, გეთაყვა. აი, ჯამლეთი, რომ იყოს ახლა ჩემს გვერდით, იცოცხლე, დავაგუგუნებდით, – კაი პირველი აქვს, მაგრამ

მარტო ვარ, ერთი ხმა კი ქართულ სიმღერაში ბევრი არაფერია. კაცი ჩაფიქრდა, მერე ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალა, ისევ მთვარეს ახედა და საზეიმოდ განაცხადა:

— აი, ახლა მე უდიდესი რამ აღმოვაჩინე, — ისე ადრეც ვფიქრობდი, მარა არ განმიცხადებია. ახლა კი თქვენი თანდასწრებით ვაცხადებ: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ სამი ხმის გარეშე ქართული სიმღერა არ გამოდის. ე.ი. სამი ჰიპოსტასი. ღმერთიც სამებითაა. სამი საკრალური რიცხვია. მეტყვი ახლა შენ, ბოდიში, თქვენ, ბატონო მთვარევ, რა არის აქ აღმოჩენა? მოიწეო აქეთ, თუ კაცი ხარ და გეტყვი, მოიჩინე ხომ, ჰოდა, მისმინე. ქართველთა ხსნა და გადარჩენა სამებაშია. გათითოკაცებაში კი არა, სიმრავლეში, ერთიანობაში, აი, მარტივი მაგალითი. სიმღერიდანაც ჩანს ეს, მაგრამ ამას, ძმაო, მიგნება უნდა. მარტივია, ხომ? ხოდა, მაგ სიმარტივეშია მისი სიდიადე. ასე, ჩემო ძმაო და მეგობარო, მე ყველაზე ხმა არ მიმიწვდება, შენი გადასახედიდან კი ყველაფერი ხელისგულივით ჩანს, ნუ დაიზარებ და მიაწვდინე ხმა ჩემს თანამემამულებს. შევთანხმდით, ხომ, ასე არა ჯობია? აგაშენა ღმერთმა. ეჲ, მთვარევ, მთვარევ! — წამოიწყო სიმღერა. — მთვარეზე სიმღერას არავინ წერს, არადა, საჭიროა. მოვიცლი და მე ვიზამ მაგ საქმეს. დავსხდეთ მერე მე და შენ ღამლამობით და ვიმღეროთ ერთად. ერთი ხმა მაინც მომემატება, — გამოსავალი ნახა კაცმა.

მთვარესთან მუსაიფში გაბმული კაცი გზის პირას მდგარ ნაგვის ბუნერს მიადგა, რომელშიც უპატრონო ძალები ელა-მელას გადადიოდნენ. კაცი შიშით გაერიდა საფრთხეს. — ხორცსავსე არ ვეგონო — მჭლე კაცს კბილი არ გამკრანო.

— რა ვენა ახლა მე, გულს ემღერება და როგორ არ ვიმღერო, ვინ დამძრახავს, — თქვა შექეიფიანებულმა. — ჩემთვის ისე, მოგუდულს მაინც ვიტყვი. „რეროო“ — წამოიწყო კაცმა და ერთი სტროფიც ჩაათავა. თან მიდიოდა. არც ბევრი ჰქონდა გავლილი და არც ცოტა, როდესაც გაჩირალდნებულ სუპერმარკეტს მიადგა. შეჩერდა კაცი, შეხედა და გაიფიქრა — „რავა ზღვასა და წყვდიადს შეჭიდებული „ტიტანიკივით გაჩახჩახებულაო“. ფული რას არ გააკეთებინებს კაცსო. კიდევ ერთხელ შეხედა უცნაური

კონსტრუქციის შენობას და ფოთოლგაცვივნული ალვის ხის ძირას ძელსკამზე ჩამოჯდა. მიეყრდნო საზურგეს, თავი უკან გადასწია და ისევ ცას მიაპყრო მზერა.

– ცაო და ვარსკვლავებო, რამდენ საიდუმლოებას იტევთ, ნეტავ, რა ხდება მანდ? ან რა არის ცა? ნეტავ, რამდენი ცაა! ნუთუ ეს ცა ლიბრია, ფარდაა, რომლის მიღმა ჭვრეტა ხორციელს არ ძალუდს. გამიგონია, სულიერი ხედვაა მისთვის საჭიროო. სულიერი ხედვა მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მოდისო. არადა, მე ახლა მინდა, ვიცოდე. იმასაც ამბობენ, მხოლოდ ღვთის რჩეულებს ხელენიფებათ ჭვრეტა მიღმიეთში. მე კი, მე ვინ ვარ?! – თითქოს თავისი უძლურებით გაგულისებულმა, ნიშნისმოგებით განაგრძო:

– თქვენ, რომ გადმომმხობიხართ თავზე და ციმციმებთ, მარტო ციმციმი რა არის, ციმციმი ნათურასაც შეუძლია. ერთი მითხარით, ღვინო თუ მოგყავთ, ღვინის ფასი თუ იცით. აჲა, ჩაფიქრდით, არ იცით? მაშ, თქვენ არაფერი გცოდნიათ. ხელი ჩაიქნია კაცმა. მყვანან, რა, ესენიც! კაცი მინას ჩააშტერდა, ფეხით მოსრისა ფოთოლი და გუნებაგამოკეთებულმა ღიმილით განაგრძო:

– სულ მიკვირს, სპარსმა კაცმა როგორ თქვა, „ბაგით დავწევდი დოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე“. ეჲ, – შეეკამათა მდუმარე ოპონენტს, – არ იქნებოდა ის კაცი სპარსი, რომელიმე ქართველის შვილი იქნებოდა უთუოდ. სავსე იყო მაშინ სპარსეთი ქართველებით, სილამაზე აკლდათ, თუ ვაჟუაცობა – კმაყოფილმა ჩამოისვა ხელი ულვაშზე. – ვის ძარღვებშიც სისხლთან ერთად ღვინოც არ ჩერეფს, რა იცის მან ღვინის ფასი. ჰო, მიყურე, შენ, მიყურე და მიჭვრიტინე თვალებში. ჰო, თქვენ გეუბნებით, თქვენო უდიდებულესობავ, მთვარევ. – ფეხზე წამოდგა კაცი და რევერანსი გაუკეთა ზეცას. მერე ისევ ჩამოჯდა. – ჰო. ჰო, ჰო, რა გიხარია, შე უბინოებადაკარგულო, ცოდვილი კაცის ტურტლიანი ფეხი შენს მინასაც შეეხო, – კაცმა ხმას დაუწია და შემრიგებლური კილოთი განაგრძო. – ვაზი მაინც წაეღოთ იმ დალოცვილებს, ერთი ძირი ვაზი მაინც. გაწითლე-

ბულმა მთვარემ საიდანლაც ობლად მოფარფატე ღრუბლის ფთილა ჩამოიფარა და ნათებას უკლო.

— კაი, გეყოფა ახლა, ნუ მიბრაზდები, მარტო შენი ბრალიც არ არის. ჰო, გეყოფა ახლა, გეყოფა. ერთი, მაინც მიხარია, სირცევილის გრძნობა გქონია. ეს კი ცოტას არ ნიშნავს. შესარიგებლად, ჩემო მნათობო, გიმღერებ, აბა, უურადლებით. რერო, — წამოიწყო კაცმა, — არა, არ გამოდის, ორი კაცი მინდა ახლა მე და ერთი ბოთლი ღვინო მაინც. ავავსებდი ჭიქას, — ხელი გაიწვდინა კაცმა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ისევ ზეცას მიაპყრო თვალი, — იცი, რატომ არ გამომდის მე ახლა სიმღერა? გარდა იმისა, რომ მარტო ვარ, გიმეორებ, ღვინოა კიდევ საჭირო. ეჭ, შენ რა იცი? ღვინო ამღერებს კაცს. უღვინოდ მხოლოდ მსახიობები მღერიან. ამიტომაც არის მათი სიმღერები უმარილო. მოიხედე აქეთ, თუ კაცი ხარ, გეყოფა ბუტიაობა და, თუ ღმერთი გნამს, მოუმატე ნათებას. კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი. ეგრე, შე დალოცვილო, ჩემო ბატონო, მთვარევ, იცი, რა მინდა შევსვა ახლა ამ სასმისით? ხვდები? მოდიხარ ხომ ნელ-ნელა ჩემს ჭკუაზე? ერთი შენი თავი მომცა ახლა აქ და ერთი ჭიქა მაინც შემასმევინა შენთვის. ხვდები, ხომ? აი, ამ ჭიქით მისი უდიდებულესობის და უგამხალისებულობის — ღვინის — სადლე-გრძელო მინდა შევსვა. ღვინის სამადლობელი მინდა ვთქვა, ვაზის სადიდებელი. ღვთივეურთხეულო მცენარევ, დღეგრძელი იყოს შენი ფესვი და შენი მადლიანი წვენი ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! თუ რატომ ვთქვი, მერე მიხვდები.

ბატონო მთვარეე! დავითი თუ გახსოვს, ებრაელთა მეფე? ძალიან კარგი, თუ გახსოვს. ის თუ გახსოვს, რა უწერია თავის ფსალმუნებში? შენ იმდენი ხნის ხარ, არ არის გასაკვირი, რომ დაგვიწყებოდეს. ჰოდა, გაგახსენებ: „ღვინო ახარებს გულ-სა კაცისასაო“. მიხვდი ახლა, რატომ ვარ ასეთ კარგ გუნებაზე? თუ მიხვდი, მაგას რა სჯობია? არა, იმას თუ ხვდები, საით ვუმიზნებ მე? მოდი რა, მთლად ნუ დაიბნევი, ისევ არ გამებუტო, თუ კაცი ხარ. სხვა რა გზაა, გეტყვი. ნუ გგონია, რომ ყველა ჩემსავით დაგიჯდება და გაგანათლებს მიწიერი საიდუმლოებებით. ჰოდა, მისმინე. იმ დალოცვილმა, ქართველებისა-

გან ისწავლა ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება. კარგი, კარგი, ნუ გელიმება ახლა. ღვინო ჩვენი ეროვნული განძია, ჩვენი სიამაყე, ჩვენ დავამკვიდრეთ მსოფლიოს ყველა ენაში ღვინის ცნება. ღვინო, ძმაო, ფილოსოფიური კატეგორიაა, კაცობრიობის ხსნა და განწმენდა ღვინოშია, ქართულ ღვინოში, აბა, რა გეგონა შენ? ისე, დიდი უცნაური ხალხი კი ვართ ქართველები. დაგვეპატენტებინა მაინც, ხომ დაგვადგებოდა საშველი და ჩვენს შეჭირვებასაც მოელებოდა ბოლო. აუჰ, ეს რა წამომცდა, – შეფუცხუნდა კაცი, – ქართველი და ვაჭარი? ჩვენ დაუდევარი, უშურველი, ქველმოქმედი ხალხი ვართ. ჩვენ მხოლოდ გაჩუქება შეგვიძლია. რას არ გავაჩუქებთ ხოლმე?! მომხედე ერთი აქეთ, მომხედე, ალექსანდრე ფლემინგი თუ გახსოვს? ჰო, პენიცილინი რომ გამოიგონა და მერე მთელ მსოფლიოს უშურველად აჩუქა, მგონი, შოტლანდიელი უნდა იყოს. მერნმუნე, ჩვენებურის სისხლი ურევია მაგის ძარღვებში. არ დამიწყო ახლა დავა და ნუ ხარხარებ. ვაჲ, ხარხარიც შეგძლებია, ხომ გაგაცინე, ერთი წვეთიც არ დაგილევია და გუნებაზე მოხვედი. მერმისს მოვახერხებ როგორმე, დაგალევინო. თუ შენ არ ჩამოხვალ, მე მოვალ შენთან. რა, არ მიმიღებ? შე კაცო, რითა ვარ ამერიკელებზე ნაკლები. ეს რა ვქენი, კაცო, არ მოვკალი კაცი სიცილით? – და თვითონაც ახარხარდა, ახარხარდა გულინანდ. მერე გამოერკვა და ტუჩებზე ხელი მიიფარა, აქეთ-იქეთ გაიხედა, გიუი არავის ვეგონოო. – ერიპაა, მუხლებზე არ ვდგავარ აქამდე!

ნაამბობით გამხიარულებულმა, ნამმორეულმა დედამიწამ კაცის ხელი შეაშველა და ფეხზე წამოდგომაში მიეხმარა.

კაცი წელში გასწორდა, მხრებში გაიჭიმა, დასიეპული თვალები მოისრისა, მარადისობაში გადასული ფოთლები შეაშფოთა და, სახელიმილიანი, თავის კანტურით გზას გაუყვა.

მიდიოდა გზაზე კაცი და მიღილინებდა: „გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყლისა დენამა“... ეჰე, ჰე, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, გამოაღეთ ფანჯრები, ერთი დღისთვისაც კი ღირდა გაჩენა. სიცოცხლეს გაუმარჯოს, ქართველებო, სიცოცხლეს. გეხვეწებით, გეხვეწებით, მოუფრთხილდით ყოველ დღეს, ყოველ წუთს, მერე სანაწებლად რომ არ გაგიხდეთ, მერე გვიანი რომ

არ იყოს. შეხედეთ, რა მშვენიერია სამყარო, როგორ კაშკაშებს ცა, როგორ გვილიმის მთვარე, კიდევ რაღა გინდათ? ლექსი გინდათ? ლექსსაც გეტყვით, ოღონდ იფხიზლეთ. ჩვენ რომ გვძინავს, მტერი ფხიზლობს, მტერი ძლიერი, უჩინარი და ვერაგი. კაცი შეჩერდა, გზის პირას ბუჩქნარევ, შემაღლებულ ადგილზე შედგა. ხელი ცისკენ გაიშვირა და დაიწყო:

- ცას შემოეწნა ცეცხლის აკიდო,
გრგვინვამ გააპო ლრუბელი შავი,
დაპანგულივით გზაერულო,
გეყოფა ძილი, აიღე თავი,
არ გაქვს უფლება, არ გაქვს უფლება,
იწვე სიკვდილთან წილნაყარივით.
კაცმა ხმას მოუმატა და რიხიანად განაგრძო:
- მოყვრად მოსული ვითომ მოკეთე,
ბილწი ზრახვებით, ფლიდი ლიმილით,
გადაგვარების, გადაჯიშების,
მოურჩენელი არის ტკივილი...

კაცი აჩქარებული სუნთქავდა. წამიერად მთვარეს ტყორცნა მზერა. მთვარე გაყურსულიყო. უსმენდა. დადნა კაცი, ხმა დაირბილა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო...

შენ სხვა მისია გარგუნა ღმერთმა,
შენ გოლგოთაზე დიდხანს გივლია.

ისევ მოუმატა ხმას, გახედა ჩაბნელებულ კორპუსებს, ზეცას და დასჭექა:

ფეხზე წამოდეგ და დაიქუჩე,
ქართლოსიანნო, რა დროს ძილია...
სევდის ნისლები მიჰფანტ-მოჰფანტე,
ამომზიურდი, შენ შეგიძლია...

დადუმდა კაცი, ირგვლივ სამარისებულრი სიჩუმე იწვა. – ეჲ, მაინც ვერავინ გავალვიძეო, – გაიფიქრა კაცმა, მაგრამ უცბად ტაშის ხმა შემოესმა. ჯერ კანტიკუნტად, მერე კი – მქუხარედ. ახედა ზეცას, იღიმებოდა მთვარე და ტაშს უკრავდნენ ვარსკვლავები. ზეცამ მიმიღოო, გადაირია კაცი, მუხლებზე დაემხო, გადაინერა პირჯვარი და შეჰქმდადა:

– უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი. მადლობა, უფალო, გაჩენისთვის. ამ სამყაროს ხილვისთვის, სიცოცხლისთვის, ყოველი დღისთვის, ყოველივე წამისთვის, განსაცდელისთვის, ტკივილისათვის, ყოველივე მიწიერის და სიყვარულისთვის. დიდება შენს სახელს, ქრისტიანი კაცი ხომ ღვინით ეზიარება შენს ჭეშმარიტებას, ღვინითა და პურით. გმადლობ, უფალო, ასეთი ქვეყნისათვის, ასეთი ხალხისათვის. მაპატიე, მე, უბრალო ცოდვილს, მოკვდავს, თუ ჩემი მწიკვლი ბაგით ისე ვერ ვთქვი, როგორც შენს დიდებას ეკადრება, კიდევ ერთხელ მაპატიე, დიდება შენს სულგრძელობას.

დაჩირქილმა კაცმა ისევ ახედა ზეცას, პირჯვარი გადაინერა და მიწას ეამბორა. წამოდგა ფეხზე. შეყოვნდა. ძალუმად შეისუნთქა შემოდგომის ცივი ჰაერი და გზას გაუყვა.

კაცი დაფიქრებული და მდუმარედ მიუყვებოდა გზას, მის სხეულში მბორგავი ბახუსის ჭინკები კი მოსვენებას არ აძლევდნენ გონებას.

ღიმილი გაუკრთა ისევ კაცს. თვალები მოჭუტა. სვლა შეაჩერა და მთვარეს შეეხმიანა:

– მგონი, ხვდები რაღაცებს, ჩემო ძმაო და მეგობარო, დღეის შემდეგ ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიქნებით. ასე გახსნილად მე ჯერ არავისთან მისაუბრია და შენი ყურის გდებაც და ხანდახან გამხნევებაც, ბიძგი გულახდილობისაკენ, ჩვენი მეგობრობის საწინდრად ჩავთვალე. რომ იცოდე, ის ლექსიც შენ წაგიკითხე პირველად. მართალია, ბევრი არაფერია, ამას შენც მიხვდი, მაგრამ ტაშით მაინც დამაჯილდოვეთ. ვიცი, გამხნევების იყო ის ტაში, შენ გულწრფელობა და სიაღალე უფრო მოგენონა. ჩვენ ხომ არავის ვეჯიბრებით, ჩემო მეგობარო, ლექსის შესახებაც მარტო ჩვენ ვიცით, – მე და ზეცამ.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ კაცმა ისევ მხიარულ კილოზე განაგრძო. –

– ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ცოტათი მაინც მეპრალები, – მგონია ჩემს მეტი არც მეგობარი გყავს. არ ვიცი, მანდ როგორი მეგობრობა იციან. აქ კი... იცი, რა სუფრიდან მოვდივარ? იცი, რა მოლხენა ვიცით ქართველებმა? რა იცი შენ. შეიძლება, ცალი თვალით შემოგიჭყეტია, მერე შეგრცხვებოდა და თვალს მოარიდებდი, როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი. ვიცი მე შენი სიმორცხვის ამბავი. წელან როგორ გაწითლდი. აწი მე ვიცოდე. აუცილებლად წაგიყვან ჩემს ძმებთან, ჩემს მეგობრებთან მოსალხენად. დროს რა ვუთხრა, თორემ მეგობარი როგორ უნდა გენატრებოდეს. გაგონილი გექნება შენ, „ხანმა უნდობარმაო“, ის დროა ახლა, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ. მეგობარს ყოველდღე უნდა ნახულობდე. ეხმარებოდე. მისი ტკივილით თუ სიხარულით უნდა ცხოვრობდე. გვერდში უნდა ედგე ჭირსა თუ ლხინში. ესაა მეგობრობა. ღვინოზე ხომ გელაპარაკე, ღვთიური სასმელია, მაგრამ მეგობარი მარტო ქეიფში ხომ არ უნდა გახსენდებოდეს, მარტო ქეიფში ხომ არ უნდა ეფერებოდე? არ მნამს მე ღვინისმიერი მეგობრობა. მიგდებ ყურს, ხომ? დარწმუნებული ვარ, ჩვენ მაგარი მეგობრები ვიქნებით. ისე რავა მოვკვდები, ერთი თუ არ დაგათვრე. რაო, გელიმება? არ გეხუმრები, აბა, შე კაცო, სულ მე ვლაპარაკობ, შენ კი ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამს. ჰო, ჰო, მიგიხვდი, მნელია ნასვამ კაცთან საუბარი, მაგრამ მოსმენა რომ შეგიძლია, დიდი კულტურაა ეგ, ძმაო!

სუფრაზე მოგახსენებდი და ჩემს მეგობრებზე. მადროვე ცოტა ხანს და ყველას გაგაცნობ. არ გაგიკვირდეს, იცის ასე ღვინომ აზრების შემოსევა. ჩვენთან, აქ, დედამიწაზე იციან თქმა, ღვინო ჭურებს ხეთქავსო და კაცს რას უზამსო? აბა, რა გეგონა შენ, ჭკუით უნდა მოხმარება. ზომიერებაა საჭირო. ჰა, ჰა, ჰა, – ჩაიქირქილა კაცმა, – ზომიერება, რომლის დაცვა ასე გვიჭირს ქართველებს, განა მარტო ღვინოში, ყველაფერში. მოქნევა, გაგიხარია, ვიცით, მაგრამ ხშირად გადავყოლილვართ ხოლმე მოქნეულს, ასეც იყო.

ნამეტნავად მომერია, მგონი, ეს დალოცვილი, ნამდვილად დავთვერი, ვერ იქნა და ვერ ჩავათავე დაწყებული. – კაცი ცოტა ხნით შეყოვნდა, ახედა ზეცას და დამორცხვებულმა განაგრძო. – თუ მეგობრები ვართ, მეგობრები ვიყოთ ბოლომდე და დღეიდან ბატონობით ნულარ მივმართავთ ერთმანეთს, ჩვენთან, პირდაპირ სახელით მიმართვა მეგობრობის ნიშანია. შევთანხმდით, ხომ, აგაშენა ლერთმა. ჩემო მთვარევ, სუფრას თამადა უნდა ჰყავდეს, ასეთია აქაური წესი. – კაცმა ჩუმად ისევ ჩაიქირქილა, – მაგის გასაჭირი ნამდვილად არ გვაქვს. ქვეყნის თამადების გაჭირვება კი საგრძნობია. ჩემო მთვარევ, ისევ გამექცა სიტყვები, ნამეტნავად ძნელი დასაურვებელია ნასმურევზე. ჩვენს სუფრასაც ჰყავდა თამადა, ერთი გამხმარი, ცხვირკაუჭა, ორბივით მომზირალი, ენაკვიმატი და ენაწყლიანი. რა არ თქვა, კინალამ იტირა და ჩვენც ლამის გვატირა. განსაკუთრებით, სამშობლოს სადლეგრძელოზე ითქვა ბევრი. ქართველები, რომ იცოდე, ჩემო მეგობარო, სამშობლოზე თავგადაკლული ხალხია, ძალა არ არის მათი მშობლიური მიწიდან მოწყვეტისა. არადა, ვინ არ ცდილობდა. ქრისტეს აქეთ ორი ათასი წელი. ქრისტეს იქით კიდევ რამდენი ათასი. დედამიწის რომელი მპყრობელი არ დაგვსხმია თავს. რა სატანჯველი არ მოუვლენია ჩვენთვის. გვაწიოკებდნენ, გვწვავდნენ, ვაზს გვიჩეხავდნენ – იცოდნენ მტარვალებმა მისი ფასი. სამშობლოდან გვერეკებოდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი დაგვაკლეს. ქართველი უსაქართველოდ არაფერია. ამ მიწიდან ღებულობს იგი ისეთ საზრდოს, ისეთ მადლს, დედამიწის სხვა ვერცერთი კუთხე რომ ვერ მისცემს. ამიტომ არ ტოვებენ ჩემი თანამემამულები ამ ღვთის კურთხეულ მიწას. აქ ყველანი მეფები არიან. იქ კი უჯარისკაცო გენერლები. დროებით წასულებსაც კი საშინელი ნოსტალგია ტანჯავთ. და იცით, პირველ ყოვლისა, რას აკეთებენ, რომ ჩამოდიან? შენ რა იცი მიწის ყადრი, შენ რა იცი, რაა განშორების ტკივილი. სულ ერთ ადგილზე ბრუნავ, არ გეწყინოს, ამას რომ გეუბნები, ქართველი ჩამოსვლისთანავე ჯერ მიწას ეამბორება, მერე დედას და მერე ყველა დანარჩენს. დედა და სამშობლო, დედა და მიწა ქართველისათვის თითქმის ერთი და

იგივე ცნებებია. ამიტომაც უწოდებენ დედასამშობლოს დედამ-ინას. ყველაზე მეტი დრო ამ სადღეგრძელომ წაიღო. სასმისს არ იკითხავ ახლა? დრო მოვიდა, ჩემო კეთილი მნათობო, წარ-მოგიდგინო ჩემი მეგობრები, რომლებიც უსათუოდ შენი მეგო-ბრებიც გახდებიან. ოჯახის უფროსი თემური, რომელსაც მეგო-ბრები სიყვარულით თოვლის ბაბუას ვეძახით. დალოცვილი, ყოველი ახალი წლის ღამეს კახური ღვინით ხელდამშვენებული ჩამოგვირბენს ხოლმე. ხომ ხვდები, რა აკეთებინებს ამას, ძმაო, ჰო, დიდი სიყვარული და უზომოდ კეთილი გული. კახელია და იუმორიც საოცრად მარილიანი აქვს. სასმისზე გელაპარაკებო-დი – თემურმა გლობუსი გადახსნა შუაზე. გლობუსი ხომ იცი, რაც არის, ჰოდა, ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი თამადას მისცა, ჰო, იმ ცხვირკაუჭას, მეორე – მის მოადგილეს და ამ სასმისით შეისვა სამშობლოს სადღეგრძელო. გლობუსი სიმბო-ლოა, ჩემი მეგობარო. ჩვენი სამშობლოს თამადობით მთელი დედამინის სადღეგრძელო ითქვა. ჩვენისთანა უცნაური ხალხი მთელს დედამინაზე არ მოიპოვება, ხომ გჯერა? სადღეგრძელო ყველამ შესვა, კიდევ ვიმეორებ, ამ სადღეგრძელოს ქართულ სუფრაზე ყველა სვამს უკლებლივ – ეს დაუწერელი კანონია. და მერე უნდა გენახა შენ, რა სითბო და სიყვარული დატრიალ-და, რა ვაჟკაცები ისხდნენ სუფრასთან. თემურზე უკვე გითხ-არი. ახლა ვანელი უნდა გაგაცნო – გია-გიორგი – ორმეტრიანი ბეჭრტყელი და მხრებგანიერი ვაჟკაცი. გლობუსის დალევის შემდეგ სულ ასე გაიძახოდა – ჩვენს სუტუნს გაუმარჯოსო, ესე იგი, ჩვენს სიყვარულსო. ახლა ზესტაფონელ მალხაზს არ იკითხავ?! სტუმარზე თავგადაკლული კაცი, რომელიც შენი გულისათვის ერბო-კვერცხს შეიწვავს ხელის გულზე. სხვა ბი-ჭები – ერთიმეორეზე უკეთესები. ჯამლეთი, ხომ იცი, კარგად მღერის-მეთქი, სადაც გაივლის, იმის ნაფეხურებზე ყვავილები ამოდის. სოხუმელი სოსო – ბედის უკულმართობით საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული, თავის ეზო-კუთხე-კუნ-ჭულზე რომ აბოდებს ყოველ ჟამს. გალელი თამაზი – ისიც ლტოლვილი, ნამეტანი სერიოზულია, კანონის კაცია. აბა, მხო-ლოდ გალაკტიონის „მერის“ კითხვის დროს ავიწყდება კანო-

ნი და სამართალი. ნიკო, ჩემო ბატონო, სიყვარულის კაცი – გაჭირვების ტალკვესი. ერთი სიმღერა აქვს ამოჩემებული, მომადგება ხოლმე და სულ იმას მამღერებს. წაგიმღერებ ახლა „წავალ და გაგიფრინდები“... ამირანი, – ძირძველი თბილისელი, კოლორიტი და ბოჭემა ქალაქისა. ქალაქური მელოდიების უბადლო შემსრულებელი, შენოიანი კაცი. ახლა ქალბატონებს არ იკითხავ? ერთს გამოყოფ განსაკუთრებით – ქალბატონი დინა – ჩვენი გიორგის მეუღლე, ჩვენი დადნაფიცი, ქალური მშვენიერებისა და სინაზის განსახიერება. მთელი უბნის, ჰა, ვიტყვი რა, მეც, უბანი რას მიქვია, მთელი ქვეყნის მშვენება, სათნო, კეთილი, კდემამოსილი ქალბატონი. მთელი საქართველო იყო იქ შეკრებილი, ჩემო ძმაო. ხომ ხედავ, რა ხალხი, რა ვაჟეკაცები ტრიალებდნენ ჩემ გარშემო. არაფრით არიან იმათზე ნაკლები, დიდ დავითს რომ ეხვია დიდგორში. გახსოვს! რა სიტყვები თქვა გადამწყვეტი ბრძოლის წინ! შენ უნდა გახსოვდეს, ძმაო, შენი ხნის ქვა აღარ აგდია აქ, ჩვენთან. მეგობარი რომ ხარ, იმიტომ გელაპარაკები ასე – შინაურულად, თუ არა სხვანარი ლაპარაკიც ვიცი მე. სმენა იყოს, დავითი ლაპარაკობს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანნო! თუ ღვთის რჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძევით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“... ასეა დღესაც-ტანში მაურულებს ამ სიტყვებზე და ცრემლიც მომანვება ხოლმე. ნეტავი გამოჩენდებოდეს კიდე ერთხელ დავითი. ნეტავი კიდევ ერთხელ გვეტყოდეს ვინმე ასეთ სიტყვებს. ხალხი კი მზად არის, დაუჩოქოს და შეჰდალადოს. გაგვიძებ წინ, დიდო სარდალო, გვიყმე და გვამსახურე სამშობლოს. ჩემო მეგობარო, მომიტევე, თუ ნაღველიც შეეპარა ჩემს ხმას. რა ვქნა, უზომოდ მიყვარს ჩემი დაბნეული ქვეყანა. მაგრამ გვეყოფა. მე იქიდან იმოდენა სიყვარული მომაქვს, არათუ ჩემს ქვეყანას, შენც კი გაგათბობს, ჩემო ცივო მეგობარო.

კაცი შეჩერდა, კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული. მთვარეც ელოდა, ელოდა მოუთმენლად...

თავზალუნულმა კაცმა ხელუკულმა თვალში ხელი ამოისვა და ალაპარაკდა. ალაპარაკდა ოდნავ ხმაგაბზარული:

– ჩემო მთვარევ, არაა დიდი სირცხვილი, თუ როგორც წვეთად ქცეული ცის ნამი გასხლტება პანაწა ფოთოლზე – ვაჟუკაცის თვალსაც მოსწყდეს ობოლი კურცხალი. მაგრამ ეს მარტო სევდის, უიმედობის ცრემლი როდია, მარტო წარსულს კი არ მივსტირი, არამედ სიხარულისაც. და იცი, რა მიხარია, აბა, თუ მიხვდები? ნუ დაიბნევი ისევ, შე კაცო. არწივის მზერა გაქვს, შე დალოცვილო და ვერაფერს ამჩნევ?! ამჩნევ და შენც გიხარია. გატყობ, რომ გიხარია. ჩუმად გიხარია, უთქმელად ვხვდები მე, განა ვერ ვხვდები? შენი ფხიზელი თვალი კარგად ხედავს, რომ არსად დედიმინის ზურგზე დღეს იმდენი ღვთის სახლი არ შენდება, რამდენიც ჩვენთან. ერთიმეორეზე უკეთე-სები, კელაპტრებივით გაბრწყინებულინი. ამდენი მლოცველ-იც მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ არის. ეს შენც გიხარია ჩემსავით. გიხარია ჩემსავით, ჩემი მეგობარო და ხვდები – ეს საქართველოს უკვდავებაა, ხვდები, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია. მოიცა, მოიცა – შეყოვნდა კაცი და ისევ შეჩერდა, შეხედა მთვარეს და კიდევ ერთი კურცხალი ჩამოეკიდა ღაწვზე, – ჩემი მეგობარო! შენც აგიწყლიანდა თვალი?

კაცის ღაწვზე დაკიდებულ წვეთში კისკასობდა მოჭექილი ცარგვალი.


გულაჩვილებულმა, გალურსულმა მთვარემ სხივებით მოუმშრალა დანამული ღაწვები მხრებჩამოყრილ კაცს და ბეჭებზე ოდნავ უბიძგა.

კაცი ისევ გაუდგა გზას, მიდიოდა მდუმარედ, ხან ხელებს გაასავსავებდა, ხან თავს გადაიქნევდა, ხან ისევ სახელიმილიანი ზეცას ახედავდა. მთვარე კი, რომელსაც სიფითრე მოსდებოდა, უხმოდ ემშვიდობებოდა ახლადშეძენილ მეგობარს და საბრძანებელს მის უდიდებულესობას მზეს უთმობდა.

კაცი კი მიდიოდა...

2011 წელი, თბილისი

גַּםְפָּתָח



პუთიშვილები

თხილნარის ქვეშ უდარდელად წამოწოლილიყო სამიოდე თვის ლეკვი და ღრმა ძილს მისცემოდა. ხანდახან შეხტებოდა, სხეულს დაჭიმავდა, ფეხებსაც აამოძრავებდა, თითქოს წამოხტომას აპირებსო, ცალ თვალს სანახევროდ გაახელდა, მიმოიხედავდა და მერე ფარდასავით ნელ-ნელა დაბლა დაუშვებდა. ალბათ, სიზმარში თუ იყო და ვიღაცას მისდევდა. ისევ ის კუნიახი მეზობლის მამალი იქნებოდა, რომელიც მოსვენებას და საშველს ძილშიაც არ აძლევდა. მზემ შემეჩერებულ ფოთლებს თავი დააღწია და ბუთქუნა ლეკვის ცხვირ-პირზე ათამაშდა, მერე თვალებსაც მიეალერსა. შეაწუხა მწველმა მზემ, თავი წამოსწია და ადგილი მოინაცვლა. თავი ჩრდილისკენ შეაბრუნა და ის იყო, ისევ ძილისკენ უნდა მიედრიკა თავი, რომ უცბად კუდზე საშინელი ტკივილი იგრძნო. მსწრაფლ წამოსწია თავი და რას ხედავს?! გათავხედებული მეზობლის მამალი გამეტებით უნისკარტებს და უნისკარტებს.

შეირხა, ფეხზე წამოვარდა და ალქაჯ მამალს მიეტანა. ის ჯერ ჰაერში ახტა, ფრთები ააფათქუნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კისერნაგრძელებულმა მოკურცხლა. ბუთქუნაც გამოუდგა, მაგრამ ვერანამ მოასწრო და ღობეზე შეფრინდა, ფეხი მოინაცვლა და ამაყად გადმოხედა, მერე ფრთა ფრთას შემოჰკრა, კისერი წაიგრძელა და ომახიანად შეჰყივლა.

ბუთქუნას მეზობლის მამლისაგან გაწყალებული ჰქონდა გული. როგორც კი დროს იხელთებდა, გადმოფრინდებოდა ეზოში და ქათმებს მოსვენებას არ აძლევდა, აკრიახებდა და ანიოკებდა. ბუთქუნა გულზე სკდებოდა, რომ ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერეხა, მაგრამ იმედოვნებდა, ერთ დღესაც იქნება დაგიჭერ და მაგ აფხორილ კუდს მოგაგლეჯო.

გული ყველაზე მეტად იმაზე სწყდებოდა, რომ მისი ეზოს მამალი ერთი უნიათო ვინმე იყო, გასუქდა, გასივდა, ძლივს დაბაჯბაჯებდა. ყივილიც კი აღარ უვარებოდა, რაღაცნაირად ჩახრინწული და უსიამო ხმა ჰქონდა. გულარხეინად უყურებდა მეზობლის ალქაჯ მამალს, რომელიც მის ქათმებს უმოწყალოდ ქოჩრავდა და ქოჩრავდა.

– ჩამივარდები ხელში! – დაიქადნა ბუთქუნამ და თავჩაქინ-დრულმა ვაშლის ხისკენ გასწია, რომ უკეთესი ჩრდილისთვის შეეფარებინა თავი.

ის იყო, უნდა მოკალათებულიყო და მორგვივით დახვეულიყო, რომ ავტომანქანის გაბმულმა სიგნალმა ყურები დაუსუსხა და თვალები დააჭყეტინა. წამოიმართა და ყეფა-ყეფით ჭიშკრისკენ გაექანა.

თონეში გადაკიდებულმა ბებომ ნალვერდლის გაღვივებას თავი მიანება, თეთრი ფერის თავსაკრავი შეისწორა, დაბრანულ ლოყებზე ხელი ჩამოისვა და წინსაფრის სწორებით, ახალ-გაზრდა ქალივით მოხდენილი მოძრაობით, წელში გამართული ჭიშკრისაკენ გაემართა. სანამ მივიდოდა, ჭიშკარიც გაიღო და კაფანდარა ქალმა ორ ბავშვთან ერთად ეზოში შემოაბიჯა.

– ბებო შემოგევლოთ! – შესძახა ბებომ, ჩამუხლა და შვილიშვილები გულში ჩაიკრა. – რამხელები გაზრდილხართ, ჩემო ანგელოზებო, დაგავინწყდათ ბებო?

პატარები ანურნენ და დედას მიეწებნენ. ბებო ფეხზე წამოიმართა, ხელები დაიფერთხა, წინსაფარზე ჩამოისვა და შვილს გადაეხვია, თან ზურგზე ალერსით უთათუნებდა ხელებს.

– რა არი, შვილო ეს, ცარიელი ნეკნები დარჩენილხარ. – გულდათუთქულმა უთხრა, მერე ოდნავ მოშორდა, შეხედა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა ცრემლმორეულმა და ძლივს წარმოთქვა, – შენს თავს ფარსაგი არ უნდა იყოს, შვილო, ნემში გასაყრელი ძაფივით გალეულხარ.

– მსუქანი და ძვალმსხვილი ვინ გვყავს გვარში, დედა! აბა, შენს თავს შეხედე, ვის დავემსგავსებოდი?! წლებმაც კი ვერა-ფერი დაგაკლო. – გაიღიმა შვილმა და დედას გადაეხვია.

ბუთქუნა ვერ გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა. თითქოს უცხოები იყვნენ, არადა, ბებო როგორ ეალერსებოდა?

— ნეტავ, ვინ არიან? — მოუსვენრად ცქმუტავდა, ხან შეჰყეფდა, ხან ეზოს შემოურბენდა, ხან ბავშვების ფეხებთან მიაწყდებოდა, შეჰყეფდა და გულს უხეთქავდა პატარებს, რომლებიც დედის კალთას ჩაჰვიდნენ. ისევ ეზოში გაიჭრა და ყეფა-ყეფით თონეს შემოურბინა.

ახალგამომცხვარი პურის მძაფრი სუნი იდგა.

— უი! — შეჰყვივლა ბებომ, — მგონი, ჩამეწვა პურები. სადაცაა ბერიკაციც მოვა. ბუთქუნა! ბავშვები არ გადამირიო! — შეუწყრა ძალლს ბებო და თონისკენ გაემართა. — ნამოდით, ნამოდით, თხილის ქვეშ სკამებზე დასხედით. ძალლის ნუ გეშინიათ, არაფერს გერჩით, ჯერ ლეკვია.

— დედა, ეგ თუ ლეკვია, როცა გაიზრდება, მერე რაღა იქნება!

— ნამოდით, ნამოდით! — იმეორებდა ბებო. — ნამგზავრები ხართ, დაისვენეთ, გამოიცვალეთ სამოსი და მაგიდას მიუჯექით. ეხუმრები ამხელა გზას?! ბავშვებს გაუჭირდებოდათ ნამეტნავად. ცოტა მოისვენეთ და სამხრის მერე მდინარეზეც შეგიძლია ნაიყვანო.

ძალლისაგან დამფრთხალი ბავშვები ხან უკიდან ჩააფრინდებოდნენ დედას კაბაში, ხან ნინიდან და თან ცნობისმოყვარედ ადევნებდნენ თვალს ბუთქუნას ცელქობას.

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, ნახეთ, როგორი მხიარული ძალლია. თქვენი გაცნობა სურს, ამიტომ დაგვდევს. დარწმუნებული ვარ, მალე დამეგობრდებით.

თითქმის დილამდე გასტანა მშობლებთან საუბარმა.

— მესმის მე თქვენი, ძნელია გაურკვევლობაში ყოფნა. ასაკსაც თავისი მიაქვს, თმებზეც კარგა ხანია დაგათოვათ, მაგრამ თქვენი შემართება და ენერგია ბევრ ახალგაზრდასაც კი შეშურდება. აი, ეს მაძლევს იმედს, ამან გადამაწყვეტინა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია, რომელზეც მომავალია დამოკიდებული. გული მიკვდება და ცრემლები მახრჩობს, არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება და რამდენ

ხანს ვერ გნახავთ. სიკვდილს არ გაეთამაშოთ, სიკვდილი არ გაბედოთ. მე მალე ვერ ჩამოვალ, ცოცხლები უნდა დამხვდეთ. ჩემს შვილებს სჭირდებით. თქვენ უნდა გაზარდოთ ისე, როგორც მე გამზარდეთ. ჩემს ყოფას ყოფა არ ერქმევა ჩემი თაფლივით ტკბილი, თაფლისფერთვალება, პეპლებივით მოფარფატე გოგონების გარეშე. რამდენ ხანს ვერ ჩავეხუტები ჩემს ანგელოზებს, რამდენ ხანს ვერ ამოვუწმენდ ცრემლიან თვალებს, რამდენ ხანს გამყვება მათი სუნი, მათი წყაროსწყალივით ლიკლიკი – დედიკო, დედიკო... რამდენ ხანს გავუძლებ მათი კისკასა, უძირო თვალების უნახაობას. თქვენ უნდა მიშველოთ, თქვენ უნდა შემაძლებინოთ! ვიცი, ორმაგად გაგიჭირდებათ, მაგრამ უნდა შეძლოთ, სხვა გამოსავალი არ არის. რა არ ვცადე, ყველგან დაგმანული კარები, ქაოსი და ტაციაობაა ქვეყანაზე. უნდა წავიდე, თუ არა, ქმარი მომიკვდება. მძიმე სნეულება სჭირს, აქამდე გიმაღავდით. არ მინდა, გავხდე მიზეზი ჩემი შვილების დაობლებისა, არ მინდა, დაიჩაგრონ უმამობით. ყველაფერი მოგვარებულია. ჩემი ქმრის თანამშრომელია გათხოვილი იქ, უცხოეთში და დავუკავშირდით. – აქამდე ჩამოდი და მე მოგხედავო. ვალი ავიღე, გასამგზავრებელი ფული ვიშოვე. აი, ასეთია ჩემი მდგომარეობა. თქვენი იმედი მაქვს, ვიცი, რომ არაფერს მოაკლებთ ბავშვებს, მაგრამ ისიც ვიცი, დედას ვერავინ ჩაანაცვლებს. ბევრს იტირებენ, მაგრამ მე უფრო მეტად ის მიკლავს გულს, ვაითუ, გადავავინყდე, ვაითუ, გამიუცხოვდნენ, ან გული გაუცივდეთ ჩემზე. ეს ყველაზე მეტად მანუხებს, მეტი აღარ შემიძლია, მეტს ვეღარ გეტყვით, გასკდა ეს ოხერი გული. – დაასრულა ცრემლებმომსკდარმა და ბალიშში ჩარგო თავი.

ბუთქუნა და პატარა გოგონები ძალიან მალე დამეგობრდნენ. თავდაპირველად ბავშვები ფრთხილობდნენ, გაურბოდნენ, ახლოს არ იკარებდნენ. ბუთქუნა, მართალია, ტანით მოზრდილი, თითქმის ზრდასრული ძალლი იყო, მაგრამ გული მაინც ლეკვის ჰქონდა და ვერ გაეგო, რატომ უფრთხოდნენ ბავშვები. პატარები დილდილობით თხილის ქვეშ სუფთა ჰაერზე, მობეტონებულ მაგიდასთან ისხდნენ ხოლმე, ჩაისა და თონეში გამომცხვარ, დაბრანულ ხაჭაპურს მიირთმევდნენ. ბებო

ამბობდა – საქმესაც გავაკეთებ და თქვენც თვალის არეში მეყოლებითო. ბუთქუნაც იქვე გაჩნდებოდა, წამოსკუპდებოდა უკანა ფეხებზე და გოგონებს თვალებში შესცეკეროდა. ისინიც ძელსკამზე ჩამომსხდარნი, ფეხებს ჯერ კიდევ ვერ უწვდენდნენ მინამდე და გაუჩერებლად აქანავებდნენ, თან ჩუმ-ჩუმად ხაჭაპურს ბუთქუნასაც გადაუგდებდნენ, რომელიც ჰაერშივე იჭერდა მსუყე ლუკმას და გახალისებული, ლამის მოტეხვამდე აქიცინებდა კუდს.

მერე წამოდგებოდნენ და ეზოში თამაშობდნენ. ბუთქუნაც სულ გვერდით დაჲყვებოდა, მოშორებით ჩამოჯდებოდა და თვალებში შესციცინებდა. ერთხელ ერთმა გოგონამ, რომელსაც ლიზიკოს ეძახდნენ, გაბედა და ბუთქუნას თავზე ხელი გადაუსვა, ძალი გაიტრუნა. ლიზიკომ უთხრა:

– მე ლიზიკო ვარ, ხანდახან ელისაბედსაც მეძახიან და არ გაგივირდეს. ეს კი ჩემი დაა, ეკა. მეორე სახელიც აქვს, ეკატერინე. – დაამთავრა გაცნობა ლიზიკომ.

ბუთქუნამ გვერდულად სანახევროდ ასწია თავი და ისე შეაცეკერდა პატარას. გუნებაში კი თქვა:

– განა არ ვიცი, შენ რომ ლიზიკო ხარ და ეგ კი შენი დააო, მაგრამ როგორ გაგაგებინო? მე ხომ მარტო ყეფა ვიცი, აი ასე, – უკანა ფეხებზე წამოსკუპდა და შეჰყეფა.

ეკაც მიუახლოვდა და მორიდებითა და შიშით მანაც თავზე გადაუსვა ხელი. ძალმა მადლიერების ნიშნად ხელი აულოკა. გოგონას შეეშინდა, სასწრაფოდ უკან გასწია ხელი.

– ნუ გეშინია, არ იქნინება. ასე იცის მოფერება ძალმაო, – ბებიამ მითხრა. და რომ საშიში არაფერი იყო, ისევ გადაუსვა თავზე ხელი ლიზიკომ.

გამხიარულებული ბუთქუნა ფეხზე წამოიჭრა და ყეფა-ყეფით ეზოს შემოურბინა. მერე ბავშვებთან მისუნსულდა, მუდამ სველი ცხვირი მუხლებზე გაუხასუნა, ცოტა დაყოვნდა, შემობრუნდა და ნელი ნაბიჯებით ხუხულასკენ გასწია. მივიდა, წყლით სავსე ჯამში ჩაყო თავი და სვლება-სვლეპით წყალს დაეწაფა. მერე ტანი დაიფერთხა და ხუხულაში შეძვრა.

ძალიან ლამაზი სახლი ჰქონდა, ორგანყოფილებიანი. წინ-

კარში მუდამ იდგა წყალი და ბებოსაც მისთვის განკუთვნილი ულუფა აქ მოჰქონდა. ბავშვებს ისე მოეწონათ სახლი, თვითონაც იქ მოინდომეს შეძრომა. ბებო ეზოს გვიდა და რომ დაინახა, ბავშვები რასაც ცდილობდნენ, ცოცხი დააგდო და მსწრაფლ მიიჭრა ბავშვებთან.

– რას შერებით, ცუგრუმელებო? მანდ შეძრომა როგორ შეიძლება, კბილი არ გაგრათ, არ დამღუპოთ, ძალი მაინც ძალია.

ბუთქუნას გულში გაეცინა, ბავშვებს როგორ დავკენო, ეგენი ხომ ჩემი მეგობრები არიანო. მერე გაგულისდა, გამოვარდა ხუხულადან და ღობეზე შემომჯდარ მეზობლის მამალს დაუწყო ყეფა. მამალი კი აინუნშიც არ აგდებდა, გულარხეინად დაჰყურებდა ზემოდან და ბოლო ხმაზე გაჰყიოდა. რომ ვერაფერი დააკლო, გაგულისებული საქათმეში შეიჭრა, ქათმები საბუდარიდან წამოყარა და გამოენთო. ქათმებმაც კრიახკრიახით უშველეს თავს. განა ვერ დაიჭერდა, უბრალოდ, შეაშინა. მერე საქათმეში შევარდა, ახლად დადებული კვერცხი დაყნოსა, წაეთამაშა და მერე კბილიც გაჰყრა, რასაც ბებომ წაასწრო და შეიცხადა.

– მე შენ კვერცხიჭამია ძალად არ გამიზრდიხარ! – წაავლო ხელი ქეჩოში და მსხლის ძირში მაგიდის ფეხზე გამოაბა.

იუკადრისა ბუთქუნამ დაბმა, ბევრი იხტუნა, იხტუნა, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, ილაჯგამოცლილი მაგიდის ქვეშ შეძვრა და დანალვლიანებული გაიტრუნა. ბავშვები ძალიან შენუხდნენ, ბევრი ეხვეწნენ ბების, მაგრამ საბელიდან მაინც არ გაათავისუფლა. – მოვა ბაბუა და მან გადაწყვიტოს მისი ბედიო. სასმელი აკლია თუ საჭმელი, მსუნაგი ძალი ჩვენ რას გვარგიაო.

ბავშვებმა ძალიან მოიწყინეს. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ბუთქუნას გასართობად სახლიდან თოვინები გამოიტანეს და სახლობანას თამაში წამოიწყეს. ძალი ძალიან დანალვლიანდა, მოსწყინდა მაგიდის ქვეშ კოტრიალი, წამოვარდა, ატეხა ყეფა, შეხტა მაგიდის თავზე, ცოტა ხანს შეყოვნდა, რომ არავინ მიაქცია ყურადღება, გაბრაზებულმა მაგიდის მეორე

მხრიდან მოინდომა ჩამოხტომა. ჩამოხტომით კი ჩამოხტა, მაგრამ საბელის სიმოკლის გამო ფეხები მიწამდე ვერ მიაწვდინა და ჩამოეკიდა. გამწარებული ფეხებს ჰაერში აფართხალებდა და ხროტინებდა. დამფრთხალი ბავშვები, მივარდნენ და გაჭირვებით გაათავისუფლეს საბელისაგან. ბუთქუნა ძირს დაენარცხა. ერთხანს უსულოსავით ეგდო მიწაზე. მერე წამოიწია, ბავშვების ფეხებთან მილასლასდა და შეშინებულებს მადლიერების ნიშნად ლოკვა დაუწყო. თან ფიქრობდა, ამ ამაგს არასოდეს დაგივიწყებთო.

მიუხედავად ყველაფრისა, ბებომ ძალლი მაინც დააბა. საღამოს ბებომ ბაბუას მოახსენა ბუთქუნას ვაჟკაცობის ამბავი. ბაბუას არც გაჰკვირვებია და არც შეუცხადებია ბებოსავით, ერთი კი თქვა, მე ვასწავლი მაგას ჭკუასო. მეორე დღეს ბაბუამ საქათმისკენ გასწია, დიდხანს ბურჯალობდა იქ რაღაცას, მერე სახლში შევიდა და შვილიშვილებიც გამოიყვანა ეზოში.

- რა ვქნათ, ბავშვები, ავუშვათ ძალლი თუ არა?
- ავუშვათ, ბაბუ, ავუშვათ! – შესციცინეს პატარებმა.

საბელიდან გაათავისუფლებული ფეხზე წამოვარდა, გაიზმორა, ბავშვებსაც გაეთამაშა, თან ხელებში შეაცექერდა, მოშიებულს იქნებ რამე სასუსნავი მიწილადონო. რომ ვერაფერი მიიღო, კუჭაწრიალებულმა დიდხნას ისუნსულა ეზოში, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, საქათმისკენ გავარდა.

პატარა ხანში ძალლის საშინელი წკავნკავი მოისმა. გამოვარდა საქათმიდან და შლეგიანივით დაიწყო სირბილი. მივარდა თავის ხუხულასთან და წყლით სავსე ჯამში ყურებამდე ჩარგო თავი. ბოლომდე შესვა და პატრონს მომლოდინე თვალით დაუწყო მზერა. ბაბუამ ისევ ჩამოუსხა წყალი, ისიც სულმოთქმელად შესვლიპა და მერე თავჩაღუნული ჩრდილისკენ გაიძურნა. თავი თათებში ჩარგო და ენაგადმოგდებული ქელავდა.

- რა სჭირს ამ ძალლს, კაცო?! ცოფიანივით დარბის ენა-გადმოგდებული.

- არაფერიც არ სჭირს, ჭკუას სწავლობს თავისი მსუნა-გობისათვის. გაკვეთილი მკაცრია, მაგრამ აუცილებელი.

თურმე ბაბუას პილპილით გამოუტენია კვერცხი და

დამშეულ ბუთქუნას შეუსანსლავს. ერთი სამჯერ კიდევ გაიმეორა ბაბუამ ჭკუის სასწავლი გაკვეთილი და ბუთქუნამაც სამუდამოდ მიატოვა საბუდარისკენ გახედვა. ის კი არა, ნაჭუჭებსაც ღრენით უვლიდა ხოლმე გვერდს. ბაბუას კი კარგა გვარიანად გაებუტა და აღარც საძოვარში დაჰყვებოდა. სამაგიეროდ, ბავშვებს მიეკედლა და მთელ დღეს მათთან ატარებდა.

დედამ კიდევ სამი დღე დაჰყო ბავშვებთან. ცრემლმორეული ბევრს ეფერებოდა, ეთამაშებოდა. არიგებდა, ბებოს და ბაბუას დაუჯერეთო, არ გააპრაზოთ, თქვენ ხომ ჩემი ჭკვიანი გოგოები ხართო. უკვირდათ ბავშვებს და თავადაც აცრემლებულნი ეკითხებოდნენ, რატომ ტირი დედიკოო, ხომ არაფერი გტკივაო? – არა, არ ვტირი, ეს ალერგიის ბრალიაო და ცრემლიან თვალებს იწმენდდა. ბავშვები წუხდნენ, ვინ არის ეს ალერგია, დედიკოს რომ ატირებსო.

საქმეებს რომ მოათავებდნენ დიდები, სადილობის შემდეგ დედიკოს პატარები მდინარეზე დაჰყავდა საბანაოდ. იქ ერთი ამორჩეული ადგილი ჰქონდათ. ერთი მხარე კლდიანი იყო, ძირი ლიპქვიანი, თავს კი ხშირი ლელვის ხეები ქუდივით უფარავდა. ზოგიერთი მათგანის ტოტები ისე გადმოლუნულიყო, რომ მდინარემდე წვდებოდა. ბავშვებიც ჩამოეკიდებოდნენ, ხან ირწეოდნენ, ხანაც ფეხებს უბათქუნებდნენ წყალს. საბანაო ადგილი კაცის თვალს მოშორებული იყო და ქალებითა და ბავშვებით ივსებოდა. ბავშვებს ძალიან მოეწონათ საბანაო, მისი სილიანი ნაპირი, წყლიდან ამოცვენილები, სიცივისაგან ლამის გალურჯებულები, სილაზე გაგორდებოდნენ და მცხუნვარე მზეს ეფიცხებოდნენ.

იმ ადგილას წყალი მდორედ მოედინებოდა, გეგონებოდა, დგასო და არც თუ ისე ღრმა იყო. ოდნავ ქვემოთ, მოსახვევში, დამრეცზე წყალი ჩქარა მიედინებოდა და საკმაოდ მაღალ ჩქერა-ლებს ქმნიდა. დედა გამუდმებით აფრთხილებდა პატარებს, იქით არ გაგექცეთ თვალი, არ დამლუპოთო. ბუთქუნაც, რა თქმა უნდა, თან ახლდა. ჯერ ნაპირს მიადგებოდა, მოსვამდა წყალს, მერე პატარაზე შევიდოდა, სანახევროდ დასველდებოდა და გოგონებისკენ გაექანებოდა. მიირბენდა, ტანს დაიფერთხავდა და სილაზე წამოწოლილ ბავშვებს გვარიანად გაწუნავდა. ისინიც

წიოკობდნენ, წამოვარდებოდნენ და ბუთქუნას გამოუდგებოდნენ. კუდამოძუებული ძალლი მაყვლის ბუჩქთან წამოწებოდა, გა-ჰყურებდა მოთამაშე ბავშვებს და უკვირდა, ნეტავ, რას მერჩიანო. თვითონაც სურდა სილაში გადაგორება.

ბავშვებს ძალიან გაუჭირდათ უდედობა. ყოველ დილით თვალცრემლიანები იღვიძებდნენ და ბებოს ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ, – რატომ მიგვატოვა დედიკომო, როდის მოვაო. გულდამძიმებული ბებო ბავშვებს, როგორც შეეძლო, ამშვიდებდა, გულში იკრავდა და პასუხობდა: – დედიკოს ისეთი სამსახური აქვს, ჯერჯერობით ვერ ჩამოდისო. რომ ჩამოვა, უამრავ სათამაშოსა და ნახატებიან წიგნს ჩამოგიტანთო. ისინი კი წამტირალევი სახით პასუხობდნენ, არ გვინდა სათამაშოები, დედიკოსთან ჩახუტება გვინდაო.

დრო კი არის ყველაფრის მკურნალი, მაგრამ გულში ისეთ წანიბურებს ტოვებს, უამთაცვლაც კი ვერ აქრობს. ბუთქუნა წამოიზარდა, დამშვენდა და მეტად გონიერი და ღონიერი ძალლი გახდა. იმდენად ღონიერი, რომ მასზე ამხედრებულ ბავშვებს ეზოში დაარბენინებდა. ვერ სცილდებოდა მათ, ყველან დაჲყვებოდა, ყველგან, სახლის გარდა. სახლში ფეხს ვერ შეადგმევინებდი, შესასვლელთან კიბის ძირში წამოწებოდა და მოთმინებით ელოდებოდა ბავშვებს. ისინი კი ყველაზე კარგად თავს მდინარის პირას გრძნობდნენ. თამაშობაში გართულთ იქ ყველაფერი ავინყდებოდათ და საღამომდე ჭყუმპალაობდნენ. ბუთქუნაც ტოლს არ უდებდა. თავდაპირველად ცოტათი ერიდებოდა წყალს, მერე და მერე გაუშინაურდა და მათთან ერთად გადაეშვებოდა მდინარეში. გოგონები ხან კისერზე ჩამოეკიდებოდნენ ხოლმე და ხანაც კუდზე.

იმ დღეს ბებია თავს შეუძლოდ გრძნობდა და ბავშვების მდინარეზე წაყვანა გადაიფიქრა. ბავშვებმა ძალიან მოიწყინეს. ბუთქუნასაც გადაედო ბავშვების უხასიათობა და კუდამოძუებული ხუხულაში შეძვრა, წინა თათებზე თავი ჩამოდო და ნახევრად მოჭუტული თვალებიდან უხალისოდ უცქერდა ეზოში შემოპარულ მეზობლის მამალს. ვერ იყო გუნებაზე და არც თავი ჰქონდა გამოდევნების. თვალებმილულულს ქალის ძახილი შემოესმა.

– მარინე! მარინე!

ტახტზე წამოწოლილი ბებო წამოიმართა და ჭიშკრისკენ გაემართა.

– რომელი ხარ, რომელი?

– თამრიკო ვარ, თამრიკო.

ბებომ ჭიშკარი გააღო და მეზობლის ქალს ეზოში შემოუძლვა. მეზობელს არ მოეწონა ფერმიხდილი ბებოს სახე.

– ცუდად ხომ არ ხარ, მარინე?

– ჩემს მდგომარეობაში ქალი კარგად როგორ იქნება! ერთი გოგო მყავს, ისიც გადაკარგულში, მომკლა ფიქრებმა. იქით ის იტანჯება, აქეთ ჩვენ – და ბავშვებს გადახედა. ვკვდები მაგენის საცოდაობით, სულ დედა, დედას გაიძახიან. აღარც გული მივარგა და აღარც ნერვები. არ გინდა, გაუძლო, თვალცრუემლიანი ბავშვების ცერერას?! კიდევ კარგი, მდინარე ჩამოუდის ჩვენს სოფელს. იქ ყველაფერი ავიწყდებათ, ერთობიან. ბუთქუნაც ძალიან მეხმარება, ართობს ბავშვებს. ასეთი ჭკვიანი ძალი ჯერ არ შემხვედრია. ნახე, როგორი მოწყენილია. ბავშვებს ვუთხარი, შეუძლოდ ვარ და დღეს მდინარეზე ვერ წაგიყვანთ-მეთქი და ხომ ხედავ, რა მოწყენილები არიან. ძალიანად ყველამ ჩამოუშვა ცხვირი.

– შენ მაგაზე არ იდარდო. საცერისთვის გადმოვედი შენთან. ჩემსას გვერდი გამოერლვა, ფქვილი მაქვს გასაცრელი. ცომს მოვზელ, სანამ აფუვდება, მდინარესაც მოვივლით. ჩემებსაც წამოვიყვან, ისინიც კარგა ხანია, არ ყოფილან მდინარეზე.

– მეშინია, გოგო, ძალიან ცელექები არიან, რამე არ შეემთხვეთ. ასი თვალი და ყური უნდა გამოიბა. ლიზიკოს მაინც სულ ჩემებისკენ უჭირავს თვალი, დაჯდება და უყურებს იმ ჩქერალებს, არ გაგეპაროს იქით.

– რას ამბობ, ქალო, პირველად ხომ არ მივდივარ?! ჩემები უკვე დიდები არიან, ისინიც მიაქცევენ ყურადღებას. შენ მაგაზე არ ინერვიულო!

წინა დღეებში წვიმდა. მდინარე ჯერ კიდევ ვერ ჩამჯდარიყო ჩვეულ კალაპოტში და შედარებით მღვრიეც იყო. თამრიკომ

ბავშვები მკაცრად გააფრთხილა, აქვე ითამაშეთ ნაპირზე, წყალში ღრმად არ შეხვიდეთ.

ბუთქუნა მისვლისთანავე წყალში გადაეშვა, გაცურა, გავიდა გაღმა ნაპირზე, ბეწვი დაიფერთხა და წინ და უკან დაიწყო სირბილი. ცოტა ხანს შეყოვნდა, იქაურობა დაყნოსა და ისევ ბავშვებისაკენ გამოცურა. ხის მორივით მოცურავდა, მხოლოდ თავი და ხანდახან კუდი გამოუჩნდებოდა ხოლმე. გამოვიდა გამოღმა, დაიფერთხა და ბავშვების ფეხებთან წამოწვა. ლიზიკომ საიდანლაც სავარცხელი გამოაძრო და ძალლის ბეწვის დავარცხნას შეუდგა. სავარცხელს ეკატერინეც წაეტანა, მომეცი, ახლა მე უნდა დავვარცხნოო. სხვა ბავშვებიც მოცვივდნენ და დაუწყეს ძალლს ჩქმეტა და ჯღვლება. შეწუხებული ძალლი წამოვარდა, მაყვლის ბუჩქებთან მიირბინა, წამოწვა და თათებში ჩარგო თავი.

ლიზიკოს მოეწყინა, ბავშვებს განერიდა, ბუთქუნასთან მივიდა, გვერდზე მიუჯდა და მოეხვია. ძალლი გაიტრუნა. პატარა ხნის მერე აფგა და წყლის ნაპირს თავქვე დაუყვა. თხმელის ძირში მოზრდილ ფესვზე ჩამოჯდა, ფეხები წყალში ჩაყო და ჩქერალებს გაუშტერა თვალი. დიდხანს უმზერდა, მერე ძირს დაიხედა. წყალში ათამაშებული თხმელის ფესვები წითელი თევზებივით ელამუნებულდნენ ფეხებზე. წამოსწია თავი და ისევ ჩქერალებისკენ გაექცა მზერა. შეუ წყალში მოზრდილ, სლიპინა ქვას წყალი ხან გადაევლებოდა და დაფარავდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. გადავლებისას ისე აიფოფრებოდა ტალლა, რომ მზის სხივების დაცემისას დაკვირვებული თვალი ცისარტყელას გაკრთომასაც შეამჩნევდა. მორიგი ტალლის აქოჩრისას ცისარტყელაში დედის სახე გაიღანდა. წამოდგა ბავშვი, წყალში შეაბიჯა: – დედიკო, დედიკო, ბუტბუტებდა ტუჩები. ქვევით არ იხედებოდა და თავანეული მიაბიჯებდა. ბევრი აღარ ჰქონდა დარჩენილი ქვამდე, რომ წყალმა ფეხებში ცელივით გამოუსვა, საყრდენი გამოაცალა და თავქვე გააქანა. სანამ წყალი ჩააყურყუმალებდა, ერთის დაძახება მოასწრო მხოლოდ: ბუთქუნაო...

გონს რომ მოვიდა და თვალი გაახილა, ნახა, რომ უამრავი

ადამიანი დახვეოდა თავს. ეკატერინე ჩახუტებოდა და გულ-ამოსკვნილი ტიროდა. თვითონაც ცრემლები წასკდა, დაიკოს ჩაეხუტა და წასჩურჩულა: მე იქ დედიკო ვნახეო. მერე იკითხა, ბუთქუნა სად არისო?

– მოდის, მოდის! – დაიძახა ვიღაცამ.

შეჯგუფული ხალხი შუაზე გაიყო, საპატიო ყარაულივით ჩამნკრივდნენ და გზა ამაყად მომავალ ბუთქუნას დაუთმეს. მერე, ვიღაცამ ტაში დაუკრა.

– ყოჩალ, ბუთქუნა! ყოჩალ, გადამრჩენო!

სხვებიც აჰყვნენ და რამდენიმე წუთის წინ დაზაფრული ხალხი მხიარული შეძახილებითა და ტაშის ცემით მიაცილებდა ძალლს.

ბუთქუნა პატარებს მიუახლოვდა, ჯერ უკანა ფეხებზე ჩამო-ჯდა და თვალებით მიეალერსა, მერე აწვეტუნებული მიხოხდა მათთან და, თვითონაც თვალცრემლიანი, ხან ერთს აულოკავდა ცრემლიან ლოყებს და ხან მეორეს.

2013 წელი, თბილისი

Կոմիտէ

Հայուսաց



ჩიხორის პრძოლა

— გადი-გამოდი, გუთანონო... — ღილინებდა ჭარმაგი კაცი, ჩაჰვირენოდა გუთანს და ბელტს ბელტზე აწვენდა. ხანდახან სახრეს ჰაერში შეათამაშებდა და ნიქარას შეუძახებდა:

— აბა, ნიქარა, იყოჩალე, ნუ ცქმუტავ და ნუ გარბიხარ წინ! კი ხარ, ჩემო ბატონო, ახალი გახელინილი, გიჭირს უღელთან შეგუება, მაგრამ ეგ არაფერი, წუთისოფელი დაგადინჯებს. შეხედე ნიშას და მიბაძე, ნახე, როგორ დინჯად ექაჩება ჭაპანს! უღელი თუ თანაბრად არ გასწიეთ, ფუჭი შრომა გამოგვივა და დროის უქმად დაკარგვა.

ნიქარამ თითქოს შეისმინა პატრონის, კვალში ჩადგა და თანაბრად გასწიეს ხარებმა.

— ბევრი აღარ დაგვრჩა, პატარა მოთმინება და გავალთ ბოლოში. იცოდეთ, მოთმინება ყველაზე დიდი განძია! ვინც მას ფლობს, იმისთვის მიუღწეველი არაფერია. — მერე ისევ შეათამაშა სახრე ჰაერში და ომახიანად გააგრძელა: — ლირლიტავ, ბანი უთხაროო... — ეჲ, ლირლიტა კი არადა, გუთანიც სანთლით საძებარია, ვიღას ახსოვს გუთანი?! მოჯდომიან რკინის ურჩხულებს და აზანზარებენ დედამიწას. მთაგორიან სოფლებში, ჩემო კარგებო, გუთნის ადგილი ყოველთვის იქნება. იმ მაჯლაჯუნას, რკინის ურჩხულს, ტრაქტორს რომ ეძახიან, გგონია, ყველაფერი შეუძლია? არა, ჩემო ბატონო, აბა, ამოვიდეს აქ, თუ ბიჭია! — მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, ხარებიც შეყოვნდნენ. — ნიშა, შენ გეკითხები, გამოცდილი კაცი ხარ, ხო, შენ გეკითხები, შენ! წარმოიდგინე, რა მოხდება მსოფლიოში, ყველამ ერთდროულად რომ დაქოქოს ეს ურჩხულები, წარმოიდგინე?

ნიშამ თავი ააქნია აპეზარი ბუზების მოსაცილებლად, რომლებიც თვალებზე მისეოდნენ და საშველს არ აძლევდნენ.

– წარმოიდგინე? წარმოიდგინე და შეგეშინდა? ჰა, რავარი სანახავი იქნება აზანზარებული დედამინა? მეც შემეშინდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წესიერად ვერც დაილაპარაკებ და ვერც ლვინიან ჭიქას მიიტან პირთან. მერე რაღა გვეშველება?! – ჩაიქირქილა მეგუთნემ და ხარებს გადახედა.

ნიშამ კიდევ ერთხელ აიქნია თავი და უხმოდ უპასუხა: „კაი, კაცო, მაგის დროა ახლა?! მაგი კი არადა, ერთი სული მაქვს, როდის გავალთ ბოლოში. თავი უკან მოაბრუნა და პატრონს წამიერად შეაცქერდა, მერე თავი ჩაღუნა და ძალუმად გასწია წიქარასთან ერთად.

გიორგი, რომელსაც ნახევარი საუკუნისთვის უკვე კარგა ხანია, გადაებიჯებინა, როგორც თავის ტოლსა და სწორს, ისე ესაუბრებოდა ხარებს, უყვებოდა თავის ამბებს, შენ წარმოიდგინე, რჩევასაც კი კითხებოდა ხოლმე. სოფელში ყველა პატივს სცემდა, ანგარიშსაც უწევდნენ მის ნააზრევს. ლამაზი საუბარი იცოდა, ბევრსაც კითხულობდა თავისუფალ დროს. აუგს ვერ წამოაცდევინებდი ვინმეზე, ტკბილად მოუბარს უამივით ეჯავრებოდა ბილწსიტყვაობა და ასეთ მოსაუბრეებს უხმოდ განერიდებოდა ხოლმე. პატივს სცემდნენ, მაგრამ მისი ახირებულობაც უკვირდათ ხარ-ურემზე ასე გადაკიდება.

– რაღაც მოწყენილი მეჩვენებით, ხომ არ დაიღალეთ, ერთი კუდის მოქნევა ადგილიდა დარჩა. აბა, გავმხიარულდეთ და შემოვძახოთ ძველებურად. იცით თქვენ, ისე არაფერი ალამაზებს შრომას, როგორც გულიანი სიმღერა. მე წამოვინწყებ, თქვენც თქვენებურად ბანი მითხარით. არ შემარცხვინოთ, ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში ვართ ახლა ჩვენ. ხედავთ, როგორ გასუსული გველოდებიან?

გიორგიმ თვალი მოავლო გარემოს, ჩაახველა, ყელი ჩაინმინდა და ომახიანად შემოსძახა: – ბროლის ყელსა მოგეხვიე, ორულილა, ცრემლით უბე ამოგივსე... მამაჩემს უყვარდა ძალიან ეს სიმღერა, მამაჩემს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

ნიშამ თითქოს კვერი დაუკრა ნათქვამს, დასტურად ყურები გააპარტყუნა, წიქარას გადახედა და ძალმიცემულებმა წინ გასწიეს.

– ვიღა მლერის ახლა, ბიჭებო, გუთანთან? ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგინებიან, თანაც ისე უწმანურად, ყურები დაგესუსხება. რომ იცოდეთ, გინება საშინელი ცოდვაა, შე უბედურო, კაცს რომ აგინებ, ამით ხომ დედა – ღმრთიშობელს აგინებ, ის ხომ ყველა ჩვენთაგანის დედაა და სასუფევლისაკენ გზის გამკვალავი. არ გეშინია?! ბირჟაზე მთელ დღეს უსაქმურობასა და ბილნისტყვაობაში რომ ატარებ, ხადახან მაინც შედი ეკლესიაში, იქნებ რაიმე სიმშინდე გამოგყვეს. გესმის?! მეტი არაა ჩემი მტერი! – თვითონვე გასცა პასუხი და უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი. – ჰო, სიმღერაზე ვამბობდი, როგორც მარილი აგემრიელებს კერძს, ისე მღერა აკეთილშობილებს ნაშრომს და მოსავალიც ყუათიანი და მადლიანი გამოდის. აპა, რა გევონათ თქვენ. ასეა, ჩემი ჭკვიანებო, ტალიკა ბიჭებო. თქვენც ხომ გსიამოვნებთ? ჩემი წინაპრები ჭირშიაც მღეროდნენ და ლხინშიც მტრის ჯინაზე და ასე გაპერნდათ ლელო.

გადახნული მინა გაყორნისფერდა. მზის სხივები ამობრუნებულ ბელტებზე ციაგობდნენ. გიორგი ერთი თემიდან მეორეზე გადადიოდა და ხმამაღლა ესაუბრებოდა ხარებს.

– ბევრი ზურგს უკან დამცინის, რაღა დროს ხარ-ურემიაო. დაე, იცინონ, სიცილს რა სჯობია, ოღონდ ნუ შეიგინებიან. სიცილისაგან მკვდარი კაცი ჯერ არ მინახავს. გაგიკვირდება და, ჭამისაგან კი გარდაცვლილან. რას არ გაიგებს კაცი, გეყურებათ? კრილოვი თურმე ჭამას გადაპყოლია! იცოდეთ, შემთხვევით ბუნებაში არაფერი ხდება, ყველაფერი რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება. ადამიანთა მოდგმას ღმერთმა გამოუგზავნა თქვენი თავი. კაცის გონიერებას, თქვენს ჯიშსა და მოდგმას უზარმაზარი წვლილი მიუძღვის სამყაროს გაკეთილშობილებაში. ხომ გაგიგონიათ, კაცია და გუნებაო. კი, უამრავი თანამედროვე ტექნიკაა დღეს, იმითაც შეიძლება მოხვნა, მაგრამ მე მაინც მამაპაპური ხარ-გუთანი მირჩევნია. ნახე, მინას რა სურნელი ასდის, ყველა სუნამოზე უკეთესი, გაგაბრუებს. კვამლ და მაზუთშერეულ მინას თუ შხამ-ქიმიკატსაც მიაყრი, მალე გაბერნდება, გაზარმაცდება და ქიმიაზე დამოკიდებული გახდება. ასეა ეს! არ ჭირდება ამას ბევრი მტკიცება. ნაკელსა

და შლამზე უკეთესი სასუქი გაგონილა? ახლა ნაყოფს აღარ იკითხავ? უსაფრთხო, ჯანმრთელი და სასარგებლო, რომელიც სანთლით საძებარია. თუ ზარმაცი არ ხარ, შეუძლებელი არაფერია. კაცი სულ საქმეში უნდა იყო. ასე, ჩემო ლომებო, ღმერთმა ნუ ქნას, მე ვიყო უკანასკნელი მოჰკიანი და მუზეუმში მიგიჩინონ ადგილი.

მოულოდნელად სახნისი რაღაცას წამოედო და ჭახანი გაადინა. ტვირთშემსუბუქებული ხარები წინ გავარდნენ, გიორგის კი უსახნისო გუთანი შერჩა ხელთ...

— რა ხდება, ბიჭებო, ჩვენს თავს? ცოტაც და გავიდოდით ბოლოში. — დანანებით თქვა კაცმა, გუთანს ხელი შეუშვა და ჩაიჩოქა.

სახნისი ქვასა და ქვას შუა გაჭედილიყო. გაუკვირდა, ქვა კი არა, კენჭიც არ შეხვედრია აქამომდე. მოეჯაჯგურა, ძვრაც ვერ უყო. წამოდგა, დაცვარული შუბლი ქუდით მოიწმინდა და ხარებთან მივიდა, რომლებსაც თავი ჩაელუნათ და ახლად ამოწვერილ ბალახს წინ კნიდნენ.

— ასეა, ლომებო, მიძალება და გადამეტება არაფრისა შეიძლება. ნიშანი მოგვცეს მაღლიდან – გეყოფათო, დასვენების დროაო. იქნებ სხვა რამის ნიშანიცაა! ბერიკაცმა ხარები უღლიდან გაათავისუფლა და ყანის ბოლოსკენ გარეკა. თვითონ კი ძელქვის სესთან მოზრდილ ფესვზე ჩამოჯდა, ღვინიან დოქს მისწვდა, სიმინდის ფუჩეჩიანი თავსახური მოაძრო, ტუჩზე მიიდო და ჩაარაკრაკა. მერე ხელუკულმა ტუჩები მოიწმინდა და თქვა: — დაილოცოს შენი მომგონი! ბიჭებო, თქვენ შორს არ წახვიდეთ, აქაც საკმაოდაა ბალახი. დღეს, როგორც ჩანს, მეტს ვეღარ ვიმუშავებთ. ჯობია, სახნისს მივხედო. ხელი წალდსა და თოხს წამოავლო და ყანისკენ გასწია.

გაკრიალებულ ცაზე მზე ჩვეულებისამებრ მზეობდა და მადლივით ჰეთენდა დედამინას მაცოცხლებელ სხივებს. ტყიდან საამოდ უბერავდა გრილი ნიავი. ჩიტების ულურტულს, უივილ-ხივილს საზღვარი არ ჰქონდა. ბუდობის უამი დამდგარიყო, ზოგმა ძველს მიაკითხა, ზოგი კი ახალს აშენებდა. ყვავილების სურნელებისაგან რეტდასხმული ფუტკრებისა და სხვა მწერების

ბზუილი ენანავებოდა გარემოს. სადღაც ხარი ბლაოდა, სადღაც მამალი ყიოდა, ინდაურებსაც არ დავიწყებოდათ ლოყლოყი. უხილავი ხელისაგან გაორკესტრებული დედაბუნება მარადიული სიცოცხლის ჰიმნს გალობდა.

გიორგი გუთანს მიუახლოვდა, მოუხნავ მხარეს ჩამოჯდა და სახნისს დაუწყო თვალიერება. მერე ჩაიჩოქა და დაშაშრული ხელი მოუსვა, მინისგან გაათავისუფლა. შეეცადა მის მორყევას, ძვრაც ვერ უყო. წალდის პირითაც მოსინჯა, თოხითაც, მაგრამ უშედეგოდ, არაფერი გამოდიოდა.

— აი საქმე, ეს მინდოდა ახლაა?! — წამოიწია, მუხლები დაიფერთხა, ისევ თოხს მისწვდა და ქვის გარშემო მიწის შემო-ცლა დაიწყო.

დიდხანს ჩიჩენიდა, ასუფთავებდა, გავიდა ბოლოში, თითქ-მის კაცის სიმაღლის ლოდი იყო მართკუთხედის ფორმის. გა-უკირდა, ამოდენა ლოდი აქ საიდან გაჩნდაო. დალლილი ქვაზე ჩამოჯდა, ცოტა ხანს შეისვენა, მერე ისევ წამოიწია, ვერ ისვე-ნებდა, რაღაც აფორიაქებდა. ისევ ქვას მიუბრუნდა. გაიფიქრა, — საინტერესოა, რა სიღრმეზე არის ქვა ჩაფლულიო და ისევ თხრა განაგრძო. ერთი ფენა კიდევ მოაცილა, ძირი მაინც არ ჩანდა. მეორე ფენის მოცილებისას თოხი რაღაცას წამოედო. დააწვა თოხს და მის გაკირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მიწიდან ძვალი ამოვარდა. დაზაფრულს თოხი ხელიდან გაუვარდა და მინაზე დაემხო. კარგად დააკვირდა, ადამიანის ბარძაყის ძვალი იყო. ჯერ ოფლმა დაასხა, მერე შეამცივნა, გააურულო. აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. თავდავიწყებუ-ლი ისევ თხრას შედგა. მეორე ძვალიც გამოჩნდა. ფრთხი-ლად მუშაობდა, აკანკალებული ხელებით, ყოველგვარ მიწი-ერს მოწყვეტილი. ფიქრიც კი აღარ შეეძლო. ასუფთავებდა და ასუფთავებდა, ფრჩხილებიდან სისხლი სდიოდა, ტკივილი სად-ლაც გამქრალიყო. რომ ჩაამთავრა, ძლივს წამოიმართა ფეხზე, რაღაცის თქმა უნდოდა, პირგამშრალმა ენა ვერ დაძრა. მის წინ საფლავში, ვინ იცის, როდის გარდაცვლილი მეომრის ძვლები ეწყო, უანგისგან შეჭმული ხმლითა და ფარის ნაშთებით. თვი-თონ დაასკვნა, ასე ფარ-ხმალი მხოლოდ მებრძოლს შეიძლება

ჩაატანოთ. ლოდის სიგრძეზე იწვა, ახოვანი მეომარი, ნაუცბა-თევად, უკუბოვოდ დაფლული. ფიცრის მცირედი ნასახიც კი არ ჩანდა.— თანაც ახალგაზრდა... იქიდან დაასკვნა, რომ გარდაცვ-ლილს ერთი კბილიც არ აკლდა.

— რამდენი საუკუნეა, ნეტავ, აქ რომ განისვენებს?! რაღაც ომის შედეგი უნდა ყოფილიყო. ნეტავ, რომელი ომის?

ჩამოჯდა მიცვალებულის თავთან და ჩაფიქრდა. გაახსენდა: ამას წინათ საქართველოს ისტორიის ქრონიკებს კითხულობდა. ყოველთვის აინტერესებდა თავისი კუთხის ისტორია და იქ წააწყდა, რომ ამ ადგილას ადრე ქალაქი ყოფილა გაშენებული. შუა საუკუნეების ქალაქი ჩიხორი. რომ მე-15 საუკუნეში ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი მერვეს, ბრძოლა ჰქონდა იმერეთის ერისმთავართან, ბაგრატთან, შემდგომში იმერეთის მეფე ბაგრატ მეორესთან და რომ ამ ომში გიორგი მერვე დამარცხდა. საქართველოც დაიშალა სამეფო სამთავროებად. ისტორიაში შესულია ჩიხორის ბრძოლის სახელწოდებით. ამ ბრძოლამ და შემდგომში კიდევ სხვა ბრძოლებმა, შინააშლილობებმა ქალაქი გააპარტახა. დღეს ჩიხორს ნაქალაქარის არაფერი ეტყობა, მხოლოდ ერთი კოშკილაა შემორჩენილი.

გარინდებული, ჭირისუფალივით იჯდა, ფიქრებმა შორს, წარსულში მოისროლეს...

...ქართლოსმა მებრძოლს ხმალი მოუქნია, ახალგაზრდა ჭაბუკმა ფარი უმარჯვა, მაგრამ ხმალი ისეთი ძალით იყო მოქნეული, ძირს დასცა. ხელმეორედ შემართა ხმალი, მინაზე განრთხმულმა უმწეოდ შემოხედა. ძალიან ახალგაზრდა იყო, ჯერ უწვერო, ლამაზ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ, გაიფიქრა: ომი წაგებულია, მაინც უკან ვიხევთ ამ სამარცხვინო და ქვეყნის დამაქცევარ ომშიო. ის იყო, ფეხი მოინაცვლა უკუსვლით, გზა რომ განეგრძო, რომ გვერდიდან მახვილი აძგერეს. შებორძიკდა, მაგრამ არ წაქცეულა. მერე სისუსტე მოერია მთელ სხეულს, მკლავი მოუდუნდა და ჩაიჩოქა. ისევ წამოინა გაჭირვებით, ირგვლივ მიმოიხედა, ცას სწვდებოდა ცხენთა ჭიხვინი, ხმლის ჩახაჩუხი, მებრძოლთა ყიუინა და დაჭრილთა გმინვა-კვნესა. ძალადაკარგულს თვალს

უბნელდებოდა. ის იყო, უნდა წაქცეულიყო, რომ ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ქართლოს! ქართლოს! — მათე ეძახდა, სიყრმის მეგობარი, რომელთან ერთად არაერთ ომში მიეღო მონაწილეობა.

მათემ დაჭრილს ერთი ხელი წელზე შემოჰვია, მეორეთი ხმალმომარჯვებულმა უკუსვლით მეგობარი ბრძოლის ველს განარიდა. იდგა 1463 წელი. ჩიხორთან ქართველები, მტრის გასახარად, უმონწყალოდ ჩეხდნენ ერთმანეთს. საქართველოს მორიგი დაქცევის უამი დამდგარიყო.

— ცოტაც, ჩემი ქართლოს, ცოტაც, ამ ფერდობს ავივლით, მერე ტყე იწყება. მდევარიც არ ჩანს, აუცილებლად გავაღწევთ.

ქართლოსი ხმას არ იღებდა, ხანდახან თუ აღმოხდებოდა გმინვა. ტყის პირას პატარა მინდორზე კაცისოდენა ლოდთან ჩამოისვენეს. დაჭრილი ზურგით მიესვენა ქვას და ხმამისუსტებულმა სვენებ-სვენებით დაიწყო:

— მე აქ დამტოვე, ჩემი ბრძოლა დამთავრებულია, შენ კი თავს გაურთხილდი. ანი ოჯახზე მოგინევს ზრუნვა. — ძლივს ლაპარაკობდა, მძიმედ სუნთქავდა, არემარეს მოავლო თვალი. არცთუ ისე შორს, შემაღლებულ ადგილზე, ეკლესია შენიშნა, მის მიღმა — მზე, რომელიც მოძმეთა მიერ დანიხეულ სისხლს თვალს არიდებდა და დასალიერისაკენ მიისწროდა. გაიფირა: ალბათ, მალე ჩავა მზეო. საიდლანაც შავებით შესუდრული ქალი ამოილანდა. დააკვირდა. — ეს ხომ ჩემი ცოლია, უკვე შავებში?! ესენი ვინდა არიან? — ორი ბიჭი აქეთ — იქიდან ამოსდგომოდნენ ქალს. — ჩემი შვილები... — გასისხლიანებული სახე ცრემლმა ჩამობანა. ბოლო ძალა მოიკრიბა და განაგრძო: მე საამქვეყნო პირი აღარ მაქვს. ბრძოლის კანონია, თუ შენ არ მოკალი, ის მოგელავს. ვერ გავიმეტე, ძალიან ახალგაზრდა იყო, მთლად ბავშვი. — შეეცადა წამოწეულიყო, ამოახველა, წითლად შეეღება ტუჩები. — მე ოჯახი მაინც მრჩება, ცოლ-შვილი. ის ანი უნდა ეწიოს ყველაფერს და საოცნებო ერთიანი საქართველოს მხედარი უნდა გახდეს. ჩემს ცოლ-შვილს მიხედე, არავის დააჩაგვრინო, შენი ნათლულიც სახელოვან მებრძოლად გამოზარდე! ყველაფერი გითხარი, აქ, ამ ქვასთან დამასაფლავე. ახლა კი

ნადი, იქნებ ერთი ყლუპი წყალი მიშოვნო, იქნება აქ, სადმე ტყეში.

მათემ ქართლოსს გაფითრებულ სახეზე ხელი ჩამოუსვა, მერე შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადაუწია. სიცივე შეპარვოდა სხეულს. ყელში ბურთგაჩრილი, შლეგიანივით გავარდა ტყისკენ...

უცნობი მეომრის შესახებ. სოფელში მალევე გაიგეს. გიორგიმ მეზობლებს ნიკოს და ზაზას, დაავალა: სოფლის მეკუბოვეს გადაეცით სასწრაფოდ კუბო გააკეთოსო.

გაუკვირდა მეკუბოვეს, რა დაემართა გიორგის, ვინ გარდა-ეცვალაო. აუხსნეს ბიჭებმა, არაფერი უთქვამს, მხოლოდღა თავი გადაიქნია და საქმეს შეუდგა. მებრძოლის ნეშტი ცრემ-ლმორეულმა გიორგიმ კუბოში ჩაასვენა და სახლში წამოასვენა. პანაშვიდზე ქალაქიდან დაზაფრული ოჯახის წევრები ჩამოვიდნენ. ახლობლები და მეზობლებიც ეწვივნენ. წესის ასაგებად სოფლის მღვდელს უხმო. მღვდელმა კმევა და ლოცვების თქმა დაიწყო: – წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულ-თა მიცვალებულთა, საუკუნიდან ამ ჟამამდე შესვენებულთა მონათა მხევალთა შენთა... ბრძოლის ველზე მომწდართა... სამშობლოსათვის თავდადებულთა... ხალხისაგან დავიწყებულთა... შეყოვნდა და გიორგის მიმართა:

- კარგი იქნებოდა, სახელით რომ მოგვეხსენებინა, მაგრამ...
- მე ვიცი მაგის სახელი, ქართლოს ქართველიშვილით მოიხსენე. – მღვდელს გაკვირვება რომ შეატყო, ისევ გაუმეორა,
- ჰო, ქართლოს ქართველიშვილი.
- საუკუნო იყოს ხსენება მისი! – გაიმეორა მღვდელმა რამ-დენჯერმე და სულის მოსახსენებელი პანაშვიდი დაამთავრა.

დამკვიდრებული, ტრადიციული წესისა და რიგის მიხედვით გადაიხადა გიორგიმ ქელეხი, დიდი გულისტკივილით დაიტირა და საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალა. საფლავის ქვაზე კი დააწერა: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი გმირი ქართლოს ქართველიშვილი.

დროის მდინარებამ ეს ამბავიც წარსულს გადაულოცა და მისთვის ჩვეული ცხოვრება განაგრძო. წუთისოფლის არტახებში

მოქცეული გიორგიც წუთისოფლის კანონებით აგრძელებდა ცხოვრებას. ყანაში ნაპოვნი ლოდი ქვის მთლელს მოაპირკეთებინა და შემოღობა. თავისუფალ დროს მივიდოდა ხოლმე, ჩამოჯდებოდა, ჭიქას წაუქცევდა ბრძოლაში დაღუპულს და თავის მიცვალებულებთან ერთად მოიხსენებდა. ხის დარგვაზეც ფიქრობდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, რომელი ხე დაერგო. იმ წელს გვარიანად ჩამოთოვა, გაჭიანურებული ზამთრისაგან შეჭირვებულს ერთი სული ჰქონდა, როდის გააღწევდა გარეთ და საგაზაფხულო საქმიანობას შეუდგებოდა. გაზაფხულის პირველი მაცნეების ამონვერისთანავე გასწია თავისი ხარებით ფერდობის მოსახნავად. სანამ ხვნას შეუდგებოდა, მივიდა ქვასთან, ჩამოჯდა და გაიფიქრა: ქართლოსის სული ახლა, ალბათ, ზეციურ საქართველოში, თავისიანებთან ნეტარებსო. ვალმოხდილი კაცივით გაიღიმა, ფეხზე წამოიმართა და ის იყო, საქმიანობას უნდა შესდგომოდა, რომ მისი ყურადღება ქვის ძირში, ახლად შეფოთლილმა, პატარა მცენარემ მიიქცია. დაიხარა, კარგად დააკვირდა, მერე ნორჩ ფოთლებს ფაქიზად მიუალერსა და უჩვეულოდ აღტყინებული, ფრთაშესხმულივით შეუდგა საქმიანობას.

მიწის წიაღიდან მუხა ამონვერილიყო და მზეს შესციცინებდა.

2020 წელი, თბილისი

უხილავი სენი



უცილავი სენი

ვაკე უკან ჩამოიტოვა, აღმართი დაიწყო, პატარა შემაღლება, ზეგანი. მერე დამრეცი, პატარა ხევი, ხევს მიღმა ისევ შემაღლება, რომელიც გოჯა-გოჯა მიიწევს წინ, სანამ მომცრო ზომის მთად არ გადაიქცევა. მერე ისევ დამრეცი, ჩხრიალა ნაკადული, უამრავ ლოდებს ნაალერსევი, აქაფებული, კისრისტეხით დაბლა რომ მიექანება. ისევ მთა, უფრო მაღალი და შერეული ტყით დაფარული. მის ზემოთ კი დაღარული ფრიალო კლდეები, შიშის მომგვრელი, სამარადუამო ძილს მიცემული მყინვარები და გოროზად მომზირალი, ფეხდაუკარებელი, სპეტაკი თოვლით შემოსილი მწვერვალები, რომლებიც მზის დაცემისას ენით აღუწერელ ფერთა გამას ქმნის... ცის თაღს მიბჯენილი ზემოთ კრძალვით იმზირება, ქვემოთ კი – მედიდურად. უკიდეგანო ცა კი უსასრულობამდეა განელილი, რომელიც ხან სილურჯეში ინთქმება, ხან ყომრალი, ხან კიდევ სპეტაკი ფერის ღრუბლებით იმოსება. რა საამური საცქერია ზემოდან! იშლებიან, იცრიცებიან, ხან აბორგდებიან და მთასავით აისვეტებიან. ხან კი ზვავივით დაინთქმებიან და გაწვებიან ცის კაბადონზე.

ასე მსუბუქად თავი არასოდეს უგრძვნია, ბუმბულივით დაფარფატებდა. – რა თავისუფლად ვფრენ, რა ნეტარებაა! ახლა მაინც ავისრულებ ბავშვობის ოცნებასი და გადაეშვა სპეტაკ ოკეანეში. ინავარდა, იბობლა, იკოტრიალა, ხან ყირა გაჭიმა, ხან მალაყები. მერე გულალმა გაიშოტა და თვალები ზესკნელს მიაბჯინა. შორს, ზემოთ, ძლიერ შესამჩნევი მქრქალი კიბე შენიშნა. იქით გაცურდა, ის იყო, ხელი უნდა წაევლო მოქანავე კიბისთვის, რომ გვერდში საშინელი ჩხვლეტა იგრძნო. თავი მოაბრუნა, უსაშინლესი ურჩხული, შემზარავი სიმახინჯე ზურგზე

მოჯდომოდა და ბასრი კლანჭებით გვერდებს უფლეთდა. მერე ფილტვებს მისწვდა და უმოწყალოდ ჩხვლეტდა. სუნთქვა შეეკრა, იხრჩობოდა, იგუდებოდა, ხრიალებდა, თვალები გადმოცენაზე ჰქონდა. ჩასისხლიანებული თვალებით აქეთ-იქით მიმოიხედა, მშველელს ეძებდა და განწირული ხმით ამოიხრიალა:

– მიშველეთ!

– არიქა, ბიჭებო, უანგბადი! – შემოესმა მიღმიეთიდან. მერე უკუნმა მოიცვა ყველაფერი, თითქოს დაიშალა, გაიბნა, ჩაიძირა, ჩაინთქა და უსასრულობას შეერწყა.

როდის-როდის გაახილა თვალი. გაცრეცილ ღრუბლებში დაცურავდნენ უცნაურ სამოსიანი არსებები. ჴო, სკაფანდრში გახვეულები, უცხოპლანეტელები? ნეტავ, სადა ვარ? მერე რაღაც უჩვეულო ძალამ ისევ ზეცაში ატყორცნა. სიმსუბუქე, არანაირი ტკივილი, ნეტარება, ისევ თეთრი ფთილა ღრუბლებ, შორს ისევ მერქალი, მოქანავე კიბე. ახლა მაინც მივწვდებიო – გაიფიქრა. მიუახლოვდა, წარმატებით, მაგრამ ამაოდ. ისევ საშინელი ჩხვლეტა გვერდებში, მერე ვიღაც ყელშიც წაეტანა. ისეთი ძალით უჭერდა, თითქოს ხორხის გამოგლეჯვა სურდა. აუტანელი და სულისშემსუთავი ტკივილებისაგან გონდაკარგული სივრცეში გაიბნა, უწვრილეს ნაწილებად დაიშალა და გაქრა...

საიდლანაც რაღაც ჴანგი შემოესმა, რომელიც ისეთ მჭექარე ხმაში გადაიზარდა, გონებიდან ნისლები ნელ-ნელა გაკრიფა. იჭიატა, ვინაა ნეტავ? ან საიდან ეს ცეცხლოვანი, ურუანტელის მომგვრელი ხმა – ღვინოვ კახურო... ნეტავ სად ვარ?

დამძიმებული თვალები რის ვაი-ვაგლახით გაახილა. თითქოს შეწებებოდა, ბუნდოვნად ჩანდა ყველაფერი. ისევ აახამხამა თვალები, სივრცე დაიწმინდა. უცნაურ ფორმიანი არსებები მიმოდიოდნენ. თავს ძალა დაატანა, თვალი რამდენჯერმე დახუჭა-გაახილა. მკაფიოდ ჩანდნენ სკაფანდრიანი არსებები. შეეშინდა. აღარც ღრუბლებში აფრენა სურდა და აღარც იმ ჯოჯოხეთური ტკივილის განცდა. საოცარი ხმა კი ქუხდა – გინდ თეთრი იყოს, გინდა წითელიო. შეიგრძნო სხეული, ცრემლები წასკდა, ღვარად მოსდიოდნენ, უწყვეტ წაკადად, თითქოს წყარომ ამოხეთქაო. როგორ მონატრებოდა სიცოცხლე...

ცრემლებმა საბოლოოდ დააბრუნა აწყმოში, გონებაც დაეწინდა და ყველაფერიც გაცხადდა – საავადმყოფოს პალატაში იწვა. მაგრამ უჩვეულო პალატა იყო, არ ჰეთვებდა ჩვეულებრივ პალატას. თავთან ახლოს მონიტორი ედგა, კლავიატურა და უამრავი სადენი. პერსონალი თხემიდან ტერფამდე შეფუთული იყო. გამჭვირვალე შუშის მიღმა მხოლოდ გადაღლილი თვალები ჩანდა. ვერ გაარჩევდი, კაცი იყო თუ ქალი. მისგან მოშორებით კიდევ ერთი საწოლი იდგა მოაჯირებიანი, ასევე სადენებით დახუნძლული. პალატა თეთრ საბურველში იყო გახვეული. ფიქრმა წაიღო. აქ საიდან მოვხვდი? ნუთუ, ის არის? მე ხომ გულის შეტევით წამომიყვანეს. აბა, იფიქრე, იფიქრე, ნუთუ ჩამოიფქვა ჩემი საფქვავი, დამთავრდა ყველაფერი? გაურკვევლობა მანუხებს თუ არა, ის არასასურველი სტუმარი ყველასთან მიდის, ხოლო შენს თვალებსა და ცნობიერებაში არეკლილი სამყარო რჩება მარადუამს. შენ კი ვინ ხარ, ქარისაგან ატაცებული ერთი პატარა მოფარფატე ფოთოლი, მარადისობაში გადასვლამდე სევდას, ნალველსა და სიყვარულს ნაზიარები, წამიც და გაირინდები. ნეტავ იმას, ვინც სარეცელში არ ხვდება სიკვდილს! ნეტავ იმას, ვინც ვალმოხდილი მიდის სულთა საუფლოში!

შიშმა შეიპყრო და ურუანტელმა დაუარა ტანში. ჩემგან სხვასაც ხომ არ მისწვდა? ბავშვები! ცივმა ოფლმა დაასხა და ყველა საფიქრალი ყველაფრის დამამხობელმა – სიკვდილის ტოლფასმა შიშმა ჩაყლაპა. მაგრამ დროებით, ისევ წამოიშალენ და ასისინდნენ მოუხელთებელნი და დაუოკებელნი. უმთავრესს ჩაეჭიდა – მაინც საიდან ეს უჩინარი სიკვდილის მაცნე? გონება დაძაბა და შეეცადა, ყველა შესაძლო შემთხვევა გაეხსენებინა. გულმოდგინედ დაიწყო ჩხრეკა. ვითომ ბაზარი? ბაზარი, ღია ბაზარი... არადა, ღია სივრცეში ხომ ნაკლებ სავარაუდოა. არა, მაშინ ბაზრები დაკეტილი იყო, მხოლოდ ბაზრის ორივე მხარეს პატარა მაღაზიები მუშაობდა. მერე, მერე, აბა, დაფიქრდი და კარგად გაიხსენე. ჰო, ასეა ნამდვილად, იქ ვიყავი, უეჭველია იქიდან. და ისე გაუხარდა, თითქოს ამ სწეულების წამალი აღმოეჩინოს – შეხვედი მაღაზიაში, ხილს დაეძებდი

ბავშვებისთვის. როგორც შენ, იმ გამყიდველ გოგოსაც ნიღაბი ჰქონდა სახეზე. თმა კი ისე ჰქონდა უკან გადაქაჩული, გეგონებოდა, ცოტაც და ბუდეებიდან ამოუცვივაო. მაღალი შუბლი და ძალზე ლამაზი თვალები უჩანდა. ვითომ მისგან? შეუძლებელია, თან ორივე კარი ხომ ღია ჰქონდა. მოიცა, მოიცა, ხო, ბიჭი, რამ დამავიწყა? მაგი რა გასაკვირია, ცოცხალი რომ ხარ, ისაა გასაკვირი. გაგახსენდა ხომ! ახალგაზრდა ბიჭი უნილბოდ, მგნი, დამხმარე. ისე, კი გაგიკვირდა, რომ დახურულ სივრცეში პირბადის გარეშე საქმიანობდა. შენკენ წამოვიდა, აწონილი ხილი მოჰქონდა. სდექ! მერე, მერე, ხო, ასეა – მოახლოებისას ისე მძლავრად დააცემინა, თაროებიდან კინაღამ პროდუქტები გადმოცვივდა. არც ხელი აუფარებია. შენ კი გეკეთა ნიღაბი, მაგრამ გულში იმწამსვე გაგკრა, რამე უბედურება არ ამკიდოს ამ ბიჭმაო. გადაუხადე საფასური და წამოხვედი სახლში. იქნებ სხვაგანაც გქონდა მსგავსი სიტუაცია, ვერ იხსენებ? ვერ იხსენებ, იქნებ რამეს მოკიდე ხელი და დაბანა დაგავიწყდა. არა, არა, შეუძლებელია. ყოველთვის შეფუთული დადიოდი პირბადით, ხელთათმანებით და მკაცრად იცავდი ჰიგიენის წესებს. მაშ, საიდან? სხვა ხელჩასაჭიდი არაფერი ჩანდა, ანდა, ანი რაღა მნიშვნელობა აქვს. ჩაფიქრდა და პალატას მოავლო თვალი. პალატის მეორე მხარეს პაციენტს ხველა აუტყდა. ისე ახველებდა, გეგონებოდა, სადაცაა გულ-ლვიძლს ამოატანსო. მისცვიდნენ ექიმები და შველა დაუწყეს. რა დღეშია საბრალოო, გაუელვა თავში. ალბათ, მეც ასე ვიყავი, ახლაც ძლივს ვსუნთქავ, ორჯერ მივაღწიე კიბემდე. ჩემი მობრუნება სიკვდილის წინმსწრებია თუ გზა გამოჯანმრთელებისკენ? ღმერთო, ნუდა განმაცდევინებ იმ ტკივილს... და თვალებიდან ცრემლები წასკდა. დამშვიდდი, დამშვიდდი! ყველა ხორციელი შენსავით ებლაუჭება სიცოცხლეს – ზეციურს მაინც მიწიერი ურჩევნია. ეჲ, ამაოა და ფუჭი ახლა ტკივილის ჭყლეტა. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება. ერთი კია, უნანებლად და უზიარებლად არ მინდა იქ წასვლა. მხოლოდ უძლურებაში მყოფს თუ ეწვევა სინანულის განცდა, იმიტომ, რომ შეუცნობლის შიში თრგუნავს. ესე იგი, სიკვდილის წინარე სინანულია? აქამდე არ გეცალა, მიწიერ საზრუნა-

ვებში იყავი ჩაფლული და ვნებები ბატონობდნენ შენზე, რომლის მოძალების უამს შიში გიჩლუნგდება და თავდავიწყებაში ვარდები. კი, ტაძარშიც დადიოდი, ლოცულობდი, ისე, ყასიდად. ბოლომდე ვერ გაიმეტე თავი ჭეშმარიტების შეცნობისთვის. გემძიმებოდა ზეციდან მოცემული მცნებების შესრულება. კი, ბევრს კითხულობდი, მაგრამ მხოლოდ კითხულობდი. ქრისტეს გზაზე შედგომა, – ეს ხომ საკუთარი თავის უარყოფა. არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად. სუსტი ვარო, სნეული ადამიანი ვარო, ადამიანური სისუსტეებითო. ფიქრობდი – ჩემი სისუსტეები, ეს ხომ ადამიანური ბუნების გამოვლინებააო. სცოდავდი, კი ბატონო, ვინ დამალვია ცოდვას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მისი ტოლფასი სინახული არ გაგაჩნდა. კი განუხებდა, მაგრამ არ გქონდა სათანადო განცდა საკუთარ ცოდვათა. ცრემლიც გადმოგილვრია, მაგრამ არ იყო ის ცრემლები, ცოდვის ჩამობანა რომ შეძლებოდა, მადლი რომ მიგეღო. ახლა აქ წევხარ სიკვდილის პირას მყოფი. ახლა მაინც თუ გაქვს სინანული სიკვდილის ზღურბლთან მდგომს, ისეთი, როგორსაც ზევიდან ითხოვენ. „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“. ვერ ჰასუხობ? საოცარია ადამიანის მიწაზე მიჯაჭვულობის ძალა. ნეტავ, ადამიანი როდისმე არის მზად სიკვდილისთვის? რამდენიმე მოუგვარებელი საქმე მაქვს დარჩენილი. ეჲ, ვერ ელევი სიცოცხლეს, ჯერ არ ვარ მზადო. ნეტავ, კი ყოფილა ოდესმე ვინმე სიკვდილისთვის მზად? არა, არა, თუ გამოვძვერი ამ სიტუაციდან, სოფელს უნდა მივხედო. სავალალო მდგომარეობაშია სახლ-კარი, ეზო-კარმიდამო. ისე ვითარდება მოვლენები, სოფელს სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება. საფლავის საქმეც მოსაგვარებელია, არც მშობლების გვერდზეა ადგილი. ეჲ, ისევ მიწიერზე ფიქრობ? დაუმარხავი ვინ დაუტოვებიათ! მიწის მიბარების ვალდებულება დარჩენილთა ხვედრია და გაგრძელდება ბოლო კაცამდე. ორჯერ მომაბრუნა უფალმა, ნეტავ, რატომ? იმ ჯოჯოხეთურ ტკივილა-მდე საოცარ თავისუფლებას ვგრძნობდი და ენით აღუნერელ ნეტარებას. თუ ასე მიდის კაცი იქით, არ ყოფილა საშიში. არა, არა, ჯერ ადრეა იქით წასვლა, ბევრი რამე მაქვს ჯერ კიდევ

გასაკეთებელი. წუთისოფელმა საკმაო გამოცდილება შემძინა და არ მინდა, ეს გამოცდილება იქ წავიყოლო. გამოცდილება ხომ საკუთარ და სხვათა შეცდომათა გაანალიზებით მიღებული ცოდნაა და მინდა, ეს ცოდნა სხვებსაც გავუზიარო.

სამკვირიანი ომის შემდეგ სწორებით დაუსხლტა ხელიდან სიკვდილის მარწუხებს. საავადმყოფოს ეზოში გამოსულმა ღრმად ჩაიუნთქა გრილი ჰაერი. თავი მაღლა ასწია და ზეცას ახედა, ირგვლივ მიმოიხედა და კიბეს დაუყვა. ეზოში პატარა ხანს დაყოვნდა, ვერცხლისფერმა ნაძვმა მიიქცია მისი ყურადღება. მიუახლოვდა, ხელით მიეფერა ნაზ წინვებს და ჩაეხუტა. დიდხანს იდგა გაქვავებულივით. მერე კი ცრემლი-ანი თვალები ხელუკულმა მოიწმინდა და მხრებაცახცახებული უსასრულო გზას დაადგა.

2020 წელი, თბილისი

სარჩევი

რომანი

დისო, დისო 5

მოთხრობები

ძახილი	117
მაგრა ღმერთი არ გასწირავს...	199
ეკალი	229
მეორედ მოსვლა	243
უცნაური კაცი.....	259
გზას აყოლილი ფიქრები	279
გზა სიარულმა დალია?!	297
ბუთქუნა.....	311
ჩიხორის ბრძოლა	325
უხილავი სენი	337



პროფესიონალური კოლეგიატური დამზადა 1955 წლის 24 მაისს თერჯოლის რაიონის სოფელ ჭედა საზანოში.

1983 წელს დამზადვრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

შისი ნანარმოებები გამოქვეყნებულია ქართულ ღიატერატურულ პერიოდიკაში: „ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“, „განთიადი“, „ქოროხი“, „სალიტერატურო გაზეთი“, „კალმასობა“, „დილა“ და სხვ.

გამოცემული აქვთ სამი კრებული: „ოცნების პრეზიდენტი“ (2001), „გზა“ (2011), „ძახილი“ (2017).

1999-2000 წლებში დააფუძნა და ხელმძღვანელობდა სალიტერატურო გაზეთ „შარუანდა“.

პედაგოგიური და ორი ქალიშვილი.

ISBN 978-9941-25-780-3

9 789941 257803